თამაზ
ნატროშვილი

წელი ერთი და ათასი

(მხატვრულ ისტორიული ნარკვევები)

თბილისი. „მერანი". 1988

63 3(25)
ბ 327

თამაზ ნატროშვილის წიგნში „წელი ერთი და ათასი“ თავმოყრილია ბოლო წლების მანძილზე პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მხატვრულ-ისტორიული ნარკვევები, რომლებიც მოგვითხრობენ ნაკლებად ცნობილ ეპიზოდებს საქართველოს ისტორიიდან. აშუქებენ პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან, ჩვენი წარსულის ასახვას ქართულ მწერლობასა და ფოლკლორში, ამა თუ იმ ლეგენდის მიმართებას ისტორიულ სინამდვილესთან.

ნარკვევები ეყრდნობა ქართულ და უცხოურ წყაროებს, აგრეთვე საბჭოთა თუ უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებს.

4702017200 — 36
ბ ——————— 13 — 88 © გამომცემლობა „მერანი“.
მ 604 (08)—88

„უწყოდი და აღვწერო“

თხუთმეტი საუკუნე გვაშორებს შუშანიკის წამებას, მაგრამ როდესაც ხელში აიღებ თხუთმეტი საუკუნის წინათ დაწერილ მოთხრობას, ცრემლითა და სისხლით რომ სუნთქავს, დროთა სიშორეს გააქარწყლებს დროთა კავშირი და გატაცებით კითხულობ ადამიანის უკვდავების ამბავს. ამ მოთხრობის მთავარ გმირს უკვდავების მოსახვეჭად არც ტაძარი აუგია, არც წიგნი შეუთხზავს, არც ახალი სარწმუნოება გაუვრცელებია და არც ომი მოუგია. მაგრამ რომელ მათგანს ჩამოუვარდება ის თავგანწირვა, როდესაც ადამიანი უარს ეუბნება მისი სულისა და მეობის დამთრგუნველ ძალას. თვითმხილველმა მწერალმა ქაღალდზე აღბეჭდა შუშანიკის ამაყი უარი და ანდერძივით დაუტოვა შთამომავლობას. „ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე“... შუშანიკმა უნდა იტვირთოს მძიმე უღელი ურჩობისა და მსუბუქად ატაროს. ყველას სწყურია სიცოცხლე, მხოლოდ შუშანიკს ხვდა წილად წყურვილი სიკვდილისა. „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს“... თანაგრძნობა შუშანიკისადმი პასიურია. განწირულის გადარჩენა არ ძალუძთ, ვინაიდან ყველა უძლურია ვარსქენის წინაშე. მთელი ცურტავი დამგვანებია საპყრობილეს. ურჩებს ხელფეხს უბორკავენ, ხოლო ქედმოხრილებს სული აქვთ შებორკილი და ისინიც, ფაქტიურად, საპყრობილეში იმყოფებიან.

მაგრამ თვით ვარსქენიც უძლურია შუშანიკის წინაშე. შუშანიკმა თვითონ წამოჭრა ალტერნატივა: უღირსი სიცოცხლე ან ღირსეული სიკვდილი, თვითონვე დაწერა საკუთარი განაჩენი და ვარსქენი მხოლოდ ხელს აწერს. შუშანიკის წამება ექვსი საათი როდი გასტანს, მთელი ექვსი წელიწადი უნდა იაროს სიკვდილის ზღურბლამდე და წმინდანად გადაქცეული ადამიანი ალტაცებულია თავისი უნუგეშო ხვედრით. შებორკილს უკვირს ხუცესის გულწრფელი ცრემლი და თავზარდაცემულ ხუცესს კი უკვირს მისი სიხარული ბორკილებისა და მატლების გამო. თვითგვემის ექსტაზში შესული დედოფალი ტკბება გამარჯვებით. იგი ბრწყინვალედ ას-

რულებს არჩეულ როლს, მაგრამ სიცოცხლის აღსასრულს ისევ აფართხალდება უმწეო ადამიანი წმინდანის სხეულში და გვესმის მისი გოდება დაკარგულ ბედნიერებაზე. განგებამ მალე მიუსაჯა სიკვდილი ვარსქენს, მაგრამ შუშანიკის შურისძიება გაცილებით სასტიკი გამოდგა. მისმა წამებამ ვარსქენსაც მიუსაჯა უკვდავება.

...ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ მკითხველს, თავისებურად ესმის ესა თუ ის ადგილი ლიტერატურულ ნაწარმოებში, თავისებურად წარმოუდგენია მისი პერსონაჟები და მათი ურთიერთობა. თხუთმეტი საუკუნის წინათ დაწერილი მოთხრობა მით უფრო აფართოებს საამისო ასპარეზს. მაგრამ ნებისმიერი სუბიექტური ინტერპრეტაცია და თუნდაც საყოველთაოდ გაზიარებული მოკლე შინაარსი ვერ დაიჩემებს იაკობ ხუცესის სიტყვებს: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. ამიტომაც არის საჭირო და აუცილებელი „შუშანიკის წამების“ კომპლექსური შესწავლა, რათა მაქსიმალური სიზუსტით, ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, გადაიჭრას ყველა ბუნდოვანი თუ სადავო საკითხი. „შუშანიკის წამების“ შესწავლა ჯუშინ როდი დაწყებულა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, თითქოსდა უკვე დასრულებული და ამოწურული იყოს, მიუხედავად მრავალთა ღვაწლისა.

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა პირველი ნაწილი ნიკოლოზ ჯანაშიას ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევისა „შუშანიკის წამება“. ეს არის მიახლოება ბავშვობიდან ნაცნობი სამყაროს კარიბჭესთან, მაგრამ პირველი ნაბიჯებიდანვე ცხადი ხდება, რომ დაზეერვის გარეშე ძნელია ლაღად იმოგზაურო კარიბჭის მიღმა, სადაც აღმართულია უძველესი ქართული მოთხრობა, დღესაც რომ გვიზიდავს „რაღაც ამოუცნობელი გაურკვევლობითა და საიდუმლოებით, რომელშიც გახვეულია მასში აღწერილი ამბავი“.

ნ. ჯანაშიას ნაშრომი იოლად საკითხავი წიგნი არ გახლავთ: მისი აღქმა და შეთვისება გარკვეულ სიძნელეებს წააწყდება. ახალი ინფორმაციის სიუხვემ და წამოჭრილი საკითხების მრავალფეროვნებამ შესაძლოა დააბნიოს კიდეც მკითხველი. წიგნი არ გვაწვდის მზამზარეულ დებულებებს. მოტანილი მასალა მოითხოვს დაფიქრებას და დაძლევას. მეცნიერული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების შეცნობა — მკითხველის აქტიურ მონაწილეობას

მკვლევარის კეალდაკვალ. და თუკი ყურადღების მოუდუნებლად გაჰყვები წიგნის ავტორს, თანდათან შეიჭრები იმ სამყაროში, რომელსაც ჰქვია „შუშანიკის წამების“ ისტორია. გაცნობიერდები და გაშინაურდები, გაგიათკეცდება არა მარტო ინტერესი, არამედ ესთეტიკური სიამოვნებაც, რომელიც ყოველთვის თან ახლავს გაურკვეველობის გარკვევას, ფაქტების გროვიდან ყველაზე მნიშვნელოვანის გამოჩხრეკას, მომხიბლავი ვარაუდების უკუგდებას და თითქმის ცარიელ ადგილზე ახალ ვარაუდთა გაჩენას, კვლევისა და ახალიზის დაძაბულ მდინარებას, მეცნიერულ მიგნებათა დაუჯერებელ უბრალოებას.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ლაკონიურად მოგვითხრობს აგიოგრაფიული მწერლობის წარმოშობის მიზეზებსა და მისი განვითარების ძირითად ეტაპებზე, ხაზს უსვამს ამ ჟანრის თხზულებათა პროპაგანდისტულ ხასიათს. შემდეგ მიმოიხილავს „შუშანიკის წამების“ ქართულ-სომხურ რედაქციათა შემონახულ ხელნაწერებს, სხვადასხვა გამოცემებსა და ამ ძეგლის შესწავლის ისტორიას, სადაც მითითებულია ს. გორგაძის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და ი. აბულაძის განსაკუთრებული დამსახურება.

„შუშანიკის წამების“, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობის სწორად და სრულად გარკვევისათვის ნ. ჯანაშიას ნაშრომში შესწავლილია ამ თხზულებასა და მასში გამოყენილ რეალურად არსებულ პერსონაჟებზე ძველ მწერლობაში მოცემული ყველა ცნობა, რათა შემოწმდეს და დაზუსტდეს იაკობ ხუცესის მოთხრობის გმირთა ვინაობა, მათი ადგილი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი მოქმედების მამოძრავებელი მოტივები.

ნ. ჯანაშია საკმაოდ ვრცლად გვაცნობს V საუკუნის სომხური საისტორიო წყაროების ცნობებს, უპირველეს ყოვლისა, შუშანიკის ახლობელი თუ შორეული წინაპრების შესახებ. ამ შთამბეჭდავი გენეალოგიის ერთ შტოს ამშვენებს გრიგორ განმანათლებელი, რომელმაც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია სომხეთი, ხოლო მეორეს — შუშანიკის მამა ვარდან მამიკონიანი, ირანის წინააღმდეგ აჯანყების გმირი.

ორივე გვარი სამეფო წარმომავლობის გვარად ითვლებოდა ძველ სომხეთში. მკვლევარის მიერ მოტანილი მასალის საფუძველზე წარმოისახება თვალსაჩინო სურათი იმ ფსიქოლოგიური

გარემოსი, რომელშიც იზრდებოდა შუშანიკი. როგორც ირკვევა, გრიგორ განმანათლებლის შთამომავალნი თითქმის მთელი IV საუკუნის მანძილზე სომხეთის მღვდელმთავრები იყვნენ და ითვლებოდნენ სომეხი ხალხის სულიერ მეთაურებად. მამიკონიანთა ღვაწლი უფრო პოლიტიკურ ისტორიაში გამოვლინდა. სომეხი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის სათავეში ედგნენ სწორედ მამიკონიანები — სომხეთის მემკვიდრეობითი სპარაპეტები (მთავარსარდლები).

სომხური საისტორიო წყაროების შესწავლის შედეგად ნ. ჯანაშია ასკვნის, რომ V საუკუნის სომხეთში არსებულა მთელი ციკლი გადმოცემებისა, სიმღერებისა და ლეგენდებისა, რომლებიც ქებას ასხამდნენ მამიკონიანთა გვარს, ისევე, როგორც შუშანიკის წინაპართა მეორე შტოს. მკვლევარის აზრით, შუშანიკის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, უეჭველად, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა მისი წინაპრების ცხოვრებას, მათი მოღვაწეობის ხასიათს პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპარეზზე. მართლაცდა, ადვილი წარმოსადგენია, რომ შუშანიკს სამაგალითოდ ესახებოდა წინაპართა დიდებული საქმეები და მის სულში მწიფდებოდა ლტოლვა — ღირსი გამხდარიყო წინაპრებისა, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ მშობელი ქვეყნისა და ქრისტიანული სარწმუნოების ინტერესებისათვის. ამ ფაქტორს, ალბათ, გარკვეული როლი უნდა მიენიჭოს შუშანიკის მოწამეობის განმსაზღვრელ მოტივებზე მსჯელობისას.

ნ. ჯანაშია აღნიშნავს, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები ახლებურად წარმოგვიჩენს შუშანიკს, როგორც მოღვაწეს. მკვლევარი სავსებით რეალურად მიიჩნევს ცნობას შუშანიკის მიერ „სომხური მსახურების“ შემოღების შესახებ. მისი მოსაზრებით, სომხურ ენაზე მღვდელმსახურების არსებობა ცურტავის ეპარქიაში შუშანიკამდეც არის საგულისხმებელი და, მაშასადამე, ორენოვანი მსახურების შემოღება ეხებოდა მხოლოდ ცურტავის საეპისკოპოსო კათედრას, რაც ნიშნავდა სომხური მოსახლეობის უფლებათა რადასტურებას და დამტკიცებას. „უეჭველია, — დაასკვნის მკვლევარი, — სომხური მსახურების შემოღება ცურტავის სომეხი მოსახლეობისათვის ძლიერი მორალური ფაქტორი იქნებოდა“. შუშანიკი, მეუღლე პიტიახშისა, რომელიც დედოფლადაც კი იწოდება იაკობის თხზულებაში, შეამდგომლად უნდა გამოსულიყო საერო და სასულიერო ხელისუფლების წინაშე სომხურ ენაზე

მღვდელმსახურების დასამკვიდრებლად. ნ. ჯანაშიას რამდენადმე გადამეტებულად ეჩვენება ბელგიელი მეცნიერის პ. პეეტერსის შეხედულება იმის თაობაზე, რომ შუშანიკის მეოხებით ცურტავის საეპისკოპოსო ეკლესია გადაიქცა „სომხური ეროვნულობის მოწინავე პოსტად“ და „სომხური გავლენის ცენტრად“, მაგრამ სიმართლის დიდ ნაწილსაც ხედავს მასში. „ეპისტოლეთა წიგნში“ დამოწმებული ცნობების საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ შუშანიკი იყო მეტად აქტიური, მოქმედი პიროვნება და მოღვაწე, თავისი ქვეყნისა და ხალხის დიდი პატრიოტი.

დასახელებული წყაროდან ჩანს ისიც, რომ VII საუკუნის ქართლში მეტნაკლები სიზუსტით სცოდნიათ შუშანიკის ცხოვრების ხანა, რომელიც ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ერთი საუკუნით გვიან არის გადატანილი. ნ. ჯანაშია განმარტავს ამ ქრონოლოგიური აღრევის მიზეზს და მიუთითებს, რომ იაკობის ტექსტში შემონახულა უადრესი და სწორი შეხედულება. ამასთან ერთად, „მოქცევაი ქართლისაის“ რედაქცია უფრო ახლოს დგას იაკობის რედაქციასთან, ვიდრე ჯუანშერისა. რაც შეეხება ამ უკანასკნელის მონათხრობს ვარსქენის სიკვდილით დასჯაზე, ეს უნდა იყოს რეალური ამბების გამოძახილი.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე აჰარონ ვანანდეცისა და უხტანესის თხზულებანი, რომლებიც X საუკუნით თარიღდება. მათი შესწავლა მეტყველებს, რომ ამ თხზულებათა ერთადერთი წერილობითი წყარო არის იაკობის „შუშანიკის წამება“, რაც კიდევ ერთხელ აბათილებს პ. პეეტერსის მტკიცებას, თითქოსდა იაკობის მოთხრობა დაწერილი იყოს XI—XII საუკუნეებში. დასახელებულ თხზულებათა ცნობები, ისევე როგორც „ეპისტოლეთა წიგნისა“, მოწმობენ შუშანიკის კულტის პოპულარობას ქართლსა და სომხეთში (შუშანიკის სახელს გვიანდელი წარმოშობის ლეგენდებიც კი უკავშირდება).

თავის დროზე ქ. კეკელიძე შენიშნავდა, რომ „შუშანიკის წამება“ არ ეტევა საეკლესიო მიზნით დაწერილი, ისიც აგიოგრაფიული, თხზულების ჩარჩოებში და წმინდა ისტორიულ-ბელეტრისტული პროზის ხასიათი აქვს. ამ ბოლო ხანებში კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი იაკობ ხუცესის მოთხრობის ჟანრობრივი განსაზღვრისა და გაცხოველებული პოლემიკის საგანიც შეიქნა. ამ საკითხის გადასაჭრელად, როგორც მიუთითებს ნ. ჯანაშია, აუცი-

ლებელია ქართული აგიოგრაფიის თავისებურებათა შესწავლა, შედარება სხვა ხალხთა თანადროულ თუ არათანადროულ აგიოგრაფიულ თხზულებებთან, რათა გაირკვეს „შუშანიკის წამების“ ადგილი ჯერ საკუთრივ ქართულ ლიტერატურაში და შემდეგ — მსოფლიო ლიტერატურაში. მაგრამ ის კვლევა-ძიებაც, რომელიც ჩაუტარებია ნ. ჯანაშიას, ფრიად საგულისხმო შედეგებს იძლევა ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

მკვლევარი ალნიშნავს, რომ იაკობის თხზულება სავსებით რეალისტური ნაწარმოებია. მისი მთავარი მოქმედი პირები წარმოადგენენ ცოცხალ ადამიანებს, თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, რთული და არასწორხაზოვანი ხასიათებით. „შუშანიკის წამება“ შეიცავს ისეთ დეტალებს, რაც შეუფერებელია წმინდა აგიოგრაფიული ნაწარმოებისათვის, რომლის დადებითი გმირი უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ იდეალური ადამიანი, აბსოლუტური სიკეთის განსახიერება, მოკლებული ცოცხალი ადამიანის ამქვეყნიურ ტკივილებსა თუ სიხარულს. ასევე ცალმხრივად უნდა დახატულიყო ნაწარმოების უარყოფითი გმირი — ანტიპოდი დადებითისა და აბსოლუტური ბოროტების განსახიერება. „შუშანიკის წამების“ მთავარი გმირები ვერ ესადაგებიან აგიოგრაფიულ სტანდარტებს. შუშანიკი ყოველთვის არ იქცევა ისე, როგორც ნამდვილ წმინდანს შეეფერება. იჩენს გაუმართლებელ თავშეუკავებლობას, მერყეობას და საერთოდ — ჩვეულებრივი მოკვდავის თვისებებს. ვარსქენიც ყოველთვის არ მოქმედებს მისთვის განკუთვნილი როლის შესაბამისად, მის ქცევასა თუ სიტყვებში ხანდახან გამოსჭვივის სავსებით ადამიანური გრძნობები.

მკვლევარის თვალსაწიერშია „შუშანიკის წამების“ ორი გადამუშავება: ანტონ კათალიკოსისა და ვრცელი სომხური რედაქცია. ირკვევა, რომ ორივე ტექსტი აგიოგრაფიული ჟანრის კანონებისა და საეკლესიო მიზნებისათვის დამორჩილების გზას მისდევს. ნ. ჯანაშია წერს: „დამთხვეევები სომხურ და ანტონის რედაქციებს შორის გასაოცარია. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სომხურ რედაქციაში გასწორებულია თუ ამოღებულია ბევრი ის ადგილი, რომელიც გასწორებული თუ ამოღებული აქვს ანტონსაც. მიუხედავად იმისა, რომ სომეხი რედაქტორისა და ანტონის მოღვაწეობის პერიოდებს შორის ათასი წლის სხვაობაა, ორივე ერთი კუთხით განიხილავს იაკობის თხზულებას, ორივე ერთსა და იმავე ნაკლს

ამჩნევს მას. სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა კონფესიონალური მიმდინარეობის ორი ავტორის ასეთი ერთნაირი დამოკიდებულება იაკობის ნაწარმოებისადმი, ალბათ, კიდევ ერთი დადასტურებაა მისი წარუვალი და ყველასათვის საცნაური ღირსებებისა".

ნ. ჯანაშიას წაშრომში დეტალურად არის შედარებული ერთიმეორესთან იაკობის თხზულებისა და მისი რედაქციების სათანადო ადგილები, ცალკეული ფრაზები თუ სიტყვები. აქ მოტანილი მჭევრმეტყველი მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გადამუშავებას არაშემთხვევითი, სისტემური ხასიათი აქვს. თავდაპირველი ტექსტის ყოველგვარი გადაკეთება, საკმაოდ ვრცელი ფრაგმენტების ამოგდება თუ შემოკლება, აგრეთვე შეტანა ჩანამატებისა, თითქმის ყოველთვის, ერთი მიზნით არის შესრულებული — ნაწარმოები მოაქციოს აგიოგრაფიის მკაცრ ჩარჩოებში.

ნ. ჯანაშიას ნაშრომში მშვენივრად არის ნაჩვენები, რომ აგიოგრაფიული ნაწარმოებისათვის საჩოთირო ადგილების ამოგდებისა თუ გადასხვაფერების შუქზე კიდევ უფრო თვალში საცემი ხდება იაკობის მოთხრობის ცხოვრებისეული სიმართლე და ლიტერატურული ღირსებანი. მას ბევრად უფრო მეტი და ზუსტი ცნობები მოეპოვება მოქმედების ადგილსა, დროსა და ვითარებაზე. მითითებულია მრავალი ფაქტობრივი ხასიათის დეტალი, რომელიც ადასტურებს, რომ ალმწერელი თავის თანამედროვე ამბებს გადმოგვცემს. ხოლო „წამების" რედაქციებში (განსაკუთრებით სომხურში) დაკარგულია ისტორიული და ყოფითი რეალიები, გაცილებით ნაკლებია ნიშანდობლივ გეოგრაფიული ცნობები, ქრონოლოგიური მონაცემები. თავს იჩენს აგიოგრაფიული მწერლობისათვის დამახასიათებელი შტამპები. ნაწარმოების ფაქტობრივ მხარეს საგრძნობლად ჩრდილავს სარწმუნოებრივ-იდეური მხარე. იაკობის ტექსტიდან აღებულია მხოლოდ ჩონჩხი და საოცარი ოსტატობით ხორცშესხმული მოთხრობის ნაცვლად ვიღებთ ორთოდოქსალურ აგიოგრაფიულ ნაწარმოებს. ნ. ჯანაშია შენიშნავს, რომ ვრცელი სომხური რედაქცია ბევრად უფრო ადრინდელია ანტონისაზე. როგორც ჩანს, ითარგმნა 704—708 წლებში (ეს თარიღი ნაყოფია ერთი მახვილგონივრული დაკვირვებისა), მაშასადამე, პრემეტაფრასულია. ასე რომ, ადრევე მოხვედრიათ თვალში იაკობის ტექსტის „სულიერი თავისუფლება".

ნაშრომის ბოლო თავი ეძღვნება „შუშანიკის წამების“ ავტორისა და დაწერის თარიღს. თხზულების მონაცემების მიხედვით აღდგენილია იაკობ ხუცესის პორტრეტი. ზოგიერთი ბუნდოვანი გარემოების გამო აღნიშნულია, რომ ჩვენთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია „წამებაში“ აღწერილი ამბებიდან. ნ. ჯანაშია იზიარებს და დამატებითი საბუთებით ამაგრებს „შუშანიკის წამების“ მოვლენათა დათარიღებას, რომელიც ეკუთვნის კ. კეკელიძეს და დასძენს, რომ იაკობის ტექსტს შემოუნახავს საესებით ზუსტი ცნობები აღწერილი ამბების ქრონოლოგიაზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ავთენტურობასა და სიძველეს. ამავე თავში საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული პ. პეეტერსის დებულებანი „შუშანიკის წამების“ ფსევდოეპიგრაფიკულობასა და ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ სხვა საკითხებზე.

ნ. ჯანაშიას მიერ ხაზგასმული უნარი იაკობისა — არა მარტო თვითონ დაინახოს, არამედ სხვასაც დაანახოს ის, რასაც აღწერს, შეგვიძლია თვით მკვლევარზეც გავიმეოროთ. იგი გულდასმით უკვირდება საწინააღმდეგო ვარაუდებს, ანგარიშს უწევს და მხოლოდ ზუსტი ანალიზის შემდეგ გამოაქვს მსჯავრი. გრძნობ, რომ გესაუბრება მკითხველისადმი კეთილმოსურნე, უაღრესად დაკვირვებული და გამჭრიახი მკვლევარი, შეიარაღებული ღრმამეცნიერული ანალიზის უნარითა და დახვეწილი ლოგიკური მსჯელობით, კვლევა-ძიების სადა და საქმიანი სტილით. იგი თავზე ხელს გაბედვს საკუთარ მოსაზრებებსა და დასკვნებს, არამედ მოთმინებით ცდილობს გაჩვენოს, დაგისაბუთოს და დაგარწმუნოს. ამასთან ერთად, მისი ნაშრომი აღვივებს და ათამამებს მკითხველის შემოქმედებით ინიციატივასაც.

ნ. ჯანაშიას გამოკვლევის პირველი ნაწილი, თავისთავადი ღირებულების გარდა, მიმზიდველია დიდი ინტერესის აღძვრით მეორე ნაწილისადმი, რომლის მხოლოდ მკრთალი კონტურები არის მინიშნებული გამოქვეყნებულ ნაშრომში.

„არამედ განეუენენ“

ექვსი წელი მიითვალა შუშანიკის გოლგოთამ. უკანასკნელ გზაზე შუშანიკსაც ხმამაღალი ტირილით მიაცილებდა „სიმრავლე ურიცხვი“ ქალთა და კაცთა, და ისიც მოუწოდებდა მოტირალთ: ჩემზე ნუ სტირითო. საძულველ ადამიანთან ცხოვრებას შუშანიკმა ამჯობინა ექვსწლიანი ტანჯვა-წამება, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი დაასრულებდა. მან წილად ირგუნა მწარე ხვედრი ტუსაღისა, სასახლეში ფუფუნებით ცხოვრების ნაცვლად ინდომა შიმშილით თვითგვემა ბნელსა და ნესტიან საკანში, ქმრის ალერსის ნაცვლად — სხეულზე დახვეული მატლი, საყვარელი შვილების ნაცვლად — ბორკილები.

შუშანიკი ჯიუტად მიელტვის წმინდანის შარავანდედს, მაგრამ ქალი სძლევს წმინდანს და სიკვდილის წინ ალმოხდება ვარსქენ პიტიახშის მისამართით: „მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და უუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“.

ეს ტრაგიკული მოთქმა თამამად გაუტოლდება ცნობილ ბიბლიურ პასაჟებს. ჩვენს წინაშეა ქალი, რომელიც მისტირის თითქმის ჩამქრალ სიცოცხლეს, თავის დედოფლურ წარსულს და საპყრობილეში შელახულ სილამაზეს. შუშანიკის მოთქმა ქალის მოთქმაა და არა წმინდანისა. როგორც შენიშნავს სარგის ცაიშვილი, „მას თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ე. წ. აგიოგრაფიის ლიტერატურულ გმირთან, რომლის უპირველესი თვისებაა ტანჯვისადმი ინდიფერენტიზმი და სიკვდილთან მიახლოების ნეტარი განცდა“.

კვდება ქალი, რომელმაც საძულველ ადამიანთან ცხოვრებას ამჯობინა სიკვდილი...

როგორც ცნობილია, იაკობ ხუცესი თავისი თხზულების დასაწყისში მოგვითხრობს, რომ ვარსქენ პიტიახშმა სასანელთა სამეფო კარზე არა მარტო რჯული შეიცვალა, არამედ „ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან“ და თავისი „ბუნებითი“ ცოლისა და შვილების გამაზდეანებასაც შეჰპირდა. „მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი“.

ქართველი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შუშანიკის სახეში ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს საზოგადოებრივი და პირადი

ტრაგედია, რომ ვარსქენ-შუშანიკის კონფლიქტს ამწვავებდა ვარსქენის მიერ მაზდეანური წესით მეორე ცოლის მოყვანა, რაც ამდაბლებდა შუშანიკის ადამიანურ ღირსებას და მისი თვითგვემა შეურაცხყოფილი ქალის პროტესტია ქმრის წინააღმდეგ, რომელმაც თავის სარწმუნოებასთან ერთად უღალატა თავის კანონიერ ცოლს, მეორე ცოლი მოიყვანა და შუშანიკთან მეუღლეობრივი ურთიერთობის გაგრძელებასაც აპირებდა.

მაგრამ არსებობს ერთი წინააღმდეგობა: სპარსთა მეფის ასული, მეორე ცოლი ვარსქენისა, შემდგომში ალარ ჩანს იაკობის მოთხრობის ფურცლებზე. ამ გარემოებამ ეჭვქვეშ დააყენა ვარსქენის მიერ მეორე ცოლის შერთვის ფაქტი.

ს. ცაიშვილი ვარსქენის მხოლოდ განზრახვად მიიჩნევს სპარსთა მეფის ასულის ცოლად შერთვას და წერს: „...შუშანიკის აშკარა აფექტის ფორმაში გამოვლენილი მრისხანება ოჯახის ზნეობრივი პრინციპების რღვევითაა გამოწვეული. ავტორი თითქოს არას ამბობს, მაგრამ თხზულებაში აღწერილი პერიპეტიები თავისთავად ბრგვანიშნებს, რომ შუშანიკის პიროვნებაში დაიძრა მანამდე უცნობი ახალი ტალღა — ტალღა ეჭვიანობისა. მას ხვალ თუ ზეგ მეტოქე გაუჩნდება ვარსქენის ახალი ცოლის სახით. ეს კი მისი ქალური ღირსების მსხვრევას მოასწავებს, ხოლო ამასთან შერიგება კი უკვე მის ძალებს აღემატება. აი, ერთ-ერთი ფსიქოლოგიური საფუძველი შუშანიკის დაუოკებელი ქცევისა“.

ნ. ჯანაშია „შუშანიკის წამების“ დასაწყისში მოტანილ ფრაზას („მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი“), მისი სტილისტური გაუმართაობის გამო, მიიჩნევს მერმინდელ ჩანამატად და დასძენს: „ტექსტის ანალიზი საშუალებას იძლევა დაბეჯითებით ითქვას, რომ ვარსქენს მეორე ცოლი, ყოველ შემთხვევაში, შუშანიკის წამების პერიოდში, არ ჰყოლია“. მკვლევარის მოსაზრებით, ამას მკაფიოდ ადასტურებს ის ეპიზოდი, სადაც ვარსქენი მოითხოვს შუშანიკისაგან სამკაულის დაბრუნებას და აცხადებს: კიდევ მოიძებნება ისეთი, ვინც ამ სამკაულს მოიხმარსო.

ჩემი აზრით, ზემოხსენებული ფრაზის მიჩნევა გვიანდელ ჩანამატად საჭიროებს უფრო საფუძვლიან დასაბუთებას. ამასთან ერთად, სამკაულების ეპიზოდის ამოსახსნელად ერთადერთი პასუხით ვერ დავკმაყოფილდებით. არ არის გამორიცხული, რომ სამ-

კაულს, ამ შემთხვევაში, სადედოფლო ინსიგნიების მნიშვნელობაც ჰქონდეს და, მაშასადამე, ვარსქენის ფრაზა — „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“ — გულისხმობდეს ორი ცოლიდან ერთისადმი უპირატესობის ანუ დედოფლობის მინიჭებას (საფიქრებელია, რომ ნ. ჯანაშია თავისი ნაშრომის მეორე, ძირითად, ნაწილში უფრო ვრცლად შეეხება აღძრულ საკითხს).

...მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო „შუშანიკის წამების“ ერთ ფრაგმენტზე, რომელიც, თუ არ ვცდები, საგანგებო მსჯელობის საგანი არ ყოფილა დღემდე.

იაკობისა და შუშანიკის პირველი შეხვედრისას, ხუცესი მოუწოდებს „დიდსა ღუაწლსა“ განმზადებულ დედოფალს: მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელიო. „ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე“, — შესჩივის შუშანიკი თავის მოძღვარს. „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს“, — ანუგეშებს ხუცესი. შემდეგ აფრთხილებს, რომ „მწარე გონების“ ვარსქენი დიდ ტანჯვაში ჩააგდებს მას. იაკობმა წინასწარ განჭვრიტა შუშანიკის მომავალი და ამიტომაც მოუწოდებს მხნეობას, მოთმინებას და სულგრძელობას. შუშანიკის პასუხი ასეთია: „უმჯობეს არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაი და წარწყმედაი სულისა ჩემისაი; რამეთუ მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაი გინა დაი, არამედ განეყენენ“. და ხუცესი უდასტურებს: „ეგრეთ არს“.

ამგვარად შუშანიკის თქმით, ცოლი თუ ქმარი დამონებულ არ არიან და მინიჭებული აქვთ უფლება მეუღლესთან გაყრისა. ეს დებულება აშკარად ეწინააღმდეგება ქრისტიანული რჯულის მცნებას ქორწინების შესახებ. რალა შორს წავიდეთ, იმავე პავლე მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე, არამედ უფალი: ცოლი ქმრისაგან ნუ განეშორებინ“ (1 კორინ. 7, 10).

ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული შუშანიკი არღვევს ქრისტიანული მოძღვრების ნორმებს და, რაც მთავარია, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად იმოწმებს პავლე მოციქულის სიტყვებს, ხოლო იაკობ ხუცესი უდასტურებს, მართალი ხარო.

ეგებ ვარსქენის გამაზდეანება აბათილებს ქრისტიანული ქორწინების ურღვევობის პრინციპს? თუკი ვარსქენმა „ღმერთი ჰეშმა-

რიტი“ უარყო, ეგებ ეს გარემოება აძლევდა შუშანიკს გაყრის უფლებას? მაგრამ იმავე პავლე მოციქულის ეპისტოლეში ხაზგასმულია: „ხოლო სხუათა მათ ვეტყვი მე, არა თუ უფალი: უკუეთუ ძმასა ვისმე ესუას ცოლი ურწმუნოი და მას ჯერ-უჩნდეს ყოფაი მის თანა, ნუ დაუტევებნ მას. დედაკაცსა თუ ვისმე ესუას ქმარი ურწმუნოი და მას ჯერ-უჩნდეს ყოფაი მის თანა, ნუ დაუტევებენ ქმარსა მას“ (1 კორინ. 7, 12—13). როგორც ვხედავთ, პავლე მოციქული გმობს ცოლ-ქმრის გაყრას ისეთ უკიდურეს შემთხვევაშიც კი, როდესაც ცოლ-ქმარს შორის სარწმუნოებრივი განსხვავება არსებობს, ვინაიდან, მისი მტკიცებით (1 კორინთ. 7, 14), ურწმუნო მეუღლე განიწმინდება მორწმუნე მეუღლისაგან (საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის დამდეგს რომის პაპი თავის ეპისტოლეში შაჰ-აბასის თანამეცხედრესა და ქართლის მეფის ასულს შეახსენებდა სწორედ პავლე მოციქულის სიტყვებს მორწმუნე მეუღლისაგან ურწმუნო მეუღლის განწმენდაზე).

ყველაფერი ნათელი გახდება, თუ მთლიანად მოვიტანთ შუშანიკის მიერ მინიშნებულ ადგილს პავლე მოციქულის ეპისტოლედან: „უკუეთუ ურწმუნოი იგი განეყენებოდის, განეყენენ; არა დამონებულ არს ძმაი იგი გინა თუ დაი ეგევითართა მათ, რამეთუ მშვიდობას გვიწოდნა ჩუენ ღმერთმან“ (1 კორინ. 7, 15).

მაშასადამე, გამოთქმა „არა დამონებულ არს“ გულისხმობს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევას — თუკი ურწმუნო მეუღლეს სურს გაყრა, ასეთ შემთხვევაში, მორწმუნე მეუღლეც აღარ არის შებორკილი.

ცხადია, რომ ხუცესის დასტური ეხება არა შუშანიკის პერიფრაზს პავლეს ეპისტოლედან, არამედ მითითებული მუხლის შინაარსს.

ეგებ დასახელებული წყარო არაზუსტად იყო თარგმნილი?

კ. კეკელიძე იაკობის ტექსტის სიძველის ერთ-ერთ საბუთად იმოწმებდა ზემოხსენებულ ფრაგმენტს: „...ბიბლიური ტექსტის არქაულობა და თავისებურება: პავლე მოციქულის აზრი, რომელიც გამოთქმულია 1. კორინ. VII, 15-ში, აქ ოდნავ ცვლილებითაა გადმოცემული“. კ. კეკელიძის მიერ აღნიშნული „ოდნავი ცვლილება“, საეჭვოა, რომ აზრობრივ ცვლილებას გულისხმობდეს, რადგანაც წარმოუდგენელია ისეთი თარგმანის არსებობა, სადაც პავლე მოციქულისათვის მიეწერათ ქრისტიანული მოძღვრების საწინააღ-

მდეგო ფრაზა. მითუმეტეს, რომ მითითებული თავის წინა მუხლებში ხაზგასმით არის აღნიშნული ქორწინების ურღვევობის პრინციპი, მეუღლეთა სარწმუნოებრივი განსხვავების შემთხვევაშიც კი.

ამგვარად, შუშანიკი ამბობს: თუ ურწმუნო ქმარს სურს გაყრა, მორწმუნე ცოლსაც შეუძლია გაეყაროსო.

მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ვარსქენი ეყრება ცოლს. პირიქით, შემდგომში არაერთხელ ვხედავთ, რომ ვარსქენი დაჟინებით მოითხოვს შუშანიკის დაბრუნებას სასახლეში და ამასვე მოუწოდებენ შუშანიკს სხვებიც.

რატომღა უდასტურებს იაკობ ხუცესი: მართალი ხარ, ეგრე არისო. გამორიცხული უნდა იყოს მისტიფიკაცია. ერთმანეთს თუ თვალს უხვევენ, იმდროინდელი მკითხველისათვის ერთობ გაუგებარი იქნებოდა უადგილოდ დამოწმება პავლე მოციქულისა.

ჩანს, ორივე, შუშანიკიცა და იაკობიც, დარწმუნებულია, რომ ვარსქენი ეყრება შუშანიკს და ამას საბუთად, ვარსქენის ჩამოსვლამდე, ერთადერთი ფაქტი მოეპოვებათ — ვარსქენის მიერ სპარსთა მეფის ასულის ცოლად შერთვა, რაც ქრისტიანული რჯულის თანახმად, კანონიერ ცოლთან გაყრას მოასწავებდა.

ე. რენანის სიტყვით, მრავალცოლიანობა, ეტყობა, გაუქმებული იყო იუდეველთა საზოგადოების იმ ნაწილში მაინც, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა, რადგანაც ეკლესიას საჭიროდ არ ჩაუთვლია დაეგმო ეს შემზარავი მოვლენა. ასე რომ, შუშანიკი ვერ დაიმოწმებდა თავისი მდგომარეობისათვის ზედგამოჭრილ ციტატას საღვთო წერილიდან.

შუშანიკს ძალზე კონკრეტული ფორმით ეხატება ვარსქენის გამაზდეანება, ჯერ კიდევ მის გამოჩენამდე ცურტაეში. ვარსქენი, გამაზდეანების შედეგად, სულითაც ეყრება შუშანიკს და ხორცითაც. ვარსქენის გამაზდეანება წარმართულ წყვდიადში აბრუნებს შუშანიკს, როგორც ქალს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანობის მიერ დანერგილმა მონოგამიურმა ქორწინებამ აღადგინა ქალის პიროვნული ღირსება სახელდობრ იმით, რომ გაათავისუფლა იგი დამამცირებელი პოლიგამიისაგან, აამაღლა და გამოაცხადა მამაკაცის ცხოვრების თანამკვიდრად (შდრ. I პეტრე. 3, 7). პავლე მოციქული დასაშვებად თვლიდა მორწმუნე ქალისა თუ კაცის ცხოვრებას ურწმუნო მეუღლესთან და, ამავე

დროს, სასტიკად ილაშქრებდა მრუშობის წინააღმდეგ: „ანუ არა უწყით, რამეთუ რომელი შეეყოს მეძავსა, ერთ ხორც არიან? რამეთუ იტყვის: იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“ (1 კორინ. 6, 16).

უნდა აღინიშნოს, რომ პავლე მოციქულის ეპისტოლედან შუშანიკის მიერ დამოწმებული მუხლის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არსებობს. კერძოდ, ღვთისმეტყველნი იოანე ოქროპირი და, მასზე დაყრდნობით, თეოფილაქტე ბულღარელი ასე განმარტავენ მე-15 მუხლის შინაარსს: თუ ურწმუნო მეუღლე გიბრძანებს, მონაწილეობა მიიღო მის მსხვერპლშეწირვასა და უწმინდურობაში ანდა მიატოვო იგი, უმჯობესია დათმო ქორწინება, ვიდრე შენი ღვთისმოსაობა. მაგრამ იაკობისა და შუშანიკის დიალოგი მიმდინარეობს ვარსქენის ჩამოსვლამდე და ჯერ უცნობია ვარსქენის რეალური პოზიცია სარწმუნოებრივ საკითხში. მართალია, ვარსქენი სპარსთა მეფეს შეჰპირდა შუშანიკის გამაზდეანებას, მაგრამ შემდგომში მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ ცოლის დაბრუნებას ოჯახში. ამდენად, იოანე ოქროპირის ინტერპრეტაცია თითქოსდა არ უნდა ესადაგებოდეს „შუშანიკის წამებაში“ აღწერილ მოვლენებს.

მხოლოდ გამაზდეანება რომ იყოს ვარსქენის დანაშაული, შუშანიკი როგორ დაუსახავდა მას მაგალითად არშუშა პიტიახშს? განა შუშანიკისათვის ცნობილი არ იყო, რომ არშუშაც, მამა ვარსქენისა, გამაზდეანდა? უფრო მეტიც, ლაზარ ფარპეცის ცნობით, „ყველას დაბეჯითებით და დაუცხრომლად აჩქარებდა ამავე აზრზე დადგომას“ სწორედ არშუშა („ჭკვიანი და გამომრჩეველი კაცი“) და დღენიადაგ მოუწოდებდა გამაზდეანებას შუშანიკის მამას — ვარდან მამიკონიანს.

მხოლოდ გამაზდეანება რომ იყოს ვარსქენის დანაშაული, გაუგებარი იქნებოდა ეკლესიის მიერ მხარდაჭერა შუშანიკისა, რომელიც არღვევდა ქრისტიანული რჯულის კანონს ცოლ-ქმრული კავშირის თაობაზე (გაიხსენეთ ვარსქენის საყვედური ეპისკოპოსისადმი: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“).

მხოლოდ გამაზდეანება რომ იყოს ვარსქენის დანაშაული, იგივე ეპისკოპოსი აფოცი, ცოტა ხნით ადრე მიგზავნილი შუშანიკთან ვარსქენისაგან, პავლე მოციქულის სიტყვებს (ურწმუნო ქმართან ცხოვრებაზე) დაუმოწმებდა შუშანიკს და ამით აიძულებდა ოჯახში დაბრუნებას. იაკობი კი გვაუწყებს, რომ ეპისკოპოსი და ჯოჯიკი „მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას“ („შუ-

შანიკის წამების“ სომხური რედაქციის მიხედვით, შუშანიკს ასე არწმუნებდნენ: დაბრუნდი შინ, რათა დაცხრეს ვარსქენის მრისხანება, თორემ უფრო გაბოროტდება და უბედურებას დაატეხს დიდსაც და მცირესაცო. შუშანიკი უნდა დაუბრუნდეს ვარსქენს ხალხის ინტერესებისათვის! სავარაუდოა, რომ სომხურ რედაქციაში მოტანილი ტექსტის ანალოგიური იქნებოდა იაკობის მიერ ზოგადად აღნიშნული „დასაჯერებელი სიტყვები“).

და კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება.

როგორც ცნობილია, შუშანიკის წამება არ არის ნახსენები ლაზარ ფარპეცის თხზულებაში. სხვათა შორის, ი. აბულაძე შენიშნავდა, რომ შუშანიკის ხსენება სწორედ ლაზარ ფარპეცთან იყო ყველაზე უფრო მოსალოდნელი. მართლაცდა, ლაზარი იზრდებოდა არშუშა პიტიახშის კარზე, ვარდანის ძმის — ჰმაიაკ მამიკონიანის ობლებთან. ერთად, და პირადად იცნობდა ვარსქენსა და შუშანიკს. შემდგომში, რამდენიმე წლის მანძილზე (ნ. ჯანაშიას ვარაუდით, სწორედ შუშანიკის წამების დროს) ლაზარს უცხოვრია შუშანიკის დის ოჯახში. ასე რომ, შუშანიკის წამების ამბავი მას მშვენივრად ეცოდინებოდა. თავისი თხზულების შესავალში ლაზარ ფარპეცი აუწყებს მკითხველს, რომ აღწერილ იქნება, სხვა ამბებთან ერთად, „უშიშარ კაცთა მიერ თავის დადება მოწამეობრივ სიკვდილად... საკრველთა და საპყრობილეთა ხანგრძლივად დათმინა ზეციერ სიკეთეთა იმედით“. გარდა ამისა, როგორც აღნიშნავენ, „სომხეთის ისტორიის“ დაწერისას ლაზარის მიზანი ისიც იყო, რომ განედიდებინა და შეექო მამიკონიანთა გვარი. განა შუშანიკის მოწამეობა მხარში არ ამოუდგებოდა ლაზარის თხზულების პერსონაჟთა — ვარდან და ვაჰან მამიკონიანების გმირულ ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ?

მაგრამ ლაზარ ფარპეცის თხზულებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი შუშანიკის შესახებ, თუმცა აღნიშნულია „ურჯულო“ ვარსქენ პიტიახშის მოკვლა ვახტანგ გორგასალის ბრძანებით.

ჰ. პეეტერსის აზრით, ლაზარ ფარპეცის მიერ შუშანიკის მოუხსენებლობის მიზეზი იყო სურვილი გამაზდეანებული ვაჰან მამიკონიანის სათნოდ წარმოჩინებისა. ნ. ჯანაშია დამაჯერებლად აკრიტიკებს ამ მოსაზრებას და წერს: „მაშ, მაინც რატომ არ მოიხსენია ლაზარმა შუშანიკი და მისი წამების ამბავი? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შეიძლება

ასეთი ვარაუდების დაშვება: ან ლაზარმა შუშანიკის წამება არ ჩათვალა იმდენად მნიშვნელოვან ამბად, რომ მოეტანა იგი თავის წიგნში, ან ეს ამბავი იმდენად განსხვავებულად იცოდა, ისეთი ვარიანტით, რომელიც არც იძლეოდა საშუალებას ძალიან ამაღლებულ ტონებში ლაპარაკისა".

ამ ორი ვარაუდის ერთიმეორესთან დაკავშირება და ხორცშესხმა არ უნდა იყოს ძნელი. ლაზარმა, ალბათ, იცოდა შუშანიკის წამების ამბავი, როგორც შედეგი ოჯახური დრამისა და ამიტომაც არ მიიჩნია მნიშვნელოვან ამბად თავისი თხზულებისათვის.

... რა თქმა უნდა, საკითხი ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს და შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. მაგრამ, ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული ერთგვარად ამაგრებს იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების" დასაწყისში აღნიშნულ ცნობას ვარსქენ პიტიახშის მიერ სპარსთა მეფის ასულის ცოლად შერთვაზე.

დ ი დ გ ო რ ი

„ერთი წელი და ოთასი
ბარდაბარია ქამისა".

ვეფხისტყაოსანი

საქართველოს ისტორიულ რუკაზე აღბეჭდილი პუნქტებიდან ყველაზე მომხიბლავად ხვდება თვალს დიდგორი — პრელუდია თბილისის განთავისუფლებისა მაჰმადიანთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობისაგან. დიდგორმა სახელი გაუთქვა საქართველოს მთელს იმდროინდელ მსოფლიოში, საფუძველი ჩაუყარა რუსთველისა და თამარის ეპოქას, ესტაფეტა გადასცა შამქორსა და ბასიანს. დიდგორის დიდება უთუოდ აღემატება მარტყოფის ხანმოკლე სიხარულს, აშუშებს მარაბდის მძიმე ჭრილობას და გვავიწყებს კრწანისის სასოწარკვეთას. ქართველ ხალხს თავისი გოლგოთის გრძელ აღმართზე გამარჯვებანიც ბევრი უნახავს და დამარცხებანიც, მაგრამ ყველაზე ბრწყინვალე წუთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა საშობლოს დასაცავად, ყველაზე მნიშვნელოვანი და შეუდა-

რებელი გამარჯვება იყო დიდგორი, სადაც განადგურებულ იქნა თურქ-სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქარი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დიდგორის ველზე მოხვეჭილ გამარჯვებას ამიტომაც უწოდა „ძლევაი საკვირველი“.

ეს იყო 1121 წლის აგვისტოში.

დიდგორი თამამად ამოუდგება მხარში მსოფლიო ისტორიის პოპულარულ სახელებს: სალამინსა და მარათონს, ლეგნიცას და გრიუნვალდს, კულიკოვოს და ლეპანტოს, პოლტავას და ბოროდინოს, ტრაფალგარსა და აუსტერლიცს...

ქართველი ხალხისათვის მარად დაუვიწყარია დიდგორის ომი, დაუვიწყარია მისი მთავარი გმირის — დავით აღმაშენებლის სახელი, დაუვიწყარია ხსოვნა იმ უსახელო გმირთა, რომლებიც დაიღუპნენ დიდგორის ომში, თავისი ძვლებით დაასვეს ბეჭედი ქართული მიწის უკვდავებას და თვითონაც იქცნენ დიდგორად.

ხალხში შემონახული გადმოცემის თანახმად, დიდგორის უმაღლესი ყორღანი დიდგორის ომში დაღუპულ ქართველ მხედართა საძმო სამარეა, რომელსაც გამარჯვებულმა ლაშქარმა აუარ-ჩამოუარა და მუჭა-მუჭა მიაყარა დიდგორის მიწა. ასე შექმნილა ეს ხელოვნური ბორცვი-ობელისკი გმირთა უკვდავი დიდებისა.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“.

დაუკვირდით, როგორ ეხმიანება ილიას მიერ ერთი საუკუნის წინათ ნათქვამი აკადემიკოს დ. ლიხაჩოვის სიტყვებს, გამოქვეყნებულს 1979 წ. გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე: „ადამიანი როდი გაბლავთ მინდვრის ბალახი, ქარქვეტას რომ ეძახიან, რომელსაც შემოდგომის ქარი აიტაცებს და აღარსად აჩერებს, სანამ მიწას მოწყვეტილი რომელიმე ბინძურ ტლაპოში არ ჩავარდა; თუკი ადამიანს არ უყვარს თვალიერება მშობელთა ძველი ფოტოსურათებისა, თუკი არ აფასებს მათს ხსოვნას, მათივე ხელით გახარებულ ბაღში ანდა მათსავე კუთვნილ ნივთებში რომ დარჩენილა,— მაშასადამე, მას არ ჰყვარებია ისინი. თუკი ადამიანს არ უყვარს

ძველი სახლები, ძველი ქუჩები, — მაშასადამე, მას არ ჰყვარებია თავისი ქალაქი. თუკი ადამიანი გულგრილია თავისი ქვეყნის ისტორიული ძეგლებისადმი, — მაშასადამე, ის გულგრილია თავისი ქვეყნისადმი. არ კმარა პატრიოტიზმის ქადაგება, პატრიოტიზმი რუდუნებით უნდა აღვზარდოთ — დავნერგოთ სიყვარული სამშობლოს ისტორიისა, სიყვარული მშობლიური ადგილებისა, მშობელ კუთხესა და ქვეყანაში გადგმული ფესვების გარეშე ადამიანი ემსგავსება მინდვრის ქარქვეტას".

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თვალსაწიერშია არა მხოლოდ „პური ჩვენი არსობისა", არამედ მასზე უფრო მნიშვნელოვანი სულიერი ფასეულობანი ერისა. გულმოდგინედ ზრუნავენ ჩვენი კულტურის ძეგლებზე საქართველოს ყველა კუთხეში. მკვდრეთით იქნა აღდგენილი ძველი თბილისის უბნები. დამკვიდრდა ქართველი ხალხის რჩეულ შვილთა და ქალაქთა სადიდებელი დღეობანი — ძველ ტრადიციებზე დამყნობილი ახალი ტრადიციები, დადგენილი აწ და სამარადისოდ.

არსებობს ორგვარი ისტორია — ჰეშმარიტი და ყალბი. საფიქრებელია, რომ გამოჩენილი ფრანგი პოეტი და მოაზროვნე პოლ ვალერი სწორედ ამ უკანასკნელს მიიჩნევდა „ინტელექტის ქიმიის" მიერ გამომუშავებულ ყველაზე საშიშ პროდუქტად.

ჰეშმარიტი ისტორია ფუჭ ოცნებას კი არ აღუძრავს ხალხს, არამედ მომავლის რწმენას უათკეცებს. გაბრუება რა სათქმელია, პირიქით, — აფხიზლებს და ამხნევებს. ცრუ მოგონებებით არ ისაზრდოებს ის, ვისაც უებრო მოგონებანი მოეპოვება. სნეულების გახსენება როგორ გაუმწვავებს ძველ წყლულებს საავადმყოფოდან გამოწერილ და გამოკეთებულ ადამიანს. ჰეშმარიტი ისტორია განდიდებისა თუ დევნის მანიით როდი შეგვიპყრობს, არამედ სამშობლოს სიყვარულს მოგვისჯის.

ჰეშმარიტსა და გაყალბებულ-გაზვიადებულ ისტორიას „შუა უზის დიდი მზღვარი". ყალბი ისტორია იმას ჰქვია, როდესაც ჯალალედინის, მონღოლთა, თემურ-ლენგის, ოსმალთა და ყიზილბაშთა მიერ აოხრებულ და დაქცეულ, სისხლდაცლილ და ღონეგაწყვეტილ საქართველოს ჰაიჰარად გამოვაცხადებთ მეზობელი მაჰმადიანური იმპერიის პოტენციურ დამპყრობლად... თითქოსდა გვეცოტავებოდეს ჩვენი დიდგორი და ჩვენი მარაბდა, სვეტიცხოველი და დავით აღმაშენებელი, რუსთველი და ვაჟა-ფშაველა.

განდიდების მანია, უძეტესწილად, შობილია კნინობითი კომპლექსიდან, რომელიც არ უნდა გვჭირდეს, ვინაიდან სავსებით საკმარისია ჩვენთვის მყინვარწვერი და უშბა, თუმცა მშვენივრად ვიცით, რომ არსებობენ ამქვეყნად ევერესტი და მონბლანი.

ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ (1904 წ.) წერდა: „გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა ჰგრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით ჰსურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ჰფიქრობს“. და ექვსი წლის შემდეგ ვაჟა-ფშაველამ კვერი დაუკრა ზემოთქმულს: „რომ მომავალი ჩვენია, ამას რად უნდა მისანი?!“

უცნობი ქართველი მოლექსე ამბობდა: „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი“. მოგეხსენებათ, შუა საუკუნეთა საქართველოში „თათარი“ ერქვა ყველა ჯურის მაჰმადიანს და „ნუ გათათრდები“ წარმოადგენდა ქართველების ლოზუნგს. უცხოეთში გადახვეწილებს მტრედისა თუ გვრიტის გაურკვეველ წამოძახილში ეს სიტყვები ესმოდათ, მამა-პაპათა წმინდა ანდერძი: ნუ გათათრდები, ქართველი ხარ და ქართველად მოკვდი.

ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი... ეგებ „გაუცნობიერებელი ინტერნაციონალიზმი“ ვუწოდოთ ხალხის გულში დაბადებულ ამ იდეას, რომელიც ასე მარტივად და ღრმად გვიჩვენებს ჩვენი ხალხის განწყობილებას სხვა მოდგმათა მიმართ. „თათარიც ჩვენი ძმა არი“ და „ნუ გათათრდები“ იოლად უთავსდება ერთიმეორეს, ისევე, როგორც ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი. ასეა თუ ისე, უცნობი მოლექსის ამონაკვნესი მაინც იწვევს გაოცებას და გულწრფელ აღტაცებას. მაჰმადიანურ კულტურას ავი არ მოუტანია საქართველოსათვის, მაგრამ, ძალზე ხშირად, მას წინ მოუძღოდა მაჰმადიანური მახვილი.

ქართველ ხალხს სხვა ენა ჰქონდა, სხვა ღმერთს ლოცულობდა, სხვა ზნე-ჩვეულებანი გააჩნდა. მაჰმადიანთა ღმერთმა მხოლოდ არაბული ენა იცოდა და ყურანის ფურცლებიდან თავისი მოციქულის — მუჰამედის პირით მოუწოდებდა ყველა მაჰმადიანს: ებრძოლეთ მათ, რომელთაც არა სწამთ ალაჰის ფეხზე დააყენეთ

მთელი ჯარები, რომ შეაშინოთ ალაჰის მტრები. დახოცეთ ისინი, სადაც კი ჰპოვოთ! თუ ალაჰი თქვენს შემწედ მოვიდა, ვისღა უნდა შეეძლოს თქვენი ძლევა? თქვენ კი არა, ალაჰი ხოცავს მათ! მოციქულო, მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად, ოცმა მათ შორის ორასი ურჯულო დაამარცხოს; ასმა—ათასი, რადგანაც არა სწამთ ალაჰი და არაფერი გაეგებათ. ვინც ალაჰის სასწაულები არ იწამოს, საშინელი სასჯელი მოელის, ალაჰი ყოვლისშემძლეა და შურისმგებელი! მორწმუნენო, ებრძოლეთ ურჯულოებს, რომელნიც გმეზობლობენ თქვენ; ნუ ეძებთ მათ შორის ნურც მფარველსა, ნურც მეგობარსა! ალაჰისა არის აღმოსავლეთი და დასავლეთი...

კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ ყურანსა და მასზე დაფუძნებულ მუსლიმანურ კანონმდებლობას მთელი მსოფლიოს ხალხთა გეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავს მარტივ და ხელსაყრელ ფორმულამდე: ორ ნაწილად ჰყოფს ყველას, მართლმორწმუნეებად და ურჯულოებად.

VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე გულისტკივილით წარმოთქვამდა: „აღვერიენით ერსა, უცხოსა შჯულითა... ნათესავსა საწუთროისა ამის მოყუარესა... სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა...“ იმოწმებდა რა ამ სიტყვებს, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ადამიანის ბუნება ყოველგვარ ძალმომრეობას და ძალდატანებას, დევნასა და ტანჯვას, უხილავად მაინც, სულიერ წინააღმდეგობას უწევს და მაგრდება. მაშინაც სწორედ არაბთაგან შევიწროებამ გამოაფხიზლა ქართველობა და ჩაუნერგა ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც ფიზიკურ ღონეს არაფრით ჩამოუვარდებაო. სწორედ მაშინ გაისმა მჭევრმეტყველებით აღსავსე ქადაგება ქართველ ერში: დროა გონს მოვიდეთ და სარწმუნოებრივ-ეროვნული თვითცნობიერება გავაცხოველოთო.

...სენკევიჩისა არ იყოს, არაბთა ბატონობამ ისე ჩაიარა, როგორც ჩაივლის ქარიშხალი, ხანძარი და შავი ჭირის ეპიდემია. საქართველო დარჩა საქართველოდ, სული მოითქვა, თითქმის გაერთიანდა, ურთმორწმუნე ბიზანტიის ექსპანსიას ვაჟკაცურად გაუმკლავდა, აგებულ იქნა ალავერდი და სვეტიცხოველი, თარგმნიდნენ წიგნებს და თვითონაც თხზავდნენ. დაიწერა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“... გრძელდებოდა ბრძოლა თბილისისათვის.

და უეცრად, XI საუკუნის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთიდან დაძრული ნიაღვარი მოასკდა საქართველოს.

თურქ-სელჩუკი დამპყრობლების შემოსევა და გაბატონება მკვეთრად განსხვავდებოდა იმ დამპყრობთა ბატონობისაგან, რაც მანამდე ენახათ ჩვენში. მომთაბარე-მეჯოგე სელჩუკები საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. დედაწულიანად აყრილნი, ტალღა-ტალღად მოედინებოდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და დაპყრობილ ქვეყნებში იალაღებსა და ყიშლაღებს ეძებდნენ. მათთვის სულ ერთი იყო, ვის ეკუთვნოდა მიწა — ქრისტიანებს თუ მაჰმადიანებს; ამიტომაც „თურქსა“ და „თურქობას“ ერთნაირად ახასიათებდნენ ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც. სპარსელი პოეტი ამბობდა: თურქი იქ ვარგა, სადაც დანგრევაა საჭირო.

სელჩუკებმა მთლიანად დაიპყრეს ირანი, აიღეს ბაღდადი, მანასკერტთან დაამარცხეს ბიზანტიელები, დაეპატრონენ მცირე აზიას, სომხეთს და ძლიერი დამპყრობლის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილ საქართველოს არნახული განსაცდელი დაატყდა თავს. „არსადათ იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა, არცა რა დამხსნელი ამათ ძვირთა“. სელჩუკებმა თავისი ჯოგების საძოვრად გადააქციეს საქართველოს ყანები და ბაღ-ვენახები. თავისი მარჩენალი მიწიდან აყრილი გლეხობა მთებს ეხიზნებოდა.

აი, რას მოგვითხრობენ „დიდი თურქობის“ შესახებ თანადროული სომხური და ქართული წყაროები:

არისტაკეს ლასტივერტეცი: „ვის შეუძლია კალმით აღწეროს იმ დროის უბედურებანი, რომელიც შეემთხვა ჩვენს ქვეყანას, ან ვის გონებას შეუძლია აღრიცხოს. მთელი ქვეყანა გვამებით აივსო: ნაშენი და უშენი, გზები და უდაბური ადგილები, ქვიანი და კლდოვანი, ტყიანი და გაშიშვლებული და ყველა სამოსახლო ადგილი ცეცხლს მისცეს, გადაწვეს სახლები და ეკლესიები... გაქრა პირისაგან მიწისა მხიარულება. ყველგან ისმოდა გოდება და მოთქმა, ტირილი და კვნესა. აღარსად ჟღერდა მღვდლების გალობები და ღვთის განდიდების ხმა, აღარსად არ იხსნებოდა წიგნები დასამშვიდებლად და მსმენელთა ნუგეშის საცემად, ვინაიდან წამკითხველნი მახვილით ამომწყდარნი მოედანზე ეყარნენ, ხოლო თვითონ წიგნები — გადამწვარი და ნაცრად ქცეული. არსად არ გაისმოდა ქორწილის ხმა და ხარება ახლადდაბადებულ ყრმათა

შესახებ. აღარ ივსებოდნენ კალოები ხორბლით და საწნახლები ღვინით“...

მატიანე ქართლისა: „და იქმნა სიძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი... და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა“.

მაგრამ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს. 1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასული დავით აღმაშენებელი შეურიგებელ ბრძოლას იწყებს დამპყრობელთა წინააღმდეგ. საგარეო მოვლენებიც საქართველოს სასარგებლოდ ვითარდება. 1092 წელს გარდაიცვალა სელჩუკთა დიდი სულტანი მალიქ-შაჰი, მის მემკვიდრეთა შორის გაუთავებელი და დაუნდობელი ბრძოლა ატყდა ტახტისათვის. სელჩუკთა იმპერია დაქვეითება-დაშლის გზას დაადგა. XI საუკუნის დამლევს სელჩუკთაგან შევიწროებულმა ბიზანტიამ დახმარება სთხოვა დასავლეთ ევროპას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვაუწყებს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“.

ვ. გაბაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელმა სელჩუკებთან „ხარაჯობაზე“ დაფუძნებული ურთიერთობის პოლიტიკური ფორმა 1092 წელს კი არ უარყო, არამედ 1098 წელს.

საყოველთაოდ ცნობილია დავით აღმაშენებლის სამხედრო თუ სამოქალაქო რეფორმები და მტკიცე ნაბიჯით სვლა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და პროგრესისაკენ. ამიერკავკასიის ხალხები საქართველოს დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ სელჩუკთა უღლიდან თავის სახსნელად. XII საუკუნის ოციან წლებში საქართველოს სახელოფოს უკვე გააჩნდა სამოცათასიანი მუდმივი ლაშქარი. შ. მესხიას სიტყვით, ეს იყო უმაგალითო ღონისძიება ფეოდალური საქართველოს ისტორიაში — არც მანამდე და არც შემდეგ ესოდენ

მრავალრიცხოვანი მუდმივი ლაშქარი არა ჰყოლიათ. სელჩუკები, საქართველოსთან ერთად, კარგავდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებსაც და საერთოდ — პირველობას მახლობელ აღმოსავლეთში.

ქართული, სომხური და არაბული წყაროების მიხედვით, ქართველთაგან შევიწროებული სელჩუკები და „ვაჭარნი განძელტფილელ-დმანელნი", გლოვის ნიშნად შავად ხელპირშეღებილნი და თავზე ნაცარდაყრილნი წარუდგნენ თავის სულტანს და უამბეს „მათ ზედა მოწევნულნი ყოველნი ჭირნი".

მაჰმადიან მმართველთა უმეტესობას იმდენად მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა აღზევებული საქართველოს დამხობა, რომ გაერთიანდებულ იქნა ერთმანეთთან ანგარიშსწორება.

საქართველოსკენ დაძრულ მაჰმადიანთა კოალიციურ ლაშქარს მთავარსარდლობდა ნეჯმ ად-დინ ილღაზი, მარდინისა და მაიაფარიკინის გამგებელი, ალეპოს დამპყრობი.

მაგრამ რა ესაქმებოდა ჯვაროსნებთან ცხარე ბრძოლით გართულ ილღაზის საქართველოში?

იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში „ისტორია ქართლისა" მოგვითხრობს: „იყო ბალდვოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა ძრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა".

ეს ამბავი მომხდარა 1119 წელს, როდესაც ჯვაროსანთა მიერ პალესტინაში დაარსებულ იერუსალიმის სამეფოს სათავეში ედგა ბალდუინ II (1118-1131), მონაწილე პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისა, ომსა და მმართველობაში გამოცდილი.

1119 წლის ზაფხულში მაჰმადიანებთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა და დაიღუპა ანტიოქიის მთავარი როჟერი. საგანგაშო ვითარება შეექმნა ბალდუინსაც. ევროპიდან ახალი ძალები კანტიკუნტად მოდიოდა და ჯვაროსანთა გაჭირვება კატასტროფულ ხასიათს იღებდა.

ჯვაროსნებმა იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს, რომელსაც ბრიდანვე თვლიდნენ ქრისტიანობის წინა ბურჯად აღმოსავლეთში. მტერი საერთო ჰყავდათ და ბუნებრივ მოკავშირეებად გამოდიოდნენ.

როჟერის დაღუპვის შემდეგ სირიაში დროებითი სიწყნარე

დამყარდა. მაჰმადიანები აღარ უტევენ ღონეგამოლეულ ჯვაროსნებს. ილღაზი ემზადება გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად.

მაგრამ 1121 წელს, სრულიად მოულოდნელად, ჯვაროსანთა წინააღმდეგ „საღვთო ომის“ სულისჩამდგმელი და დაუცხრომელი წინამძღოლი ილღაზი ანტიოქია-იერუსალიმის ნაცვლად საქართველოსკენ გამოეშურა.

აღმოსავლური წყაროები მოგვითხრობენ ქართველთა ლაშქრის შემოსევას მაჰმადიანურ ოლქებში 1120 წელს, ხოლო ერთი მათგანი მიუთითებს თავდასხმას სირიაზეც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1120 წლის ნოემბერში „წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა“. აშორნია მდებარეობს ბასიანის მეზობლად. აქედან არც ისე შორს იყო ილღაზის სამფლობელოები — მარდინი და მაიაფარიკინი. როგორც ჩანს, ეს ცნობები ერთსა და იმავე მოვლენას ეხება, სახელდობრ, საქართველოს სამხედრო დახმარებას დასუსტებული ჯვაროსნებისათვის. ალბათ, ბალდუინის საიდუმლო ვიზიტის მიზანიც ეს იყო და ქართველმა მეფემ პირნათლად შეასრულა თავისი ვალი — აღმოსავლეთიდან დაემუქრა ილღაზის და მეორე ფრონტი გაუხსნა.

ვრცელ მაჰმადიანურ ზღვაში ჩაკარგული ქრისტიანული კუნძული დახმარების ხელს უწვდიდა ამ მრისხანე ზღვის ტალღების დასაოკებლად დასავლეთიდან შემოჭრილ ქრისტიანულ ხომალდებს. — „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერი გოტიე გადმოგვცემს, რომ ილღაზიმ, ერთ ხორასანელ სულტანთან ერთად, გადაწყვიტა დავით მეფის წინააღმდეგ გალაშქრება და მისი მოსპობა, რათა ხელები გახსნოდა ანტიოქია-იერუსალიმის დასამორჩილებლად. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი ასევე ილღაზის მიიჩნევს საქართველოზე ლაშქრობის ინიციატორად. სანამ ილღაზი საქართველოში იმყოფებოდა, ჯვაროსნებმა შეუტიეს ალეპოს და კინაღამ არ აიღეს იგი. 1121 წლის მთელი ზაფხულის მანძილზე გრძელდებოდა ბალდუინის გამარჯვებანი. თვით ილღაზი დიდგორის ომში მძიმედ დაიჭრა და მომდევნო წელს სული განუტევა. ასე დასრულდა ისტორია ჯვაროსანთა ყველაზე სახიფათო მტრისა.

დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსი ანა დოროთე ფონ დენ ბრინკენი თავის წიგნში „აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხები ლა-

თინური ისტორიოგრაფიის გაგებით XII ს. შუა წლებიდან XIV ს. მეორე ნახევრის ჩათვლით" (კიოლნი, 1973) წერს: „ერთმანეთს რომ შევუდაროთ ლათინთა მიერ ბერძნებისა და ქართველების შეფასება, განსხვავება გასაოცარია. დასავლეთისთვის ორივენი ქალკედონიტი ერეტიკოსები არიან, მაგრამ ყოველი ლათინი კარგად აფასებს ქართველებს. უკვე ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროიდან გამოჩნდნენ ისინი ღვთისმოსაობის იდეალად... სრულიად აშკარად ქართველები შეესაბამებიან ქრისტიანულ რაინდულ იდეალს. ისინი არიან მებრძოლნი, მამაცნი და შეურიგებელნი მაჰმადიანთა მიმართ. მათ ჰქონდათ იგივე საბრძოლო მორალი, როგორც დასავლეთს და წმ. გიორგი, როგორც პატრონი დასავლეთსაც გამოადგებოდა დამხმარედ. ახლობელი საზოგადოებრივი სტრუქტურა ლათინებს კარგად განაწყობდა. ისინი ოცნებობდნენ იდეალურ მოკავშირე ძმაზე, რომლის ბატონობა გოგსა და მაგოგზე აღწევდა"...

გ. ჯაფარიძე შენიშნავს, რომ ა. ბრინკენი ეყრდნობა მრავალრიცხოვან ევროპელ ავტორთა შრომებს, რომლებშიც გამოსჭვივის უაღრესად დიდი კეთილგანწყობა ქართველების მიმართ, და იქვე დასძენს, რომ მსგავსი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი სხვა თანადროულ (აღმოსავლურ თუ ბიზანტიურ) წყაროებში არ შეიმჩნევა.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის... არისტაკეს ლასტივერტელი ისეთივე მწუხარებით აღწერს სელჩუკთა მიერ იერუსალიმის აოხრებას, როგორც მშობლიური ანისისა თუ ყარსის აოხრებას.

იერუსალიმში ჯვაროსანთა თითქმის ასწლიანი ბატონობის ჟამს პალესტინის ქართული მონასტრები (კერები ქართული კულტურისა) „აყვავებას განიცდიდნენ". ჯვაროსნებს თავიანთ მძლავრ მოკავშირეებად მიაჩნდათ ქართველები.

„წინაპართა შესწავლისას ჩვენ თავსაც შევიცნობთ, — ამბობდა XIX ს. გაჩოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. კლიუჩევსკი, — თუ არ გვეცოდინება ისტორია, თავი უნდა ჩავთვალოთ შემთხვევითობად, რომელმაც არ უწყის, ამქვეყნად როგორ მოვედით და რატომ, როგორ ვცხოვრობთ და რისთვის, რისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ და როგორ".

ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისა...

თითქოსდა გუშინ იყო დიდგორის ომი. ქართველი ხალხის

მეხსიერებაში „ძლევაი საკვირველი“ ისევე ღრმად არის ჩაჭედილი, როგორც ყრმობის დაუვიწყარი წლები — ცოცხალი მონაკვეთი ჩვენი ცხოვრებისა.

და შენს თვალწინ წარმოისახება ცხრა საუკუნის წინათ მომხდარი. შენც მიდიხარ საომრად დიდგორისაკენ, თუმცა სატრფოსთან პაემანი გირჩევნია სიკვდილთან პაემანს. მაგრამ არჩევანი აღარა გაქვს. კიდევ ერთხელ (და კიდევ რამდენჯერ) უნდა დაიცვა შენი ყანა და ვენახი, შენი სახლი და ეზო, შენი ოჯახის ნამუსი, დედის ლეჩაქ, შენი შვილების აკვანი და მამა-პაპათა საფლავები — ყოველივე ის, რაც ადამიანად გხდის.

თუ დღეს სიკვდილი გიწერია, ვერსად გაექცევი ბედის განაჩენს. ალბათ გსმენია თქმულება „განგების გარდუვალობაზე“... ერთმა ბაღდადელმა ვაჭარმა თავისი მსახური ბაზარში გაგზავნა სანოვაგის შესაძენად, მაგრამ მსახური ძალზე მალე მობრუნდა. ხელში ცარიელი კალათა ეჭირა და შიშისაგან ცახცახებდა. აკანკალებული ხმით უთხრა ვაჭარს: „ბატონო ჩემო, ბაზარში ვიღაც ქალი შემეჩეხა, შევხედე და სიკვდილი ვიცანი, თუ ღმერთი გწამს, შენი ცხენი მათხოვე, დღესვე გავეშურები სამარას და სიკვდილი ვეღარ მომაგნებს“. ვაჭარმა ათხოვა ცხენი და მსახური ჭენებით გაეშურა ქალაქ სამარას. ახლა ვაჭარი წავიდა ბაზარში, იქ ქალსაც გადაეყარა და ჰკითხა: „რატომ დამიფრთხე მსახური?“ სიკვდილმა მიუგო: „სულაც არ მიფიქრია მისი დაფრთხობა. ოღონდ გამიკვირდა, რომ ბაღდადში წავაწყდი. სწორედ დღეს, საღამო ხანს პაემანი გვაქვს დანიშნული სამარაში“.

თუ დღეს სიკვდილი გიწერია, ვერსად გაექცევი. სიკვდილის ზარმაცი ცხენი მაინც წამოგეწევა. შენი რკინის მახვილი ვერაფერს დააკლებს უბილავ ცელს. ულმობელი სიკვდილი შენს ვედრებას არ შეიწყნარებს.

შენ არ გასტესავ მხედრის ფიცს და თამამად მიდიხარ პაემანზე სიკვდილთან. მიდიხარ და მოგდევს მშობელი დედის ლოცვა: ღმერთო, შენ უშველე; ღმერთო, გაუმარჯვე; ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე...

მაშ იარე დიდგორისაკენ და ნუ დაეცემა შიში სიკვდილისა შენ ზედა!

ახლა უსმინე, რას გეუბნება შენი მეფე და მხედართმთავარი, შენი სამშობლოს უპირველესი შვილი და უპირველესი ქომაგი, შე-

ნი სამშობლოს სამართლიანი მებრძანებელი და შენი სამშობლოს უერთგულესი მონა: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი ღირსებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მიეცეთ, რომ მისი სიყვარულით ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვისდომოთ, ამ ხეობის შესავალი ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ“...

შენ უსმენ დავით ალმაშენებელს და გაგონდება, რომ შარშან ქსენონში მოგინახულა დაჭრილი, დაგიყვავა და განუგეშა: მალე ისევ ფეხზე დადგებიო. მეფე ჰქვია, მაგრამ შენსავით მშრომელია. შენთან ერთად აშენებდა გელათის ტაძარს და თავისი ხელით აჰქონდა დიდრონი ლოდები. ამბობენ, ერთხელ ქედლიდან გადმოვარდნილა და დაშავებულაო. შენთვის გახსნა სასწავლებელი და გამოჩენილი მეცნიერ-მწიგნობარნი მოიწვია შენს დასამოძღვრად, რომ წიგნიც იცოდე ხმალთან ერთად. თვითონ ერთიც ემარჯვება და მეორეც. გახსოვს, გასწავლეს ელინთა და რომაელთა შეგონებანი: ყველაზე დიდი მოწოდება კაცისა არის სამშობლოს დაცვა; ისინი, რომელთაც თავისი ქვეყნისათვის თავი გასწირეს, ღმერთებად გადაიქცნენ, უხილავნი გახდნენ და ჩვენ, ცოცხალთ, კეთილ არსებობას გვანიჭებენ.

შენ რომ მტერს ზურგი უჩვენო, ეგებ ველარ დაიწეროს „ვეფხისტყაოსანი“, და რაღას დაიზეპირებს შენი შთამომავლობა ჭირსა და ლხინში სათქმელად? შენ რომ მტერს ზურგი უჩვენო, ეგებ მიწასთან გასწორდეს სვეტიცხოველი. შენ რომ მტერს ზურგი უჩვენო დღეს, ხვალ მომთაბარე სელჩუკად გადაიქცევი, ზეგ — მონღოლად, მერე — ყიზილბაშად. მარაბდის გამოცდას ალარ ჩაგიტარებენ. უკრწანისიც დალევს სულს შენი სამშობლო. დედაენა დაგავიწყდება და „გათათრდები“.

შენ უეჭველად უნდა გაიმარჯვო. შენი გამარჯვების ალაგიდან ნახევარი დღის სავალზეა შენი დედაქალაქი. ნახევარი დღის სავალი ნახევარი წელი უნდა იარო, მაგრამ იქაც ჩახვალ გამარჯვებული, ჩაიმუხლებ და შესვამ მტკვრის წყალს. შვიდი საუკუნე შვიდ-

წუთივით გაირბენს, შენი ტოლი ყურს მიუგდებს მდინარის ბუტბუტს და შენი ხმლით გადარჩენილი ქართლის ბედზე ჩაფიქრდება.

დიდგორის ომმა, ქართული წყაროს მიხედვით, სულ სამი საათი გასტანა; თუმცა მტრის ლაშქარი ყოფილა „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა".

უცხოელი ავტორები გაზვიადებულ ციფრებს გვაწვდიან სელჩუკ მოლაშქრეთა რაოდენობაზე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მტერი რიცხობრივად ხუთჯერ მაინც აღემატებოდა ქართულ მხედრობას.

სელჩუკებს ფსიქიური შეტევა განუზრახავთ: მოლაშქრეთა ძლიერი ყიჟინა, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაური, ზარდამცემი ბაირაღების აფრიალება. სხვადასხვა საკრავების ხმაურს მთა და ბარი ბანს აძლევდაო. დავით აღმაშენებელი მოთმინებით შეჰყურებდა მტრის კადნიერებას და თავისიანებს ამხნევებდა.

და აი, ქართველმა მხედართმთავარმა მიმართა ტაქტიკურ ხერხს, რომელიც პროლოგი აღმოჩნდა გამარჯვებისა.

ქართულ მხედრობას უეცრად ორასი მეომარი გამოეყო და მტრისაკენ დაიძრა. მაჰმადიანებმა იფიქრეს, მოღალატენი არიან და გვნებდებიანო, ამიტომაც დაუბრკოლებლად შეუშვეს ისინი თავის ბანაკში. მერე მოხდა, რაც იყო მოსახდენი. „მოღალატეებმა" იარაღი იშიშვლეს და თავგამეტებით დაერივნენ სელჩუკებს. მტერი დაიბნა. ამასობაში, ქართულმა მხედრობამ ორივე ფლანგიდან შეუტია მტრის ლაშქარს. როდესაც გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადაიხარა, სელჩუკებმა ზურგი შეაქციეს ბრძოლას ველს და ერთიმეორის გადაჭრევასაც აღარ ერიდებოდნენ.

„აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა", — გვამცნობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

ქართველებმა მცირე სისხლით მოიგეს დიდგორის ომი. უამრავ ტყვეებთან ერთად დიდძალი ალაფი იგდეს ხელთ. გლეხებიც კი ოქრო-ვერცხლის გარდა ნადავლიდან სხვას არაფერს კადრულობდნენო.

კავკასიის ხალხებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში. ქართველთა ლაშქარში შედიოდა საქართველოს მფლობელობისა და გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების მოსახლეობაც: ყივჩაღები, ოსები, სომხები, შირვანელები.

გოტიეს ცნობით, დიდგორის ომში მონაწილეობდა ორასი

ჯვაროსანი რაინდი — სიმბოლური გამოხატულება დავითისა და ბალდუინის მოკავშირეობისა. ცხადია, მათი ნაამბობის მიხედვით აღწერა გოტიემ ქართველი ხალხის ტრიუმფი დიდგორში (თვითონ, იმხანად, მაჰმადიანთა ტყვეობაში იმყოფებოდა).

ანტიოქიის სამთავროს კანცლერის აღტაცება სავსებით გასაგებია. დიდგორში ძლეულ ილღაზის ჯვაროსნებისათვის აღარა სცხელოდა.

ასევე გასაგებია სომეხი მემატიანის მათე ურჰაელის აღტაცება, როდესაც იგი აღწერს დავით აღმაშენებლის მიერ სომხეთის ძველი დედაქალაქის — ანისის განთავისუფლებას (1124 წ.); „და იქმნა სიხარული ყოველსა სახლსა სომეხთასა... და იყო დავით მეფე წმინდა და სათნო და ყოვლად შემკული ღმრთის მოსავობით და სამართლიანობით. იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომს. დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

თბილისიცა და ანისიც დიდგორმა იხსნა მაჰმადიანთა ბატონობისგან.

გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი რენე გრუსე, თავის წიგნში „ჯვაროსნულ ლაშქრობათა ისტორია“ (პარიზი, 1934), წერს: „თურქთა ამ დიდმა მარცხმა ჩრდილოეთში ისეთივე დიდი შეძრწუნება გამოიწვია მაჰმადიანურ სამყაროში, როგორც ფრანკთა გამარჯვებებმა სირიაში. კავკასიიდან ბაღდადს ჩამოსული მაჰმადიანები ივედრებიან ანტიქართული საღვთო ომის წამოწყებას, ისევე როგორც მაჰმადიანები ალეპოდან აქეზებენ ხალიფას ანტიფრანკულ საღვთო ომზე. მაგრამ ეს მოწოდებანი ამაო იყო... ქრისტიანული ამიერკავკასიის გამოღვიძებისა და ფრანკთა მიერ სირიის ოკუპაციის შედეგად, სელჩუკიანთა სამყარო გრძნობდა, რომ მას ემუქრებოდნენ ყოველი მხრიდან“.

იმდენად დიდი იყო დიდგორის ომის საერთაშორისო რეზონანსი, რომ დავით აღმაშენებელი, რომლის შესახებაც XII საუკუნის პირველ ნახევარში ევროპელებს სავსებით რეალური ცნობები ჰქონდათ, თანდათან გადაიქცა ლეგენდარულ ფიგურად, „ქრისტიანთა ჩრდილოელ მეფე დავითად“, რომლისგანაც XIII საუკუნეშიც კი მოელოდნენ შემწეობას შეჭირვებული ჯვაროსნები. 1221 წელს, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი წინამძღოლი — კარდინალი პელაგიუსი ამცნობდა რომის პაპს ქართ-

ველთა მზადყოფნას ჯვაროსანთა შესაწევნად და, ამასთან ერთად, მოუთხრობდა „მეფე დავითის“ მიერ მთელი „სპარსეთის“ დამორჩილებას და ტრიუმფალურ სვლას იერუსალიმისაკენ. ასი წლის წინანდელი ქართველი მეფის სახელი ჯვაროსანთა ილუზიებში დაუკავშირდა ხორეზმისა და ირანის დამპყრობ მონღოლებს.

ჟიულ მიშლე წერდა: „ნებისმიერი ღატაკი, ცუდად ჩაცმული, მშიერი, რომელსაც თქვენის აზრით, არაფერი ახსოვს გარდა თავისი მატერიალური საზრუნავისა, გეტყვით თქვენ, რომ მასაც რგებია წილად წინაპართაგან უჭკნობი დიდება, განუმეორებელი ლეგენდა, მითქმა-მოთქმა გავრცელებული მთელს მსოფლიოში. მან კარგად იცის, რომ დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, ეკვატორზეც და პოლუსებზეც, შეხვდება ადამიანებს, რომელთაც სმენიათ ნაპოლეონი, ჩვენი არმია, ჩვენი დიდებული ისტორია — დამცველი და მფარველი ამ ღატაკისა. მასთან მიირბენენ ბავშვები და დადუმდებიან მოხუცნი, რათა მოისმინონ მისი მონათხრობი, და ემთხვევიან მისი სამოსელის კალთას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოიხსენია დიადი სახელები“.

XII—XIII სს. ევროპაში, ვინ იცის, ეგებ ასევე შეხვედროდნენ ქართველ მეომარსა თუ ელჩს, ბერსა თუ უცხოეთში გადახვეწილ ვინმე ყარიბს და, ვინ იცის, ეგებ ასეთივე ინტერესით მოესმინათ მისგან დავით აღმაშენებლისა და დიდგორის საოცარი ამბავი.

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში ამბობდა: „ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავისი ძუძუთი გამოჰზარდა... ერი თავის გმირების ცხოვრებითა და ბაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული? რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს“.

წყაროებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში აზრთა სხვადასხვაობაა დიდგორის ომის ზუსტი დათარიღების შესახებ და ძნელი გასარკვევია, რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, მაგრამ არსებობს ერთი მჭევრმეტყველი ფაქტი. დიდგორობა, ქვათახევის მონასტრის ზემო მთაზე, დაწესებულია 20 აგვისტოს (ძვ. სტილით).

სხვათა შორის, პოლონელი მწერალი და პუბლიცისტი ქსავერი პრუშინსკი შენიშნავდა, რომ ერთი ან რამდენიმე ადამიანის მეხსიერებაში, ანდა რამდენიმე საბუთში შემორჩენილი ოქმულების ვერსია გაცილებით ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე ის ვერსია, რომელიმე სოფლის თუ დაბა-ქალაქის მოსახლეთა უმეტესობას რომ შემოუნახავს და შემდგომში მომავალი თაობებისათვის გადაუცია.

ჩვენც ვენდოთ ხალხურ ტრადიციას. დაე, ამიერიდან, სექტემბრის პირველ კვირადღეს მთელმა საქართველომ იზეიმოს დიდგორობა, რადგანაც დიდგორის გამარჯვება მთელ საქართველოს ეკუთვნის, დიდგორის ომს დიდი წვლილი აქვს შეტანილი დღევანდელი საქართველოს არსებობაში.

დაე, სწავლამოწყურებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ, სწავლის განახლების ზეიმთან ერთად იზეიმოს დიდგორობა — ყველაზე სახელოვანი ფურცელი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და წინაპართა გმირული თავდადების ბადალი თავდადებით მიჰყვეს ქართველი ხალხის მეორე დიდებული დავითის მცნებას: „სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი; მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი. სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი; თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

ხიდი, გადებული ჟამთა დინებაზე

ჟამთა დინებაზე გადებული დიდი ხიდი, რომელიც ერთიმეორეს უკავშირებს წარსულსა და აწმყოს — ასე მოხდენილად ახასიათებენ ხოლმე ისტორიას, მის არსსა და დანიშნულებას. ეს მეტაფორა, შესაძლოა, პოეტის ნაბელავი იყოს, მაგრამ უკვე შეჭრილა მეცნიერთა ნაშრომებშიც და ჰეშმარიტი ისტორიკოსი, ალბათ, ვერ გაექცევა პოეზიის სუნთქვას. შემთხვევითი როდია, რომ ბერძნულ მითოლოგიაში. კლიოს, ერთდროულად, ეპიკური პოეზიისა და ისტორიის მუზა ერქვა. ქალი, რომელსაც ხელში გრაგნილი ეჭირა, შთააგონებდა ჰომეროსსაც და პლუტარქესაც.

„რა არის ისტორია? — წერდა ილია ჭავჭავაძე, — იგია მთხრო-

ბელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვეთ კვლავადაც".

კაცობრიობის მეხსიერება სათუთად ინახავს წარსულს, როგორც თავისი არსებობის უწყვეტი ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს რგოლს. ისტორიის დავიწყება ისეთივე მომაკვდინებელი დარტყმა იქნებოდა ამა თუ იმ ერისათვის, როგორც მეხსიერების დაკარგვა — ადამიანისათვის.

XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი თ. კარლეილი წერდა: „დაუფიქრდით ყოველივე იმას, რასაც შეიცავს ეს ერთი სიტყვა — წარსული! რაოდენ პათეტიკური, წმიდათაწმიდა, ყოველმხრივ პოეტური მნიშვნელობა არის ჩაქსოვილი მასში. მნიშვნელობა, რომელიც მით უფრო ნათლად ვლინდება, რაც უფრო შორს დავიხევთ ჟამთა სიღრმეში, რაც უფრო მეტად შევაღწევთ ამ წარსულში. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ისტორია არის ჭეშმარიტი პოეზია; ხოლო რეალობა, თუკი მას მართებულად განვმარტავთ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამონაგონი".

თავისი მუზის მშვენებით მოხიბლული ისტორიკოსი იმასაც ამტკიცებდა, რომ ყველაზე უმნიშვნელო რეალური ფაქტი ადამიანის წარსულზე, რომელიც შეიძლება გამოჩხრიკოს წიგნებში ჩაფლულმა სწავლულმა, უფრო პოეტურია, ვიდრე ყველა შელი და ჯფრო რომანტიკულია, ვიდრე ყველა ვალტერ სკოტი — ერთად აღებულიო. ეს უზომოდ გაზვიადებული ხოტბაც სინამდვილის თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს.

შესაძლოა, ვინმემ ირონიული ღიმილით წაიკითხოს კარლეილის ეს სიტყვები და მეოცე საუკუნის ტექნიკით განებივრებული ადამიანის პოზიციიდან გულგრილად აიჩეჩოს მხრები — ისტორია ხომ ზღაპარია და ჩვენს დროში სინამდვილედ გადაქცეული ზღაპრული სასწაულების შემხედვარეს ისტორიამ რაღა უნდა გვითხრასო. მაგრამ ყური ვათხოვოთ ჩვენს თანამედროვესაც, გამოჩენილ ინგლისელ მეცნიერს ჯ. ტრეველიანს, რომელიც კარლეილზე არანაკლები ექსპრესიით წერს: „ისე არაფერი განასხვავებს ცივილიზებულ ადამიანს ნახევრადველურისაგან, როგორც უნარი — შეიცნოს ჩვენი წინაპრები იმგვარად, როგორც ისინი იყვნენ სინამდვილეში და მარცვალ-მარცვალ აღადგინოს მოზაიკა უხსოვარი წარსულისა. ვარსკვლავთმრიცხველობა ანდა მფრინავი თუ წყალქვეშა ხომალდების შექმნა სრულიადაც არ არის უფრო განმა-

ცვიფრებელი და გამაკეთილშობილებელი საქმიანობა თანამედროვე კაცობრიობისა, ვიდრე უკვე დავიწყებულ მოვლენათა და ჩვენამდე მცხოვრებ ადამიანთა ჰეშმარიტი ბუნების შეცნობა".

ანალოგიური ციტატების დამოწმება ძალზე შორს წაგვიყვანდა...

მთავარი ისაა, რომ ისტორია არ უნდა წარმოადგენდეს ხანმოკლე ტრფობის საგანსა თუ სხვისაგან გამოსარჩევ თავმოსაწონ საძკაულს. ისტორიის სიყვარული ქარის მოტანილ ეპიდემიას როდი უნდა ჰგავდეს, არამედ ჩვენს ორგანიზმში გენეტიკურად დაბუდებულ ტკივილს, რომელიც გაჰყვება ადამიანს სკოლის მერხიდან სამარის კარამდე.

ოციოდე წლის წინათ, ჩამოფასებული „ქართლის ცხოვრება" იყიდებოდა მაღაზიებში (ალბათ, გახსოვთ, კიდეე უფრო ადრინდელი, გრიშაშვილისეული: „ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა"...) მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მოხდა ფასეულობათა გადაფასება, სასიკეთო ძვრები რესპუბლიკის ცხოვრებაში, და ჩამოფასებული „ქართლის ცხოვრება" რომ ახსენოთ, აღარავინ დაიჯერებს.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ა. გულიგა თავის წიგნში „ხელოვნება ისტორიისა" (1980) გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ცოცხალი და მომხიბლავი ისტორიული თხრობის ტრადიცია, რომელიც დაამკვიდრეს კარამზინმა და კლიუჩევსკიმ, მართალია, ჯერ არ გამქრალა, მაგრამ არც აყვავებას განიცდისო. ა. გულიგას მიაჩნია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია ვალშია მკითხველის წინაშე და თუმცა მოიპოვება მძლავრი სამეცნიერო კოლექტივების მიერ შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომები, სამაგიეროდ, წარსულისადმი უზარმაზარი ინტერესის კვალობაზე, ერთობ ცოტაა გატაცებით საკითხავი წიგნები. ა. გულიგას სიტყვით, ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაა, ღრმად ჩასწვდეს ადამიანთა შინაგან სამყაროს, ახადოს ფარდა ადამიანთა ქცევის მამოძრავებელ მოტივებს, აღადგინოს ადამიანის გრძნობათა და აზრთა ლოგიკურობა თუ ალოგიკურობა. რა თქმა უნდა, ყოველგვარი პრობლემა ისტორიისა არ იძლევა ასპარეზს მხატვრულ-ემოციური იარაღის გამოსაყენებლად (მაგალითად, ეკონომიკური ისტორია), მაგრამ როდესაც ისტორიკოსი მოგვითხრობს რომელიმე ეპოქასა და ხალხის ცხოვრებაზე მთლიანობაში, სახეობრივმა აზროვნებამ გარკვეული ადგი-

ლი უნდა დაიჭიროს მისი შემეცნებითი ხერხების არსენალში. დოკუმენტური სიმართლე ისტორიისა, შერწყმული მასალის მიმზიდველობასთან, და მეცნიერული უმწიკვლობა, შერწყმული მხატვრულ გამომსახველობასთან — ამ კომპონენტებს უნდა შეიცავდეს მკითხველთა ფართო წრისათვის გამიზნული წიგნი.

ა. გულიგა თავის ნაშრომში ცდილობს კიდევ უფრო გაუღვივოს მკითხველს ინტერესი ისტორიისა. კერძოდ, სამშობლოს ისტორიისა... ამავე მიზნით არის შთაგონებული წიგნი, რომელსაც ჰქვია „ქართლის ცხოვრების ქრონიკები, მოთხრობილი ვახტანგ ჭელიძის მიერ“.

ბერძნულად სიტყვა „ისტორია“ ნიშნავს კვლევასაც და თხრობასაც. საქართველოს ისტორიაში კიდევ ბევრი რამ არის საკვლევი და დასადგენი, მაგრამ გამოკვლეულიცა და დადგენილიც იმდენია, რომ მომწიფებული იყო მისი მხატვრული თხრობის აუცილებლობა. მწერლის თვალს უნდა წაეკითხა საქართველოს ისტორიის ავ-კარგი, მწერლის კალამს უნდა აემეტყველებინა დადუმებული წარსული. მკითხველთა ფართო წრეს სჭირდებოდა სანდო მეგზური ისტორიის ულრანებში გზის გასაკვლევად.

ამ საპატიო და ურთულეს მისიას მოჰკიდა ხელი ვახტანგ ჭელიძემ და წარმატებითაც ართმევს თავს.

„ახლა რომ მატარებლით მიდიხარ ქართლის გულში და ვაგონის სარკმლიდან გზის პირად გაწოლილ გატიტვლებულ ბორცვებს გასცქერი, სულ იმ ცეცხლის საქმეა — ცეცხლმა გადასწვა ამ ბორცვებიდან ამაყად გამომზირალი ხეები და ბუჩქები, ცეცხლმა გამოწოვა და გამოაშრო ნიადაგი. გამომშრალი ნიადაგი მერე წვიმასა და წყალს ვერ დაუმაგრდა, ჩამოინგრა, ჩამოირეცხა“, — ასე გვაცნობს მწერალი თურქ-სელჩუკთა ბარბაროსობის წარუშლელ დაღს, დღესაც რომ ატყვია ჩვენს მიწა-წყალს. მკითხველი, ცხადია, ვერ წააწყდებოდა ანალოგიურ ტექსტს სპეციალურ გამოკვლევებში და, ვინ იცის, უცხო ქვეყნის ზღაპრად დარჩენილიყო მისთვის სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მწარე ფურცელი. მუსიკალური ანბანის უცოდინარს ვერაფერს ეტყვის ნოტების ჩანაწერი, ხოლო იმავე ნოტების საფუძველზე აღწერებული მუსიკა ათასგვარ ემოციებსა და ფიქრებს აღუძრავს. მწერლის მიზანიც ეს იყო — აეღწერებინა მშრალი ინფორმაცია, ერთი პლასტიკური სურათით გადმოეცა მატიანეებსა და მეცნიერთა ნაშრო-

მებში მოცემული მასალა. მატარებლის სარკმლიდან დანახული ფერმკრთალი პეიზაჟი საიმედოდ შეეთვისება მკითხველის მეხსიერებას. მწერლის მაგალითით გახალისებული, თვითონაც შეეცდება ამოიკითხოს ბუნებისა თუ ადამიანის ქმნილებაში მისი პირვანდელი სახე, თვალი გაადევნოს საუკუნეთა მანძილზე მომხდარ ფერიცვალებას.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მესამე წიგნი (გამომცემლობა „ნაკადული“, 1980, რედაქტორები: გ. მელიქიშვილი, თ. პაპუაშვილი) იწყება დავით აღმაშენებლის გამეფებით. „მეფე იქმნა რა დავით, მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულოაა“, — გვაუწყებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. სამეფო ტახტზე ადის თექვსმეტი წლის ყრმა, რომელსაც უხუცესობა ჩავარდნილმა ქვეყანამ მიანდო თავისი ბედ-იღბალი. გულისფანცქალით შეჰყურებს ყველა, წარჩინებულიცა და უბრალო ქვეშევრდომიც, ბატერიც და მოყვარეც, ახალი მეფის პირველ ნაბიჯებს.

...თითქოსდა თეატრში ვიმყოფებოდეთ, მაყურებელთა დარბაზი გასუსულა და ნელ-ნელა იხდება ფარდა. სცენაზე გაწყობილი პირქუში დეკორაცია ქვეყნის უმაგალითო აოხრებას ღაღადებს: დაცაოიელებული სოფლები და ქალაქები, გაჩეხილი ბაღები და ზვრები, მტრის ხელით დანგრეული და თავლებად გადაქცეული ტაძრები, საიდანაც დიდებული საგალობლების ნაცვლად ცხენების ჭიხვინი ისმის. აღარც ხნავენ და აღარც თესავენ. ქვეყანა ტყეს დამსგავსებია. მხეცნი და ნადირნი ველიკანი დამკვიდრებულან ოდესღაც აყვავებულ არემარეში. ცეცხლს გადაუწვავს შენობანი და სისხლის მდინარეები რწყავენ ველებს, ნაცვლად წყლის ხაკადულთა. ჰაერიც მოშხამულა და უიმედობის ატმოსფერო დაუმკვიდრებია. უსაზღვრო ამბიციით შეპყრობილი თავკერძა ფეოდალები კავშირს კრავენ დამპყრობლებთან, თავისი წვრილმანი ინტერესების გულისათვის არაფერს ეპუებიან და არაფერს თაკილობენ. უკვე ძვალ-რბილში აქვთ გაჯდარი „უჩემოდ ვინ იმღერეთა“, — ეს ჯერ კიდევ დაუწერელი სიტყვები უკვე გამხდარა მათი ცხოვრების დაუწერელ კანონად. ახალგაზრდა მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ფეოდალთა ერთგული მოკავშირეა ეკლესია, რადგანაც სწორედ დიდგვაროვანთა წრიდან არიან გამოსული სასულიერო პირნი და, ფაქტიურად, ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს

წარმოადგენენ. მაღალი საეკლესიო თანამდებობანი და სასულიერო წოდებანი იყიდება, პატივი დაუკარგავს ცოდნას და გახათლებას, ნიჭსა და პირად ღირსებას. მათი ადგილი და უფლებანი უსინდისოდ მიუთვისებია ნეპოტიზმის პრინციპებს, ქრთამსა და უკანონობას. უღირსებს გზა ხსნილი აქვთ და ღირსეულნი განზე რჩებიან. ამ განუკითხავ უსამართლობას კიდევ უფრო საშიში და დამღუპველი მხარეც ჰქონდა. მწერალი ამიტომაც ნათლავს მას ანტიეროვნულ მოვლენად: „რაკიღა ეკლესია ზნეობისა და იდეოლოგიის მესვეურად გვევლინებოდა, იქ გამეფებული ბოროტებაც სწორედ ზნეობის სფეროში იჩრებოდა, ადამიანურ ღირსებას ბღალავდა, ცინიზმისა და განურჩევლობის ბაცილებს ავრცელებდა, ცუდი მაგალითი გახდა ახალგაზრდა თაობებისათვის“.

მოუთმენლად ველოდებით მთავარი გმირის გამოჩენას სცენაზე და აი, ისიც. მკაფიოდ სწვდება სმენას მისი შინაგანი მონოლოგი. ფიქრობს ახალგაზრდა მეფე: რა გზას დაადგეს, გარეშე მტერი როგორ დაამარცხოს, როცა ჯერ შინაურიც ვერ დაუთრგუნავს. ეკლესია როგორ გადააქციოს ზნეობის ტაძრად, მთაში გახიზნული მოსახლეობა როგორ დააბრუნოს ბარში, განადგურებული მეურნეობა როგორ აღადგინოს, ვაჭრობა როგორ გააცხოველოს, გზები და ხიდები როგორ გამართოს, ქვეყნად გამეფებული ბოროტება როგორ გააცამტვეროს, შელანძღული სამართალი როგორ აამაღლოს, ხალხს გამარჯვების რწმენა როგორ შთააგონოს?

„როგორ, რანაირად?“ — ეს კითხვა, „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგივით მძაფრი, რეფრენად მისდევს მეფის ფიქრებს. ის ჯერ არ არის დავით აღმაშენებელი. ის მხოლოდ და მხოლოდ მეფეა. აობრებული ქვეყნის ვაება მოსვენებას არ აძლევს თექვსმეტი წლის ყრმას.

...ფრანგი ისტორიკოსი მ. ბლოკი ამბობდა: ისტორიკოსთაგან ვის არ უნატრია, რომ აჩრდილები გამოეკვება სისხლით, როგორც ულისეს, და მათ ხმა გაეცათ იმქვეყნიური წყვდიადიდან. მაგრამ ზვარაკის წყალობით მომხდარი სასწაულები ახლა აღარ არის მოდაში და ჩვენ გაგვაჩნია ერთადერთი „მანქანა დროისა“, რომელიც მუშაობს ჩვენს ტვინში და წარსული თაობების მიერ ნაანდერძევი ხელდეულით იკვებებაო.

ვ. ჭელიძე შესაშური ოსტატობით ახერხებს წინაპართა აჩრდილების გამოხმობას მატიანეთა ფურცლებიდან. მთავარი გმირის

შინაგანი მონოლოგი ძალუმად იპყრობს ჩვენს გულსა და გონებას. „როგორ, რანაირად?“ — ისევ ჩაგვესმის გოლიათთან საბრძოლველად გამზადებული დავითის ფიქრი.

ერთი აღმოსავლური წყაროს ცნობით, მენაველებს, რომლებმაც, ამუ-დარიაზე გადაიყვანეს მალიქ-შაჰი და მისი ჯარი, გასამრჯელო გადაუხადეს ანტიოქიაში, რათა მათ კარგად აღექვათ უზარმაზარი სივრცენი თავისი მბრძანებლის სამფლობელოებისა. ძლევამოსილმა სულტანმა ლატაკიასთან, სირიის სანაპიროზე, ხმელთაშუა ზღვის წყლებში შეაგდო ცხენი და მადლი შესწირა უფალს თავისი სახელმწიფოს უსაზღვროების გამო.

აი, რა ძალას უნდა შერკინებოდა ახალგაზრდა ქართველი მეფე — შუა აზიიდან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმულ იმპერიას!

მთელი ქართლი და მესხეთი თურქ-სელჩუკთა სათარეშოდ ქცეულა. მეფე ნაჭარმაგევს რომ ჩავიდეს, წინასწარ უნდა დაზვეროს გზები. ნაჭარმაგევი დღევანდელი კარალეთის ადგილზე მდებარეობდაო, შენიშნავს მწერალი. და სცენის თავზე თითქოს აელვარდა თანამედროვეობის ამსახველი კინოკადრები: ბავშვების მხიარულ ჟრიამულს აუვსია არემარე. მათი მკვირცხლი თვალების შუქი ანათებს სოფლის ორღობეებსა და ველ-მინდვრებს. აქამდე ჩვენ გვესმოდა წარსულის სუნთქვა და უეცრად იცვლება როლები: „ცოცხალ ექოდ ჩაესმის დიდ მამულიშვილს მომდევნო საუკუნეთა თაობების ეს შორეული ხმები... ეს ჯერ არდარხეული შორეული ხმები ჰმატებს ხოლმე ძალას დიდ მამულიშვილს შეუპოვარი შეაძლებინოს და დალუპვის პირას მიყვანილი ქვეყანა განსაცდელისაგან იხსნას“.

თამამად მიჰყვება მწერალი ჟამთა დინებაზე გადებულ ხიდს. სადაცაა, გაცოცხლებული წარსული გადმოაბიჯებს აწმყოში და აწმყოც შეეხმიანება წარსულს, რომელიც მხოლოდ ოცნებით იცნობდა მას.

მთავარი გმირის შინაგან მონოლოგს მოსდევს დიალოგები თავის მრჩევლებთან, ფიქრსა და განსჯას — ბრძოლა; შეუპოვარი, შეუნელებელი, შეურიგებელი, პრინციპული, ყველა ფრონტზე გაჩაღებული ტოტალური ბრძოლა.

ვ. ჭელიძე იმოწმებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებს თურქთაგან მრავალჯერ დამარცხებული და დაჯაბნილი ქართველთა ჯარის თაობაზე და შენიშნავს, ამაზე დიდი უბადრუ-

კობის წარმოდგენა, ალბათ, შეუძლებელიც არისო. ასეთი ჯარის იმედით როგორ უნდა შებმოდნენ გალაღებულ მტერს? დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა მეფეს, ძილი და მოსვენება არ იცოდა, წარმოუდგენელი მოთმინებითა და გულმოდგინებით ამრავლებდა ქართულ მხედრობას, წვრთნიდა და ბრძოლის ხერხებს ასწავლიდა.

ნელ-ნელა იცვლება დეკორაცია.

მემატიანის მიერ ზოგადი სიტყვებით გადმოცემული ამბავი ფრთებს ისხამს მწერლის კალამქვეშ და უკვე ახალ სურათს ვხედავთ: მთის ვიწრო გზაზე ურმების ქარავანი გამოჩნდა. ველური ყვავილების სუნით გაჟღენთილ ჰაერს მძაფრი სტვენით ჰკვეთს მოჩოჩიალე ხელნების შრიალი. ადამიანთა ფიქრი ემსგავსება მთის მოდებული ნაკადულის ბუტბუტს, ხევიდან რომ ამოჭრილა გზაზე, ხან მდორესა და გაურკვეველს, ხან მთრთოლვარესა და გამძაფრებულს, ხანაც გაავებულს. ერთმანეთში გადაჭდობილა იმედი და შიში. „დიდი თურქობის“ დროს მთაში გახიზნული მოსახლეობა საკუთარ სოფლებს უბრუნდება. აგერ, მსხვილი პლანით გამოჩნდა ათი-თორმეტი წლის ბიჭუნა, სათამაშო მშვილდისარი რომ გადაუკიდია და ხალისიანად მიაბიჯებს გზაზე. ურმის კოფოზე წამომდგარი მამალი უკვე თავისი ეზოს ღობეზე ელანდება და მერე გომურის წინ მზეზე გაწოლილ მურასაც წარმოიდგენს... მაგრამ გადამწვარ და დაქცეულ სოფელს ნასოფლარიც აღარ ეთქმოდაო. მამა-პაპათა ნაფუძვარზე ერთადერთი სულიერი ხვდებათ — ყვავი, მოსაკლავად რომ ვეღარ გაუმეტებია ბიჭუნას.

ძნერალმა დახატა ტრაგიზმით აღსავსე სურათი, ოღონდ განწყობილება იქმნება არა მატიანეში შემონახული პათეტიკური ფრაზების განმეორებით, არამედ შესანიშნავად მოგნებული ცხოვრებისეული დეტალებითა და უბრალო ადამიანთა სულში ჩაწვდომით. ერთი ნასოფლარის დანახვა გვიმეღავნებს მთელი ქვეყნის სატკივარს.

მცირე მასშტაბის ბრძოლების შედეგად დღეს ერთი სოფელი თავისუფლდება მტრისაგან, ხვალ — მეორე... სახნისს გადაჩვეული მიწა მოიხვნებოდა, ეზო შემოიღობებოდა, ვაზი ჩაიყრებოდა, სოფელში გახშირდებოდა ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი, კერა გათბებოდა, ცაში კვამლის მოლურჯო სვეტი დაეკიდებოდა და კვამლს თანდათან მიჰქონდა კაცის დარდიც.

ობიექტური კალამი მწერლისა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს

დავით აღმაშენებლის წარმატებათა კავშირს საგარეო ფაქტორებთან (დიდ-სელჩუკთა იმპერიის რღვევა, ჯვაროსანთა გამოჩენა). ექსკურსი პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიაში საესებით გამართლებულია და ემყარება ქართველი მემატიანის სიტყვაძუნწ ცნობას („ამას ჟამსა გაბოვიდეს ფრანგნი“...)

საგარეო საფრთხე შესუსტებული იყო და მეფეს უკვე შეეძლო სათანადო ყურადღება დაეთმო საშინაო საქმეების მოწესრიგებისათვის.

ვ. ჭელიძე იძოწმებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მწარე სიტყვებს: წმინდა ეკლესია ავაზაკთა თავშესაფრად ქცეულაო, ყოველი უსჯულობა და ცოდვა მღვდელთაგან მოდისო. მწერალი აღნიშნავს, რომ მემატიანის სიტყვები სამსჯავროზე წარმოთქმულ საბრალდებო დასკვნას წააგავს. ცოცხალი ემოციებით დამუხტულ მგზნებარე სიტყვას და მკითხველის სმენას თითქოსდა სწედება ორატორის გულის გახშირებული ფეთქვა. მწერლის თვალსაწიერში, უპირველეს ყოვლისა, ხვდება ჯგუფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისა, რომლებიც იყვნენ დავით აღმაშენებლის მრჩევლები და თანამებრძოლნი. მათ მტკიცედ გადაუწყვეტიათ იხსნან სამშობლო მძიმე განსაცდელისაგან და კვლავ დააყენონ აღორძინებისა და განვითარების ნათელ გზაზე. წყალი სათავეშივე იყო ამღვრეული და მღვდელმთავრები თვითონ იყვნენ პირველი ავაზაკები, თვითონ იძლეოდნენ უკანონობისა და უზნეობის ნიმუშს. ეკლესია, პატიოსნებისა და სათნოების დანერგვის ნაცვლად, ზნეობრივად ხრწნიდა ქვეყანას.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1103 წ.) — მოწვეული „დიდთა წყლულებათა კურნებად“. მწერალი გვაწვდის კრების მონაწილეთა ერთ ჯგუფურ პორტრეტს: მოსალოდნელი მართლმსაჯულების შიშით აფორიაქებულნი და აბორგებულნი, სამღვდელო სამოსელშიც რომ უჭირთ თავისი სხეულის სისრულის დაფარვა. მათი სახის ფერი თუ ამღვრეულ-ჩასისხლიანებული თვალები ძარხულობასა და წმინდა წიგნების კითხვას როდი მიგვანიშნებს. ისინი ჭორებს ავრცელებენ და ერეტიკოსობას სწამებენ კრისტიან მეფეს: ეკლესიას არბევს, ღვთის შიში და სიყვარული დაუკარგავსო. ამაოდ ლამობენ, რომ ქრისტეს უღირს მსახურთა წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლა მონათლონ ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლად.

„საჭირო იყო გულახდილი, მკაცრი და საქმიანი მხილება მთელი ძაბუკიერებისა, მხილება საქვეყნოდ, ყველას გასაგონად, ამ უკანონობათა ფართო სამსჯავროზე გამოტანა და პირუთვნელი განსჯა“, — წერს ვ. ჭელიძე.

მწერალი უფრო მეტს ამბობს, ვიდრე მემატიანე, ცოცხალი სურათებითა და ღრმა ანალიზით ავსებს ხარვეზებს და მკითხველსაც უფრო მეტი შეუძლია ამოიკითხოს მწერლის სიტყვებში, თავის ფანტაზიასაც მისცეს გასაქანი და თვითონაც გაიაროს ჟამთა დინებაზე გადებული ხიდი; თავისი ნაფიქრალიც ამოიკითხოს წიგნში, რომელიც წარსულის ამბავს ისე გადმოგვცემს, თითქოსდა გუშინ მომხდარიყოს. მწერალი უღვიძებს მკითხველს მოულოდნელ ასოციაციებს.

ვ. ჭელიძე დინჯად და დამაჯერებლად უხსნის მკითხველს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობილი ფრაზა „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს“... — პოლემიკური სიმძაფრით არის განპირობებული და მამულის დამცველ-ამშენებელ ადამიანებს როდი გულისხმობს. მემატიანე იმ პირთ გმობს, რომლებიც თავის ინტერესებს აყენებენ ქვეყნის ინტერესებზე მაღლა და უკიჟინებენ მეფეს, ერთნი მოიძულა და დაამდაბლა, ხოლო მეორენი შეიყვარა და განადიდაო. სწორედ იმ ორგულთ მიმართავს მემატიანე და ესარჩლება მეფეს: ერთგულთა, მამაცთა და ღირსეულთა დაწინაურება — ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა ნაცვლად, რა სასაყვედუროა, როდესაც ასეთი მოქმედებით კაცი ღმერთს ემსგავსებაო.

ვ. ჭელიძის წიგნის ფურცლებზე მკაფიოდ არის წარმოდგენილი დავით აღმაშენებლის პორტრეტი. აი, მას ვხედავთ ერწუხის ომში, სადაც ერთი დღის განმავლობაში სამი ცხენი მოუკლეს მეფეს და მეოთხეზე ამხედრებულმა გამარჯვებით დაასრულა ეს ომი. შემდეგ მას ვხედავთ გელათის ტაძრის მშენებლობაზე. ლეგენდის თანახმად, ტაძრის კედელში დატანებული დიდი ლოდები საკუთარი მხრებით ამოუტანია დავით აღმაშენებელს. მეფის მხრებზე დაწოლილი სიმძიმე სახელმწიფო საქმეებისა დიდ ლოდებად გადაქცეულა ხალხის მხატვრულ აზროვნებაში. აგერ, მისივე თაოსნობით აშენებულ ქსენონში გამოჩნდება დავითი, სნეულებს მოინახულებს და გაამხნევებს... ახლა საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი თავის ღირსებას არ იკითხავთ: გამეფდა თუ არა, უკვე იუკადრისა

უფლისწულობისას ნაწყალობევი ბიზანტიური ტიტული. ქართველი მეფის სახელი უფრო საამაყოდ მიაჩნდა. მწერალი შეგვახსენებს, თუ როგორი სასოებით მოელოდნენ ქართველი დიდებულები, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, მათი ქიშპობის წყაროდ გამხდარ ბიზანტიურ ტიტულებს, და ამ გარემოების გათვალისწინებით ხაზს უსვამს საუკუნენახევრის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს საერთაშორისო ასპარეზზე. აღნიშნულია განსაკუთრებული მწიგნობრობაც დავით აღმაშენებლისა, ლაშქრობაშიც რომ არ იშორებდა საყვარელ წიგნებს და მშვენივრად იცოდა არა მარტო ქართული და საქრისტიანო მწერლობა, არამედ — მაჰმადიანურიც და, უცხოური წყაროს ცნობით, განჯის ყადს ყურანის საკითხებზე ეკამათებოდა. და აღარ არის გასაკვირი ესოდენ განათლებული მეფის საყვედურნარევი ირონია იმ სარწმუნოებრივი პაექრობისას, რომელმაც იფეთქა მისივე ინიციატივით მოწვეულ ჭეხეედრაზე ორი მოძმე და მეზობელი ხალხის ეკლესიას შორის არსებული უთანხმოების აღმოსაფხვრელად.

ვ. ჭელიძე იმოწმებს ქართველი მეფის აღტაცებულ დახასიათებას, სომხურ წყაროებს რომ შემოუნახავთ ჩვენთვის, ორიგინალური ასპექტით წარმოგვიდგენს ამ საკითხსაც და კიდევ ერთხელ ვგრძნობთ დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ-მორალური მსოფლმხედველობის მთელ სიდიადეს.

ჟიულ მიშლე წერდა: „ერი, ამ სიტყვის ყველაზე ამაღლებული მნიშვნელობით, ძნელია იპოვნო თვით ხალხის წიაღში. საითაც კი გაიხედავ — ეს არაა ერი, არამედ მისი რომელიღაც ფენა თუ ნაწილი, სახეცვალებადი და არახანგრძლივი, ერის დიადი სული მთელი თავისი სიმძლავრით მხოლოდ გენიოსის პიროვნებაში გამოვლინდება".

ილია ჭავჭავაძეც ხომ ამას ამბობდა (სწორედ დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში): „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს".

„ქართლის ცხოვრების ქრონიკებში" ყურადღება გამახვილებულია ობიექტურ ფაქტორებზეც, რამაც ხელი შეუწყო უდიდესი მასშტაბის ნიჭიერი და ბრძენი მმართველის წარმატებებს. მართალია, თურქ-სელჩუკებმა გაანადგურეს ქვეყანა, მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა შედარებით მოკლე დროში და მტერმა ვერ

მოასწრო დაპყრობილი ქვეყნის სულიერი დათრგუნვა და დამორჩილება, დიდი და თვითმყოფადი კულტურის ამოძირკვა, ადამიანთა ფსიქიკის შეცვლა.

ვ. ჭელიძე ხაზგასმით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის არაჩვეულებრივ პროგრესულობას: „მას საოცრად გაფაქიზებული სმენა და ხედვა აქვს — თითქოს უკვე გრძნობს დასავლეთის ქვეყნებში ჯერ არდარხეულ, მაგრამ მოახლოებულ სუნთქვას ახალი ცხოვრებისა, ახალი აზროვნებისა, და ჩვენ უკვე ვნახეთ, რა ადრიანად იჭერს თადარიგს, როგორ ამზადებს ნიადაგს, რომ მისი ქვეყანა და ხალხი კაცობრიობის ისტორიაში იმ დიდ მოძრაობასა და ძვრებს არ ჩამორჩეს, არ გაირიყოს“...

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანა ვ. ჭელიძის წიგნის მხოლოდ ერთი, თუმცა საკმაოდ ვრცელი, ნაწილია და მასში რელიეფურად არის გამოკვეთილი მწერლის შემოქმედებითი მეთოდი, მისი მიდგომა საისტორიო წყაროებისადმი და მასალის ახლებურად ამეტყველება.

ვ. ჭელიძის წიგნში საფუძვლიანად არის გაშუქებული დავით აღმაშენებლის რჯულშემწყნარებლობითი პოლიტიკა, დაბეჯითებით რომ გრძელდებოდა მისი მემკვიდრეების დროსაც.

ქართველი მეფეებისათვის ქრისტიანობა წარმოადგენდა დროშას, რომელიც წინ უძღოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ამოწვდილ მახვილს; მაგრამ, მადლობა ღმერთს, არც ერთი მათგანი არ ყოფილა შეპყრობილი რელიგიური ფანატიზმით. ისინი, სარწმუნოების ინტერესებთან ერთად, ითვალისწინებდნენ მაჰმადიანური სამყაროს გარემოცვაში მოქცეული ქრისტიანული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ინტერესებსაც. შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ქართულ ეკლესიაში „წმიდა კეთილმსახურად“ შერაცხული დავით აღმაშენებელი ძალზე სიმპათიურად ყოფილა განწყობილი მაჰმადიანობის მიმართ, ვინაიდან თბილისში მცხოვრებ მაჰმადიან პოეტთა და სუფიებისათვის თავშესაფარი აუშენებია, ქონებრივ დახმარებას უწევდა, დარბაზობას უმართავდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონაც დადიოდა მეჩეთში, სადაც ლოცვასა და ყურანის კითხვას ისმენდა! იგივე სიმპათიები უნდა დავწამოთ თამარ მეფეს, რადგანაც XII საუკუნის დამლევს, ჭალაქ დვინში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ინიციატივით მოწვეულ სასამართლოს (სომეხთა

მონასტრებს შორის ჩამოვარდნილი დავის გასარჩევად) საქართველოს დიდებულებთან თუ მღვდელმთავრებთან და სომხური ეკლესიის მესვეურებთან ერთად ესწრებოდნენ თბილისის, ანისისა და დვინის ყადიები. ეს უკანასკნელი ფაქტი ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა „საქართველოს უაღრესი კულტუროსნობის“ დამამტკიცებელ საბუთად, საერთაშორისო თანამშრომლობის იმდროისათვის გასაოცარ და მომხიბლავ მაგალითად. დიდი ქართველი მეცნიერი სიამაყით შენიშნავდა: „სწორედ აქ და ამ ხანაში გამოიჩინეს ქართველებმა დიდსახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების უტყუარი ნიჭი“. დიახაც, საქართველო აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯად აცხადებდა თავს და დასავლეთიც ასე უყურებდა მას, მაგრამ ეს მოვლენა სრულიადაც არ გამორიცხავდა საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მაჰმადიანთა მიმართ ტოლერანტულ პოლიტიკას, რომელიც ნაკარნახევი იყო არა რომელიმე მეფის სიმპათიებით მაჰმადიანური სარწმუნოებისადმი (როგორც შეიძლება ეგონოს საქმეში ჩაუხედავ კაცს), არამედ ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობებით, მისი მჭიდრო ურთიერთობით მაჰმადიანურ სამყაროსთან. ამ ურთიერთობის უარყოფა მხოლოდ ზიანს მოუტანდა საქართველოს და, ამიტომაც, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს საქართველოში თუ მის მეზობლად მცხოვრებ მაჰმადიანთათვის „ჯვაროსნული ომი“ არასოდეს გამოუცხადებიათ. ქართველი მეფეების სანიმუშო რჯულშემწყნარებლობა განამტკიცებდა და ზრდიდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მესამე წიგნში ღირშესანიშნავი ადგილი ეთმობა დავით აღმაშენებლის შემკვიდრეთა მოღვაწეობის პერიოდს და განსაკუთრებით — საქართველოს ისტორიას ე. წ. „ოქროს ხანას“, თამარისა და რუსთაველის ეპოქას. აქ განხილული საკითხებისა და მშვენივრად აღწერილი ეპიზოდების უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. მწერლის მეთოდი უცვლელი რჩება: ისევ ბეჯითი ძიება სხვადასხვა ხასიათის მასალებისა და მხატვრული სახეებით შევსება. მკითხველი ეცნობა „ოქროს ხანის“ ნათელსაც და ჩრდილსაც და შეუძლებელია არ გაიზიაროს საკვანძო ილუსტრაციებით შემაგრებული დასკვნა: „...ის შთაბეჭდილება, თითქოს თამარს უზრუნველი ზეობა ჰქონოდეს და ყველაფერი იოლად და დაუბრკოლებლად მოეგვარებინოს, მცდარია

და იმაზეა დაფუძნებული, რომ შემდეგ მისი სახელი მკრთალაც ლეგენდად იქცა. სინამდვილეში ჩვენი ხალხის ისტორიიდან იქნებ ბევრი ვერ დავასახელოთ ისეთი მეფე, რომელსაც ამდენი წინააღმდეგობა და გულისტკივილი შეხვედროდეს, თითქოს თამარის სახელს არ შეჰფერის ეს სიტყვა, მაგრამ, ასეთი ტრაგიკული ცხოვრება ჰქონოდეს".

ქართული კულტურის საკითხებზე მსჯელობისას ავტორს არ ავიწყდება საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება იმის თაობაზე, რომ საქართველო ორი დიდი სამყაროს — დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე იდგა და ფართოდ უღებდა კარს ორ დიდ კულტურას. ძველი და თვითმყოფადი კულტურის პატრონს არ ეშინოდა გარედან შემოსული ნაკადისა, რომელიც საკუთარ ნიადაგში ღრმად ფესვებგადგმულ ქართულ კულტურას ვერ ართმევდა ეროვნულ მეობას და მხოლოდ ამდიდრებდა.

ვ. ჭელიძე ერიდება მყვირალა ფრაზებს და, საკმაოდ ხშირად, მსუბუქი ირონიით აზავებს თავის თხრობას, რათა განმუხტოს დაძაბულობა და მკითხველს სული მოათქმევინოს. ასე მაგალითად, თურქ-სელჩუკთა საქართველოში თარეშთან დაკავშირებით შენიშნავს, ადრე თუ დაზამთრებამდე იკლებდნენ ქვეყანას და მერე გაზაფხულის მოსვლას ელოდნენ ახლა გამოსაზამთრებელ ადგილებსაც პოულობენო: „როგორც ხედავთ, კარგად შეჰგუებიან, გაშინაურებიან ჩვენებურ ზამთარს, კარგად აუთვისებიათ ჩვენი ხალხის საკხოვრებელი". და შემდეგ, იმავე ეფექტის მისაღწევად, შემატიანის ჰიპერბოლურ გამოთქმასაც იმოწმებს: რაც კი დეღაბიწის ზურგზე თურქობაა, ყველას აქ მოუყრია თავი და მათი აქედან გაყვანა სულტანსაც კი აღარ ძალუძს, გულით რომ მოინდომოსო. აგერ, საქართველოდან მაჰმადიანთა დელეგაცია ჩადის სულტნის კარზე და შველას ევედრება მბრძანებელს. მართლაც კომიკური სიტუაცია გახლავთ: თბილისში დაბუდებული გადამთიელი ჩივის, ქართველები ჩვენს ქალაქში აღარ გვასვენებენ, ამდენი უსამართლობა და ძალმომრეობა როდემდე უნდა ვითმინოთო. დელეგაციის წევრებს, უკიდურესი სასოწარკვეთის ნიშნად, შავად შეუღებავთ პირისახე და ხელები, ზოგიც თავით ფეხამდე გამურულა. და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: მწერალი, ჩვენი ქვეყნის მტრების დახასიათებისას, ხმარობს ხოლმე ძალზე კოხტა სიტყვას „მოძუძგურებული", რომელიც გადამთიელთა სიმრავლე-

საც მიგვანიშნებს და ირონიული ელფერიც დაჰკრავს, თითქოსდა მათი მიზნების ამაოებასაც გვამცნობსო.

თავისი წიგნის ფურცლებზე ვ. ჭელიძე დაწვრილებით ეხება ყველა მნიშვნელოვან პრობლემას ქვეყნის ცხოვრებაში: ყივჩაყთა მუდმივი ჯარის შექმნა, დიდგორის ომი, ბრძოლა ანისისათვის, დემნა ბატონიშვილის ტრაგიკული ისტორია, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა, შამქორისა თუ ბასიანის ომი, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა და ტრაპიზონის საკეისროს დაარსება...

„ძალიან გაგვიგრძელდა ომების ჩამოთვლა და აღწერა", — შენიშნავს მწერალი და გვიზიარებს თავის გულისტკივილს მიძღვნილთა მონათხრობის ერთფეროვნებაზე, თითქოსდა არც ამოსაბულიყოს მეორე მხარე ჩვენი წინაპრების ცხოვრებისა — ხალხის ყოფა და შრომა, ჩვეულებრივი ურთიერთობა ადამიანებისა. სწორედ ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა ცოცხალი აღწერა აღადგენს მკვდრეთით წარსულს. რა მწირი და ცალმხრივი იქნებოდა ჩვენი წარმოდგენა საქართველოს ისტორიაზე, სხვა წყაროებით რომ არ ხერხდებოდეს „ქართლის ცხოვრების" შევსება. მწერალი გულმოდგინედ ეძებს მრავალისმთქმელ ცნობებს არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მასალაში, ეპიგრაფიკასა და დოკუმენტებში, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში, ქართული მწერლობის ძეგლებში. ეძებს, პოულობს და ამდიდრებს თავისი ფანტაზიით, რომელიც აღმოცენებულია რეალობიდან და შედუღაბებულია იმავე რეალობასთან.

ავტორის „საუკუნეთა მხილველ მანჭანას" შეჰყავს მკითხველი გელათის აკადემიის ლექციაზე, მაშინდელი სტუდენტებით გაჭიდილ დარბაზში; ვისმენთ პაექრობას მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საკითხებზე (იქვე — მომღიმარე პარალელი თანამედროვეობასთან); ვათვალიერებთ გელათის ტაძრის ფრესკებს, საიდანაც წმინდანთა ნაცვლად შემოგვყურებენ მიწიერი ადამიანები თავიანთი ჩვეულებრივი გრძნობებითა და განცდებით. თითქოსდა ცოცხლდება გეგუთის სასახლე, თითქოსდა ხედავ საუკუნეების წინათ აქ მობინადრე ადამიანების მკრთალ სილუეტებს და მათი ხმებიც ჩაგვესმის. წვეულება, სჯა-ბაასი სახელმწიფოებრივ საქმეებზე, აგიზგიზებული ბუხარი და ცეცხლთან ჩაფიქრებული ადამიანი. სეფექალების ჩურჩული და შორეული სახელმწიფოს ელჩის გამოჩენა. სავაზიროს სხდომა და პურობა,

ქვეყნის დიდი პრობლემები და ადამიანთა წვრილმანი ვნებანი, ბრძოლა თანამდებობისათვის და ინტრიგები. გრძელდება კალეიდოსკოპი გაცოცხლებული წარსულისა: გზაზე მიმავალი სავაჭრო ქარავანი და გზის პირას გამართული ფუნდუკები; ხიდები და წყალსადენები, საბრძოლო საჭურველი და საქართველოს დროშა, ქართული მონეტა და ქართული საექსპორტო საქონელი, გლეხის სახლი და მსხვილი ფეოდალის სასახლე, შრომა და ლხინი... ჩვენი წინაპრები, გართულნი ყოველდღიური საქმიანობითა და მათთვის მისაწვდომი სიამეებით.

აგერ, წარმოგვიდგება სურათი ომში გაცილებისა. ვეცნობით მეომრის ხურჯინს: ცალ თვალში ჯავშან-მუზარადი უწყვია, მეორე თვალში — საგზალი. თონის პურების ქვეშ რაღაც მკვრივს შეეხო ჩვენი ცნობისმოყვარე ხელი, „და როცა ამ საგანს შეიცნობ, საამურად გაგეღიმება. ჩურჩხელა ყოფილა, ჩვენებური ტკბილი ჩურჩხელა, ჩვენებური კაკლის და ვენახის წაყოფი. სახალისო საშმელიც არის, ყუათიანიც, დიდხანსაც გასძლებს, სატარებლადაც ადვილია. მართლაც, დიდებული საგზალია მეომრისათვის".

მეომართა რაზმი დაიძრა და მთებში გაუჩინარებულ გზას მიჩერებული დედის გულიდან ვედრება ისმის; ღმერთო, შენ უშველე... ღმერთო, გაუმარჯვე... ღმერთო, მშვიდობით დაბრუნე... საუკუნეებს მიჰყვება ექო და დაუსრულებლივ მეორდება.

ვ. ჭელიძე არ წასულა იოლი და მაცდუნებელი გზით. იგი გაცილებით მეტს მოგვითხრობს, ვიდრე მატიანეში წერია. მისი შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობს არა წყაროების „თარგმნას", არამედ მათ შევსებას, ახლებურად ამეტყველებას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოშინაურებას. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა ჩვენი ნაცნობ-მეგობრების ამბავს ვისმენდეთ. ცხადია, ამით არც სიდიადე იკარგება გარდასულ დროთა და არც ტრაგიზმი. ერთიცა და მეორეც მშვენივრად არის გამოხატული მკითხველისათვის საინტერესო თხრობის სადა და თავშეკავებული სტილით, რომელიც მკაცრად უკუაგდებს მაღალფარდოვან აფორიზმებსა და კონიუნქტურულ ზიზილ-პიპილებს.

ვ. ჭელიძის წიგნში, უამრავ ქართულ და უცხოურ წყაროებთან ერთად, გათვალისწინებულია ქართველ მეცნიერთა დიდი მონაპოვარიც — სოლიდური კვლევები, ამოყვანილი „ქართლის ცხოვ-

რების“ საძირკველზე. წიგნში დამოწმებულ ავტორთა შორის შეხვდებით ქართველ ისტორიკოსებსაც, ივ. ჯავახიშვილსა თუ შ. მესხიას, და არაისტორიკოსებსაც, იქნება ეს ჰიდროლოგი ა. ლოსაბერიძე თუ ისტორიის თელაველი ენთუზიასტი ა. მამულაშვილი. ზედმეტი არ უნდა იყოს იმ გარემოების აღნიშვნაც, რომ ვ. ჭელიძე უაღრესი კეთილსინდისიერებით იცავს მეცნიერული ეთიკის ნორმებს და მიუთითებს ყველა მეცნიერს, ცნობილსა თუ უცნობს, ვისი ნაშრომითაც კი უსარგებლია წიგნზე მუშაობის დროს.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ არც სპეციალური გამოკვლევა გახლავთ, ერთობ ძნელად ასათვისებელი მკითხველთა ფართო წრისათვის და არც — ისტორიული რომანი, სადაც მწერლის ფანტაზია, ხშირად, სინამდვილეს შორდება. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ არის დოკუმენტური სიმართლე, ამეტყველებული მწერლის კალმით; ეს არის ცოცხალი და საინტერესო ისტორია, რომელიც შეიცავს წყაროებსა და გამოკვლევებში დადასტურებულ-დადგენილ სინამდვილესაც და მასზე დამოკიდებული მხატვრული წარმოსახვით შექმნილ სურათებსაც.

...თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვ. ჭელიძის წიგნში ჟამთა დინებაზე გადებული ხიდი ღირსეული ეკვივალენტია ძველ საქართველოში „მდინარეთა სასტიკთა ზედა“ აგებული ხიდებისა, რომელთა შესახებაც სიყვარულით მოგვითხრობს მწერალი და რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, სავსებით აკმაყოფილებენ თანამედროვე ხიდმშენებლობის კანონებს.

„ხვალვე გაეშურე შინ“

„ხვალვე გაეშურე შინ“ — ასე ეწოდება ინგლისელი მწერლის ევან ჯონის რომანს, რომელიც 1950 წელს გამოქვეყნდა ნიუ-იორკში.

წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ მწერალს შეჰყავს მკითხველი ახალსა და ნაკლებად ცნობილ სამყაროში, სადაც ევან ჯონი თავს გრძნობს ძალზე შინაურულად. გამომცემელთა აზრით, თითქმის ასწლიანი ისტორია იერუსალიმის ფრანკთა სამეფოსი,

რომელიც არსებითად წარმოადგენდა სხვა კონტინენტზე დანერგილ დიდ ევროპულ კოლონიას — ოთხი საუკუნით ადრე კოლუმბამდე, დღესაც დააინტერესებს მკითხველს. მაგრამ პირველ რიგში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ჩვენს წინაშეა მშვენივრად წარმოსახული და ამაღელვებელი ისტორიული რომანი დიდად ნიჭიერი მწერლისა.

ევან ჯონს დასავლეთში იცნობენ, როგორც მსახიობს (ძირითადად, შექსპირის პიესებში შესრულებული როლებით), დრამატურგსა და რომანისტს. „ხვალვე გაეშურე შინ“ — მისი პირველი ოომანია, გამოცემული შეერთებულ შტატებში.

ქართველ მკითხველსაც, ალბათ, დააინტერესებს ინგლისელი მწერლის ნაწარმოები, ვინაიდან ჯვაროსნებს კარგად იცნობს ჩვენი ისტორია და, ამასთან ერთად, დასახელებული წიგნის ფურცლებზე ვხვდებით ქართველებსა და საქართველოს მეფეს, სახელდობრ — თამარს.

ევან ჯონის რომანის მთავარი გმირი არის ნორვეგიელი რაინდი ანდრეს ვარინგერი (ძველ ნორვეგიულ ენაზე „ვარინგერი“ ნიშნავს ჩვენთვის ნაცნობ „ვარიაგს“). ნაწარმოები დაწერილია პირველ პირში. უკვე მოხუცებული ანდრეს ვარინგერი თავად გადმოგვცემს მრავალი თავგადასავლითა და ათასნაირი ფათერაკებით აღსავსე თავის ცხოვრებას. რომანს ქვესათაურად აქვს: „ჯვაროსნის ქრონიკა, ხელახლა მოთხრობილი ევან ჯონის მიერ“ და ბოლოსიტყვაობაშიც ავტორი ამტკიცებს, რომ მან მხოლოდ თარგმნა ჯვაროსანი რაინდის ჩანაწერები და სიზუსტისათვის შეუდარა სხვა საისტორიო წყაროებს. ასეთი მისტიფიკაცია თუ ლიტერატურული ხერხი (როგორც გენებოთ), ეტყობა, მკითხველის მისაზიდად არის გაძიზნული.

ანდრეს ვარინგერი დაბადებულა ნორვეგიაში, 1163 წელს. ჩვიდმეტი წლის ასაკში იგი გარბის სამშობლოდან, ვინაიდან იძულებულია ირწმუნოს მისი მისამართით წამოყენებული ბრალდება — ვითომდა უგონოდ მთვრალს მოუკლავს თავისი მამინაცვალი.

ნორვეგიელი რაინდი თავს შეაფარებს ინგლისს, სადაც იოლად შეითვისებს ინგლისურ ენას, რადგანაც დედით შოტლანდიელია. ბაგრამ ნორვეგიაში დაწყებული უიღბლობანი ინგლისშიც გრძელდება. ანდრესი ჯერ რობინ ჰუდის ხელთ ჩავარდება, შემდეგ მოხვდება ჯონ უფლისწულთან (ძმა რიჩარდ ლომგულისა) და ყაჩაღად

მიჩნეული ძლივს გადარჩება სასიკვდილო განაჩენს ერთი ინგლისელი რაინდის წყალობით. სასჯელად ბერის ჩოხას აკმარებენ და მოთმინებით იხდის თავის ეპიტიმიას ბენედიქტელთა ორდენის მონასტერში. ბოლოს და ბოლოს, სასჯელსაც გაუდის ვადა და ანდრესი მიჰყვება მძიმედ დასნეულებულ ახალ პატრონს „წმიდა მიწის“ სახილველად, როგორც ფათერაკებს მოწყურებული ჭეშმარიტი რაინდი. როდესაც ჩააღწევენ კუნძულ კიპროსს, კვდება ინგლისელი პატრონი ანდრესისა. სხვებთან ერთად, ანდრესიც ჩადის ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ქალაქ ტვიროსში, მაგრამ იძედგაცრუებული რჩება. მისი პატრონის ყველა ქვეშევრდომი თავის გზას გაუდგა და არც ისე ადვილია ეულად ჩასვლა იერუსალიმში. ანდრესს შეიპყრობს მწარე ეჭვი, „წმიდა მიწაზე“ არავის სჭირდება ჩემისთანა გულადი, მაგრამ გამოუცდელი ახალგაზრდა ჯვაროსანიო. ამასობაში გაქრისტიანებული ებრაელი ექიმისაგან შეიტყობს, რომ ტრიპოლის გრაფი რაიმონი დაინებით ურჩევს იერუსალიმის მეფე ბალდუინს სარკინოზებთან დაზავებას (კიდევ ერთი უიღბლობა — საომრად ჩასულ რაინდს ესღა უნდოდა!); ქალაქ აკრაში ანდრესი შეუერთდება ტამპლიერთა ნახევრადსამხედრო ორდენის ბერებს და ერთი მათგანი ცდილობს ნორვეგიელი ვაჟკაცის ცდუნებას „ფერადი სურათებით“. ანდრესი გადალახავს ამ ახალ უიღბლობასაც და საბოლოოდ ახერხებს იერუსალიმში ჩასვლას.

ტვიროსში გაცნობილ ექიმს მისთვის გაუტანებია სარეკომენდაციო ბარათი იერუსალიმის არქიეპისკოპოსის გიიომ ტვიროსელის სახელზე. ამის მეოხებით, ნორვეგიელი რაინდი საკმაოდ სწრაფად გაშინაურდება იერუსალიმის კეთილშობილთა ოჯახებში და ჩადგება კერაკის მფლობელ რენო დე შატილიონის სამსახურში.

ანდრესს შეუყვარდება მშვენიერი ქალწული, სახელად ივეტა. იგი, თავისი ასაკის კეთილობაზე, ერთობ ბრძნული სიტყვებით მიმართავს ახალგაზრდა რაინდს: „შენ ეძებ რაღაცას, რაც არ არსებობს, და ყველგან ეძებ, სადაც კი შენს ცხენს ძალუძს შენი წაყვანა“. ირკვევა, რომ ივეტა დანიშნული ყოფილა ერთ შეძლებულ რაინდზე საფრანგეთიდან, რომელიც ციხე-სიმაგრეს უშენებს მამამისს. მიჯნურობაში ხელმოცარული ანდრესი ხალისით მიემგზავრება, თავის სიუზერენთან ერთად, ხომალდის ჩასაშვებად მეწამულ ზღვაში. ექსპედიცია მარცხით მთავრდება და რენო დე შატილიონი ისევ კერაკისაკენ გასწევს, ხოლო ციებით დაავადებულ ანდრესს ადგილზე ტოვებს. ბედი მაინც გაუღიმებს ნორვეგიელ რაინდს და

დაეპატრონება ერთ ციხე-სიმაგრეს, სადაც გაიცნობს რენოს ბრძანებით ენამოჭრილ მავრს, რომელსაც მუნჯ აარონს ეძახიან. იგი სდება ანდრეასის მზარეული და საჭურველთმტვირთველი. უქმად გაივლის რამდენიმე თვე და ისინი მიემგზავრებიან კერაკს, მაგრამ გზაში შეიტყობენ, რომ რენო დე შატილიონის ციხე-ქალაქი ალყა-შემორტყმულია ეგვიპტის სულტან სალადინის მიერ.

ამასობაში ანდრეასს სტუმრად მოიწვევს იერუსალიმის მეფის ამალრიხის მეუღლე მარიამ კომნენოსი, ძმისწული ბიზანტიის გახსენებულ კეისარ მანოელისა, და ავალებს წასვლას კონსტანტინოპოლში, ახალი კეისრის — ანდრონიკეს ვარიაგთა გვარდიის წევრად.

ნორვეგიელ რაინდს აინტერესებს, რით არის ნაკარნახევი ესოდენ მოულოდნელი წინადადება და მარიამი უამბობს შემდეგს: უსურპატორი, რომელიც ამჟამად ბატონობს კონსტანტინოპოლში, არაფრით ჩამოუვარდება „ანტიქრისტეს“. თუმცა ის კომნენოსთა გვარისაა, მაინც არ გააჩნია უფლება სამეფო გვირგვინზე, რომელიც ხელთ იგდო მხოლოდ ძალადობითა და ვერაგობით, თავისივე ნათესავების თვალების დათხრით, მოშთობითა და მოწამვლით. „ერთხელაც იქნება და უფალი დასჯის მას ამდენი დანაშაულისათვის“, — წარმოთქვამს მარიამი და განაგრძობს: ანდრონიკეს კარგი ურთიერთობა აქვს დამყარებული მაჰმადიანებთან და, შესაძლოა, საიდუმლო პაქტიც კი დასდო სულტან სალადინთან. თავის დროზე, სამშობლოდან სამართლიანად გაძევებულმა ანდრონიკემ ნრავალი წელი გაატარა სარკინოზთა ქალაქებში, სადაც თავს იჭცევდა უზნეო ცხოვრებით. ბოლოს დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, მოკლა კეისარ მანოელის მემკვიდრე და ავიდა კეისრის ტახტზე. ანდრონიკე იყენებს თავის ძალაუფლებას დასავლეთის ქრისტიანთა წინააღმდეგ, სპობს ყოველგვარ კავშირს ფრანკებსა და ბიზანტიელებს შორის, და აძლევს ნებას სარკინოზებს, რომ მათ შეარყიონ ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთის კედლები.

ნორვეგიელი რაინდი მოსასმენად დაიბარეს და არა სალაპარაკოდ, თორემ ჰკითხავდა დედოფალს: ბიზანტიის კეისარს, მრავალრიცხოვანი ჯარისა და ფლოტის პატრონს, უბრალო ფრანკი მეომარი რისი იმედით უნდა შეევებრძოლოო?!

თითქოსდა საფიქრალს მიუხვდაო, მარიამი აუწყებს ნორვეგიელ რაინდს, რომ კონსტანტინოპოლში და სხვაგანაც გაბმულია შეთქ-

მულთა ქსელი და ისინი ემზადებიან „ანტიქრისტეს“ ბატონობის დასამხობად, რასაც მოჰყვება ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის შეცვლა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ქრისტიანთა კავშირის განმტკიცება მაჰმადიანთა წინააღმდეგ.

„როგორც მომახსენეს, შენ არა ხარ ის ადამიანი, ასეთ შემთხვევას ხელიდან რომ გაუშვებსო“, — მარიამი ამ სიტყვებით უთაფლავს გულს ნორვეგიელ რაინდს. თურმე შეთქმულებს ერთადერთი რამ აკლიათ — თავისი კაცი კეისრის გვარდიაში, და ეს საპატიო დავალება ანდრესმა უნდა იტვირთოს. „პირდაღებული ვუსმენდი“, — ამბობს ანდრესი. მისივე სიტყვით, იმ წლებში ბიზანტიის კეისრის გვარდია ჯერ კიდევ არ იყო დაკომპლექტებული ინგლისელებითა და გერმანელებით; მის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ვარიაგები, სახელდობრ — ნორვეგიელი, დანიელი და შვედი ვიკინგები. სხვა ეროვნებას რაინდს, რომელიც მოიწადინებდა ხსენებულ გვარდიაში ჩარიცხვას, უთუოდ ეპვის თვალით შეხედავდნენ. „შესაძლოა, მე ვიყავი ერთადერთი ნორვეგიელი სიცოცხლეში, რომელზეც ხელი მიუწვდებოდა მარიამს. ამიტომაც მთლად ფანტასტიკური აღარ მეჩვენა მისი წინადადება“, — დაასკვნის ანდრესი. ახლა ისღა აწუხებს, რომ ჯამაგირს, ბინასა და პრივილეგიებს მიიღებს იმ კაცისაგან, რომლის დასამხობად უნდა იღვაწოს მისივე მტრების მხარდამხარ, და ამგვარად იძულებული იქნება გასტეხოს ერთგულების ფიცი. ანდრესი ყოყმანობს, მაგრამ მარიამ კომნენოსი მოთმინებით უხსნის, თუ როგორი გზებით მიაღწია ანდრონიკემ კეისრობას და ლაპარაკიც კი ზედმეტია ასეთი მხეცის წინაშე დადებული ერთგულების ფიცის შენახვაზე.

ანდრესი უსიტყვოდ უქნევს თავს თანხმობის ნიშნად; მერე თითქოსდა მოჯადოებული იჩოქებს და ეამბორება დედოფლის გამოწვდილ ხელს.

...იერუსალიმში ყოფნისას ნორვეგიელი რაინდი ესტუმრება ჯვრის მონასტერს იმ იმედით, რომ იქ მყოფი ბერძენი ბერები დაეხმარებიან მას თავსატეხის გადაჭრაში (გულისხმობს კონსტანტინოპოლში გამგზავრებას). მაგრამ ირკვევა, რომ ჯვრის მონასტერში ბინადრობენ არა ბერძნები, არამედ სხვანი, რომელთაც „ზოგი ეძახის იბერიელებს და ზოგიც — გეორგიანებს. მით უჭირავთ ძლიერი ციხე-სიმაგრენი კავკასიის მთიანეთში სარკინოზთა და ჩრდილოეთის წარმართთა წინააღმდეგ. შემდგომ წლებში უფ-

რო მეტი შევიტყვე მათ შესახებ, მაგრამ მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ესაა გულადი ხალხი, ვისაც ქრისტიანული სამყარო, ერთ მშვენიერ დღეს, უკეთესად გაიცნობს".

ანდრესი შენიშნავს, რომ ჯვრის მონასტრის ქართველი წინამძღვარი უფრო მხედარს ჰგავდა, ვიდრე ხუცესს. მაგრამ როდესაც შესთავაზეს, ხვალ სანადიროდ წამობრძანდითო, მან მორჩილად მიუგო: ჩემი საქმე ლოცვანი არისო. მერე დასძინა: თუ სანადიროდ მიდიხართ, მეგზურს გაგაყოლებთო. ჩვენმა მწყემსებმა გვითხრეს, ცხვრის ფარებს ლომი შემოეჩვია და, ვინ იცის, ეგებ უფალმა სწორედ თქვენ მოგავლინათ ამ მტაცებლის მოსასპობადო.

ანდრესი ცდილობს წინამძღვრის ჩათრევას საუბარში ბიზანტიისა და მისი კეისრის შესახებ. მან იცის, რომ კეისარი ზოგჯერ ძტერია ქართველებისა და უფრო ხშირად — მეგობარი და მოკავშირე ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „მაგრამ მისი სახე გაქვავდა, როდესაც ვახსენე ანდრონიკე", — ამბობს ნორვეგიელი ოაინდი და დასძენს, ქართველ ბერს, ეტყობა, ბიზანტიელები არ ეჭაშნიკებოდაო. მას ერთი სიტყვაც არ დაუძრავს მათი სახელმწიფო საქმეების თაობაზე. სამაგიეროდ, უამბო ანდრესს ლეგენდები განსვენებული ქართველთა მეფის დავით ბაგრატიონის შესახებ, რომელიც იყო „გულმოწყალე რაინდი, კეთილი ქრისტიანი და, რაც მთავარია, ძლევამოსილი მონარქი". წინამძღვარი აუწყებს ნორვეგიელ რაინდს, რომ დავით აღმაშენებელმა შეძლო მაჰმადიანთა განდევნა თავისი სამშობლოდან და ქრისტიანთა გაერთიანება დამოუკიდებელ და ძლიერ სამეფოში, რაც ესპანეთის ხელმწიფეებს დღემდე ვერ მოუხერხებიათო.

წინამძღვარი მიდის თავის სენაკში საღამოს ლოცვების სათქმელად და ანდრესი, ძილის წინ, ფიქრობს: რაოდენ დიდია ქვეყნიერება და რაოდენ მცირეა ჩემი ცოდნაო.

...ნორვეგიელი რაინდი ჩადის კონსტანტინოპოლში და ჩაიარაკებება ვარიაგთა გვარდიაში. ბიზანტიის სატახტო ქალაქი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე, მაგრამ ბიზანტიის კეისარი — გაცილებით ნაკლებს. „თანდათან ვხვდებოდი, რომ კაცი, რომელიც მართავდა იმპერიას, იყო არა იმდენად ტირანი, რამდენადაც — დამხვრეული", — ამბობს ანდრესი. მას მხედველობიდან არ გამოპარვია კეისრის დადებითი თვისებანი (მმართველობის ნიჭი და უნარი, ხალხის დაბალი ფენების მფარველობა), მაგრამ შავი ფერი

ჩრდილავდა თეთრს და ნთქავდა. ნორვეგიელი რაინდის სიტყვით, ანდრონიკემ უკვე ცხადყო, „რომ ბიზანტიაში არც ერთი კაცის სიცოცხლე ან თავისუფლება არ იყო ხელშეუხებელი, არც ერთი კაცის რეპუტაცია არ იყო დაცული ცილისწამებისაგან. ადამიანებს ბოლოს უღებდა ნაჯახი ან თოკი, ხოლო სიმართლეს — ქაღალდზე დაწერილი სიტყვა. ბრალიანთა თუ უბრალოთა სიკვდილით დასჯის წესი ყოველთვის საშინელი იყო — სხვების შესაძრწუნებლად და დასამორჩილებლად.

ჯერ კიდევ იერუსალიმში ყოფნისას სმენია ანდრეასს ბიზანტიის კეისრის აღვირახსნილობა. იქაური არქიეპისკოპოსი იხსენებდა, რომ ახალგაზრდობის წლებში ანდრონიკე „წმიდა ქალაქშიც“ ჩაბრძანებულა. ეს კაცი არ მომწონდაო, ამბობს არქიეპისკოპოსი, მაგრამ ქალებს ძლიერ მოსწონდათო; „როდესაც მან დატოვა ჩვენი ქალაქი, ქალაქში მცხოვრები ცოლიანი მამაკაცების ნახევარს წყუროდა, ყელი გამოეჭრათ მისთვის“.

თურმე თავის ხანგრძლივ ყარიბობაში ანდრონიკეს ისეთი „საქმენი საგმირონი“ ჩაუდენია, რომლებიც გაოცებას გამოიწვევდა თვით მისი დამსკოელი თუ ბაღდადელი მასპინძლების ჰარამხანებშიც. ამჟამად კეისარი უკვე სამოც წელს იყო გადაცილებული და ჭაბუკური ენერგია აღარ მოსდევდა, მაგრამ ნადირობისას მისი ხელით მოკლულ თითოეულ ირემსა თუ ტახს, კონსტანტინოპოლში დაბრუნებამდე, თითო ქალწული მაინც ეწირებოდაო.

ნორვეგიელი რაინდი ასე გვიხატავს ბიზანტიის კეისრის პორტრეტს, რომელიც პირწმინდად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

...1184 წელს, კონსტანტინოპოლში მყოფი ანდრესი, როგორც კეისრის ვარიაგთა გვარდიის წევრი, საპატიო ამალის შემადგენლობაში ეგებება კავკასიიდან ხომალდით ჩამოსულ „ქართველთა დედოფალ თამარს“. ოქროს რქის სანაპიროზე, დამხვდურთა წინა რიგებში დგას ანდრესი და მოხარულია, რომ წილად ხვდა ასეთი პატივი (ალბათ, ჯვრის მონასტრის წინამძღვართან საუბრის შედეგად გაუღვივდა ინტერესი საქართველოსა და ქართველებისადმი). ნორვეგიელი რაინდი გვაუწყებს თამარის შესახებ შემდეგს:

„იგი ეკუთვნოდა ბაგრატიონთა სამეფო გვარს, რომელიც განთქმულია მოხდენილი მამაკაცებითა და მშვენიერი ქალებით. გამოირჩეოდა მართლაც თვალისმომჭრელი სილამაზით და დაჩრ-

დილა ბიზანტიელი სეფექალები, ლოყებშეთხიპნილნი და მოუხეშავ, ზიზილ-პიპილა სამოსელში გამოწყობილნი. თავისი სათნოებით იგი გაცილებით აღემატებოდა მათ უმრავლესობას, თუმცა ავყია ადამიანებმა მალე მოჰკიდეს ხელი ამ სათნოების შემწ[illegible]კვლას".

ანდრესის სიტყვით, გასაოცარი იქნებოდა, რომ ანდრონიკე არ მოხიბლულიყო ქართველი სტუმრის მშვენებით, არ აღძვროდა ჩვეული ჟინი და არ შეეთავაზებინა თავისი სარეცელი, როგორც ქორწინების პრელუდია. მაგრამ ანდრესი ხედება იმასაც, თუ რას გამოიწვევდა სტუმრის გულში ასეთი წინადადება. „მისი პასუხი ადვილი გამოსაცნობი იყო. მაგრამ ზიზღიან უარსაც არ უნდა მიეყვანა ანდრონიკე ისეთ სულმდაბალ შურისძიებამდე, რაც მან ჩაიდინა მისი რეპუტაციის შებღალვით, ასე უსამართლოდ და, შესაძლოა, სამუდამოდ".

შემდეგ აღწერილია იპოდრომზე გამართული შეჯიბრება ცხენბურთში ბიზანტიელ და ქართველ დიდებულებს შორის (თვით ანდრონიკე კეისრის მონაწილეობით). ანდრესის სიტყვით, ცხენბურთი ძლიერ უყვარდათ ბიზანტიელებს და, ეტყობა, შეთვისებული ჰქონდათ ქართველებისაგან, რომელთა მიწები ესაზღვრება ირანს, სადაც პირველად წარმოიქმნა ხსენებული თამაში. ანდრესს არ გამორჩენია ანდრონიკეს სიმკვირცხლე და შემართება ცხენბურთში და როდესაც კეისარმა ცხენი გააჭენა ქალების ტრიბუნიაკენ მათი ტაშის მოსახვეჭად, ნორვეგიელმა რაინდმა იმასაც მოჰკრა თვალი, რომ „თამარ დედოფალმა უძღვნა მას ძალზე სუსხიანი ღიმილი".

ცხენბურთით ხომ გაართო კეისარმა ქართველი სტუმრები, მერე სანადიროდ ეპატიჟება რამდენიმე დღით, მცირე აზიის სანაპიროზე.

ანდრესი ხშირად დაეხეტება ქალაქში, სადაც კეისრის არაოფნის წყალობით აღარ იგრძნობა ჩვეულებრივი ციებ-ცხელება. „ვხვდებოდი ადამიანებს, რომლებიც გაცილებით ნაკლებს ლაპარაკობდნენ სიცილიასთან მიმდინარე ომისა თუ მთავრობის შესახებ და გაცილებით მეტს — ფულზე, ქალებზე ანდა მომავალ მარულაზე", — გაკვირვებით გადმოგვცემს ნორვეგიელი რაინდი.

ცოტა ხნის შემდეგ, ერთმა ვარიაგმა თავისიანებთან მოიტანა წერილი, რომელსაც წაწყდომოდა პარფიუმერის დუქანში („უფალ-

მა უწყის, რა ესაქმებოდა ამ კაცს იქ!“ — დაცინვით შენიშნავს ანდრესი).

წერილში ნათქვამი იყო, რომ უქრისტიანესმა ხელმწიფემ და ავტოკრატორმა, მოციქულთა თანასწორმა (ანდრონიკეს ტიტულები გახლავთ) ნადირობა მოაწყო პატივსაცემად სტუმრისა იმ ქვეყნიდან, რომელიც ვალდებულია იყოს მოკავშირე მაინც, თუ არა — ვასალი, კონსტანტინოპოლისა. წერილი აღწერდა ძალზე სამწუხარო ფაქტს — კეისრის სტუმართმოყვარეობის ბოროტად გამოყენებას, განსაკუთრებით გინეკიონთან დაკავშირებით, და გადაკრულად მოიხსენიებდა ერთ „ზორბა და ვნებიან ეთიოპელს“.

ანდრესი ურჩევს თავის კოლეგას, ნურავის ჩააბარებ ამ ქალაღდს და აქვე მოსპეო, ძირგამომთხრელ საქმიანობასა და შეთქმულებასთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მაგრამ პასუხად ესმის, რომ წერილის სხვა ეგზემპლარები მაინც მიაღწევენ კეისრის სასახლეს, თუკი სწორედ იქიდან არ გაუვრცელებიათო.

ანდრესი გულისწყრომით შენიშნავს: „ცილისწამებამ ფეხი აიდგა, რათა ექოდ გაჰყოლოდა საუკუნეებს“.

ნორვეგიელმა რაინდმა არ იცის, ბიზანტიელ სეფექალთაგან რომლის საქციელი მიაწერეს თამარს; არც ის იცის, როდის შეიტყო ქართველმა სტუმარმა, თუ რას ჩურჩულებდნენ და წერდნენ მისი ღირსების შეურაცხყოფის მიზნით; მან მხოლოდ ის იცის დანამდვილებით, რომ თამარს არ დაუყოვნებია კონსტანტინოპოლის მიტოვება და სამშობლოსაკენ გამგზავრება, „რამხელა რისხვითა და ზიზღით, ეს შეიძლება მხოლოდ ვივარაუდო. და მას აღარასოდეს უნახავს ეს ქალაქი“.

როგორც ვხედავთ, ანდრეს ვარინგერისა თუ მისი სულისჩამდგმელი ავტორის სიმპათია-ანტიპათიები ძალზე მკაფიოდ არის გამოთქმული და არავითარ კომენტარს არ მოითხოვს.

მიუხედავად ყველაფრისა, ანდრესი სიბრალულით მოგვითხრობს აჯანყებულ დიდგვაროვანთა მიერ ანდრონიკე კეისრის დამხობის ეპიზოდებს.

იპოდრომზე ათასობით მაყურებელს მოუყრია თავი სეირის საყურებლად. ნაცემი, თვალდათხრილი და მკლავმოჭრილი არსება, ოდესღაც ანდრონიკეს რომ წარმოადგენდა, შესვეს კოჭლ და ქცახინ აქლემის ზურგზე და მთელი არენა შემოატარეს. მერე დაიწყო ხანგრძლივი წამება მომაკვდავი კეისრისა. ანდრონიკემ

მხოლოდ ორჯერ ამოიღო ხმა. ჯერ უზენაესს შეევედრა: უფალო, შემიწყალეო; ცოტა სული მოითქვა და წაიჩურჩულა მათი მისამართით, ვინც თავს ირთობდა უმწეო კეისრის სადისტური წამებით: „რისთვის გინდათ დაამსხვრიოთ უკვე დათრგუნვილი ლერწამი?“; ანდრესის სიტყვით, „დანარჩენი იყო დუმილი და შესაძლოა — ზიზღიც“.

ანდრონიკეს დამხობის შემდეგ ნორვეგიელი რაინდი ტოვებს კონსტანტინოპოლს და ამბობს: „აღარასოდეს ვისურვებდი ფეხის დადგმას ამ ქალაქში“.

ანდრესი ბრუნდება „წმიდა მიწაზე“ და მონაწილეობს საყოველთაოდ ცნობილ ჰატინის ბრძოლაში (1187 წ.), სადაც სალადინმა სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები და თითქმის ასწლიანი იხტერვალის შემდეგ კვლავ მაჰმადიანები დაეპატრონენ იერუსალიმს.

აძის შემდეგ ანდრესი იწყებს ივეტას ძებნას (მისი ქმარი დაღუპულა ჰატინის ბრძოლაში), გადაეყრება კიდეც სანატრელ სატრფოს, მაგრამ სარკინოზის სამოსელში გადაცმულს ვერ იცნობს და ივეტა იღუპება ანდრესის მსახურის ხელით. სასოწარკვეთილი ნორვეგიელი რაინდი ტყვედ ნებდება სარკინოზებს.

რომანის ეპილოგი მიმდინარეობს უკვე XIII საუკუნის ოციან წლებში. ანდრესი ერთხანს თარჯიმნად ყოფილა ტრაპიზონის კეისრის კარზე, კმაყოფილი უბრალო და უფათერაკო ცხოვრებით. ლუკმაპური, თავშესაფარი და მეგობრები იპოვა იმ ზღვისპირა ქალაქში, რომელიც ესოდენ შორსაა მშობლიური ნორვეგიიდან. „თუ უფალი გამიწვევს სამე, თუნდაც დგებოდეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი ჟამი, ძალას მოვიკრებ და დავემორჩილები, და თუ ხვალ შინისაკენ მიხმობს, ხალისით წავალ. დაე, აღსრულდეს ნება მისი!“ — ამბობს ნორვეგიელი რაინდი.

ასე მთავრდება ევან ჯონის რომანი „ხვალვე გაეშურე შინ“.

ავტორის ბოლოსიტყვაობაში ჩამოთვლილია გამოყენებული წყაროებიც. ეს გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, ჯვაროსნულ ლაშქრობათა აღმოსავლეთ-დასავლეთის მემატიანეების ცნობილი კრებულის ტომები, გასულ საუკუნეში რომ იბეჭდებოდა საფრანგეთში. რომანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჯვაროსნული“ ნაწილი დამყარებულია სანდო წყაროებზე და მასში მოქმედებენ რეალურად არსებული პირნი (რენო დე შატილიონი, გიიომ

ტვიროსელი, მარიამ კომნენოსი, სალადინი და სხვანი). რა თქმა უნდა, ეს დასკვნა არ ეხება რომანის სამიჯნურო ხაზს (ანდრეასი და ივეტა). ასევე საისტორიო წყაროების მიხედვით არის გადმოცემული ანდრონიკეს დროინდელი ბიზანტიის ამბები. გათვალისწინებულია ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის უ. გიბონის ნაშრომიც და, „თვითმხილველ" ანდრეს ვარინგერის ჩანაწერებთან ერთად, ჭეშმარიტი თვითმხილველის — ბიზანტიელი მემატიანის ნიკიტა ხონიატეს თხზულება.

ბიზანტიის საშინაო და საგარეო ვითარება XII საუკუნის დამლევს, ანდრონიკეს პორტრეტი, მისი დამხობისა და სიკვდილის აღწერა — ყოველივე ეს დაწვრილებით არის ასახული ნიკიტა ხონიატეს წიგნის ფურცლებზე და ევან ჯონი, ხშირად, სიტყვა-სიტყვით მისდევს თავის წყაროს.

ბიზანტიელი მემატიანე მოგვითხრობს ანდრონიკე კეისრის ავხორცულ თავგადასავლებსაც (მაგალითად, „დანაშაულებრივი კავშირი" თავისი ბიძაშვილის ასულებთან). ნიკიტა ხონიატე გვაუწყებს, რომ სამოც წელს გადაცილებულმა ანდრონიკემ, კეისრის ტახტზე ასვლისთანავე, ცოლად შეირთო საფრანგეთის მეფის ასული, სახელად აგნესა, საცოლე მანოელ კეისრის ვაჟისა. „დრომოჭმულ მოხუცს არ შერცხვა გაეზიარებინა სარეცელი თავისი ძმისწულის ნორჩი საცოლისა, რომელსაც ჯერ თერთმეტი წელი არ შესრულებოდა", — აღნიშნავს ნიკიტა ხონიატე. მისივე სიტყვით, კეისრის ყველაზე ახლობელ კარისკაცებს მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში ჰქონდათ უფლება მისი ნახვისა, მაშინ, როდესაც უზნეო დიაცები ნებისმიერ დროს ხვდებოდნენ ანდრონიკეს. სატახტო ქალაქის მთავარ მოედანზე, კეისრის ბრძანებით, გამოჰფენდნენ ხოლმე ნანადირევ ირემთა რქებს, ვითომდა როგორც ალაფს, სინამდვილეში — თავის ქვეშევრდომთა მასხრად ასაგდებად. ასევე ვრცლად არის გადმოცემული ანდრონიკე კეისრის მიერ გაჩაღებული ტერორი (ის დღე დაკარგულად მიაჩნდა, თუკი რომელიმე დიდებულს არ დააბრმავებდაო).

ამგვარად, ევან ჯონის რომანი „ბიზანტიურ" ნაწილშიც ერთგულია ისტორიისა. მაგრამ თამარ მეფის ვიზიტი კონსტანტინოპოლში — ეს მთლიანად მწერლის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. არც ქართულ წყაროებში და არც ნიკიტა ხონი-

ატეს დეტალურ თხრობაში ანდრონიკეს დროინდელი ბიზანტიის შესახებ ერთი სიტყვითაც არ არის მინიშნებული, რომ თამარი ოდესმე სწვევია სტუმრად ბიზანტიას.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ თამარი მართლაც ჩასულიყო კონსტანტინოპოლში; არ არის გამორიცხული, რომ თავშეუკავებელი ანდრონიკე კეისარი მოხიბლულიყო თავისი შორეული ნათესავის მშვენებით და არც ის არის გამორიცხული, რომ უარით გაბრისხებულ კეისარს ცილისწამება გაევრცელებინა მეზობელი და ერთმორწმუნე ქვეყნის დედოფალზე (ანდრონიკემ საზღვრები არ იცოდა არც მტრობაში და არც სიყვარულში).

მაგრამ ძნელია იმსჯელო იმის შესახებ, რაც შეიძლება მომხდარიყო და არ მომხდარა.

ევან ჯონის მიერ შეთხზული ეპიზოდის ერთადერთ წყაროდ უნდა ჩაითვალოს უილიამ შექსპირის პიესა „ტიტუს ანდრონიკუსი“ ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი პოპულარული ინტერპრეტაცია, თანამედროვე ინგლისელ რომანისტს ბიზანტიის ისტორიულ სინამდვილესთან რომ შეუფარდებია.

აი, რას ვკითხულობთ ავტორის ბოლოსიტყვაობაში:

„განათლებულ მკითხველს, ალბათ, არც სჭირდება იმის შეხსენება, რომ ელისაბედის დროინდელი პიესა, აშკარად დაფუძნებული ამავე თემაზე და აბსურდულად მიკუთვნებული უილიამ შექსპირის კალამს, არის უხეირო გასცენიურება ერთი მაშინდელი, სავსებით არაისტორიული პამფლეტისა“.

შემდეგ მწერალი მიუთითებს რამდენიმე დამთხვევას თავის რომანსა და ამ პიესას შორის და წერს: „საქართველოს სახელგანთქმული მეფე თამარი, უსათნოესი და თითქმის პურიტანი ქალი, უცნობმა თეატრალურმა მეჯღანემ შენიღბა შემდეგი სახელით: ტამორა, გოთების დედოფალი“.

ევან ჯონს თამარის თანამედროვეთა შორის სწორედ ანდრონიკე კეისარი ეგულება იმ ადამიანად, რომელსაც შეეძლო წაჰპოტინებოდა „უსათნოეს და თითქმის პურიტან ქალს“ და შემდეგ სათავე დაედო მითქმა-მოთქმისათვის.

ინგლისელ რომანისტს შექსპირის პიესის არაისტორიული გმირების ნაცვლად სცენაზე გამოჰყავს ნამდვილი ანდრონიკე

და ნამდვილი თამარი და მოქმედებაც რომიდან კონსტანტინოპოლში გადააქვს. ავტორი ამით ცდილობს ქართველი მეფის ერთგვარ რეაბილიტაციას ინგლისელი მკითხველის თვალში.

თამარის „ფიცის წიგნის“ შესახებ*

„მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული... ვფიცავ უბიწოებასა და კდემას მარიამისას; ვფიცავ „სახარებას“, „დაბადებას“ და „ფსალმუნნს“, რომელნიც უფლის სიტყვანია მესიაზე, მოსესა და დავითზე (მშვიდობა მათ!) გარდამოსული“...

მართლაც შესაშურია იმ მკვლევარის ბედი, რომელიც მიაკვლევს ესოდენ ძვირფას სტრიქონებს, სპარსულ ენაზე შედგენილ საბუთში რომ შემონახულა და თავისი შრომის ნაყოფს გაუზიარებს მკითხველთა ფართო წრეს. ძვირფასი სტრიქონები იმიტომაც ეთქმის, რომ მაინცდამაინც განებივრებული არა ვართ თამარ მეფის სახელის მოხსენიებით აღმოსავლურ წყაროებში; დღესდღეობით ისინი თითზეა ჩამოსათვლელი. ცხადია, ყოველი ახალი მასალა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ჩანს, ჩვენამდე მოღწეულ ცნობათა ნაწილი, გაფანტული უცხოურ საისტორიო თუ ლიტერატურულ ძეგლებში, ჯერ კიდევ უცნობია ჩვენთვის.

აგერ, სულ ახლახანს აღმოჩნდა, რომ ნიზამი განჯელის შემოქმედებაშიც უპოვნია ადგილი თამარის სახელს. „მან თითისტარი შუბად აქცია“ — ერთგვარი გაოცებით წარმოთქვამს მაჰმადიანი პოეტი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მეფე-ქალზე. ვინ იცის, ხვალ რომელი წყარო გამომზეურდება და შეაფერადებს საქართველოს ისტორიის თეთრ ლაქებს. უკვე მერამდენეჯერ ბეჭდავდება გაცვეთილი, მაგრამ მარად უკვდავი ჰეშმარიტება: ეძიებდე და ჰპოვებდეო. კიდევაც ეძებენ და პოულობენ. პოვნა ლოგიკური შედეგია ძიებისა, მისი ღირსეული გვირგვინი და იშვიათად ემორჩილება შემთხვევითობას. ნამდვილ მკვლევარს სწორედ

---

* თანაავტორი—გოჩა ჯაფარიძე

კვლევის წყურვილი შთააგონებს თავის დაუღალავ შრომაში და არა სხვისი კვლევის ნაყოფთა მითვისებით პოპულარობის მოხვეჭის სურვილი. და როდესაც იობის მოთმინებით აღჭურვილი მკვლევარი მიაღწევს საწადელს და „ახალი მიწის“ თუნდაც პაწია ნაგლეჯს დაგვანახებს, მისი მიღწევა მიზეზი ხდება ჩვენი გულწრფელი აღტაცებისა, რაც თავისებურ ჯილდოს წარმოადგენს მკვლევარისათვის.

„მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული“, — ეს სიტყვები დამოწმებულია თამარ მეფის „ფიცის წიგნიდან“, რომელიც შეტანილი ყოფილა ეგვიპტის სულტნის, აიუბიანთა დინასტიის ფუძემდებლის სალაჰ ალ-დინის ანუ, ევროპელთა გამოთქმით, სალადინის (1171-1193) კარის მემატიანის იმად ალ-დინ ალ-ისფაჰანის „ინშას“ კრებულში. დასახელებული საბუთის მოზრდილი ფრაგმენტი პირველად დაიბეჭდა ქ. თავრიზში, ირანელი მკვლევარის მ. იუნესის მიერ შედგენილი სპარსული ეპისტოლური კრებულის შესავალ წერილში და თითო-ოროლა სპეციალისტისათვის თუ იყო ცნობილი. თამარის „ფიცის წიგნის“ სრული სპარსული ტექსტი მოიძია და მისი თარგმანი ქართველ მკითხველს გააცნო მ. თოდუამ („საუნჯე“, 1975, № 4); მანვე გამოაქვეყნა იგი, ვრცელი კომენტარითურთ, თავის წიგნში „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, III, 1979.

ხსენებული საბუთის სათაურის („ქართველთა ფიცი, რომელიც სალაჰ ალ-დინს გაეგზავნა“) გაგებამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ეს მოსაზრებანი კრიტიკულად არის განხილული მ. თოდუას წიგნში და დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია გაეცნოს. ჩვენი მიზანია, რომ თამარის „ფიცის წიგნის“ შინაარსი შევუდაროთ ისტორიულ სინამდვილეს და, შეძლებისდაგვარად, დავაზუსტოთ ის პოლიტიკური ვითარება, რომელსაც მოჰყვა თამარის „ფიცის წიგნის“ შექმნა, თუკი დასახელებული საბუთი მართლაც ასახავს რაღაც გარკვეულ ურთიერთობას საქართველოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის.

აშკარა და ეჭვმიუტანელია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქართველთა „ფიცის წიგნში“ ფიგურირებენ თამარ მეფე და მისი არანაკლებ სახელგანთქმული თანამედროვე — ეგვიპტის სულტანი სალადინი. ტექსტის არსებით ნაწილში ვკითხულობთ შემდეგს: „ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევით. მე, რო-

მელიც თამარი ვარ, გიორგის ასული... მავან მავანის ძესთან კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები, მისი მოყვრის მოყვარე ვიქნები და მტრის მტერი ვიქნები, სანამდის ცოცხალი ვარ. და არასოდეს მავანი ქალაქისა და ვილაიათის და მისი ციხეების აღებას არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც აშკარად და არც ფარულად, და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მისი ხალხი და ლაშქარი...“

უნდა აღინიშნოს, რომ „ინშა“ ჩვეულებრივ გვაძლევს სხვადასხვა ხასიათის წერილთა ნიმუშებს და საერთო ჭარგას, იგი მოკლებულია კონკრეტულ რეალიებს. ამდენად, დამოწმებულ ტექსტშიც საკუთარი სახელის ნაცვლად მოცემულია „მავანი მავანის ძე“ და გეოგრაფიული პუნქტების ნაცვლად — „მავანი ქალაქი და ვილაიათი“.

თამარის „ფიცის წიგნში“ მითითებულია მხოლოდ საბუთის შედგენის თვე, რიცხვი და დღე — ჯუმად ალ-ავვალის 16, ხუთშაბათი. როგორც ირკვევა, თამარისა და სალადინის ზეობის თანმხდურ წლებში 16 ჯუმად ალ-ავვალი ხუთშაბათ დღეს მოდიოდა 1185 წლის 15 აგვისტოსა და 1190 წლის 21 ივნისს.

ამ ორი თარიღიდან მ. თოდუა უპირატესობას ანიჭებს 1185 წელს, ვინაიდან მისი ვარაუდით, თამარის „ფიცის წიგნი“ წარმოადგენს ადრე დადებული ხელშეკრულების ერთგვარ განახლებას — საქართველოს სამეფო ტახტზე 1184 წელს თამარის ასვლასთან დაკავშირებით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ სალადინს აინტერესებდა გაეგო: ხომ არ გამოვიდოდა საქართველო მის წინააღმდეგ, ხომ არ დაესხმოდა თავს მის ტერიტორიას; სურდა გაერკვია საქართველოს პოზიცია ჯვაროსნებთან მოსალოდნელი კონფლიქტის შემთხვევაში. მ. თოდუას დასკვნით, საქართველომ ჯვაროსნებისათვის მხარის აბმას თავის ძლიერ მეზობელთან სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება არჩია და თაედაუსხმელობის პაქტი დასდო.

უფრო მისაღებ თარიღად ჩვენც 1185 წელი მიგვაჩნია, ოღონდ სხვა გარემოებათა გამო და, ამასთან ერთად, ეფიქრობთ აუცილებელია სათანადო არგუმენტაცია მეორე თარიღის (1190 წ.) გამოსარიცხად. ამიტომაც ორიოდე სიტყვით შევეხებით 1190 წლის ივნისისათვის შექმნილ ვითარებას.

როგორც ცნობილია, სალადინის მიერ იერუსალიმის აღებამ (1187 წ.) გამოიწვია დასავლური სამყაროს მკვეთრი რეაქცია.

გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ ბარბაროსა იწყებს მზადებას ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. 1189 წლის 11 მაისს იგი გზას გაუდგა. ოქტომბერში სალადინს აუწყეს გერმანიის იმპერატორის გამოლაშქრების ამბავი. შეშფოთებული სულტანი დახმარებას ითხოვს ბაღდადის ხალიფასგან და თავის სირიელ და მესოპოტამიელ ქვეშევრდომთაგან. 1190 წლის გაზაფხულზე ფრიდრიხ ბარბაროსა უკვე მცირე აზიაში იმყოფება.

სამშვიდობო ხელშეკრულების დადება საქართველოსა და ეგვიპტეს შორის, ერთი შეხედვით, ადვილი დასაშვები იყო შექმნილ ვითარებაში, როდესაც ჯვაროსანთა ლაშქარი უახლოვდებოდა სირია-პალესტინას და შეშფოთებული სალადინი თავის დროშებქვეშ თავს უყრიდა ერთმორწმუნე ქვეშევრდომთა ძალებს.

მაგრამ შესაძლებლობა საქართველოს თავდასხმისა შორეული ეგვიპტის ტერიტორიაზე 1190 წელს ან თუ გნებავთ 1185 წელს, პრაქტიკულად, გამორიცხული იქნებოდა. საქართველოს ისტორიამ იცის თამარისდროინდელი ქართული მხედრობის ლაშქრობა ჩრდილოეთ ირანში, ოღონდ ეს იყო თამარის მეფობის დასასრულს და, რაც მთავარია, ირანის დაქსაქსული პოლიტიკური ერთეულების ტერიტორიაზე ჩატარებული სამხედრო რეიდი არ გამოდგება აიუბიანთა უძლიერესი სახელმწიფოს დალაშქვრის ანალოგიად. 1190 წელს სალადინი ძალზე შორს იყო საქართველოს საზღვრებიდან და, თავის მხრივ, საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკის მიზნებიც ძალზე შორს იყო ეგვიპტის ტერიტორიის ხელყოფისაგან. თუკი არ არსებობდა რეალური საშიშროება, ცხადია, სალადინისათვის ზედმეტი იქნებოდა არაფრისმთქმელი გარანტიები მისგან დაშორებულ საქართველოს ნეიტრალიტეტსა ანდა მოკავშირეობაზე ჯვაროსნებთან მოსალოდნელი ომის წინ. ამასთან ერთად, ქრისტიანული საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან (რაც საფუძვლიანად არის ასახული ქართულ ისტორიოგრაფიაში) ასევე გამორიცხავდა საქართველოს სამეფოს მიერ ჯვაროსანთა მთავარი მტრის — სალადინის, თუნდაც ფორმალურ, მხარდაჭერასა და მოკავშირეობას.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ შემდეგი: მართალია, თამარის „ფიცის წიგნის“ შინაარსი ერთგვარად ემთხვევა 1190 წელს შექმნილ ვითარებას, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დამთხვევა მოჩვენებითია და ხსენებული თარიღი მხოლოდ უარყოფას იმსახურებს.

უფრო მისაღებად გაძლიერებულა მეორე თარიღი, სახელდობრ 1185 წლის 15 აგვისტო. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სალადინი იმყოფებოდა საკმაოდ ახლოს საქართველოს საზღვრებთან სწორედ 1185 წლის ზაფხულში (ამგვარი „მიახლოება" არც მანამდე და არც შემდგომში არა ჰქონია ეგვიპტის სულტანს).

არაბულსა და ქართულ საისტორიო წყაროებში სწორედ 1185 წლისათვის მოგვეპოვება თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ უაღრესად საყურადღებო ცნობები, რომლებიც საშუალებას იძლევა საქართველოსა და აიუბიანთა ურთიერთობას, ასახულს „ფიცის წიგნში".

1185 წლის ივლისის პირველ რიცხვებში სალადინმა ალყა შემოარტყა ქ. მოსულს. 10 ივლისს ხლათში გარდაიცვალა ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა შაჰ-არმენთა შორის — სუქმან II. იგი უმემკვიდროდ გადაშენდა და სუქმანიანთა დინასტიის არსებობაც შეწყდა. ტახტს დაეპატრონა სუქმანის მამლუქი ბეგ-თიმურაზ, რომელმაც თავად მიითვისა შაჰ-არმენის ტიტული.

და აი, 21 ივლისს ქ. მოსულთან სალადინმა შეიტყო სუქმან II-ის სიკვდილი. მისი მრჩევლების აზრი ორად გაიყო. ნაწილმა ურჩია მოსულის ალყის გაგრძელება. სხვებმა კი ხლათზე გალაშქრება მიიჩნიეს უფრო მნიშვნელოვან საქმედ, ვინაიდან ხლათის ქვეყანა უპატრონოდ იყო მიტოვებული და მფარველი არა ჰყავდა. ისინი თვლიდნენ, რომ ხლათის დაპყრობა სხვა მხარეთა დაპყრობასაც გააადვილებდა. სულტანი მეროყეობდა და სწორედ ამ დროს ბეგ-თიმურმა და ხლათის ამირებმა მას წერილი გაუგზავნეს და ქალაქის ჩაბარება შესთავაზეს. სალადინის წინაშე შაჰ-არმენთა სახელმწიფოს უომრად დაკავების მომხიბლავი პერსპექტივა გადაიშალა. 30 ივლისს მან მოხსნა მოსულის ალყა და ჩრდილოეთის მიმართულებით დაიძრა. მისი ლაშქრის ავანგარდი უმოკლესი გზით მიემართებოდა ხლათისაკენ. სალადინმა ელჩები მიავლინა ბეგ-თიმურთან, რათა ხელშეკრულება დაედოთ და ხლათის ჩაბარების პირობები ჩამოეყალიბებინათ.

რით იყო განპირობებული არაბულ წყაროებში ხაზგასმული „ლტოლვა" სალადინისა ხლათისაკენ? უპირველეს ყოვლისა, ხლათის აღებით სალადინი კონტროლს გაუწევდა ვანის ტბის მნიშვნელოვან სტრატეგიულ არეალს. ხლათიდან იხსნებოდა გზა აზერბაიჯანისა და ირანის დასაპყრობად, რაც სალადინის პერსპექტიულ

გეგმას წარმოადგენდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აღმოსავლური წყაროების მიხედვით, იმდროინდელი ხლათი ითვლებოდა ცნობილ და აყვავებულ ქალაქად, სადაც იყო სიმრავლე ბაზრებისა და თავს იყრიდა ათასნაირი საქონელი სხვადასხვა ქვეყნებიდან.

სალადინის ბიოგრაფის ბეჰა ალ-დინის ცნობით, შაჰ-არმენის სიკვდილს და ხლათში ბეგ-თიმურის აღზევებას სხვა მეზობელ მეფეთა პატივმოყვარეობა გაუღვიძებია.

განსაკუთრებული აქტიურობა გამოუჩენია ირანისა და აზერბაიჯანის ათაბეგ ფაჰლავანს ილდეგიზიანთა გვარიდან. იგი სუქმან II-ის სიკვდილისთანავე ხლათისაკენ დაიძრა და მის დამოუკიდებლობას დაემუქრა.

ბეგ-თიმურმა სწორედ ფაჰლავანის შიშით მოუწოდა სალადინს. ეს იყო მარჯვე პოლიტიკური ნაბიჯი. ხლათის მფლობელი საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობდა ორი ძლიერი მეტოქის ერთიმეორესთან დაპირისპირებით. იბნ ალ-ასირის მიხედვით, ხლათელებს სურდათ, სალადინის მეშვეობით მოეგერიებინათ ფაჰლავანი და მისი მეშვეობით კი — სალადინი. მართალია, საქმე შეტაკებამდე არ მისულა, მაგრამ ბეგ-თიმურმა მიზანს მიაღწია. მან დააშინა ფაჰლავანი იმით, რომ აცნობა, ჩემი სამფლობელო სულტანს უნდა ჩავაბაროო. ფაჰლავანი მოურიგდა ბეგ-თიმურს. თავისი ასული მისცა ცოლად და დაუმტკიცა ხლათი. ერთმანეთთან მიმოწერის შემდეგ ფაჰლავანმა და სალადინმა უკან დაიხიეს.

ვინ იყვნენ დანარჩენი მეფენი, რომელთა „პატივმოყვარეობა" გაუღვიძებია შაჰ-არმენის სიკვდილს? ბეჰა ალ-დინი და სხვა არაბი ისტორიკოსები (იმად ალ-დინ ალ-ისფაჰანი, იბნ ალ-ასირი, აბუ შამა) მათ არ ასახელებენ, მაგრამ საფუძვლიანად გვეჩვენება ვარაუდი, რომ თავისი სიტყვა უნდა ეთქვა საქართველოს სამეფოსაც. საქართველო გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ პოლიტიკური ვითარების მიმართ, რომელიც სუქმან II-ის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა. საქართველოს ურთიერთობას შაჰ-არმენთა სახელმწიფოსთან მწვავე ხასიათი ჰქონდა. სუქმანიანები საქართველოს წინააღმდეგ მაჰმადიანთა არაერთი კოალიციის მონაწილედ და ინიციატორად გამოდიოდნენ. თავის მხრივ, საქართველო ცდილობდა ხლათის შემოერთებას, რაც ხელს შეუწყობდა გასვლას მთავარ სავაჭრო მაგისტრალზე. ბუნებრივია, რომ საქართველოს მმართველი წრეებისათვის სულერთი არ იქნებოდა, თუ ვინ დაიჭერდა სუქმანიანთა ადგილს ხლათის

რეგიონში. ილდეგიზიანთა და აიუბიანთა შემოჭრა-გაბატონებას შედეგად საქართველოს ახალი, გაცილებით სერიოზული ძალა დაუპირისპირდებოდა და ამ საშიშროებას უნდა გამოეწვია ქართველთა ლაშქრობაც სუქმანიანთა მემკვიდრეობის განაწილებაში მონაწილეობის მისაღებად.

ვფიქრობთ, ამ მოვლენას უნდა ასახავდეს თამარის ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") დაცული ცნობა, სადაც აღწერილია თამარის პირველი ქორწინების შემდეგ გიორგი რუსის სარდლობით ჩატარებული ლაშქრობა: „გავიდა ტფილისით მეფე რუსთა და უფროსღა აფხაზთა, და ააბეს დროშა სვიანი და ხმარებული და წარიძღუანეს ძელი ცხოვრებისა, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა. პირველ ილაშქრეს ქუეყანასა კარისა და კარნიფორისასა, და მოარბიეს ვიდრე ბასიანამდის, და გამარჯვებულნი და აღვსებულნი შემოიქცეს და მოვიდეს წინაშე პატრონსა მას ღმრთივ-განათლებულსა".

ჩვენის აზრით, ზემოხსენებული ტერიტორიები წარმოადგენდა ცილობის საგანს შაჰ-არმენთა სახელმწიფოსა და საქართველოს შორის. ყოველ შემთხვევაში, იბნ ალ-ასირის ცნობით, კარის (ანუ ყარსის) ამირა XII საუკუნის დამლევს ხლათის მფლობელს ემორჩილებოდა. ამგვარად, გიორგი რუსის სარდლობით ჩატარებული ლაშქრობა შაჰ-არმენთა სახელმწიფოს წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. ეს იყო მისი პირველი სამხედრო კამპანია თამარზე დაქორწინების შემდეგ. ხოლო ეს ქორწინება, მხითარ გოშის ანდერძ-მინაწერის მიხედვით, მოხდა 1185 წლის გაზაფხულზე.

პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება და მოვლენათა ლოგიკური მსვლელობა გვიკარნახებს, რომ ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 1185 წლის ივლის-აგვისტოში, სუქმან II-ის სიკვდილის შემდეგ, სწორედ მაშინ, როდესაც სალადინი ვანის ტბის მიდამოებში შეიჭრა. ქართველებმა ბასიანამდე დალაშქრეს შაჰ-არმენთა სამფლობელოები და თავიანთი სამხედრო ძალების დემონსტრაცია მოახდინეს იმ შემთხვევისათვის, თუკი სალადინი ჩრდილოეთით გააგრძელებდა წინსვლას. ასეთ პირობებში, აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდა და მათ შორის გარკვეული ურთიერთობა (საომარი თუ მშვიდობიანი) უნდა დამყარებულიყო.

საქართველოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს 1185 წლამდე შე-

ხების წერტილები არა ჰქონდათ, მაგრამ ასეთი შეხების წერტილი გაჩნდა სწორედ 1185 წლის ზაფხულში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1185 წლის აგვისტოს დამდეგს სალადინმა ელჩები გაგზავნა ბეგ-თიმურთან, რათა დაედოთ ხელშეკრულება, რომლის პირობები „ჩაწერილი უნდა ყოფილიყო". საფიქრებელია, რომ ანალოგიური დავალებით სალადინს ელჩები გაეგზავნა საქართველოს სამეფო კარზეც. ამდენად, თამარის „ფიცის წიგნში" მითითებული „მავანი ქალაქისა და ვილაიათის" ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ქალაქი ხლათი და ხლათის პროვინცია, ხოლო „მავანი მავანის ძე" უნდა იყოს ხლათის მფლობელი ბეგ-თიმური.

მაშასადამე, თამარ მეფე ფიცით პირდებოდა სალადინს, რომ საქართველო თავს შეიკავებდა ხლათზე თავდასხმისაგან.

ხლათელთა მხარდაჭერა გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა სალადინს საქართველოსთან შესაძლებელ კონფლიქტში, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ არან-აზერბაიჯანის ათაბეგს უფრო რეალური შანსები აღმოაჩნდა ხლათზე თავისი გავლენის გასავრცელებლად, სალადინმა დროებით აიღო ხელი თავისი „ლტოლვის" საგანზე.

ამგვარად, „ფიცის წიგნში" მოცემული კონკრეტული ცნობები (თამარისა და სალადინის სახელები, საბუთის შედგენის თარიღი) საშუალებას გვაძლევს ამოვხსნათ აბსტრაქტული მონაცემებიც და დავასკვნათ, რომ თამარის „ფიცის წიგნი" ნამდვილად ასახავს ერთ, ფრიად საინტერესო მომენტს საქართველოსა და აიუბიანთა ურთიერთობის ისტორიიდან.

ორი თქმულება

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გამოჰყვა ჩვენს მეხსიერებას დაუვიწყარი სტრიქონები: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირ-მცინარი..." ანდა — კიდევ უფრო დაუვიწყარი: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული..."

მაგრამ მარტოოდენ ქართველი პოეტები როდი ასხამდნენ ხოტბას თამარ მეფეს. გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი თავის

ერთ ლექსში წერდა მეზობელი საქართველოს ძლევამოსილი მეფე-ქალის შესახებ: „მან თითისტარი შუბად აქცია, ჩვენ კი შუბი ვაქციეთ თითისტრად“.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ იყო დამცირებული მაჰმადიანურ სამყაროში ქალი და ამიტომაც არის ძვირფასი სარწმუნოებით მაჰმადიანი პოეტის მიერ დახატული ლაკონიური პორტრეტი თამარისა. ნიზამის, ცხადია, ეუცხოებოდა საქართველოს სამეფო ტახტზე ასული ქალი და მით უმეტეს — მისი სწორუპოვარი მეფობა. მაგრამ არც თავის სარწმუნოებას და არც დაძაბულ ურთიერთობას თავისი ქვეყნის მბრძანებელსა და ქრისტიანული საქართველოს ხელმწიფეს შორის, არ შეუშლია ხელი, რომ თვალი გაესწორებინა სიმართლისათვის, რაოდენ მწარეც არ უნდა ყოფილიყო იგი. ნიზამი ჭეშმარიტი პოეტი იყო და არა სამეფო კარის პირმოთნე მემატიანე.

ეტყობა, ნიზამის ლექსი არ ჰქონდა წაკითხული რუმის სულტანს, ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ კარგად ცნობილ რუქნადინს, როდესაც იგი თავის წერილში თამარისადმი უტიფრად აცხადებდა: „ყოველი დიაცი რეგვენია“. მთელ საქართველოს მოსპობით ემუქრებოდა და ქართველებისაგან ითხოვდა დამორჩილებასა და გამაჰმადიანებას. რუქნადინმა თამარს ისიც შემოუთვალა: შენს რჩეულს თუ დაუტევებ, ცოლად შეგირთავ და თუ არ დაუტევებ, ხარჭად აგიყვანო.

უნდა აღინიშნოს, რომ რუმის სასულტნომ განსაკუთრებით გაითქვა სახელი სწორედ რუქნადინის დროს. აღმოსავლური წყაროს ცნობით, მცირე აზიის სელჩუკთა ძლიერებას საზღვარი არ ჰქონდა და „რუქნადინის სულტნობით ქვეყნად დიდებული ხანა დაიწყო“.

ქართველი მემატიანე ასე ახასიათებს რუქნადინს: „... რომელი უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა“.

მაგრამ ბასიანის ომში (1202 წ.) რუქნადინმა საკუთარ ტყავზე იწვნია ნიზამის ლექსის მწარე სიმართლე. სასტიკი დამარცხების შემდეგ რუმის სულტანს დიდხანს აღარ უცოცხლია და საფლავში ჩ ყოლა ოცნება რევანშზე. სამაგიეროდ, მისიანებმა თავისებურად იძიეს შური თამარზე. ბასიანის ომში გაცვეთილი ხმლის ნაცვლად ბასრი კალამი მოიმარჯვეს ხელში და სახელგატეხილ რუქნადინს თავისი მატიანის ფურცლებზე მოუშუშეს საბედისწერო ჭრილობა

იმით, რომ ჩრდილი მიაყენეს თამარის სახელს. ამ უცნაური „რევანშის“ ავტორი გახლავთ იბნ ბიბი, მცირე აზიის თურქ-სელჩუკთა მემატიანე. მისი თხზულება შექმნილია XIII საუკუნის 80-იან წლებში. ქვემოთ მოტანილ ამბავს იბნ ბიბი მოგვითხრობს თვითონ რუქნადინის სულტნობის აღწერისას, მაგრამ ამბავი რეტროსპექტულია და მიმდინარეობს რუქნადინის მამის ყილიჯ-არსლანის ზეობის ბოლო წლებში.

აი, რას წერს იბნ ბიბი: „საბოლოოდ, რუქნადინის გულში დაიბადა სურვილი ქვეყნიერების დაპყრობისა და მან გადაწყვიტა, მოეწყო საღვთო ომი საქართველოს წინააღმდეგ. მიზეზი იყო შემდეგი — თამარმა, საქართველოს მეფემ, რომელიც მბრძანებლობდა საქართველოსა და მის სატახტო ქალაქ თბილისზე, და გააჩნდა ძალაუფლება ბრძანებისა და აკრძალვისა, შეიტყო, რომ სულტან ყილიჯ-არსლანს ჰყავდა თორმეტი ვაჟი, რომელთაგან თითოეული იყო მშვენიერი, ვითარცა მთვარე ცაში და მომხიბლავი, როგორც ხელმწიფე დედამიწაზე. შესაბამისად არაბული ანდაზისა, რომელიც მეტყველებს, რომ ქალებს აქვთ ბუნება მიდრეკილი ვნებისაკენ და სადაც კი იპოვნიან პირმშვენიერი ვაჟის კვალს, იწყებენ სამიჯნურო სიმღერას: „ზოგჯერ ყურს შეუყვარდება თვალით დანახვამდე...“ მან გაგზავნა რუმის ქვეყანაში მხატვარი და თითოეული უფლისწულის სურათი დაახატვინა. ყველაზე მეტად იგი მიიზიდა რუქნადინმა და შეუყვარდა მისი სურათი. ამიტომაც შეუთვალა ყილიჯ-არსლანს თხოვნა დამოყვრებისა. ყილიჯ-არსლანმა გააცნო თავის ვაჟს საქმის არსი და ჰკითხა: რას იტყვი ამ წინადადებაზეო. მაგრამ რუქნადინი აღივსო რისხვითა და ზიზღით, გამოხატა უკიდურესი უკმაყოფილება და თქვა: „როგორ შეიძლება სამყაროს მბრძანებელმა დაუშვას ჩემი წასვლა ქართველთა ქვეყანაში. ურწმუნოებისა და გარყვნილების ადგილას, სადაც არის მსუბუქი ცხოვრება და ბიწიერ სურვილთა სილაღე. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ მალე „ალაჰი გვიბოძებს დიდ ნადავლს“ და ეს აღსრულდება ქართველთა ქვეყნის დაპყრობით. მე მოვაწყობ ლაშქრობას, იმ ქვეყანას გავაცამტვერებ და ხელმწიფის სასახლეში მოვიყვან სამარცხვინო ტყვეობის ხუნდებით შებორკილ თამარს“. შვილის ასეთი კეთილშობილება ესიამოვნა სულტნის სულსა და გულს, მან შეაქო იგი და პატიება სთხოვა. იბნ ბიბის თხზულების მომდევნო თავში აღწერილია რუქნადინის მარცხიანი ლაშქრობა საქართველოზე (ე. ი. ბასიანის ომი), განხორ-

ციელებული მამის სიკვდილის შემდეგ. კადნიერი სულტანი თავად ძლივს გადაურჩა „სამარცხვინო ტყეობის ბორკილებს“.

ახლა ყური ვათხოვოთ „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ეპიზოდს, სადაც გადმოცემულია თამარის პირადი ცხოვრება. ქართველი მემატიანე გვაუწყებს თამარზე გამიჯნურებული ოვსთა მეფის სიკვდილს, გამოწვეულს თამარის უარით და დასძენს: „და სხვანი რაოდენნი ხელმწიფეთა ძენი ამისთვის გაჭრით გამიჯნურებულნი და ხელქმნილნი ვერღარა სთმობდეს სურვილსა მისსა, ქვემორე სიტყვამან საცნაურ ჰყოს“. შემდეგ სათითაოდ ჩამოთვლილია თამარის ხელის მაძიებელნი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზისა გამო ვერ აისრულეს წადილი და გაუცრუვდათ იმედები. აი, ვინ იყვნენ ისინი: ძე ბიზანტიის კეისარ მანოელისა; ძე ანტიოქიის მთავრისა; ძე სულტან ყიზილ-არსლანისა, რომელიც მამამ დააკავა, რათა გადაერჩინა რჯულის ღალატისაგან. და კიდევ — მუტაფრადინი, არზრუმის გამგებლის ძე, რომელიც არ იქნა მიჩნეული თამარის ღირსეულ საქმროდ (მიუხედავად გაქრისტიანებისა), და კიდევ — შირვანშაჰი აღსართან, თამარის სიყვარულით მზად რომ იყო მაჰმადის რჯულზე უარის სათქმელად, მაგრამ ისიც ამაოდ დაშვრა.

ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი მარიუს კანარი იმოწმებს ზემოთ მოტანილ ინფორმაციას ქართული წყაროებიდან და შენიშნავს, რომ უზარმაზარი ფუფსკრულია მაჰმადიანი მემატიანის ავყიობასა და ისტორიულ სინამდვილეს შორის, „მაჰმადიანური მწერლობა ყირამალა აყენებს ფაქტებს“, — შენიშნავს იგი და ერთგვარ შეურისძიებად მიიჩნევს იბნ ბიბის, რბილად რომ ვთქვათ, ფანტაზიას. ფრანგ ორიენტალისტს არც უკვირს ის გარემოება, რომ უიმედოდ ძლეულნი ცდილობდნენ გაეშავებინათ ძლევამოსილი მეფე-ქალი, ვისგანაც იგემეს მარცხი, და ქალისაგან მარცხი მართლაც არაჩვეულებრივი და შემაძრწუნებელი უნდა ყოფილიყო მაჰმადიანთათვის. მ. კანარი იქვე დასძენს, რომ მაინც მოსალოდნელი იყო მეტი კეთილშობილება მაჰმადიან ისტორიკოსთაგან, ვინაიდან საქართველოს ქვეშევრდომთა შორის მრავლად იყვნენ მაჰმადიანები და ისინი სარგებლობდნენ ერთობ ფართო ავტონომიით. ფრანგ ორიენტალისტს არც ის ავიწყდება, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა დაამყარა თანასწორობის ატმოსფერო ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის, და ქორწინებანი მაჰმადიანი უფლისწულებისა ქართველ ქალებზე არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. მ. კანარი

აკვირდება იმ ფაქტს, რომ იბნ ბიბის ცნობა ეხება ყილიჯ-არსლანის ზეობას, რომელიც მთავრდება 1188 წელს და შენიშნავს, რომ სწორედ XII საუკუნის 80-იან წლებში ქართველთა მმართველი წრეების წინაშე მწვავედ იდგა საკითხი თამარის დაქორწინებისა, რადგან დედოფლისათვის აუცილებელი იყო მემკვიდრე — მომავალი მეფე საქართველოსი. მ. კანარის ვარაუდით, ეგებ, სწორედ ამ შინ მოინდომა რუქნადინმა თამარის ცოლად შერთვა, უარი მიიღო და ეგებ ამიტომაც თხზავს იბნ ბიბი თავის დაუჯერებელ თქმულებასო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფეთა მიერ მბატვრის გაგზავნა თავისი მომავალი სატრფოს სურათის დასახატავად — საკმაოდ გავრცელებული მოტივია აღმოსავლურ ლიტერატურასა და ფოლკლორში. ასე რომ, იბნ ბიბიმ რუქნადინზე თამარის გამიჯნურების ფანტასტიკურ ეპიზოდს მექანიკურად მიუსადაგა აღმოსავლური მწერლობის ტრადიციული სიუჟეტი (მაგრამ როგორ უნდა გაგიკვირდეს მაჰმადიანი მემატიანის უკადრისი ზღაპარი, როდესაც მისი თხზულების ერთ-ერთმა მთავარმა პერსონაჟმა, ზემოხსენებულმა ყილიჯ-არსლანმა, რუქნადინის მამამ, ისეთი გაუგონარი რამ ჩაიდინა, თვით კანიბალებსაც რომ შეშურდებოდათ. ცნობილი რუსი ბიზანტინოლოგი თ. უსპენსკი ყილიჯ-არსლანის დახასიათებისას იმოწმებს შემდეგ ფაქტს: დამასკოს გამგებელმა სთხოვა ყილიჯ-არსლანს, პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა მისივე ძმისწულები, შვილები რუმის სულტნის მიერ სამშობლოდან განდევნილი ძმისა, რომელმაც დამასკოს შეაფარა თავი. ყილიჯ-არსლანმა ამოარჩია ერთი მათგანი და შემწვარ-მოხრაკული (თავისი ღვიძლი ძმისწული!) გაუგზავნა ლტოლვილ ძმას. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია).

... ღვთის წყალობით, იბნ ბიბის სიცრუე პირველად ფრანგმა მკვლევარმა დაგმო, ჩვენ როდი გამოგვიდია თავი. ერთი სიტყვით, ისტორიული სინამდვილე სულ სხვაა, ვიდრე იბნ ბიბის თხზულებაში გაღმოცემული თქმულება, და სიმართლეს ვერ გააჭარწყლებს ცილისწამება სირცხვილნაჭამი სულტნის მემატიანისა. მართლაც რომ, რუსთველისა არ იყოს, რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი დაუწერია!

• • •

თამარ მეფის სახელოვანი ცხოვრება, მისი ზეობის წლებში საქართველოს მიერ გადახდილი ომები მაჰმადიან აგრესორთა წინააღმდეგ და, კერძოდ, ბასიანის ომი საფუძვლად დაედო XV—XVI სს. მიჯნაზე რუსეთში შექმნილ ლიტერატურულ ძეგლს, რომელსაც ეწოდება „თქმულება დინარაზე". აი, რას მოგვითხრობს დასახელებული ნაწარმოები:

როდესაც გარდაიცვალა ივერიის ხელმწიფე ალექსანდრე, მას არ დარჩა მემკვიდრე ვაჟიშვილი. ჰყავდა მხოლოდ ასული თხუთმეტი წლისა, სახელად დინარა, ძალზე გონიერი და გულადი არსება, რომელსაც არ სურდა გათხოვება. მამამ უანდერძა ივერიის მითვისება თავის ასულს.

დინარამ დაიწყო ქვეყნის მართვა ბრძნულად, შეძლო მოეხვეჭა თავის კარისკაცთა და დიდებულთა სიყვარული, გამოიჩინა სათნოება ხალხის მიმართ და მკაცრად იცავდა მართალ სამართალს. ღვი გატაცებით კითხულობდა საღმრთო წერილს და გადმოცემებს წინანდელ მეფეებსა და მათს გმირულ საქმეებზე, რამაც გულში ჩაუნერგა მხედრული სიმამაცე. როგორც ფუტკარი, ყვავილიდან ყვავილზე რომ დაფრინავს და აგროვებს თაფლს, დინარაც ასევე იძენდა სიბრძნეს ღირსსახსოვარი წიგნებიდან. და როგორც გამოცდილი მენავე მიისწრაფვის უვნებლად გაატაროს თავისი ხომალდი ზღვის მძვინვარე ტალღებში, ასევე გულმოდგინედ ზრუნავდა იგი თავისი ქვეყნის მშვიდობისათვის.

როდესაც სპარსეთის მეფემ ადრამელეხმა შეიტყო ალექსანდრე მეფის სიკვდილი და ივერიის სახელმწიფოში ქალის გაბატონება, მან გადაწყვიტა ივერიის დაპყრობა და ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრა. ელჩების პირით შეუთვალა დინარას: „თუ გსურს დაიმსახურო ჩემი წყალობა, გამომიგზავნე ორმაგი ძღვენი. და თუკი არ დამემორჩილები, ნებას არ მოგცემ იმეფო!"

დინარამ გაუგზავნა სპარსეთის მეფეს თავისი ელჩები, დატვირთულნი იმაზე დიდი ძღვენით, ვიდრე მისი მამა გზავნიდა და ასეთი პასუხი გასცა: „შენ მიბრძანებ, რომ ხელი ავიღო მეფობაზე, რომელიც შენ არ გიბოძებია ჩემთვის და მაღალმა ღმერთმა მომანიჭა. რა უფლება გაქვს შენ, ურჯულოს, წილი მოითხოვო იმ ქვეყანაში, რომელიც ყოველადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრია? იმიტომ კი

არ გიგზავნი ძღვენს, რომ შენი მეშინია, არამედ მეგობრობის დასამყარებლად; თქვენ მაჰმადის რჯული გიჭირავთ, ჩვენ კი ჭეშმარიტი ღმერთი გვწამს. ტყუილად მემუქრები. ღმერთი არ ინებებს ჩემს დამარცხებას".

სპარსეთის მეფემ ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ აღარ მიიღო მორთმეული ძღვენი და შემოუთვალა დინარას: „თუ გსურს დედოფლად დარჩე და ჩემი წყალობა დაიმსახურო, გიბრძანებ მომცე ყველაფერი და შენ მხოლოდ პერანგები დაიტოვო. თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ დავძრავ შენს წინააღმდეგ მთელ ჩემს ჯარს, ხელთ ვიგდებ შენს სამეფოს და დაგატყვევებ ყველა შენს დიდებულთან ერთად".

დინარამ სპარსეთის მეფეს პასუხად მისწერა: „მრისხანე მეფეო, თუ შენ ესოდენ დიდი ჯარით გამოილაშქრებ სუსტი ქალწულის წინააღმდეგ. კიდეც რომ გაიმარჯვო, შენთვის სამარცხვინო იქნება უმწეო ბავშვზე გამარჯვება. და თუკი ყოველადწმიდა ღვთისმშობელი გამარჯვებას მომანიჭებს, თუ ჩემი ქალური ფეხი შენს მეფურ სხეულს დავადგი და თავი მოგკვეთე, ამით დიდ სახელს მოვიხვეჭ. ძოელი ქვეყნიერება შეიტყობს ივერიის ქალთა დიდებას და სპარსელი მეფის სირცხვილს".

მაშინ ადრამელეხი დიდძალი ჯარით დაიძრა მისი ქვეყნის წინააღმდეგ. დინარამ შეკრიბა თავისი დიდებულნი და მოუწოდა საღაშქროდ გამზადება. ისინი ყოყმანმა შეიპყრო და მოახსენეს დინარას: „როგორ ძალგვიძს წინააღმდეგობა გაეუწიოთ ასეთ უთვალავ ჯარს, ასეთ ძალას?" დინარამ შეახსენა მათ ბიბლიური გმირების სასახელო საქმენი — მცირერიცხოვანთა გამარჯვებანი მრავალრიცხოვან მტერზე, ღვთის შემწეობით. „ნუ მიეცემით სასოწარკვეთას, თუ არ შევიარაღდით ურჯულოთა წინააღმდეგ, თუ სარწმუნოებისათვის არ დავიხოცეთ, სულ ერთია დავიღუპებით და მონებად ვიქცევით. დავიღუპებით შერცხვენილნი ისე, რომ ჩვენი ხსოვნაც აღარ დარჩება... როცა მზის დიდი მცხუნვარება მიწას გააშრობს, ამის შემდეგ მიწა დიდხანს იქნება გამხმარი და უნაყოფო, ასევე შეიძლება დაემართოს ჩვენს გაფართოებულ სახელმწიფოს, გამრავლებულ ხალხს. როგორღა შევძლებთ ჩვენ კვლავ გაერთიანებას, თუ სპარსელები მას შეავიწროებენ და დაიმონებენ?... უკუაგდეთ შიში, გაიმხნევალენით სიმამაცით! რაღას აყოვნებთ? და მეც, ქალწული, მოვდივარ თქვენთან ერთად, დავიცვწყებ ქალურ სისუსტეს, აღვივ-

სები მამაკაცური ძალით, შევიმოსები აბჯრით, თავზე მუზარადს დავიხურავ, ხმალს შემოვირტყამ და ხელში ავიღებ შუბს. წინ გაგიძღვებით და თქვენთან ერთად ვიბრძოლებ!“

ივერიის მთელმა მხედრობამ მოიყარა თავი, ხოლო დედოფალი შაბრენის მონასტრისაკენ გაეშურა ფეხშიშველი, წვეტიანი ქვებით მოკირწყლულ მძიმე გზაზე. მონასტერში მუხლებზე დაეცა ღვთისმშობლის ხატის წინ და მხურვალე ლოცვით შეევედრა მშობელი ქვეყნის უპირველეს მფარველსა და ქომაგს. შემდეგ ცხენზე შეჯდა და ასე მიმართა მხედრობას: „მეგობრებო და ძმებო, მე თქვენზე უწინარეს მსურს თავი დავდო სამშობლოსათვის და თუ თქვენც ასევე მოიქცევით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და გაფარავდეთ ყოველადწმიდა ღვთისმშობელი!“

დინარა დაიძრა თავისი ჯარით სპარსეთის მეფის შესახვედრად. ფიცხელი ომი დამთავრდა ივერიის მხედრობის გამარჯვებით. სპარსეთის მეფე შეპყრობილ იქნა. მას თავი მოჰკვეთეს და შუბზე წამოაცვეს. მოხვეჭილ იქნა უთვალავი ალაფი. მედიდურ ვეტერზე ბრწყინვალედ გამარჯვებული დინარა დაბრუნდა თავის ქვეყანაში...

რუსული თქმულება ივერიის დედოფალზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გახდა მეცნიერთა კვლევის საგანი. მისი შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ ქართველოლოგს მარი ბროსეს და ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვლევარს; აწ განსვენებულ იასე ციცაძეს. ხაზგასასმელია, რომ სწორედ მ. ბროსეს ნაშრომთა გამოქვეყნებამ გამოიწვია ძველი რუსული ლიტერატურის სპეციალისტთა ბუნებრივი ყურადღება და დაინტერესება, რომელიც დღემდე არ შენელებულა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში.

თქმულების გაცნობისას მკითხველს მრავალი შეკითხვა შეიძლება წამოეჭრას, ზოგიერთ მათგანზე ამომწურავი პასუხია გაცემული, ზოგი კი ამოუხსნელი რჩება. მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. სანიმუშოდ დავიმოწმოთ ორიოდე მათგანი: რატომ გადაკეთდა თამარის სახელი რუსულ თქმულებაში? (მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ „დინარა“ ძირითადად უნდა გულისხმობდეს თამარ მეფეს); „თქმულება დინარაზე“ ბერძნულიდან არის ნათარგმნი თუ რუსული ლიტერატურის ორიგინალური ძეგლია? (საბოლოოდ, გაზიარებულია მეორე ვარაუდი): რატომ არის შეცვლილი თამარის მამის სახელიც? (ეგებ, სახელი „ალექსანდრე“ გი-

ორგის ნაცვლად, გამოძახილია იმ ფაქტისა, რომ რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ზეობის წლებში (1476—1511 წწ).

მაგრამ ამ დეტალებზე სჯა-ბაასი და ცდა ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გადაჭრისა აქ უადგილოდ მეჩვენება (სხვათა შორის, დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია გაეცნოს აღძრული პრობლემის სრულ ისტორიას გიორგი პაიჭაძის სტატიაში „მოთხრობა დინარაზე", რომელიც წარმოადგენს ხსენებული ძეგლის შესწავლის კრიტიკულ მიმოხილვას და დაბეჭდილია ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში — გამომცემლობა „მეცნიერება", 1976 წ.).

მხოლოდ რამდენიმე არსებით მომენტს მინდა შევეხო.

მ. ბროსე საკმაოდ ელემენტარულ ჭეშმარიტებას შეგვახსენებს, როდესაც წერს, რომ თქმულების გმირთა საკუთარი სახელების შეუსაბამობა რეალურად შესაძლებელ სახელებთან შედეგია ამ სახელთა უჩვეულობისა რუსი ავტორისათვის. მართლაცდა, მხატვრულ ნაწარმოებს როგორ მოვთხოვოთ სახელების სისუსტე, როდესაც დიპლომატიურ მასალებში ძალზე ხშირად გვხვდება ხოლმე სახელთა გადაკეთება თუ დამახინჯება (ასე მაგალითად, ქართლის მეფე გიორგი X მოხსენიებულია, როგორც „იური", ხოლო კახეთის რომელიღაც დიდებულს ეწოდება „სტროროზან" და ეშმაკმა უწყის, რა ერქვა სინამდვილეში? ეგებ შერმაზანი, ეგებ სარიდანი და ა. შ.).

მ. ბროსე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ თუ ვახელმძღვანელებთ თქმულებაში გადმოცემულ ამბებსა და საქართველოს ისტორიის მონაცემებს შორის ზუსტი ანალოგიების ძებნის პრინციპით, ამით ვერაფერს მივაღწევთ, ვინაიდან „თქმულება დინარაზე" მხატვრული ლიტერატურის ძეგლია და არა — საისტორიო თხზულება.

მ. ბროსე მიიჩნევდა, რომ რუსულ თქმულებაში ასახულია შამქორის ომი (1195 წ.), ითვალისწინებდა რა „ქართლის ცხოვრების" სათანადო ცნობებს.

პირველად ი. ცინცაძემ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ხსენებულ ძეგლში ასახულია არა მარტო შამქორის ომი, არამედ თამარის ეპოქის სხვა ბრძოლებიცა და მნიშვნელოვანი მოვლენებიც.

ცინცაძის მოსაზრებით, რუსულ თქმულებაში თავისი ადგილი

უპოვია ბასიანის ომსაც. მკვლევარმა მთელ რიგ არგუმენტებთან ერთად ისიც მიუთითა, რომ XII—XIII სს. ქართულ საისტორიო წყაროებში სახელწოდება „სპარსი, სპარსელი“ ერცელდება თურქსელჩუკებზეც და იქვე დასძინა, რომ ეს ფაქტი მისთვის ცნობილი გამხდარა ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილთან საუბრების დროს.

ჩემის მხრივ ვიტყოდი, რომ „თქმულება დინარაზე“ ძირითადად უნდა ასახავდეს ბასიანის ომსა და მის წინარე მოვლენებს ანუ რუჭნადინისა და თამარის დაპირისპირებას. ამას მეტყველებს თქმულების უმთავრესი დეტალები: ელჩობათა გაცვლა-გამოცვლა, „სპარსეთის მეფის“ ძლიერება და წრესგადასული გულზვიადობა, რაც მხოლოდ და მხოლოდ რუჭნადინის მაგალითით იქნებოდა შთაგონებული, იმ რუჭნადინისა, რომელიც „უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა“. რა თქმა უნდა, თქმულებაში მოტანილია ზოგიერთი დეტალი შამქორის ომის აღწერიდან. ისევე, როგორც აღნიშნა ქართველთა მიერ თავრიზის აღებისა, რასაც ბასიანის ომიდან შვიდი წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი. მაგრამ რუსული თქმულების ლაიტმოტივი გახლავთ ქრისტიანული საქართველოს ბრძოლა მაჰმადიან აგრესორთან, რომელიც დაპყრობით ემუქრება მას და, რომელიც სასტიკად მარცხდება გადამწყვეტ ომში. თამარისდროინდელ საქართველოს ისტორიაში კი ასეთი მოვლენის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია რუჭნადინის გამოლაშქრება საქართველოზე და ბასიანის ომი (შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ ეპიზოდმა შთააგონა ლადო ასათიანს მშვენიერი პოემა „ბასიანის ბრძოლა“).

ხსენებული თქმულების შესამჩნევ პოპულარობაზე რუსეთში მკაფიოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის არსებობს 80-ზე მეტი ნუსხა ამ თქმულებისა, შემონახული XVI—XVIII სს. ხელნაწერებში, რომლებიც სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და არქივებში არის დაცული. გარდა ამისა „თქმულება დინარაზე“ წარმოადგენს ძველი რუსული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ საკმაოდ ნაშვიათ ტექსტს, რომელმაც ასახვა ჰპოვა ხელოვნებაშიც, სახელდობრ: ხუთი მინიატურა უვაროვის ხელნაწერისა და დინარას ხატი, რომელიც მოსკოვში არსებული დონის მონასტრიდან გადაეცა სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს, ხოლო კრემლის ე. წ. „ოქროს პალატაში“ კედლის მხატვრობას აშშვენებდა გამოსახულება „ლეგენდისა დედოფალ დინარაზე“.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თქმულების ავტორს მარჯვედ შეურჩევია ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან და დაუმუშავებია იმ იდეათა შესაბამისად, რომლებიც აღელვებდა იმდროინდელი რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. თქმულებაში მოცემულია იდეალური სახე ქვეყნის ბრძენი მმართველისა და სამშობლოს მამაცი დამცველისა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ, რუსი მემატიანის ცნობით, ყაზანის აღებისას (1552 წ.) თვით ივანე მრისხანემ თავისი ჯარის გასამხნევებლად წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვაში მისაბაძ მაგალითად დაასახელა იერიის დედოფალ დინარას სიმამაცე.

მ. ბროსე აღნიშნავდა, რომ „თქმულება დინარაზე“, როგორც ჩანს, რუსეთში ძალზე მოსწონდათ და ხშირად იხსენიებდნენ ოფიციალურ აქტებში. ასე მაგალითად, 1619 წელს რუსეთში ელჩად წარგზავნილმა ქართველმა მიტროპოლიტმა ხარიტონმა მოახსენა რუსეთის ხელმწიფეს, რომ ყიზილბაშთაგან დევნილმა თეიმურაზ I-მა თავი შეაფარა იმერეთს და იქვე საჭიროდ ცნო განემარტა, რომ იმერეთი სწორედ ის მხარეა, „სადაც განისვენებს დედოფალ დინარას ნეშტი“ (მაშასადამე, იგულისხმება ქართული წყაროს ცნობა თამარ მეფის გელათში დაკრძალვის შესახებ). ეტყობა, ქართველმა ელჩმა კარგად იცოდა, რომ ოთხი საუკუნის წინათ გარდაცვლილი დედოფალი დინარა ანუ თამარ მეფე გაცილებით მეტად იყო ცნობილი რუსეთში, ვიდრე თანადროული იმერეთი.

ქართველი ელჩებისა თუ მეფეებისათვის კი რუსული თქმულება სახელოვან ქართველ დედოფალზე წარმოადგენდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებურ „სავიზიტო ბარათს“, როდესაც ისინი ჩადიოდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში მაჰმადიან აგრესორთა მიერ გარშემორტყმული საქართველოდან და ითხოვდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკურ დახმარებას. მაგრამ „დინარას“ წყალობით, ისინი უგვარტომო მთხოვნელები როდი იყვნენ. არამედ ავბედობის შედეგად გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნის შვილები, იმ ქვეყნისა, რომელსაც ოდესღაც განაგებდა რუსეთში ესოდენ პოპულარული დედოფალი, მედგარი მედროშე მათი საერთო მტრის — მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში. „თქმულება დინარაზე“ რუსული საზოგადოების სიმპათიებს აღვივებდა ლეგენდარული მეფე-ქალის შთამომავალთა მისამართით და ხელს უწყობდა პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას რუსეთსა და საქართველოს შორის.

რინდები

რინდებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ აღმოსავლეთის ისტორიაში. ისინი ხშირად გვხვდებიან აგრეთვე აღმოსავლური პოეზიის ფურცლებზე. ქართველი მკითხველისათვის უცნობი როდია მათი სახელი. რინდების ვინაობა სხვადასხვა ასპექტით არის გაშუქებული როგორც ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში (ი. ჯავახიშვილი, ვ. გაბაშვილი, ე. ჯაველიძე) ასევე — მხატვრულ ლიტერატურაში („ლაშარელა"). მაგრამ საკითხი ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს და კვლავ იმსახურებს ყურადღებას. დაინტერესება რინდების ასავალ-დასავალით სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ისინი უშუალოდ მონაწილეობენ „ქართლის ცხოვრების" ერთ ფრიად საგულისხმო ეპიზოდში.

ყამთააღმწერელი მოგვითხრობს ლაშა-გიორგის შესახებ: „განიშორნა ვაზირნი მსანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყუარნა თანამოჰასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა, რომელ ესეოდენ უსახურებად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რ ი ნ დ თ ა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რ ი ნ დ ნ ი, მეფისა მისლვასა არ მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს მგუემელნი ძლიერად ვიდრემდე ერთიცა თუალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვო ყვეს".

ყამთააღმწერლის მიხედვით, ამ ეპიზოდს ის მოჰყვა შედეგად, რომ საქართველოს სამეფოს დიდებულებმა, და განსაკუთრებით — ივანე მხარგრძელმა და ვარამ გაგელმა, მკაცრი ულტიმატუმი წაუყენეს ლაშა გიორგის: ვეღარ მოვითმენთ შენს მეფობას, თუ „ბოროტთა ქაცთა" არ განუდგებიო. ქართველი მემატიანე გვარწმუნებს, მეფემ მოინანია თავისი შეცდომები და ფიცი მისცა ვეზირებს, ოქვენს დაუკითხავად ნაბიჯს აღარ გადავდგამო.

ვინ იყვნენ ეს რინდები, რომელთა წრეში ქართველი მეფის ცოფნა საძრახის და სამარცხვინო მოვლენად მიაჩნია ყამთააღმწერელს?

„რინდ" სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოქეიფეს, მსმელს, თავზე ხელაღებულ ლოთი-ფოთს (ესაა ძირითადი მნიშვნელობანი). ყამთააღმწერლის ცნობის შინაარსიც თითქოსდა ემთხვევა ასეთ განმარტებას და მაშინ ბუნებრივია მისი აღშფოთება ლაშა-გიორ-

გის მიერ ჩადენილი „უსახურების“ გამო. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვეულებრივ ლოთებად წარმოგვედგინა ზემოხსენებული რინდები. აღმოსავლურ სამყაროში დიახაც დაცინვითა და ზიზღით ეძახდნენ ასე, მაგრამ თვით „რინდები“ ამაყად ატარებდნენ შერქმეულ სახელს და სრულიად სხვა მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რინდი, მათი გაგებით, ნიშნავდა ვაჟკაცსა და დარდიმანდს, კეთილშობილსა და პატიოსან ადამიანს. ეს მშვენიერად ჩანს აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებიდან...

სხვას რომ თავი დავანებოთ. ჟამთააღმწერლის მიერ უდიერად მოხსენიებულ რინდთა რიცხვს მიეკუთვნება XIV საუკუნის სახელოვანი სპარსელი პოეტი ჰაფეზი. იგი წერდა: „როდესაც ჩაუვლი ჩემს საფლავს, სიყვარულით დაიჩოქე. მთელი ქვეყნის ლაღი რინდები აქ მოვლენ სალოცავად“.

ლაშა-გიორგი და ჰაფეზი... ქართველი მეფე და სპარსელი პოეტი... დროსა და სივრცეს რომ არ დაეშორებინა ისინი, ვინ იცის ეგებ შეხვედროდნენ ერთმანეთს რინდების წრეში.

რინდის სახეს ღრმა გენეტიკური ფესვები მოეპოვება აღმოსავლეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ისტორიაში. მისი ჩანასახი ჩნდება ჯერ კიდევ X საუკუნის არაბული პოეზიის ფურცლებზე. ეს სახე ჰაფეზმა დახვეწა და მაღლა ატყორცნა, როგორც სიმბოლო ამაყი და თავისუფალი ადამიანისა.

ჰაფეზის სიტყვით, ბოროტებითა და მაცდურობით აღვსილ წუთისოფელში უსამართლოდ აღზევებულ ბრიყვთა და რეგვენთა ზეიმია, ხოლო ბრძენთ მათ წინაშე სამათხოვროდ გაუწვდიათ ხელი. არაბულ მერნებს ზურგზე ვირის კურტანი ადგათ, ბნელი სიმდაბლე ცხოვრების კანონად გადაქცეულა და ქერის ერთ მარცვლად ღირს ფასობს მგოსნის სიმღერა. მაგრამ ჰაფეზი არ მისდევს მუხთალი წუთისოფლის წესსა და რიგს („ო, გულო ჩემო, არ გაიკარო მხვეჭელობა და სიხარბე მგლური“). მისთვის სულ ერთია, რას იტყვიან სხვანი. თავისი დაძონძილი მოსასხამი ურჩევნია სულტნის ზიზილ-პიპილებს.

ჰაფეზის ლექსებში ხშირად შეხვდებით რინდს — უსახლკარო მოქეიფეს, უდარდელსა და ენამახვილს. ეს გახლავთ პოეტის დადებითი გმირი და თვითონაც ეხალისება რინდობა („რინდებს და თავზე ხელაღებულებს ღამის ყუნათებ, როგორც სანთელი“) ჰაფეზი უმოწყალოდ დასცინის საზოგადოების უხამს კანონებს; სარკაზმითა

და რისხვით მოიხსენიებს ზნეობის დამცველ მღვთაებებს, ცრცხლისმოყვარულ მუფთიებს, მოსყიდულ მსაჯულებს, ამპარტავან დიდმოხელეებს, მატყუარა იმამებსა და მოლებს — მათი თვალთმაქცური ლოცვებითა და ბინძური საქმეებით, დედამიწაზე დამყარებული ჯოჯოხეთითა და ზეცაში აღთქმული სამოთხით. ხოლო ფარისეველური მორალით შებორკილ საზოგადოებას უპირისპირდება რინდი — არწივივით ლაღი, გულითა და გონებით მდიდარი, ერთგული მეგობარი, შმაგი მიჯნური.

ადამიანური სიყვარულის ქებათა-ქება ეწინააღმდეგებოდა ღვთის სიყვარულის ქადაგებას. ჰაფეზის მიხედვით, სატრფოს სიყვარულს მოჰყვება განთავისუფლება მიწიერ თუ ზეციურ მეუფეთაგან. სიყვარულის თემასთან მჭიდროდ არის გადახლართული ღვინის თემა. კულტი მაჰმადიანთათვის აკრძალული ღვინისა მკრეხელობას წარმოადგენდა მორწმუნეთა თვალში. ხშირად იმოწმებენ ხოლმე ფრანგი ირანისტის ჯ. დარმსტეტერის სიტყვებს იმაზე, რომ სპარსულ პოეზიაში ღვინის სმა ესაა ამბოხი მიმართული ყურანის წინააღმდეგ, ფარისეველთა წინააღმდეგ, სარწმუნოების მიერ ადამიანის ბუნებისა და გონების დათრგუნვის წინააღმდეგ.

ჰაფეზიც სვამს და ხან ღვინით თვრება, ხანაც — სიყვარულით („ჰაფეზ, არც ერთი წამი უღვინოდ, არც ერთი საათი უსიყვარულოდ!“); სვამს და აღიზიანებს თავისი დროისა და მომდევნო საუკუნეთა ფარისევლებს. მას ეამაყება სახელი მეამბოხე რინდისა, რომელიც ამსხვრევს ისლამის მიერ კვარცხლბეკზე აღმართულ ფეტიშებს. რინდს არ ხიბლავს აღთქმული სამოთხის მაცდუნებელი სილამაზე. და დაცინვით მიმართავს მორწმუნე ასკეტს: სამოთხეში ნუ მეპატიჟები, ეგ ჩემი ხვედრი არ არისო. შენ წილად გერგო ღვთისმოსაობა, ლოცვა და კანონი, მე კი ღვინის სარდაფში წაგალ, იქაც ტაძარია, ოღონდ სხვაგვარად ლოცულობენო („მოდი და შევსვათ იმდენი ღვინო, რომ თავს დაგვექცეს მთელი სამყარო“).

ჰაფეზის შემოქმედებით თანაბრად ტკბებოდნენ მეფენიც და გლახაკნიც, სწავლულნიც და უსწავლელნიც. მის ლექსებში ყველა იმას პოულობდა, რასაც ეძებდა. აღმოსავლელი კომენტატორები ჰაფეზის თითქმის ყოველ სტრიქონში მისტიკურ შინაარსს ხედავენ და ამტკიცებენ, რომ ჰაფეზის მიერ ვენებიანი შტრიხებით დახატული სატრფო ესაა ღმერთი, ხოლო ღვინო — სულიერი ექსტაზია, რომელსაც ეძალება ადამიანი, რათა მიაღწიოს სანატრელ შეერთებას ღმერთთან. თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროპელ მკვლევართა

ერთი ნაწილი საუსებით უარყოფს ჰაფეზის შემოქმედებაში სუფიურ განწყობილებათა არსებობას და მისი ჰედონიზმი რეალური ცხოვრების მრწამსად მიაჩნია.

ჰაფეზი ამბობს: გათავდა მარხვა და მოვიდა გაზაფხული. გაიარა ფიცისა და პირმოთნე ლოცვათა ჟამმა. დგება ჟამი რინდებისა— ბრძნიარული ჟამი. ტკბებიან რინდები სიმღერითა და ღვინით. რა არის დანაშაული მსმელთა? რა ბრალი მიუძღვით? სჯობს იყო ალალი რინდი, ვიდრე ფარისეველი, შავ სინდისს რომ მალავს. ჩვენ ასკეტები არა ვართ, ლაღი რინდები ვართ. ჰეშმარიტების ცოდნა — აი, ჩვენი ერთადერთი საიდუმლო. არაფერს ვუშავებთ არავის. სჯობს ღვინისმსმელი იყო, ვიდრე სისხლისმსმელი! (საბჭოთა ირანისტი ი. ბრაგინსკი ასკვნის, რომ ჰაფეზის მთელ შემოქმედებას წითელ ხაზად გაჰყვება პროტესტი არსებული წყობის წინააღმდეგ და ოცნება ნათელ მერმისზე. რინდები ამიტომაც ხდებოდნენ ხოლმე სოციალურ მოძრაობათა აქტიური მონაწილენი).

ჰაფეზის პოეზიამ შთააგონა გოეთეს შექმნა თავისი „დასავლურ-აღმოსავლური დივანისა“, რომლის მეორე ნაწილს ეწოდება „ჰაფეზის წიგნი“. ვაიმარელი ბრძენი ასე მიმართავს შირაზელ პოეტს: არც დასაბამი გაქვს, არც დასასრული — მარადისობის დარად. ნეტავი, შენი ხვედრი მარგუნა! ჰაფეზ, ვიქნებით ჩვენ მეგობრები. ცხოვრების ჭირსა და ლხინში შენთან ერთად შევიცნობ სიყვარულსა და თრობას...

როდესაც საბჭოთა პოეტების დელეგაციამ ირანში ყოფნისას მოინახულა ჰაფეზის აკლდამა-მუზეუმი, მათ მიართვეს შირაზელი პოეტის ვეება ტომი, მწვანე ტარსიკონის ყდა რომ ჰქონდა გადაკრული, და საბჭოთა სტუმრები, აღმოსავლური ჩვეულებისამებრ, შეუდგნენ „წიგნზე მკითხაობას“. ერთმა მათგანმა შემთხვევით გადაშლილ გვერდზე ამოიკითხა შემდეგი: „მე მოვდიოდი შენს შესახვედრად, გადმოვიარე უდაბნო და მაღალი მთები. ჩვენ ერთი სისხლისანი არა ვართ, ჩვენ ერთი ენა არა გვაქვს, მაგრამ გული ეხმიანება გულს“.

...რინდებს მარტო ჰაფეზის ლექსებში როდი ვხვდებით.

XII საუკუნის სპარსელი პოეტი სანაი თავს მიიჩნევდა რინდად და ასე მიმართავდა ზნეობის მეთვალყურე მუჰთასიბს: რა გესაქმება ჩვენს ზარხოშ ცბანთან, რა დაგიშავეს სევდით შეპყრობილმა მიჯნურებმა?

XIII საუკუნის სპარსელი პოეტი ჯელალ ედ-დინ რუმი აღ-ხადებს: ტრფობისგან მთვრალი მიველდე რინდებს... და მეც რინდი ვარ".

მომხიბლავად ელვარებს თავისუფლების მოტრფიალე რინდის სახე XVI საუკუნის თურქი პოეტის რუჰი ბაღდადის შემოქმედებაში. მისი სიტყვით, სიყვარულით გახელებული რინდები მწუხარების მტვრით დაფარულ ქვეყანაზე მგორავი მარგალიტები არიან, რომლებიც არად აგდებენ მუხთალი ბედის სიბნელეს, რადგანაც სიყვარულის მზით არიან გასხივოსნებულნი...

ცხადია, რინდებისათვის ღვინოცა და სიყვარულიც ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან თავის დახსნის გზა იყო, წვდომა უხილავი სინათლისა და შეურყვნელი ჭეშმარიტებისა; ძიება სხვა ღმერთისა, რომელიც არა ჰგავდა მაჰმადიანი მოლებისა თუ ქრისტიანი ხუცებების ყბადაღებულ ღმერთს.

აღმოსავლური პოეზიის მასალების მიხედვით ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთის ქალაქებში არსებობდა „რინდების უბანიც", სადაც თავშესაფარს პოულობდნენ სხვადასხვა გვარისა და სარწმუნოების მიუსაფარნი: ქრისტიანები, იუდეველნი, ზოროასტრელნი, მანიქეველნი, მრავალნაირი ერეტიკოსნი ისლამისა, მოხეტიალე დერვიშები, მელექსენი და მუტრიბნი.

რინდები XIII საუკუნის თბილისშიც ცხოვრობდნენ. ამას ნათლად მეტყველებს ჟამთააღმწერლის ცნობა.

ქართული სიტყვა „გარინდება". ალბათ, სულიერი ექსტაზით შეპყრობილი რინდის სახემ წარმოქმნა (ვგონებ, პ. ინგოროყვას გარდა, არავის აღუნიშნავს ეს ანდა იმდენად უეჭველია, რომ ალარ ჩაუთვლიათ მსჯელობის ღირსად. ამას გვაფიქრებინებს ვახუშტი კოტეტიშვილის მოხდენილი თარგმანიც ჰაფეზიდან: „...გზად ვინმე რინდი შეჰყრია, გზის პირად გარინდებული").

მაგრამ რა ესაქმებოდა ქართველ მეფეს რინდებთან?

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „უეჭველია, ლაშა-გიორგი სამეფო ტახტის მპყრობელთა შორის თავისი ადამიანური თვისებებით არაჩვეულებრივ პიროვნებად მოჩანს".

მართლაც, ჟამთააღმწერელი ერთობ კოლორიტული შტრიხებით გვიხატავს თამარის მემკვიდრის პორტრეტს.

როგორც ცნობილია, ველისციხეში ყოფნისას ჰაბუკი მეფე ერთ-გათხოვილი ქალის მშვენებას ისე მოუხიბლავს, რომ თავისი გრძნობა

ველარ დაუმორჩილებია და ცოლად წაუყვანია იგი. ქართული სახელმწიფო სამართალი უკრძალავდა მეფეს თავისივე ქვეშევრდომი ქალის შერთვას. მაგრამ სიყვარულის დაუოკებელი გრძნობა სახელმწიფო სამართლის დებულებაზე ძლიერი გამოდგა. მეფისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ ველისციხელი ქალის გაგდებასა და კანონიერი ცოლის შერთვას, რათა სამეფოს ჰყოლოდა კანონიერი ტახტის მემკვიდრე. ლაშა-გიორგი კი ვერაფრით თმობდა თავის სატრფოს და სხვა ცოლის გაგონებაც არ სურდა („მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა"). სამღვდელოება ჰკიცხავდა მეფეს და აფრთხილებდა, მსიძაონი და მემრუშენი ღვთის სასჯელს ვერ ასცდებიანო. აფრთხილებდნენ და შეახსენებდნენ ბიბლიური დავითის სიყვარულის ისტორიას... ლაშა-გიორგისაც უკვე ჰყავდა შვილი ველისციხელი ქალისაგან, მაგრამ მოსალოდნელმა ღვთის სასჯელმა ვერ შეაკრთო ახალგაზრდა მეფე. მაშინ უმაღლესმა სამღვდელოებამ უკიდურეს ზომებს მიმართა: „წარგუარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს". მაგრამ ლაშა-გიორგი თავისი სატრფოს ერთგული დარჩა და სხვა ცოლი აღარ მოუყვანია.

საერთოდ, ქართულ წყაროებში იშვიათია მეფეთა სამიჯნურო რომანების გადმოცემა, ლაშა-გიორგის ამბავი სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს. ჟამთააღმწერლის თხრობა ადამიანური უბრალოებით ამდიდრებს თამარის მემკვიდრეს. საქართველოს მეფეც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ჩვეულებრივად უძგერდა გული.

გაუგონარი რამ იყო ლაშა-გიორგის სურვილი — გადედოფლებია ველისციხელი ქალისა. ამიტომაც უკიჟინებდნენ: „ვითარ ეგების თამარ მეფისა ძესა ესვას ცოლად გლეხთა ასული?" (ანალოგიური სიტუაციები ჩვენშიაც ყოფილა და სხვაგანაც, შორეულსა თუ ახლო წარსულში).

ქართველმა მეფემ თამამი გამოწვევა ესროლა ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებს და ზურგი აქცია ტრადიციას. „აღტაცებულ იქმნა გულისთქმითა მიერ". — როგორც გვამცნობს ჟამთააღმწერელი. და მაინც არ ეწერა პირადი ბედნიერება სამეფო ტახტის მპყრობელს. თავისუფლად მოახროვნე მეფე უძლური აღმოჩნდა სამღვდელოების წინაშე. თავისი დოგმების გასამარჯვებლად არაფერს შეეპუებოდნენ ფანატიკოსი ღვთისმსახურნი, რომლებმაც ჯერ კიდევ ლაშა-გიორგის გამეფებამდე გამართეს ის სარწმუნოებრივი პა-

ჯავახიშვილის სიტყვით), დაწვრილებით რომ არის აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“. თურმე კათალიკოსმა მართლმადიდებლობის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად იმაზე უკეთესი ვერა მოიფიქრა რა, რომ სეფისკვერი (სხვა ვერსიით — „წმიდა კრავი“) სამი დღის ნაშიმშილარი ძაღლისათვის მიეგდო და რომელი სარწმუნოების სეფისკვერსაც შეჭამდა ძაღლი, ის სარწმუნოება გამოეცხადებინა ცთომილად.

„კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ სამღვდელოებას ლაშა-გიორგის მეფობაშიც განუზრახავს იმავე ექსპერიმენტის ჩატარება. მაგრამ ახალგაზრდა მეფეს უთქვამს კათალიკოსისათვის: „არა, მამაო, უკეთუ მე მაშინ დავსწრებოდი, არამცა მექნევინებინა საქმე ესე, ვინაითგან საშინელ და შემაძრწუნებელ არს ესე“. მიუხედავად ამისა, ლაშა-გიორგი მაინც იძულებული გამხდარა ნება დაერთო სარწმუნოებრივი პაექრობისა, ოღონდ მისიცე დაეინებით უფრო ესთეტიკური ფორმა შეურჩევიათ მართლმადიდებლობის დასადგენად — დამშეული ძაღლების ჩარევის გარეშე (იოანე ბატონიშვილის ცნობები მისი თხზულებიდან „ისტორია ქართლისა“ ვრცლად არის განხილული და ნდობის ღირსად მიჩნეული კორნელი კეკელიძის ნაშრომში „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის“).

...ღვთისმსახურებს მშიერი ძაღლის სამსჯავროზე გაჰქონდათ თავისი სარწმუნოების ჭეშმარიტება. რინდების ერთადერთ სარწმუნოებას წარმოადგენდა ჭეშმარიტება.

მიმზიდველი იყო მათი ლაღი ცხოვრება და მეამბოხე სული. რინდები არ ეშორჩილებოდნენ ცისა თუ ხმელეთის მეუფეებს, უსახლკარონი იყვნენ და მთელი ქვეყანა თავის სახლკარად ეგულებოდათ, უქონელნი იყვნენ და ყველაზე მდიდრებად მიაჩნდათ თავი. საქართველოს მეფე, პატრონი ქალაქებისა და სასახლეებისა, მბრძანებელი ყმათა და ლაშქართა, დათრგუნეს ფეოდალური საზოგადოების ულმობელმა კანონებმა, რომელთაც არაფრად აგდებდნენ რინდები.

ათაბაგ-რეგენტობის ჟინით შეპყრობილ დიდვეზირთა, თავკერძა ფეოდალთა და ფანატიკოს ღვთისმსახურთა გარემოცვაში მოქცეული მეფისათვის რინდებთან ყოფნა დროებითი გაქცევა იქნებოდა სამეფო კარზე გაბატონებული სულისშემხუთველი ატმოსფეროდან

ლაშა-გიორგი თავისებურად მისდევდა მამა-პაპათა ტოლერანტულ პოლიტიკას. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია იმდროინდელი ქართველი მეფეების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მაჰმადიანთა მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც დავით აღმაშენებელი, თავის სასახლეში რომ იწვევდა მაჰმადიან სწავლულებსა და თეოლოგებს სადისკუსიოდ, ანდა გულმოდგინედ რომ ზრუნავდა მაჰმადიან პოეტებსა და სუფიებზე.

რაც შეეხება რინდების მიერ ლაშა-გიორგისათვის მარჯვენა ოვალის გამოთხრას, ეს ფაქტი არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ჩოგანბურთის თამაშისას მეფეს თვალში მოხვედრია მეტოქის ჩოგანი. თითქმის მთელი თვე მკურნალობდნენ, მაგრამ ცალ თვალში მხედველობა მაინც დაკლდაო. ავტორი იქვე დასძენს, ლაშა-გიორგის თავისი მეტოქისათვის ერთი ურიგო სიტყვაც არ უკადრებიაო.

XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ამ ეპიზოდის წყაროდ ასახელებს მღვდელმონაზონ იოსებ გამრეკელის ძის თხზულებას, რომელიც დღესდღეობით უცნობია ჩვენთვის (აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ლაშა-გიორგის სატრფო, სახელად სუსანა, გათხოვილი ქალი არა ყოფილა, როგორც ამას ამტკიცებს ჟამთააღმწერელი).

რომელს უნდა ვერწმუნოთ, ჟამთააღმწერელს თუ იოანე ბატონიშვილს?

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჟამთააღმწერელი ტენდენციურად არის განწყობილი ლაშა-გიორგისადმი. XIV საუკუნის ქართველი მემატიანე ცდილობს აგვიხსნას მიზეზი საქართველოს ძლიერი სამეფოს დაქვეითებისა და გვთავაზობს ყველაზე მარტივ განმარტებას. რომელიც ემყარება შუა საუკუნეებში გავრცელებულ თეოლოგიურ კონცეფციას — ყოველგვარი უბედურება ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში წარმოადგენს ღვთის მიერ დაწესებულ სასჯელს ხალხის უსჯულოებისა და უზნეობისათვის. უფალმა ჩვენი ცოდვების გამო სასჯელად მონღოლები მოგვივლინაო, ეკითხულობთ ქართულსა და სომხურ წყაროებში. ხოლო სპარსელი ისტორიკოსის რაშიდ ად-დინის თხზულებაში ჩინგიზ-ხანი ასე მიმართავს დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობას:

„მე სასჯელი ვარ ღვთისა, თქვენ რომ დიდი ცოდვები არ ჩაგედინათ, არც სასჯელი დაგატყდებოდათ თავზე!“

ჟამთააღმწერელსაც მონღოლთა გაბატონება საქართველოში და ქვეყნის გაუგონარი აოხრება მიაჩნია განგების რისხვად, რადგანაც „იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ“. ღმერთი და სარწმუნოება, სიკეთე და სათნოება ალარავის ახსოვდაო. და უზნეობის უპირველეს ნიმუშად ჟამთააღმწერელს ესახება ლაშა-გიორგის ცხოვრება.

მაგრამ ქართველი მეფის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი, მოთხრობილი თვით ჟამთააღმწერლის მიერ, აბათილებს ზემოხსენებულ მტკიცებას (მით უმეტეს — იოანე ბატონიშვილის კორექტიის გათვალისწინებით).

ანდა როგორ დავარქვათ „უსახურება“ ლაშა-გიორგის ნაცნობობას სახელგანთქმული სპარსელი პოეტის წინამორბედ რინდებთან?

„ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა“, — ასე ახასიათებდა ლაშა-გიორგის მისი თანამედროვე ქართველი მემატიანე და დავით აღმაშენებელს ადარებდა გადახდილი ომების გამო.

იმავე ხანებში ფრანგმა რაინდმა პალესტინიდან საფრანგეთს წარგზავნილ ეპისტოლეში „ალექსანდრეს ბადალი ძალითა და სიკეთით“ უწოდა ჯვაროსანთა შესაწევნად ამხედრებულ ახალგაზრდა ქართველ მეფეს, მაგრამ აღმოსავლეთიდან მოვარდნილ მონღოლთა ნიაღვარს, ალბათ, უძლეველი ალექსანდრე მაკედონელიც ვერ შეაკავებდა...

ჟამთააღმწერელს რომ დავუჯეროთ, თამარ მეფის მომდევნო თაობის ღმერთები, თითქოსდა, ვენერა და ბახუსი ყოფილან. თავის დროზე, ამასთან დაკავშირებით ზ. ავალიშვილი შენიშნავდა: „ამგვარი შეხედულება უთუოდ შემდეგი მწარე გაჩირვების ნაყოფია და ქრონოგრაფის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ტენდენციით ასახსნელი. ნამდვილად კი ეს იქნებოდა სიმდიდრესა და უზრუნველობაში გაზრდილი, განათლებული, ხელოვნებაში დაწინაურებული და საკმაოდ თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოება; სწორედ ის, რომლის მგოსანია შოთა რუსთველი... რა თქმა უნდა, ჩვენი დროისათვის არ არის საკადებულო ძველ ქრონიკებში მოთავსებული ზოგიერთი ზნეობრივი მსჯელობანი, არც მათი ისტორიის ფილოსო-

ფია. საქართველოს თანდათანი დაცემის მიზეზები და საფეხურნი რთული რამეა, რომლის ახსნა ორიოდე ფორმულით არ შეიძლება".

ზუსტი და ყურადსაღები ნათქვამი გახლავთ და დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ვინაიდან წარსული საუკუნეების ღირსეულ მოღვაწეთა შეცოდება-შეცდომებს (ტყუილსა თუ მართალს) ზოგჯერ უსაშველოდ აზვიადებენ და ზოგჯერაც, სრულიად უსაფუძვლოდ, ათასი უბედურების მიზეზად სახავენ — ვერც რომ დაესიზმრებოდათ. ხოლო მათ, განკითხულთა და განჩიქებულთ, პასუხის გაცემა არ ძალუძთ სამარადისო მდუმარების ტყვეობიდან. თავს ვეღარ დაიცავენ, ბრალდება-ცილისწამებათა და გაქილიკების წინაშე უმწეონი არიან.

თქმულ არს: ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთო...

ეს შეგონება უსამართლო განკითხვას უნდა ეხებოდეს.

„დაიძრა დიდი სულტანი"

„დაიძრა დიდი სულტანი, სულ დაძრა მთა და ბარია", — ასე იწყება ერთი ხალხური ლექსი, ჩაწერილი ხევში 1875 წელს. პირველივე სტრიქონი გაშსჭვალულია საგანგაშო განწყობილებით და ჩვაუწყებს მოახლოებულ განსაცდელს. საქართველოს ასაოხრებლად დაძრულა „დიდი სულტანი", უთვალავია მისი ლაშქარი და ეჩვენება მოლექსეს, რომ მთელი მთა-ბარი დაუძრავს საომრად გამზადებულ სულტანს. აღიდებულ მდინარესავით მოედინება შეიარაღებული მტერი და მდინარეები არ ჰყოფნის სასმელად. ამომშრალან ალაზანი და მტკვარი. თითქოსდა დევმა შეხვრიპაო ცა უწყალოდ დარჩენილი თევზები სულსა ღაფავენ. საძოვრები გადაიქცა, გაობრდა და გატიალდა. გადამთიელთა ცხენებმა პირწმინდად ვადაძოვეს ბალახი... ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლური სახეები ემსახურება ერთადერთ მიზანს — გვაჩვენოს მომხვდურთა სიმრავლე, მათი ძალა და მედიდურობა. სათვალთვალო კოშკის თავზე ავარდნილი ცეცხლივით ბორგავს ლექსი, რათა ქვეყნის ყოველ კუთხეს მიაწვდინოს ხმა, ყოველ ქალაქსა და

სოფელს აძცოს კარზე მოძდგარი საფრთხე. მოემართება საქართველოსაკენ მტერი და მოსპობით ემუქრება სულიერსა და უსულოს. ჯერ არ დატრიალებულა სიკვდილის უზარმაზარი ცელი, მაგრამ ამ წინათგრძნობას შეუპყრია მოლექსე და მოსალოდნელი ვაების პრელუდიად ისმის მისი ამონაკვნესი: „თევზნი გაწყვიტნა წყურვილით, წამამყვა მათი ბრალია“.

ზემოხსენებული ხალხური ლექსი გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის საყოველთაოდ ცნობილ ეპიზოდს: ხვარაზმელთა შემოსევას საქართველოში და ჯალალედინის მიერ რუსუდან დედოფლის ცოლად მოთხოვნას. მისი შინაარსი ჩვენთვის უცნობ ინფორმაციას არ შეიცავს და არც პერსონაჟთა ვინაობა წარმოადგენს საიდუმლოებას. ასე რომ, ერთი შეხედვით, საკვლევი და დასადგენი თითქოს არაფერი უნდა იყოს. მაგრამ ინტერესს იწვევს მთელი რიგი რეალიები ლექსისა, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ ხალხური ლექსი შემდგომ ხანებში როდი არის შეთხზული საისტორიო წყაროების საფუძველზე, არამედ აღწერილ მოვლენათა თანადროული ნაწარმოებია. საუკუნეები გამოუვლია მას ხალხის მეხსიერებაში ჩარჩენილი სიზმარივით, მაგრამ არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი სისხლ-ხორცი, ფერი არ უცვლია და მხოლოდ ალაგ-ალაგ შებღალულა მომდევნო დროის დანალექებით. ეტყობა, ძალზე პოპულარული ყოფილა ეს ლექსი საქართველოში, ვინაიდან მისი ზოგიერთი მოტივი თუ მხატვრული სახე შეჰრილა, ხანდახან უადგილოდაც კი, გვიანდელი ეპოქის ამსახველ ხალხურ ლექსებში.

„დიდი სულტანი“,— ასე გვაცნობს მოლექსე ჯალალედინს. მართალია, თვით ლექსის შინაარსიდან მშვენივრად ჩანს, თუ სახელდობრ რომელი ისტორიული მოვლენა გახდა მოლექსის შთაგონების წყარო, მაგრამ თუნდაც შერყვნილიყო დანარჩენი ტექსტი, პირველივე სტრიქონი მოგვცემდა გასაღებს მთელი შინაარსის ამოსახსნელად.

ქართული წყაროც „დიდი სულტნის“ ტიტულით მოიხსენიებს ჯალალედინს. ქამთააღმწერელი მოგვითხრობს ხვარაზმელთა ლაშქრის გამოჩენას საქართველოს საზღვრებთან და აღნიშნავს, რომ ივანე მხარგრძელმა და ვარამ გაგელმა მოახსენეს რუსუდან მეფეს „მოსვლა ხვარაზმელთა და თვით დიდისა სულტნისა ჯალალედინისა“. დასახელებული ლექსის ვარიანტი, ჩაწერილი ზემო რაჭაში, კიდევ უფრო ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ „დიდი სულტანი“

ნამდვილად ჯალალედინი გახლავთ. ამ ვარიანტში ვკითხულობთ შემდეგს:: „... შემოდიოდა ხვარამ მეფისა ლაშქარი“ („ხვარამ მეფე“, რა თქმა უნდა, ხვარაზმის მეფეს ნიშნავს).

ლექსის სხვა ვარიანტში პირველი სტრიქონი ამგვარად არის შეცვლილი: „დაიძრა დიდი სულტანი, დააგდო ხორასანია“. ხორასნის ხსენება არ უნდა იყოს გაუგებრობისა და შემთხვევითობის ნაყოფი. აქაც სინამდვილის ზუსტი ასახვა გვევლინება ხალხურ ლექსში. ქართული და სომხური წყაროები ხშირად ხორასნის სულტნობით უხმობენ ლტოლვილ ჯალალედინს. სტეფანოზ ეპისკოპოსი წერს: „გამოჩნდა ხორასნიდან სულტანი ჯალალედინი, ძე ხვარაზმშაჰისა“. სხვა სომეხი ისტორიკოსებიც ამბობენ, მონღოლებმა ხორასნის სულტანი ჯალალედინი თავისი ქვეყნიდან გამოაძევესო. ხვარაზმი მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი, ხოლო ყველაზე ვრცელი ტერიტორია, რომელსაც ფლობდა ირანში დამკვიდრებული ჯალალედინი, სწორედ ხორასნის პროვინცია იყო.

ლექსში აღნიშნულია, რომ საქართველოსაკენ დაძრული სულტანი „ჩამოხდა რეშის წყაროზედ“ (ვარიანტები: „რეშის ჩამოხდა წყალზედა“, „რეხისა წყალსა ჩამოხდა“). რას უნდა ნიშნავდეს რეშის ანუ რეხის წყალი? საფიქრებელია, რომ იგულისხმება მდინარე არაქსი, რომელსაც ქართულ წყაროებში, ძირითადად, ეწოდება „რახსი“. მართალია, ჟამთააღმწერლის თხზულების იმ მონაკვეთში, საქართველოს საზღვრებთან ჯალალედინის გამოჩენას რომ მოგვითხრობს, არსად არაა ნახსენები „რახსი“, მაგრამ მითითებულია, რომ ხვარაზმელნი მოვიდნენ „მოოხრებად ქვეყანათა დვინისა“ (როგორც ცნობილია, დვინი მდებარეობდა არაქსის პირას).

ხვარაზმელი ისტორიკოსი ნესევი გადმოგვცემს: როდესაც ჯალალედინმა შეიტყო ქართველთა ჯარის თავმოყრა გარნისში, იკი სასწრაფოდ დაიძრა იმ მიმართულებით, მიაღწია მდინარე არაქსის ნაპირს, სადაც შეხვდა თავის წინამებრძოლ ამირებს. ჯალალედინს აცნობეს მტრის სიახლოვე და ჯარის სიმრავლე. სულტანმა დეზი ჰკრა ცხენს და შეაგდო მდინარეში. მას ფეხდაფეხ მიჰყვა მთელი ლაშქარი.

საყურადღებოა, რომ ნესევის თხზულებაში პირველად აქ არის მოხსენიებული არაქსი.

გარნისის ომის (1225 წ.) შემდეგ ჯალალედინი დაბრუნდა თაეარიზში და როდესაც თბილისის ასაღებად გამოემართა, ისევ არაქსი-

თან შეჩერდა (სწორედ არაქსის პირას მოხდა სიკვდილით დასჯა გარნისის ომში ტყვედ ჩავარდნილი შალვა ახალციხელისა).

ამრიგად, დასტურდება ხალხურ ლექსში აღნიშნული ფაქტი: დიდი სულტანი რეშის წყალზე ჩამოხდაო.

ჯალალედინი სანდო შიკრიკს მოიხმობს, წერილს ატანს საქართველოში და არიგებს: „ეს ქუჩთა მეფეს მიართვი, ეს სამი სიტყვა ჩემია: „ან ჩვენ დაგვიგდე სამეფო, გადაიარე მთანია, ან მოგვიკრიფე ხარაჯნი, ცხენ-ცხორი, ძროხა-ჯორია, ან მოგვეც ქალი რუსუდან, ტანჩი ალვისა ფერია“..

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ გარნისის ომში გამარჯვების შემდეგ ჯალალედინი ბიჯნისთან შეხვდა ავაგს, ივანე მხარგრძელის ვაჟს, და მისი მეშვეობით სცადა მოლაპარაკება საქართველოს სამეფო კართან. ქართველი მემატიანე დაწვრილებით გადმოგვცემს ჯალალედინის შემონათვალს. უპირველეს ყოვლისა, სულტანი აუწყებს ავაგს, საქართველოს დასარბევად არ მოვსულვარ, მშვიდობა მსურდა, მაგრამ თქვენ საომრად აღიჭურვენით და ფიცხლად შემებითო. მერე ამცნობს თავის ვინაობას და წარმომავლობას, ხვარაზმის სახელმწიფოს სიდიადეს და ძლევამოსილებას, უამბობს მონღოლებთან ომის ამბავს და დასძენს, ქართველთა მხნეობა და ქვეყნის სიმაგრე მსმენიაო. მოუწოდებს შეკავშირებას და საერთო ძალებით ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. საამისოდ, საქართველოს მეფე-ქალი რუსუდანი ცოლად უნდა მიეცათ მისთვის („და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქვენ ზედა. და ვსძლიოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა“). ჯალალედინი აფრთხილებდა ქართველებს, თუ იუარებთ, თქვენს ქვეყანას ავაოხრებ და თუნდაც მე გაგეცალოთ, მონღოლები ახლოს არიან და იმათ ველარ გადაურჩებითო. ჯალალედინი აჩქარებდა ავაგს, სასწრაფოდ შეატყობინე თქვენს მეფეს ჩემი ნათქვამი და კიდევ ერთხელ შეახსენებდა: „არა მნებავს ოხრება საქართველოსა, არამედ დაცვა მტერისაგან“.

ამგვარად, ჯალალედინი ქართველებს უსაყვედურებს მშვიდობის დარღვევას და თავს იკატუნებს, თქვენთან ომს არ ვაპირებდიო.

„დიდი სულტნის“ მტკიცებას უარყოფს მისივე სამეფო კარის მემატიანე. ნესევის სიტყვით, ჯალალედინმა, ჯერ კიდევ გარნისის ომამდე, ელჩები გაუგზავნა რუმისა და ეგვიპტე-სირიის სულტნებს და აცნობა: აზერბაიჯანის ოლქები ხელიდან გამოვგლიჯე ქართველებს და დავეუფლეო. ახლა საქართველოზე გალაშქრებას ვაპირებ,

სასტიკად შევებრძოლები და ვუჩვენებ, რომ სახლს პატრონი გამოუჩნდაო. აღმოსავლური წყაროების მიხედვით, იმ ხანებში ქართველები განუწყვეტლივ არბევდნენ არან-შირვანის პროვინციებს და ჯალალედინი, როგორც მაჰმადიანური სამყაროს მედროშე, თვის ვალად მიიჩნევდა ქართველთაგან შევიწროებული მაჰმადიანური მოსახლეობის ქომაგობას. მაშასადამე, ქართველები თუნდაც არ დახვედროდნენ ჯალალედინს გარნისში, „დიდი სულტანი“ უკვე მოდიოდა საქართველოს ასაოხრებლად.

ხალხური ლექსის ზემოთ მოტანილ ფრაგმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამოთქმა „ქუჩთა მეფე“ (ვარიანტი „ქუშთა“). კონტექსტის მიხედვით ცხადია, რომ იგულისხმება საქართველოს მეფე.

სტეფანწმინდაში ჩაწერილი ვარიანტი თანამედროვე მკითხველისათვის უფრო გასაგები ფორმით გვაწვდის აღნიშნულ სიტყვას. „ქუჩთა“ მეფის ნაცვლად მოხსენიებულია „გურჯთა“ მეფე („ეს გურჯთა მეფეს მიგვირთვი, ეს სამი სიტყვა ჩვენია“). ამ ვარიანტის წყალობით იოლდება „ქუჩთა“ გაშიფრვაც. ცხადია, უნდა წავიკითხოთ „ქურჯთა“, ხოლო არაბულად „ქურჯი“ ჰქვია ქართველს. ხალხურ ლექსში ქართველთა სახელწოდების არაბული ფორმით მოტანა ხაზს უსვამს ლექსის სიძველეს.

„დიდი სულტანი“ ანდა „ხვარამ მეფე“ შეიძლება გადმოსულიყო ფოლკლორში წერილობითი წყაროდან, მაგრამ „ქუჩთა“, ე. ი. ქურჯთა მეფე არც ქართულ საისტორიო წყაროებშია დამოწმებული და არც ზეპირსიტყვიერების სხვა რომელიმე ძეგლში.

ქართველმა მოლექსემ კარგად იცის, თუ როგორ მოიხსენიებენ ქართველებს მაჰმადიანურ სამყაროში და კვლავ ზუსტად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს.

რა მოჰყვა ჯალალედინის წინადადებას?

საქართველოში ცივად მიიღეს ხვარაზმელი სულტნის სამშვიდობო მოწოდება. რაში ეპიტნავებოდათ მისი მეგობრობა-მოკავშირეობა, თუკი ბაგრატიონთა ტახტზე დასვამდნენ გადამთიელს. ყამთაალმწერელი გვაუწყებს: „განკვირდა მეფე და უცხო უჩნდა საქმე ესე“.

ხალხური ლექსი პათეტიკური საბეებით ავსებს მემატიანის ძუნწ მონათხრობს: „ეგ რო რუსუდანს მოხსენდა, გაწყრა ის დედოფალია, უკუნჯვნა ძუძუნი, მაგრა შაიკრა თმანია, უკიპო ჩახდა

ჩარდახსა, შაძრა ჩარდახის კარია: „ცხო ვიღა გათათრებულა ბაგრატიონთა ქალიაო!“ ჩალეწა საყურ-ბეჭედი, მით ჩაინათლა გზანია“.

საქართველოს მეფე ივიწყებს თავის დედაკაცობას და საბრძოლო თადარიგს იჭერს.

ბუნებრივია, რომ საუკუნეთა მანძილზე ლექსი განიცდიდა გარკვეულ ტრანსფორმაციას. ასე მაგალითად, კახეთში ჩაწერილი ვარიანტი ჯალალედინის ნაცვლად ასახელებს თემურ-ლენგს („დაიძრა თემურყეინი, დააგდო ხორასანია“). ეტყობა, თემურის მრავალგზისმა შემოსევებმა ნაწილობრივ დაჩრდილა ხალხის მეხსიერებაში ჯალალედინის ამბავი.

ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს ძირითად ვარიანტში შესული მოტივი: „დიდი სულტანი“ მოითხოვს რუსუდანს... ქართველი მეფისაგან. საქართველოს მეფე — ქალი ლექსის ზოგიერთ ვარიანტში გადაქცეულა მეფის ასულად (ერთგან ვრჩილ მეფე არის ალნიშნული და მეორეგან — ერეკლე მეფე).

და კიდევ ერთი ანაქრონიზმი: სიტყვა „გათათრება“ არ არსებობდა რუსუდანის დროინდელ საქართველოში.

ირკვევა, რომ ხალხის მეხსიერებას ისეთი ფაქტიც შემოუნახავს წარსულიდან, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება.

რაჭაში ჩაწერილი საფერხულო სიმღერა „როს იძრა ცა და ქვეყანა“ რამდენიმე ადგილას ემთხვევა ზემოთ განხილული ლექსის სიუჟეტს (სულტნის მიერ შიკრიკის გამოგზავნა „გურჯთა“ მეფესთან და რუსუდანის მოთხოვნა ცოლად), მაგრამ საგანგებო ინტერესს იწვევს შემდეგი სტრიქონი: „დაიძრა დიდი სულტანი, პატარა ტანოვანია“; შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ეს ფაქტი?

ნესევი თავისი თხზულების დასასრულს ორიოდე სიტყვით გვიხატავს ჯალალედინის პორტრეტს და გვაუწყებს, რომ სახელგანთქმული სულტანი ყოფილა ტანმორჩილი. საეჭვოა, რომ მოლექსს ნათქვამი „პატარა ტანოვანია“ შემთხვევითი დამთხვევა იყოს. როგორც ჩანს, ხალხში დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალს. ალბათ „პატარა ტანოვანი“ სულტნისაგან უფრო უკვირდათ „საქმენი საგმირონია“.

ნესევის გამოთქმით, ჯალალედინი იყო „ლომი ლომთა შორის და გულადი გულადთა შორის“. ხვარაზმელ ისტორიკოსს მრავალი ამბა-

ვი აქვს მოთხრობილი თავისი განცხადების საილუსტრაციოდ. ჯალალედინის რაინდული ბუნების საჩვენებლად თუნდაც ერთი ეპიზოდის დამოწმებაა საკმარისი:

ხლათის ალყის დროს, იქაურმა გამგებელმა მოსალაპარაკებლად მიიწვია ჯალალედინი და უთხრა: „ორივე მხარე დაიქანცა. ეგებ ორთაბრძოლა მოგვეწყო და ამით მოგვეთავებინა საქმე?“ ჯალალედინმა მხოლოდ ჰკითხა, ერთმანეთს როდის შევერკინოთო. ორთაბრძოლა დანიშნეს მეორე დღისათვის. დილით ჯალალედინმა აბჯარი აისხა. ვეზირი ამაოდ არწმუნებდა, ხლათის გამგებელი შენი ტოლი არ არის და მასთან ორთაბრძოლა არ გეკადრებაო. ვერც მიზანს მიაღწევ მისი მოკვლით, ხლათელები მაინც არ დაგვნებდებიანო. ჯალალედინმა მიუგო: „როგორ იქნება, არ შევებრძოლო იმას, ვისაც ბრძოლა სურს? როგორ ვთქვა უარი, როდესაც ორთაბრძოლაში მიწვევენ?“ ვერა და ვერ ააღებინეს ხელი განზრახულზე. მოახტა ცხენს და მარტოდმარტო გაუდგა გზას ხლათისაკენ. დანიშნულ დროს გამოცხადდა დანიშნულ ადგილზე და მოთმინებით ელოდა მეტოქის გამოჩენას. ხლათელებმა ციხის გალავნიდან ლანძღვა-გინება დაუწყეს და ისრების წვიმა დაატეხეს თავს. მეტოქეც არსად ჩანდა და გაწბილებული ჯალალედინი უკან გამობრუნდა.

...ხალხურ ლექსში არც გარნისის ომია ნახსენები და არც თბილისის აოხრება ჯალალედინის მიერ. ალბათ გაუჭირდებოდა მოლექსეს დამარცხებათა და გოდებათა ამეტყველება პოეზიის ენით. მისი მუზა მხოლოდ სასახელო ფაქტს მოუხიბლავს: მოდის მრისხანე სულტანი, აოხრებით ემუქრება ქვეყანას, თუკი არ მიათხოვებენ ცოლად რუსუდანს, მაგრამ საქართველოს მეფე-ქალი ამაყად უარობს მაჰმადიანი ხელმწიფის მორიგ ცოლად გადაქცევას და საომრად ემზადება. საბედისწერო გარნისის ომისა და შემდგომ უბედურებათა ამბავი ვეღარ ჩატეულა ხალხურ ლექსში. სალექსო და სასიმღერო იქ აღარაფერი იყო. პოეზია ვერ გაუძლებდა იმ შემაძრწუნებელი სურათების აღწერას, რომელიც ქართველ ჟამთააღმწერელს შემოუნახავს ჩვენთვის. დადუმება მიჯობდაო, გვეუბნება მემატიანე, მაგრამ თავს ძალას ატანს და მოთმინებით აღწერს „ლიდი სულტნის“ მიერ დატრიალებულ ცოდვის ქალოს. მიუხედავად ამისა, იგი ასეთი ეპითეტებით აბასიათებს სისხლისმსმელ

სულტანს: „კაცი მხნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარ უხორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო“.

რა თქმა უნდა, მაჰმადიანი ისტორიკოსები კიდევ უფრო შეამკობდნენ „დიდი სულტნის“ გმირულ საქმეებსა და თავგანწირულ ბრძოლას მონღოლ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ჯალალედინის სიკვდილიდან მრავალი წელი იყო გასული და მაჰმადიანურ ქვეყნებში მაინც არ სჯეროდათ უკანასკნელი ხვარაზმშაჰის დაღუპვა. ჩამქრალ იმედს აღვივებდა ლეგენდა — ჯალალედინი ცოცხალია, საიდუმლო თავშესაფარში იმყოფება და მონღოლთა დასამარცხებლად ახალ ძალებს აგროვებსო.

უსაფუძვლო როდი იყო მაჰმადიანურ სამყაროში მოხვეჭილი პოპულარობა. ინგლისელი ორიენტალისტი კ. ბოსვორთი წერს, რომ თავისი შეცდომებისა და ცოდვების მიუხედავად ჯალალედინი იყო ერთადერთი კაცი თანამედროვეთა შორის, რომელიც მონღოლ დამპყრობლებს გაეჯიბრებოდა ძალითა და მხნეობით. ლტოლვილმა ხვარაზმშაჰმა და მისმა ჯარმა შექმნეს ჯებირი ისლამსა და მონღოლებს შორის და როდესაც ეს ჯებირი დაინგრა, აღარავის შეეძლო მისი აღდგენა აღმოსავლეთიდან მოვარდნილი ნიაღვრის შესაკავებლად.

მეტამორფოზა რაინდისა

ჩვენში ვის არ გაუგონია მწუხარებით აღვსილი ქართული სიმღერა: „შავლეგ, შენი თეთრი ჩოხა შავად შეგიხამებია...“ მაგრამ შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, მართლა არსებობდა თუ არა ამ სიმღერის პერსონაჟი, როდის ცხოვრობდა და რამდენად იცნობს მას საქართველოს ისტორია.

გიორგი ლეონიძის კალამს ეკუთვნის ოთხი ეპიზოდისაგან შედგენილი ნარკვევი „ქართველი გმირები“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ძველი წარწერა: „ჰოი, მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო, ნუ ვინ გაგვიცუდებთ ჭირნახულს ამას ჩვენსა, რამეთუ აღვესრულენით სამშობლოსა ჩვენისათვის და დავსთხიეთ სისხლი ჩვენი“.

გიორგი ლეონიძე სქოლიოში მიუთითებს, რომ ეს პოპულარული ნაშრომი დაწერილია და დაბეჭდილი 1942 წელს, ქართველი მებრძოლებისათვის.

ნარკვევის პირველ ეპიზოდში დადგენილია ქართულ ფოლკლორში ალბეჭდილი შალვა — შავლეგოს ვინაობა. გარკვეულია საკითხი, რომელიც ავტორისავე სიტყვით ჩვენს მწერლობაში არც კი ყოფილა აღძრული, არათუ გამორკვეული. გიორგი ლეონიძე საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შემოუნახავს XII-XIII სს. გმირი — შალვა ახალციხელი.

ავტორი შემთხვევით როდი უსვამს ხაზს აღნიშნული ნაშრომის შექმნის თარიღს ოციოდე წლის შემდეგ გამოცემულ წიგნში: დაწერილია და დაბეჭდილი 1942 წელს, ქართველი მებრძოლებისათვის...

1942 წელი — დაუვიწყარი ქართველი ხალხისათვის... ქერჩის ტრაგედია და განგაში დარიალის კარიბჭესთან. „ორმოცდაორის ცხელი ზაფხული — სისხლის წვიმები კავკასიაში", — ასე იხსენებს ირაკლი აბაშიძე მრისხანე ორმოცდაორს.

დაახლოებით იმ ხანებში საბჭოეთის დაუძინებელი მტერიც კი, გარემოებათა გამო დროებით მოკაშირედ გადაქცეული, ლიდერი „ვერაგი ალბიონისა", შეძრწუნებული „მიხაკისფერი პირის" გავრცელებით, მთელი მსოფლიოს გასაგონად ღაღადებდა მისთვის უჩვეულო და მოულოდნელ სიტყვებს: „მე ვხედავ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც იცავენ იმ მინღურებს, უხსოვარი დროიდან რომ ხნაკნენ მათი მამა-პაპანი. მე ვხედავ, თუ როგორ იცავენ ისინი მშობლიურ საბლებს, სადაც მათი დედები და ცოლები ლოცულობენ,— დიახ, ლოცულობენ, რამეთუ დგება ხოლმე ჟამი, როდესაც ლოცულობს ყველა. — და დღეს ისინი ლოცულობენ თავის ახლობელთა გადარჩენაზე, თავიანთი მარჩენალის, ქმარგისა და მფარველის შინ მშვიდობით დაბრუნებაზე. მე ვხედავ ათი ათასობით რუსულ სოფელს, სადაც ჭირნახულს ასეთი გაჭირვებით ართმევენ მიწას, მაგრამ სადაც არსებობს მარადიული ადამიანური სიამენი, სადაც კისკისებენ ქალიშვილები და თამაშობენ ბავშვები. მე ვხედავ, თუ როგორ უტიეს ყოველივე ამას საზარელი გააფორებით ნაცისტური სამხედრო მექანიზმი, მისი გულზვიადი, იარაღმოყვარული და ავხორცპირუნა პრუსიელი ოფიცრებიანურთ. მისი მუხანათი და გა-

მოცდილი აგვიტებითურთ, რომელთაც სულ ახლაან დაიმარცხეს და შეპორკეს ათიოდე ქვეყანა, მე ვხედავ მძვინვარე ჰუნთა მხედრიონის ჩლუნგ. გაწვრთნილსა და მორჩილ მასას, ქალიის ხრიკებით რომ მიეცოცავს აღმოსავლეთისაკენ..."

მტერი კავკასიონის მისადგომებთან იყო მოსული და ძალიან მთები გადაულახავ დაბრკოლებას როდი წარმოადგენდა მათი ალპიური დივიზიებისათვის. მთებთან ერთად ადამიანები უნდა აღვართუღიყვნენ მტრის შესაჩერებლად, რათა ნაცისტურ ჩექმას არ გადაეთელა წინაპრების სისხლითა და ოფლით მორწყული „ჩვენს სამშობლოს მიწაზი". ქართველი ჯარისკაცი უნდა მომკვდარიყო, მაგრამ მკერდით შეეკრა დერბენტი და დარიალი, რომ ალესრულებინა წმინდა ვალი ყოველი ქართველისა.

1942 წელს ქართველი პოეტი ქართველ ჯარისკაცს ამხნევებდა წარსულის გმირთა გახსენებითაც, რომლებიც, თუკი უსარკველოდ გაუჭირდებოდა სამშობლოს, მართლაც შეძლებდნენ შეუძლებელს, საფლავებს გამოამტვრევდნენ და ხმლით ქართლის მთებზე დადგებოდნენ. სამშობლოს უჭირდა და სხვებთან ერთად დგებოდა გამორჩეული აჩრდილი შალვა ახალციხელისა...

საუკუნეთა უკუნეთში ქართველი დედა მოთქვით დასტირის თავის შვილს: შალვეგ. შენი თეთრი ჩოხა შავად შეგისამებია... და შვიდასი წლის შემდეგ ყირიმში დაღუპული ქართველი ჯარისკაცი მშობელი დედის მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს, თითქოსდა შალვეგოს დედასაც უწილადებს: არ დაიდარდო დედაო, რაც მე სიკვდილით გაწყინე...

„არა ყოფილა კაცთა შორის მისებური ჭაბუკი და მეომარი..." — ამგვარად ახასიათებს შალვა ახალციხელს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (შეეახსენებ მკითხველს, რომ რუსთველის ეპოქაში „ჭაბუკი" ნიშნავდა „რაინდს"). თამარ მეფის სახელოვანი სარდალი მონაწილეობდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან ომში, საქართველოს რომ გადაუხდია მაჰმადიან აგრესორებთან

1195 წელი. შამქორის ომი. სწორედ შალვა ახალციხელმა მოართვა თამარს ამ ომში მოხვეჭილი ალაფის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი — დროშა ბაღდადის ხალიფასი.

1202 წელი. ბასიანის ომი. სახელგანთქმულ სულტან რუქნადინის სასტიკი მარცხი. ქართული მხედრობის ავანგარდში კვლავ ვხედავთ შალვა ახალციხელს.

1206 წელი. ყარსის აღება. იქაც ვამოუჩენია თავი შალვას.

ერთი სიტყვით, უველგან ჩანდა, სადაც კი იფეთქებდა „ომი ცხელი და ძლიერი", სადაც ისრები თვრებოდა სისხლით და „ჩრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა".

მაგრამ უკვე ახლოვდებოდა დასაწყისი ხანგრძლივი დასასრულისა. საქართველოს „ოქროს ხანა" თავის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ჯერ მონღოლები გამოჩნდნენ საქართველოს საზღვარზე და მერე — მონღოლთაგან სამშობლოდან გაძოდევნილი ლტოლვილი და დაჩრილი ვეფხვივით გამძვინვარებული ჯალალედინი.

სერიოზული გამოცდა ელოდა საქართველოს სამხედრო ძლიერებას.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ჯალალედინმა აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ელჩი წარგზავნა საქართველოს სამეფო კარზე და მორჩილება მოითხოვა. ქართველებმა პასუხად შეუთვალეს: მამაშენი შენზე ძლიერიც იყო და გულადიც, შენზე მეტი ლაშქარიც ჰყავდა, მაგრამ თათრებმა (ე. ი. მონღოლებმა) თავბედი რომ აწყევლინეს შენც მშვენივრად მოგეხსენება და თქვენი ქვეყანაც რომ ხელში ჩაიგდეს, ესეც კარგად იცით. სწორედ ის თქვენი მძლეველი თათრები ჩვენკენაც წამოვიდნენ და კუდით ქვა ვასროლინეთო.

რაოდენ მწარედ ტყუვდებოდნენ...

მონღოლთა მეწინავე რაზმი მონღოლთა ერთიან ლაშქრად მიუჩნევიათ, მათი უკუქცევა — გაქცევად და, რაც მთავარია, მრისხანე მტერთან ორი თუ სამი შეტაკების შედეგი სრულიადაც არ იძლეოდა გაამაყების საბაბს. მონღოლები ამჯერად საქართველოს დაპყრობას არც აპირებდნენ, ისინი დასაპყრობი ქვეყნების დასაზვერად იყვნენ წამოსული და თავის გზას გაუდგნენ. ქართველებმა კი იფიქრეს, ჩვენი შეეშინდათ და გაგვეცალნენო. რომის პაპსაც ასე მისწერეს: ჩვენს საზღვრებთან მოსული თათარნი დავამარცხეთო. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ქართველთა მმართველი წრეებისათვის „ამ სულიერ განწყობილებას სიფხიზლისა და შორსმჭვრეტელობის უნარი მოუდუნებია..."

ეგებ თავს იტყუებდნენ საქართველოს სამეფოს მესვეურნი?

ასეა თუ ისე, არაფრად ჩააგდეს მონღოლთა მიერ დამარცხებული ხვარაზმშაჰის მუქარა და ძვირად დაუჯდათ უსაფუძვლო მედიდურობა.

1225 წლის აგვისტო. გარნისის ომი. ქართული მხედრობის დამარცხება. შალვა ახალციხელი და მისი ძმა კვლავ წინამბრძოლად იყვნენ. ჟამთააღმწერლის სიტყვით, „არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა, ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს“. ხვარაზმელებმა ცხენები დაუხოცეს ორივე ძმას, და ისინი ქვეითად განაგრძობდნენ ბრძოლას. ბოლოს ხმლები გადაუტყდათ მტრის მუზარადებზე. „შალვა მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ, და ივანე, გარნისის კლდეთა შელტოლვილი, ზენაკერძო მოტევებულითა ქვითა მოიკლა“. ბრძოლაში დაჭრილი შალვა ახალციხელი ჯალალედინის საპატიო ტყვე გახდა.

ალმოსავლური წყაროები საკმაოდ ვრცლად აშუქებენ გარნისის ომისა და შალვა ახალციხელის ტყვეობის ამბავს.

ხვარაზმელი ისტორიკოსი ნესევი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ კარგად იცნობდნენ შალვა ახალციხელს საქართველოს მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებში. აზერბაიჯანის ათაბაგ უზბეგის (ხვარაზმშაჰს რომ დაუქვეშევრდომდა) ერთ-ერთ მოხელეს უამბნია ნესევისათვის: როდესაც ელჩად ვიყავი საქართველოში, შალვა გულითადად მექცეოდა, მაგრამ მის კვეხნას საზღვარი არა ჰქონდაო. ერთხელაც მითხრა—ნეტავ ჩვენს დროში ეცხოვრა ალის („მუჰამედის სიძე გახლდათ, მეოთხე ხალიფა, „ხერხემლის მალების გამკვეთი“ ხმლის პატრონი), მართლმორწმუნეთა ამირას, ისეთ დღეს დაუყრიდი, თავისი გაჩენის წუთს დაწყევლიდაო.

სპარსელი ისტორიკოსი, მონღოლთა სამსახურში მყოფი ჯუვეინი, მოგვითხრობს, რომ შალვა და ივანე, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, შებორკეს და ჯალალედინს მიჰგვარეს (სხვა წყაროები მხოლოდ შალვას დატყვევებას აღნიშნავენ და, როგორც ზემოთ ითქვა, ჟამთააღმწერლის მიხედვით ივანე მოკლულ იქნა გარნისის ომში. ჩვენც ვერწმუნოთ ამ ცნობას და ჯუვეინის თხრობაში ივანეს ხსენება გამოვტოვოთ).

ჯუვეინი ხაზს უსვამს შალვა ახალციხელის „ტანის სიდიდესა და წარმოსადეგობას, კეთილშობილ ღირსებასა და ძლიერებას“ და განაგრძობს, რომ ჯალალედინმა დამცინავად ჰკითხა ახოვან ქართველ სარდალს: რა იქნა შენი მძვინვარება, რომ გაიძახოდი, სად არის ალი, ჩემი ბასრი ხმლის დარტყმა ეხილაო? დატყვევებულ რაინდს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი და ვაჟკაცური მოკრძალებით მიუგო: სულტანი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული და

ჩვენ რას გავაწყობდითო. ამის შემდეგ გამაჰმადიანება მოსთხოვეს. შალკას უპასუხნია: გლეხებს ასეთი წესი აქვთ, რომ ბოსტანში ავი თვალის დასაფრთხობად სახედრის თავს ჰკიდებენ. ისლამის ბალის სიმწვანეში მეც ვირის თავი ვიქნებიო. ამ ენამოსწრებული პასუხის დამოწმებისთანავე ჯუვეინი უხამსად მოიხსენიებს შალვას: „მაგრამ თვითონ კი, უკაცრავად პასუხია, ნამდვილი უკანალი იყო ვირისა“. (ავტორის ზიზღი აღწერილ მომენტს არ უკავშირდება და შემდგომში მომხდარით არის განპირობებული).

ჯუვეინის პირდაპირ არა აქვს მითითებული შალვას გამაჰმადიანება, მაგრამ ეს ფაქტი აშკარად გამოსჭვივის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით. სამაგიეროდ რაშიდ ად-დინი, რომელიც ხშირად სარგებლობს ჯუვეინის თხზულებით და, კერძოდ, ამ მონაკვეთში თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს თავის წყაროს, დაბეჯითებით გვარწმუნებს: შალვამ ისლამი მყისვე აღიარა და მუსლიმი გახდაო.

და რაც მთავარია, ამ ფაქტს ადასტურებს შემდგომი თხრობა ჯუვეინისა, სადაც ნათქვამია, რომ ჯალალედინი პატივით მოეპყრა შალვას და იმ განზრახვით, რომ საქართველოს დაპყრობაში დამეხმარებაო, დამატებითი წყალობის სახით უბოძა ირანის აზერბაიჯანის ქალაქები: მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ. ამ ცნობას მოსდევს ლექსი ჯალალედინის მისამართით: „რა იმედი გაქვს შენ უწმინდურისა? განა გათეთრდება ზანგი, თუნდაც განბანო?“

სულტანმა დიდი ლაშქარი გაამზადა საქართველოს დასაპყრობად და შალვა ახალციხელი თან გააყოლა. ჯუვეინის სიტყვით, შალვა სულტანს მისი განწყობილობის შესაფერი სიტყვებით ატკბობდა, ყოველგვარ ვალდებულებას კისრულობდა და ცრუ დაპირებებით აქეზებდა. „მუხანათობის თოკით სიკვდილის ჭაში“ მისი ჩახრჩობა უნდოდაო, ჯუვეინი შალვა ახალციხელს ადარებს მელას, რომელსაც თავისი მზაკვრობის ბორკილით სურდა შეებოჭა ჯალალედინი — ლომი ავაზის ბუნებისა.

საქართველოზე გალაშქრების წინ სულტანმა რჩევა ჰკითხა შალვას: თბილისისაკენ რომელი გზაა უკეთესი — ყარსისა თუ მარჭაბის ხეობისაო (ინგლისელი მკვლევარის ჯ. ბოილის აზრით „მარჭაბი“ უნდა გულისხმობდეს დებედას ხეობას). შალვამ უპასუხა: ყარსის გზა გამაგრებულ ქალაქებზე გადის, იქ გავლა გაძნელდება, მარჭა-

ბის გზა უფრო მოკლეც არის და თბილისამდე მალე მიგვიყვანსო; სულტნის გამოჩენას რომ შეიტყობენ, ქართველთა ჯარი დაიფანტება და თბილისსაც იოლად დაიპყრობთო. სულტანმა მისი რჩევა ყურად იღო, შალვამ კი მალულად აცნობა საქართველოს სამეფო კარს მოახლოებული საფრთხე და ხვარაზმელთა ლაშქრის მარშრუტი. ამავე დროს, ჯალალედინმა ელჩი გაგზავნა რუსუდანთან მოსალაპარაკებლად (როგორც ჩანს, ლამობდა საქართველოს დამორჩილებას უომრად). ბრმა შემთხვევის წყალობით, ჯალალედინის ელჩმა შეიტყო შალვას საიდუმლო გეგმა — ქართველები მარჭაბის ველზე უსდა შემორტყმოდნენ ხვარაზმელთა ლაშქარს და შური ეძიათ გარნისის ომში დამარცხებისა. ელჩმა სასწრაფოდ აუწყა ჯალალედინს შალვა ახალციხელის „მზაკვრობა და თვალთმაქცობა". ჯალალედინისათვის ყველაფერი ნათელი შეიქნა. ჯუვეინის სიტყვით, იგი „წამოდგა, ხელში ნაჭერი ხმალი წელზე შემოჰკრა შალვას, შუაზე გაკვეთა და ხმალი შელება მისი სისხლით. თანაც ბრძანა, ყველა დანარჩენიც ჯოჯოხეთში გაგზავნეთო" (იქ. ჯავახიშვილი, იბნ ალ-ასირის ცნობების გათვალისწინებით, შენიშნავს, რომ შალვას სიკვდილით დასჯა 1226 წლის დეკემბერს უნდა მომხდარიყო. იმავე წლის მარტში ჯალალედინმა თბილისი აიღო და სასტიკად აოხრა).

თავად ქართულ საისტორიო მწერლობაშიც შემონახულა შალვა ახალციხელის უკანასკნელი პორტრეტი — თავისებურად შეფერადებული, და შეიძლება ითქვას, ერთგვარად დამახინჯებულიც კი.

ქამთააღმწერელი ადასტურებს ნესევის ცნობას შალვა ახალციხელის პოპულარობაზე მაჰმადიანურ სამყაროში და მოგვითხრობს, რომ შეპყრობილი შალვა წარუდგინეს ჯალალედინს და „მოახსენეს სულტანსა ახოვნება და წყობათა შინა სიქველე მისი". ჯალალედინმა დიდი პატივით მიიღო სახელოვანი ტყვე და წყალობის ნიშნად აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქი უბოძა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ შალვა ახალციხელი „მოიკლა სულტნისა მიერ არა დატევებისათვის სჯულისა".

შევსებული „ქართლის ცხოვრება" უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს, თუ როგორ ცდილობდა ჯალალედინი შალვას გამაჰმადიანებას, „ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა", ხან უთვალთვალებდა, ხანაც სატანჯველითა და სიკვდილით აშინებდა. მაგრამ ქართველი სარდალი „მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა

ზედა". პოლოს და ბოლოს, იმედგაცრუებულმა ჯალალედინმა წამებით მოაკვლევინა თავისი ტყვე.

ასეთივეა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ უფრო მოკლედ აღწერილი ამბავი შალვას ტყვეობისა და სიკვდილისა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ანტონ კათალიკოსმა დაწერა „შესხმა და მოთხრობა ღვაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდებისა მოწამისა შალვა მთავრისა ახალციხელისა მანდატურთუხუცესისა", რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ შედგენილი ჰაგიოგრაფიული კრებულის („მარტირიკა") ერთ-ერთ ნარკვევს.

როგორც ე. გაბიძაშვილი აღნიშნავს, ანტონ კათალიკოსმა მთლიანი ჰაგიოგრაფიული თხზულების სახე მისცა შალვა ახალციხელის შესახებ ჟამთააღმწერლის მონათხრობს — თავის. ძირითად წყაროს.

ანტონ კათალიკოსის ნარკვევში დაწვრილებით არის გადმოცემული ჯალალედინის ცდანი შალვას მოქცევისა მაჰმადიანურ რჯულზე. მისი გულუხვი დაპირებანი — კიდევ უფრო მეტი ქალაქები და სოფლები, ოქრო და ვერცხლი, სიმრავლე მონათა და მხევალთა. ამას მოსდევს შალვას ვრცელი პასუხი, რომელიც შეიცავს დოგმატიკურ მტკიცებებს საიქიო ცხოვრების უპირატესობაზე მიწიერ განცხრომასთან შედარებით. ჯალალედინის ლიქნა იცვლება სასტიკი მუქარით. პასუხად შალვა ასე მიმართავს: ჯალალედინ, იცოდე, ჩემი ჭეშმარიტი ღმერთის გარდა სხვა ღმერთს არ ვალიარებ და ვერ გაჭრის შენი მახვილი ჩემი სულის მახვილსო. შემდეგ აღწერილია შალვას საპყრობილეში ჩაგდებისა და წამების სცენები და მისი აღსასრული. თხზულების განხილული ნაწილი განსაკუთრებით გადატვირთულია ბიბლიური ციტატებით. ანტონ კათალიკოსი შეუნიერად ახმოვანებს შალვა ახალციხელის შინაგან მონოლოგსაც: ხომ გახსოვს, შალვა, რამდენჯერ გიბრძოლია შენი მოკვდავი მეფისათვის, რათა მიგეღო ჯილდოდ დიდება კაცთა შორის, ხოლო უკვდავი მეფე მოგცემს ჯილდოდ დიდებასა უხრწნელსაო.

ვგონებ, ადვილი შესამჩნევია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი განსხვავებაა არის ალმოსავლურ და ქართულ ვერსიათა შორის შალვა ახალციხელის თავგადასავალზე ტყვეობაში.

რომელ ვერსიას უნდა ვენდოთ?

XIV საუკუნის ავტორს, ჟამთააღმწერელს რომ ვუწოდებთ, რა ექმა უნდა, თითიდან არ გამოუწოვია თავისი ტექსტი და, ალბათ,

თანადამხვდურის მასალას ეყრდნობა. მაგრამ იმ პირველწყაროს ვინაობა ჩვენთვის უცნობია და ამიტომაც ქარ.იული ვერსიის შექმნ., პირობითად, ჟამთააღმწერელს მივაწეროთ. შალვა ახალციხელის ტყვეობის ამბავი ჟამთააღმწერელს ორიოდე სიტყვით აქვს გადმოცემული და მართლაც რომ ყურმოკრულსა ჰგავს. ხოლო ანტონ კათალიკოსის ვრცელი თხრობა ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის დამახასიათებელი მანერით — მისი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია.

XIII საუკუნის ავტორი — სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი საკმაოდ ვრცლად აღწერს ზემოხსენებულ ამბავს. მრავლად არის ძალზე საინტერესო დეტალები და ყოველმხრივ ჩანს, რომ მისი ვერსია უფრო უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

ამასთან ერთად, ჟამთააღმწერლის მონათხრობი შეიცავს ერთ ლოგიკურ წინააღმდეგობას, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ეჭვს. აბა თავად განსაჯეთ, თუკი შალვა ახალციხელმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, თავისი სარწმუნოებრივი ფანატიზმით განთქმული ჯალალედინი როგორღა უბოძებდა მაჰმადიანთა მახვილით მოხვეჭილ ქალაქებს, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. და თუ მაინც უბოძა, და თუ მაინც ენდო, ერთი წლის შემდეგ რაღას ერჩოდა? ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ წყალობით შეემკოთ ქრისტიანი ტყვე და მერეღა მოეთხოვათ მისგან გამაჰმადიანება. დავუშვათ, რომ ჯალალედინმა ავანსად გასცა წყალობანი და იმედს არა კარგავდა შალვას გამაჰმადიანებაზე: მაგრამ განა გაუგებარი არ არის ჯალალედინის სურვილი — თბილისამდე უფრო მოხერხებული მარშრუტის თაობაზე რჩევა მიეღო იმ ქართველი სარდლისაგან, რომელიც კატეგორიულ უარს აცხადებდა გამაჰმადიანებასა და, იგულისხმება, მაჰმადიანი ხელმწიფის სამსახურზე.

ანტონ კათალიკოსი იმეორებს ზემოთქმულ ლოგიკურ წინააღმდეგობას და კიდევ უფრო აღრმავებს. მისი სიტყვით, შალვა ახალციხელი ჯალალედინს არწმუნებდა, თუკი მხედრად გამოგადგები, ჩემსავე რჯულზე დამტოვეო. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გარნისის ომამდეც და ომის შემდეგაც ჯალალედინის უპირველესი მიზანი იყო საქართველოს დაპყრობა. ანტონ კათალიკოსის თანახმად უნდა ვიფიქროთ, რომ შალვა ახალციხელს ეხამუშებოდა მხოლოდ და მხოლოდ გამაჰმადიანების რიტუალი, ანდა ნამაზის შესრულება დღეში ხუთჯერ, ანდა მრავალცოლიანობა. ასეთი დოგმატიკოსი

როგორ იქნებოდა თამარისა და ლაშა-გიორგის გულადი სარდალი — ოღონდ ნუ გაჰპაჰმადიანებთ და თუნდაც საქართველოს დაპყრობაში დაგეხმარებითო. აღმოსავლურ წყაროებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე კი უნდა დავასკვნათ სრულიად საწინააღმდეგო გულისხმება: შალვასი — ოღონდ სამშობლოს დაეხმარო და თუნდაც გავმაჰმადიანდებიო.

ქართული წყარო შალვას სიკვდილით დასჯის მიზეზად თვლის ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებას, ხოლო აღმოსავლური წყაროების მიხედვით დღესავით ნათელია, რომ შალვა ახალციხელი სამშობლოსათვის გაცილებით დიდი სამსახურის გაწევას აპირებდა. დატყვევებული შალვა კვლავ ერთგული რჩებოდა მშობელი ქვეყნისა და კვლავ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა. დიახ, გარეგნულად გამაჰმადიანდა, ოღონდ პირადი ანგარება არ ამოძრავებდა, თავის მოძმეთა დასათრგუნად და მოსასპობად როდი დაჰყვა გამარჯვებული სულტნის ნება-სურვილს. მისი გამაჰმადიანება, როგორც შემდგომში თვალნათლივ დამტკიცდა, მხოლოდ და მხოლოდ ხერხი იყო ჯალალედინისათვის თვალის ასახვევად. შალვას წლობით არ გაუგრძელებია მტრის დროშებქვეშ სამსახური და თავისი „მაჰმადიანობა". ოთხიოდე თვე გაუძლო იძულებით თვალთმაქცობას და პირველსავე ხელსაყრელ მომენტში გარისკა, მიეწოდებინა საქართველოს სამეფო კარისათვის ჰაერივით საჭირო ინფორმაცია ჯალალედინის ბანაკიდან.

ქართულ ვერსიაში ვხედავთ შალვას მორალურ გამარჯვებას მტერზე. მაგრამ მისი ჩანაფიქრი რომ განხორციელებულიყო, შესაძლოა სამხედრო გამარჯვება (და თავისთავად — მორალურიც) ქართველებს რგებოდა წილად. ვინ იცის, ეგებ სულ სხვაგვარად წარმართულიყო ჯალალედინთან შემდგომი ომების მსვლელობა და საქართველო ასე სისხლდაცლილი აღარ დახვედროდა ხელმეორედ შემოჭრილ მონღოლებს.

ქართული ვერსიით, შალვამ მხოლოდ საკუთარი სული იხსნა ცდუნებისა და წაწყმედისაგან. სინამდვილეში, ბედს რომ გაეღიმა, იგი დალუპვისაგან გადაარჩენდა მრავალთა და მრავალთ, იხსნიდა მშობელ ქვეყანას აოხრებისაგან, იმ აოხრებისაგან, რომელიც სათავედ დაედო მომდევნო საუკუნეთა ტრაგედიას.

საქართველო და ქრისტიანობა განუყოფელი ცნებანი იყო წარსულში, მაგრამ შალვასათვის, ამ კერძო შემთხვევაში, სამშობლოს

ინტერესები დგებოდა ყველაფერზე მაღლა, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად არ გამოჰმადიანებულა, სამშობლოს გადარჩენა სწყუროდა. ეგებ ახსოვდა სიტყვები სახარებიდან: „უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დაჰსდუას მეგობართა თვისთა თვის“. ტყვე სარდალმა მოძმეთათვის განწირა სულიცა და ხორციც.

ქამთააღმწერლის მიერ აღწერილი მარტვილობა შალვა ახალციხელისა, რა თქმა უნდა, მომავალ თაობებსაც გამოადგებოდა, როგორც ნიმუში სიმტკიცისა და თავდადებისა (და ალბათ, ასეც იყო), მაგრამ სინამდვილე, ჩემი აზრით, უფრო ეფექტურად გამოიყურება — თავგანწირვა სამშობლოსათვის ქრისტიანული დოგმების დროებითი უარყოფის ფასად. თავისი სარწმუნოებრივი სიმტკიცითა და მარტვილობით მომავალი თაობების ჰიპოტეტური სამსახური ნაკლებად მომხიბლავი იქნებოდა ტყვე რაინდის თვალში, ვიდრე დროული და პრაქტიკული დახმარება დამარცხებული და ასაოხრებლად განწირული ქვეყნისათვის.

ნუ აგვერევა ერთმანეთში ჯალალედინისა და შაჰ-აბასის ხანა. ნუ შევადარებთ ერთიმეორეს შალვა ახალციხელსა და ქეთევან დედოფალს. ძლევამოსილ ომებში გამოწრთობილ უებრო „ჰაბუკსა ღა მეომარს“ ერთი მოეთხოვებოდა სამშობლოსაგან და ხორციელად უმწიკო ქეთევანს — მეორე.

რამ გამოიწვია შეუსაბამობა-ქართულ ვერსიასა და რეალობას შორის?

როგორც რ. კიკნაძემ დაადგინა, ქამთააღმწერელი სარგებლობდა ზემოხსენებული ჯუვეინის თხზულებითაც. მაშასადამე, ადვილად დასაშვებია, რომ წაკითხული ჰქონდა შალვა ახალციხელის ტყვეობის ამბავი. მაგრამ ქამთააღმწერელს, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის გარდა, სარწმუნოებრივი თავმოყვარეობაც მეტად მგრძნობიარე ჰქონია. კიდევ მეტი. — ზ. ავალიშვილი ხაზს უსვამს ქამთააღმწერლის ზნეობრივ-სარწმუნოებრივ ტენდენციას, ხოლო პ. ინგოროყვა — კლერიკალურ ტენდენციას.

საფიქრებელია, რომ ქამთააღმწერელს უცოდინრობით რიდი დაუშვია შეცდომა. ის შეგნებულად თხზავს შალვა ახალციხელის წამებას „პირა დატევებისათვის სჯულისა“. ეტყობა, ღრმად მორწმუნე ქრისტიან მემატიანეს თანამედროვეთათვის და მომავლისათვის

უფრო ალმაფრთოვანებელ მაგალითად მიაჩნდა შალვა ახალციხელი — შემოსილი რჯულისათვის წამებული წმინდანის შარავანდედით, ვიდრე ის შალვა, რომელიც გამაჰმადიანდა, თუნდაც სამშობლოსა და მაშასადამე — ქრისტიანული სარწმუნოების ინტერესებისთვისაც, და ალბათ ამიტომაც დაიმსახურებდა კლერიკალურ წრეთა წყრომას. თავისი „ცოდვა“ მხოლოდ საკუთარი სიკვდილით გამოისყიდა და პატიების ნიშნად საქართველოში გადაკეთებულ-შელამაზებული იქნა მისი ცხოვრების ფინალი.

ჟამთააღმწერლის მიერ დათესილი მარცვალი თანდათან ღივდებოდა და ბოლოს, ანტონ კათალიკოსის კალამქვეშ მწიფე თავთავად აღმოცენდა.

ლაშა ჯანაშიამ თავის გამოკვლევაში „შუშანიკის წამება“ შესანიშნავად გვიჩვენა ანტონის მიერ იაკობ ხუცესის რეალისტური ნაწარმოების გამართვა ჰაგიოგრაფიული ჟანრის მოთხოვნათა შესაბამისად. მან გადაამუშავა თავისი წყარო იდეოლოგიური თვალსაზრისით და შუშანიკის ადამიანური სისუსტენი წაშალა, რადგანაც ჰაგიოგრაფიული თხზულების მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო იდეალური ადამიანი, მორწმუნეთათვის ყოველმხრივ სამაგალითო ორთოდოქსალური წმინდანი.

ანტონ კათალიკოსს მსგავსი სამუშაოს ჩატარება არ დასჭირვებია შალვა ახალციხელთან დაკავშირებით, ვინაიდან ძუნწი ცნობა ჟამთააღმწერლისა არ შეიცავდა რაიმე იდეოლოგიურ კრიმინალს, მაგრამ ლოგიკური წინააღმდეგობა, დაშვებული ჟამთააღმწერლის თხზულებაში, ანტონსაც გამოეპარა და უკრიტიკოდ გაიმეორა ჯალალედინის მიერ ქრისტეს რჯულის ერთგულ შალვასათვის ქალაქებისა და სხვა წყალობათა ბოძების ამბავი. და კიდევ უფრო კატეგორიულად განაცხადა: „ერთ წელ მცხოვრები მათ თანა მხედარი ქრისტესი მტერთაგან ქრისტესთა იყო პატივსა შინა“.

განა ფსიქოლოგიურად უფრო დამაჯერებელი არ არის ქართველი რაინდისა და სწორუპოვარი მეომრის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯარისკაცული ხუმრობა, რომლითაც მიმართავს ჯალალედინს კამაჰმადიანებასთან დაკავშირებით: მე საფრთხობელა (ანუ ვირის თავი) ვიქნები ისლამის ბაღის სიმწვანეშიო, ვიდრე ანტონ კათალიკოსის თხზულებაში დამოწმებული, ვთქვათ, ასეთი ფრაზა: „ერთ არს ჩემდა სიმდიდრე — ზეციერისა სასუფეველსა იგი შუენება“. შალვა ახალციხელს, ალბათ, ზეციერი სასუფეველიც სწამდა, მაგრამ

ალთქმულ სამოთხეს ერჩია ჯოჯოხეთი, თუკი თავისი მოქმედებით ამქვეყნიური ჯოჯოხეთისაგან იხსნიდა სამშობლოს.

ერთი სიტყვით, რაიცდი გადააქციეს ბერად, სამშობლოსათვის თავდადებული და ტყვეობაშიც კი გულგაუტეხელი მებრძოლი — იმქვეყნიურ სამოთხეზე მეოცნებე პასიური წმინდანად, რომელსაც მხოლოდ წამების ატანა ძალუძდა.

აი, ასეთი მეტამორფოზა განიცადა შალვა ახალციხელმა ქართულ საისტორიო მწერლობაში, მეტამორფოზა — მიყვანილი აპოგეამდე ანტონ კათალიკოსის მიერ.

„მარტირიკის“ განხილვისას მ. ქავთარია დაასკვნის, რომ ანტონ კათალიკოსის საქმიანობა ჰაგიოგრაფიულ ჟანრში იყო ქართველ მწერალთა (შეიძლება ითქვას, კლერიკალთაც) უკანასკნელი სერიოზული გაბრძოლება და ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისტორია, ფაქტიურად, ანტონის „მარტირიკით“ თავდება.

ჰაგიოგრაფიას ნიადაგი უკვე გამოცლილი ჰქონდა საქართველოში.

ანტონ კათალიკოსს რომც სცოდნოდა აღმოსავლური წყაროების ინფორმაცია შალვა ახალციხელზე, მაინც არაფრად ჩააგდებდა და ზურგს შეაქცევდა; მაგრამ ერთი საუკუნის შემდეგ შალვა ახალციხელის რეალური თავგადასავლის ანალოგიურმა ეპიზოდმა საქართველოს ისტორიიდან შთააგონა აკაკი წერეთელს შექმნა პოემისა „ბაგრატ დიდი“.

ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში აღწერილი ამბავი:

XIV საუკუნის დამლევს თემურ-ლენგმა თბილისის ციხის აღებისას ტყვედ შეიპყრო ბაგრატ V და გამაჰმადიანება შესთავაზა. გარკვეული ყოყმანის შემდეგ, საქართველოს მეფე დაჰყვა აგრესორის ნებას „არა გულითა ჰეშმარიტითა“ და გამაჰმადიანდა. გახარებული თემური დიდ პატივს სცემდა ბაგრატს და უსაზღვროდ ენდობოდა. მეფე კი განიცდიდა რჯულის უარყოფას და შურისძიებაზე ფიქრობდა. მან მოითხოვა თემურისაგან ლაშქარი საქართველოს სრული დამორჩილებისა და გამაჰმადიანების მიზნით. თემურმა თორმეტი ათასი მეომარი გააყოლა. დაიძრნენ საქართველოსაკენ და ბაგრატმა ერთგული კაცის ხელით საიდუმლოდ მისწერა თავის ძეს — გიორგის: „მე მოვალ სპითა ლანგ-თემურისათა და თქუენც შეიყარეთ სპანი საქართველოსანი“. შემდეგ არიგებდა,

რომ ჩაბაფრებოდნენ დათქმულ ადგილზე. ყველაფერი კარგად ეწყო და ბაგრატის ჩახაფვრა გახორციელდა. მტრის ლაშქარი მთლიანად იქნა ამოწყვეტილი (დაახლოებით ასევე მოგვითხრობს სომეხი მემატიანე თომა მეწოფელი)

აკაკი წერეთლის პოემაში აქცენტი გადატანილია ბაგრატ მეფის გამაჰმადიანების შედეგად შექმნილ მძიმე ჯოლიზიაზე. ისაკ, მოძღვარი ბაგრატისა, ასე მიმართავს მეფეს: „ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი!.. გვითხარ, რათ დაჰგმე შენ ქრისტეს სჯული? რათ შეარცხვინე მით საქართველო?“ და სიყვედურობა, მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის გამაჰმადიანდიო. ბაგრატი ასახელებს თავისი გამაჰმადიანების მიზეზს: „მისთვის, რომ მიყვარს მე საქართველო!“ და უმტკიცებს, რომ სწორედ ამიტომ დავიწყეა საქმიო ცხოვრებაც და სული დაუმონა ჯოჯოხეთს. მეფის რაციონალური მსჯელობა სასწაულებრივ გარდასახავს მოძღვარს და იგი არწმუნებს მეფეს, მეც შენთან ვარო. მერე კი ვკითხულობთ მოძღვარის უცნაურ ექსტაზს: „და დაიყვირა: „უნდა უარგყო და ნუ შემრისხავ შენ მაცხოვარო!“ მეფე და მოძღვარი, მუხლმოყრილნი, ხელაპყროპილნი და დადუმებულნი სახეებით შეჰყურებენ ზეცას და ევედრებიან საქართველოს დახსნას ჭირთაგან.

აქ მინდა დავიმოწმო ვრცელი ციტატა გურამ ასათიანის წერილიდან „აკაკი წერეთელი“, რომელშიც მოცემულია დასახელებულ პოემაში აღწერული პრობლემის ლაკონიური, მოხდენილი და მაქსიმალურად ზუსტი ანალიზი.

გურამ ასათიანი წერს: „პოემას საფუძვლად უდევს ეპოქის (XIX საუკუნის მეორე ნახევრის) სპეციფიკური გარემოებათა გამო პირობადებული, ეროვნული მოქმედების პროგრამირების გადაუდებელი საჭიროებით ნაკარნახევი იდეა. ეს იდეა ეთიკური შინაარსისაა და იმ ხასიათის ზნეობრივ იმპერატივთა რიგს ეკუთვნის, რომელთა მეოხებით უმაღლესი, „ზეეთიკური“ მიზნის შესაბამისად, შესაძლებელი, საჭირო და აუცილებელი ხდება თვით ზნეობის ხელყოფა, ერთ-ერთი მისი დოგმის დარღვევა, თუ რელიგიურ ტერმინოლოგიას მივმართავთ (აქ კი ზნეობა სწორედ ქრისტიანული რწმენის ჭრილში წარმოგვიდგება). ლაპარაკია იმაზე, რომ „სულის საცხონებლად“ ზოგჯერ „სულის წაწყმედაა“ საჭირო. ცხადია, სარწმუნოებრივი მომენტი „ბაგრატ დიდში“ მხოლოდ პირობითი მომენტია. ის აქ გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, როგორც

საკმაოდ ნათელი ჭარაგმა. ბაგრატის კრედო ასეა ფორმულირებული: „და ძლიერ ხალხთან რაღას გავაწყობთ ჩვეულებრივის პირდაპირობით... თუ არ ხერხითა და ცბიერებით? და განვიზრახე ჰე მოტყუება ლენგ-თემურისა სულის გაწირვით...“ ვინაიდან „ლენგ-თემურ თუ არ მაჰმადიანსა, არ მიენდობა სრულისა გულითა!“ ნაწარმოების მთავარი იდეა („პატრიოტული იმპერატივი“) თავისებური პარადოქსის სახითაა ჩამოყალიბებული: „მაგრამ, ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვიან მამულიშვილი“. დღევანდელი მკითხველისათვის ეს სიტყვები ჩვეულებრივ აფორიზმად ეღერებ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავისი დროისათვის ეს ამკარად პარადოქსული აზრი იყო“.

ვგონებ, არც არის აუცილებელი განმარტება იმისა, თუ რამდენად ეხმიანება დამოწმებული ციტატა შალვა ახალციხელის თავგადასავალს ტყეობაში. აქვე ამასაც დავძენ, რომ გურამ ასათიანის მიერ გამოთქმული მოსაზრება „პატრიოტული იმპერატივის“ პარადოქსულობაზე იმ დროისათვის, როდესაც ცხოვრობდნენ ბაგრატ მეფე თუ შალვა ახალციხელი, გვიკარნახებს, რომ ეფრო ლმობიერად შევხედოთ და გავუგოთ ეამთაალმწერელს. „პატრიოტული იმპერატივი“ მისთვის, ალბათ, მკრეხელობას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე პარადოქსს.

...გიორგი ლეონიძე „შავლეგოს“ თქმულების შექმნისა და მისი შვიდასწლიანი არსებობის მიზეზად იმას თვლიდა, რომ დიდი ფეოდალი და სარდალი შალვა ახალციხელი თავისი ადამიანური თვისებებითა და რაინდული ზნეობით განსაკუთრებით მიმზიდველი ყოფილა ხალხისათვის, მხედართათვის. „კარგი ბიჭი იყო“ უმთავრესად იმიტომ, რომ ნამდვილ რაინდს განასახიერებდა ხალხის თვალში. „თავის თავს არა სჯაგრობდა, თავის სწორებსა სჩიოდა!“

ვახუშტი ბატონიშვილმა და ანტონ კათალიკოსმა წვინდანად შეარაცხეს შალვა ახალციხელი, ხოლო ქართველმა ხალხმა — გმირად. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ზედგამოჭრილია ცნობილი ლათინური აფორიზმი: „ვოქს პოპული — ვოქს დეი“, რომელიც ქართულად ასე ითარგმნება: ხმა ერისა და ხმა ღვთისაო.

ერთი ლეგენდის კვალზე

ისტორია და ლეგენდები უცნაურად გადაბლართულა კაცობრიობის წარსულში. ისტორია, არცთუ იშვიათად, საზრდოობს ლეგენდებით. მაგრამ იოლი საქმე როდია მკაფიოდ გაარჩიო, თუ რომელი ლეგენდა წარმოადგენს მტკნარ ზღაპარს და რომელი ასახავს ისტორიულ სინამდვილეს. ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარებული ლეგენდა გაუცამტვერებია მკვლევარი ისტორიკოსის კალამს და ზოგჯერ იმის მოწმენი ვყოფილვართ, რომ თითქოსდა ფანტასტიკური ლეგენდის შინაარსი დაუდასტურებია მეცნიერულ კვლევა-ძიებას და ამოუკითხავს მასში ჩაქსოვილი ისტორიული ინფორმაცია.

ყოველივე ზემოთქმული ეხება არა მარტო უძველეს ისტორიას, არამედ — ჩვენთვის შედარებით ახლო ეპოქათა მოვლენებსაც.

არსებობს თანამედროვე პოლონელი მწერლის ქსაველრი პრუშინსკის ერთი პატარა და მშვენიერი მოთხრობა „მებუკე სამარყანდში", სადაც აღწერილია საკმაოდ უჩვეულო ფაქტი — თუ როგორ ხედება ერთიმეორეს უკვე ჩვენს დროში ორი ლეგენდა, დაბადებული თითქმის შვიდი საუკუნის წინათ; ორი ლეგენდა, დიდი მანძილებით დაშორებული ორი ხალხის მეხსიერებაში რომ აღბეჭდილა და დღემდე შემონახულა; ორი ლეგენდა, რომელიც ერთსა და იმავე ამბავს ასახავს...

პოლონელი მწერალი მოგვითხრობს, რომ ქალაქ კრაკოვში გავრცელებული ყოფილა ასეთი ლეგენდა: ოდესღაც, კრაკოვამდე მიუღწევია თათარ-მონღოლთა გამძვინვარებული ზღვის ერთ ტალღას. მტერი შეუმჩნეველად მიპპარვია ქალაქს და მონღოლი მეომრის მიერ გატყორცნილ ისარს მებუკე მოუკლავს მარიამის კოსტელის კოშკზე, როდესაც იგი ჰეინალს უკრავდაო. თათარ-მონღოლთა ხსენებული რაზმი შემდგომში დაუმარცხებიათ და ბრძოლაში დაღუპულა რომელიღაც მათი სარდალი.

მთხრობელის სიტყვით, კრაკოველი პროფესორები სკეპტიკურად უყურებდნენ ამ ლეგენდას, რადგან არც ერთ საისტორიო

წყაროში გაკვრითაც კი არაა ნახსენები თათარ-მონღოლთა თავდასხმა ქალაქ კრაკოვზე და, მაშასადამე, თქმულება, რომლის თარიღსაც ყოველწლიურად ზეიმობს კრაკოვის მოსახლეობა, გაცილებით გვიანდელი წარმოშობისა არისო (პოლონეთში მიღებული ტრადიციის მიხედვით, ლეგენდაში აღწერილი ამბავი მომხდარა 1281 წელს).

მთხრობელის მეგობარი, ახალგაზრდა ისტორიკოსი, რატომღაც ხალხურ გადმოცემებს უფრო უწევს ანგარიშს, ვიდრე ისტორიულ ქრონიკებს. ამიტომაც თავგამოდებით ექომაგება კრაკოვულ ლეგენდას და ამტკიცებს: ქრონიკებში ხარვეზები და უზუსტობანიც საკმაოდ ხშირად გვხვდება და რომელიმე ამბის გამოტოვება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ამბავი არასოდეს მომხდარაო.

მეორე მსოფლიო ომის არეულ-დარეულმა გზებმა შუა აზიაში გადაისროლეს ახალგაზრდა ისტორიკოსი, გამოწყობილი პოლონელი ოფიცრის მუნდირში. მაგრამ ათასგვარ განსაცდელსა და გასაჭირში მას არ დაუკარგავს ისტორიული კვლევა-ძიების ჟინი და უეცრად აღმოაჩენს, რომ შუა აზიაში მშვენივრად იციან ლეხისტანი (ე. ი. პოლონეთი), თუმცა არც გაუგონიათ, ვთქვათ, ესპანეთი და ჰოლანდია. ეს მხოლოდ დასაწყისია სიურპრიზისა, რომელიც ელოდება პოლონელ ისტორიკოსს. იმ ოქროსმაძიებელივით გაოგნებული, მოულოდნელად რომ წააწყდება ოქროს ზოდს, იგი სამარყანდში ყოფნისას მოისმენს ლეგენდას, რომელიც ტყუპის ცალივით წააგავს კრაკოვულ ლეგენდას და რომელსაც ასეთი თავგამოდებით ექომაგებოდა რამდენიმე წლის წინათ.

ადგილობრივი ლეგენდის თანახმად, თათარ-მონღოლებთან ერთად თურმე აქაურებიც მონაწილეობდნენ პოლონეთის რბევაში. ერთხელაც მისულან ძალზე ძველ და ძალზე მდიდარ ქალაქამდე, რომელიც ისევე ძვირფასი იყო პოლონელთათვის, როგორც სამარყანდი — უზბეკთათვის (მაშასადამე, კრაკოვიო, — ასკვნის პოლონელი ისტორიკოსი), და სწორედ იქ, პოლონეთის ძველ დედაქალაქში, ერთ-ერთი „შინარეთიდან" უკრავდნენ ლოცვის მელოდიას. თათარ-მონღოლები უკვე ქალაქის გალავანთან იდგნენ და ისის იყო მისცა საგანგაშო სიგნალი მებუკემ, როდესაც თათრული მშვილდიდან ნასროლი ისარი ყელში გაერჭო მას. მებუკე დაიღუპა, მაგრამ ქალაქმა შეიტყო საფრთხე და მტერი მოიგერია. ამ ბრძოლაში დაღუპულა რომელიღაც მხედართმთავარი თათარ-

მონღოლებისა. სამარყანდში მოსმენილი ლეგენდა ამბობს: ეს დამარცხება ზეციდან მოვლენილი სასჯელი იყო, რადგანაც სალოცავად გამზადებულ ქალაქს ლოცვა შეაწყვეტინეს და იღბლიანი მზის გამონათება მანამდე არ გეიწერია, ვიდრე ლეხისტანელი მებუკე სამარყანდის ბაზარში არ დაუკრავს იმ სიმღერას, რომელიც მაშინ ვეღარ დამშვიდებულა მისმა წინამორბედმა.

...როგორც პოლონეთში ნამყოფთაგან გამიგონია, კრაკოვში, მარიამის კოსტელის კოშკიდან ყოველდღიურად ისმის ჰეინალი ბუკისა და მელოდია უეცრად წყდება იმ საბედისწერო წამის გახსენებით, როდესაც მონღოლის მიერ გატყორცნილმა ისარმა შუაზე შეაწყვეტინა დაკვრა პოლონელ მებუკეს.

პოლონელი მწერალის ერთობ კოლორიტული მოთხრობა უნებურად გამახსენდა, როდესაც თითქმის ანალოგიურ ფაქტს წავაწყდი ჩვენთვის უფრო ახლობელი და ნაცნობი საკითხების შესწავლისას.

როგორც ირკვევა, მოძმე სომეხი ხალხის მეხსიერებას კარგა ხანს შემოუნახავს ერთი ლეგენდა, რომელიც საგრძნობი მიახლოებით შეესატყვება საქართველოს ისტორიულ სინამდვილესა თუ მის საფუძველზე აღმოცენებულ ლეგენდას.

მხედველობაში მაქვს XVII საუკუნის სომეხი მემატიანის ზაქარია ქანაქერცის (ანუ სარკავაგის) თხზულებაში დამოწმებული ერთი საინტერესო თქმულება, რომელიც საქართველოსა და ქართველ მეფეს ეხება.

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა თვით ზაქარია სარკავაგის ნაშრომის შესახებ, რომელსაც ეწოდება „ქრონიკა“ და თარგმნილია ფრანგულსა და რუსულ ენებზე (ამჟამად ქართულადაც ითარგმნა უშუალოდ სომხური დედნიდან კარლო კუციას მიერ და მზადდება დასაბეჭდად).

მოსკოვში გამოცემული „ქრონიკის“ მთარგმნელი მ. დარბინიან-მელიქიანი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ზაქარიას თხზულება თავისი სტრუქტურით საკმაოდ თავისებურია, რადგანაც ვერანაირად ვერ ესადაგება ჩამოყალიბებულ შეხედულებას ისტორიულ ნაშრომზე. ეს არაა თანამიმდევრული, ქრონოლოგიურად გაწყობილი თხრობა წარსულისა თუ თანადროულ ამბავთა შესახებ. ზაქარიას ქრონიკა წარმოადგენს მოთხრობათა რიგს. სადაც გაღმო-

ცემულია ერთგვარად ანეკდოტური ხასიათის მასალა, რომლის პერსონაჟები არიან ირანის შაჰები და სომხეთის მაჰმადიანი ხანები, წმინდა მოწამეები, აგრეთვე — ვეშაპები და დევები. აღწერილია სხვადასხვა სასწაულები და ბოლოს, რაც მთავარია, ათასგვარი ამბები ყოველ ადამიანთა, ზაქარიას თანასოფლელთა ყოფა-ცხოვრებიდან.

მ. დარბინიან-მელიქიანის აზრით, ზაქარია სარკავაგი მხარში ვერ ამოუდგება სომხური ისტორიოგრაფიის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც არიან მოვსეს ხორენაცი, ლაზარ ფარპეცი, ელიშე, სტეფანოს ორბელიანი და არაქელ დავრიჟეცი. მაგრამ უკმარისობა იმ თვისებათა, რაც ზემოთქმულის გარდა ზემოხსენებულ ისტორიკოსებს — დიდი განსწავლულობა, უნარი წყაროთა კრიტიკული გამოყენებისა. მხოლოდ სანდო ფაქტების მოხმობა და მათი გადმოცემის სიზუსტე — წარმოადგენს ზაქარიას ღირსებასო. „ქრონიკა“ თავისი ფორმით, ენითა და მასალისადმი მიდგომით უფრო ლიტერატურულ ნაწარმოებს წააგავს და სწორედ ამის შედეგად ხორცი შეუსხამს თავისი ეპოქის ხვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია სარკავაგის თხზულებაში საკმაოდ საინტერესო ცნობები მოიპოვება XVII საუკუნის საქართველოში მიმდინარე მოვლენათა შესახებ. კერძოდ, მოთხრობილია მარტყოფის აჯანყება და მარაბდის რბი; როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის უკანასკნელი ბრძოლა, რომელშიც დაიღუპა დათუნა ბატონიშვილი; მოთხრობილია აგრეთვე ეპიზოდები ვახტანგ V-ისა და გიორგი XI-ის ბიოგრაფიიდან და სხვ. „მე გიამბობთ არაკსაც და მართალსაც, ყველაფერს, რაც გამიგონია“, — გვაუწყებს ზაქარია და თითქოსდა გვაფრთხილებს, ჩვენ თვითონ ვეძიოთ ჭეშმარიტების მარცვლები მის თხზულებაში, კვალდაკვალ გავყვეთ ლეგენდებს და ვცადოთ მათი ამოხსნა.

ზაქარია სარკავაგი „ქრონიკის“ მესამე ტომში, სადაც მოცემულია მისი მშობლიური ოვანავანქის მონასტრის ისტორია და მონასტრის კედლებზე არსებული ყველა წარწერა, სხვათა შორის, მოგვითხრობს შემდეგს:

„დავწეროთ ახლა წმიდა გიორგის ნეშტის შესახებ — საიდან ჩამოიტანეს იგი სომხეთში და რატომ მოხვდა ქართველთა ქვეყანაში. როგორც მრავალგზის გვიკითხავს ვარდაპეტ არაქელისათვის და მრავალი რამ უსწავლებია მას, წმინდა გიორგის ნეშტის ამბა-

ვ^ც ვკითხეთ. და თქვა მან: „როდესაც მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა წმინდა გიორგი კაპადოკიაში, ნეშტი მისი ინახებოდა იქ დიდი ნერსესის ჟამამდე. ხოლო ნერსესმა ბრძანა, ჩამოეტანათ ნეშტი და დაესვენებიათ ოვანავანქში. ამიტომაც, დიდი ხნის განმავლობაში აქ თავს იყრიდნენ კეთროვანნი და ხეიბარნი, სანამ არ დაეცა ძლიერება სომეხი ხალხისა და არ მოექცა იგი სხვა ხალხთა ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ ქვეყანა შირაკისა და ოლქი კარბისა იმყოფებოდა ქართველი მეფეების ხელში. სწორედ ამ ხანებში შეეყარა ქართველი მეფის ძეს ავი სნეულება კანისა და ვერ განკურნა იგი, მაშინ უამბეს მეფეს: „არის შენს სამეფოში, კარბის ოლქში, ერთი მონასტერი, რომელსაც ოვანავანქს ეძახიან, და იქ განისვენებს ნეშტი წმიდა გიორგისა, და თავს იყრიან კეთროვანნი და ხეიბარნი და იკურნებიან წმიდა გიორგის წყალობით. მაშ გაგზავნე იქ შვილი შენი და განიკურნება ისიც“. ამის მსმენელმა მეფემ განიხარა და შეუდგა სამზადისს, რათა გაეგზავნა თავისი შვილი ოვანავანქში. მაგრამ მეუღლე მეფისა გაჯიუტდა და არ ისურვა ეს საქმე. ამბობდა: „ჯერ-ერთი, უფლისწულის გამგზავრება გამოიწვევს შფოთს ჩვენს ქვეყანაში; მეორეც — ერთადერთი შვილი მყავს, ვაითუ დამეღუპოს და მერე მწარე სინანული მომიწევს“. დაიბნა მეფე. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. და გადაწყვიტა გაეგზავნა ხელქვეითები, რათა ჩამოეტანათ ძვლები წმიდა გიორგისა. ამოარჩიეს გონიერი ადამიანები, უხვად გაატანეს ძღვენი და წერილი, აღსავსე ვედრებითა და მუქარით. რადგანაც კათალიკოსი არ იყო ეჩმიაძინში, წარგზავნეს ისინი ოვანავანქის ეპისკოპოსთან და კარბის წარჩინებულებთან. ჩამოვიდნენ ეს ელჩები წმიდა სავანეში და წარმოადგინეს მეფის ბრძანება. მაგრამ კარბის წარჩინებულებმა უკმაყოფილება გამოთქვეს და არაფრად ჩააგდეს მეფის შემოწათვალი. ელჩებმა კი, აღარ იცოდნენ, რა ექნათ და აფრინეს მეფესთან მალემსრბოლი-შიკრიკი, და ამცნეს ეს ამბავი. მაშინ მეფემ შეკრიბა მრავალი აზნაურის შვილი და გამოგზავნა მძევლებად. ამ ყმაწვილთა შესახებ ზოგი ამბობდა რომ მათი რიცხვი უდრიდა ორმოცს, ზოგიც — ოცდაათს. ზოგი ამას ამბობდა, და ზოგი — იმას. მაგრამ ჭეშმარიტად სულ თორმეტნი იყვნენ, ოვანავანქის კარიბჭის რომ მოადგნენ. ბერებმა დააკაკუნეს ეს ყმაწვილები, ხოლო წმინდანის ნეშტიდან დაიტოვეს ნაწილი კბილთა და სისხლი, მთელი ნეშტი კი

გააძხადეს გასატანებლად. და გააყოლეს ხე'შტს ორი ძონაზონი, ორ-ხი ხუცესი და რვა საერო პირი, აგრეთვე — მეგობრული არზა. და, თანახმად პირობისა, წარგზავნეს ყველა ძვლები წმინდანისა. მაგ-რამ როდესაც მიაღწიეს ქალაქ თბილისს, შეიტყვეს სიკვდილი უფ-ლისწულისა, რომელსაც სახელად ერქვა ბეჟო, ხოლო მეფის სახ ლი იყო დათო. და სურდათ უკან წამოეღოთ წმინდანის ნეშტი, მაგრამ ფიცხელი ნათესავი ქართველთა უარობდა ნეშტის გამო-ტანებას, სანამ არ ამცნობდნენ მეფეს, რომელიც იმყოფებოდა კა-წარეთში. და თვითონვე ააშენეს ეკლესია და დაასვენეს იქ წმინ-დანის ძვლები. დაბრუნდა მეფე და არათუ განტევების ნება მისცა, არამედ ბრალიც კი დასდო ნეშტის მომტანთ: თქვენ მოკალით ჩემი შვილიო, სწორედ თქვენს გამო მოკვდაო. ბოლოს, უპატიოდ გამო-უშვა ისინი, ხოლო ნეშტი წარგზავნა კაწარეთს, რომელსაც ამჟამად ჰქვია ჩხარი და დღესაც იქ განისვენებს ნეშტი, როდესაც ნეშტის თანმხლები პირნი ხელცარიელი დაბრუნდნენ იქიდან და მომხდარი ამბავი აუწყეს თავისიანებს, მათ, აქამდე თუ პატივში ჰყავდათ ქარ-თველი ახნაურის შვილები, მყისვე საპყრობილეში უკრეს თავი; შებორკეს და ტანჯავდნენ იმის იმედით, რომ ალშფოთებულმა მშობლებმა ეგებ მოითხოვონ თავისი შვილები და ნეშტსაც დაგვი-ბრუნებენო. მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. ასე დარჩა წმიდა გიორგის ნეშტი ქართველთა ქვეყანაში, ხოლო ის ქართველი ყმა-წვილები დამკვიდრდნენ სომეხთა ქვეყანაში"...

ზაქარია სარკაუაგი აღნიშნავს, რომ ქართველი ყმაწვილების შემდგომი ბედი არაქელ თავრიზელს არა სცოდნია და იქვე დას-ძენს: სომხეთში დარჩენილი ერთ-ერთი ქართველი ყმაწვილის, სა-ხელად გაბო რომ ერქვა, შთამომავალი მე თვითონ გახლავართო, და ასახელებს შვიდ თაობას თავისი მამიდან ვიდრე იმ გაბომდე, მი-სივე სიტყვით, ოჯახში ჰქონიათ ერთი წიგნი, სადაც, სხვა ამბებთან ერთად, სომხეთში დამკვიდრებული ქართველების თავგადასავალიც იყო აღწერილი თაობიდან თაობამდე. მაგრამ ის წიგნი, უკვე ზაქა-რიას სიცოცხლეში, დიდი მიწისძვრის დროს დაკარგულა.

ზაქარიას სიტყვით, თორმეტი ქართველი ყმაწვილიდან სომხეთ-ში საბოლოოდ დარჩენილა შვიდი. მათ უთქვამთ: „ჩვენს ქვეყანაში რომ დავბრუნდეთ, ახლა სპარსეთს გაგვისტუმრებენ მძევლებად და გვაიძულებენ ჩვენი რჯულის დათმობას. სჯობს დავრჩეთ ამ კარგსა და საქებარ ქვეყანაში".

რა თქმა უნდა, ზემოთ მოტანილი ინფორმაცია ზაქარია სარკავაგის თხზულებიდან იმიტომ როდია საინტერესო, რომ ვამტკიცოთ, ცნობილი სომეხი მემატიანის „ძარღვებში ქართული სისხლიც ჩქეფდაო“! არა, ეს არაფრისმთქმელი წვრილმანი გახლავთ.

უპირველეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს ზაქარიას მიერ გადმოცემული ლეგენდის ამოხსნა. შეესაბამება თუ არა სინამდვილეს მისი მონათხრობი? და თუ შეესაბამება, ვინ არის ეს ქართველი მეფე, როდის ხდება აღწერილი ამბავი და რამდენად ზუსტადაა გადმოცემული სომეხი მემატიანის თხზულებაში.

თავის დროზე, გამოჩენილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ მიაქცია ყურადღება ზემოხსენებულ ლეგენდას და სცადა მისი გაშიფრვა.

მ. ბროსე მიუთითებს, რომ ზაქარიას მოხსენიებული ჰყავს თავის წინაპართა შვიდი თაობა, და იმდროინდელ სომხეთში გავრცელებულ ადრეულ ქრონიკებთა საფუძველზე ვარაუდობს, რომ დროის მონაკვეთი ზაქარია სარკავაგის დაბადებიდან (1627 წ.). ვიდრე მისი წინაპრის — ქართველი ყმაწვილის გაბოს ჩასვლამდე სომხეთში, არ უნდა აღემატებოდეს 120 — 130 წელიწადს. მ. ბროსე დაასკვნის, რომ მძევლების წარგზავნა ოვანავანქში უნდა მომხდარიყო 1506 ან 1496 წლებში. შემდეგ კი დასძენს, რომ სწორედ ამ ხანებში მეფობდა საქართველოში დავითი (ქნინობითი ფორმა სახელისა — დათო), თუმცა ხსენებულ დავითს არ ჰყოლია შვილი, რომელსაც სახელად ბეჟო ან ბეჟანი ერქვაო (სომხურ თქმულებაში ქართველი მეფისა და უფლისწულის სახელთა ქნინობითი ფორმით დამოწმებამ არ უნდა გაგვაკვირვოს. სხვათა შორის, სომეხი ისტორიკოსები სტეფანოს ორბელიანი და ვარდან დიდი თამარ მეფის ბიძაშვილს, ტრაგიკულად დალუპულ დემეტრეს უწოდებენ დემნას. ჟ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: ეს, ალბათ, მისი საალერსო სახელი იქნებოდაო).

ამგვარად, მ. ბროსეს მოსაზრებით, ზემოხსენებული „დათო“ არის ქართლის მეფე დავით X (1505 — 1525 წ.): მ. ბროსემ მხოლოდ და მხოლოდ ზაქარია სარკავაგის ცნობაზე დაყრდნობით, ბაგრატიონთა გენეალოგიურ ტაბულაში დავით X-ის რეალურად არსებულ ძეთა — ლუარსაბის, რამაზისა და დემეტრეს გვერდით ბეჟო ბატონიშვილსაც მიუჩინა ადგილი.

მაგრამ მ. ბროსეს მხედველობიდან ვამოპარვია ერთი საყურად-

ღებო გარემოება, სახელდობრ ზაქარიას მითითება იმაზე, რომ ოკახავაძეში მთელების ჩასვლისას შირაკის ქვეყანა წარმოადგენდა ქართველი მეფეების სამფლობელოს, რაც აშკარად არ შეესაბამება XVI საუკუნის ვითარებას.

ამასთან ერთად, ქართულ საისტორიო წყაროებში ერთი სიტყვითაც არ არის მინიშნებული რაიმე ანალოგიური ამბავი თუ დეტალი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ზაქარიას მოხსენიებაში აღნიშნული ქართველი მეფე დავით X იყოს. თავისი სამი შვილიდან არც ერთის სიკვდილს იგი არ მოსწრებია.

მაშასადამე, დავით მეფე და მისი უდროოდ გარდაცვლილი ძე სხვაგან უნდა ვეძიოთ, სრულიად სხვა და, ალბათ, უფრო ადრინდელ ეპოქაში.

თუ გადავიკითხავთ „ქართლის ცხოვრებას“, ჩვენს ყურადღებას უეჭველად მიიპყრობს რამდენიმე ეპიზოდი, აშკარად რომ ეხმიანება სომხურ ლეგენდას.

XIII საუკუნის 60-იან წლებში. საქართველოს მეფე ულუ-დავითი ანუ დავით VII (ძე ლაშა-გიორგისა) თითქმის ყოველ წელს, შემოდგომიდან ზაფხულამდე, ქართული მხედრობის თანხლებით იმყოფებოდა ხოლმე „სიბასა ზედა“.

ჰულაგუ-ყაენის ბრძანებით, საქართველოსა და შირვანის საზღვარზე აგებული იყო ჯებირი, რომელიც იცავდა ირანის ილხანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვარს „ოქროს ურდოს“ შემოტევისაგან. მრავალრიცხოვანი ჯარის ერთად შეჯგუფება იწვევდა სხვადასხვა ეპიდემიების, მეტადრე კი, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „მუცლის მოარულის“ გაჩენას.

ეამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ერთხელაც ულუ-დავითის პირმშოს გიორგი ბატონიშვილს, ჯერ კიდევ სიბაზე წასვლამდე, შეჰყრია „სალმობა მუცლისა“. დიდხანს გაგრძელებულა სნეულება. მიცვალებულივით, უხმოდ და უძრავად, იწვა ბატონიშვილი სარეცელზე და ძლივსღა სუნთქავდაო. მაშინ მოახსენეს ულუ-დავითს დმანისის ღვთისმშობლის ხატის იშვიათი ძალა სნეულთა განკურნებისა. მეფის საკუთარი ხელით ჩამოუტანია დმანისიდან თბილისში სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც გიორგი ბატონიშვილი ერთი შეხებისთანავე განუკურნავს „თვალნი აახვნა მსწრაფლ და ვითარცა უვნებელი წარმოჯდა“, — ამბობს ეამთააღმწერელი და განაგრძობს: „იხილეს ესე მეფემან და ყოველთა მკვიდ-

რთა საქართველოსათა, განკვირდეს ანაზდათსა ამას საკვირველებასა ზედა ყოვლად-წმიდისასა, და ადიდებდეს ყოველნი ღმერთსა".

შემდგომში, უკვე სიბაზე ყოფნისას დასნეულებულა თავად ულუ-დავითი, ისიც „სალმობითა მუცლისათა". წამოსულა საქართველოში, ხლებია ამჯერად მარტყოფის ხატს და საკაცეზე უღონოდ მდებარე შევედრებია განკურნებას. მარტყოფის ხატსაც პირნათლად შეუსრულებია თავისი მისია და სასწაულებრივ განკურნებული მეფე მშვიდობით დაბრუნებულა თბილისს.

მერე კვლავ გიორგი ბატონიშვილი დასნეულებულა (1268 წელს, როგორც ვარაუდობენ მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი). ულუ-დავითი უკვე წასული ყოფილა სიბაზე. „ხოლო მუნ ყოფასა მისსა დასნეულდა ძე მისი გიორგი... და მისვე სისხლისა მდინარეებისაგან აღსრულდა, და დაუტევა მწუხარება მიუთხრობელი ყოველთა მკვიდრთა სამეფოსათა, დიდითგან მცირეთამდე".

ცხედარი უდროოდ გარდაცვლილი ბატონიშვილისა (თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა) დაუსვენებიათ სიონის ტაძარში და ელოდნენ მეფის დაბრუნებას სატახტო ქალაქში. ჟამთააღმწერელს ძალზე ემოციურად აქვს გადმოცემული მოვლენათა შემდგომი მსვლელობა: მეფის ჩამოსვლა, მისი გაოცება იმით, რომ არავინ შეეგება წარჩინებულთაგან; მისვლა სასახლეში, სადაც „შავით მოსილნი" ვეზირნი ემალებოდნენ. და როგორც კი აუწყეს სიკვდილი ბატონიშვილისა, გული შეღონებია მრავალ ჭირგადახდილსა და ომებში გამობრძმედილ მეფეს. ძლივსღა მოასულიერესო.

ჟამთააღმწერლის სიტყვით, „სალმობიერითა გოდებითა გოდებდა და სიკვდილსა აღირჩევდა თავისა თვისისასა, რაჟამს იხილა აღყვავებული და შუენიერი გუამი ძისა მისისა გიორგისი მკუდრად, უფერულად მდებარე, რომელსა იგლოვდა ერი".

ულუ-დავითი პირმშოს სიკვდილის შემდეგ ერთობ დაუძლურებულა. სულ ავადმყოფობდაო. მიუხედავად ამისა, 1271 წელს ისევ გაჰყოლია თავისი ჯარით აბაღა-ყაენს სიბაზე და ზაფხულის დადგომისთანავე სამშობლოსაკენ გამომგზავრებულს ისევ მორევია „სალმობა მუცლისა". მკურნალებს ვერაფერი გაუწყვიათ, მეფეს კვლავ გახსენებია მარტყოფის ხატი და ჩვეულებისამებრ მისულა მის წინაშე. მაგრამ ამჯერად ვეღარც მარტყოფის ხატს განუკურნავს სასიკვდილოდ განწირული.

დამოწმებული ეპიზოდების მსგავსება ზაქარია სარკავაგის მონათხრობთან აშკარა უნდა იყოს.

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი იმსახურებს ჩვენს ყურადღებას.

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი თავის თხზულებაში ჩამოთვლის ქალაქ თბილისის სომხურ ეკლესიებს. მათ შორის არის დასახელებული მოგნაის ეკლესია.

ავტორი განმარტავს, რომ მოგნაი სახელწოდებაა ერევანთან ახლოს მდებარე ერთი სოფლისა, სადაც, როგორც ამტკიცებენ, დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა წმიდა გიორგის თავის ქალა, მაგრამ შემდგომში მისი ერთი ნაწილი იქიდან გადმოუტანიათ ხსენებულ ეკლესიაში (ე. ი. თბილისში) და ამ უკანასკნელისათვის სწორედ ამიტომაც უწოდებიათ იმ სოფლის სახელი, საიდანაც წამოღებულ იქნა ძვირფასი რელიკვია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზაქარია სარკავაგის სიტყვით, ოვანავანქში დარჩენილ ნეშტის ნაწილს სოფელ მოღნის მახლობლად აშენებულ სამლოცველოში უპოვია ბინა.

შარდენის მიერ აღნიშნული „მოგნაი“ და ზაქარიასეული „მოღნი“, რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა.

ზაქარია სარკაგავი XVII საუკუნის დამლევს ამბობს, რომ ხსენებული წმინდანის ნეშტი დღესაც განისვენებს კაწარეთში, რომელსაც ამჟამად ჩხარი ჰქვიაო. ხოლო ნახევარი საუკუნის შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილი თავის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაწერს დაბა ჩხარის შესახებ: „არს აქა ეკლესია უგუმბათო, რომელსა შინა ასვენია ჯვარი დიდფრიად. მდებარეობს მას შინა ბეჭი მთავარმოწამის წმიდის გიორგისა, მარადის სასწაულთმოქმედი“.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული სომხური ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით, XIII საუკუნის მეორე ნახევარში შირაკის მხარე, სადაც მდებარეობდა ოვანავანქის მონასტერი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შემოდიოდა. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ამასვე ამბობს ზაქარია სარკავაგი.

რაც შეეხება ქართველი ბატონიშვილის სახელს „ბეჟო“, არ არის გამორიცხული, რომ ყრმა გიორგის მოფერებით მართლაც ასე

ეძახდნენ და ტახტის მემკვიდრის შეტსახელი ხალხშიც გავრცელებულიყო.

ბატონიშვილის სასიკვდილო სნეულების სახელწოდებაც გახსოვდება ზაქარია სარკავაგისა და ქამთააღმწერლის ვონათხრობში.

ავტორმა ამ მეორეხარისხოვან დეტალებს არსებით მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ საკითხის გადასაჭრელად. მთავარი ისაა, რომ სომეხი მემატიანის მიერ გადმოცემული ლეგენდა, ძირითად ხაზებში, საკმაოდ დამაჯერებლად ემთხვევა ქართულ ლეგენდას, რომლის ანარეკლსაც უნდა წარმოადგენდეს ქამთაალმწერლის ოხზულებაში დამოწმებული ეპიზოდები.

ემთხვევა მეფის სახელი, ემთხვევა ბატონიშვილის სასიკვდილო სნეულება, ემთხვევა მეფის არყოფნა თბილისში შვილის გარდაცვალების დროს და ემთხვევა ქართველი მეფის უსაზღვრო რწმენა სასწაულთმოქმედი ხატებისა.

ლლუ-დავითის გაშაყუთრებული ღვთისმოსაობა და ცრუმორწმუნეობამდე მისული რწმენა, ალბათ, განპირობებული იყო მისი საკმაოდ მძიმე და განსაცდელიანი ცხოვრებით. ბედი ბავშვობიდანვე არა სწყალობდა თამარის შვილიშვილს, ლაშა-გიორგისა და ველისციხელი ქალის დრამატული სიყვარულის ნაყოფს. მცირეწლოვანი მოაშორეს დედას ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში. დავითი „უკანონო“ შვილად ითვლებოდა და ქართული სახელმწიფო სამართლით მეფობა არც ეკუთვნოდა. მაგრამ გამზრდელმა მამიდამ — რუსუდან მეფემ მაინც მოაშორა სამშობლოს ბაგრატიონთა ტახტის პოტენციური პრეტენდენტი. ყრმა დავითმა თავი აჩოჰყო რუმის სულტან ყიასედინთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდაშვილი, „გურჯი-ხათუნად“ წოდებული თამარი, ასული რუსუდანისა. მერე, შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე, საპყრობილეში დაამწყვდიეს გადასახლებული უფლისწული. ქამთაალმწერელს ფანტასტიკური შტრიხებით აქვს შემკული მისი თავგადასავალი. თითქოსდა ჯერ ზღვაში გადაუგდიათ დასახრჩობად, მაგრამ სასწაულებრივ გადარჩენილა. შემდეგ ისევ სულტნის განკარგულებით ხუთი წელი მჯდარა გველებით სავსე ბნელ ჯურღმულში. ივ. ჯაველიშვილი ამის გამო შენიშნავდა: „დავით ლაშას ძის თავგადასავალს ყველაფერი ზღაპრული რომ ჩამოვაშოროთ, მისი ბედი მცირეწლოვანობის დროს მაინც, რასაკვირველია, ტკბილი და სანატრელი არ იქნებოდა“ (ეგებ, სწორედ რუმში ყარიბობისას

წამოჰყვა მეტყველების დეფექტი. ქამთააღმწერლის ცნობით, დავით ლაშას ძე „ენამძიმე იყო მცირედ", ე. ი. ენა ებმოდაო).

იგი დაბრუნდა საქართველოში მონღოლთა გაბატონების შემდეგ, მრავალცოლიანი მონღოლი ყაენები ერთმანეთისაგან არ არჩევდნენ „კანონიერსა" და „უკანონო" შვილებს. დავით ლაშას ძეს უპირატესობა მიანიჭეს დავით რუსუდანის ძესთან შედარებით, როგორც მამაკაცი მეფის ნაშიერს. უფროს ჰეფედ აღიარეს დავით ულუ-დავითი. უწოდეს (შევახსენებ მკითხველს, რომ „ულუ" უფროსსა ნიშნავს მონღოლურად).

შესაძლოა, სწორედ სიჭაბუკეში გადატანილმა ტანჯვამ და განსაცდელმა ჩამოაყალიბა მისი უცნაური ბუნება. ისლდენ შეუფერებელი ქვეყნის მმართველისათვის. „უმანკო, წრფელი, და მალე-მრწმენ, და შემნდობელ ბოროტის მყოფთა", — ასე ახასიათებს ულუ-დავითს ქამთააღმწერელი და სხვა ადგილასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს მეფე „იყო უმახკო და მალემრწმენი სიტყვათა კეთილთა და ბოროტთა". ანდა „იყო მეფე მალე-მორწმუნე და ლიტონიცა" (ე. ი. გულუბრყვილო). ამიტომაც ადვილად სჭეროდა თავის ერთგულ ქვეშევრდომთა მისამართით მაბეზღარათა მიერ შეთხზული ცილისწამებანი და ბრალდებანი. გაიხსენეთ სიკვდილით დასჯა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეებისა (მესტუმრე ჯიქური და ბასილ უჯარმელ-ჰყონდიდელი). გაიხსენეთ განხეთქილება ჰეფესა და სარგის ჯაყელს შორის. ივ. ჯავახიშვილი ამ უკანასკნელ ამბავთან დაკავშირებით ხაზს უსვამდა ულუ-დავითის „გასაოცარ უმადურობას" თავისი კეთილისმყოფელის მიმართ.

დიდი ქართველი მეცნიერი ასევე მკაცრად ახასიათებდა ულუ-დავითის მოქმედებას ჰულაგუ-ყაენის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დროს (1260 წ.); როგორც ცნობილია, საქართველოს ჰეფემ, გაითვალისწინა რა მარცხის შემთხვევაში საქართველოს ულმობელი აოხრება მონღოლთაგან, გულწრფელად განუცხადა დიდებულებს: პირადად მე მონღოლთა ბატონობის ატანა აღარ ძალმიძს, ხოლო თქვენ ნებას გაძლევთ, ვისაც როგორ სურს, ისე მოიქცესო. თუ გნებავთ, თქვენც აჯანყდით ჩემთან ერთად და თუ არა გნებავთ, მონღოლთა ყაენს გაჰყევით ეგვიპტეზე სალაშქროდ. საქართველოს დიდებულთა უმრავლესობამ ზურგი აქცია მას და ჰულაგუ-ყაენმა მათივე შემწეობით იოლად დაამარცხა აჯანყებული მეფე. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: ულუ-დავითი, მართალია,

როგორც ადამიანი ძალზე კეთილშობილურად გამოიყურება, მაგრამ სახელმწიფოს საპავეში მდგომ კაცს ასეთი მსჯელობა, ყოყმანი და გაუბედაობა არ შეშვენის და არც ეპატიებაო.

1263 წ. საეკლესიო კრება ასე მიმართავდა ულუ-დავითს: „...რომელი მეფე თქუენთა ოდენთა ჭირთა, ღუაწლთა და განსაცდელთაგან ხსნილა, ვითა ღმერთსა, თქუენსა მხსნელსა. თქუენ უხსნიხართ, და არცა რომელსა მეფესა თქუენგან უფრო ღუთისა გზისა დაჭირვა ჰმართებია".

ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ულუ-დავითს, სხვა მეფეთაგან გამორჩევით, ძალზე ღრმად და თავგამოდებით სწამდა უფლის ყოვლისშემძლე ძლიერება, ხოლო მისი უმანკოება და გულწრფელობა, ძალზე ხშირად, მიამიტობაში გადაზრდილა.

მაგრამ ეს მიამიტობა უფრო მაშინ ვლინდებოდა, როდესაც სამეფო კარის ინტრიგებში ჩაითრევდნენ ხოლმე ანდა სნეულება, პირმშოსი თუ საკუთარი, უზომოდ შეაწუხებდა.

სამაგიეროდ, ბრძოლის ველზე ისიც იყო „უშიში, ვითარცა უხორცო" — თავის სახელოვან მამა-პაპათა დარად.

იტალიელი მოგზაური და საქართველო

გამოჩენილი იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე ცაიბა და 1586 წლის 11 აპრილს, პომპეო დელა ვალესა და ჯოვანა ალბერინის ოჯახში. დელა ვალეთა გვარი განეკუთვნებოდა ძალზე ძველ გვართა რიგს და განსაკუთრებით დაწინაურდა XV საუკუნიდან. ბუნებრივია, რომ პიეტრომ მიიღო შესანიშნავი განათლება, ჩინებულად დაეუფლა კლასიკურ ენებს, ზედმიწევნით შეისწავლა ისტორია, გეოგრაფია და ასტრონომია. ხარკი გადაუხადა სიტყვაკაზმულ მწერლობასაც. ახალგაზრდობაში წერდა ლექსებს, შემდგომში მუსიკამ გაიტაცა, გვარიანად უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, დაწერა ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი „საუბარი ჩვენი დროის მუსიკაზე". პიეტრო დაჯილდოებული იყო ბრწყინვალე მეხსიერებითა და გამჭრიახი გონებით. მისი ბიოგრაფის სიტყვით, არა-

ფერი აკლდა იმ სიკეთეთაგან, რომელთაც ბუნება იმეტებს ხოლ-ბე. როდესაც სურს შექმნა ყოველმხრივ ღირსეული ადამიანისა. პოეზიის სიყვარულს ხელი არ შეუშლია მისთვის სამხედრო საქმეშიც გამოეჩინა თავი, მაგრამ მაჰმადიანებთან საზღვაო ბრძოლებში (ტუნისის ნაპირებთან) უვნებლად გადარჩენილი პიეტრო „ამურის ისრით“ დაიკოდა და მელანჭოლიის კლანჭებში მოექცა. გადაწყვიტა მიეტოვებინა რომი, დღენიადაგ რომ აგონებდა მარცხიან სამიჯნურო რომანს. მისმა მეგობარმა მარიო სკიპანომ, მედიცინის პროფესორმა, შერყეული ჯანმრთელობის უებარ წამლად ხანგრძლივი მოგზაურობა ურჩია.

ნეაპოლის ერთ-ერთ ეკლესიაში ჩატარდა წირვა პიეტროს მოგზაურობის კეთილად მსვლელობისათვის. საზეიმოდ აკურთხეს მისი მოსასხამი და ყელზე ჩამოსაკიდი ოქროს პატარა კვერთხი. 1614 წლის ზაფხულში იტალიელმა პილიგრიმმა გეზი აიღო „წმიდა მიწისაკენ“.

პიეტრო დელა ვალემ მოინახულა მრავალი ქვეყანა, საბერძნეთიდან — ინდოეთამდე. თავისი შთაბეჭდილებანი მან აღწერა მარიო სკიპანოს სახელზე გაგზავნილ ორმოცდათოთხმეტ წერილში, რომლებიც გამოქვეყნდა უცვლელი სახით. სწორედ ამ წიგნმა („მოგზაურობა თურქეთში, სპარსეთსა და ინდოეთში“) გაუთქვა სახელი იტალიელ მოგზაურს მთელს ევროპაში.

როგორც აღნიშნავენ, ერთობ იშვიათია მოგზაურის ჩანაწერები, ესოდენ მრავალ საკითხს რომ ეხებოდეს. მკითხველის თვალწინ იშლება აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, გეოგრაფია, პოლიტიკური მოვლენები, ხალხთა ზნე-ჩვეულებანი. წიგნში აღწერილია ზღვა და ხმელეთი, ქალაქები და სოფლები, მდინარეები და მთები, დღესასწაულები და გართობანი, სამეფო კარი და ბაზრები, ვაჭრობა და რელიგია, სამოქალაქო და სამხედრო კანონები, ქორწილები და დაკრძალვანი, ომები და დიპლომატიური ურთიერთობანი.

პიეტრო დელა ვალეს თხრობა მეგზურად ემსახურებოდა მომდევნო საუკუნეთა მოგზაურებსა და არქეოლოგებს. მისი წერილები წარმოადგენენ ინფორმაციის დაულეველ წყაროს.

მოგზაურობისას პიეტრომ შეიძინა მრავალი აღმოსავლური ხელნაწერი, რომლითაც შემდგომში გამდიდრდა ვატიკანის ბიბლიოთეკა. მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი ფილოლოგიური გამოკვლევანი.

დელა ვალემ ლათინურად თარგმნა კოპტური და არაბული ენების გრამატიკა, შეადგინა ლექსიკონები (ამ შრომათა მეტი წილი ამჟამად დაკარგულია). ჩაიხატა პერსეპოლისის ლურსმული წარწერებ და გააცნო ევროპას პირველი ნიმუშები ძველი სპარსული დამწერლობისა. პირველმა ევროპელთაგან გადათარგმნა სპარსული წიგნი, კერძოდ, იაჰია ყაზვინის (XVI ს.) საისტორიო თხზულება, რომელიც შემდეგ ითარგმნა იტალიურიდან ლათინურ ენაზე და ორჯერ გამოქვეყნდა.

სხვათა შორის, შირაზში პიეტრომ მოინახულა აკლდამა გამოჩენილი სპარსელი პოეტის ჰაფეზისა, რომლის სახელი ჯერ არც სმენოდათ ევროპელებს. დელა ვალეს სიტყვით, ირანში ჰაფეზის ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა და ისეთივე გატაცებით კითხულობდნენ, როგორც იტალიაში — პეტრარკას. იდგა იტალიელი მოგზაური სპარსელი პოეტის აკლდამასთან და იტალიურ ენაზე ჩარმოთქვამდა ეპიტაფიებს. მერე ექსპრომტად შეთხზა ორიოდე სტრიქონი: ჰაფეზის ნეშტი განისვენებს ამ აკლდამაში, ალბათ ბედნიერად იქცა ძვლები, მაგრამ სული მისი ცოცხლობს უამრავ ლექსში.

პიეტრო დელა ვალეს სახელი, შეიძლება ითქვას, ორგანულად არის დაკავშირებული საქართველოსთან, თუმცა მას ფეხიც არ დაუდგამს ჩვენს მიწა-წყალზე. ირანში გაიცნო ქართველები, მათი ბედი გულთან ახლოს მიიტანა და უანგარო სამსახური გაუწია იმ ქვეყანას, რომელმაც თავის მკვიდრთა წყალობით შორიდან შეაყვარა თავი.

„ქართველები რატომღაც ძალიან მიყვარს, — წერდა 1621 წელს პიეტრო დელა ვალე, — არ ვიცი, შესაძლოა იმიტომ, რომ იბერიული სისხლი მირევია და მათი წარმოშობისა ვარ". როგორც ირკვევა, პიეტროს გვარი კანტაბრიული წარმომავლობისა ყოფილა (კანტაბრიელები ბინადრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. სწორედ კანტაბრიის მთებში იღებს სათავეს მდინარე ებრო, რომელსაც უწინ ერქვა იბერი). იტალიელი მოგზაური შენიშნავს, რომ კანტაბრია არის ნაწილი ევროპული იბერიისა, საიდანაც წარმოქმნილა აზიის იბერია, როგორც ამბობენ ძველი მწერლები (მითითებულია სტრაბონი და ანტიკური ეპოქის სხვა ავტორები. იქვე დამოწმებულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, თითქოს და აზიიდან წასული იბერიელნი დასახლებულან პირენეის ნახევარკუნძულზე). ლეგენდა ევროპისა და აზიის იბერიელთა ნათესაობა-

ზე, ჩანს, შუა საუკუნეების ევროპაშიც ყოფილა ცნობილი. შარდენისა და დიონიჯო კარლის ნაწერებიდან ვიცით, რომ XVII საუკუნის საქართველოში ეს ლეგენდა პოპულარობითა და ნდობით სარგებლობდა.

იტალიიდან გამომგზავრებისას პიეტრო დელა ვალე, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, სულ მოკლე ხანში რაოდენ ნაცნობი და ახლობელი გახდებოდა მისთვის მანამდე თითქმის უცნობი ქვეყანა და რომ მისი წიგნის პერსონაჟებად გადაიქცეოდნენ ქეთევან დედოფალი, გიორგი საააკაძე, ხუცესი გიორგი და ირანში ყოფნისას მის ოჯახში ალსაზრდელად მიბარებული ობოლი ქართველი გოგონა თინათინი, მოფერებით მარიუჩა რომ შეარქვეს, — მომავალი მეუღლე პიეტროსი.

„...ქართველებს თავი გამოუჩენიათ, და კვლავაც იჩენენ, მამაც მეომრებად. მათი სამშობლო, როგორც იქ ნამყოფთაგან გამიგონია, ძალზე ლამაზი ქვეყანაა და, როგორც ამბობენ, ძლიერ წააგავს ჩვენი ლომბარდიის ყველაზე მშვენიერ ადგილებს", — აღნიშნავს დელა ვალე 1617 წლით დათარიღებულ თავის წერილში.

პიეტრო დელა ვალეს წიგნში მდიდარი და საინტერესო ინფორმაცია მოიპოვება XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ამბებზე, აგრეთვე სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებული ქართველების შესახებ. გადმოცემულია ირანში გადახვეწილ თუ გადასახლებულ ქართველთა მდგომარეობა. გარდა ამისა, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ავტორის ეთნოგრაფიული დაკვირვებანი.

ასე, მაგალითად, დელა ვალე აღნიშნავს, რომ დიდგვაროვანთა დაკრძალვაზე მოტირალი ქალების დაპატიჟება საქართველოში წესად ყოფილა მიღებული. აი, როგორ აღწერს იტალიელი მოგზაური ამ სამგლოვიარო რიტუალს: „თმას გაიწეწაენ, სამოსელს შემოიფხრეწენ, მერე თმას მკერდამდე ჩამოიშლიან, მჯიღს იცემენ ვულში და პირისახეს იკაწრავენ. ამას თან სდევს სამგლოვიარო სიმღერა. ისინი არა მარტო თვითონ ქვითინებენ, არამედ ყველა დამსწრეს აატირებენ ხოლმე თავისი მოთქმა-გოდებით".

მარიუჩას ქართველი გამდელი, მარინე რომ ერქვა სახელად, ფრიად დახელოვნებული მოტირალი ყოფილა. ამიტომაც ხშირად იწვევდნენ სატირალში და გულუხვად ასაჩუქრებდნენ გაწეული სამსახურისათვის. დელა ვალე შენიშნავს, რომ მოტირალი ქალე-

ბის დაპატიჟება უძველესი ჩვეულებაა და იტალიის ზოგიერთ კუთხეში (სიცილია, კალაბრია) ჩვენს დრომდე შემორჩენილაო.

იტალიელ მოგზაურს არ გამოჰპარვია საქართველოში არსებული სოციალური უთანასწორობა და კლასობრივი ანტაგონიზმი, რასაც ვერ აქარწყლებდა დამპყრობელთაგან სამშობლოს დაცვის საერთო ინტერესები. დელა ვალე წერს: „ჩაგვრა ღარიბთა იმდენად უსაზღვროა, რომ ისინი აღარ არიან პატრონები აღარც თავისი ქონებისა, აღარც ღირსებისა, აღარც სიცოცხლისა. კეთილშობილნი და წარჩინებულნი, რომელთაც ქართველები უწოდებენ აზნაურებს, ართმევენ თავის ხელქვეითებს, როდესაც კი მოესურვებათ, ქონებას, ცოლ-შვილსა და ძალზე ხშირად — სიცოცხლესაც“.

დელა ვალეს წიგნის ფურცლებზე გვხვდება ზემოთქმულის მშვენიერი დამადასტურებელი მაგალითიც. მოგვითხრობს რა ალავერდელი მიტროპოლიტის დების თავგადასავალს ირანში გადახვეწის შემდეგ, ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი ძალზე დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ, რადგანაც სამშობლოდან, განუწყვეტელი ომიანობის გამო, არავითარი დახმარება არ მოსდიოდათ. მალე შეამოეხარჯათ წამოღებული სახსრები, გაყიდეს მთელი ქონება და ბოლოს ყმებიც გაყიდესო.

საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იტალიელი მოგზაურის ფანტასტიკურ ოცნებებსა თუ არანაკლებ ფანტასტიკურ პროექტებში.

დელა ვალე გადმოგვცემს ყიზილბაშთა მიერ საქართველოს აოხრების ამბავს, აღნიშნავს ირანში დაწინაურებული ქართველების მზარდ უკმაყოფილებას შაჰ-აბასის პოლიტიკით საქართველოს მიმართ. დაჟინებით ცდილობს წარმოიდგინოს ახლო მომავალში მოსალოდნელი არეულობა და წერს: განა არ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქართველებმა, ქრისტიანებმა ბუნებით და, მაშასადამე, განსხვავებულებმა სპარსელთაგან, მოიმოქმედონ ირანში ოხინი, რომელიც ოდესღაც მაჰმადიანმა მამლუქებმა მოუწყეს ასევე მაჰმადიან კაიროს ძველ სულტნებს? (იგულისხმება მამლუქთა მიერ აიუბიანთა ცნობილი დინასტიის დამხობა ეგვიპტეში, XIII საუკუნის შუა წლებში).

იტალიელ მოგზაურს თავისი ნაფიქრალი არ ეჩვენებოდა უნიადაგო ფანტაზიად, რადგანაც კარგად ხედავდა, რომ მრისხანე შაჰ-აბასი სინამდვილეში არ უყვარდათ, თუმცა იძულებულნი იყვნენ

უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ და მის ნება-სურვილზე ეცლოთ, მაგრამ ერთხელაც იქნება, ხომ გახუტევებს სულს სეფიანთა ირანის ხელმწიფე და მერე ვიღას ძალუძს მისი სისხლიანი რეჟიმის გახანგრძლივებაო? დელა ვალე გამოთქვამდა რწმენას, რომ თეიპურაზ მეფე და ირანში აღზევებული ქართველები არ გაუშვებდნენ ხელსაყრელ შემთხვევას, მოახდენდნენ გადატრიალებას და იქნებ სეფიანთა ხელისუფლებასაც დაპატრონებოდნენ, თუკი შეძლებდნენ ერთმანეთში არსებულ უთანხმოებათა გადალახვას.

ირანში პიეტრო დელა ვალეს ვიზიტის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. იტალიელი პილიგრიმი სწორედ „ბრწყინვალე პორტას" მიიჩნევდა მთელი საქრისტიანოს უპირველეს მტრად და განუწყვეტლივ ებადებოდა გონებაში მომხიბლავი გეგმები, რომელთა ხორცშესხმა ღონეს წაართმევდა ოსმალეთის იმპერიას და შვებას მოუტანდა დასავლურ სამყაროს.

სეფიანთა ირანის შეკავშირება დნეპრის კაზაკებთან და პოლონეთის სამეფოსთან (საქართველოს შუამავლობით) — აი, ასე ესახებოდა იტალიელ მოგზაურს აღმოსავლეთის ფრონტი ოსმალეთის წინააღმდეგ.

კაზაკები იმ ხანებში თავზარს სცემდნენ ოსმალებს შავ ზღვაზე. ხშირად ხმელეთსაც მიადგებოდნენ და არბევდნენ ოსმალეთის ქალაქებს. შავი ზღვის სანაპიროზე ოითქმის აღარ მოიპოვებოდა ოსმალთა თუ ყირიმელ თათართა სამფლობელო, კაზაკთა თარეშს რომ გადარჩენოდა. ერთხელაც, უშუალოდ სტამბოლის სიახლოვეს, ვაჭრობდა კაზაკთა ხომალდები. კაზაკებმა გადაწვეს ორი ნავმისადგომი ოსმალეთის სატახტო ქალაქის მიდამოებში და ენით აუწერელი პანიკა გამოიწვიეს ხონთქრის სასახლეში.

დელა ვალეს გეგმით, კაზაკებსა და ირანს შორის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი უნდა გამხდარიყო ოდიშისა და გურიის სამთავროები. კაზაკებს თავის პლაცდარმად უნდა გადაექციათ ოდიშისა და გურიის ზღვისპირა ტერიტორია, შენდეგ კი ირანის დახმარებით დაეჭირათ ტრაპიზონი და მისი მიდამოები.

შაჰ-აბასს ჭკუაში დაუჯდა იტალიელი მოგზაურის პროექტი; მან წერილი გაუგზავნა პოლონეთის მეფეს, რომელსაც სთავაზობდა შემდეგს: ირანი თავისი ხარჯით ააგებდა ერთ ციხე-სიმაგრეს შავი ზღვის რომელიმე ნავსადგურთან, ტრაპიზონის მეზობლად მდებარე გურიაში, შიგ ჩააყენებდა ყიზილბაშთა გარნიზონს, რო-

მელიც პოლონეთის მეფის გახკარგულებაში იქსებოდა. შემდგომში ეს ციხე-სიმაგრე გადაეცემოდა ქაზაკებს. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები დაემორჩილებოდნენ პოლონეთს, ხოლო საქართველოსა თუ ირანში მცხოვრები ყველა ქრისტიანი ქართველი — კათოლიკურ ეკლესიას!

აი, ასეთი უცნაური გეგმა დაიბადა სეფიანთა სამეფო კარზე, ნაწილობრივ, იტალიელი მოგზაურის ჩაგონებით. შაჰ-აბასი ამით არაფერს აგებდა. ოსმალეთის გავლენის სფეროში მოქცეულ დასავლეთ საქართველოს გულუხვად უძღვნიდა პოლონეთის მეფეს, ქაზაკთა დახმარებით იმედოვნებდა ოსმალეთის განდევნას და, ალბათ, გულისხმობდა, რომ მომავალში თვითონ დაეპატრონებოდა ოსმალოსაგან დაცლილ ტერიტორიას.

შაჰ-აბასმა ზემოხსენებული გეგმა გააცნო ქართველ ელჩებსა და დიდებულებს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან. დელა ვალე წერს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ქართველებისათვის ერთმორწმუნე პოლონეთის სამეფოს ფარგლებში მოქცევა დიახაც სასარგებლო იქნებოდა მაჰმადიანური აგრესიისაგან თავის დასაცავად, და იქვე დასძენს: „მაგრამ ისინი დამოკიდებულნი არიან და ჰყავთ თავიანთი კანონიერი მეფე-მთავრები, ამიტომაც არ ეჭაშნიკებათ დაეჭვემდებარონ უცხოელებს (თუნდაც ერთმორწმუნეთ), რაც ყველა ხალხში აღშფოთებასა და ზიზღს იწვევს".

დელა ვალეს პროექტი იმიტომაც იყო განწირული ჩასაფუშად, რომ ქართველები მხარში ვერ ამოუდგებოდნენ შაჰ-აბასს, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა საქართველოს. ქართველები ანტიოსმალურ კოალიციას კარგი თვალით უყურებდნენ XVI საუკუნის ბოლოს, როდესაც მძლავრობდა ოსმალეთი და რეალურად მიუწვდებოდა ხელი საქართველოს დამორჩილებაზე, ხოლო ირანი ძალზედ იკრებდა და მისი აგრესია პერსპექტივაში თუ ისახებოდა. საქართველოს ჯერ არ ეგეგმა შაჰ-აბასის შემოსევები. ქართველი მეფე-მთავრები იმ ხანებში ირანულ ორიენტაციას არჩევდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული ორი ვეშაპის ომში ხვალინდელ მტერს უჭერდნენ მხარს, ოღონდაც დღევანდელი მტრისაგან გადაერჩინათ თავი. მაგრამ ყიზილბაშთა მიერ კახეთის აოხრებას შემდეგ საქართველომ ზურგი აქცია ირანულ ორიენტაციას და სწორედ ირანის წინააღმდეგ ქართველი მეფე-მთავრების გაერ-

თიანებას ლამობდა თეიმურაზი, რათა ოსმალეთის დახმარებით განედევნა საქართველოდან ყიზილბაშები. სწორედ 1618 წელს, როდესაც იტალიელი მოგზაური ანტიოსმალური კოალიციის შემადგენლობაში საქართველოს ჩაბმას ვარაუდობდა, თეიმურაზი სამი ათასი ქართველი მხედრის თანხლებით იმყოფებოდა ოსმალეთის ჯართან, რომელიც სეფიანთა ირანის ტერიტორიაზე იყო უკვე შეჭრილი. ასე რომ, საქართველოს მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში, ფაქტიურად, გამორიცხული იყო.

ოცნებობდა იტალიელი მოგზაური და თვალწინ წარმოუდგებოდა საქართველო, როგორც კვანძი ევროპასა და აზიას შორის. მისი ფიქრით, ქართველების ხელშეწყობით ქრისტიანობა მოიხვეჭდა. დიდ გავლენას მთელს აღმოსავლეთში და რომის პაპი, როგორც საერთო მეგობარი ირანისა და საქართველოსი, ითამაშებდა შუამავლისა და არბიტრის როლს ამ ორი ქვეყნის დაძაბულ ურთიერთობაში. დელა ვალე უკმაყოფილებას გამოთქვამდა კათოლიკური ეკლესიის გულგრილ დამოკიდებულებაზე ქრისტიანული საქართველოს მიმართ და, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიაჩნდა გაგზავნა საქართველოში იეზუიტი მისიონერებისა, რომლებიც შეისწავლიდნენ ქართულ ენას და დააარსებდნენ კოლეჯებს ევროპული განათლების გასავრცელებლად.

ხანგრძლივი მოგზაურობიდან პიეტრო დაბრუნდა რომში 1626 წლის 28 მარტს და უკვე 19 აპრილს წარუდგინა რომის პაპს თავისი ხელნაწერი ნაშრომი „ინფორმაცია საქართველოს შესახებ". 4 მაისს მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოში თეათინელთა მისიის დაფუძნებაზე. 23 ივნისს თეათინელი მისიონერები გამოემგზავრნენ საქართველოსაკენ.

ჩვენში თეათინელ მისიონერთა მრავალმხრივი მოღვაწეობის დასახასიათებლად საკმარისი იქნება ვახსენოთ თუნდაც არქანჯელო ლამბერტისა და ქრისტეფორე კასტელის სახელები.

თეათინელთა დამკვიდრება საქართველოში იყო ერთადერთი რეალური შედეგი პიეტრო დელა ვალეს შუამდგომლობისა რომის პაპის წინაშე „საქართველოს საკითხთან" დაკავშირებით.

...საქართველოს გმირული წარსულისა და აწმყოს შესწავლა ოპტიმიზმს უღვივებდა იტალიელ მოგზაურს. იგი წერდა: „რაც შეეხება საქართველოს, მე მახსენდება. რომ წინათაც იყო მსგავსი შემოსევები ბარბაროსთა, მაგალითად, თემურ-ლენგისა, ჩვენ

რომ ტამერლანს ვუწოდებთ, და საქართველომ გადაიტანა არანაკლები ტანჯვა, და შესაძლოა უფრო მეტიც, ვიდრე დღეს. მაგრამ გადაუვლია მძვინვარე ქარიშხალს, ნაომარ-ნაოხარი ქვეყანა ისევ აღმდგარა და არ დაუკარგავს ქრისტიანული სარწმუნოება".

სათნოება და სევდა

ქართველი ქალის მშვენებას ოდითგანვე ასხამდნენ ხოტბას ევროპელი მოგზაურები და მწერლები. როგორც ამბობენ, იშვიათია ისეთი ნაშრომი, სადაც მოხსენიებულ იყოს საქართველო და იქვე არა გვხვდებოდეს ქება-დიდება ქართველი ქალებისა, არ აღინიშნებოდეს მათი სილამაზე თუ სხვა ღირსებანი, რაც საგანგებო ყურადღებას იქცევდა.

XVIII საუკუნის ფრანგი ავტორის წიგნში, რომელიც მოგვითხრობს ნადირ-შაჰის ისტორიას, ქართველებთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „რაც შეეხება ქალებს, ვის არ სმენია ქართველ ქალთა სილამაზის ქება. უკვე დიდი ხანია მათ ანიჭებენ უპირატესობას მთელი აზიის ქალების წინაშე".

ერთი საუკუნით ადრე, იტალიელი პიეტრო დელა ვალე ირანიდან სწერდა თავის მეგობარს რომში: „სიმართლე რომ ითქვას, ქართველი ქალები ყველაზე მშვენიერნი არიან მთელს აზიაში. შავგრემანი სპარსელები ვერ შეედრებიან მათ".

როგორც ცნობილია, პიეტროს მეუღლე გახლდათ ქართველი ქალი (თინათინი ანუ მარიუჩა) და, შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ იტალიელ მოგზაურს პირადი სიმპათია ალაპარაკებდა, მაგრამ როდესაც ზემოთ დამოწმებული სიტყვები დაიწერა, პიეტროს მომავალი მეუღლე ათიოდე წლის ბავშვი იყო და, ცხადია, არავის დაესიზმრებოდა ათი წლის შემდეგ მოსახდენი — რომში დაბრუნებისას უკვე დაქვრივებული პიეტრო ცოლად შეირთავს თავისი პირველი მეუღლის ქართველ შვილობილსა და აღზრდილს. დელა ვალეს ბიოგრაფების ცნობით, პიეტროსა და თინათინს თოთხმეტი შვილი შესძენიათ. სხვათა შორის, პიეტრომ თავის პირმშო გოგონას სახელად დაარქვა „რომიბერა". ეს უნიკალური სახელი იმას

ნიშნავდა, რომ ბავშვის მამა რომაელი იყო, ხოლო დედა — იბერიელი (ე. ი. ქართველი).

რომანტიკული სულისკვეთებით შეპყრობილი ევროპელი ავტორები ჩვენი ქვეყნის თავზე დატეხილ უბედურებათა მიზეზად ზოგჯერ ქართველი ქალების სილამაზესაც მიიჩნევდნენ. ასე მაგალითად, შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრება თითქოსდა გამოწვეული იყო სეფიანთა ხელმწიფის უიმედო სიყვარულით თეიმურაზ პირველის მეუღლისადმი, სახელად ხორეშანი რომ ერქვა და ირანში კი „ფერიას“ ეძახდნენ. ჩნდებოდა მომხიბლავი პარალელი მშვენიერ ელენესთან, ვის გამოც გაჩაღებულა ტროას ათწლიანი ომი.

გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიაში „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ კვლავ მიჯნურის როლში გვევლინება სეფიანთა ირანის ბრძენი და მუხანათი მბრძანებელი, ოღონდ ამჯერად მისი ტრფობის ობიექტს წარმოადგენს დატყვევებული ქეთევან დედოფალი. აქაც შაჰის უიმედო სიყვარული იწვევს შურისძიების წყურვილს, რომელიც ულმობელი განაჩენით მთავრდება — ვარდებისა და პოეტთა ქალაქ შირაზში აწამებენ წმინდანად ამაღლებულ ქართველ დედოფალს.

XVI—XVIII ს. ს. ირანსა და ოსმალეთში, ქართლის ბედის უკუღმართობის გამო, მრავლად იყვნენ სამშობლოდან მოტაცებული, გაყიდული თუ ძლვნად წარგზავნილი ქართველი ქალები. ისინი ამშვენებდნენ შაჰებისა და სულთნების, ხანებისა და ფაშების ჰარამხანებს. ხოლო ერთი მათგანი ზღაპრული ინდოეთის დედოფალიც კი გამხდარა!

საბჭოთა ჟურნალისტი ა. კუცენკოვი „ნოვი მირის“ ფურცლებზე (1967, № 4) გამოქვეყნებულ ნარკვევში გადმოგვცემს, რომ ინდოეთის ქალაქ უდაიპურში ყოფნისას ინდოელ გიდს საბჭოთა ტურისტებისათვის უამბნია დიდ მოღოლთა იმპერატორ აურანგზების უსაყვარლესი ქართველი ცოლის შესახებ, რომელსაც ინდოელები უდაიპური-მაჰალს ეძახდნენო. ეს ქართველი ქალი ტყვეთა ბაზარზე უყიდია აურანგზების ძმას, შეფისნაცვალ დარას, და მალე მისი ჰარამხანის მშვენებად ქცეულა თავისი გონიერებისა და სილამაზის წყალობით. ცოტა ხნის შემდეგ, ხსენებული დარა აჯანყებულა იმპერატორის წინააღმდეგ. აურანგზებს სასტიკად დაუმარცხებია მეამბოხე ძმა და, ტრადიციისამებრ, მთელი მისი ჰარამხანაც დაუსაკუთრებია. უდაიპური მაჰალს ძალზე მოუხიბლავს აურანგ-

ზები, რომელსაც ცოლად შეურთავს ქართველი ქალი. იგი სიცოცხლის ბოლომდე ყოფილა ინდოეთის სახელგანთქმული იმპერატორის ერთგული მეგობარი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მრჩეველიც. 1707 წელს აურანგზები გარდაიცვალა და ოთხი თვის შემდეგ მისი ქართველი ცოლიც გაჰყვა მის კვალს. ვინ იცის, ეგებ დარდმა იმსხვერპლა არდა თავი მოიწამლა... „განა რომანტიკული ისტორია არ არისო?“ — უთქვამს ბოლოს ინდოელ გიდს.

ქართველ ქალთა ბედი და უბედობა განსაკუთრებით ასაზრდოებდა ეგზოტიკური აღმოსავლეთით „დასნეულებული“ ფრანგი მწერლების ფანტაზიას. ნ. ორლოვსკაია თავის წიგნში „საქართველო XVII—XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში“ აღნიშნავს, რომ 1735 წელს პარიზში გამოუქვეყნებიათ მარმონ დიუ ოშანის რომანი (ორ ტომად) „რეტიმა ანუ მშვენიერი ქართველი ქალი“, სადაც მოთხრობილია თაეგადასავალი ქართველი მზეთუნახავისა, რომელიც სიყმაწვილეში მოუტაციათ საქართველოდან ოსმალეთის სულთნის ჰარამხანისათვის, მაგრამ რეტიმას მოუხერხებია გაქცევა ოსმალეთიდან ევროპაში, მრავალი ფათერაკის შემდეგ დასახლებულა ინგლისში, გამდიდრებულა და ბოლოს ცოლად გაჰყოლია ინგლისელ კაპიტანს. ფრანგი მწერლის ჰიერ რეტიმა დახატულია არა მარტო როგორც ზღაპრული სილამაზის განსახიერება, არამედ — ნიმუშიც ყოველგვარი სათნოებისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ უცხოელებს ავი სიტყვაც არაერთხელ დასცდენიათ ქართველი ქალების მისამართით. მაგრამ შარდენისა და მის მიმდევარ მიმბაძველთა შეხედულებანი, თუნდაც ნაწილობრივ მართალი იყოს, აშკარად იჩრდილება დითირამბებისა თუ გულწრფელი აღტაცების ფონზე.

ქართველი ქალის სათნოება საკმაოდ უჩვეულოდ არის ხაზგასმული XVII საუკუნის თურქი პოეტის ერთ ლექსშიც. მაგრამ ვიდრე ამ სტრიქონებს დავიმოწმებდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ხსენებული ლექსის ჟანრს, სახელდობრ — მამის რჩევა-დარიგებას შვილისადმი.

დიდაქტიკური ჟანრის თხზულებანი ყოველთვის პოპულარული იყო როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში.

ამ ჟანრის ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს XII საუკუნის სპარსელი ავტორის ქეი-ქაუსის „ყაბუს-ნამე“, რომელსაც იცნობდნენ თამარისდროინდელ საქართველოში, ხოლო

XVIII საუკუნეში მისი ფრაგმენტები ქართულად უთარგმნია ვახტანგ VI-ს (რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა „ყაბუს-ნამეს“ სრული ქართული თარგმანი, შესრულებული ამირან ლომთაძის მიერ).

თავისი სიცოცხლის დასასრულს, მოხუცებულ ქეი-ქაუსს შვილისათვის დაუტოვებია მრავალი რჩევა-დარიგება, ადამიანის ცხოვრების თითქმის ყოველ მხარეს რომ მოიცავს: ცოდნის შეძენა თუ საუბრის ავ-კარგი, მეგობართა შერჩევა თუ მტერ-მოყვარის გარჩევა, სტუმარ-მასპინძლობა და გართობა, ჰამა-სმა, ნადირობა და სპორტი, ვაჭრობა და ექიმობა, ლექსი და ლხინი, დასჯა და შენდობა, მეფეთა სამსახური და... ცოლის შერთვაც. ქეი-ქაუსი ასე მიმართავს შვილს: „როცა ცოლის მოყვანას დააპირებ, მას ქონებას ნუ გამოეკიდები. ქალი საქმეში ნახე და მისი ლამაზი სახის მონა ნუ გახდები. ლამაზი ქალი მხოლოდ საყვარლად გამოდგება. კარგი ქალი ღვთის მოშიში, გამრჯე, დიასახლისი, ქმრის მოყვარული, მორიდებული, კდემამოსილი, ჩუმი, მომჩირნე და ქონების ყურისმგდებელი უნდა იყოს“.

შეგონების ავტორს მხოლოდ სათნოება მიაჩნია ქალის უპირველეს ღირსებად და ამიტომაც მოუწოდებს თავის შვილს, რომ ქალის სილამაზე და ქონება არაფრად ჩააგდოს, მხოლოდ სათნოება ეძებოს და თუკი განგება უწყალობებს ცოლად სათნო ქალს, მისი ბედნიერება უსაზღვრო იქნება.

XIII საუკუნის სპარსელი პოეტი საადი თავის დიდაქტიკურ პოემაში „ბუსთანი“ ასევე ამახვილებს ყურადღებას ცოლის ავკარგიანობაზე და სათნოებას მიიჩნევს ყველაზე ძვირფას თვისებად ქალის ბუნებაში: „ცოლი კეთილი და გამგონე თუ მოეძევა, ქმარი გლახაკი ფადიშახად გადაიქცევა... თუ მორჩილია, მხიარული და ღვთისნიერი, მის სილამაზეს და სიგონჯეს ნუღარ უცქერი... ციხეში ჯდომა სასჯელისთვის სჯობია ბევრად, ვიდრე ნახო შინ ცოლის წარბი შეკრული ტევრად. ჯობს რომ გაიქრე და ეთრიო მთასა და ბარში, ვიდრე ავი ზნის ცოლთან იჯდე მუდამ სახლ-კარში“ (თარგმანი ამბაკო ჭელიძისა).

დავით გურამიშვილმაც გადაუხადა ხარკი ამ თემას. პოემაში „ქაცვია-მწყემსი“ ვკითხულობთ მამის რჩევა-დარიგებას შვილისადმი, სადაც მომავალ ცოლზეც არის საუბარი: „ერიდე კახ-

პას, ურცხვს, ლოთს და კაპასს, თორემ გიგინებს დედ-მამას, პაპას... გაქვს თუ არა გაქვს, არ გაგიკითხავს; გეტყვის: არ მაცმევ შაიდიშთ ნიფხავს". მამა აფრთხილებს თავის შვილს, ანჩხლი და ურცხვი ქალის შერთვას ერიდეო და იმოწმებს ბიბლიურ სიბრძნეს: „უმჯობეს არსო ლომთ-ვეშაპთანა, ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა". ამ ფრაზის წყაროს წარმოადგენს „წიგნი ისოზირაქისა", სადაც ძაძასავით პირდაბნელებულ და სულმდაბალ დედაკაცს უპირისპირდება დედაკაცი კეთილი, ქმრისთვის სანატრელი, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, მისი მშვიდობიანი ცხოვრების საწინდარი.

მატრიმონიალური პრობლემა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფართო ასპექტში აქვს განხილული ზემოხსენებულ თურქ პოეტს — ნიაზი მისრის (1618 — 1694). თურქული ლიტერატურის ისტორიაში მას ახასიათებენ, როგორც მისტიკოს შემოქმედს. ახალგაზრდობაში შეუსწავლია მისტიციზმის საფუძვლები ბაღდადისა და კაიროს ცნობილ შეიხებთან. ნიაზი მისრი პოეზიის გარდა პოლიტიკითაც ყოფილა გატაცებული (ოსმალეთის ხელისუფალთ, ცხადია, არც ის გარემოება ეპაშნიკებოდათ, რომ სუნიტურ გალიაში გაზრდილი ბულბული დროდადრო შიიტურ ჰანგებზე გალობდა ანუ ხოტბით ამკობდა ხოლმე თავის ნაწარმოებებში ალის, ჰასანსა თუ ჰუსეინს). და ვინაიდან „მისი სიტყვები ეწინააღმდეგებოდა მისი ეპოქის თვალსაზრისს", ნიაზი მისრი ორჯერ გადაუსახლებიათ, პირველად — როდოსის კუნძულზე, ხოლო მეორედ — ლემნოსზე, საიდანაც ველარ დაბრუნებულა.

„წამალი ვეძებე ჩემი დარდისთვის, ჩემი დარდი ჩემთვის წამალი ყოფილა, მტკიცება ვეძებე ჩემი არსისთვის, ჩემი არსი ჩემთვის მტკიცება ყოფილა", — წერდა მისრი. სუფი პოეტი აგრძელებდა იმ ტრადიციას, რომელიც შუა საუკუნეების აღმოსავლეთში იქცა აზროვნების მამოძრავებელ ღერძად. ეს ტრადიცია გულისხმობდა საკუთარი არსის შემეცნების გზით — სამყაროს მრავალგვარ და მრავალფეროვან მოვლენებში გარკვევის შესაძლებლობას.

1853 წელს, ჟენევაში, ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა თურქული პოეზიის ანთოლოგია („ოსმალური მუზა"), სადაც მოთავსებულია ნიაზი მისრის დიდაქტიკური ლექსიც, რომელიც ქართულად ვთარგმნე და აქვე გავაცნობ მკითხველს:

ცოლს როცა ირთავ, შვილო ჩემო, ყურადღებით,
ქარგად დაფიქრდი, არჩევანი არ შეგეშალოს.
დაფიქრდი, რადგან ბედ-იღბალმა თუკი გიმტყუნა,
ენით უთქმელი მწუხარებით შეიბორკები,
ლამაზი სატრფო დათაფლული რომ გიცინოდა,
ცოლად ქცეული მწარე ცრემლებს დაგაღვრევინებს.
მაშ აირჩიე, შვილო ჩემო, სათნო ქალწული,
ქეთილი გულით რომ მოგხიბლოს და დაგატკვევოს.
ჭირსა და ლხინში განუყრელად შენთან იქნება,
მუდამ დაგატკბობს, გაგახარებს უბიწო ტრფობით.
წაგრამ საცოლეს სად მონახავ ესოდენ სრულქმნილს?
აქ, არ წახვიდე საძებნელად ჩრდილო ქვეყნებში,
იქ ქალსაც, კაცსაც და ყმაწვილსაც ღალატი უყვარს.
თვალთმაქცობენ და მიილტვიან — ფეხქვეშ გაგთელონ,
სამარადისოდ დააქციონ ტახტი ოსმალთა.
არც ფრანგ ქალს გირჩევ, არც გერმანელს და არც მადიარს,
ცბიერთა მოდგმამ სულ არ იცის ჩვენი ადათი,
პატივს არ სცემენ ჩვენს მოციქულს — ჩვენს წმინდა
მაჰმადს.

მათი გონება არ ნათდება სარწმუნოებით.
მშვენიერ ჩერქეზს, დამიჯერე, ნუ ამოირჩევ,
ხმალ-ხანჯალს უფრო ეფერება, ვიდრე მეუღლეს,
სწყურია ცხენის ჭენება და ბრძოლის ყიჟინა,
დაიქანცები, მოგბეზრდება ალერსი მისი.
არაბს რა უშავს, მზად იქნება, რომ გემსახუროს,
ოღონდ გაგტანჯაოს თაენება და თავქარიანი.
მოგაჯადოებს ზანგი ქალი მხურვალე ვნებით,
ჩაგეკონება უჩვეულო, ცხელსისხლიანი,
მაგრამ ვაითუ ვერ გაუძლო საშინელ სახეს,
რომელსაც თითქოს აურეკლავს ღამის წყვდიადი.
ბოლოს რაღა ვთქვა, რა გირჩიო, ვინ ავირჩიო...
ხომ გსურს იცხოვრო, შვილო ჩემო, მშვიდად და
ტკბილად?

მაშ უყოყმანოდ აირჩიე სათნო ქართველი:
მთელს დუნიაზე ჰეშმარიტად ერთადერთია —
ცოლად, მეგობრად, მიჯნურად რომ გამოგადგება.
ნუ დაიწუნებ უხეირო სამოსლის გამო,
სამაგიეროდ გულწრფელია, ნაზი, ხალასი,
მაშ, შვილო, ჩემო აირჩიე ქალი ქართველი,
მასთან ცხოვრებით შენ იხილავ ყველაფერს იმას,
რასაც ალაჰი უწყალობებს უბრალო მოკვდავთ —
ამქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად...

ამერიკელი მეცნიერი ი. დენგლერი თავის წიგნში „ქალები მუსლიმურ სამყაროში“ (1978) ორიოდე სიტყვით გადმოგვცემს ნიაზი მისრის ამ ლექსის შინაარსს, და შენიშნავს, რომ თურქი პოეტის მსჯელობა ცოლის არჩევის თაობაზე უნდა წარმოადგენდეს ოსმალეთის „მაღალი საზოგადოების“ წრეებში გავრცელებულ შეხედულებას მდაბიო წარმოშობის ქალთა შესახებ და დასძენს: „მისრის ლექსში მხოლოდ ქართველ ქალს დაუმსახურებია კეთილგანწყობილი შეფასება. პოეტის დახასიათებით, ის არის მომხიბვლელი, პატიოსანი, გულღია და თავდაჭერილი, მაშასადამე — იდეალი მყუდრო ოჯახური ცხოვრებისათვის“.

„აირჩიე სათნო ქართველი“—ნიაზი მისრის მიერ შვილის მისამართით თქმული ეს შეგონება თუ მოწოდება, უთუოდ, მოხდენილი სათაური იქნებოდა ზემოთ დამოწმებული ლექსისათვის. მაგრამ ავტორს კატეგორიულად გამოტანილი „მსჯავრისაკენ“ შემპარავად მიჰყავს მკითხველი, რათა გააღვივოს მისი ცნობისმოყვარეობა. ნიაზი მისრი საქმიანად განიხილავს ევროპელ თუ აზია-აფრიკელ ქალთა ღირსებებსა და ნაკლს, ნელ-ნელა ამზადებს ნიადაგს თავისი ლექსის მთავარი სათქმელის გასამჟღავნებლად. მკითხველისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით მას, ცხადია, შეეძლო გაეგრძელებინა სხვადასხვა ტომის ქალთა დახასიათება თავის „სამაჯანკლო ტესტამენტში“. მაგრამ ანგარიში გაუწია იმას, რომ მკითხველი მოუთმენლად ელოდა პოეტის მიერ მოწყობილ „საცოლეთა კონკურსში“ გამარჯვებულის გამოვლენას. ნიაზი მისრიმ დასახელებულ კანდიდატურათა მკაცრი კრიტიკული შეფასება, როგორც ჩანს, სავსებით საკმარისად მიიჩნია თავისი არჩევანის გასამართლებლად. ყველაზე ძვირფასი ადამიანური ღირსებით, რომელსაც სათნოება ჰქვია, უხვად დაჯილდოებული ქალი ჩათვალა ყველაზე სასურველ არსებად თავისი შვილის მომავალი ოჯახური ბედნიერებისათვის. ამიტომაც თავი აარიდა დანარჩენთა კვალიფიცირებას, თორემ ჩამოსათვლელ ქალებს რა გამოლევდა!

დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობითა და ძარცვა-გლეჯით გალაღებულ ოსმალებს მართლაც დიდი არჩევანი ჰქონდათ. სტამბოლის ბაზრებზე ყველა მოდგმისა და ჯურის ქალებს უყრიდნენ თავს და, ჩვენდა საუბედუროდ, ქართველ ქალებსაც; სათნო ქართველ ქალებს — იანიჩრებად განწირულ ქართველ ჭაბუკებთან ერთად.

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?“ — ილია ჭავჭავაძის მიერ გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები, წარმოშობით ქართველ იანიჩარს რომ ეძღვნება, თამამად შეიძლება გავავრცელოთ სამშობლოდან გადაკარგულ ქართველ ქალებზეც, რომელთა სათნოებას ლანდივით თან დაჰყვებოდა განუკურნავი სევდა.

ლეგენდა ხელმწიფის სიყვარულზე

ძველბერძნული მითი მოგვითხრობს, რომ ოლიმპოს სამი ქალღმერთი ერთმანეთს ეცილებოდა პირველობას სილამაზეში. ამ თავისებურ „სილამაზის კონკურსზე“ მსაჯულად მიიწვიეს ტროელი უფლისწული პარისი, რომელმაც უმშვენიერესად აღიარა აფროდიტე და მისი მსჯავრით კმაყოფილი ქალღმერთი სიყვარულისა ცოლად დაჰპირდა მოკვდავ ქალთაგან უმშვენიერესს — ელენეს. გამოხდა ხანი და პარისი გაუდგა გზას სპარტისაკენ, სადაც ცხოვრობდა მშვენიერი ელენე. ამაოდ აფრთხილებდნენ ტროელ უფლისწულს, შენც დაიღუპები და შენი სამშობლოც განადგურდებაო. მისნობის ნიჭით დაჯილდოებულ კასანდრას ელანდებოდა მომავლის შემზარავი სურათები: ცეცხლმოდებული ილიონი, სისხლის მდინარეები და მიწაზე გართხმული დამცველები ტროისა. უღონოდ ჰვრეტდა ნათელმხილველი კასანდრა, თუ როგორ მიჰყავდათ ცრემლშეუშრობელი ქალები გადამწვარი ტროიდან ტყვეობაში და ეგედრებოდა პარისს, ცდუნებას ნუ აჰყვებიო. მაგრამ ელენეზე ოცნებით შებორკილი პარისი ყურს აღარ უგდებდა გაფრთხილებას.

მენელაემ, ელენეს მეუღლემ, გულთბილად მიიღო სტუმარი და მის პატივსაცემად ლხინი გადაიხადა. პარისმა პირველად სწორედ აქ იხილა მშვენიერი ელენე. ტროელი უფლისწული აღტაცებით შეჰყურებდა ულამაზეს ქალს. პარისის მშვენებამ მოხიბლა ელენეც. რამდენიმე დღის შემდეგ მენელაეს გამგზავრება მოუხდა კრეტას კუნძულზე. პარისმა ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და მოიტაცა მშვენიერი ელენე. მენელაე სასტიკად განრისხდა, მომხდარი ამბავი მყისვე აუწყა თავის ძმას აგამემნონს და რჩევა ჰკითხა, თუ როგორ ეძია შური მუხანათ პარისზე. აგამემნონმა ურჩია, შე-

ეკრიბა საბერძნეთის გამოჩენილი გმირები და დაეწყო ომი ტროის წინააღმდეგ. მენელაე მოითხოვდა დაებრუნებინათ მისთვის მეუღლე, მაგრამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია. გაჩაღდა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი. ერთიმეორის მიყოლებით იღუპებოდნენ საბერძნეთისა და ტროის სახელოვანი გმირები, ომს კი დასასრული არ უჩანდა. მხოლოდ მეათე წელს აიღეს ბერძნებმა ტროა, აზიის ყველაზე ცნობილი ქალაქი. მეუღლემ დაიბრუნა მშვენიერი ელენე...

სამეცნიერო ლიტერატურაში ტროის ომის ნამდვილ მიზეზად გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებია მითითებული და სწავლულთა ირონიულ ღიმილს იწვევს იმის მტკიცება, რომ ბერძნული სახელმწიფოები და მათი მხედართმთავარნი ათი წლის მანძილზე ებრძოდნენ ტროას მშვენიერი ელენეს გულისათვის. მაგრამ ლამაზი ლეგენდა არ თმობს თავის პოზიციებს და სამუდამოდ დამკვიდრებულა კაცობრიობის მეხსიერებაში. ჩვეულებრივი მკითხველის თვალში, ეტყობა, სიყვარული უფრო მიმზიდველ საბაბად გამოიყურება ომისათვის, ვიდრე უცხო ქვეყნის დაპყრობისა და ძარცვის წყურვილი.

ანალოგიური თქმულებანი მოიპოვება სხვა ხალხთა ისტორიაშიც. თურმე, ქართველი ქალის მშვენებაც გამხდარა წყარო ლეგენდისა, სადაც ვხედებით ხელმწიფის სიყვარულსაც და სიყვარულითვე გამოწვეულ ომსაც.

...XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროებს შორის განსაკუთრებული და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს არჩილ მეფის პოემას „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. პოემაში ვრცლად არის მოთხრობილი თეიმურაზ პირველის მშფოთვარე ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ეპიზოდები.

აღსანიშნავია, რომ არჩილი თორმეტი წლის მანძილზე განაგებდა კახეთის სამეფოს და თეიმურაზის ახლობელ პირთა წრეში ტრიალებდა. თეიმურაზის დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერდს მახლდნენ, ვკითხავდი მეფის საქმეებს და ისინიც დაწვრილებით მიამბობდნენო, გვაუწყებს არჩილი. ამასთან ერთად, მას ცოლად ჰყავდა შვილიშვილი თეიმურაზისა და, ცხადია, ოჯახური გადმოცემებიც ეცოდინებოდა. „არა ხოტბა, არამედ მართალი“ დაწერეო, აცხადებს მეფე-პოეტი და ხაზგასმით აღნიშნავს, ტყუილი ჩემს წიგნში არაფერია, გარდა იმისა, რომ რუსთველი და თეიმუ-

რაზი ერთმანეთს ებაასებიანო. შოთა რუსთველის ნაამბობი კვალდაკვალ მისდევს „ქარლის ცხოვრებას“ და არ გამოირჩევა ორიგინალობით, მაგრამ თეიმურაზ პირველის „ავტობიოგრაფია“ ძვირფას პირველწყაროდ უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც იყო, რომ მომდევნო ხანის ქართველი ისტორიკოსები უხვად სარგებლობდნენ არჩილის თხზულებაში მოტანილი მასალით. ერთი სიტყვით, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მიჩნეულია თეიმურაზ პირველის ცხოვრების საუკეთესო მცოდნედ. ამდენად, ყოველი ცნობა თუ მინიშნება არჩილის პოემის ფურცლებზე დაკვირვებასა და შესწავლას იმსახურებს.

ამჯერად, მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო 410-ე სტროფზე, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის საქართველოში შაჰ-აბასის პირველი შემოსევის ამბავს.

„ამას ნუ ბრძანებთ ნურავინ, მე მისთვის რამე მეწყინოს, უარი მეთქვას რისამე, ან წყენა მე დამეჩინოს; მაგრამ ესე სწადს, საკუთრად კახეთი მან დაირჩინოს, ბაგრატიონნი გასწყვიტოს და არსად არ მოარჩინოს“.

დამოწმებულ სიტყვებს წარმოთქვამს თეიმურაზი, ხოლო კახეთის დაპყრობისა და ბაგრატიონთა გაწყვეტის მსურველი, რა თქმა უნდა, გახლავთ შაჰ-აბასი, სეფიანთა ირანის ყველაზე სახელგანთქმული და ყველაზე პირსისხლიანი ხელმწიფე.

ზემოთ მოტანილი სტროფის წაკითხვისას ისე'თი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოსდა თეიმურაზი თავს იმართლებდეს და გულმოდგინედ ცდილობდეს თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას: არაფერი მიწყენინებია ხელმწიფისათვის, არაფერზე მითქვამს უარი და აც ჩემი წყენა გამომიჩენიაო. ასეთი თავის მართლება უთუოდ პასუხს უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ ბრალდებაზე. ეტყობა, თეიმურაზს ბრალად სდებდნენ შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრებას (1614 წ.); ეგებ, მართლაც მიუძღოდა კახეთის მეფეს რაღაც დანაშაული სეფიანთა ხელმწიფის წინაშე?

არჩილის პოემაშივე ვკითხულობთ, რომ ქართლ-კახეთში ყაზილბაშთა შემოსევისა და ქართველი მეფეების იმერეთში გადახვეწის შემდეგ, გორში მყოფ შაჰ-აბასს ეახლებიან იმერეთის მეფის გიორგის მოციქულები, რათა თავიანთი სამფლობელოდან ლტოლვილი მეფეები მოარიგონ ირანის მბრძანებელთან. ეს უკანასკნელი

უცხადებს ელჩებს, ლუარსაბის სამდურავს ვერაფერს ვიტყვიო და მერე დასძენს ერთის შეხედვით გაუგებარ სიტყვებს: „ჩემი არის თეიმურაზ ძველითგანვე სისხლის მსმელი, პაპამისმა ქალი მამცა, რად წამართვა, რად მყო მელი?“ (სტროფი 491).

ამ ტექსტის განხილვისას, აკად. კ. კეკელიძე შენიშნავდა, რომ თეიმურაზის პაპას ალექსანდრეს არ მიუცია საკუთარი ასული შაჰ-აბასისათვის და, მაშასადამე, მისი საყვედური თითქოსდა უსაფუძვლო უნდა იყოს. შემდეგ გამოთქმულია ვარაუდი, ეგებ ალექსანდრე მეფის შვილიშვილი ელენე იგულისხმებაო, რომელიც ირანის მბრძანებელს ცოლად შეურთავს ჯერ კიდევ თეიმურაზის გამეფებამდე, მაგრამ ამგვარი ვარაუდი იქვე უარყოფილია, ვინაიდან თეიმურაზს არც ეს ქალი „წაურთმევია“ სეფიანთა ხელმწიფისათვის. იგი კარგა ხანს იმყოფებოდა შაჰ-აბასის ჰარამხანაში და დაახლოებით 1620 წელს „უწყალობეს“ განჯის ხანს.

როგორც ირკვევა, თეიმურაზის მისამართით გამოთქმულ საყვედურში ნაგულისხმევია სრულიად სხვა ქალი.

კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია ბესარიონ კათალიკოსის (XVIII ს.) თხზულებას „ლუარსაბ-მეფის მარტვილობა“, სადაც მოთხრობილია, რომ თავდაპირველად შაჰ-აბასმა ცოლად შეირთო უფროსი დაი ლუარსაბისა და გარკვეული ხნის მერე მოითხოვა მეორე დაც, სახელად ხორეშანი. „ესე სასმენელადცა უცხო იყო ქრისტიანეთა შორის“, — შენიშნავს ბესარიონ კათალიკოსი. მისი სიტყვით, ლუარსაბმა შორს დაიჭირა შაჰის მოთხოვნა და ხორეშანი დაუყოვნებლივ მიათხოვა ცოლად კახთა მეფეს თეიმურაზს. ამის გაგონებაზე შაჰ-აბასი აღივსო წყრომით და ეძებდა მარჯვე დროს, რათა შური ეძია ქართლ-კახეთის მეფეებზე. გულში ადრიდანვე ჩამარხული ზაკვა ახლაღა გამოამჟღავნა და ურიცხვი ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემართაო.

კ. კეკელიძე დასაშვებად მიიჩნევს, რომ ალექსანდრე, ხორეშანის ბიძა (დედის მხრიდან), მართლაც შეჰპირებოდა შაჰ-აბასს თავისი დისწულის ცოლად მითხოვებას, როგორც ნათქვამია არჩილის პოემაში, მაშინ სეფიანთა ხელმწიფის საყვედური თეიმურაზისადმი საფუძველს აღარ იქნება მოკლებული. მიუხედავად ამისა, მკვლევარი ეჭვის თვალით უყურებს ბესარიონ კათალიკოსის ცნობას და აღნიშნავს, რომ თეიმურაზ-ლუარსაბის დამოყვრება მოხდა თვით შაჰ-აბასის მოთხოვნითა და ძალდატანებით, როგორც ამტკიცებენ

XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსები ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.

დასახელებულ ავტორთა გადმოცემით, როდესაც თეიმურაზს გარდაეცვალა პირველი მეუღლე, სეფიანთა ირანის ხელმწიფემ რუსპაანში იხმო კახეთის მეფე. კარგად დახვდა სტუმარს, ანუგეშა და ბეჯითად ცდილობდა, რომ თეიმურაზის გულში გლოვა-მწუხარების ნაცვლად მხიარულებას დაესადგურებინა. ნადიმებითა და ნადირობით უქარვებდა ჯავრს. ჩააგონებდა, წარსულზე ფიქრს მოეშვი და მომავალზე იზრუნეო. ურჩია მეორე ცოლის მოყვანა და ქალიც თვითონვე შეურჩია: ლუარსაბის ღვიძლი და, სახელად ხორეშანი, შეირთე ცოლად, დაუმოყვრდები ქართლის მეფეს, შური თქვენს შორის საბოლოოდ აღმოიფხვრებაო, ჩემი ქვისლიც გახდები და ჩვენი ძმობა-მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდებაო. თეიმურაზმა მიუგო შაჰ-აბასს, ქრისტიანული რჯული ვერ შეიწყნარებს ამ ქორწინებას, რადგანაც ხორეშანი ნათესავად მერგება, პაპაჩემის დის შვილიშვილი არისო. მაგრამ სეფიანთა ხელმწიფე დაჟინებით მოითხოვდა, მისი რჩევა-სურვილი თეიმურაზს მიეღო კანონის დარად და უყოყმანოდ დაჰყოლოდა თავისი „კეთილისმყოფლის“ ნებას. ბოლოს და ბოლოს დაითანხმა თეიმურაზი. მერე ლუარსაბსაც შეუთვალა, კახეთის მეფეს უნდა დაუმოყვრდეო. ვეღარც ლუარსაბმა გადაუხვია ხელმწიფის ბრძანებას და იძულებული გახდა ხორეშანი თეიმურაზისათვის მიეთხოვებინა.

ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ არჩილ მეფის პოემაშიც თეიმურაზისა და ლუარსაბის დამოყვრება გადმოცემულია, როგორც შაჰ-აბასის მიერ წამოყენებული და განხორციელებული საქმე. თითქოსდა მეფე-პოეტს ორივე ვერსია ჰქონდეს გათვალისწინებული.

თეიმურაზ-ლუარსაბის დამოყვრების ამბავს მოგვითხრობს აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძე (XVII ს.) მაგრამ ერთი სიტყვითაც არ მიგვანიშნებს სეფიანთა ხელმწიფის თაოსნობას. ფარსადანის მიხედვით, თეიმურაზმა პირველი ცოლი რომ გამოიგლოვა, ქართლის მეფეს ლუარსაბს მისი დაი სთხოვა კახეთის დედოფლად. ამგვარი ქორწინება ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული რჯულის კანონებს, ვინაიდან თეიმურაზის პაპა ალექსანდრე და ხორეშანის დედა ნესტან-დარეჯანი და-ძმანი იყვნენ, ამიტომაც „მერჯულენი“ ნებას არ იძლეოდნენო. მაშინ ქართული ეკლესიის თავკაცებს გა-

უმართავთ საგანგებო ბჭობა. განუხილავთ მწვავე პრობლემა და ბოლოს დაუდგენიათ, რომ „საქრისტიანოს გაერთებისა და გაძლიერებისათვის“ ნება-დასტური მიეცათ თეიმურაზისა და ლუარსაბის დამოყვრებაზე. მაგრამ ეს ამბავი ქართლ-კახეთის ზოგიერთ დიდებულს ეწყინათ, ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე და განაგრძობს: „ყაენთან ავგვარად შეაბეზღეს და ყაენმან იწყინა და გაავგულდა“.

თუკი გავიზიარებთ ზემოხსენებული ქართველი ისტორიკოსების მტკიცებას, თითქოსდა თეიმურაზმა ხორეშანი ცოლად შეირთო შაჰ-აბასის რჩევითა და დაჟინებით, ცოტა არ იყოს, გაუგებარი მოგვეჩვენება წყენა ყაენისა, რაც აღნიშნულია ფარსადან გორგიჯანიძის მიერ. ეს უკანასკნელი, საერთოდ, ძალზე სანდო ცნობებს გვაწვდის XVII ს. საქართველოს ისტორიისათვის და ამჯერადაც ანგარიშგასაწევი უნდა იყოს მისი ნაამბობი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ბერი ეგნატაშვილისა და სხვათა ინფორმაციას, და უფრო ბესარიონ კათალიკოსის ცნობას უჭერს მხარს.

ე. წ. „პარიზის ქრონიკაში“ (XVII ს.) ნათქვამია, რომ „ბერნი და ხუცესნი უარს იყვნენ“ ახლო ნათესავების შეუღლებაზე, კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა მონაწილეობით მოწვეულ კრებას გაურჩევია საკითხი და „საქრისტიანოს გასაძლიერებლად ნება დართეს ბატონ თეიმურაზს“ (დამოწმებული ცნობა უნდა მომდინარეობდეს ფარსადან გორგიჯანიძის ხახულებიდან).

ბესარიონ კათალიკოსის ვერსიას კვერს უკრავს ზოგიერთი სხვა საბუთიც.

ასე მაგალითად, იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფის სახელზე გაგზავნილ წერილში (1618 წ.) აღნიშნავს, რომ შაჰ-აბასი მოითხოვდა თეიმურაზისაგან ცოლის დათმობას და ემუქრებოდა, თუ იუარებ, საქართველოზე გამოვილაშქრებო.

იოსებ თბილელის (XVII ს.) პოემის „დიდმოურავიანის“ მეცხრე კარის სათაურში ვკითხულობთ, რომ შაჰ-აბასმა სიკვდილით დასჯილი ლუარსაბის მოკვეთილი თავი დაიდო სუფრაზე და ასე მიმართა: „მე გთხოვდი დას, მე კი არ მომეც და თეიმურაზს მიეციო“ (გიორგი ლეონიძის მოსაზრებით, ეს ცნობა გადამწერთა მიერ არის შეტანილი პოემის ტექსტში).

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, მართლაც ძალზე საეჭვო და დაუჯერებელი უნდა გვეჩვენოს შაჰ-აბასის მისწრაფება — დაამოყვ-

როს ლუარსაბი და თეიმურაზი, მათ შორის არსებული (თუ არარსებული?) შურის აღმოსაფხვრელად! გაცილებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სეფიანთა ირანთა ხელმწიფეს ხელს აძლევდა ქართველ მეფეთა უთანხმოებანი, ვიდრე მათი დამოყვრება-გაერთიანება პოტენციური აგრესორის წინააღმდეგ. განა დაჩუცმაცებული ქვეყანა და ერთიმეორესთან მტრად მოკიდებული მეფეები არ ერჩივნა შაჰს, განა ისინი უფრო იოლი დასამორჩილებელნი და მოსათვინიერებელნი არ იქნებოდნენ? სხვათა შორის, ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (XVII ს.) შენიშნავს: „შაჰ-აბასი დარწმუნებული იყო, რომ ქართველებს ბოლოს მოუღებდა, თუ მათ შორის შუღლს ჩამოაგდებდა". სეფიანთა ირანის ცბიერი და მუხანათი მბრძანებელი არც აკლებდა საამისო ცდებს.

XIX ს. ქართველი ისტორიკოსის პლ. იოსელიანის წიგნში თავისებურად არის ახსნილი შაჰ-აბასის ესოდენ უცნაური ახირება ქართლ-კახეთის მეფეთა დამოყვრების თაობაზე. ვითომდა შაჰი ფიქრობდა, რომ მისი ბრძანების შესრულება გამოიწვევდა ქრისტიანთა სიმტკიცის შერყევას, ქართველების სულიერ დაახლოებას მაჰმადიანებთან, რადგანაც მართლმადიდებელი ეკლესიის წესით ახლო ნათესავებს ეკრძალებოდათ შეუღლება.

ამგვარი ახსნა ნაძალადევია და საფუძვლიან დაეჭვებას იწვევს. გაცილებით დამაჯერებელი და სინამდვილის ამსახველი უნდა იყოს ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვები, რომ ქართული ეკლესიის მესვეურებმა სწორედ „საქრისტიანოს გაერთებისა და გაძლიერებისათვის" დადებითად გადაჭრეს საეჭვმანო საკითხი, ფხიზლად შეაფასეს შექმნილი ვითარება და თვალი დახუჭეს ახლო ნათესავთა შეუღლების არაკანონზომიერებაზე. მათი გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში, ძალზე პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პაწია „ცოდვის" ჩადენა ამართლებდა მნიშვნელოვან საქმეს და ემსახურებოდა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ინტერესებს.

აკად. ნ. ბერძენიშვილი, როგორც ჩანს, ბესარიონ კათალიკოსსა და ფარსადან გორგიჯანიძეს უფრო უწევდა ანგარიშს, ვიდრე ბერი ეგნატაშვილსა და სხვებს, როდესაც აღნიშნავდა, რომ ქართლსა და კახეთში, მიუხედავად პოლიტიკური დაშლილობისა, ბევრნი იყვნენ საქართველოს ფეოდალურ ძალთა შეკავშირების მსურველნი, რათა ამ გზით განემტკიცებინათ პატარა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. სწორედ ასეთმა მოღვაწეებმა დაამოყვრეს ერთმანეთს ლუარსაბი

და თეიმურაზი, რაც შაჰ-აბასს ჰკუაში არ დაუჯდაო (სხვადასხვა წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ თეიმურაზის დაქორწინება ხორეშანთან უნდა მომხდარიყო 1612 წელს).

უცხოურ წყაროებში მიკვლეული ინფორმაცია ადასტურებს ბესარიონ კათალიკოსის ვერსიას.

ჩვენთვის საინტერესო ამბავს ყველაზე ვრცლად მოგვითხრობს იტალიელი ისტორიკოსი ბართოლომეო ფერო, რომელიც ეყრდნობა იმ კათოლიკე მისიონერთა რელაციებს, ირანსა და საქართველოში რომ მოღვაწეობდნენ XVII საუკუნის პირველ ნახევარში (ბ. ფეროს თხზულება „თეათინელ მისიონერთა ისტორია“ გამოქვეყნდა რომში, 1704 წელს).

ბ. ფეროს მიხედვით, დავით მეფემ დატოვა ანდერძი, რომ მისი შვილი თეიმურაზი გაეგზავნათ შაჰ-აბასის კარზე, „ამ უძლიერესი ხელმწიფის“ მეურვეობის ქვეშ. კახეთის ტახტის მემკვიდრე ჯერ ყმაწვილი იყო და არ ძალუძდა ქვეყნის გაძღოლა. სამეფოს განაგებდა დაქვრივებული ქეთევანი, მშვენიერი და კეთილგონიერი ქალი. ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი ძაძებით შეიმოსა და ლოცვა-მარხვას გადაყოლილი მონაზვნის ცხოვრებით ცხოვრობდაო.

ბ. ფერო გადმოგვცემს, რომ შაჰ-აბასმა ღვიძლი შვილივით მიიღო თეიმურაზი და თვალყურს ადევნებდა მის აღზრდა-განათლებას. კახეთის ტახტის მემკვიდრეს წვრთნიდნენ ყველაფერში, რასაც უნდა დაემშვენებინა მომავალი მეფე. რასაკვირველია, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამხედრო საქმეს. გარდა ამისა, თეიმურაზს სრულყოფილად შეასწავლეს თურქული და სპარსული ენები (ბერძნული ადრევე სცოდნია). ასე გაირბინა ორიოდე წელიწადმა და კახეთში დაბრუნების დროც დადგა.

დამშვიდობებისას შაჰ-აბასმა გადაწყვიტა, რომ მამობრივი რჩევა-დარიგება მიეცა კახეთის ახალი მეფისათვის და, სხვათა შორის, არც მისი პირადი ცხოვრება დავიწყებია. შაჰმა შეახსენა თეიმურაზს, რომ მეფის ქორწინება უნდა იყოს ნაკარნახევი უფრო პოლიტიკური მოტივებით, ვიდრე გრძნობებით. შენი სამეფოს კეთილდღეობა ვისაც მოითხოვს, ცოლად ის შეირთეო, ასე არიგებდა შაჰ-აბასი თეიმურაზს. ვინც გინდა ის შეირთე, ოღონდ ქართლის მეფის და ნუ შეირთავო! (ბ. ფერო რატომღაც „დარეჯანის“ სახელით გვაცნობს ლუარსაბის ხსენებულ და. ამასთან ერთად, მხედველობიდან გამორჩენია, რომ ხორეშანი იყო მეორე ცოლი თეიმურაზისა).

ხორეშანი, სახელგანთქმული თავისი მშვენებით, თურმე თვით სეფიანთა ხელმწიფეს ჩაჯარდნოდა გულში და მორიგ ცოლად ეწადა თავისი მრავალრიცხოვანი ჰარამხანის კიდევ უფრო დასამშვენებლად. ბ. ფეროს ამტკიცებს, რომ შაჰ-აბასმა კატეგორიულად აუკრძალა თეიმურაზს ცოლად შერთვა ხორეშანისა და მკაცრად გააფრთხილა, თუ ყურს არ დაუგდებ ჩემს ბრძანებას, იცოდე, ავი დღე დაგადგებაო. იტალიელი ისტორიკოსი არ გვაუწყებს თეიმურაზის პასუხს, მაგრამ საფიქრებელია, რომ კახეთის ახალგაზრდა მეფე მორჩილად დაუკრავდა თავს სეფიანთა ირანის დიდ ხელმწიფეს და პირობას დასდებდა, თქვენს ბრძანებას უყოყმანოდ შევასრულებო.

ბ. ფეროს სიტყვით, სამშობლოში დაბრუნებულ თეიმურაზს ალტაცებითა და ზეიმით შეეგებნენ. გამოხდა მცირეოდენი ხანი და გულმოდგინედ შეუდგნენ სადედოფლოს ძებნას. მითქმა-მოთქმა აქებდა და ადიდებდა ქართლის მეფის ულამაზეს ასულს. შაჰის მიერ დადებული ტაბუ თუმცა ბორკავდა თეიმურაზს, მისი გული მაინც აღიგზნო ტრფობით. თავის მხრივ, კახეთის სამეფოს დიდებულნი დღენიადაგ აგულიანებდნენ მეფეს და უმტკიცებდნენ: „ამ ქალს ვერავინ შეედრება ვერც სილამაზით და ვერც გვარიშვილობით. ნუ შეგაშინებს მოჩვენებითი საფრთხე! ბოლოს და ბოლოს, შაჰს მრავალი ცოლი ჰყავს, ხორეშანზე უკეთესებიც მოეპოვება თავის ჰარამხანაში. ეჭვიც არ გვეპარება, რომ გულმოწყალედ შეურიგდება მის დაკარგვას და წყენას არ შეიმჩნევს. მით უმეტეს, რომ სწორედ შენ შეირთავ ცოლად ამ ქალს და შენ ხომ შვილივით უყვარხარ ხელმწიფეს!“

თეიმურაზს ისიც შეახსენეს, რომ ლუარსაბს მემკვიდრე არ ჰყავდა. ასე რომ, თეიმურაზისა და ხორეშანის შვილს უფლება ექნებოდა ქართლის ტახტზე დამკვიდრებისა. ორი სამეფოს გაერთიანება კი მტრისათვის ანგარიშგასაწევ ძალას შექმნიდა საქართველოში. თეიმურაზს მოეწონა დიდებულთა რჩევანი, ამცნო ლუარსაბს თავისი საწადელი და იოლად მიაღწია მიზანს, ვინაიდან ქართლის მეფეს ქრისტიანი თეიმურაზი ერჩივნა სიძედ. ქალსაც არ დაუყოვნებია თანხმობა და ორივე სამეფოში ლხინი ლხინს გადაება.

ბ. ფეროს მიხედვით, შაჰ-აბასს ფრიად აღელვებდა მშვენება ლუარსაბის დისა და ადვილი წარმოსადგენია ის ტკივილი, რაც

მოშიშარმა ამბავმა მოაყენაო. წაართვეს არჩეული ქალი და პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს! ხელმოცარულმა ხელმწიფემ აღარ იცოდა რით გაექარვებინა ჯავრი. ელჩის ხელით წერილი გაუგზავნა თეიმურაზს, საყვედურობდა უმადურობას და ემუქრებოდა, რადგანაც არაფრად ჩაეგდე ჩემი ბრძანება, ახლა ჩემს ულმობელ რისხვას იგემებო. მაგრამ ბუნებით ამაყი თეიმურაზი, დატყვევებული მშვენიერი ხორეშანის სიყვარულით, ნაკლებად ფიქრობდა მომავალ საფრთხეზე და იმედი ჰქონდა, ორი სამეფოს გაერთიანებული ძალებით ყიზილბაშებს უთუოდ გავუმკლავდებითო.

ბ. ფერო იმასაც აღნიშნავს, რომ ისპაანში მყოფმა ქართველმა დიდებულებმა კიდევ უფრო ააბრიალეს შაჰის გულში დანთებული რისხვა. მოახსენეს სეფიანთა ხელმწიფეს, თეიმურაზმა დაკარგა თავის ქვეშევრდომთა სიყვარული და მხარდაჭერა, ტირანის გასაძევებლად თქვენს დახმარებას მოუთმენლად ელოდებიანო. სთავაზობდნენ თავის ერთგულ სამსახურს (სამშობლოს წინააღმდეგ!) და განუწყვეტლივ მოუწოდებდნენ, შური ეძია თეიმურაზზე.

შაჰ-აბასმა სასწრაფოდ შეუთვალა ქართველ მეფეებს, ჭკუაზე მოდით და „განრისხებული სულის დასამშვიდებლად“ ხორეშანი უმალვე ისპაანს გამომიგზავნეთ, თორემ ორივე სამეფოს ავაოხრებ და თავებდს გაწყვეტინებთო. ამაო იყო ხელმწიფის მოლოდინი. ქართლ-კახეთის მეფეები აშკარად ეურჩებოდნენ ირანის მბრძანებელს და ომის თადარიგს იჭერდნენ. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, ვინაიდან ქვეშევრდომთა დახმარება ვერ ჰპოვეს. ქართველ დიდებულთაგან ზოგი ირანს გაიქცა, ზოგმაც მთებსა და მეზობელ მხარეებს შეაფარა თავი, ხოლო დარჩენილნი კი მაინცდამაინც არ ამღვრევნებდნენ ბრძოლის წყურვილს. ლუარსაბი მორჩილად ეახლა ქართლ-კახეთში შემოჭრილ შაჰ-აბასს და შენდობა ითხოვა. იგი უმტკიცებდა ხელმწიფეს, წინასწარ რომ მცოდნოდა თქვენი ხვაშიადი ჩემი დის ცოლად შერთვისა, ჩვენთვის ეს იქნებოდა დიდი პატივი და მერწმუნეთ, არავითარ შემთხვევაში თეიმურაზს არ მივათხოვებდიო. თავის მხრივ, თეიმურაზმა დედა და შვილები გაგზავნა შაჰ-აბასთან, ქეთევან დედოფალმა აუხსნა სეფიანთა ირანის მბრძანებელს, ჩემი შვილი მოაჯადოვა ხორეშანის სილამაზემ და ხელმწიფის ურჩობაც სიყვარულმა აიძულაო, ახლა ცხარე ცრემლით ქვიშინებს, მაგრამ ჩვენი რჯული ნებას არ აძლევს, საკუთარი ცოლი სხვას, თუნდაც ხელმწიფეს დაუთმოსო. ბ. ფეროს სიტყვით, ქეთე-

ვან დედოფლის შუამდგომლობამ არ გასჭრა და შაჰ-აბასმა დაიწყო ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ.

მიუხედავად ზოგიერთი უმნიშვნელო უზუსტობისა თუ მხატვრული გაზვიადებისა, იტალიელი ისტორიკოსის მონათხრობი ორიგინალური დეტალებით ავსებს ბესარიონ კათალიკოსის ვერსიას.

ახლა სხვა ევროპულ წყაროებსაც გადავაელოთ თვალი.

ჟან შარდენი გვაუწყებს, რომ ლუარსაბის დის, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ასულის მშვენება მრავალგზის იყო ხოტბაშესხმული სპარსელ პოეტთა მიერ. 1673 წლით დათარიღებულ ჩანაწერში ფრანგი მოგზაური აღნიშნავს, რომ ამ ქართველ ქალზე გამოთქმულ სიმღერებს ირანში დღესაც მღერიანო (ე. ი. ზემოთ აღწერილი ამბებიდან სამოცი წლის შემდეგ!): ხსენებულ სიმღერებში ასახული ყოფილა „მშვენიერი რომანი ამ ქალისა და აბასისა". შარდენის სიტყვით, ლუარსაბის დის ნათლობის სახელი იყო დარეჯანი, ხოლო ირანში „ფერიას" უწოდებდნენო. შარდენი გადმოგვცემს, რომ შაჰ-აბასმა ზედიზედ ორი ელჩი გაუგზავნა ლუარსაბს ხორეშანის ხელის სათხოვნელად. პირველი მათგანი ტკბილი სიტყვით ვერ ისტუმრეს, ხოლო მეორეს განუცხადეს, ხორეშანი კახეთის დედოფლად დანიშნულიო. გაწბილებულმა შაჰმა მესამე ელჩიც წარგზავნა საქართველოში და მრავალგვარი დაპირებითა და მუქარით შეეცადა თავისი სურვილის განხორციელებას. ამავე დროს თეიმურაზიც გააფრთხილა, ლუარსაბის დის ცოლად შერთვა არ გაბედოო. მაგრამ ქართლის მეფემ ცივი უარი სტკიცა მესამე ელჩსაც და არც თეიმურაზმა ათხოვა ყური სეფიანთა ხელმწიფის გაფრთხილებას.

იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე, თანამედროვე და თითქმის თანადამხვდური ზემოხსენებული ამბებისა, მოგვითხრობს, რომ თავისი სამეფოდან თეიმურაზის გაძევებისა და სასტიკი დევნის მიზეზი, მითქმა-მოთქმის თანახმად, იყო მისი მეორე ცოლი, დაი ლუარსაბისა, რომლის უფროსი დაც უკვე კარგა ხანია იმყოფებოდა შაჰ-აბასის ჰარამხანაში და ითვლებოდა მის მთავარ ცოლებს შორის (იგულისხმება ელენე ანუ ლელა ბატონიშვილი). დელა ვალეს სიტყვით, თეიმურაზმა ცოლად შეირთო ხორეშანი სეფიანთა ხელმწიფის ნება-სურვილის წინააღმდეგ და ამ ქორწინების შემდეგაც კი შაჰი ჯიუტად მოითხოვდა ხორეშანის წარგზავნას ისპაანში. მაგრამ თეიმურაზმა თავაზიანად მოუბოდიშა, ქრისტიანუ-

ლი რჯული და პირადი ღირსება ნებას არ მაძლევს, საკუთარი ცოლი სხვას დავუთმოო.

როგორც ვხედავთ, ჟან შარდენისა და პიეტრო დელა ვალეს ცნობები, არსებითად, ემთხვევა ბართოლომეო ფეროს თხზულებაში დამოწმებულ ინფორმაციას.

ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი იტალიელი მისიონერი და მხატვარი ქრისტეფორე კასტელი წერს: „... თეიმურაზის მეუღლე, ყველაზე ულამაზესი არსება, რომლის სიმშვენიერეც გახდა სამეფოს დაქცევის მიზეზი, ისე რომ, შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი იყო ახალი ელენე ქვეყანაზე“.

განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბესარიონ კათალიკოსის ვერსია უფრო ახლო უნდა იდგეს ჭეშმარიტებასთან.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამ გამოიწვია დიამეტრალურად საწინააღმდეგო ხასიათის თხრობა ბერი ეგნატაშვილისა და სხვათა თხზულებებში?

არ არის გამორიცხული ასეთი ვარაუდი: ეგებ ლუარსაბისა და თეიმურაზის გასამართლებლად მიაწერენ შაჰ-აბასს ამ „ურჯულო“ ქორწინების თაოსნობას? ვითომდა, ქართული ეკლესია არ შეიწყნარებდა ქრისტიანული კანონების დარღვევას, მაგრამ რა უნდა ექნათ, ძალა აღმართსა ხნავსო და ქართველი მეფეები იძულებულნი იყვნენ, სეფიანთა ხელმწიფის ახირებულ ბრძანებას დამორჩილებოდნენ.

სხვათა შორის, ანტონ კათალიკოსი თავის აგიოგრაფიულ თხზულებაში ქეთევან დედოფალზე გადმოგვცემს ზემოხსენებულ ეპიზოდს ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, მაგრამ იქვე იმოწმებს არაქელ თავრიზელის ნაშრომიდან სხვაგვარი შინაარსის ცნობასაც, რომელიც შემდგომში „კალმასობის“ ფურცლებზე გადაუტანია იოანე ბატონიშვილს: თითქოსდა შაჰ-აბასი ეკითხება ირანში გადახვეწილ გიორგი სააკაძეს: „უკეთუ ვინმე თქვენგანმან მისტაცოს ვისმე ცოლი, ვითარ დასჯის მას სჯული თქვენი?“ დიდი მოურავი მიუგებს, რომ ასეთი კაცი იმსახურებს სიკვდილს, ხოლო მამული და საცხოვრებელი მისი უნდა აოხრდეს და იავარიქმნას. ამგვარი პასუხით კმაყოფილი შაჰ-აბასი ხმამაღლა გამოხატავს თავის აღშფოთებას: თურმე თქვენივე რჯულის თანახმად, თეიმურაზი სასჯელს იმსახურებსო. განა ამბობს, თეიმურაზს ცოლის წართმევა დავუპი-

რეო, პირიქით ამტკიცებს, თეიმურაზმა ცოლი წამართვაო! („მე ვარო, რომელსა წამგვარა ცოლი თეიმურაზ“).

როგორც ჩანს, შაჰ-აბასი უკვე თავის საკუთრებად მიიჩნევდა ნებისმიერ ქალს იმ მომენტიდან, როდესაც თვალს დაადგამდა და მოეწონებოდა. ასეთი გატაცებანი კი მრავლად ჰქონდა მის ვნებამორეულ გულს. ამორჩეული ქალი დიახაც ხელშეუხებელი უნდა გამხდარიყო მისი ქვეშევრდომებისათვის. აღარავის ჰქონდა უფლება, რომ ჩაეხშო ხელმწიფის ლტოლვა! ქართველი მეფეების საქციელს, ალბათ, ჩათვლიდა გაუგონარ და არნახულ თავხედობად. შაჰ-აბასს მტკიცედ სწამდა, რომ ისინი მისი ყურმოჭრილი ყმები იყვნენ და სიხარულით შეასრულებდნენ უზენაეს ბრძანებას. ერთი ქალი რა სათქმელია, თუ საჭირო შეიქნებოდა, მთელი საქართველოს მზეთუნახავებს წარგზავნიდნენ ისპაანში, შვილსაც შეელეოდნენ და ცოლსაც, ოღონდ მოელბოთ მრისხანე მბრძანებლის გული. ვაგლახ, გაუწბილდა ანგარიში...

მაშასადამე, მშვენიერი ქართველი ქალისადმი შაჰ-აბასის უიმედო სიყვარულმა მოუტანა ენით აუწერელი უბედურებანი ქართლ-კახეთს? აგერ, ქრისტეფორე კასტელის აგონდება უკვდავი ბერძნული მითი მშვენიერ ელენეზე, ვის გამოც გაჩაღდა ტროის ათწლიანი ომი. მშვენიერი ელენე და მშვენიერი ხორეშანი... ერთობ მომხიბლავი პარალელია!

შაჰ-აბასი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო და არაფერი ადამიანური უცხო არ იქნებოდა მისთვის. ცხადია, უყვარდა ქალებიც და კიდევაც ხელეწიფებოდა თავის საბრძანებელში რჩეულთა შორის რჩეულთა ამორჩევა. მიუხედავად ამისა, სეფიანთა ხელმწიფის დრამატულ სიყვარულზე შექმნილი ლეგენდის გადმოცემისას, თვით ევროპელ ავტორებს არ ავიწყდებათ მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და გზას გვიკაფავენ მომაჯადოებელი ლეგენდის ბურუსიდან თავის დასაღწევად.

პიეტრო დელა ვალე, რომელიც პირადად იცნობდა სეფიანთა ირანის სახელგანთქმულ ხელმწიფეს, სკეპტიკურად უყურებს ხორეშანისადმი მისი ტრფობის ამბავს და თვალთმაქცობად მიაჩნია უზომო აღშფოთება შაჰისა ხელმოცარული მიჯნურობის გამო. იტალიელი მოგზაურის სიტყვით, აბასი მაინცდამაინც ახალგაზრდა აღარ იყო (1612 წელს იგი ორმოცდაერთი წლისა გახლდათ), რომ სიყვარულის ცეცხლი ასე მოჰკიდებოდა და ქალიც იმდენად არ და-

კარგავდა ჰკუას, ხანშესული და მრავალცოლიანი, რჯულით მაჰმადიანი შაჰ-აბასი უფრო შეჰყვარებოდა, ვიდრე ქრისტიანი თვისტომი, ახალგაზრდა თეიმურაზი (თვრამეტი წლით უმცროსი შაჰზე), ვის ხელშიც იქნებოდა ერთადერთი ცოლი და ერთადერთი დედოფალიო. დელა ვალეს არც ისა სჯერა, რომ შაჰ-აბასს მართლაც ჰქონდა ხელთ ხორეშანის წერილები, როგორც მჭევრმეტყველი საბუთი მისი სიყვარულისა ხელმწიფისადმი. იტალიელი მოგზაური დაასკვნის, რომ შელახული თავმოყვარეობა შაჰისა წარმოადგენდა მხოლოდ საბაბს ლუარსაბისა და თეიმურაზის სამფლობელოთა დასაპატრონებლად.

შარდენსაც ეუცხოება შაჰ-აბასი გახელებული მიჯნურის როლში. ფრანგი მოგზაურის სიტყვით, შაჰი ამტკიცებდა, ქალსაც ვუყვარვარ, თავისი გულითადი მეგობრის საშუალებით წერილებს მიგზავნიდა და პირობა ჰქონდა მოცემულიო. შემდეგ შარდენი მოგვითხრობს ყიზილბაშთა ლაშქრობას საქართველოზე და დასძენს: „ხელმწიფე ამ ომს უყურებდა, როგორც სამიჯნურო ინტრიგას", მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ სიყვარულში გამარჯვებულ მეტოქესთან ანგარიშის გასწორება როდი იყო შაჰის ნამდვილი მიზანი, არამედ — საქართველოს დაპყრობა. თავის სამიჯნურო მარცხს საბაბად იყენებდაო.

პიეტრო დელა ვალეც ამბობს, სხვა საბაბი ომისათვის არა ყოფილა, რადგანაც თეიმურაზი შაჰ-აბასს გულწრფელად მეგობრობდა და პატივს სცემდაო. სეფიანთა ხელმწიფეს სჭირდებოდა საბაბი ომის გასაჩაღებლად და მოიფიქრა ყველაზე მზაკვრული რამ — ქრისტიანი მეფისაგან ცოლის დათმობაო. დელა ვალეს თვალსაზრისით, შაჰ-აბასი უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ თეიმურაზი არ შეასრულებდა შეუწყნარებელ ბრძანებას, თუნდაც ამგვარი ურჩობა თავისი სამეფოსა თუ საკუთარი სიცოცხლის ფასად დაჯდომოდაო.

შაჰ-აბასს, ალბათ, კარგად მოეხსენებოდა ქრისტიანული სარწმუნოების კანონები ცოლ-ქმრული კავშირის სიწმინდისა და ურღვევობის შესახებ, მაგრამ საფიქრებელია, რომ მის ხელში მოქცეული განუსაზღვრელი ძალაუფლების შეგნება თავბრუს ახვევდა და ავიწყებდა სხვათა კანონებს. თავისი ღვთაებრივი სურვილი მიაჩნდა ერთადერთ ანგარიშგასაწევ და გადამწყვეტ ფაქტორად, სხვათა წესსა და ადამიანურ ღირსებას არაფრად აგდებდა.

... სეფიანთა სამეფო კარის მემატიანე ისქანდერ მუნში გვაუწყებს, რომ შაჰ-აბასმა დაიბარა ლუარსაბი და თეიმურაზი მაზანდარანში სანადიროდ, მაგრამ მათ გააჭიანურეს სამზადისი და ამასობაში ნადირობის სეზონიც მიიწურა, თავაზიანად იბოდიშებდნენ წაუსვლელობას და არწმუნებდნენ შაჰს, მომავალში უეჭველად გესტუმრებითო. ისქანდერ მუნში ორაზროვნად შენიშნავს, არ სურდათ ყიზილბაშთა ხელში თავი ჩაეგდოთო.

რას უნდა ნიშნავდეს სპარსელი ისტორიკოსის ეს სიტყვები?

აღსანიშნავია, რომ მანამდე ირანის შაჰსა და ქართლ-კახეთის მეფეებს შორის, ჰეშმარიტი თუ არა, მოჩვენებითი სიამტკბილობა მაინც სუფევდა. 1610 წელს ლუარსაბი და თეიმურაზი სტუმრად იმყოფებოდნენ სეფიანთა სამეფო კარზე და შაჰ-აბასმა „მრავალგვარი ხელმწიფური წყალობითა და ალერსით დააჯილდოვა" ისინი, კერძოდ, ოსმალთაგან განთავისუფლებული თბილისი გადაეცა ქართლის მეფეს.

ისქანდერ მუნშის მიხედვით, თვით ლუარსაბმა და თეიმურაზმა სთხოვეს შაჰს, როცა სანადიროდ წაბრძანდებით მაზანდარანს, შეგვატყობინეთ და ჩვენც გეახლებითო; როგორც კი ჩვენამდე მოაღწევს მალემსრბოლი, იმავ წუთში გამოვემართებით და ნიავქარივით სწრაფად მოვალთო.

ასეთი იყო ქართველი მეფეების დაპირება, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა (1613 წლის დამდეგს), მათ თავი შეიკავეს სეფიანთა ხელმწიფესთან სტუმრობისაგან.

ხორეშანზე თეიმურაზის დაჭორწინებით გაღიზიანებულ შაჰ-აბასთან არასასურველი შეხვედრის პერსპექტივა, რა თქმა უნდა, სიფრთხილეს უკარნახებდა ქართლ-კახეთის მეფეებს, მაგრამ მეორეს მხრივ, მათი საქციელი უკვე ამბოხებას უტოლდებოდა. ერთი „დანაშაული" მეორეთი დაამძიმეს და აინუშიც არ აგდებდნენ მბრძანებლის სურვილს. ნუთუ არ ითვალისწინებდნენ თავიანთი მოქმედების საბედისწერო შედეგებს?

თუ ვირწმუნებთ პიეტრო დელა ვალესა და ჟან შარდენის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ხელმწიფის სამიჯნურო მარცხი მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა ომის დასაწყებად, უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობდა ნამდვილი მიზეზი შაჰ-აბასის გამოლაშქრებისა.

ზოგიერთი უცხოური წყარო, ნაწილობრივ მაინც, შუქსა ჰფენს აღძრულ საკითხს.

თომას ჰერბერტი, მონაწილე ირანში ინგლისის ელჩობის (1627 წ.) საქართველოზე ყიზილბაშთა ლაშქრობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ისპაანში მყოფმა ოსმალთა ელჩმა ეჭვი ჩაუნერგა შაჰ-აბასს, თითქოსდა თეიმურაზი უფრო მეტად ოსმალეთის ხონთქარს ემეგობრებოდა, ვიდრე მას. ასეთი ცბიერების შედეგად თეიმურაზს სახელი შეელანძღა სეფიანთა სამეფო კარზე, რის გამოც აღარ ჩავიდა ისპაანს, როდესაც ხელმწიფემ მიიპატიჟაო.

ანალოგიური ცნობა გვხვდება „კარმელიტთა ქრონიკის“ ფურცლებზე. კარმელიტთა ორდენის ერთი მისიონერის რელაციაში აღნიშნულია, რომ 1613 წლის ლაშქრობა საქართველოზე გამოწვეული იყო ლუარსაბისა და თეიმურაზის ამბოხებით. მისიონერის სიტყვით, ოსმალთა ელჩის ხრიკებმა განაპირობა მათი მიწვევა სეფიანთა სამეფო კარზე. ქართველი მეფეები არ გამოცხადდნენ თავიანთ მბრძანებელთან და ასეთი ურჩობა ჩაეთვალათ ამბოხებად სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პიეტრო დელა ვალეს მიხედვით, ირან-ოსმალეთის ომის დროს ამ ორი სახელმწიფოს ჯარები იდგნენ საქართველოს საზღვრებთან. უკვე მიმდინარეობდა საზავო მოლაპარაკება და, სხვა საკითხებს შორის, წამოიჭრა ქართლ-კახეთის საკითხიც. რომელ მათგანს, ირანსა თუ ოსმალეთს უნდა დაქვემდებარებოდა ეს ორი ქრისტიანული სამეფო? შაჰ-აბასმა განუცხადა ოსმალთა ელჩს, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი ყოველთვის სეფიანთა ირანის ქვეშევრდომნი იყვნენ და ამის დასამტკიცებლად ნებისმიერ დროს შეუძლია იხმოს ისინი თავის ბანაკში. ოსმალთა ელჩმა მოითხოვა ნათქვამის დადასტურება საქმით. შაჰმა შეუთვალა ქართლ-კახეთის მეფეებს, გამოცხადებულიყვნენ მასთან. მაგრამ ლუარსაბმა და თეიმურაზმა დაიწყეს დროის გაჭიანურება და სხვადასხვა საბაბს პოულობდნენ თავის გასამართლებლად. შაჰ-აბასი სასტიკად განრისხდა მათი ურჩობის გამო. მან სცადა უთანხმოება დაეთესა ქართლ-კახეთის მეფეებს შორის და ისინი კინაღამ არ აამხედრა ერთიმეორეზე.

შესაძლოა, მკითხველმა გარკვეული წინააღმდეგობა აღმოაჩინოს იტალიელი მოგზაურის მონათხრობში. როგორც ზემოთ ითქვა, დელა ვალე აღნიშნავს, რომ შაჰ-აბასს საქართველოსთან საომრად სხვა საბაბი არა ჰქონია, გარდა თეიმურაზ-ხორეშანის შეუღლებისა. ხოლო დამოწმებულ ფრაგმენტში უკვე განსხვავებული სურათი

იხატება. ეს წინააღმდეგობა იმით უნდა აიხსნას, რომ პიეტრო დელა ვალეს წიგნში უცვლელი სახით გამოქვეყნდა ირანიდან მისი მეგობრის მარიო სკიპანოს სახელზე გაგზავნილი წერილები. ჩანაწერი სეფიანთა ხელმწიფის სიყვარულზე დათარიღებულია 1618 წლის 25 ივლისით, ხოლო ქართველი მეფეების ურჩობის ამბავი იტალიელ მოგზაურს შეუტყვია შემდეგში, სახელდობრ 1620 წლის სექტემბერში.

შაჰ-აბასის განსაკუთრებულ ყურადღებაზე ოსმალეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხისადმი მოკლედ მოგვითხრობს ჟან შარდენიც; როდესაც შაჰმა ოსმალეთის წინააღმდეგ დასავლეთის ქრისტიან ხელმწიფეთა ასამხედრებლად ერთი კარმელიტი მისიონერი გაგზავნა ევროპაში, მასვე დაავალა, გამგზავრებულიყო საქართველოს გზით, მოეწახულებინა თეიმურაზი და ჩაეგონებინა მისთვის — ოსმალებს არ შეუკავშირდე და მხარი არ დაუჭიროო („კარმელიტთა ქრონიკის“ მიხედვით, შაჰ-აბასმა ხსენებულ მისიონერს გაატანა წერილი თეიმურაზთან, რომელშიც თანაგრძნობას უცხადებდა მეუღლის გარდაცვალების გამო. ეს ამბავი მომხდარა 1611 წლის გაზაფხულზე).

როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთს შორის 1612 წელს დადებული ზავით აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავის პირობები. ირანმა და ოსმალეთმა ისევ ორად გაიყვეს საქართველო. ქართლ-კახეთი ექვემდებარებოდა ირანს, დასავლეთი საქართველო და სამცხე — ოსმალეთს. მაგრამ ოსმალეთი, რასაკვირველია, უკმაყოფილო დარჩა საზავო პირობებით.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ოსმალეთს ხელს არ აძლევდა სეფიანთა ირანის პოზიციების შემდგომი გაძლიერება აღმოსავლეთ საქართველოში. ოსმალეთი შეეგუა ქართლ-კახეთის დაკარგვას, მაგრამ არც იმის მომხრე იყო, რომ ირანს საბოლოოდ დაეპყრო ისინი. „გურჯისტანის“ სახანოს ნაცვლად ოსმალეთისათვის გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა მეზობლობა ფეოდალური საქართველოსი, რომელიც, თავისი ინტერესების შესაბამისად, შესაძლოა ოსმალეთის მოკავშირე გამხდარიყო ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოში, რა თქმა უნდა, არც ოსმალეთი ეხატებოდათ გულზე და არც ირანი. ერთიც დამპყრობელი იყო და მეორეც. ერთსაც საქართველოს დამონება ეწადა და მეორესაც. ერთადერთი

განსხვავება ის გახლდათ, რომ XVI საუკუნის დამლევს ოსმალეთი უფრო მძლავრობდა და რეალურად მიუწვდებოდა ხელი საქართველოს დასაპყრობად. ხოლო ირანი ძალ-ღონეს იკრებდა და მისი აგრესია მხოლოდ პერსპექტივაში თუ ისახებოდა. საქართველოს ჯერ არ ეგემა შაჰ-აბასის კლანჭები. ოსმალთა ბატონობა უფრო მძიმე და ძნელად ასატანი ეჩვენებოდათ, ვიდრე ყიზილბაშებისა. ამიტომაც იყო, რომ ქართველი მეფე-მთავრები ირანის ორიენტაციას მისდევდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებული ორი ვეშაპის ომში ხვალინდელ მტერს უპერდნენ მხარს, ოღონდ დღევანდელი მტრისაგან გადაერჩინათ თავი. მაგრამ XVII საუკუნის ათიანი წლებისათვის ვითარება მკვეთრად შეიცვალა. შაჰ-აბასის ირანმა ზედიზედ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს ოსმალებთან ომში და განდევნა ისინი ამიერკავკასიიდანაც. თუ აქამდე გამართლებული იყო ქართველთა მიერ შაჰ-აბასის მხარდაჭერა ოსმალთა ოკუპაციის აღსაკვეთად, ამიერიდან სამხედრო-პოლიტიკური აღმავლობის გზაზე დამდგარი სეფიანთა ირანი გაცილებით სახიფათო ჩანდა საქართველოსათვის, ვიდრე ომში დამარცხებული ოსმალეთი. ისახება დასკვნა, რომ ქართლ-კახეთის მეფეები, ხედავდნენ რა ყიზილბაშთა დღითიდღე გაძლიერებასა და გამგელებულ მადას, ისევ ოსმალეთისაკენ აპირებდნენ შებრუნებას.

დასმული საკითხის ირგვლივ საინტერესო ინფორმაციას ვპოულობთ XVII ს. გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიაში ქეთევან დედოფლის წამებაზე. მხატვრულ ნაწარმოებს, ცხადია, ვერ მივანიჭებთ საისტორიო წყაროს ტოლფას მნიშვნელობას, მაგრამ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა კვლევა-ძიების შედეგად აშკარა გახდა, რომ გრიფიუსის ტრაგედია დაფუძნებულია სანდო ავტორთა ცნობებზე.

ამ თხზულების გადაკითხვაც კი საკმარისია იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რაოდენ ზუსტად გადმოგვცემს გერმანელი მწერალი იმდროინდელი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანსა თუ უმნიშვნელო ეპიზოდებს (ადვილი შესამჩნევია ის მომენტებიც, რომლებსაც დრამატურგი „ღალატობს" ხოლმე ისტორიულ სინამდვილეს, თუკი ამას მოითხოვს მისი ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურა).

ქეთევან დედოფლის მონოლოგსა და რუსეთის ელჩთან საუბარში გადმოცემული ამბები გამოირჩევა თავისი უტყუარობით: შაჰ-აბასის მოთხოვნით ალექსანდრე კახთა მეფის მიერ თავისი შვილის

კონსტანტინეს წარგზავნა მძევლად სეფიანთა სამეფო კარზე, მისი გამაჰმადიანება ირანში ყოფნისას, კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის მკვლელობა შაჰის დავალებით, კახეთის დიდებულთა შეძრწუნება ისპაანიდან ჩამოსული რენეგატის გაუგონარი მუხანათობით, შაჰ-აბასის მოჩვენებითი წუხილი მომხდარი ამბის გამო (ქართველ ელჩებთან შეხვედრისას), კახეთის მოსახლეობის დარაზმვა მაშის მკვლელის წინააღმდეგ, კონსტანტინეს გამოტყუება მცირე ამალის თანხლებით და მისი აღსასრული, თეიმურაზის გამოცხადება მეფედ. „გვაქო, რომ ძმის და მამის მკვლელზე ვიძიეთ შური“ (თარგმანი აკ. გელოვანისა), — წარმოთქვამს ქეთევან დედოფალი და მყისვე გაგახსენდება, ფარსადან გორგიჯანიძე რომ ათქმევინებს იმავე შაჰ-აბასს: „ხელიმც შერჩებისო, მამისმკვლელს უარესი უნდა დაემართოსო“.

ისტორიულ სინამდვილესთან ასეთივე თვალსაჩინო მსგავსებით ხასიათდება გრიფიუსის ტრაგედიაში აღწერილი სხვა მოვლენებიც, კერძოდ — ქეთევან დედოფლის წაყვანა ტყვეობაში, თეიმურაზის გაქცევა და ლუარსაბის მისვლა შაჰ-აბასთან, გიორგი საააკაძის (გრიფიუსის მიხედვით, „მევრაბ“ ე. ი. მოურავი) ჩამოსვლა საქართველოში („ახლად ალანთო უწინდელი სახელდიდება, ლტოლვა-განდგომით რომ მოუკლა ჟამთა დინებამ“) და მისი მიმართვა ქართველი თავადებისადმი: „მე ხომ ტირანი პატივსა მცემს, სპარსულად ვიცვამ, მაგრამ გულით კვლავ ქართველი ვარ, ქრისტესა ვფიცავ!“.

გრიფიუსს არც ის ავიწყდება, რომ დიდ მოურავს შაჰისაგან ნაბრძანები ჰქონდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრა-გადასახლება. საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი მარტყოფის ძლევამოსილი აჯანყებაც და გამარჯვების ზეიმი საქართველოში. შემდეგ — თეიმურაზის მოწვევა სამეფო ტახტზე და მისი ჭოჭმანი, ღალატს ხომ არ მიპირებენო (ეს უკანასკნელი ცნობა თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ნიკიფორე ირბახის რელაციას, რომელსაც ვატიკანის არქივებში მუშაობისას მიაკვლია მ. თამარაშვილმა და ამჟამად დაცულია მის პირად არქივში, ხელნაწერთა ინსტიტუტში).

თვალში გვხვდება ზოგიერთი უმნიშვნელო უზუსტობაც. ასე მაგალითად „კონსტანტინეს მიერ მოკლულ ძმას, გიორგის ნაცვლად, ჰქვია დავითი (სხვათა შორის, ეს შეცდომა თავად ევროპული საისტორიო წყაროებიდან მომდინარეობს), ანდა — ირანში წაყვანილი ქეთევან დედოფლის შებოჭვა და ბნელ დილეგში მოთავსება

(რასაც მხოლოდ წამების წინა დღეებში ჰქონდა ადგილი). მაგრამ ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის სიუხვე გრიფიუსის ტრაგედიაში აშკარად ჩრდილავს ზოგიერთ უზუსტობას თუ შეგნებულ გადახვევას ისტორიული სინამდვილის გზიდან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთ ძალზე საგულისხმო ამბავს, რომელიც არაა დამოწმებული ჩვენთვის ცნობილ ქართულსა თუ უცხოურ საისტორიო წყაროებში.

გრიფიუსის ტრაგედიის მესამე მოქმედებაში ქეთევან დედოფალი უამბობს რუსეთის ელჩს, თუ რომელი მოვლენები უძღოდა წინ შაჰ-აბასის შემოსევას საქართველოში. ჯერ მოცემულია თავისებური ვარიაცია თეიმურაზ-ხორეშანის რომანისა (გრიფიუსის მიერ ზოგიერთი დეტალის შეცვლას, ამ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს). როგორც ჩანს, პიეტრო დელა ვალეს მიხედვით არის მოთხრობილი შაჰ-აბასის მიერ ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის ჭიშპობის დათესვა, მაგრამ მისი ჩანაფიქრი ვერ აღწევს მიზანს. ქართლ-კახეთის მეფეები ახერხებენ მორიგებას და გადაწყვეტენ, რომ ზურგი შეაქციონ ისპაანს და პირი იბრუნონ სტამბოლისაკენ.

ქეთევან დედოფალი ამბობს: „ბოსფორს გაგზავნეს მალემსრბოლი, შეკრეს კავშირი, მუხანათ ვეფხვთან — ფიცის გამტეხ შაჰთან დაშლილი". დედოფლის სიტყვით, ოსმალთა ელჩი ამცნობს შაჰ-აბასს, რომ ოსმალეთს თავისი მფარველობის ქვეშ აჰყავს საქართველო. სეფიანთა ხელმწიფე თითქოსდა დაჰყაბულდება, ოღონდ მოითხოვს ქართლ-კახეთის მეფეთა გამოცხადებას ისპაანში. ქეთევან დედოფალი დასძენს: „ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ისპაანს ბევრი ვიარეთ! შაჰს რა ხელი აქვს, როცა ოსმანს შევეზიარეთ! აღარც ჯარი გვსურს ვაახლოთ და არც ვინმე კაცი". ამის შემდეგ აღწერილია შაჰ-აბასის განრისხება და საქართველოზე ლაშქრობის სამზადისი.

მხოლოდ გრიფიუსის ტრაგედიაში მოხსენიებული ამბავი რომ გვქონდეს ხელთ, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი სითამამე იქნებოდა ისტორიულ ფაქტად გამოგვეცხადებინა ქეთევან დედოფლის ნაამბობი, მაგრამ როდესაც არსებობს ზემოთ დასახელებული ჰერბერტის, დელა ვალესა და კარმელიტთა ორდენის მისიონერის ცნობები, სადაც აღნიშნულია ოსმალთა გარკვეული წვლილი ირან-საქართველოს შორის წარმოქმნილ კონფლიქტში, გრიფიუსის თხრობა კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება. მით უმეტეს, რომ გერმანე-

ლი მწერლის ტრაგედიაში გადმოცემული სხვა მოვლენები გამოირჩევა საგრძნობი იდენტურობით საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან, რაც თვალნათლივ ჩანს ქართულ თუ უცხოურ წყაროებთან შეჯერების შედეგად.

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება მეტყველებს იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომ ქართლ-კახეთის მეფეებს ჯერ კიდევ შაჰ-აბასის შემოსევამდე დაუწყიათ ოსმალეთთან მოლაპარაკება.

საქმე ის გახლავთ, რომ 1612 წელს ირანში უკვე იყო გადახვეწილი გიორგი სააკაძე, რომელიც მოსისხლე მტრად გადაეკიდა ლუარსაბ მეფეს, ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი ვერაგობის გამო (ძალზე ცნობილი ამბავია ჩვენი მკითხველისათვის და აქ ალარ შევეხები). გიორგი სააკაძესთან ერთად მისი სიმამრი ნუგზარ არაგვის ერისთავიც ეახლა შაჰ-აბასს. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, ამით აღშფოთებულმა ლუარსაბმა და თეიმურაზმა არაგვის საერისთაო დაარბიეს და შემდეგ ალათანგის მიაბარესო (ეს უნდა იყოს მარაბდის ომის სახელგანთქმული გმირი ალათანგ ხერხეულიძე). ფარსადან გორგიჯანიძე განაგრძობს: „ეს ანბავი ყაენმან იწყინა და ზოგნი კახეთის საპატიოს კაცის შვილები ყაენის კარზე იყვნენ და ბატონის თეიმურაზისაგან მოჩივარნი და ისინიც მოურავს გაუერთდენ".

აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ ნუგზარ ერისთავისა და გიორგი სააკაძის მისვლა სეფიანთა სამეფო კარზე შაჰ-აბასს ძალზე ესიამოვნა და ასკვნის: „გავლენიანი ქართველების მიმხრობა საუკეთესო საშუალება იყო თეიმურაზისა და ლუარსაბის სიმტკიცის გასატეხად და მათ დასამორჩილებლად".

ამგვარად, სეფიანთა ხელმწიფესთან თავი მოიყარეს ლუარსაბისა და თეიმურაზისადმი მტრულად განწყობილმა ქართველმა ფეოდალებმა. ისპაანში შექმნილი ოპოზიცია წარმოადგენდა სერიოზულ ძალას და უთუოდ მოითხოვდა ქართლ-კახეთის მეფეთა საგარეო პოლიტიკის გადასინჯვას.

მაშასადამე, ძალზე ბუნებრივი და გასაგები უნდა იყოს მათი ორიენტაციის მკვეთრი შებრუნება და მოახლოებული საფრთხის წინაშე ოსმალეთთან დაკავშირების ცდები.

ცხადზე ცხადია, რომ შაჰ-აბასი სანადიროდ როდი იბარებდა ქართველ მეფეებს, როგორც ამტკიცებს ისქანდერ მუნში, არამედ პასუხის გასაცემად ჩადენილი „ცოდვების" გამო. საბოლოოდ უნდა ვიფიქროთ, რომ სეფიანთა ხელმწიფის უკმაყოფილების საბაბი

იყო თეიმურაზის შეუღლება ხორეშანთან, ხოლო ნამდვილ მიზეზს, ალბათ, წარმოადგენდა ქართველი მეფეების მიერ ოსმალეთთან ფარული ურთიერთობის დამყარება, რაც არ გამოჰპარვიათ ისპაანში.

ისქანდერ მუნშის სიტყვით, შაჰ-აბასმა დაასკვნა, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი „უვიცობისა და სიამაყის ცხენზე შემჯდარან, ბედის სილის გარტყმა ჯერ არ უგემიათ, უბედურების მასწავლებელს მათთვის დარიგების მომსმენი ყური დასჯის ხელით არ აუწევია ჰკუის სასწავლებლად“. შაჰმა გადაწყვიტა, რომ ქართლ-კახეთის მეფეთა დასატუქსად საქართველოსაკენ დაძრულიყო. ჯერ ყარაბაღს შეჩერდებოდა, თუ ლუარსაბი და თეიმურაზი ეახლებოდნენ და პატიებას შეევედრებოდნენ, შეიწყალებდა, ხოლო თუ გაჯიუტდებოდნენ და არ ეახლებოდნენ, საკადრის სასჯელს მიუზღავდა.

1613 წლის 16 ოქტომბერს შაჰ-აბასი თაეისი ლაშქრით ისპაანიდან საქართველოსაკენ დაიძრა.

სეფიანთა ირანის ძლევამოსილმა მბრძანებელმა ჯერ არ იცოდა და მისან-მკითხავებს რომც ეთქვათ, ვერაფრით დაიჯერებდა, რომ თორმეტი წელიწადი გაგრძელდებოდა მისი ომი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის დასაჩოქებლად, და უფრო სისხლისმღვრელი გამოდგებოდა, ვიდრე ლეგენდარული ტროის ომი. მაგრამ მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, სახელგანთქმული ხელმწიფე ვერც მშვენიერ ხორეშანს დაეპატრონებოდა და ვერც საქართველოს დაიმორჩილებდა. 1625 წელს მომზდარი მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომის შედეგად შაჰ-აბასი იძულებული გახდა, მორიგებოდა თეიმურაზ მეფეს და ხელი აეღო საქართველოს „გათათრებაზე“.

ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ სამარე გაუთხარა სეფიანთა ხელმწიფის ვერაგულ გეგმებს.

„ესე საქმე მოურავმა“...

მარტყოფის აჯანყებას საპატიო და გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიის ღირსსახსოვარ მოვლენებს შორის. 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ველზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა ქართველი ხალხის გმირული სული, მისი დაუცხრომელი სწრაფ-

ვა დამოუკიდებლობისაკენ, მისი ერთგულება წინაპართა წმინდა ანდერძის წინაშე — შეენარჩუნებინა თავისი მეობა, არ გადაგვარებულიყო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა დამპყრობთა უღლის გადასაგდებად და მომავალი საუკუნეებისათვის გადაეცა გაკვეთილი ღირსეული არსებობისა.

მარტყოფის აჯანყება, თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით, თამამად შეიძლება ამოუდგეს მხარში ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო მატიანის ყველაზე დაუვიწყარ გამარჯვებებს, იქნება ეს დიდგორისა თუ ბასიანის ომი. ის გრანდიოზული გამარჯვებანი, მოპოვებული თანასწორ მეტოქესთან ჭიდილში, კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი იყო ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობისა. ხოლო მარტყოფის აჯანყება წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის მიჯნამდე მისული ქვეყნის თავგანწირულ გაბრძოლებას და მოგვაგონებს ბიბლიური დავითის შერკინებას უძლეველ და გოროზ გოლიათთან. ალბათ, ამიტომაც იმსახურებს სამართლიან განცვიფრებას და აღტაცებას, როგორც თანამედროვეთა, ისე შთამომავალთა წინაშე. ქართველი მემატიანის მიერ დიდგორის ომზე თქმული „ძლევაი საკვირველი“ — არანაკლები. და ეგებ მეტი, უფლებითაც შეგვიძლია ვუწოდოთ მარტყოფის ომს. ბევრმა წყალმა ჩაიარა დიდგორისა და ბასიანის დროიდან მარტყოფამდე; მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე ჩამომდგარი „დიდი ღამე“ სადაცაა უსასრულო ღამედ გადაიქცეოდა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული და მრავალგზის აოხრებული ქვეყანა სულს ღაფავდა და თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. XVI საუკუნიდან ორ მაჰმადიანურ იმპერიას შორის მოქცეული საქართველო თითქოსდა უკვე განწირული იყო საიმისოდ, რომ აღგვილიყო პირისაგან მიწისა და გათქვეფილიყო ორივე მხრიდან მოწოლილ მაჰმადიანურ ზღვაში.

მაგრამ მარტყოფის აჯანყებამ თვალნათლივ აჩვენა გალაღებულ დამპყრობელს, რომ კიდევ იზრდებოდნენ ალგეთს ლეკვები მგლისანი და მტრის ჯავრს არ შეჰამდნენ. ყველამ დაინახა და იგრძნო, მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველ ხალხს ჯერ არ ეწერა „გათათრება“ თუ გადაშენება. იმედი, ნაღვერდალივით რომ ბუუტაფდა მონობის წყვდიადში, თავისუფლების ჩირაღდნად აბრიალდა მარტყოფის ველზე 25 მარტს, ღვთისმშობლის ხარების დღეს. ცხადია, შემთხვევით არ აურჩევიათ აჯანყების დღედ ქრისტიანული

დღესასწაულის დღე; სჯეროდათ; ხორცს შეასხამდნენ გამარჯვების რწმენას და მიულოცავდნენ დღესასწაულს იმ ქვეყანას, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად მიაჩნდათ. მიულოცავდნენ და ეტყოდნენ: „გიხაროდეს, მიმადლებულო, უფალია შენთან“.

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შეუპოვარი და ქედუხრელი მესაჭე თეიმურაზ პირველი თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მოიხსენიებს მარტყოფის გამარჯვებას, როგორც „სასწაულსა მეტისმეტსა“. მართლაც სასწაულს ჰგავდა ყიზილბაშთა მიერ თერთმეტი წლის მანძილზე „ნაჭამი“ ქვეყნის წელში გამართვა და მხრებზე გაშლა. მართლაც სასწაული ერქვა ამდენი დამარცხებისა და დამცირების შემდეგ უბადლო გამარჯვების მოხვეჭას. და ამ სასწაულის მთავარი ავტორი იყო დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

„ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირველი, ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალი“, — ვკითხულობთ არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა.“ მთელი ხალხი მონაწილეობდა ამ აჯანყებაში. საყოველთაო იყო საოცნებო გამარჯვების წყურვილიც და თავგანწირვისათვის მზადყოფნაც. არავის ენანებოდა, თავისი წილი სისხლი გაეღო საძულველ მტერთან ბრძოლაში. მაგრამ სულისჩამდგმელი და შემოქმედი ამ დიდი გამარჯვებისა იყო დიდი მოურავი. მისი სახელი ამიტომაც დაუკავშირდა სამარადისოდ მარტყოფის აჯანყებას.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი ამგვარად ახასიათებს გიორგი სააკაძეს: „მოურავად დანიშნული ეს კაცი იყო ბრძენი სიტყვით, ძლიერი გონებით, გამოცდილი თავის საქმეში და აგრეთვე წარმოსადეგი, ძლიერ მამაცი, დიდი მებრძოლი და უძლეველი მეომარი. ის მხარე, რომელსაც იგი მიუდგებოდა, მეორე მოწინააღმდეგე მხარეს სძლევდა და მტრის ჯარს, მსგავსად მოცელილი ბალახისა, მიმოფანტავდა ხოლმე მინდორ-ველზე“.

მიუხედავად ზემოთქმულისა (ანდა, ეგებ იმიტომაც) დიდი მოურავის ცხოვრების გზა ია-ვარდით როდი ყოფილა მოფენილი. ალმაროს მოსდევდა დალმართი, ხანმოკლე შვებას — ხანგრძლივი ვაება, სიყვარულს — სიძულვილი, ხოტბას და ჯილდოს — განქიქება და დევნა. ის ერთი თავით მაღლა იდგა სხვებზე, სახელი ჰქონდა მოხვეჭილი არა წინაპართა წყალობით, არამედ თავისი ხმლით. დიდგვაროვანთა წრეს არაფრად ეპიტნავებოდა პირადი ნიჭითა და უნა-

რით აღზევებული კაცი, რომელსაც თანაბრად უჭრიდა ხმალიცა და გონებაც, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ქვეყნისა და მეფის ძლიერებას. მისი დაწინაურება მოასწავებდა მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობას, მისი პირადი კარიერა მხოლოდ გამარჯვებას უქადდა ქვეყანას. მაგრამ მეფის გაძლიერება ნიშნავდა თავკერძა ფეოდალთა ძალა-უფლების ალაგმვას და ამიტომაც ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი გიორგი სააკაძისა იწვევდა მეშურნეთა გაბოროტებას. ფარული შური გადაიზარდა გაცხადებულ მტრობაში, ამაგი არ დაუფასეს ქვეყნისა და მეფის ერთგულ მსახურს. ავი ენების გესლმა შობა დაუნდობლად მოქნეული ხმალი. უმადური და უსიათო მეფის მიერ სასიკვდილოდ განწირულს ტყე-ღრეში უნდა ეწანწალა დევნილი ნადირივით, რათა გადაერჩინა თავისი სიცოცხლე, თავისი ოჯახი.

გიორგი სააკაძეს წილად ხვდა უცხო მხარეში გადახვეწა და ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის დროშებქვეშ სამსახური. მ.ს წილად ხვდა მწარე ლუკმა ლტოლვილისა, („თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა, შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწებსა").

შურმა და მტრობამ განდევნა იგი სამშობლოდან, მაგრამ დიდ მოურავს ერთი წუთითაც არ განუდევნია თავისი გულიდან სამშობლოს სიყვარული. ითმენდა ყველა გასაჭირს და ცილისწამებას, მოთმინებით ელოდა იმ დღეს, როდესაც დაამტკიცებდა თავის სიმართლეს და სამშობლოს ერთგულებას, როდესაც გააჭარწყლებდა ყველა მითქმა-მოთქმასა თუ ბრალდებას. არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ვალი და მოწოდება. არ შერყეულა მისი სულიერი მხნეობა და უსაზღვრო რწმენა მომავალი გამარჯვებისა.

1620 წელს, ისპაანის კარმელიტთა ეკლესიაში წირვაზე მისულ ქართველი მოურავი გაიცნო გამოჩენილმა იტალიელმა მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ და თავისი წიგნის ფურცლებზე შემოგვინახა მასთან საუბრის ჩანაწერი. დელა ვალემ უკვე მშვენივრად იცოდა საქართველოს ამბები. მის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია, რომ ქართველთა იძულებითი გამაჰმადიანება, ხშირ შემთხვევაში სრულიადაც არ ნიშნავდა მათ „გათათრებას". თუმცა ისინი გარეგნულად გამაჰმადიანებული არიან და ირანის შაჰს ემსახურებიან, უფალმა უწყის — გულში რას ფიქრობენო, წერდა იტალიელი მოგზაური და იქვე შენიშნავდა, ზოგიერთ მათგანზე დანამდვილებით

ვაცი, ქრისტიანულ სარწმუნოებას არ ღალატობსო. ეს სიტყვები პიეტრო დელა ვალეს თავისი წიგნის იმ მონაკვეთში აქვს მოტანილი, სადაც გადმოგვცემს „ბატონ მოურავთან“ საუბარს. ეტყობა, სწორედ ამ საუბარმა მიახვედრა იტალიელ მოგზაურს გამაჰმადიანებულ ქართველთა იდუმალი ზრახვანი.

1620 წლისათვის შექმნილი ვითარება სასიკეთოს ვერაფერს მეტყველებდა. ქართლის მეფე ირანის ტყვეობაში იმყოფებოდა და მოახლოებული იყო მისი აღსასრული. ხოლო ოსმალთა სამფლობელოებში გადახვეწილი კახეთის მეფე ხან ოსმალეთის ხონთქარს ევედრებოდა შველას, ხანაც — რუსეთის ხელმწიფეს.

თითქოსდა დაწყნარდა საქართველო. ჩაიარა აჯანყებათა ციკლმა. რამდენიმე წლის მანძილზე აჯანყება აჯანყებას მოსდევდა, მაგრამ ძალზე ძვირად უჯდებოდა ხალხს ეს თავგანწირული ბრძოლა ურიცხვ ტერთან. ყოველი აჯანყება იწვევდა შაჰ-აბასის ათკეც შურისძიებას. ყოველ აჯანყებას მოჰყვებოდა ყიზილბაშთა ახალი თარეში და ქვეყნის გაპარტახება. ქართველი ხალხის ფიზიკურ თუ სულიერ პოტენციალს დაშრეტის საფრთხე ემუქრებოდა.

დიდი მოურავი მოთმინებით ელოდება თავისი ცხოვრების მწვერვალს. ელოდება იმ დღეს, როდესაც სამშობლოს ცაზე თავმოყრილ შავ ღრუბლებს გაფანტავს. ელოდება თავისი ყველაზე დიდი გამარჯვების ჟუხილს. ეს არის მისი ცხოვრების მიზანი და საწუკვარი იმედი. რამხელა ბედნიერებაა, გააუქმოს ულმობელი განაჩენი მტრისა, რომელსაც სწადია საქართველოს სახსენებლის წაშლა და მისი გადაქცევა ყიზილბაშთა ტომების სადგომ-საძოვრად. დიდ მოურავს, მრავალი ვარამისა და განსაცდელის საზღაურად, ბედი უმზადებს მაღალ მწვერვალზე ასვლას და მშობელი ქვეყნის გადარჩენას. და თუ ჰქონია შეცდომა, ანდა შეცოდება წარსულში, ყველაფერი გაბათილდება, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, როდესაც დადგება მისი ცხოვრების ყველაზე ნათელი დღე.

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ 1624 წელს კახეთის გამგებელმა ფეიქარ-ხანმა აცნობა შაჰ-აბასს: კახეთის აზნაურებსა და თეიმურაზს შორის მისვლა-მოსვლა და ფარული მიმოწერა მიმდინარეობსო. ფეიქარ-ხანის ვარაუდით, მოსალოდნელი იყო არეულობა.

თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა გვაუწყებს, რომ საგონებელში ჩავარდნილი ფეიქარ-ხანი სწერდა შაჰ-აბასს: „ქართველები

ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორი იქნებაო?"

ჰორმუზის, ყანდაარისა და ბაღდადის გამარჯვებებით თავბრუდახვეულ შაჰ-აბასს ეგება ალარც ახსოვდა საქართველო, რომელმაც თავად შეახსენა თავი და ამცნო სეფიანთა ირანის ძლევამოსილ ხელმწიფეს, რომ „გურჯისტანის საკითხი" გადაუჭრელი რჩებოდა. დაუმორჩილებელი ქვეყანა, მიუხედავად ამდენი აოხრებისა და სისხლისღვრისა, განაგრძობდა ფიქრს წინააღმდეგობაზე.

საქართველოზე გალაშქრება დაევალა ირანის სპასალარს ყარჩიღა-ხანს („მეტად გულადი, ხალისიანი, შორსმჭვრეტელი, მართებულად მოაზროვნე და ომში შეუდრეკელი", — ამგვარად ახასიათებს მას სპარსელი ისტორიკოსი).

შაჰ-აბასის ბრძანებით, ყარჩიღა-ხანთან ერთად საქართველოში უნდა წასულიყო ქართველი მოურავი, ვინაიდან მან იცოდა ამ ქვეყნის ავი და კარგი, ხოლო თავისი დიდი ერთგულებითა და მორჩილებით მოპოვებული ჰქონდა ხელმწიფის ნდობა, ამიტომაც შაჰის ღრმა რწმენით, ყველაფერს გააკეთებდა, რასაც შესაფერისად მიიჩნევდა სეფიანთა სახელმწიფოსათვის.

ლაშქრობის ნამდვილი მიზანი ოსტატურად იყო შენიღბული. ქართლის გამგებელს გამაჰმადიანებულ სიმონ-ხანს ცოლად ატანდნენ შაჰ-აბასის შვილიშვილს და ქორწილი უნდა გადაეხადათ საქართველოში. ირანის წარჩინებული ხანები, თავისი ჯარით, საპატიო მაყრებად მიჰყვებოდნენ მას.

მაგრამ სინამდვილეში ყარჩიღა-ხანს ევალებოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრა-გადასახლება...

მუსტაფა ნაიმას სიტყვით, შაჰ-აბასმა სხვების გასაგონად უბრძანა ყარჩიღა-ხანს, მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ დაეწყო, მაგრამ მალულად გააფრთხილა, ელოდე საიდუმლო წერილს და ახალი ბრძანების შესაბამისად იმოქმედეო. ჩანს, შაჰ-აბასი ბოლომდე არ ენდობოდა გიორგი სააკაძეს.

როდესაც ყარჩიღა-ხანს კახეთის მოლაშქრეთა გაჟლეტის მუხანათური გეგმა ჩაეშალა, ქართველი მოურავის მიმართ აღძრული ეჭვი შეატყობინა შაჰ-აბასს და ახალმა ბრძანებამაც არ დააყოვნა. შაჰ-აბასი სწერდა ყარჩიღა-ხანს: „გმართებს, დათვალიერების მიზ-

ნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი. რაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა".

როგორც ცნობილია, ყარჩილა-ხანთან გამოგზავნილი შიკრიკი ლოჭინის მიდამოებში დადარაჯებულმა გიორგი სააკაძემ შეიპყრო და შაჰ-აბასის საიდუმლო ბარათში გამოტანილი განაჩენი ქართველ დიდებულებს გააცნო.

გადაწყდა აჯანყება. დიდი მოურავი, თავის ოთხ ერთგულ თანამებრძოლთან ერთად ყიზილბაშთა ბანაკში დარჩა, რათა ერთი დარტყმით მოეკვეთა თავი მტრის ლაშქრისათვის.

1625 წლის 25 მარტს, გარიყრაჟზე, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ყიზილბაშთა ჯარს მიუახლოვდა აჯანყებულთა მხედრობა, ზურაბ არაგვის ერისთავის წინამძღოლობით.

მუსტაფა ნაიმას ცნობით, მოურავი ამხედრდა, აიღო შუბი და მიიჭრა ყარჩილა-ხანის ქარავთან „ხანო, რას გაჩერებულხარ, თეიმურაზი მოვიდა, თავს დაგვესხაო" — ასე მიმართა მას და მერე ცხენზე ამხედრებულს თავისი შუბი იღლიის ქვეშ აძგერა ისე, რომ შუბი მეორე მხარეს გამოვიდა. „ჰე, შე გიაურო, არამი იყოს შენზე შაჰის პურის!" — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ყარჩილა-ხანისა. სხვა ხანები ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა და სანამ ასე გაოგნებული იყვნენ, ქართველებმა მუსრი გაავლეს მტერს. თურქი ისტორიკოსის მტკიცებით, ოცდაათი ათასი ყიზილბაშიდან მხოლოდ სამი ათასმა მოახერხა გაქცევა.

ისჭანდერ მუნში წერს: „დიდებულებიც და უბრალო ხალხიც საშინლად თავზარდაცემული იქით-აქეთ გარბოდა. ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეულ და გაძარცულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ".

ყიზილბაშებს ვერ წარმოედგინათ „ღალატი" ქართველი მოურავისა, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ხელმწიფის სამსახურში და თავისი შვილი ირანში ჰყავდა მძევლად. მხოლოდ მას, ყიზილბაშთაგან ერთგულ და სანდო პირად მიჩნეულს, შეეძლო ამ აჯანყების განხორციელება. იმდენად დიდი იყო მარტყოფის აჯანყების გმირით გამოწვეული აღტაცება საქართველოში, რომ ხალხს სურდა გიორგი სააკაძის გამოცხადება მეფედ (როგორც გვაუწყებს ნიკიფორე ირბახი), მაგრამ თვით მან არ ინება მეფობა და ქართლ-კახეთის ტახტი თეიმურაზს ჩააბარაო.

ხოლო შაჰ-აბასსა და ყიზილბაშებს სხვა აღარავინ შეეძლოთ ეხ-

სენებინათ უფრო დიდი სიძულვილით, ვიდრე ქართველი მოურავი. სეფიანთა ირანის ხელმწიფეს თურმე საჯაროდ უთქვამს, ნახევარ სამეფოს ვუწყალობებ იმას, ვინც მოღალატე მოურავს დაატყვევებს და შებორკილს მომგვრისო. შაჰ-აბასის მეხოტბე ისქანდერ მუნში ათასგვარი სალანძღავი სიტყვებით ამკობს გიორგი სააკაძეს, ბედდაბნელებულ და ბოროტი მოურავი... ბედუკუღმართი მოურავი... არამზადა მოღალატე...

თორმეტი წლის შემდეგ შაჰ-აბასის მემკვიდრე შაჰ-სეფი თავის ერთ ფირმანში სააკაძეს მოიხსენიებს, როგორც „წყეულ მოურავს".

მშობელი ხალხის სიყვარული და გადამთიელი მტრის სიძულვილი იყო ღირსეული ჯილდო თავისი ცხოვრების მწვერვალზე ასული დიდი მოურავისა.

არჩილ მეფის პოემაში ხაზგასმულია მარტყოფის აჯანყების ორგანიზატორის გიორგი სააკაძის და მისი მარჯვენა ხელის — ზურაბ ერისთავის სამაგალითო გმირობა: „სახელისთვის მათ ცოლ-შვილ ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ! ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ? რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რა საც ჰყოფდეთ? აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძსაით შვილს ეტყოდეთ!"

მარტყოფის აჯანყების ამბავი, ცხადია, გასცდა საქართველოს ფარგლებს.

შირაზში მყოფი კათოლიკე მისიონერი, იმავე წლის 18 ივნისით დათარიღებულ წერილში, რომს ამცნობდა, რომ საქართველოში მოხდა „მოულოდნელი და დიდი აჯანყება". ქართველი ელჩის ნიკიფორე ირბახისა და უცნობი ჯულფელი ვაჭრის რელაციები, ჩაწერილი ვატიკანში 1628 წელს, საინტერესო დეტალებით ავსებენ სხვა წყაროების ინფორმაციას ზემოხსენებულ მოვლენათა შესახებ.

მარტყოფის აჯანყების ამბავს მოგვითხრობენ ინგლისელი ტომას ჰერბერტი, იტალიელი პიეტრო დელა ვალე და ფრანგი კლოდ მალენგრი. სწორედ ამ უკანასკნელის ნაშრომს ეყრდნობოდა ცნობილი გერმანელი დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი, რომლის ხუთმოქმედებიან ტრაგედიაში „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე" აღწერილია მარტყოფის აჯანყებაც და საკმაოდ დაწვრილებით არის გაშუქებული დიდი მოურავის სახე (გრიფიუსს, მხატვრული მიზნით, დარღვეული აქვს მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. მის ნაწარმოებში მარტყოფის აჯანყება წინ უსწრებს

ქეთევან დედოფლის წამებას და საქართველოდან ჩასული ელჩები ეუბნებიან ტყვე დედოფალს ქართველი ხალხის გამარჯვების ამბავს). აი, რას ვკითხულობთ გიორგი სააკაძის შესახებ მონათხრობში: „ახლად აღანთო უწინდელი სახელ-დიდება, ლტოლვა-განდგომით რომ მოუკლა ჟამთა დინებამ. ამბობდნენ, მამულს შეეკრაო წმინდა ფიცითა, რომ შაჰის უღელს დაამსხვრევდა, მამულს იხსნიდა“ (თარგმანი აკ. გელოვანისა).

1625 წელს აყრა-გადასახლება ემუქრებოდა ქართლ-კახეთს. საქართველოს მიწაზე უცხო ტომი უნდა ჩამოთესლილიყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა, თავისი საამაყო შვილის მეთაურობით, ყირაზე დააყენა ისპაანში შეთხზული სცენარი, და მიუხედავად იმავე წლის ზაფხულში მომხდარი სისხლისმღვრელი მარაბდის ომისა, სულ სხვა გეზით წარმართა თავისი ბედი.

პროფ. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს: „ქართველობისათვის“ ბრძოლა ძირითადად მაინც მოგებული იყო. ქართველი ხალხის შეუდრეკელმა წინააღმდეგობამ და თავდადებულმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა, ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშებაზე. ქართველი ხალხის ბრძოლამ შაჰი დაარწმუნა, რომ „საქართველოს მოთხრა“ მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. შაჰი იძულებული იყო, თავი დამარცხებულად ეცნო“.

მარტყოფის გმირულმა აჯანყებამ დასაბამი მისცა საქართველოს აღორძინებას. 1625 წლის 25 მარტი, უეჭველად, მიეკუთვნება ჩვენი ისტორიის ყველაზე ძვირფას თარიღებს.

მარაბდა

ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს მარაბდის ველი ზაფხულში, ან თუნდაც სექტემბრის დამდეგს, უთუოდ გაუჭირდება წარმოიდგინოს, თუ როგორი პაპანაქება იცის ხოლმე ამ მიდამოებში, თითქოსდა მზეს მთელი თავისი მხურვალება მიწის ერთ ნაგლეჯზე გადმოეღვრია.

1625 წელს სწორედ მარაბდის ველზე იდგა ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი. კოჯორ-ტაბახმელას მაღლობებიდან სწორედ აქეთ

დაეშვა ქართველთა მხედრობა, დაეშვა სიგრილიდან სიცხეში, სიმოთხიდან — ჯოჯოხეთში. სიკვდილს თამამად გაუსწორეს თვალი და კიდევ ერთხელ შეებნენ მრისხანე მტერს სამშობლოს გადასარჩენად.

მარტყოფი და მარაბდა... ეს ორი სახელი განუყოფლად არის დაკავშირებული ერთიმეორესთან. საქართველოს ისტორია სასოებით ინახავს ორივე სახელს; ორივე მისი მშვენებაა — მარტყოფის ბრწყინვალე გამარჯვება და მარაბდის ბრწყინვალე დამარცხება.

მარაბდა არის სიმბოლო ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლისა თავისუფლებისათვის, მარაბდა — სამარე ცხრა ათასი ქართველი გმირისა, მარაბდა — უკანასკნელი და გადამწყვეტი ომი, რომელმაც სამუდამოდ დაასამარა ყიზილბაშთა ოცნება საქართველოს მოსპობაზე. მარტყოფი იყო იმედიანი პროლოგი მონობის უღლიდან თავის დახსნისა, ხოლო მარაბდა — მრავლისმთქმელი ეპილოგი. მარაბდა იმ დამარცხებას ჰქვია, რომელიც ზოგიერთი უმნიშვნელო ბრძოლის მოგებას ჩრდილავს; მარაბდა იმ გაკვეთილს ჰქვია, რომელიც კარგად ისწავლა მტერმა და გადაივიწყა ქართველი ხალხის „გათათრების“ ქიმერული წადილი.

სულ რაღაც სამი თვე აშორებს მარაბდას მარტყოფისგან — სამი თვე დაძაბული ლოდინისა, სამზადისისა.

მარტყოფში მოხვეჭილ გამარჯვებას არ მოუდუნებია ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სიფხიზლე. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ სეფიანთა ირანის ვერაგსა და დაუნდობელ მბრძანებელს, რაღა თქმა უნდა, შეიპყრობდა ქართველებზე დაუოკებელი შურისძიების წყურვილი და არც დააყოვნებდა ახალი ლაშქრის გამოგზავნას.

მარტო ქართლ-კახეთი რას გახდებოდა სეფიანთა იმპერიასთან, რომელიც ტოლს არ უდებდა ვეება ოსმალეთსა თუ ინდოეთს. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, თუნდაც ეშმაკეულის მოდგმისა, და გიორგი სააკაძემ ელჩები აფრინა ოსმალთა სარდალთან, რომელიც ამ დროს დიარბექირში იდგა და ბაღდადზე სალაშქროდ ემზადებოდა. ქართველმა ელჩებმა ერთი ვეშაპის დამარცხებული და გათელილი ბაირაღები მეორე ვეშაპს მიართვეს საჩუქრად, და არანაკლებ ძვირფასი ძღვენი დაუმატეს — მარტყოფში დახოცილ ყიზილბაშთა მოჭრილი თავები, მათ შორის ოსმალთათვის ყველაზე საძულველი

ყარჩილა-ხანისა, შაჰ-აბასის უსაყვარლესი სარდლისა, რომელმაც ორიოდე წლის წინათ ოსმალებს ხელიდან გამოჰგლიჯა ბაღდადი.

ქართველმა ელჩებმა ოსმალთა სარდალს ჰაფიზ-ფაშას შემდეგი მოახსენეს: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა სამეფო გვარეულობას არ მისცემია. ნუღარ დააყოვნებთ და იჩქარეთ, რომ თქვენი ჯარი ირანს შეუსიოთ. ყარაბაღი, განჯა, შირვანი უომრად დაგმორჩილდებიან, იქ ხომ თქვენივე რჯულის სუნიტი მუსლიმები არიან, ამის შემდეგ არდებილსა და მეშჰედსაც იოლად აიღებთ და ყიზილბაშთა ქვეყანას ცეცხლს წაუკიდებთო. იმდენ სიმდიდრესა და ნადავლს ჩაიგდებთ ხელში, რომ ქვეყნიერების დასასრულამდე სალაპარაკო არაკად იქცევაო.

ასე გადმოგვცემს ქართველი მოურავის შემონათვალს თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი, თვითმხილველი ამ ელჩობისა. მისი სიტყვით, ჰაფიზ-ფაშას დიდხანს უწვალებია ელჩები, სანამ ხეირიან პასუხს აღირსებდა, და ბოლოს განუცხადებია: ჩვენ ბაღდადის დაპყრობა გვევალება და საქართველოსა და შირვანს გამგზავრება არავის უბრძანებიაო.

ასევე თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა აღნიშნავს: „საქართველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა რომ ჩატარებულიყო, მოსალოდნელი იყო დიდი გამარჯვება“ (რაც შეეხება ბაღდადს, ოსმალებს იქაც მოეცარათ ხელი).

ოსმალეთის სულთნის ყურამდეც მივიდა ქართველი ელჩების თხოვნა. სულთანი დახმარებას შეჰპირდა „წყეულ“ ყიზილბაშებთან შეჭიდებულ ქრისტიანულ ქვეყანას, ჯერჯერობით კი ქართველი მოურავისადმი წყალობის ფირმანისა და საპატიო ხალათის გამოგზავნით დაკმაყოფილდა. ეს „ჯილდო“, ალბათ, მარაბდის ომის შემდეგ ჩამოაღწევდა საქართველოში.

ქართველები მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონის იმედზე რჩებოდნენ.

სარდლობის წინაშე მთელი სიმწვავით წამოიჭრა ალტერნატივა — ჩასულიყვნენ მარაბდის ველზე და იქ შებმოდნენ მტერს, თუ დარჩენილიყვნენ კოჯორ-ტაბახმელას მაღლობზე...

არჩილ მეფე თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გადმოგვცემს სამხედრო თათბირზე გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი სიტყვით, გიორგი სააკაძე წინააღმდეგი იყო მარაბდის ველზე ჩასვლისა, ქვეით ჯარს გაუჭირდება ბრძოლა სიცხეში

და რომ დაგვიმარცხდეს, ერთპირად ამოწყდებაო. მას მხოლოდ ბაადურ ციციშვილმა დაუჭირა მხარი. მარაბდის ველზე ბრძოლას კი დაჟინებით მოითხოვდნენ დანარჩენები: ზურაბ არაგვის ერისთავი, ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანბატონები, იესე ქსნის ერისთავი, მანუჩარ ათაბაგი, კახეთის დიდებულნი... თავიანთ მოთხოვნას ამტკიცებდნენ სხვადასხვა არგუმენტებით: ყიზილბაშებს ხანგრძლივად დგომა არ მოსწყინდებათო, ამასობაში ჩვენი ლაშქარი დაგვეფანტებაო, აქ უქმად ყოფნა რას გვარგებსო, დილითვე შევებათ სიგრილეშიო და სხვ.

„მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქვიან?" — მარტყოფის გამარჯვებით გალაღებულნი აღარ ეპუებოდნენ ყიზილბაშებს.

უმეტესობა ითხოვდა ბრძოლას და გადაწყდა ბრძოლა.

სხვათა შორის, XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ერთგვარი განსხვავებით მოგვითხრობს სამხედრო თათბირის ამბავს: „ზოგთ ასრე არჩიევეს, მცხეთამდინ აუშვათო და ზოგმან მაღლითა და ზოგმან გალმა-გამოღმიდან დაუშინოთო და სიმაგრე ჩვენ გვექნებისო და ხელთოფით ამოვსწყვეტთო და მოურავმა და აღათანგიმ ასრე თქვეს: თუ მაგას ვიქთო, ბარათიანნი ჩვენ წაგვივლენო და იმათ მიუვლენო და გზები კარგად იციანო, დიდგორის გზით ლაშქარს წამოუძღვებიანო და წინა უკანას გვიზმენო. და რადგან ბევრი ლაშქარი გვახლავსო, ესე სჯობსო, რომ მინდორში ჩავეგებნეთო და ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებენო, რა ერთხელ გატყდებიან, ველარ შემოგვბედვენო".

როგორც ვხედავთ, არჩილი და ფარსადანი სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ გიორგი სააკაძის მოსაზრებას. რომელს უფრო უნდა ვენდოთ, ამის გარკვევა ერთობ ძნელი გახლავთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფარსადანის მონათხრობში გიორგი სააკაძის მიერ ჩ – მოყენებულ არგუმენტს მარაბდის ველზე ბრძოლის სასარგებლოდ ვპოულობთ არჩილის პოემაშიც, სადაც თეიმურაზ პირველი ამბობს: „ამ რჩევაზედ ბარათიანთ წასვლის ეშვი შეგვივიდა, არ ჭორად თქვეს ეს ამბავი, მედასტურე მოგვივიდა, თქვეს თუ: ღვთის მადლს ამ ჯარშიგა არამც ეს ხმა გაგვივიდა, ამად გვიჯობს ადრე შებმა თუ ესენი წაგვივიდა".

ზემოთ დამოწმებული ცნობები გვაფიქრებინებს, რომ რეალურად არსებობდა საფრთხე მეწინავე სადროშოს — საბარათიანოს

ლაშქრის განდგომისა, რაც საბედისწერო გახდებოდა საერთო საქმისათვის და, ალბათ, შეასუსტებდა მთელი ჯარის საბრძოლო სულისკვეთებას.

როგორც ჩანს, ამ მომენტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი და წერდა: „ქართველთა ბანაკში თათბირი გაიმართა. ბჭობდნენ, თუ სად და როდის შებმოდნენ მტერს. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ ომის დაწყების ბედი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციამ გადაწყვიტა. საბარათიანოს ლაშქარი ხვალისად შებმას ითხოვდა. თუ არა, ბრძოლის ველის მიტოვებას იმუქრებოდა. საბარათიანოს ფეოდალების საამისო „საბუთი“ ის იყო, რომ მტერი მათ „მამულში“ იდგა და მას აოხრებდა“.

... არჩილ მეფე, ფარსადან გორგიჯანიძე და სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში დაწვრილებით მოგვითხრობენ მარაბდის ომის პერიპეტიებს.

ქართველებმა გარიჟრაჟზე შეუტიეს ყიზილბაშთა ლაშქარს. თავგამეტებულ იერიშზე დაძრულ შუბოსან მხედრებს თორმეტი ათასი მეთოფის ზალპი შეეგება. თოფის წამლის კვამლს ჰაერი დაუბნელებია და მზიანი დღე ღამედ გადაუქცევია. კვამლი რომ გაიფანტა, ქართველები „გახურებული ხოცვით“ შეიჭრნენ მეთოფეთა რაზმებში და გააქციეს ისინი. ფარსადანის სიტყვით, „ქართველები ყიზილბაშის ლაშქარში გაერივნენ და შეიქნა შუბთა ძგერება. ხმალთა და ლახტთა მუზარადზედ ხეთქინება“.

ყიზილბაშთა ავანგარდის სარდალი ამირგუნე-ხანი თეიმურაზ მეფეს შეერკინა ბრძოლის ველზე. „ბატონი დიაღ ფიცხელი იყო, — გვიამბობს ფარსადან გორგიჯანიძე, — და სწრაფად შუბი შესცა და იმან ფარი დაახვედრა, ფარი გაუტეხა და ხელნავიც გაუხეთქა და მკლავიც მოსტეხა, შუბიც შეამტვრია, ცხენიდამ გარდმოაგდო“. ყაჯართა ტომის მეომრებს თავისი წინამძღოლი სასწრაფოდ გაუყვანიათ ბრძოლის ველიდან (მარაბდის ომში მიღებულმა ჭრილობამ სულ მალე მოუღო ბოლო ვაჟკაცობისათვის „ყვითელი ჯიქის“ საპატიო მეტსახელით დაჯილდოებულ სარდალს).

გიორგი სააკაძე უმუზარადოდ იბრძოდა, რათა მტერს ეცნო იგი და თავზარი დასცემოდა. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს: „და იმ დღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირ-

თაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა“.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის სიტყვით, სასტიკი და საზარელი ბრძოლა ჰგავდა მჭედლის უროს დარტყმას რკინაზე. თოფების ბათქა-ბუთქი, ისრების ზუზუნი, მეომართა ყიჟინა და ცხენების ჭიხვინი ისეთი ძალისა იყო, რომ ყიზილბაშთა სატვირთო აქლემები დაფრთხნენ, მოკურცხლეს, იმავე ღამეს შირაზამდე (!) ჩააღწიეს და გზაში რაც შეხვდათ, გაცოფებულებმა ყველაფერი გადაქელესო.

ბრძოლის ბედი თითქოსდა უკვე გადაწყვეტილი იყო. ყიზილბაშთა ლაშქარი პანიკამ მოიცვა და თვით მთავარსარდლის ისა-ხან ყორჩიბაშის სიმშვიდე და სიმტკიცე ვეღარაფერს გააწყობდა, თავრიზის ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის დასვენებული ჯარი რომ არ გამოჩენილიყო ბრძოლის ველზე.

ერთის მხრივ ამ გარემოებამ და მეორეს მხრივ — ქართველი მეომრების ალაფობით გატაცებამ და ძალების დაქსაქსვამ გამარჯვების სასწორი გადახარა ყიზილბაშთა მხარეს.

ქართული წყაროების ცნობით, მარაბდის ომში დაიღუპა ცხრა ათასი ქართველი და თოთხმეტი ათასი ყიზილბაში.

მტერს აღარ შესწევდა ძალ-ღონე ქვეყნის დაპყრობისა.

მარაბდის ომი გახდა მჭევრმეტყველი სიგნალი შაჰ-აბასისათვის, რათა საქართველოს დამონებაზე ხელი აეღო და მშვიდობა ჩამოეგდო თორმეტწლიანი რბევა-თარეშისა და უნაყოფო სისხლისღვრის შემდეგ.

ქართველები დამარცხდნენ მარაბდის ომში, მაგრამ არც ყიზილბაშებს ეთქმოდათ გამარჯვება. მუსტაფა ნაიმას სიტყვით, „ამ ბრძოლაშიც ყიზილბაშის ჯარმა დიდი ზარალი განიცადა და მთავარსარდალთან ერთად მხოლოდ ცოტამ თუ უშველა თავს“.

თეიმურაზ მეფის ელჩად რომში ჩასული ნიკიფორე ირბახი მარაბდის ომს ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებად მოიხსენიებდა. მიუხედავად გაზვიადებისა, ასეთი შეფასება ჭეშმარიტების მარცვალსაც შეიცავს, თუნდაც პოლიტიკური შედეგების გათვალისწინებით.

მარაბდის ომი იყო უკანასკნელი ეპიზოდი შაჰ-აბასის მიერ საქართველოს თავზე დატეხილი „სისხლის წვიმებისა“. დიდი მსხვერპლის ფასად მოპოვებულ იქნა ღირსეული არსებობის უფლება.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა მარაბდის ომის თარიღზე. ისქანდერ მუნშის ტექსტის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა 1625 წლის 1 ივლისს. ეს თარიღი მიღებულია ჰიჯრის ანუ მაჰმადიანური წელთაღრიცხვის თარიღის (1034 წელი, რამაზანის თვის 25) გრიგორიანულ კალენდარზე გადაყვანის შედეგად. სიზუსტეს მოკლებული იქნება, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის თარიღები ვიანგარიშოთ ე. წ. „ახალი სტილით", რომელიც მართალია, 1582 წლიდან დამკვიდრდა ევროპაში, მაგრამ ჩვენში XX საუკუნემდე არ გავრცელებულა. თუკი მარტყოფის აჯანყების თარიღად, ქართული წყაროს თანახმად აღიარებულია 25 მარტი (ძვ. სტილით), ამავე პრინციპით მარაბდის ომის თარიღად უნდა ითვლებოდეს 21 ივნისი 1625 წლისა.

ორი მოურავი

ვაჟა-ფშაველას კალამს ეკუთვნის ერთი ლექსი, დათარიღებული 1910 წლით, რომელსაც ჰქვია „გიორგი სააკაძის სურათზე". მართალია, იგი თავისი მხატვრული ღირებულებით ვერ გაუტოლდება პოეტის საუკეთესო ქმნილებებს, მაგრამ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მისი შინაარსი.

დიდი ქართველი პოეტი დაჰყურებს დიდი ქართველი სარდლის სურათს და მწარე ფიქრები ებადება საქართველოს რჩეული შვილების ბედსა თუ უბედობაზე. ჯავრით შებორკილა, „ცრემლები აღრჩობს" და ხმის ამოღება უჭირს. კალამმა მხოლოდ სამ სტროფს გაუძლო და მერე დაუმძიმდა ხელში. ანდა რაღა გაეგრძელებინა, როდესაც მთელი სათქმელი თავისუფლად ჩაეტია იმ სამ სტროფში. პოეტის მუზა აუღელვებია გიორგი სააკაძის უნუგეშო ხვედრს, მაგრამ ვინ იცის, ეგებ სხვათა აჩრდილებიც დაუდგა თვალწინ, როდესაც ხსენებულ ლექსს წერდა. ეგებ მოელანდა აჩრდილები საქართველოს შვილთა, ურცხვად განწირულთა, უღვთოდ დაღუპულთა.

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება?" — წარმოთქვამს გიორგი სააკაძეზე ფიქრში გართული პოეტი და მერე უფრო მკაცრი სიტყვებიც ალმოხდება: კარგის და-

ღუპვა რად გვენატრებაო? გულწრფელმა ღაღადისმა უკანასკნელი საზღვარი გადალახა. რწმენის მაღალი მწვერვალიდან ჩაჩეხილა ფიქრი ეშვის შავბნელ უფსკრულში. პოეტი შეძრწუნებით შეჰყურებს ნიღაბჩამოგლეჯილ, სამოსელშემოძარცულ სიმართლეს. სიტყვა უწყდება პირში, ვეღარას ვიტყვიო, ვთრთი, მეხათრებაო და მაინც ბოლომდე ცლის შხამით სავსე ფიალას: „ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!“.

საქართველოს ისტორიაში ძნელად მოიძებნება ესოდენ გაორებული სახე, როგორც გიორგი სააკაძისა. ქართველმა ხალხმა საუკუნო ძეგლი აუგო თავის გულში დიდ მოურავს. მისი სახელი გადაიქცა გმირობისა და მამულიშვილობის უპირველეს სიმბოლოდ. მისი ტრაგიკული ცხოვრება არაერთხელ აისახა სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურაში. მისი მჭექარე ხმა ისმოდა სცენიდან და ეკრანზეც გამოჩნდა უბადლოდ ხორცშესხმული დიდი მოურავი. მაგრამ არც ის გახლავთ საიდუმლოება, რომ სხვას არავის მოუხვეჭია, თანამედროვეთა თუ შთამომავალთა თვალში, ესოდენ განსხვავებული შეფასება, როგორც გიორგი სააკაძეს. მატიანის ფურცლებზე გმირს ერქვა გმირი, მოღალატეს — მოღალატე. გმირს აღტაცებით ასხამდნენ ქებას, მოღალატეს ზიზღით იხსენიებდნენ და წყევლა-კრულვას უთვლიდნენ. დიდ მოურავს წილად ხვდა გმირის შარავანდედიც და მოღალატის წარუხოცელი დაღიც.

ქართული წყაროები ამაყად გადმოგვცემენ გიორგი სააკაძის დიდებულ საქმეებს, მაგრამ ამავე დროს არც უკადრის ეპითეტებს იშურებენ. ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებს „ცბიერსა“ და „უნდოს“. ანტონ კათალიკოსი ასე ახასიათებს დიდ მოურავს: „შინაგანმცემელი უფლისა თვისისა და მამულისა... ორგული და გულარძნილი“. იოანე ბატონიშვილის სიტყვით, ის იყო „განმზრახი ბოროტისა და ორგული მამულისა“.

ანტონ ფურცელაძემ საკმაოდ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა დიდი მოურავის აპოლოგიას („გიორგი სააკაძე და მისი დრო“). მაგრამ არც ისე იოლი იყო სახელოვანი გმირის ცხოვრების ნათელ ფურცლებზე აქა-იქ დაწინწკლული ლაქების გათეთრება.

აკაკი წერეთელს თავისი ერთი წერილისათვის მრავლისმთქმელი სათაური დაურქმევია: „შავი ფიქრები (გიორგი სააკაძეზე)“. მგოსანი გულისყურით აკვირდება დიდი მოურავის გაორებულ სახეს და ამბობს: „დღეს ითვალისწინებ ამ უბედურ გმირს და აღარ

ოცი, რა ქმნა: დალოცო თუ დაწყევლო? აკურთხო თუ შეაჩვენო? თაყვანი სცე თუ ზურგი უჩვენო?"

ასეთივე სიფრთხილით წერდა დიდი მოურავის შესახებ ილია ჭავჭავაძე: „მისი ავ-კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი... ელიან პირუთვნელს გამკითხველსა".

მწერლისა თუ ისტორიკოსისათვის, რა თქმა უნდა, ძალზე მტკივნეულია ხალხის საყვარელი გმირის ცოდვათა გამომზეურება. თურმე თვით „ქართლის ცხოვრების" მესაიდუმლესაც გასჭირვებია კატეგორიული დასკვნა (პროფ. ვ. გაბაშვილი იგონებს, რომ ერთხელ სემინარზე ასპირანტებმა სთხოვეს ივანე ჯავახიშვილს გამოეთქვა თავისი აზრი გიორგი სააკაძის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე. დიდ ქართველ მეცნიერს მოკლედ მოუჭრია: „ვერც კარგს ვიტყვი, ვერც ავსაო". მოგონების ავტორი დასძენს: „მაგრამ ამ მოკლე ფრაზასაც, ალბათ დამეთანხმებით, კარგი გაკვეთილის მნიშვნელობა ჰქონდა").

... XVII საუკუნის მეორე ნახევარში იოსებ ტფილელმა დაწერა პოემა „დიდმოურავიანი", რომელიც გადმოგვცემს გიორგი სააკაძის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს. იოსებ ტფილელის თხზულება მიზნად ისახავდა დიდი მოურავის რეაბილიტაციას.

„ქრცხილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერდს ახლდა მოურავი". — ასე იწყება ზემოხსენებული პოემა. პირველივე სტრიქონი ცხადლივ მიგვანიშნებს იმას, რომ ნაოხარი საქართველო უკვე სუნთქავდა ლაღად და ღონივრად. მართალია, აღთქმული თავისუფლება შორს იყო, რადგანაც სეფიანთა ტახტზე ისევ შაჰ-აბასი იჯდა და თბილისი ყიზილბაშებს ეჭირათ, მაგრამ მოხვეჭილი წარმატებაც საკმარისი იყო გულის მოსაოხებლად და სულის მოსათქმელად. მარაბდის ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ძალზე ძვირი დაუჯდათ ყიზილბაშებს გამარჯვება. ისინი იმდენად დაზარალდნენ სისხლისმღვრელ ომში, რომ ქვეყნის დასაპყრობად ძალა აღარ შესწევდათ.

თეიმურაზი დროებით იმერეთს გადავიდა, დიდი მოურავი — სამცხეს. ისა-ხან ყორჩიბაშს უნიადაგო ოცნებად ესახებოდა მათი ხელში ჩაგდება. იგი იმითაც დარჩა კმაყოფილი, რომ სეფიანთა ირანის ორი მთავარი მტერი გაეცალა ქართლ-კახეთს. ამასობაში ყიზილბაშთა ლაშქარიც იძულებული გახდა გუდა-ნაბადი აეკრა, ვინაიდან შაჰ-აბასს სხვა სადარდებელი გაუჩნდა. ისჭანდერ მუნშის სიტყ-

ვით „უგუნურმა და ცეტმა ხალხმა“ საქართველოში მომხდარი ამბავი ირანის სახელმწიფოს სისუსტეს მიაწერა და მტრებმა, რომელნიც ხელსაყრელ ჟამს ელოდნენ, იფიქრეს, დრო დაგვიდგაო. ოსმალებმა მყისვე შეუტიეს ბაღდადს. ისინი ვარაუდობდნენ, სეფიანთა სახელმწიფო ბაღდადისათვის ვერ მოიცლის, ბაღდადში მყოფ ყიზილბაშებს იმედი გაუწყდებათ და როგორც კი გაიგებენ ოსმალთა უზარმაზარი ჯარის მოახლოებას, იქაურობას მიატოვებენ და ბაღდადს უომრად დაიჭერთო. მაგრამ შაჰ-აბასი ასე იოლად ვერ შეელეოდა ბაღდადს. მან საჩქაროდ გაიწვია ყორჩიბაში საქართველოდან, მისი ლაშქრის უმეტესი ნაწილი ბაღდადს მიაშველა და ყარაბაღში საზამთროდ დარჩენილ ყორჩიბაშს მცირე ძალები დაუტოვა ქართველთა შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად. 1626 წლის გაზაფხულზე თეიმურაზი და სააკაძე დაბრუნდნენ ქართლ-კახეთში. ქართლის ვალი სიმონ-ხანი თბილისში იყო ჩაკეტილი ყიზილბაშთა გარნიზონთან ერთად.

„ქრცხილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერდს ახლდა მოურავი“... სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაიხადეს, მოსისხლე მტრის ჯაერი არ შეუჭამიათ. თეიმურაზი და სააკაძე იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალს. მაგრამ მოწმენდილი ცა უეცრად მოიქუფრება მოურავისათვის. ერთგული პირნი ამცნობენ, თეიმურაზი მოკვლას გიპირებსო. მოურავს გაოცება შეიპყრობს, რისთვის უნდა მომკლან, თეიმურაზსა თუ ქვეყანას ნეტავი რა დავუშავე, სიკეთის მეტი არაფერი დამიშავებიაო. უკვირს, რომ ერთგული სამსახურისა და თავდადების საზღაურად სიკვდილი გადაუწყვიტეს. ახლო მეგობრებს გააცნობს საქმის ვითარებას. ისინი არწმუნებენ, ნუ დაიჯერებ, ეს ამბავი მართალს არა ჰგავს, მოშურნეებსა სწადიათ თქვენი გადამტერება, რომ საქართველოში შფოთი და არეულობა ატყდესო. მოურავი თითქოს დამშვიდდება, მაგრამ სხვები ისევ ჩასჩიჩინებენ, არ მოტყუვდე, თეიმურაზი ნამდვილად მოკვლას გიპირებს და გაუფრთხილდიო. მოურავი დაყინებით ეკითხება ამბის მომტანთ, გამაგებინეთ, რას მერჩისო და ისინი პასუხობენ: ლუარსაბ მეფის სისხლს გადებს და შენს ურჩობა-განდიდებას ჩივისო. მოურავი კაცს მიუგზავნის თეიმურაზს, რათა პირადად მეფისაგან გაიგოს, თუ რატომ დაუპირებიათ მისი მოსპობა. თეიმურაზი უარობს, არაფერს გედავები და არც შენი მოკვლა გამივლია გულში, ჩემს ერთგულ სარდალს როგორ გაგწირავო. მაგრამ მო-

ურავს ხელახლა არწმუნებენ თავისიანები, მეფე არ დაგინდობსო. მოურავი ისევ აახლებს მოციქულებს თეიმურაზს და შეუთვლის: შევიტყე, თურმე ლუარსაბის სიკვდილს მაბრალებთო. მაშინ თეიმურაზიც გულახდილად უპასუხებს: „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“. თუმცა იქვე დასძენს: ლუარსაბის სისხლს არ ვეძებ, დამშვიდდი, შენ მეგულები ჩემს იმედად ჭირში და ლხინშიო. მაგრამ მოურავს რაღა დაამშვიდებს. სული აუფორიაქა ბრალღებამ. სურს, ღირსეული პასუხი გასცეს მეფეს, თავი გაიმართლოს ხალხის თვალში, გაფანტოს ყოველგვარი ეჭვი და ცილისწამება. იგი იწყებს თავისი თავგადასავლის თხრობას და ჩვენს თვალწინ იშლება დიდი მოურავის ცხოვრების ფურცლები.

პოემაში დაწვრილებით არის გადმოცემული ყირიმელი თათრების შემოსევა ქართლში და მათი სასტიკი დამარცხება გიორგი საააკაძის სარდლობით. ამას მოსდევს ნადიმი დიდი მოურავის ოჯახში, სადაც ლუარსაბი გაიცნობს მასპინძლის ქალს და გაუმიჯნურდება. ამას რომ შეიტყობს მოურავი, მოციქულის პირით დაუყოვნებლივ სთხოვს მეფეს, ჩემი ოჯახის შერცხვენას ნუ იკადრებო. მაგრამ ლუარსაბი ჰპირდება, შენს ქალს ცოლად შევირთავო. მოურავი ვერაფერს გააწყობს ლუარსაბთან და მაშინ დედამისს შეევედრება, შენს შვილს შეუფერებელი ქორწინება დაუშალეო. ქართლის დედოფალს დიახაც არ ეპიტნავება საააკაძეთა დამოყვრება, მაგრამ ვერ გაუტეხავს შვილის სიჯიუტე. ისევ ლუარსაბს მიმართავს მოურავი და სთხოვს, ფიცი მიბოძე, რომ ცოლ-ქმრულ კავშირს არ მოშლიო. ლუარსაბი შეჰფიცავს და ცოლად ირთავს გიორგი საააკაძის ქალს... ქართლის დიდებულნი გაუთავებლად საყვედურობენ მეფეს უგვარო ქალის გადედოფლებას. გაივლის თაფლობის თვე და მითქმა-მოთქმის მოწამლული ისრები თანდათანობით იმკიან ნაყოფს. ლუარსაბი გულს აიყრის ცოლზე. წარმატებით ფრთაშესხმული დიდებულნი ერთხმად მოუწოდებენ, მოურავი ცოცხალი არ გაუშვა, თორემ თავისი დის შერცხვენას ძვირად დაგისვამსო. ლუარსაბი ერთხანს ყოყმანობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სასიკვდილოდ გასწირავს ერთგულ ყმას. წაკისში იბარებს მოურავს, მაგრამ მეფის ფარეშთუხუცესი გასცემს შეთქმულთა ჩანაფიქრს და გიორგი საააკაძე სასწაულებრივ ახერხებს თავის დახსნას. პოემაში დაწვრილებით არის აღწერილი გაქცევის ამბავი, თავშესაფრის ძიება და საქართველოდან არანში გადახვეწა. შაჰ-აბასი გულთბილად ეგებება

ლტოლვილ მოურავს. „ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვჰქენ კაის ცნებითა“, — სინანულით ამბობს გიორგი სააკაძე.

მოურავის ცხოვრების დიდი მონაკვეთი (ირანში ჩასვლიდან ვიდრე მარტყოფის აჯანყებამდე) ძალზე შეკუმშულად არის მოთხრობილი იოსებ ტფილელის პოემაში. ავტორი ორიოდე სიტყვით ეხება სააკაძის მონაწილეობას ყანდაარისა და ბაღდადის ლაშქრობებში. ასევე მცირე ადგილი ეთმობა შაჰ-აბასის შემოსევას საქართველოში. სააკაძე თავს იმართლებს, ლუარსაბი თავისი ნებით ჩაბარდა შაჰს, მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვისო. „ბევრი რამ საქმე გამოჰბდა, ყველას აქ ვინ იქს წერასა?!“ — დაასკვნის იოსებ ტფილელი და შემდეგ მოგვითხრობს მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომის ეპიზოდებს: „სად მოვსთვალო ჩემი ბრძოლა, ანუ ომთა ჭირნახული?! მე, მეფეო, შენთვის დავდე თავგანწირვით ტკბილი სული“.

ამ სიტყვებით მიმართავს გიორგი სააკაძე თეიმურაზს. ისიც კმაყოფილდება მოურავის ახსნა-განმარტებით. აცხადებს, ყველაფერი, რაც გითქვამს, სიმართლე არისო და ეფიცება: „არც არას სისხლსა გადევებ, არც რას ავს შენგან მოველი“. მაგრამ მოურავი უკვე ლიტონ სიტყვებად მიიჩნევს მეფის ფიცს. ეშვის ქსელში გახლართულა და აღარ იცის, რომელი ჩააგდოს სათვალავში — ბრალდება თუ იმავე ბრალდების უარყოფა. ბოლოს მწარე სიტყვებით გამოხატავს თავის გულისტკივილს: „ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსოვს სამსახურია; რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია, მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!“.

და თითქოს პასუხად გაისმის თეიმურაზის ნათქვამი (არჩილ მეფის პოემაში): „ასრე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

ალბათ, ერთიც მართალია და მეორეც. ფეოდალური საზოგადოების მუდმივი სატკივარი მრავალჯერ აყენებდა ზიანს ქვეყნის ინტერესებს. ბაგრატიონებსაც ავიწყდებოდათ ერთგულ კაცთა სამსახური, მაგრამ თავის მხრივ ვასალებიც ყოველთვის როდი ერთგულობდნენ მეფეს. ორგულობაც ემარჯვებოდათ და „უჩემოთ ვინ იმღერეთა“ ხშირად ახშობდა პატრიოტულ ჰანგებს.

იოსებ ტფილელის პოემაში კარგად ჩანს დიდი მოურავი, მარტყოფის აჯანყების სულისჩამდგმელი და საქართველოს აღორძინების

შემოქმედი, სახელოვანი გმირი და თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც საკუთარი პირმშო ანაცვალა სამშობლოს. „ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხმლითა დახსნილია“, — ამბობს გიორგი სააკაძე და ვერავინ დაეჭვდება მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში. ყველამ მშვენივრად ვიცით მისი ტრაგიკული ისტორიაც და მოთქმასავით ჩაგვესმის მისი მწუხარე მონოლოგი: „თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო, საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო“.

მაგრამ თეიმურაზ მეფის წინაშე თავის მართლებისას გიორგი სააკაძე, ფაქტიურად, გვერდს უვლის წამოყენებულ ბრალდებას ლუარსაბთან დაკავშირებით („ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“). მიუხედავად ამისა, ავტორის სიტყვით, თეიმურაზი მაინც კმაყოფილია მოურავის ახსნა-განმარტებით და უდასტურებს, რაც გითქვამს, ყველაფერი მართალი არისო. დიახაც რომ სიმართლეს შეიცავდა მოურავის ნაამბობი, მაგრამ მას მთელი სიმართლე არ უთქვამს. ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ლუარსაბის აღსასრულზე. იოსებ ტფილელის პოემაში ლუარსაბის ამბავი მთავრდება მისი გადმოსვლით იმერეთიდან ქართლში. ხელმწიფემ (შაჰ-აბასმა) თან წაიყვანაო, ამბობს მოურავი. მორჩა და გათავდა. აღარც მისი ტყვეობა არის ნახსენები, აღარც სიკვდილი. პოემის მიხედვით ვაუგებარია, თუ სად წაიყვანეს, რამდენ ხანს ჰყავდათ ტყვედ, როდის და რატომ მოუღეს ბოლო.

დასმული კითხვა უპასუხოდ რჩება. შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს დიდი მოურავის მისამართით წამოყენებული ბრალდება? იოსებ ტფილელი დუმს ამის შესახებ და პასუხი სხვა წყაროებში უნდა ვეძიოთ...

არაჭელ თავრიზელი ახასიათებს გიორგი სააკაძეს, როგორც გამჭრიახსა და მჭევრმეტყველ ადამიანს. მამაცსა და უძლეველ მებრძოლს; რომელ მხარესაც შეუერთდებოდა, ის მხარე მეტოქეს ყოველთვის სძლევდაო. სომეხი ისტორიკოსი მოგვითხრობს ლუარსაბ მეფის ხანმოკლე სიყვარულის ამბავს, გიორგი სააკაძის დის აღზევებასა და დამცირებას, მოურავის დევნას და გადახვეწას ირანში და ბოლოს ასკვნის: „მოურავს სულში უამისოდაც ადრე ჰყავდა დემონი ჩასახლებული და ახლა ამ დემონმა კიდევ შვიდი დემონი მიიერთა. ეფრო უბოროტესნი“.

არაჭელ თავრიზელის მიხედვით, სულში ჩასახლებულმა დემო-

ნებმა მოურავი სამშობლოზე გამოალაშქრეს ყიზილბაშთა დროშებქვეშ. იგივეს ამტკიცებენ ჟან შარდენი, ბართოლომეო ფერო და ზოგიერთი ქართული წყაროც (ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი). მაგრამ ლუარსაბის სიკვდილს ისინი არ უკავშირებენ დიდი მოურავის სახელს. სომეხი ისტორიკოსი და ფრანგი მოგზაური, ეტყობა, ეყრდნობიან ერთსა და იმავე წყაროს თუ ზეპირ გადმოცემას და გვაუწყებენ, რომ ლუარსაბის დაღუპვა გამოიწვია რუსეთის ხელმწიფის შუამდგომლობამ. შაჰ-აბასს არც ლუარსაბის განთავისუფლება სურდა და არც უარის თქმა ჩრდილოეთის დიდი ხელმწიფისათვის. ამიტომაც შაჰის ბრძანებით ლუარსაბი სიცოცხლეს გამოასალმეს და რუსეთის ელჩს მოუბოდიშეს, ქართლის მეფე შემთხვევით რომ არ დაღუპულიყო. თქვენი მბრძანებლის სურვილს უყოყმანოდ შევასრულებდითო.

ამგვარად, არაქელ თავრიზელი და ჟან შარდენი მოურავს არ ადანაშაულებენ ლუარსაბის სიკვდილში, მაგრამ არსებობს სხვა წყაროები, სადაც ეს ბრალდება ხაზგასმით არის აღნიშნული.

ანტონ კათალიკოსი გვარწმუნებს, რომ ირანში მყოფი გიორგი სააკაძე „არა დასცხრებოდა შაჰ-აბასის მიმართ შესმენითა ლუარსაბისათა და ყოვლითურთ მეცადინობდა მოკვლასა მისსა“. ერთხელაც უთქვამს შაჰისათვის, ხედავ, კახელებმა იმერეთიდან გაღმა იყვანეს თეიმურაზი და შენი ნების საწინააღმდეგოდ კახეთში ისევ მეფობსო. ლუარსაბს თუ არ მოკლავ, შესაძლოა ზღვიდან მოადგნენ და „მოიპარონ ადვილად ლუარსაბ ციხით“.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „მოურავი ყაენისა კარგი ყმა შეიქნა და ყაენს ესრე მოახსენა: მაგდენს პატივს რომ მეფე ლუარსაბს ზდებო, მეფეს ბაგრატს აღარვინ მოუდგებისო, ამისიცე იმედი აქვთო. ხელმწიფემ მტრის სიტყვა დაიჯერა. თავისის ყმებით ლუარსაბ მეფე ასტრაბათს გაგზავნეს და ერთი წელიწადი გამოიარა, კახელებმან ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანეს. ისახან გამოაგდეს. კიდევ მოურავს ყაენისათვის მოეხსენებინა: რადგან კახთ ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანესო, ქართველნიც (ე. ი. ქართლელნი) ეცდებიანო, რომ რუსები მოიყენონო და ხომალდი გამოუძახონო და მეფე ლუარსაბ ზღვით წაიყვანონო. ამ სიტყვით ყმანი მოაშორვეს, დაუფანტეს და ბატონი ლუარსაბ გულაბის ციხეში ტყვეთ გაგზავნეს. ყაენი ისპაანს მივიდა და მეფის ბაგრატის ჩაფარი მოვიდა — იმერელთ ზემო ქართლი დაარბივესო და ჩვენც გვინდა იმერეთი

დავარბიეოთო, ხელმწიფის ბრძანება რა იქნებისო. ეს ანბავი უაუნს მოახსენეს. მოურავმან დრო დაიცადა და უაუნს ასრე მოახსენა: სიდამძიმინ მეფე ლუარსაბ ცოცხალიაო, საქართველო არ დაწყნარდებისო. კაცი გაუძახეს, მეფე ლუარსაბ ციხეში დაარჩვეს".

ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობს ემთხვევა პიეტრო დელა ვალეს ცნობა, დამოწმებული რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებაში („ინფორმაცია საქართველოს შესახებ"). იტალიელი მოგზაური აღნიშნავს, რომ „გამოჩენილი და ძლიერი ქართველი მოურავი", თავისი დის შეურაცხყოფის გამო, მტრად გადაეკიდა ქართლის მეფეს. დელა ვალეს სიტყვით, შაჰს ჩაგონებული ჰქონდა მოურავისაგან, რომ ლუარსაბის ქვეყანა არ იქნებოდა მის მფლობელობაში წყნარად და მოსვენებულად, სანამ თვითონ ლუარსაბი ცოცხალი იყო.

როგორც ვხედავთ, ორივე ავტორი თითქმის ერთნაირად გადმოგვცემს იმ სიტყვებს, რომლებიც მოუხსენებია შაჰისათვის საქართველოდან ლტოლვილ მოურავს: სანამ ლუარსაბი, ქრისტიანი მეფე ქართლისა, ცოცხალია, ქვეყანა არ მოისვენებს და გამაჰმადიანებულ ბაგრატ მეფეს არავინ დაემორჩილებაო.

ფარსადან გორგიჯანიძისა და პიეტრო დელა ვალეს ცნობები, ანტონ კათალიკოსის მოწმობასთან ერთად, ეტყობა, შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს, ვინაიდან მათ მხარს უჭერს მოვლენათა ლოგიკაც.

ლუარსაბ მეფემ პირადი შეურაცხყოფა მიაყენა გიორგი სააკაძეს. მაგრამ შეურაცხყოფას ვინღა ჩივის, სასიკვდილოდაც განწირა იგი, რათა აეცდინა შესაძლებელი შურისძიება. ერთი დანაშაული მეორეთი დაამძიმა. მეფის ვნებათა ცვალებადობამ საფრთხეში ჩააგდო მოურავის სიცოცხლე და სამშობლოს ერთგულ მსახურს დაუკარგა სამშობლო. ოჯახის სიწმინდე შეუბილწეს, სახლ-კარი დაუნიავეს და გარეული ნადირივით დაუწყეს დევნა. ის კი უდანაშაულო და უცოდველი იყო ქვეყნისა და მეფის წინაშე. სავსებით ბუნებრივი იქნებოდა მოურავის სულში გაჩენილი შურისგების წყურვილი. ვინ გაამტყუნებს და ვინ დასძრახავს, ვინ მოსთხოვს ადამიანს, იმაზე მეტი იტვირთოს, ვიდრე მისი მხრები გაუძლებენ და გული აიტანს? გიორგი სააკაძე, მიუხედავად მთელი თავისი სიდიადისა და გმირთაგმირობისა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ჩვეულებრივად სტკიოდა გული, როდესაც უსამართლოდ ეპყრობოდნენ. არ

ძალუძდა შეეყვარებინა მტრად გადაქცეული მოყვარე, ეკურთხებინა მწყევარი თვისი, ბოროტის წილ კეთილი მიეგო მოძულეთათვის და ლოცვანი აღევლინა თავის მძლევართა და მდევნელთა საკეთილდღეოდ. ქრისტიანული სათნოებით არც მოურავის ოპონენტები გამოირჩეოდნენ, გინდ ლუარსაბი და გინდაც თეიმურაზი. უხერხულია, რომ მაინცდამაინც გიორგი სააკაძეს ვუკიჟინოთ ქრისტიანულ მცნებათა დავიწყება.

...არანაკლებ სამართლიანი ჩანს თეიმურაზის მეორე ბრალდებაც.

თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა მოგვითხრობს, რომ მარტყოფის აჯანყების შემდეგ მოურავმა „დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრეტენზია“ გამოაცხადა და თითქოს ფულიც მოაჭრევინა თავის სახელზე ასეთი წარწერით: „მონა სიწმინდის მეფისა მოურავ-შაჰი“. ოსმალეთის ხონთქარი მიიჩნევდა გიორგი სააკაძეს ქართლის მპყრობელად და თეიმურაზს — მხოლოდ კახეთის მეფედ (ხონთქრის მიერ ქურთი ფეოდალებისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია: „ზაგემის მმართველი თეიმურაზ-ხანი, ქართლის მმართველი მოურავ-ხანი“).

ისქანდერ მუნში წერს, რომ „შფოთის ამტეხ მოურავს უნდოდა ქართლში მმართველი და მბრძანებელი ყოფილიყო. ქართლის დიდგვაროვან თავადებს სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა“.

თეიმურაზ მეფეს მოურავი ქართლს ეცილებოდაო, ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე.

გიორგი სააკაძეს, ალბათ, ამხნევებდა ხალხის სიყვარული. აჯნიკიფორე ირბახიც აღნიშნავს (ვატიკანში, იტალიურ ენაზე ჩაწერილი რელაციის თანახმად), რომ ძლევამოსილი მარტყოფის აჯანყების შემდეგ ხალხს მოურავის მეფედ გამოცხადება სურდაო, მაგრამ თვით მან არ ინებაო. რასაკვირველია, არ ინებებდა, ვინაიდან მშვენივრად იცოდა, რომ ქართველი ფეოდალები სიზმარშიც ვერ მოითმენდნენ ბაგრატიონთა ტახტზე სააკაძის ასვლას. მეორეს მხრივ, ეგებ ის აიმედებდა, რომ იმავე ფეოდალებს ქართლის ტახტის უზურპატორად მიაჩნდათ თეიმურაზი, კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, და დღეს თუ ხვალ ზურგს შეაქცევდნენ. ასეც მოხდა. მოურავმა, ზურაბ არაგვის ერისთავის მხარდაჭერით, თავისი პროტეჟე — ქაიხოსრო მუხრან-ბატონი (ქართლის ბაგრატიონთა

გვარისა) დასვა „გამგედ ქართლისად“. მაგრამ მოურავი და მოუსვენარი არაგვის ერისთავიც ვეღარ მორიგდნენ ერთმანეთში. ზურაბმა ისევ თეიმურაზი ამჯობინა და ამას მოჰყვა საბედისწერო ბაზალეთის ომი, რომელმაც წერტილი დაუსვა გიორგი სააკაძის მოღვაწეობას საქართველოში.

გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ასეთია ისტორიული სინამდვილე და ვერსად გავექცევით მეორე მოურავს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაორებული სახე გიორგი სააკაძისა ორ, სხვადასხვა პიროვნებად დაგვიხატა პიეტრო დელა ვალემ. 1620 წლის 20 სექტემბერს მან გაიცნო ისპაანის კარმელიტთა ეკლესიაში წირვის მოსასმენად მოსული „სინიორ მეჰრაბ“ ანუ ქართულად: „ბატონი მეჰრაბ“ — დარბაისელი კაცი, უკვე ჭარმაგი. იტალიელი მოგზაურის სიტყვით, იგი ახალგაზრდობაში იმყოფებოდა სიმონ მეფის სამსახურში, შემდეგ კონსტანტინოპოლის ტყვეობაშიც ახლდა პატრონს და სიკვდილამდე უვლიდა. უფრო მოწიფულ ასაკში კი ემსახურებოდა ლუარსაბ მეფეს, სიმონის შვილიშვილსა და მემკვიდრეს.

პიეტრო დელა ვალეს ზემოხსენებულ ცნობას პირველად მ. თაბარაშვილმა მიაქცია ყურადღება და ორიოდე სიტყვით დაიმოწმა თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. შემდგომში, ანტონ ფურცელაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ პიეტრო დელა ვალეს მიერ მოხსენიებული „ბატონი მეჰრაბ“ უნდა იყოს გიორგი სააკაძე და ისიც აღნიშნა, რომ უცხოელი ავტორები დიდ მოურავს ეძახდნენ ხან „მორჯოს“, ხან „მურადს“, და სხვ. (ანტონ ფურცელაძის ვარაუდს იზიარებენ პროფ. გივი ჯამბურია და მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია).

ჩანს, თანმხლები ქართველები გიორგი სააკაძეს მიმართავდნენ, როგორც „ბატონ მოურავს“. იტალიელმა მოგზაურმა ზუსტად იარგმნა პირველი სიტყვა (ბატონი — სინიორ), მაგრამ „მოურავი“, ალბათ, საკუთარ სახელად ჩათვალა და ნაცნობ ქართულ სახელს მიამსგავსა. სხვათა შორის, პიეტრო დელა ვალე გამონაკლისი არ გახლავთ. ევროპულ წყაროებში გიორგი სააკაძეს ასახელებენ „მოურავის“ დამახინჯებული ფორმებით: მორად (ინგლისელი თომას ჰერბერტი), მაურო (გერმანელი ადამ ოლეარიუსი), მორაო (იტალიელი ბართოლომეო ფერო), მეჰრუ (ფრანგი ჟან შარდენი), მევრაბ (ფრანგი ისტორიკოსი კლოდ მალენგრი და გერმანელი დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი). განსაკუთრებით შთამბეჭდავია ორი

უკანასკნელი ფორმა, რომელიც თითქმის ზუსტად ემთხვევა დელა ვალეს თხზულებაში დამოწმებულ სახელს (მეჰრაბ).

პიეტრო დელა ვალე შენიშნავს, რომ ირანში დატყვევებული ლუარსაბის ყველა სამფლობელო შაჰის საბრძანებელი გამხდარა და ამ მიწებს განაგებს არა მეფე, არამედ ხანი, ხელქვეითი შაჰისა და მისი ნების აღმსრულებელი, სახელდობრ — ბიძაშვილი ლუარსაბისა, მაჰმადიანის შვილი და თვითონაც გამაჰმადიანებული (იგულისხმება სიმონ-ხანი, ძე ბაგრატისა, რომელიც 1619 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, გახდა ქართლის ვალი, ე. ი. მოადგილე შაჰისა).

„ბატონი მეჰრაბ“ რომ ნამდვილად გიორგი სააკაძეა, ამას ადასტურებს თვით პიეტრო დელა ვალეს სიტყვებიც: თუმცა იგი ჯიუტად და მტკიცედ დგას ქრისტიანულ რჯულზე, შაჰ-აბასი მაინც კარგად ეპყრობა მას და წყალობას არ აკლებს, ამჟამად „ბატონ მეჰრაბს“ ემორჩილება ყველა ჯარი თბილისსა და გორში, რომელიც მისი მშობელი მხარე არისო. თუ გავიხსენებთ ისქანდერ მუნშის ცნობას, რომ 1619 წელს შაჰ-აბასმა დანიშნა ქართველი მოურავბეგი („ირანის ერთგულ და სანდო ადამიანად მიჩნეული“) სიმონხანის „ვექილად და ხელმძღვანელად“, ეჭვიც აღარ უნდა შეგვეპაროს „ბატონი მეჰრაბისა“ და გიორგი სააკაძის იგივეობაში. ქართული წყაროც ეთანხმება იტალიელი მოგზაურისა და სპარსელი ისტორიკოსის ინფორმაციას: „ხოლო იყო მოურავი მაშინ ყაენისაგან დიდად პატივცემულ და მორჩილებდენ სულად ყიზილბაშნი და გვერდს ახლდენ მრავალნი“.

პიეტრო დელა ვალეს წიგნში „მოგზაურობანი“ გარკვეული ადგილი უჭირავს „ბატონი მეჰრაბის“ მიერ მიწოდებულ მასალას. აქ განხილულია საქართველოს სამეფო-სამთავროების გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური მდგომარეობა. ზოგად სურათსა და ისტორიულ ექსკურსებს მოსდევს XVII საუკუნის ათიან წლებში მომხდარი ამბები... განსაკუთრებით შემზარავია ერთი ცნობა, რომელიც მოუსმენია იტალიელ მოგზაურს გიორგი სააკაძისაგან: თეიმურაზის შვილები („საბრალო ბიჭუნები“) თურმე ამბობდნენ, მამაჩვენს ცოდვა თუ მიუძღვის დიდებული შაჰის წინაშე, იმას მოჰკითხონ, ჩვენ რა დავაშავეთო. მაგრამ მათს ვედრებას ყური არ ათხოვეს და ულმობელი განაჩენი აღსრულებულ იქნა (შაჰ-აბასი ჯავრს მძევლებზე იყრიდა ხოლმე. გაივლის ხუთიოდე წელიწადი და

მარტყოფის აჯანყების პასუხად პაატას მოკვეთილ თავს გამოუგზავნიან ისპაანიდან დიდ მოურავს).

თვით გიორგი სააკაძის შესახებ ერთი სიტყვაც არა გვხვდება „ბატონი მეჰრაბის“ ნაამბობში. ჩანს, არც კარგი უთქვამს საკუთარ თავზე მოურავს, არც ავი. პიეტრო დელა ვალე თავის თხზულებაში მოგვითხრობს ლუარსაბის პატიმრობისა და დაღუპვის ამბავსაც, მაგრამ არაფერს ამბობს მოურავზე. ხოლო რომის პაპისადმი წარდგენილ მოხსენებაში („ინფორმაცია საქართველოს შესახებ“) უკვე ნახსენებია ქართველი მოურავი („მოურა“) და მითითებულია მისი როლი ლუარსაბის ტრაგიკულ აღსასრულში.

დამატებითი ცნობები, რითაც განსხვავდება „ინფორმაცია“ დელა ვალეს წიგნში („მოგზაურობანი“) გაფანტული მასალისაგან, უნდა ეკუთვნოდეს ხუცეს გიორგის, რომელიც დატყვევებული ქეთევან დედოფლის ამალაში იმყოფებოდა (პიეტრო აღნიშნავს, რომ ხუცესმა ბევრი რამ უამბო საქართველოსა და ქართველებზე, მაგრამ მისი ნაამბობი არ არის დამოწმებული დელა ვალეს წიგნის ფურცლებზე).

იტალიელი მოგზაური უკვე სამშობლოში ბრუნდებოდა ინდოეთიდან, როდესაც ქალაქ ალეპოში შეიტყო მარტყოფის აჯანყების ამბავი. პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, თეიმურაზს მისი სამეფოს დაპატრონებისათვის გზა გაუხსნა „თვით ქართველმა მოურავმა, რომელიც იყო მიზეზი ამდენი უბედურებისა“. მოურავმა მოინანია თავისი შეცდომები, სათავეში ჩაუდგა აჯანყებას და ქართველი ხალხი ყიზილბაშთა უღლიდან გამოიხსნაო.

ალბათ, არც იცოდა იტალიელმა მოგზაურმა, რომ ისპაანში გაცნობილი „ბატონი მეჰრაბი“ და წარსულ ცოდვათაგან აწ განწმენდილი „მოურა“ ერთი და იგივე პიროვნება იყო — დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

P. S. ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნში „გიორგი სააკაძის პიროვნება“ (1983) საერთოდ არ არის აღძრული საკითხი, მიუძღოდა თუ არა რაიმე როლი დიდ მოურავს ლუარსაბ მეფის დაღუპვაში.

ხოლო აკაკი ბაქრაძე თავის რეცენზიაში „მკვახე შეძახილი“ — გურამ ასათიანის წიგნზე „სათავეებთან“ (კრიტიკა, 1983, № 4) აღნიშნავს შემდეგს: „დღეს, ცხადია, ძნელია ეჭვმიუტანლად დაამტკიცო ან უარყო, ლუარსაბ მეორე მართლა გიორგი სააკაძის ინტრიგის წყალობით დაიღუპა თუ არა...“

ეჭვმიუტანელი მტკიცებანი ისტორიულ მეცნიერებას მათემატიკისაგან განსხვავებით, მართლაც უჭირს. მაგრამ ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ავიკრძალოთ ჰეშმარიტების ძიება და გარკვევა.

არაკიცა და მართალიც

ზაქარია ჭანაქერცი, XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, უფრო ცნობილი არის ზაქარია სარკავაგის სახელით („სარკავაგი" სომხურად დიაკვანს ნიშნავს). მის თხზულებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ცნობებს საქართველოზე. ისტორიკოსი მოგვითხრობს მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომის ამბავს, აგრეთვე XVII ს. საქართველოს ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. მისი ინფორმაცია, ორიგინალური დეტალებით ავსებს ქართული წყაროების თხრობას. ზაქარიას თხზულების ფურცლებზე გვხვდებიან გიორგი სააკაძე და თეიმურაზ პირველი, აღათანგ ხერხეულიძე და დაუდ-ხან უნდილაძე, როსტომ მეფე და გიორგი XI, ბაინდურ თუმანიშვილი და შიოშ ბარათაშვილი.

მისი ინტერესი საქართველოსადმი, შესაძლოა, იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ზაქარიას შორეული წინაპარი, როგორც თვითონ გვაუწყებს, ქართველი ყოფილა — სახელად გაბო. XIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველ მეფეს (ულუ-დავითს) ისიც გაუგზავნია სომხეთში, სხვა მძევლებთან ერთად, რათა ოვანავანქის მონასტრიდან წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ნეშტი ჩამოესვენებინა საქართველოში სნეული ბატონიშვილის გადასარჩენად...

ზაქარია სარკავაგი დაბადებულა 1627 წელს, სოფელ ჭანაქერში, ერევნის მახლობლად. ცამეტი წლისა მიუბარებიათ ოვანავანქის მონასტერში. თავდაპირველად მორჩილის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ დიაკვანი გახდა. ფიზიკურ ნაკლს (კოჭლი ყოფილა) ხელი შეუშლია მისთვის სასულიერო კარიერაში და დიაკვნად დარჩენილა სიკვდილამდე. მთელი თავისი ნიჭი და ცოდნა ზაქარიამ გამოავლინა საისტორიო მწერლობაში. 1699 წელს დაუსრულებია „ქრონიკად" წოდებული თავისი თხზულება და... სიცოცხლეც.

ზაქარია სარკავაგის „ქრონიკა“ გამოირჩევა თავისებური სტრუქტურით. თანამიმდევრული, ქრონოლოგიურად დაწყობილი თხრობის ნაცვლად მოცემულია ჰრელ-ჰრელი ამბები ირანის შაჰებსა და ყიზილბაშ ხანებზე, თანასოფლელთა ყოფა-ცხოვრებაც და ათასგვარი სასწაულებიც. ლეგენდარულ წმინდანებთან ერთად მოქმედებენ ზღაპრული დევები და ვეშაპები.

„ქრონიკის“ გამომცემელთა აზრით, ზაქარია სარკავაგი ვერ გაუტოლდება გამოჩენილ სომეხ მემატიანეებს, რომელთაც ახასიათებდათ დიდი განსწავლულობა, კრიტიკული გამოყენება წყაროებისა, მხოლოდ სარწმუნო ფაქტების მოხმობა და უნარი მათი გადმოცემისა. მაგრამ პარადოქსიც ისაა, რომ სწორედ ჩამოთვლილ თვისებათა ნაკლულობა მიაჩნიათ ზაქარიას ერთგვარ ღირსებად. „ქრონიკა“ თავისი ფორმით, ენითა და გადმოცემული მასალებისადმი მიდგომით უფრო ლიტერატურულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოსო, ვიდრე საისტორიო წყაროდ და ასკვნიან, რომ სახელდობრ ამის წყალობით ზაქარია სარკავაგის წიგნმა ხორცი შეასხა თავის ეპოქას. ავტორი ღრმად ჩასწვდა მშრომელი ხალხის სულსა და გულს, მისმა კალამმა სამზეოზე გამოიტანა ცხოვრების ის კუნჭულები, ჩვეულებრივ საისტორიო თხზულებათა ფურცლებზე ჩრდილში რომ რჩება ხოლმე. ზაქარიას შესანიშნავად აქვს ასახული უბრალო ადამიანების, უპირატესად — გლეხთა დუხჭირი არსებობა. ამიტომაც უწოდებენ მას ისტორიკოს-დემოკრატს („ქრონიკა“ თარგმნილია ფრანგულსა და რუსულ ენებზე).

ზაქარია სარკავაგი ამბობს: შაჰ-აბასის მოღვაწეობა სრულად აღწერა არაქელ თავრიზელმა და ვისაც სურს ჰეშმარიტება შეიტყოს, დაე, მისი თხზულება წაიკითხოსო. მე კი იმას ვწერ, რაც გამიგონიაო. როცა დამძრახავთ ანდა შემაქებთ, იცოდეთ, ძრახვაცა და ქებაც იმათ ეკუთვნის, ვინც გადმომცა ესა თუ ის ამბავიო. ზაქარიას თხზულების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ხალხში გავრცელებული მითქმა-მოთქმა. ავტორი არც ცდილობს იმის გარკვევას, თუ რა არის სარწმუნო და რა არის ჭორი. „მე გიამბეთ არაკიცა და მართალიც — ყველაფერი, რაც გამიგონია“, — გულახდილად აუწყებს იგი მკითხველს.

ზაქარია სარკავაგის მიხედვით, ირანის პირველი ყულარაღასისა და ფარსის ბეგლარბეგის ალავერდი-ხან უნდილაძის აღზევება სეფიანთა სამეფო კარზე ამდაგვარად მომხდარა:

თურმე შაჰ-აბასს ჩვეულებად ჰქონია, გადაცმულს ევლო თავის საბრძანებელში. ჩაიცვამდა ხოლმე ჩარჩის სამოსელს და სოფელ-სოფელ დადიოდა. ეცნობოდა ღარიბსაც და შეძლებულსაც; კითხულობდა ქვეყნის ამბავს, ვის რა უჭირდა და ვის რა ულხინდა. ერთხელ, გულფეიგანის მიდამოებში ყოფნისას, კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო და თავით ფეხამდე დაასველა. უკვე ბინდდებოდა, როცესაც მიადგა სოფელს და ერთ ეზოში შეაშენა ცხენი. თვალი მოჰკრა აივნის სიღრმეში მჯდომ მასპინძელს და სთხოვა: შაჰის სიყვარული და პატივისცემა თუ გაქვს, თავშესაფარი მომეცი, გათოშილი ვარო. მასპინძელმა მიუგო: რადგან შაჰის სახელითა მთხოვ, მობრძანდიო. შეიპატიჟა თავის სახლში და მსახურს უბრძანა, ცხენი დააბინავეო. გააძრო სტუმარს სველი სამოსელი, სიასამურის ბეწვში მოახურა, მერე ცეცხლი გააჩაღა ბუხარში, მერე მწვადიც გაუმზადა და ღვინო მიართვა. დასხდნენ და ტკბილად ისაუბრეს შუაღამემდე. მასპინძელი სულ შაჰის ქებაში იყო. ბოლოს, სუფთა ქვეშაგები გაუშალა სტუმარს და ძილი ნებისა უსურვა. მეორე დღეს, ჩარჩად გადაცმულმა შაჰ-აბასმა საფასური შეაძლია მასპინძელს. მაგრამ მან იუარა, ფულს როგორ აიღებ იმ სტუმრისაგან, რომელიც ღმერთმა გამომიგზავნა და შაჰის სახელით მოვიდაო. რაღა გაეწყობოდა და შაჰმა მსახურს ჰკითხა თავისი კეთილი მასპინძლის სახელი. ალავერდი ჰქვიაო, მიუგო მსახურმა... გამოხდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს შაჰ-აბასმა შიკრიკები გაგზავნა გულფეიგანში და ხსენებული ალავერდი დაიბარა სამეფო კარზე. ალავერდი უსაზღვროდ გაოცდა, როდესაც შაჰის ბრძანება აუწყეს. დაბრეული კითხულობდა, ხელმწიფე საიდან მიცნობსო. შიკრიკებმა, მიღებული ინსტრუქციის თანახმად, მიუგეს: სიზმარში გნახა და იმიტომ გიხმობსო. ალავერდი მდიდრულად გამოეწყო, შეჯდა ცხენზე და გაუდგა გზას შაჰის შიკრიკებთან ერთად. სანამ ისპაანს ჩაალწევდნენ, ათასი სიკვდილი გამოიარა. დარწმუნებული იყო, ჩავალ და თავსაც მომკვეთენო. დანაშაულიც ახსოვდა თავისი — წინა დღეებში ვიღაც მეომარს უტიფარი საქციელი ჩაუდენია სოფელში და ალავერდის მაგრად მიუბეგვავს იგი. ნაცემსაც აუღია და შაჰთან უჩივლია. ჰოდა, ალავერდი ელოდა გარდუვალ სასჯელს. თავისი მეომრის გალახვას ხელმწიფე როგორ შემარჩენსო, ფიქრობდა დანაღვლიანებული და სასოწარკვეთილი. მაშინღა დამშვიდდა როდესაც შაჰ-აბასის წინაშე წარადგინეს. შეხედა და მყისვე იცნო თავისი სტუმარი,

ჩარჩი რომ ევონა. გაესაუბრნენ ერთმანეთს და მაშინდელი მასპინძლობით მოხიბლულმა შაჰმა ალავერდის უბოძა შირაზის ხანობა.

აი, ასეთ თქმულებას გადმოგვცემს ზაქარია სარკავაგი და იქვე დასძენს, დედაჩემისგან მაქვს გაგონილიო (სინამდვილეში, ალავერდი-ხანი ჯერ კიდევ შაჰ-თამაზის დროს იყო დაწინაურებული სეფიანთა სამეფო კარზე და გარკვეული როლი ითამაშა თვით შაჰ-აბასის ტახტზე აყვანაში).

რა თქმა უნდა, ალავერდი-ხანის აღზევების ზაქარიასეული ვერსია სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს მთელ თხზულებას, სადაც მრავლად მოიპოვება ცნობები, რომლებიც ემთხვევა არაქელ თავრიზელისა თუ ადამ ოლეარიუსის, ფარსადან გორგიჯანიძისა თუ ვახუშტი ბატონიშვილის და სხვა წყაროთა სანდო ინფორმაციას (მაგალითად, მარტყოფ-მარაბდის ამბები; შაჰ-აბასის ბრძანებით, მისივე პირმშოს მკვლელობა; ირან-ოსმალეთის ომის ეპიზოდები; შაჰ-სეფის რეპრესიები; თეიმურაზ პირველისა და როსტომ მეფის უკანასკნელი ომი; ორი ქართველი ფეოდალის საჯარო დუელი, ანუ „სამართალი“ და, ყველაზე მეტად, თვით ის მოვლენები, სომხეთის ტერიტორიაზე რომ მიმდინარეობდა).

მაშასადამე, ზაქარია სარკავაგის წიგნის კითხვისას საგანგებოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ავტორი გვიამბობს ეჭვმიუტანელ სიმართლესაც, პირწმინდა არაკსაც და გვიამბობს იმასაც, რაც მოითხოვს დაზუსტებას, არაკია თუ მართალი.

ზაქარია სარკავაგის თხზულებიდან ხშირად იმოწმებენ ხოლმე ერთ ფრაგმენტს („ამბოხება დაუდ-ხანისა“), სადაც მოთხრობილია შემდეგი ისტორია:

როდესაც შაჰ-აბასმა აიღო განჯა, გამგებლად დანიშნა იქ დაუდ-ხანი (ე. ი. დავით უნდილაძე), კაცი ამაყი და მუხანათი, ქადნიერი და მედიდური, ქედს რომ არავის უხრიდა. შემდგომში, შაჰმა მიაშველა იგი საქართველოს დასაპყრობად წარგზავნილ ყარჩიღა-ხანს და ასე დაარიგა: „ყურად იღე, რასაც ყარჩიღა-ხანი გეტყვის და უსიტყვოდ დაემორჩილე!“ მაგრამ დაუდ-ხანი არ ეახლა ყარჩიღა-ხანს და ისიც არ იხმობდა. ამგვარად ეჭიშპებოდნენ ისინი ერთმეორეს. ამასობაში დაუდ-ხანმა მოუხშირა სტუმრობას მოურავთან (გიორგი სააკაძე) და მისი გულითადი თანამეინახე გახდა. დაუდ-ხანი უდიერად იხსენიებდა ყარჩიღა-ხანს და ლანძღვას არ აკლებდა. „ხელი თუ მიმიწვდა, ხმლით განგმირავს არ ვაკმარებ, სულ ნაკუწ-

ნაკუწ ავჩეხავ", — გამუდმებით ამბობდა იგი. როდესაც მოურავმა შემთხვევით ხელთ იგდო შაჰის წერილი ყარჩიღა-ხანისადმი, სასწრაფოდ იხმო დაუდ-ხანი და აჩვენა შაჰის ბრძანება (როგორც ცნობილია, შაჰ-აბასი ყარჩიღა-ხანს ავალებდა გიორგი სააკაძის მოკვლას). მოითათბირეს და მოურავმა ზუსტად აღასრულა დაუდ-ხანის რჩევა (იგულისხმება მარტყოფის აჯანყება). ხოლო თვით დაუდ-ხანი განჯას გაეშურა. მერე შაჰმა მოურავის წინააღმდეგ წარგზავნა ყორჩიბაში და შიკრიკის პირით შეუთვალა დაუდ-ხანს: ყორჩიბაშის ლაშქარს შეუერთდიო. მაგრამ დაუდ-ხანმა ყური არ ათხოვა შაჰის ბრძანებას და განჯიდან ფეხი არ მოუცვლია; მორიგზეზა, დაჭრილი ვარ და არ ძალმიძს საომრად წასვლაო. ომი რომ დამთავრდა და მოურავი ოსმალეთში გაიქცა, ამის გამგონე დაუდ-ხანი მიხვდა, რომ შაჰი არ აპატიებდა დანაშაულს და თვითონაც გაქცევით უშველა თავს. ჩავიდა ოსმალეთში, სადაც შეხვდა მოურავს, იქვე დარჩა და ცოტა ხნის შემდეგ დაიღუპა.

დამოწმებულ ფრაგმენტში ადვილი შესამჩნევია ზოგიერთი უზუსტობა. ასე მაგალითად, მცდარია ცნობა განჯის გამგებლად დაუდ-ხანის დანიშვნაზე, როდესაც შაჰ-აბასმა აიღო განჯა (ე. ი. 1606 წელს). სინამდვილეში, როგორც გვაუწყებს ისქანდერ მუნში, განჯის ბეგლარბეგად მაშინ დანიშნულ იქნა მოჰამედ-ხან ზიად ოღლი, რომელიც დაიღუპა 1615 წელს თეიმურაზ მეფესთან ბრძოლაში (არაგვის პირას). შემდგომში, და კერძოდ — მარტყოფის აჯანყების დროს (1625 წ.), ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი.

ასევე აშკარა გაუგებრობას წარმოადგენს ცნობის ბოლო მონაკვეთი, სადაც აღნიშნულია დაუდ-ხანის შეხვედრა მოურავთან ოსმალეთში. როგორც ცნობილია, დაუდ-ხანი ოსმალეთში ჩავიდა 1633 წელს, ხოლო გიორგი სააკაძე ოთხი წლით ადრე დაიღუპა. ისინი ვერანაირად ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ოსმალეთში.

თვალში საცემ უზუსტობათა გარდა, მთელი შინაარსიც დაეჭვებას იწვევს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი საბუთი არ არსებობს დაუდ-ხანის ყოფნაზე საქართველოში მარტყოფის აჯანყების წინარე ხანებში. ისქანდერ მუნშის სიტყვით, საქართველოსაკენ დაძრულ ყარჩიღა-ხანსა და გიორგი სააკაძეს, შაჰ-აბასის ბრძანებით, გზაში შეუერთდნენ შირვანისა და ყარაბაღის (ე. ი. განჯის) ამირები თავისი ჯარით, ბეგლარბეგთა წინამძღო-

ლობით. მაგრამ დაუდ-ხანი არსადაა ნახსენები და ვერც განჯის ბეგლარბეგთან გავაიგივებთ.

ამგვარად, როდესაც დანამდვილებით ვიცით, რომ 1625 წელს საქართველოში ჩამოსული ბეგლარბეგი განჯისა არის მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი, ხოლო თვით დაუდ-ხანის ყოფნა საქართველოში იმავე 1625 წელს არაა დადასტურებული, ძნელია ვერწმუნოთ ზაქარია სარკავაგს.

არსებობს უტყუარი ცნობა ისქანდერ მუნშისა იმაზე, რომ დაუდ-ხანი დანიშნულ იქნა განჯის ბეგლარბეგად 1626 წელს. იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა თეიმურაზ მეფესთან, რომელიც საბოლოოდ შეარიგა სეფიანთა სამეფო კარს და სწორედ გაწეული სამსახურის საზღაურად უწყალობეს განჯის ბეგლარბეგობა უნდილაძეს.

თუნდაც დავუშვათ, რომ დაუდ-ხანი მართლაც იმყოფებოდა საქართველოში მარტყოფის აჯანყებამდე, ექიშპებოდა ყარჩიღა-ხანს და მეგობრობდა გიორგი სააკაძეს, საკითხავია, როგორ გამოეპარებოდა ყოველივე ეს უკიდურესად ეჭვიანსა და მიუნდობელ შაჰ-აბასს. ვთქვათ, ვერ იმარჯვეს შაჰის მსტოვრებმა და გამოეპარათ, მაგრამ აშკარა ურჩობა (მარაბდის ომიდან თავის დაძერენა) როგორღა გამოეპარებოდა. რატომ დახუჭავდა თვალს მბრძანებელი თავისი ყმის ესოდენ მიუტევებელ დანაშაულზე და ნაცვლად სასჯელისა -- მაღალი თანამდებობის პატივს მიანიჭებდა?

თუმცა ზაქარია სარკავაგი ამას არც ამტკიცებს. მის თხზულებაში გამოყვანილი დაუდ-ხანი მიხვდა, რომ შაჰ-აბასი არ აპატიებდა დანაშაულს და მარაბდის ომის შემდეგ დაუყოვნებლივ გაიქცა ოსმალეთში. დაუდ-ხანის წარმატებითი მოლაპარაკება თეიმურაზთან და შემდგომი დაწინაურება, ბუნებრივია, არაა ასახული სომეხი ისტორიკოსის წიგნში. ასე რომ, ერთი შეხედვით, მისი ინფორმაცია თითქოსდა არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს. მაგრამ სპარსელი ისტორიკოსის ეჭვმიუტანელი ცნობების გათვალისწინებით აშკარა ხდება გადაულახავი შეუსაბამობა ზაქარიას მონათხრობსა და ისტორიულ სინამდვილეს შორის.

მართლაც, როგორ უნდა შეუთავსდეს ერთიმეორეს ზაქარია სარკავაგისა და ისქანდერ მუნშის თხზულებებში მოქმედი დაუდ-ხანი? პირველი დაუდ ხანი მხარს უჭერს მარტყოფის აჯანყებას, ეურჩება შაჰ-აბასს, არ მონაწილეობს მარაბდის ომში და შაჰის

სასჯელისაგან თავის გადასარჩენად ოსმალეთში გარბის, ხოლო მეორე დაუდ-ხანი შაჰ-აბასის დავალებით დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს თეიმურაზ მეფესთან (მარაბდის ომის შემდეგ), წარმატებით ასრულებს თავის მისიას და 1626 წელს ინიშნება განჯის ბეგლარბეგად. მისი ამბოხება სეფიანთა წინააღმდეგ და გაქცევა ოსმალეთში მიმდინარეობს 1632—1633 წლებში, უკვე შაჰ-სეფის მბრძანებლობის ხანაში, როდესაც ძმებმა უნდილაძეებმა დაკარგეს თავისი გავლენა სეფიანთა სამეფო კარზე.

ცხადია, რომ მარაბდის ომის შემდეგ ოსმალეთში გაქცეულ დაუდ-ხანი ვერ გახდებოდა განჯის ბეგლარბეგი და ვეღარ აუჯანყდებოდა შაჰ-სეფის.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზაქარია სარკავაგის მონათხრობი ეხება არა დაუდ-ხან უნდილაძეს, არამედ სრულიად სხვა პიროვნებას.

რას უნდა გამოეწვია სომეხი ისტორიკოსის შეცდომა?

მარტყოფის აჯანყებამდე, ყარჩიღა-ხანსა და გიორგი სააკაძესთან ერთად, საქართველოში მართლაც იმყოფებოდა განჯის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი. აჯანყების წინა დღეებში, გიორგი სააკაძის რჩევის თანახმად, დასახლებული პიროვნება და ფეიქარ-ხანი „ურჯულოთა სიღნაყებზე იყვნენ წასული". როდესაც ქართველთა აჯანყების ამბავი გაიგო, განჯის ბეგლარბეგმა გაქცევით უშველა თავს და ალჯაყალას ციხეში ჰპოვა თავშესაფარი.

ამასობაში გიორგი სააკაძე ყარაბაღს შეესია და განჯა დაარბია. 1625 წლის ზაფხულში საქართველოსაკენ დაიძრა ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით. მასთან იმყოფებოდნენ შირვანის, ერევნისა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგები, ე. ი. საქართველოს მეზობელი პროვინციების ბეგლარბეგები — განჯის ბეგლარბეგის გამოკლებით. სად იყო განჯის ბეგლარბეგი, რატომ არ მონაწილეობდა მარაბდის ომში? აი ვის უნდა ეხებოდეს ზაქარია სარკავაგის ცნობა: განჯის ბეგლარბეგმა ყორჩიბაშთან შეერთებაზე უარი თქვა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და განჯაში დარჩა.

ამასთან ერთად, ისქანდერ მუნში წერს, რომ განჯის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი „ქართველი მოურავის საქმესთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის" გადაყენებულ იქნა თავისი თანამდებობიდან. „დანაშაულად", ალბათ, ის იგულისხ-

მება, რომ მარტყოფის აჯანყებისთანავე განჯის ბეგლარბეგი გაიქცა საქართველოდან, ვერც ყარაბაღის პროვინციას უპატრონა და არც ყორჩიბაშის ლაშქარს შეუერთდა მარაბდის ომში. ყოველივე ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა შაჰ-აბასისათვის განჯის ბეგლარბეგის გადასაყენებლად (არც ის არის გამორიცხული, რომ მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლი მართლაც ეჭიშპებოდა ირანის სპასალარ ყარჩიღა-ხანს და მეგობრობდა გიორგი სააკაძეს).

ასე რომ, ზაქარია სარკავაგის ცნობაში მოხსენიებული განჯის ბეგლარბეგი უფრო მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლის წააგავს, ვიდრე დაუდ-ხანს. საფიქრებელია, რომ სომეხი მემატიანის თხრობაში თავისებურად შერწყმულა ორი მოვლენა, რომელთა შორის ინტერვალი მხოლოდ შეიძ წელიწადს შეადგენს: პირველი — განჯის ბეგლარბეგის დანაშაული მარტყოფის აჯანყების (1625 წ.) დროს და მისი გადაყენება თანამდებობიდან; მეორე — განჯის ბეგლარბეგ დაუდ-ხან უნდილაძის ამბოხება შაჰ-სეფის წინააღმდეგ და გაქცევა ოსმალეთში (1632—1633 წ. წ.).

ცხადია, მეორე მოვლენა უფრო გახმაურდებოდა სეფიანთა ირანის სახელმწიფოში და განჯის ყველაზე პოპულარულ ბეგლარბეგად ხალხის ცნობიერებაში, ჩანს, დაუდ-ხანი იქცა. ადვილი დასაშვებია, რომ წარმოშობით ქართველი ბეგლარბეგის სახელი დაკავშირებოდა საქართველოში 1625 წელს მომხდარ ამბებს, როცა სწორედ განჯის ბეგლარბეგს დაუმსახურებია შაჰის სასჯელი. ამიტომაც, დაუდ-ხანს, განჯის ყველაზე ცნობილ ბეგლარბეგს, მიეწერა მისი წინამორბედის ცოდვებიც.

ასე გაჩნდა ზაქარია სარკავაგის თხზულებაში მომხიბლავი ეხრობა დაუდ-ხან უნდილაძის და გიორგი სააკაძის მეგობრობის შესახებ, რასაც არც ერთი სხვა წყარო არ ადასტურებს და რაც ეწინააღმდეგება მოვლენათა ლოგიკას.

მარტყოფის აჯანყების დროს ზაქარია სარკავაგი დაბადებულიც კი არ იყო და ზემოთ მოთხრობილი ამბავი, უეჭველია, ზეპირი გადმოცემით ექნებოდა გაგონილი. აკი თვითონ გვეუბნება: მე გიამბეთ ყველაფერი, რაც გამიგონია, არაკი და მართალი თქვენ გაარჩიეთო.

რა თქმა უნდა, დავით უნდილაძის ბიოგრაფიას ერთობ დააშვენებდა ზაქარია სარკავაგის მიერ გადმოცემული ეპიზოდი, ჩვენდა სამწუხაროდ, ავტორისა თუ მისი ინფორმატორის ფანტაზიას რომ არ წარმოადგენდეს.

„პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ძვავილი“

იმ მხატვრული თუ ისტორიული ლიტერატურის კითხვისას, სადაც აღწერილია ჯვაროსანთა თავგადასავალი, უნებურად მახსენდება ხოლმე ერთი კოლორიტული სურათი კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიიდან „დავით აღმაშენებელი“. XI საუკუნის დამლევს, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, იერუსალიმს პილიგრიმად გამგზავრებულ საქართველოს დედოფლის მცველთა რაზმი თურქ-სელჩუკებს გადაეყრება და ჯონდი ერისთავი ხელშუბით განგმირავს სახელგანთქმულ მაჰმადიან ამირას. შემდეგ ვკითხულობთ: „როცა ჯონდი ერისთავმა ანტიოქიის ციხეში მიართვა ბოჰემუნდს იაგი სიანის თავი, ნორმანელმა რაინდმა გადაჰკოცნა ქრისტიანი „ბერძენი“, ნორმანული ხმალი უბოძა მას თავისი, რომელზედაც ეხატა მგლის თათი. მერმე გაულიმა უცნობ რაინდს და ეს უთხრა: „დეუს ლე ვოლტ“ (ქართულად: „ღმერთს აგრე სწადია“).

ჯონდი ერისთავი მწერლის მიერ შეთხზული პერსონაჟია და ზემოთქმული ამბავიც, რასაკვირველია, მონაგონს წარმოადგენს. მაგრამ როგორ ცოცხლად ეხმიანება და ეთანხმება მწერლის ფანტაზია ისტორიულ სინამდვილეს! მატიანეთა ფურცლებზე შემონახული ძუნწი ცნობები საქართველოსა და ჯვაროსანთა სამყაროს შორის მეგობრული ურთიერთობის შესახებ მშვენივრად არის კორელსხირებული ამ პაწია ეპიზოდში. ჯვაროსნის მიერ წარმოთქმული ფრაზა უთარგმნელადაც გასაგები იქნებოდა ქართველი რაინდისათვის. „დეუს ლე ვოლტ“ — ამ დევიზითა და საომარი ყიჟინით მოდიოდა ჯვაროსანთა უზარმაზარი ტალღა „წმიდა მიწისაკენ“.

„დიდთურქობისაგან“ ღონემიხდილი საქართველო იმედით ადევნებდა თვალს დასავლეთის მოახლოებას. ევროპიდან დაძრული ქრისტიანი მოძმენი ზედიზედ ამარცხებდნენ მაჰმადიანებს სირია-პალესტინაში და უმსუბუქებდნენ მძიმე ხვედრს მათთვის შედარებით უცნობ ქრისტიანულ ქვეყანას, რომელსაც სულ მალე შეარქმევენ ჯვაროსანთა „წინა ბურჯს“ აღმოსავლეთში.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის სწორედ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას, ამას მკაფიოდ მეტყველებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ლაკონიური ცნობა, რომელიც მრავალგზის დაუმოწმებიათ ჩვენში: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა

მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი, და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს".

ქართულსა თუ უცხოურ საისტორიო წყაროებში ჯერჯერობით არავითარი პირდაპირი საბუთი არ აღმოჩენილა ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქართველთა უშუალო მონაწილეობის შესახებ, მაგრამ თავისთავად ქართველი ხალხის ბრძოლა თურქ-სელჩუკ დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოადგენდა ჯვაროსნული მოძრაობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილსა და ცხოველმყოფელ ძალას. თუ XI საუკუნის დამლევს ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებამ მტკივნეული დარტყმა მიაყენა თურქ-სელჩუკთა იმპერიას და სული მოათქმევინა დავით აღმაშენებლის საქართველოს, შემდგომში უკვე საქართველო თამაშობდა ხოლმე ჯვაროსანთა აქტიური მოკავშირის როლს და ზოგჯერ საგრძნობ შვებასაც აძლევდა მაჰმადიანთა მიერ შევიწროებულ ჯვაროსნებს — აღმოსავლეთში „მეორე ფრონტის" რეალური არსებობით.

საქართველო ელტვოდა დასავლეთს და მთელი სულითა და გულით ეგებებოდა მის გამოჩენას აღმოსავლეთში. ამიტომაც დახვდნენ გულთბილად ქართლში „იდუმალ" ჩამოსულ ბალდუინ II-ს, იერუსალიმის მეფეს და სათხოვარი აღუსრულეს. ამიტომაც გამოეწვია დავით აღმაშენებელმა „დუელში" ჯვაროსანთა მთავარი და მრისხანე მტერი ილ-ღაზი, აიძულა დიდგორში ჩამობრძანებულიყო და თავლაფდასხმული გაუშვა, დაჭრილი და ლაშქარგაჟლეტილი. ამიტომაც გაჩნდა პათეტიკური აღწერა დიდგორის ომისა ანტიოქიის კანცლერ გოტიეს თხზულებაში. ამიტომაც ელანდებოდა ფრანგ რაინდს დე ბუას ქართველთა ურიცხვი მხედრობის მოახლოება „დედოფლის უძლიერესის" თამარის ძის („ალექსანდრეს ბადალის") წინამძღოლობით მაჰმადიანთაგან ხელახლა დაპყრობილი იერუსალიმის გასანთავისუფლებლად.

საქართველოს სამეფოს ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, როგორც დიდ წვლილს ჯვაროსანთა მოძრაობაში, ხაზგასმით აღნიშნავენ ჯვაროსნულ ლაშქრობათა ისტორიის უცხოელი სპეციალისტები: რენე გრუსე, სტივენ რენსიმენი, ანა ფონ ბრინკენი... კერძოდ, ეს უკანასკნელი წერს: „ერთმანეთს რომ შევუდაროთ ლათინთა მიერ ბერძნებისა და ქართველების შეფასება, განსხვავება გასაოცარია. დასავლეთისთვის ორივენი ქალკედონიტი ერეტიკო-

სები იყვნენ, მაგრამ ყოველი ლათინი კარგად აფასებს ქართველებს. უკვე ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროიდან გამოჩნდნენ ისინი ღვთისმოსაობის იდეალად... სრულიად აშკარად ქართველები შეესაბამებიან ქრისტიანულ რაინდულ იდეალს. ისინი არიან მებრძოლნი, მამაცნი და შეურიგებელნი მაჰმადიანთა მიმართ. მათ ჰქონდათ იგივე საბრძოლო მორალი, როგორც დასავლეთს".

XIII საუკუნის ოციანი წლებიდან „დიდი ღამე" ჩამოდგა საქართველოს ცხოვრებაში... „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა". შეხვედრა დასავლეთთან გადაიქცა აუხდენელ ოცნებად. გარს შემოგვერტყა აღმოსავლეთი და თუ XI—XII საუკუნეებში საქართველო, როგორც ტოლი ტოლს, ებრძოდა მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებს და ხშირადაც ჯაბნიდა, ახლა როლები შეიცვალა და ობლად დარჩენილი ქრისტიანული ქვეყანა ძლივძლივობით უძლებდა მრისხანე აგრესორთა შემოტევას, სასოწარკვეთილი ევედრებოდა შველას ქრისტიანულ დასავლეთსა თუ ასევე ქრისტიანულ ჩრდილოეთს და სანამ შეწევნა ელირსებოდა, თვითონაც მხნედ იგერიებდა მტერს, ჯიუტად ლამობდა თავისი მეობის, თავისი სულის შენარჩუნებას.

გურამ ასათიანი თავის წიგნში „სათაეებთან" აღნიშნავს, რომ ბევრი რამ დავკარგეთ მაშრიყელთა წყალობით და აღმოსავლეთიდან მეშკვიდრეობით მივიღეთ ე. წ. „აზიატური" ყოფისა და ხასიათის მრავალი უბადრუკი თვისება.

აღნიშნული მოსაზრება, ცხადია, სპეციალურ დაკვირვებას და უამრავი მასალის განხილვას მოითხოვს. აქ მხოლოდ იმით დავკმაყოფილდები, რომ გავიხსენებ ორიოდე საინტერესო ეპიზოდს XII ს. არაბი ავტორის უსამა იბნ მუნკიზის წიგნიდან, რომელიც ერთობ ორიგინალურ ნაწარმოებად ითვლება არაბულ მწერლობაში. ფაქტიურად, ეს გახლავთ სირიელი ამირას დღიური ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მემუარები.

მინდა შევახსენო მკითხველს, რომ ჯვაროსანთა და მაჰმადიანთა ურთიერთობა განუწყვეტელი მტრობითა და ბრძოლით როდი ხასიათდებოდა. იყო ხანგრძლივი დაზავებანი და მშვიდობიანი ცხოვრება. ჯვაროსანთა მიერ სირია-პალესტინის მიწაზე დაარსებულ სამეფო-სამთავროებში ერთიმეორის გვერდით ნორმალურ არსებობას განაგრძობდნენ მკვიდრი მაჰმადიანები და ქრისტიანი კოლონისტები. მიმდინარეობდა ვაჭრობა, სამედიცინო ცოდნა-გამოცდილე-

ბის ურთიერთგაზიარება, ზოგჯერ საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებასაც არ ერიდებოდნენ. ავადსახსენებელი ასასინები თანაბრად აწუხებდნენ მაჰმადიანებსაც და ქრისტიანებსაც.

უსამა იბნ მუნკიზი, ჩანს, დაკვირვებული კაცი ყოფილა. იგი ყურადღებას აქცევს მაჰმადიანურ სამყაროში შემოჭრილ ევროპელთა ცხოვრების წვრილმან მხარეებსაც და ბეჯითად აღნუსხავს თავისი თხზულების ფურცლებზე. ერთ ადგილას იგი ამბობს: ფრანკებს (ე. ი. ევროპელებს) არ გააჩნიათ არავითარი თავმოყვარეობა და იშვის გრძნობა. ხდება ხოლმე, რომ ფრანკი მისეირნობს ქუჩაში თავის ცოლთან ერთად, შეხვდება ნაცნობს, რომელიც ხელს მოჰკიდებს ქალბატონს, განზე გაიყვანს და ესაუბრებაო. ქმარი თავისთვის დგას და მოთმინებით ელოდება, როდის დაამთავრებენ ისინი საუბარს. თუკი საუბარი გაჭიანურდა, ქმარი მიატოვებს ცოლს ნაცნობ მამაკაცთან და თავის გზას გაუდგებაო.

აღწერილი სურათი იწვევს უსამას გაოცებასა და აღშფოთებას. არ შეუცდებით, თუ ვიტყვით, რომ მრავალ ჩვენგანს, გულის სიღრმეში მაინც, ძალზე გასაგები და მისაღები მოეჩვენება XII საუკუნეში მცხოვრები მაჰმადიანი კაცის გულისწყრომა.

უსამა სხვა ამბავსაც გადმოგვცემს: ფრანკს აბანოში მიჰყავს თავისი ცოლი და მაჰმადიან დალაქს სთხოვს, იგივე სამსახური გაუწიე ქალბატონს, როგორიც გუშინ მე გამიწიეო. დალაქი ამბობს, ჩემს საქმეს შევუდექიო (დეტალებს ნუ დავიმოწმებთ!), ქმარი კი მშვიდად იჯდა და გულგრილად შემომყურებდაო. მერე მადლობა გადამიხადა და გასამრჯელოც მომცაო. დაბნეული უსამა წარმოთქვამს: ცხადია, ფრანკებს არ გააჩნიათ თავმოყვარეობა და იშვის გრძნობა, მაგრამ ბრძოლაში ძალზე მამაცნი არიანო, და განა სიმამაცე სწორედ თავმოყვარეობისა და შერცხვენის შიშისგან არ წარმოიქმნებაო?

მაგრამ ევროპელებიც ხშირად სახტად რჩებოდნენ მაჰმადიანთა მოქმედების წინაშე. როდესაც ჯვაროსნებმა ქ. ტრიპოლი აიღეს, ორი მეზობელი მაჰმადიანი ამირა სასწრაფოდ დაუკავშირდა ქალაქის დამპყრობლებს, რათა გამოესყიდათ... როგორ ფიქრობთ, რა უნდა გამოესყიდათ? არა, არც ქალები, არც ძვირფასეულობა, არც სარწმუნოების ატრიბუტები. მხოლოდ და მხოლოდ ორი ადამიანის გამოსყიდვა სურდათ. ერთი სწავლული იყო და მეორე — კალიგრაფი.

ადვილი წარმოსადგენია ჯვაროსანთა გახცოფრება!

აღმოსავლეთი გაკვირვებული თვალებით შეჰყურებდა მისთვის უცხო დასავლეთს და, რასაკვირველია, დასავლეთიც ვერ მალავდა თავის გაოცებას აღმოსავლეთის წინაშე. ბრძოლის ველზე უფრო ესმოდათ ერთმანეთისა. იქ არც გაკვირვებას ჰქონდა ადგილი, არც გულისწყრომას. ბრძოლის ველი მარტივ ასპარეზს წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესახვედრად. მშვიდობიანი ცხოვრება გაცილებით რთული და გაუგებარი იყო.

უსამა იბნ მუნკიზის წიგნის წინასიტყვაობაში გამოჩენილი საბჭოთა არაბისტი ი. კრაჩკოვსკი შენიშნავს: „უსამას ზოგონებათა ღირსება ისიც არის, რომ მასში ნაჩვენებია, თუ როგორ ისახება ორმხრივი სიმპათია მაჰმადიანთა და ქრისტიანთა ცალკეულ წარმომადგენლებს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. თავისთავად, ასეთი სიმპათიის შესაძლებლობა, იმ დროსა და იმ ვითარებაში, წარმოადგენს მთელ ხალხებსა და მთელ კულტურებს შორის მისი შესაძლებლობის საუკეთესო დასაბუთებას“.

როდესაც იმოწმებენ ხოლმე რედიარდ კიპლინგის ცნობილ სტრიქონებს აღმოსავლეთსა და დასავლეთზე, რატომღაც ავიწყდებათ სტროფის მეორე ნაწილი, რომელიც ეპვქვეშ აყენებს დასაწყისში გამოთქმულ დებულებას. მოვიტანოთ კიპლინგის სახელგანთქმული ბალადის მთელი პირველი სტროფის შეძლებისდაგვარად ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი: „ო, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი არის დასავლეთი, და ისინი ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან, ვიდრე ხმელეთი და ზეცა არ შეიყრებიან უფლის დიდ სამსჯავროზე; მაგრამ აღარც აღმოსავლეთია და აღარც დასავლეთი, აღარც საზღვარი, აღარც მოდგმა და აღარც ჯიში, როდესაც ორი ძლიერი ერთიმეორის პირისპირ დგება, თუნდაც ისინი წარმოშობით დედამიწის ორი ბოლოდან იყვნენ!“

კიპლინგის ბალადის მთელი შინაარსიც კვერს უკრავს პირველი სტროფის მეორე ნაწილს, რომელსაც, ვიმეორებ, ნაკლებად იმოწმებენ ხოლმე.

საუკუნეთა მანძილზე სამკვლრო-სასიცოცხლოდ გადაშტერებულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს ზოგჯერ ავიწყდებოდა თავისი წარმომავლობა სწორედ ბრძოლის ველზე, როდესაც, კიპლინგისა არ იყოს, ორი ძლიერი დგებოდა ერთიმეორის პირისპირ.

ალბათ გახსოვთ ილია ჭავჭავაძის პატარა და მშვენიერი მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. მაგრამ შესაძლოა ყველამ არ იცოდეს, რომ ამ მოთხრობის წყაროს წარმოადგენს ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრებაში“ სიტყვაძუნწად დამოწმებული ეპიზოდი. XVII ს. მიწურულში, სეფიანთა ირანის ჯართან ქართველთა ბრძოლის აღწერისას ვახუშტი მოგვითხრობს შემდეგს: „კვალად მხნედ გამოსჩნდა სპარსი ერთი, რამეთუ ჩაჰოპყარნა ხუთნი მხედარნი, მხნე ჰაბუკნი. შემდგომად შეიპყრა იგიცა გოსტაშაბისშვილმან ნიკოლაოზ და განუტევა მშვიდობით სიმხნისა მისისათვის“.

მართლაც რომ დაუჯერებელი ამბავია. ხუთი ქართველი მხედარი ჩამოჰყარაო. ვთქვათ, არც ერთი მათგანი არ დაღუპულა, მხოლოდ დაიჭრნენ თუ დაშავდნენ. დაეუშვათ, ფრჩხილიც არ სტკენიათ. და მაინც მოულოდნელი და გასაოცარია ქართველი რაინდის უჩვეულო კეთილშობილება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველივე ეს ხდება ბრძოლის ველზე, თავდაუზოგავი შერკინებისას, როდესაც ადამიანი ემსგავსება მხეცს და გულჩვილობა უადგილო ფუფუნების საგნად გადაქცეულა.

ახლა მოვუსმინოთ ფარსადან გორგიჯანიძეს. მის საისტორიო თხზულებაში აღწერილია თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოში, კერძოდ — ბირთვისის ციხის ალყა, რომელიც ერთი კვირა გრძელდებოდა და სახელგანთქმულმა „მსოფლიო დამპყრობელმა“ ვერაფერი გააწყო აუღებელი ციხის წინააღმდეგ. ბოლოს ხერხს მიმართეს, ღონემ რომ ვერ გაუმართლათ. ერთ ბნელ ღამეს აბრეშუმის თოკები დაგრიხეს, კიბე გააკეთეს და ორმოცდაათი კაცი გადაძვრა თავისი მიუვალობით გულდაიმედებულ ციხეში. „ნახეს, რომ ქართველთ სძინავთ და ციხის გაფრთხილებას უკან არ არიან. ერთმან ხორასნელმან ვაჟმან კაცმან შებრალებით ქართველთა შესატყობლათ მაღალის ხმით ალაჰ ალაჰ დაიძახა. მაჰმუდა მექანარემ ნაფრი დააყვირა“. ხმაურს გამოუღვიძებია ქართველები და იარაღისათვის ხელი უტაციათ.

დამოწმებული ეპიზოდები სიქართველოს ისტორიიდან მშვენიერი დადასტურებაა რედიარდ კიპლინგის ზემოთქმული სტროფისა. ადამიანს ზოგჯერ ავიწყდებოდა თავისი მოდგმა და რჯული, ავიწყდებოდა მტრობა, ბოლმა და სისხლისღვრის ჟინი. და უეცრად მის სულში გამოკრთებოდა ხოლმე კაცთმოყვარეობის პაწია ციცინათელა.

მაგრამ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს ხვდებოდა არა მარტო ბრძოლის ველზე. მათი დაახლოებისა და ურთიერთშეცნობის სარბიელს პოეზიაც წარმოადგენდა.

... 1622 წლის ივლისი. ქალაქი შირაზი. შაჰ-აბასის სასტუმარი, იტალიელი პილიგრიმი პიეტრო დელა ვალე მიეშურება გამოჩენილი სპარსელი პოეტის ჰაფეზის საფლავის სანახავად! ევროპაში ბევრს არც სმენია ჰაფეზისა თუ მისი წინამორბედების სახელი. ჯერ არ დაბადებულა არც გოეთე, რომელიც გაუგონარ ხოტბას შეასხამს დიდ სპარსელ პოეტებს და არც — ფიცჯერალდი, რომელიც ისე აამეტყველებს ომარ ხაიამს ინგლისურ ენაზე, რომ თითქმის გადააქცევს ინგლისური ლიტერატურის ღირძლ შეილად. მაგრამ პიეტრო დელა ვალე თავისი ეპოქის უგანათლებულესი პიროვნებაა, მგზნებარე ქრისტიანს და მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ნახევრადფანტასტიკური პროექტების ავტორს, აოხრებული საქართველოს გულშემატკივარსა და ქომაგს, სრულიადაც არ ეუცხოება აღმოსავლური კულტურა. როგორც ცნობილია, მან ლათინურად თარგმნა არაბული ენის გრამატიკა, შეადგინა ლექსიკონი, ჩაიხატა პერსეპოლის ლურსმული წარწერები, პირველმა ევროპელთაგან თარგმნა სპარსული საისტორიო თხზულება (იტალიურ ენაზე). და აი, შირაზში ჩასული იტალიელი მოგზაური მიდის ჰაფეზის საფლავზე. პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ჰაფეზი ბრწყინვალე სპარსელი პოეტია, ვისი ლექსებიც შეიძლება შეადარო ტოსკანურ სონეტებს, მას დიდად აფასებენ ირანში, ჰაფეზის წიგნი ხელიდან ხელში გადადის და ისეთივე გატაცებით კითხულობენ, როგორც იტალიაში პეტრარკას. დელა ვალე აღწერს ერთ დიდ ბაღში პატარა ტაძრის მსგავს გუმბათიან ნაგებობას, სადაც მოთავსებული ყოფილა აკლდამა ჰაფეზისა. პიეტროს, როგორც პოეზიის მოყვარულსა და მცოდნეს, ხმამაღლა წაუკითხავს ოთხი იტალიური ლექსი (ეპიტაფიის ხასიათისა) ჰაფეზის საფლავთან. მაგრამ თავი შეუკავებია, თვითონაც წაეწერა რამდენიმე სტრიქონი ეპიტაფიებით აჭრელებულ მარმარილოს თაღზე, მაჰმადიანებს საწყენად რომ არ დარჩენოდათ ქრისტიანის მიერ მათი პოეტის აკლდამის შებღალვა. მერე ლექსიც შეუთხზავს ექსპრომტად: ჰაფეზის ნეშტი განისვენებს ამ აკლდამაში, ალბათ მტვრად იქცა ძვლები, მაგრამ სული მისი ცოცხლობს ათასობით ლექსში, რომელიც მან დაუტოვა ადამიანებს.

განა საოცარი სურათი არ არის? იტალიელი პილიგრიმი, ვიმე-

ორებ, მგზნებარე ქრისტიანი და ყველა ქრისტიანის მოსარჩლე, დგას მაჰმადიანი პოეტის საფლავთან და ლექსებს თხზავს მისი უკვდავების შესამკობად.

ახლა ისევ საქართველოს დაეუბრუნდეთ.

XVI საუკუნის დამლევს, კახეთის მეფის კარზე სტუმრად ჩამოსულა სპარსელი პოეტი ფაღფურ ლაჰიჯანი, წარმოშობით — გილანის პროვინციიდან. მის პოეტურ მემკვიდრეობაში გვხვდება საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებიც (იხ. გია ბერაძე „ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან", „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 2) როგორც ირკვევა, ფაღფურ ლაჰიჯანი ყოფილა საკმაოდ სახელმოხვეჭილი პოეტი და განსწავლული პიროვნება მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

სპარსელ პოეტს ასე შეუქია საქართველოს მიწა-წყალი: „მისი მიწის წინაშე სიტურფის მხრივ ღირსება დაუკარგავს თვით ირამის წალკოტს" (აქ „ირანი" არ წაიკითხოთ, „ირამი" ერქვა ზღაპრული სილამაზის ბაღს იემენში).

ფაღფურ ლაჰიჯანის შეუქია აგრეთვე კახეთის მეფე ალექსანდრე: „საწუთრო აღსილია ალექსანდრეს დიდებით, საქართველო მისი წყალობით ისქანდერის (ე. ი. ალექსანდრე მაკედონელის) შესაფერისი ასპარეზია. მის კეთილშობილ ხელისგულს გამარჯვების ხანჯალი უპყრია, მისი სამეფო გამარჯვებულია, ქვეყანა — აყვავებული".

გ. ბერაძე შენიშნავს, რომ ასეთი შესხმა, რასაკვირველია, ალექსანდრე მეფისადმი პოეტის პირადი სიმპათიითაც არის გამოწვეული, მაგრამ არაა მოკლებული რეალურ საფუძველს, და თვით შაჰ-აბას I-ის კარის მემატიანე და მეხოტბე ისქანდერ მუნშიც კი, რომელსაც, გილანელი პოეტისაგან განსხვავებით, კახეთის მეფისადმი არავითარი სიმპათიები არ ამოძრავებდა, ალექსანდრეს ახასიათებდა როგორც „გამჭრიახობით უგამოჩინებულეს ადამიანს აბალგაზრდათა და მოხუცთა შორის!" (ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა დადებით შეფასებას იმსახურებს ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის შრომებში).

სიტყვამ მოიტანა და აქვე დავძენდი, რომ ზოგიერთი ავტორი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვახუშტის ერთ ცნობას ალექსანდრე მეფის შესახებ. ნადირობის ტრფიალ მეფეს თითქოსდა უთქვამს: „ახ ნეტარძი ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანა-

დირონი მრავლადი". ამ სიტყვებს იმოწმებენ ხოლმე ალექსანდრე მეფის გულქვაობისა თუ უგუნურების დასამტკიცებლად. დახეთ, ნადირობის ეშხით შეპყრობილი თავისი სამეფოს დაქცევას ნატრობდაო! ჯერ ერთი, ღმერთმა უწყის, მართლა წარმოთქვა თუ არა ესოდენ ტლანქი ხუმრობა კახთა მეფემ და თუნდაც წარმოეთქვა, მხოლოდ და მხოლოდ იუმორის ნიჭი შეიძლება დავუწუნოთ. უფრო სერიოზული ბრალდების წამოყენება, უდავოდ, უკიდურეს მიამიტობასა და, მაპატიეთ, მართლაც რომ უგუნურებას წარმოადგენს.

დავუბრუნდეთ ისევ სპარსელ პოეტს, რომელსაც, სხვათა შორის, ალაჰის მოციქულ მუჰამედის პირდაპირ შთამომავლად მოჰქონდა თავი, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მოუხიბლავს არა მარტო საქართველოს ბუნებასა და ალექსანდრე მეფის პიროვნებას, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, ქრისტიანულ ეკლესიასაც. ფაღფურ ლაჰიჯანი წერს: „შედი მონასტერში. ძალზე მომხიბვლელი რამ არის, ხიყვარულის ბრაჰმანი ხარ და შენი მონასტერი მშვენიერია. ისმინე ეკლესიის ზარის რეკვა, იესო ქრისტეს დიდება ისმინე".

ამ სტრიქონებს, ვფიქრობ, კომენტარი არ სჭირდება.

ჩვენში ბევრი რამ დაწერილა ქართული კულტურის ურთიერთობაზე აღმოსავლურთან. ბოლო ხანებში, კიდევ ერთხელ შეგვახსენა ეს საკითხი გ. ასათიანმა: „არსებობს აზრი, რომ ყოველივე აღმოსავლური საფუძველშივე უცხოა ჩვენთვის, ძალითაა თავმოხვეული და ეს ნაძალადევი ზემოქმედება მხოლოდ ამახინჯებდა და ამახინჯებს ქართული კულტურის არსს... და მაინც აღმოსავლეთმა ბევრი რამ მოგვცა, რა დასამალია, ზოგიერთი საძრახი თვისებაც შევიძინეთ, მაგრამ გაცილებით მეტი ნამდვილად ღირებული, გამამდიდრებელი. და, რაც მთავარია, ქართულმა მხატვრულმა გენიამ შეძლო გაეთავისებინა შეძენილი, თავისებურად მიეღო და გადაედნო, ისე რომ უკანასკნელს მისი პირველქმნილი არსი არ დაეჩაგრა".

გ. ასათიანის მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული დებულების დამამტკიცებელ მაგალითებს ალარ მოვიტან. მათი რიცხვი აურაცხელია და, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ მკითხველს კარგად ახსოვს ისინი.

... ახლა წარმოიდგინეთ XVII საუკუნის საქართველო — მრავალგზის აოხრებული და დარბეული ქვეყანა, დანგრეული სასახლე-

ები და პირისაგან მიწისა აღგვილი სოფლები, ირანში ტყვედ წაყვანილთა გრძელი ქარავნები, სისხლისმღვრელი ომები და თავგანწირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ბრწყინვალე გამარჯვება მარტყოფში და ბრწყინვალე დამარცხება მარაბდაში. და ბოლოს, ჟამი მშვიდობისა, როდესაც უკვე ტკბილი სიტყვითა და ქრთამით ინერგება საქართველოში ყიზილბაშთა ზნე-ჩვეულებანი.

თუ გავიხსენებთ ყოველივე ამას, მართლაც მოულოდნელი და აღმაშფოთებელი მოგვეჩვენება თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნიანში“ ამოკითხული სიტყვები: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“... რამ ათქმევინა, რამ დააწერინა ეს უცნაური ქება უცხო სპარსული ენისა მეფე-პოეტს, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა უწოდა „სპარსეთის დიდი მტარვალის დაუღალავი მოწინააღმდეგე“, ხოლო ნ. ბერძენიშვილმა „სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე“.

როგორ შევუთავსოთ ერთიმეორეს თავდადებული ბრძოლა საქართველოში სეფიანთა ირანის ბატონობის წინააღმდეგ და... ქება სპარსული ენისა?

გამოუცდელი მკითხველი, ცხადია, დაიბნევა და შესაძლოა, არასწორი დასკვნებიც გამოიტანოს.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული ენა არა ყოფილა ჩვენი მტრისა და დამპყრობლის ენა, ის არ ყოფილა იმათი ენა, ვინაც XVII საუკუნეში ენით აუწერელი ნგრევა და აოხრება მოუტანა საქართველოს მიწა-წყალს.

საამისო საბუთები მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ხასიათის წყაროებსა და გამოკვლევებში. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს დავიმოწმებ სანიმუშოდ. ჯერ გადავხედოთ XVII ს. ირანში სამოგზაუროდ თუ სხვა მიზნით ჩასულ ევროპელთა ნაწერებს. აი, რას ამბობენ ისინი:

ჟან შარდენი: სეფიანთა ირანში გავრცელებულია სამი ენა. არაბული — ღვთისმეტყველთა და სწავლულთა ენა, სპარსული — სიტყვაკაზმული მწერლობისა და უბრალო ხალხის (ე. ი. სპარსელთა) ენა, თურქული — სამეფო კარისა და სამხედრო ხალხის (ე. ი. ყიზილბაშთა) ენა.

ადამ ოლეარიუსი: სეფიანთა სამეფო კარზე საყოველთაოდ მიღებულია თურქული ენა და იშვიათად თუ გაიგონებს კაცი სპარსულ სიტყვას.

კარმელიტთა ორდენის მისიონერი: ირანის შაჰი, დიდკაცები და მეომრები, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ თურქულ ენაზე. სპარსული მხოლოდ უბრალო ხალხისა და სახელმწიფო საბუთების ენაა.

პიეტრო დელა ვალე: სეფიანთა სამეფო კარზე, სამხედრო წრეებსა და ცივილიზებულ საზოგადოებაში უფრო მიღებულია თურქული ენა... ქვეყნის კეთილშობილნი, განსაკუთრებით სამხედრონი, მეტწილად, თურქული მოდგმისა არიან. შაჰი და წარჩინებულნი სიამაყით ლაპარაკობენ თურქულად.

ჟან თევენო: სეფიანთა სამეფო კარზე მხოლოდ და მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ, ოღონდ იქაური თურქული ენა იმდენად განსხვავდება კონსტანტინოპოლში გავრცელებული თურქულისაგან, რომ შეიძლება ითქვას, სავსებით სხვა ენაა.

დასავლეთ ევროპაში მოგზაურობისას სულხან-საბა ორბელიანი ამბობდა, ყიზილბაშური თათრული ვიცით. საქართველოში „თათრული“ იხმარებოდა თურქული ენის მნიშვნელობით, ხოლო საბასეული „ყიზილბაშური თათრული“ საკმაოდ ზუსტი სახელწოდებაა სეფიანთა სამეფო კარზე მიღებული ენისა, რომელიც თურქულის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა („ისლამის ენციკლოპედიაში“ აღნიშნულია, რომ ადგილობრივი წყაროები „ყიზილბაშურ თურქულს“ ეძახიან სეფიანთა ირანში გავრცელებულ თურქული ენის დიალექტს, რათა განასხვავონ ოსმალთა თურქულისაგან).

აღძრული საკითხის ირგვლივ საინტერესო მინიშნებანი გვხვდება ქართულსა და სომხურ საისტორიო წყაროებში.

ფარსადან გორგიჯანიძე წიწამურთან გამართული ბრძოლის აღწერისას აღნიშნავს: „ქართველნი ყიზილბაშთ ლაშქარში გამოერივნენ და შეიქნა ძახილი დაჰკარ დაჰკარისა და ურუზბუ გიდილარი“ (ამ უკანასკნელ სიტყვებს, ცხადია, ყიზილბაშები იძახდნენ. ქართული თარგმანი: „კახპებო. წაეთრიეთ“). დასახელებული ავტორი, როგორც ცნობილია, მოგვითხრობს მარაბდის ომის ამბავსაც. როდესაც ყიზილბაშთა მაშველი ლაშქარი მოადგა ბრძოლის ველს, თურმე „მალალის ხმით იძახდენ, რომ შაჰ გელდი, შაჰ გელდიო“ (ე. ი. შაჰი მოვიდაო). „შაჰ გელდი“, ისევე როგორც „ურუზბუ გიდილარი“, ყიზილბაშური თათრული გახლავთ, დიახ. „ყიზილბაშური თათრული“ ისმოდა ხოლმე ბრძოლის ველზე და არა — „სპარსთა ენისა სიტკბო“.

XVII ს. სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი გადმოგვცემს, რომ მეწვრილმანე ვაჭრად გადაცმული შაჰ-აბასი ერთხელ ესტუმრა სომხურ სოფელს და მიადგა ერთი დიაკვნის სახლს; დიაკვანი გართული იყო წიგნის გადაწერით. შაჰმა ჰკითხა დიაკვანს: ეგ რა წიგნიაო? დიაკვანმა მიუგო: ჩვენს ენაზე აისმავურქ ჰქვია, ხოლო ოქვენს ენაზე შეით ქეთაბის ეძახიანო.

რას ნიშნავს სომეხი დიაკვნის მიერ შაჰ-აბასის მისამართით წარმოთქმული „თქვენი ენა"? ისევ და ისევ სულხან-საბას მიერ „ყიზილბაშურ თათრულად" მონათლულ თურქული ენის დიალექტს, საიდანაც „შეით ქეთაბი" ითარგმნება, როგორც „წმინდანთა წიგნი" (უფრო ზუსტად: „რჯულისათვის წამებულთა წიგნი").

ზაქარია ქანაქერცი შემდეგ აღნიშნავს, რომ დიაკვანმა, შაჰის თხოვნით, უამბო მას წმ. აკოფის ცხოვრება. თურქულ ენაზე უამბოო (ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ „ყიზილბაშური თათრული").

ამავე თხზულებაში ამირგუნე-ხანის ვაჟიშვილი ქურთებთან ბრძოლისას ასე მოუწოდებს თავის მეომრებს: „ხავთურ, ყიზილბაშ, ხავთურ!" (წინ, ყიზილბაშებო, წინ!); ისევ „ყიზილბაშური თათრული" გაბლავთ. ერევნის ხანად ნიშნავენ ვინმე ზაალ-ხანს, წარმოშობით ქართველს, ქუჩაში გამოსული მაცნე ხმამაღლა აუწყებს მოსახლეობას ამ ამბავს და საზეიმოდ გაჰყვირის: „უმრი ჩოხ ოლსუნ!" („დღეგრძელი იყოს იგი"); ისევ და ისევ „ყიზილბაშური თათრული"...

როგორც ვხედავთ, ქართული და სომხური წყაროები ცოცხალი მაგალითებით ადასტურებენ ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში დამოწმებულ ინფორმაციას.

ინგლისელი ორიენტალისტი ე. ბრაუნი აღნიშნავს ერთობ უცნაურ ფაქტს. თურმე, სეფიანთა დინასტიის ფუძემდებელი შაჰ-ისმაილ I წერდა ლექსებს, მეტწილად, თურქულ ენაზე (მკვლევარის განმარტებით, ეს გახლავთ თურქული ენის ოურქმანული დიალექტი), ხოლო სეფიანთა ირანის ხელმწიფის დიდი მეტოქე — ოსმალეთის სულთანი სელიმ I წერდა ლექსებს სპარსულად! პროფ. ვ. მინორსკის მიხედვით, ეს პარადოქსი გამოწვეული იყო მათი მიზნების განსხვავებით — ოსმალეთის სულთანი წერდა ლექსებს თავისი სიამოვნებისათვის, გასართობად და ამიტომაც „ტკბილი სპარსული" უფრო ეჭაშნიკებოდა, ვიდრე მშობლიური თურქული, რომელიც, იმდროინდელი მოარული გამოთქმის თანახმად, მხოლოდ ომში გა-

ეოდგებოდა. რაც შეეხება შაჰ-ისმაილს, მისი ლექსები გამიზნული იყო ყიზილბაშთა ტომების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ამ-ტომაც იწერებოდა თურქული ენის იმ დიალექტზე, რომელიც მათ დედაენას წარმოადგენდა.

თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი ნასრულა ფალსაფი, ავ-ტორი მრავალტომიანი ნაშრომისა შაჰ-აბასის ცხოვრებასა და მოღ-ვაწეობაზე, წერს: „იმ ეპოქაში, როდესაც ტკბილი სპარსული ენა ოსმალეთის იმპერიასა და ინდოეთში იყო პოლიტიკისა და თავაზი-ანობის ენა, შაჰ-ისმაილმა თურქული ენა გადააქცია ირანის სამეფო კარის ოფიციალურ ენად. თვითონაც ლექსებს თხზავდა მხოლოდ და მხოლოდ თურქულ ენაზე, და ამ უცხო ენამ ისეთი გავრცელება ჰპოვა სეფიანთა კარზე, რომ ხსენებული დინასტიის მმართველობის დასასრულამდე, და შემდგომშიც კი, თურქული ენა რჩებოდა სამე-ფო კარის ოფიციალურ ენად“. სპარსელი ისტორიკოსი დასძენს, რომ, მართალია, სეფიანთა ხელმწიფეს ეძახდნენ ირანის შაჰინშაჰს, თავად ქვეყანას ყიზილბაშთა სახელმწიფო ერქვაო.

ასე რომ, „სპარსთა ენა“ არ ყოფილა იმათი ენა, ვინც ცეცხლ-თა და მახვილით მოდიოდა XVII ს. საქართველოში.

„სპარსთა ენისა სიტკბო“... რომ ალარაფერი ვთქვათ სპარსული ლიტერატურის ბრწყინვალე ვარსკვლავებზე, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოიხვეჭეს, თავად ენის ამგვარი დახასიათება მარტო თე-იმურაზ პირველის ახირებული აზრი არ ყოფილა. სხვა ქართველ მწერლებსაც წამოცდენიათ იგივე „მკრეხელობა“. ასე მაგალითად, ვახტანგ VI ამბობს: „ეს ქილილა და დამანა, ბრძენთაგან გამოთქმუ-ლები, სპარსთა ენისა სიტკბოთი დაშაქრულ-დაამბრულები“. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვკითხულობთ: „სპარსული ლექსებ-შიაც ჭებულია და ტკბილი სასმენლად“.

საგულისხმო გარემოებაა, რომ „სპარსთა ენისა სიტკბოს“ აღ-ნიშნავს იტალიელიც კი! კერძოდ, პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, სპარსული ენა არის ძალზე ტკბილი და ნაზი, და ზედგამოჭრილია ქალებისა და პოეზიისათვის. იტალიელს რომ „ტკბილ ენად“ მოეჩ-ვენებოდა მისთვის საკვირველი უცხო სპარსული, რაღა უნდა ეთქვა იმ ქვეყნის შვილს, სადაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში დიდად აფა-სებდნენ სპარსულ ლიტერატურას, დედანში კითხულობდნენ და მე-რე აქართულებდნენ.

ჯორჯ ბაირონმა თვით პიეტრო დელა ვალეს დედაენა — იტალიური თავისი სინაზითა და ალერსიანობით (ქალის ამბორივით რომ დნებაო), რბილი და ნარნარი ბგერების შრიალით, დაუპირისპირა მშობლიურ ინგლისურს, რომელზეც იძულებული ვართ ვისისინოთ, ვიფრუტუნოთ და ვიდუდუნოთო.

დაე, ინგლისური ენის სპეციალისტებმა განსაჯონ ამ სიტყვების სამართლიანობა, მაგრამ ჩვეულებრივ მკითხველს, ალბათ, დაუშვებელ მკრეხელობად და სამშობლოს სიძულვილად უნდა მოეჩვენოს დიდი ინგლისელი პოეტის მიერ თავისი დედაენის ასე აბუჩად აგდება!

... ყველა დროისა და ყველა ჯურის დამპყრობელმა ყოველთვის მშვენივრად იცოდა, რომ მთავარი ამოცანა სხვა ხალხის დასამორჩილებლად და დასათრგუნად მისი მიწა-წყლისა და სულის მისაკუთრება იყო. სხვათა შორის, ადამ მიცკევიჩის პოემის ერთი გმირი სულის შემბოჭველ ბორკილებს უფრო უფრთხის, ვიდრე ხელფეხზე დადებულ ბორკილებს.

ფრიად საინტერესოა, რომ ნაცისტების გეგმით, ზოგიერთი დაპყრობილი ხალხის მიმართ „ჰუმანური მოპყრობის“ შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა: „სხვა ხალხებისაგან განსხვავებით კავკასიელებს პირველ ხანებში უფლება უნდა მიეცეთ ატარონ ცივი იარაღი — ხანჯალი და ხმალი, რაც მათ თავისუფლების სიმბოლოდ მიაჩნიათ; ნება მივცეთ ჩაიცვან ეროვნული ტანისამოსი, შეასრულონ ძველი ადათ-ჩვეულებანი, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და იმღერონ ეროვნული სიმღერები“ (იხ. მ. კვესელავა „ას ერგასის დღე“, წიგნი I, 1967, გვ. 509).

„კავკასიელ ხალხებში“, რა თქმა უნდა, გულისხმობდნენ ქართველ ხალხსაც.

როგორ მოგწონთ ჩოხებში გამოწყობილი და ხმალ-ხანჯლით აელვარებული ვაჟკაცები, რომელნიც საკუთარ ენაზე შეასხამდნენ ხოტბას „მესამე რაიხის“ პირსისხლიან თავკაცებს და ომახიანად დააგუგუნებდნენ ეროვნულ სიმღერებს!

ქართული ენა ყოველთვის იყო დიდი საზრუნავი და საფიქრალი ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთათვის, მაგრამ მათ ძალზე კარგად ესმოდათ, რომ, უპირველეს ყოვლისა, დასაცავი და შესანარჩუნებელი იყო ქართული მიწა და ქართული სული. უცხო ტომი არ უნდა ჩამოთესლილიყო საქართველოს ტერიტორიაზე და

უცხო ზნე-ჩვეულებანი არ უნდა გამჯდარიყო ქართულ სულში. უცხო ტომთან ალრევა მოასწავებდა კატასტროფას. თორემ სიტყვები რა სათქმელია, ქართული ენა უხსოვარი დროიდან ითვისებდა უცხოურ ლექსიკას და ამით არაფერი აკლდებოდა. უცხო სიტყვები „ქართველდებოდნენ“ და ერთგულად ემსახურებოდნენ ახალ პატრონს. დღეს ვიღას ახსოვს, რომ ჩვენი მშობლიური სიტყვებია: ფიქრი, სევდა, ეშხი, სურათი, ხასიათი, ღალატი და სხვ. ოდესღაც „არაბები“ იყვნენ; ჰაბუკი და ჰარმაგი, ხანჯალი და ფანჯარა — „სპარსელები“; ოჯახი, იატაკი და ოთახი — „თურქები“... მხოლოდ სპეციალისტებს ახსოვთ მათი წარმომავლობა.

თეიმურაზ მეფეს „სპარსთა ენისა სიტკბო“ სახელმწიფო კანონად არ გამოუცხადებია და არც არავის უცდია მისი გატოლება ქართველი ხალხის მეხსიერებაში სამარადისოდ ალბეჭდილ უკვდავ აფორიზმებთან. ეს „მწვალებლური“ ფრაზა რალაც მეორეხარისხოვანი დეტალია თეიმურაზ პირველის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მისი ზუსტი შინაარსის გარკვევა მეფე-პოეტის „რეაბილიტაციის“ წყურვილით როდია გამოწვეული, არამედ ჭეშმარიტების დადგენას ისახავს მიზნად.

გერონტი ქიქოძე შენიშნავდა: „თუ ჩვენთვის ასე თუ ისე სპარსელების მწერლობა და ხელოვნება კიდევ ახლობელი იყო, სამაგიეროდ სრულიად მიუღებელი იყო მათი ეთიკა და სარწმუნოება“.

სამართლიანი და ზუსტი დაკვირვებაა.

როდესაც თეიმურაზის ყბადაღებული „სპარსთა ენისა სიტკბო“ მოგვადგება ენაზე, ურიგო არ იქნება, რომ მეხსიერება დავძაბოთ და ისიც გავიხსენოთ, როგორი დაუფარავი სარკაზმით აღწერდა ქართველი მეფე-პოეტი ყოველი მაჰმადიანისათვის საოცნებო მაჰმადიანურ სამოთხეს (იმავე „ლეილ-მაჯნუნიანში“, სადაც არის ნათქვამი „სპარსთა ენისა სიტკბო“):

ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა:
ქალნი და ვაჟნი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდსა უწევსა,
იგ დაფარულნი ასონი — უთქვამს — სამ წყართამდი უწევსა,
მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბისა — ფუ წვერსა!

ანდა როგორი სიძულვილით მოიხსენიებდა მაჰმადიანთა წმიდათაწმიდა, საპილიგრიმო ქალაქებს: „წყეულმც არს ნაჯაფ, ქალბალა, მექა, მედინა, მოლამდი“... ანდა როგორ ამაყად წარმოთქვამდა: „ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეჩიტი, მინარანი და“...

დამოწმებული სტრიქონები სპარსულიდან თარგმნილ პოემებში არის შეტანილი. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გამორიცხულია მათი არსებობა დედანში.

თეიმურაზ პირველის პორტრეტისათვის მთავარი და არსებითი „სპარსთა ენისა სიტკბოს“ აღნიშვნა კი არ გახლავთ, არამედ მისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. სხვათა შორის, როდესაც თეიმურაზმა ოსმალეთის ხონთქარს სთხოვა შემწეობა ყიზილბაშთა წინააღმდეგ, თვალთმაქცური პასუხი მიიღო: შენ ქრისტიანი ხარ და მაჰმადიანებთან საბრძოლველად ლაშქარი როგორ მოგცეთ, მერჯულენი დაგვიშლიანო (თითქოსდა ირანი და ოსმალეთი ერთიმეორის დაუძინებელი მტრები არ იყვნენ!), გამაჰმადიანდი და ლაშქარსაც მყისვე მოგაშველებთო. მაშინ თეიმურაზს საკმაოდ ირონიული პასუხი გაუცია მაჰმადიანი მბრძანებლისათვის: ამდენს იმისთვის ვირჯები, რომ რჯული არ დავაგდო და თუ ყიზილბაშთა რჯული არ დავიჭირე, თქვენსას რატომ დავიჭერო.

ვგონებ, განმარტებას არ უნდა მოითხოვდეს ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნება უდრიდა „ქართველობის“ შენარჩუნებას და სწორედ ამ მიზანს შეალია თეიმურაზმა მთელი სიცოცხლე და ფიზიკურ-სულიერი ძალები („სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია“. — ამბობს მეფე-პოეტი ერთ თავის პოემაში). ქართველად დაბადებული თეიმურაზი ქართველადვე მოკვდა. ერთხელაც არ უფიქრია, მიეღო მაჰმადიანური რჯული და თავისი ტანჯვა-გასაჭირი, დევნილება და ხიზნობა გაეცვალა განცხრომასა და ფუფუნებაზე, ესოდენ მიმზიდველი რომ ყოფილა და იქნება მარადჟამს მრავალთა და მრავალთათვის.

ვერაგიც იყო ხოლმე და დაუნდობელიც (გავიხსენოთ თუნდაც ზურაბ ერისთავის მკვლელობა), მაგრამ მრავალ ადამიანურ სისუსტესა და ნაკლთან ერთად გააჩნდა უდიდესი ღირსება — არასოდეს გაუყიდია თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და თავისი სული.

სულმნათმა აკაკიმ ერთხელაც ბრძანა: კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი პოლიტიკაში პოეტობდა და პოეზიაში პოლიტიკობდაო. დიდი მგოსნის სიტყვებს ზოგჯერ იმოწმებენ, როგორც სინას მთაზე წარმოთქმულ მცნებას. მაგრამ ამ ენამოსწრებულ კალამბურს ერ-

თადერთი ნაკლი აქვს — იგი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

„პოლიტიკას", ყველანაირი მნიშვნელობით, ძალზე მცირე ადგილი უჭირავს თეიმურაზის შემოქმედებაში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ მან დაუდო სათავე ნაციონალური თემატიკის ასახვას ქართულ პოეზიაში („წამება ქეთევან დედოფლისა"). თუ ამას ჰქვია „პოლიტიკობა", დასაწუნსა და მასხარად ასაგდებს ვერაფერს ვხედავ ასეთ „პოლიტიკობაში".

კიდევ უფრო ძნელი სათქმელია, რას უნდა ნიშნავდეს „პოლიტიკაში პოეტობა". ეგებ იგულისხმება დაუღალავი ბრძოლა ქრისტიანობისა და საქართველოს დასაცავად? ეგებ იგულისხმება პირად კეთილდღეობაზე, ფაქტიურად, უარის თქმა და თავის უახლოეს ადამიანთა შეწირვა სამშობლოსადმი? ანდა ორ ვეშაპს შუა მოქცეული მეფის ხან ერთთან, ხან მეორესთან „სიამტკბილობა" სულის მოსათქმელად, გამოუვალი ჩიხიდან თავის დასაღწევად? იმ „სისხლის წვიმების" ეპოქაში ვის არ ჩაუდენია შეცდომები თუ ცოდვები და როგორ შეიძლება მოვნათლოთ ისინი „პოლიტიკაში პოეტობად?"

ბუმბერაზი მგოსნის საყვედური ეგებ იმას გულისხმობს, რომ ბრძოლის ველიდან გარბოდა მეფე-პოეტი და ხმლის ნაცვლად კალამს ჰკიდებდა ხელს? მაგრამ თეიმურაზ პირველი ომიანობის დროს როდი წერდა ლექსებს. ომი რომ დაატყდებოდა ქვეყანას, მისი მუზაც დუმდებოდა და მეფე-პოეტს, ალბათ, აღარც ახსოვდა პოეზიის არსებობა.

თვალი გადაავლეთ თეიმურაზის ნაწარმოებთა დათარიღებას, შეუდარეთ საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიას და თვალნათლივ დარწმუნდებით ზემოთქმულში. მისი პოემების ერთი ნაწილი („ლეილ-მაჯნუნიანი", „იოსებ-ზილიხანიანი", „წამება ქეთევან დედოფლისა") ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, დაწერილია XVII საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე, როდესაც ქართველი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო, როდესაც ქართლ-კახეთში უკვე აღიკვეთა ყიზილბაშთა თარეში და „ორსავ ტახტის მპყრობელ" თეიმურაზს სეფიანთა სამეფო კარზეც უწევდნენ ანგარიშს. ხოლო „ვარდ-ბულბულიანი", „შამი-ფარვანიანი" და „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა" შექმნილია 1649—1656

წლებს შორის, როდესაც მაჰმადიან როსტომ მეფესთან ხანგრძლივ ჰ ადილში საბოლოოდ დამარცხებული თეიმურაზი იმერეთს გადაიხვეწა და შვიდი წლის მანძილზე იმყოფებოდა თავისი სიძის, იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ „სარჩოდ“ მიჩენილ რაჭაში. ხმალი დაუჟანგდა და მკლავიც აღარ ერჩოდა ძველებურად. ლექსების შეთხზვით ირთობდა თავს. აკი ამბობს: „ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა“.

XVII ს. საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას ივანე ჯავახიშვილი წერდა: „როგორ შეიძლება, რომ ხარობდეს პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი იქ, სადაც ირგვლივ მტრისაგან აოხრებული ქვეყანა იყო და ომისა და სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დაძრწოდა. სწორედ რომ გასაოცარი და სათაყვანებელია ის მამაცური გულგაუტეხლობა და სიცოცხლისა და მშვენიერების დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც თეიმურაზ მეფეს და მის ქართველ თანამედროვეებს და მომდევნო თაობას ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ეროვნული ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურის ხალისს არ უხშავდა“.

ალბათ შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მოტანილი მოთქმა უპირველეს წმინდანად შერაცხული ქართველი ქალისა:

სულო, გაუშვი ალაგნი, თვალნო დააგდენ ბუდენი,
გულო, საძირკვლით აღმოხე, მოირღვენ გარენ ზღუდენი,
ტანო, ზე ნუღარ მართიხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი,
ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავნი არ სამრუდენი.

იმქვეყნად მიმავალ დედოფალს ამქვეყნიური ცხოვრებაც არ ავიწყდება და სასიკვდილოდ განწირული მაინც იმედიანად წარმოთქვამს უკანასკნელ ლოცვასა თუ ნატვრას:

რადგან მომკლა უწყალომან, დრო ბოლო ჩემსა ზედა,
სასწაული მოაღინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.

ზემოთ დამოწმებული სტრიქონები თამამად შეიძლება შევიტანოთ ქართული პოეზიის „ოქროს ფონდში“...

„პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ ჯიუტად ხარობდა საქართველოში მტრების გულის გასახეთქად. იგი მხოლოდ ლექსებში როდი ბინადრობს, ცხოვრებაშიც ხშირად გვხვდება ხოლმე.

როდესაც საყოველთაო განუკითხაობისა და ძალმომრეობის, სისხლისღვრისა და სიძულვილის აუტანელ პირობებში ადამიანი მაინც ამტკიცებს თავის ადამიანობას, ესეც „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ გახლავთ. როდესაც ხუთი ქართველის დამჯაბნელ სპარსელს ქართველი რაინდი დაამარცხებს და სიცოცხლეს აჩუქებს მისი ვაჟკაცობის საზღაურად, ესეც „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილია“. როდესაც მაჰმადიან მეომარს ეუცხოება მძინარე ქართველების გაჟლეტა, ესეც იმავე „ყვავილად“ უნდა ჩავთვალოთ. როდესაც სპარსელი პოეტი, თვით მუჰამედის შთამომავლად მიჩნეული კაცი, ეკლესიის ზარების რეკვას და იესო ქრისტეს დიდებას აღნიშნავს თავის ლექსში, ანდა იტალიელი პილიგრიმი აღტაცებით თხზავს ეპიტაფიას დიდი სპარსელი პოეტის საფლავთან, ესეც „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილებია“.

განსხვავებული სარწმუნოება თუ მოდგმა, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი თიშავდა ხალხებს და ცალკეულ ადამიანებს. ამ პროცესს აძლიერებდა აღზევებულ მტარვალთა უკიდეგანო პატივმოყვარეობა და წყურვილი სისხლისღვრით მოხვეჭილი სახელისა, დაუოკებელი ჟინი მეზობელი ქვეყნების დაპყრობისა, სადისტური თვითკმაყოფილება ადამიანთა აბუჩად აგდებითა და ფეხქვეშ გათელვით. საერთაშორისო მასშტაბის მანიაკებს წვრილფეხა ავანტიურისტებიც აჰყვებოდნენ ხოლმე. უცხო ძალით ზურგგამაგრებულ ზოგიერთ რენეგატს არ ეთაკილებოდა ბოროტებისა და უსამართლობის დაკანონება; აღარაფერს ეპუებოდა, რადგანაც გადამთიელთა ხმლები იცავდნენ მას. ხოლო ჩივილი ჩაგრულისა ვერ წვდებოდა ვერც ზეცას და ვერც ზეცასავით შორეულ მეტროპოლიას.

მაგრამ „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ ჯიუტად ხარობდა უბრალო მოკვდავთა გულებშიც და ზოგჯერ მაინც აბერხებდა დღის სინათლეზე ამოსვლას. კლდე-ღრეში, ბნელ ხევ-ხუვში, გახრწნილების ჭაობშიც კი აყვავდებოდა ხოლმე და აღვივებდა დაუსრულებელ ოცნებასა და დაუშრეტელ იმედს უკეთესი მერმისის მოახლოებაზე.

ერთგულება მწვერვალებისა

როდესაც კითხულობ გურამ ასათიანის წიგნს „სათავეებთან“, უმალვე თვალწინ წარმოგიდგება „ახალი მიწა“ მთელი თავისი იდუმალებითა და მოულოდნელი ჰორიზონტებით. მისი აღმოჩენის პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, გ. ასათიანს არ ეკუთვნის. წარმოუდგენელიც იქნებოდა, დღემდე არავის შეემჩნია ჩვენგან ესოდენ ახლოს მდებარე სივრცე და არ გასჩენოდა მისი გაცნობის სურვილი. მით უმეტეს, რომ ამ მიწის აღმოჩენა შორეულ ექსპედიციაში ხომალდების წარგზავნის გარეშეც შეიძლებოდა. „ახალი მიწა“ ჩვენს გარშემოა, ჩვენი წარსულისა თუ აწმყოს იერსა და ხასიათში, ხალხის მეხსიერებასა და წიგნებში. მისი აღმოჩენა მოითხოვდა მხოლოდ გამჭრიახი გონების თვალით ჭვრეტას და გრძნობათა გამძაფრებას, გამოსვლას ყოველდღიურობის ჩარჩოებიდან, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს ყოველდღიურობა, დაძაბული თუ მონოტონური. დიახ, ოდითგანვე ყოფილა მოკრძალებული ცდები ამ „ახალი მიწის“ შესასწავლად, ხანმოკლე თვალის შევლების სურვილი, რასაც შემთხვევითობისა თუ ზედაპირულობის ელფერი უფრო დაჰკრავდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ათვისება და გულმოდგინე განჩხრეკა ითავა გ. ასათიანმა და XX საუკუნის მკვლევარის ერუდიციითა და შემართებით გადადგა პირველი ნაბიჯები.

გ. ასათიანის ნაშრომის ქვესათაურია „რამდენიმე ცდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად“. ასეთი რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ობიექტურობასა და ფიქრთა სიფხიზლეს. აუცილებელი ხდება საღი მსჯელობა სიმრთელესა და უკმარისობაზე. ფრთხილი და კრიტიკული მიდგომა ნამდვილი თუ მოჩვენებითი ღირსებების მიმართ, რათა საეჭვო ქიმერებმა არ წაშალონ ის, რაც ჩაძირულია სიღრმეში და ზოგჯერ მხოლოდ უცხო თვალს ძალუძს მისი წვდომა და გამოვლენა.

ამ „ახალი მიწის“ კვლევისას უნებურად მოგაგონდება მითიური ზღვაოსნის მარშრუტი სცილასა და ჭარიბდას შორის. მკვლევარსაც ანალოგიური საფრთხე ემუქრება ორივე მხრიდან — უვნებლად უნდა გაიაროს ეროვნული ნიჰილიზმისა და „ურა-პატრიოტიზმის“ ბრჭყალებს შორის.

„სათავეებში“ ახლო მანძილიდან ვხედავთ „ახალი მიწის“ მწვერვალებს, რომელთაც უშუალოდ ემეზობლებიან უფსკრულები. ისინი უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, ხან ეჭიშპებიან ერთიმეორეს, ხანაც — მიელტვიან, ეთვისებიან. მწვერვალზე ასვლა მოითხოვს ხანგრძლივ დროსა და ადამიანის სასიცოცხლო ძალების უკიდურეს დაძაბვას. ხოლო უფსკრული ყოველ ნაბიჯზეა, ჯიუტად მისდევს მწვერვალისაკენ მიმავალ ბილიკს. უფსკრულში გადაჩეხვა გაცილებით ადვილია, ვიდრე მწვერვალის დაპყრობა.

გ. ასათიანის წიგნის ფურცლებზე უხვად არის გამოტანილი ქართული სულის მწვერვალები: ტოლერანტული სულისკვეთება და სილაღე; „აღთქმული ქვეყნის“ ძიების ჟინი; მისწრაფება სულისა და ხორცის, ანუ იდეისა და ფორმის შერწყმა-ერთიანობისაკენ, რასაც თან სდევს მათი ჰიდილი და მწვავე ურთიერთწინააღმდეგობა; ისტორიული და ლიტერატურული პერსონაჟების მრავალფეროვანი გალერეა ანტიპოდური წყვილების დაპირისპირებით; კლასიკური ჰარმონია „ვეფხისტყაოსნისა“, და სხვ.

გ. ასათიანის წიგნში ერთგვარ გაფრთხილებად გაისმის ავტორის მიერ მეცნიერული ანალიზისა და პოეტური შთაგონების ძალთა შესისხლხორცების შედეგად გაჩენილი მომხიბლავი მეტაფორა: „ქართული სულის მდინარებას არასდროს არ ჰქონია (ასეთი ილუზიით თავს ნუ მოვიტყუებთ) ვიეკანანდას მშობლიური განგის ან ნილოსის წყალმრავალი დელტის სიფართოვე. ისეთი ჟამიც გვახსოვს, მისი ერთი ნაპირიდან მეორეზე აქა-იქ ჩელტის ხიდიც გაიდებოდა, განსაკუთრებით ხანგრძლივი გვალვების დროს. მაგრამ, როგორც მთის ერთი ღვართქაფიანი მდინარე, ის მუდამ — სადაც კი გასაქანი მისცემია — მედგრად, დაუმდორებლად, ზოგან კი თავბრუდამხვევი სისწრაფით და შემართებით მიაპობდა თავის ქარაფოვან კალაპოტს; თუ ერთ მოსახვევში სუნთქვა ელეოდა, მეორეში უეცარი კამარით გადაევლებოდა უფსკრულის პირს. მისი იმედი ტალღის სიძლიერეში იყო და არა წყალთა სიმრავლეში. ამ ლაღ, მოკისკასე ნაკადს ისეთი მწვერვალების ნაჟური კვებავდა, რომ მისი თავისთავად დაწრეტა პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს“.

გ. ასათიანის მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეა — მეტაფორა საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმის შთაბეჭდილებას ტოვებს და წარმოგვესახება იმის მტკიცე საწინდრად, რომ კვლევისა და განს-

ის ობიექტი არ მოწყდება მიწას და ცის უსასრულობაში არ ჩაიკარგება.

„სათაევების“ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომი მხოლოდ რამდენიმე ცდაა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად, და არა ფუნდამენტური მონოგრაფია, ამდენად მასში გამორჩენილია ზოგიერთი პარაგრაფი, რომელთაგან ერთი „ქართული ხასიათის საბედისწერო სისუსტეებს“ მიეძღვნებოდა. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ეს პარაგრაფი მაინც არსებობს წიგნში, თუმცა დამოუკიდებელი სახე არ გააჩნია. მისი მხოლოდ ცალკეული ნამსხვრევები გაფანტულა სხვადასხვა მონაკვეთებში. ზოგჯერ კი, შესაძლოა ავტორის უნებურად, თავს ამოყოფს ხოლმე სრულიად მოულოდნელ ადგილას.

„საქართველოს ნამდვილი სიყვარული, — წერს გ. ასათიანი, — ქართული სულის მიერ მოპოვებულ მწვერვალებისადმი ერთგულებას უნდა ემყარებოდეს“.

მაგრამ მწვერვალების ერთგულება არ გამორიცხავს უფსკრულთა მიზიდულობის ძალას. გ. ასათიანი ამიტომაც შეგვახსენებს, რომ ისტორიის გარკვეულ მომენტებში აუცილებელია „მწარე სიმართლის“ თქმაც, ანუ — გამოფხიზლება, მკვახე შეძახილი, უტყუარი სარკე, რათა უფსკრულის პირას მდგარს თვლემა არ მოერიოს და საშიში ზღვარი არ გადალახოს.

გ. ასათიანის მიერ წამოჭრილი პრობლემების ყოველმხრივ გააზრება, ალბათ, დღესაც არ იქნებოდა ურიგო, ვინაიდან საქართველოს ისტორიითა და ქართული მწერლობით დაინტერესებულ მკითხველს ზოგჯერ დეზორიენტაციის მოწამლული მარცვლებით ასაზრდოებენ. ამგვარი გზა ძალზე მომგებიანია, განუწყვეტლივ იხვეჭს მადლიერი საზოგადოების ტაშსა და სიყვარულს და თავისი ეფექტურობით მიბაძვის სურვილს ბადებს სხვებში. სუფრაზე წარმოსათქმელი „ლამაზი სიცრუე“ ლამობს წიგნებში დამკვიდრებას და დეზორიენტაციის მარცვლები ბარაქიან მოსავალს გვპირდება სამკრმისოდაც. იავნანასავით ჩაგვესმის ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“ და ირონიული მათრახი ლამის პათეტიკურ ბაირაღად გადავაქციოთ. მით უმეტეს, რომ „ბედნიერის“ ადგილზე ნებისმიერი ბრჭყვიალა ეპითეტის ჩასმა შეიძლება ჩვენი თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის დასაპურებლად. ზემოთქმული ეიფორია განეკუთვნება ჩვენში უკვე დაგ-

მობილ ნეგატიურ მოვლენათა რიგს და წუთითაც არ შეიძლება მასთან ბრძოლის შეწყვეტა.

„სათავეებში“ განხილული საკითხების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. ხანდახან, ერთადერთი აბზაციც კი აღგიძრავს სურვილს, განავრცო და უფრო ხმამაღლა ამეტყველო მიჯრით მიწყობილი დასკვნები, აღადგინო ის გზა, რომელიც გაიარა ამა თუ იმ დებულების ჩასახვა-განვითარებამ; დღის სინათლეზე გამოიტანო ის უაღრესად საგულისხმო ფაქტები და დაკვირვებანი, გ. ასათიანის წიგნის ზედაპირზე რომ აღარა ჩანს, მოარული აისბერგის წყალქვეშა ნაწილისა არ იყოს.

გ. ასათიანის წიგნში ზოგი რამ, რასაკვირველია, საკამათო არის და ზოგიც — ეგებ მიუღებელი. სხვაგვარად, ალბათ, ძნელი წარმოსადგენიცაა. მირაჟი ხომ შემადგენელი ნაწილია ახალი ჰორიზონტებისა და მოწყურებული მოგზაური ობიექტურ სინამდვილედ აღიქვამს მას.

„სათავეების“ განხილვის დაწყებისას დართულ წინასიტყვაში გურამ გვერდწითელი შენიშნავს: „გურამ ასათიანის დღევანდელი და ხვალინდელი ბედნიერი სიცოცხლის გარანტი მარტო ის კი არ არის, რომ მის ნაწერებში ბევრი რამ უეჭველია, სარწმუნოა, განუმეორებლად ნათქვამია, არამედ ისიც, რომ კამათის, აზრის მოძრაობის სურვილსაც ბადებს, ორთავ შემთხვევაში კი ავტორისადმი მხოლოდ ღრმა პატივისცემის, მადლიერების, აღტაცების გრძნობას იწვევს ჩვენში“.

განსაკუთრებით საყურადღებოა იქვე გამოთქმული მოსაზრება, რომ გ. ასათიანმა თავისი „სათავეებით“ უაღრესად საინტერესო კვლევის სფერო მოხაზა, რომელიც მომავალში მთელი ლიტერატურული თაობების საზრუნავ-საფიქრალი შეიძლება გახდეს.

ამ მხრივ მართლაც რომ ფასდაუდებელია გ. ასათიანის ღვაწლი. მისი უკანასკნელი ნაშრომი, უეჭველია, გადაიქცევა არაერიი გამოკვლევის შთამაგონებელ წყაროდ და ახალ-ახალი დაკვირვებების სტიმულად.

„და გზა უვალი, შენგან თელილი...“

მე არ ვაპირებ გ. ასათიანის მთელი წიგნის მიმოხილვას. მინდა შევეხო მხოლოდ ერთ საკითხს, რომელზეც ხანგრძლივად მიფიქრია და მიმუშავია. ხოლო გ. ასათიანის წიგნმა კიდევ უფრო გამიღვივა ინტერესი და მაიძულა ახალი ასპექტით დამენახა ზოგი რამ. ასეთი

კეთილისმყოფელი ზემოქმედების ძალა, რა თქმა უნდა, მთავარი ღირსება არ გახლავთ „სათავეებისა“, მაგრამ ჩემი სუბიექტური შთაბეჭდილებით, ჩვენგან უდროოდ წასული მწერლის დიდ გამარჯვებად მიმაჩნია. ზემოხსენებულ საკითხს, მართალია, შედარებით მცირე ადგილი უჭირავს გ. ასათიანის ნაშრომში, მაინც არ არის სხვათაგან მკვეთრად გამოყოფილი და თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი. სხვა საკითხებსაც ეხმიანება და ზღვის წვეთის მსგავსად გამოხატავს გარკვეულ მთლიანობას. ამდენად, ჩემი გამოხმაურებაც არ უნდა იყოს მოწყვეტილი „სათავეებში“ აღძრული პრობლემების საერთო პათოსს.

„ბასრად, უჩვეულოდ იკვეთება გვიანფეოდალურ საქართველოს მუქ-მეწამულ ფონზე „გათათრებული“ ქართველი კაცის, იმამყული-ხან უნდილაძის სილუეტი“, — ამ სიტყვებით იწყება „სათავეების“ III ჩანართი.

ბუნებრივია, რომ იმ ნაშრომში, რომელიც ცდილობს ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გარკვევას, თუნდაც პატარა ადგილი ეპოვნა უცხო ქვეყანაში აღზევებული და უცხო ქვეყანაშივე ტრაგიკულად დამხობილი ქართველი კაცის სვე-ბედს. ასეთნი ბლომად ყოფილან ჩვენს ისტორიაში, მაგრამ შირაზის ხანი თავისი სიცოცხლითა და სიკვდილითაც საგრძნობლად გამოირჩევა ამ სიმრავლეში. ძალზე შთამბეჭდავია მისი ცხოვრების აპოგეა, რომელიც უკვე წინასწარმეტყველებდა გარდუვალ დაცემას, რაც განპირობებული იყო მტრული გარემოცვის მიერ მისი აღზევებისადმი შეუწყნარებლობითა და უზენაესი მბრძანებლის კაპრიზებზე დამოკიდებული გავლენიანობის ეფემერულობით.

შირაზის ხანის ვინაობა და მოღვაწეობა, მისი მშფოთვარე თაგადასავალი საკმაოდ ვრცლად არის ასახული როგორც ქართულ, ისე უცხოურ საისტორიო წყაროებში და ამავე დროს — ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ფურცლებზეც.

რით გვიბრალავს შირაზის ხანის პიროვნება?

უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმით, რომ მისი სახელი გასცდა გეოგრაფიულ საზღვრებს და ქართველი კაცის ქება-დიდება გაიტანა უცხო ქვეყნებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წარსულის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან თითო-ოროლა თუ შეედრება შირაზის ხანს თავისი პოპულარობით ევროპელი მკითხველის თვალში.

შირაზის ხანის სახელი და საქმენი დამოწმებულია თით[illegible]ქის ყოველი მოგზაურის თხზულებაში, რომელსაც XVII საუკუნ[illegible], თუნდაც მცირე ხნით, დაუდგამს ფეხი ირანის მიწაზე. ასეთივე ყურადღებით მოიხსენიებენ მას ირანსა თუ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა ჩანაწერები.

შირაზის ხანს, წარმოშობით ქართველს და რჯულით მაჰმადიანს, აქებენ სპარსელები, ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები, გერმანელები და ესპანელები, რომ ალარაფერი ვთქვათ თავად ქართველებზე.

ერთი სიტყვით, აქებს მოყვარე-მოკავშირე, აქებს ნეიტრალი და არ იშურებს ქებას მტერიც.

პიეტრო დელა ვალე თავის ცნობილ წიგნში „მოგზაურობანი" მოგვითხრობს შირაზში ესპანეთის ელჩის ჩასვლასა და მის საზეიმო დახვედრას ქალაქის შემოგარენში. შირაზისაკენ დაძრულ, ზა-ზილ-პიპილებით აფერადებულ კავალკადას წინ მიუძღოდა უმცროსი ძმა შირაზის ხანისა, დაუდ-ხან უნდილაძე. ესპანეთის ელჩი გზაში ესაუბრებოდა თავის მასპინძელს და ეპირფერებოდა, უზომოდ აზვიადებდა რა მისი მამის ალავერდი-ხანის სიმამაცეს და ამბობდა, ძალზე ვწუხვარ, რომ ცოცხალი არ დამიხვდაო. პიეტრო დელა ვალე აღიარებს, ამ სიტყვებმა ერთობ განმაცვიფრაო; მართალია, ალავერდი-ხანი ნამდვილად ღირსი იყო ქებისა, მაგრამ ესპანეთის მეფის ელჩისგან ამგვარ მეგობრულ გრძნობებს არ იმსაბურებდაო, ვინაიდან სწორედ მან წაართვა პორტუგალიელებს (იმ ხანებში პორტუგალია ექვემდებარებოდა ესპანეთის სამეფოს) ბაჰრეინის კუნძული, განთქმული ძვირფასი მარგალიტების მოპოვებით, ხოლო მისმა შვილმა იმამყული-ხანმა იმავე პორტუგალიელებს სიგრძით ორას მილზე მეტი ხღვის სანაპირო ზოლი გამოსტაცა. ენაგალესილი ესპანელი დიპლომატი, რა თქმა უნდა, არც ცოცხალ იმამყული-ხანს მოაკლებდა ქათინაურებს. იტალიელი პილიგრიმის გაკვირვება (თუ აღშფოთება?), გამოწვეული ესპანელი ელჩის ტკბილსიტყვაობით, გულუბრყვილოდაც შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგანაც დელა ვალეს, ცხადია, ჩვენზე უკეთ უნდა სცოდნოდა ესპანელთა გულისნადები — მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ ურთიერთობა სეფიანთა სამეფო კართან, სადაც არცთუ უმნიშვნელო ხმა ეკუთვნოდა შირაზის ხანს.

როგორც ცნობილია, იმამყული-ხანი განაგებდა ფარსის პროვინ-

ციას (სამხრეთი ირანი), რომლის ტერიტორია, თანამედროვეთა სიტყვით, გაცილებით ვრცელი იყო პორტუგალიაზე, ხოლო თავისი ძლიერებითა და მდგომარეობით არ ჩამოუვარდებოდა ევროპის მრავალ სამეფოს. ესპანელი ელჩის დიპლომატიური ფანდებიც ადასტურებს შირაზის ხანის გავლენასა და ძალა-უფლებას.

ჩვენ გვხიბლავს უცხო ქვეყანაში, მაჰმადიანურ სამყაროში აღზევებული ქართველი კაცი; გვხიბლავს მიუხედავად იმისა, რომ იგი მაჰმადიანია რჯულით, ზნე-ჩვეულებებით. საქართველოში არ დაბადებულა, საქართველო თვალით არ უნახავს. საკმაოდ ცნობილ გარემოებათა გამო, შესაძლოა, ენა ქართულად აიდგა, მაგრამ ძალზე შორეულ ზმანებად უნდა ეჩვენებოდეს თავისი სამშობლო, თუკი შეიძლება ეს სახელი ეწოდოს იმ მიწას, საიდანაც მისი წინაპრები არიან წამოსული თუ წამოყვანილი.

გვხიბლავს შირაზის ხანის ძლევამოსილება, მისი უჩვეულო სიმდიდრე და ქველმოქმედება, მისი ხელგაშლილობა და სტუმართმოყვარეობა, ბრძენი მმართველის ზრუნვა თავისი სამფლობელოს კეთილდღეობაზე. გვხიბლავს ის ილუზიაც, რომელსაც აღძრავს მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდი — თეიმურაზ პირველთან ერთად ბრძოლა სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ და სათუო გამარჯვების შემთხვევაში ირანში მისი გარეგენტება-გაბატონების საოცარი პერსპექტივა. რომელიც, მართალია, ქაღალდზე დაწერილ ოცნებად დარჩა, მაგრამ, როგორც ყოველგვარი ოცნება და დასაშვები შესაძლებლობა, ინარჩუნებს მოჩვენებითი რეალობის ჯადოს, ხოლო ის ერთადერთი გადამწყვეტი და გადაუდგმელი ნაბიჯი, სინამდვილედ რომ უნდა ექცია ილუზია, აუხსნელ და საბედისწერო გაუგებრობად მიგვაჩნია.

ერთი სიტყვით, ისტორიულ მეხსიერებას ძალზე მიმზიდველი შტრიხებით შეუმკია შირაზის ხანის პორტრეტი. გვეამაყება და სინანულით ვფიქრობთ, რომ ვიწრო ასპარეზი გამოუსწორებელი ხარვეზი იყო ჩვენი წარსულის მოღვაწეთათვის...

ჩვენს ძვალ-რბილში გამჯდარ ამ აზრს განა კიდევ ერთხელ არ ადასტურებს შაჰ-აბასის დიდ იმპერიაში აღზევებული ქართველი კაცის ამბავი?

ვკითხულობთ ევროპულ წყაროებში შემონახულ ცნობებს შირაზის ხანის შესახებ და აღტაცება გვიპყრობს...

შირაზის ხანის პიროვნებითა და მოღვაწეობით ქართული ისტორიოგრაფიისა და ქართველი მკითხველის დაინტერესებას განსაკუთრებით აცხოველებს ის ფაქტი, რომ იმამყული-ხან უნდილაძეს გარკვეული ურთიერთობა და კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. მისი ცხოვრების ეპიზოდები უშუალოდ გადაჭდობილა ქეთევან დედოფლისა და თეიმურაზ მეფის ბედთან. ამ თვალსაზრისით, გაცილებით ნაკლებ ინტერესს იწვევს შირაზის ხანის მამა ალავერდი-ხანი, რომელმაც სათავე დაუდო სეფიანთა ირანში უნდილაძეთა აღზევებას. მისი სახელი უცნობია ქართული წყაროებისათვის და მის მოღვაწეობას არაფერი აქვს საერთო საქართველოს ისტორიასთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სეფიანთა ირანის პირველ ყულარაღასს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის შაჰ-აბასის იმპერიის სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში, რაც არცთუ სასიამოვნო მოგონებებს იწვევს ჩვენში. მაგრამ მამისგან განსხვავებით, იმამყული-ხანი, ფაქტიურად, საქართველოს ისტორიის ფიგურაა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი სისხლ-ხორცია და ჩვენვე უნდა განვსაჯოთ იგი მთელი თავისი ავკარგიანობით.

თითქოსდა უკვე ყველაფერი იყო თქმული შირაზის ხანის შესახებ, არაკი თუ მართალი, დითირამბი თუ ფხიზელი შეფასება. მაგრამ გ. ასათიანმა, გამომზეურებული მასალების საფუძველზე, შეძლო ახალი და გაბედული სიტყვა ეთქვა. მან ახალი კუთხით შეავლო თვალი შირაზის ხანის ფენომენს და სულ რაღაც ხუთიოდე გვერდზე მოახერხა ჩატევა „გათათრებული“ ქართველი კაცის სილუეტისა.

გ. ასათიანის აზრით, შირაზის ხანის მთელი ცხოვრება უმძაფრესი დრამაა, მსგავსი შექსპირის „სისხლიანი“ ქრონიკებისა, ოღონდ აღმოსავლურ ყაიდაზე შეფერადებული. მისივე დასკვნით, დაძაბული ორთაბრძოლა შირაზის ხანსა და ქეთევან დედოფალს შორის გადაუმუშავებლად შეიძლებოდა შესულიყო აღორძინების ხანის ნებისმიერ ტრაგედიაში, ან ჩვენი დროის ფსიქოლოგიურ დრამაში.

ამგვარი, ჯერ შეუქმნელი ნაწარმოების ლიბრეტოდ შეიძლება წარმოგვესახოს „სათაეებში“ ჩართული თხრობა შირაზის ხანის შესახებ.

მწერალ-ესეისტის კალამი არ სჯერდება ისტორიული სინამდვილის თავისთავად მიმზიდველ კოლორიტს, დაჟინებით ეძებს ფარულ

კოლორიტს, კიდევ უფრო აცოცხლებს ჩვენთვის ცნობილ ფაქტებსა და ფსიქოლოგიურ სურათებს.

გ. ასათიანი ამტკიცებს, რომ შირაზის ხანის სახეში მთავარია ჯოჯოხეთური ვერაგობისა და თვალთმაქცობის ატმოსფეროში აღზრდილი და აღზევებული კაცის მისწრაფება სიკეთისა და სიმართლისაკენ, რასაც განხორციელება არ უწერია, რადგანაც მღვრიე მორევში ჩათრეულს აღარ ძალუძს, რომ დაიხსნას თავი და ეზიაროს სინათლეს.

„სათავეებში" გამოტანილია მნიშვნელოვანი და, ვგონებ, ძალზე ორიგინალური დასკვნა იმის თაობაზე, რომ ყველაზე ზუსტი და ყველაზე მრავლისმომცველი ემბლემა ქართული ხასიათისა არის პრომეთე (ანუ ჩვენი ამირანი) — შეურიგებლობის, შეუგუებლობის სული; პირველი ურჩი ვასალი, პირველი ანტიკონფორმისტი კაცობრიობის ისტორიაში; ყოველგვარი ტირანიის უპირველესი მოძულე და თავისი კაცთმოყვარული მრწამსის თავდავიწყებამდე ერთგული, ყველაზე ადამიანური ღმერთი ბერძნული პანთეონისა.

„შემთხვევითი არაა, — წერს გ. ასათიანი, — რომ ჩვენმა XIX საუკუნემ სწორედ ეს სახე ამოირჩია თავისი სულისკვეთების სიმბოლოდ".

პრომეთეული საწყისი ახლობელი და მშობლიურია ქართული სულის მწვერვალებისათვის.

ჩვენი ქვეყნის რჩეული შვილები ავლენდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებებს. ისინი უძლებდნენ ყველა გასაჭირს, თავისი მხრებით მოჰქონდათ ყველაზე მძიმე ტვირთი და ემსუბუქებოდათ. ისინი მიითვლიდნენ ყველა ტკივილს და თავისი მაგალითით სხვებსაც მოუწოდებდნენ არა მარტო ჭირთათმენას, არამედ მათი დაძლევის, გადალახვის გზაზე დადგომას. ისინი ამბობდნენ ყველას სათქმელს და შემდგომში ყველა იმეორებდა მათ ნათქვამს. სწორედ ისინი მიდიოდნენ ქართველი ხალხის ღირსეულ „დესპანებად" ცხოეთში, რათა თავისი მცირე წვლილი შეეტანათ კაცობრიობის სულიერ ისტორიაში.

... უილიამ ფოლკნერის ერთ-ერთი პერსონაჟი, ესპანეთის სამოქალაქო ომიდან დაბრუნებული სათნო და მომხიბლავი ქალი, ამაყად ამბობს დაღუპული მეუღლის შესახებ, რომელმაც თავისი შემოქმედება გვერდზე გადასდო ჰუმანიზმის იდეალებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად: „რომელი სტრიქონი, რომელი

ლექსი, ან თუნდაც პოემა შეედრება იმას, რომ ადამიანი თავს სწირავს, რათა უთხრას „არა“ ისეთებს, როგორიც არიან ჰიტლერი და მუსოლინი?“.

ჩვენი ისტორიის საკლასო ჟურნალი აჭრელებულია ასეთი ჯიუტი „არებით“, თუმცა საკმაოდ ხშირად იშვიათი სიბეჯითით ვუსმენდით მკაცრ მასწავლებელს, ზეპირად ვსწავლობდით უცხო გაკვეთილებს, სხაპასხუპით ვიმეორებდით, ბეჯითადვე ვაბარებდით გამოცდას და სანატრელ ფრიადს ვიმსახურებდით. დიახ, კეისარს ვუჯდიდით კეისრისას და ღმერთს — ღვთისას. შესაძლოა, ასეთი გულმოდგინება დასაგმობიც არ იყოს, რადგან ფიზიკურ არსებობას გვინარჩუნებდა, მაგრამ მით უფრო საამაყო და თავმოსაწონია მტარვალთა მისამართით ნათქვამი უარი და თავად უარისმთქმელნი — დიდებული შუქურები ჩვენი წარსულისა.

მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ქეთევან დედოფალს.

როდესაც ქეთევანს გამაჰმადიანება მოუწოდეს, თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საწადელს ვერ მიაღწევდნენ („ვიცი, რომ არ გათათრდების“, — წარმოთქვამს შირაზის ხანი თეიმურაზ მეფის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“). ცხადია, ადრეც შეიძლება მოეთხოვათ გამაჰმადიანება და თუკი წამება წარმოადგენდა შურისძიების აქტს „მეამბოხე“ თეიმურაზის მიმართ, იმ ათი წლის მანძილზე, რაც ირანში იმყოფებოდა ქეთევან დედოფალი, თეიმურაზს არაერთხელ მიუცია საბაბი შურისძიებისათვის.

მაგრამ ქეთევანს გამაჰმადიანება მოსთხოვეს 1624 წელს, საქართველოზე გადამწყვეტი დარტყმის წინ, რათა სულიერად ან ფიზიკურად მაინც მოესპოთ ქართველი ხალხის სიმტკიცის სიმბოლო.

ქეთევან დედოფლის თავგანწირვა არ იყო ნაკარნახევი აგიოგრაფიული გმირის სარწმუნოებრივი ფანატიზმით, რომელიც ზოგჯერ პათოლოგიურ ელემენტსაც შეიცავდა ხოლმე. ქეთევანის უარი გამაჰმადიანებაზე ნიშნავდა, უპირველეს ყოვლისა, თავდადებას სამშობლოსათვის. სხვა არავითარი იარაღი არ ჰქონდა ხელთ, გარდა სულიერი აბჯრისა. მხოლოდ თავგანწირვით, მხოლოდ მოწამებრივი სიკვდილით შეეძლო ბრძოლის გაგრძელება და თავისი უსწორობის გადაქცევა საყოველთაო ძლიერებად. ქეთევან დედოფლის თავდადება დაუგეგმავი პრელუდია იყო გმირული 1625 წლისა. საფიქრებელია, რომ მარტყოფსა და მარაბდას, სხვა ფაქტორებთან

ერთად, შთააგონებდა შირაზში წამებული დედოფლის მხნეობა და თავგანწირვა.

ქეთევანი თითქოსდა ხედავს საქართველოს თავზე მოახლოებულ სასწაულს, მისი უკანასკნელი ლოცვა მხოლოდ რელიგიურ ექსტაზს არ შეიცავს, ამქვეყნიური საზრუნავიც ახსოვს და უფალს ევედრება: „შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა“.

სულიერი და ნივთიერი ორგანულად ერწყმიან ერთიმეორეს ქართველი წმინდანის ბუნებაში. ფხიზელი გონებით აღჭურვილი ეგებება მის წინაშე წამოჭრილ ალტერნატივას. კარგად იცის, რომ მისი გამაჰმადიანება უმცირეს სარგებლობასაც კი არ მოუტანს არავის — არც მის შვილსა და, რაც მთავარია, არც სამშობლოს (თუმცა დაბეჯითებით უმტკიცებს საწინააღმდეგოს შირაზის ხანი, მაგრამ მიამიტური სიცრუე ვერ აღწევს მიზანს). გამაჰმადიანება მხოლოდ დამარცხებას ნიშნავს, გამარჯვების ერთი პაწაწკინტელა ნამცეციც არა ჩანს მასში. ერთადერთ „მოგებას“ წარმოადგენს ფიზიკური არსებობის გაგრძელება.

ბრძანა: „თუ რჯული დავაგდო, რას მიმუქფებენ დარესა,
პატივსა ვინმე მიჩენებს, ხმელზე სწორ უპოვარესა,
ან ვინმე ჩემსა სამკვიდროს მიმიშვებს, მიმაკარებსა?“

ეს სტრიქონები თეიმურაზის პოემიდან არის.

გრიფიუსის ტრაგედიაში ქეთევანი ამბობს: „და რისთვის? რათა ცარიელი ავივსოთ კუჭი და შიშველ ტანზე შევიმოსოთ სამოსი ფუჭი!“ (თარგმანი აკ. გელოვანისა).

თუკი დავუშვებთ ფანტასტიკურ ვარაუდს (ნურავინ ჩამითვლის მკრეხელობად), რომ დედოფლის გამაჰმადიანება მართლაც იხსნიდა სამშობლოს, ვინ იცის, დედოფალს გაეღო ეს მსხვერპლიც, რადგანაც ის ჯერ ეროვნული წმინდანია და მერეღა — სარწმუნოების მონა-მორჩილი ადეპტი.

ქეთევან დედოფალს თავს ახვევიან მხლებელნი — თვისტომნი და ქრისტიანები, მაგრამ იგი მარტოდმარტო რჩება ჯალათების პირისპირ. დედოფლის მარტოობა შესაძლოა უფრო მძიმეც იყოს, ვიდრე მარტოობა ალუდა ქეთელაურისა, ვისი აჯანყებული სულიც იბრძვის გმირს ჩამორჩენილი მასის წინააღმდეგ. ქეთევანი მარტოა თანამოაზრეთა გარემოცვაში. ამაო ხმად მღაღადებლისა გაისმის მისი მოწოდება: „აჰა ჟამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა“. ქეთევანის მრწამსი, მისი სიცოცხლის მთავარი ბგერა უცხო როდია

მისი მხლებლებისათვის, მაგრამ მათი ხორცი სძლევს სულს. შემკრთალნი და ათრთოლებულნი, თავისი დამცირების ფასად, ყიდულობენ სიცოცხლეს და ღალატობენ სასიკვდილოდ განწირულ დედოფალს. მათი ქრისტიანობა, ჩანს, ლოცვითა და მარხულობით ამოიწურება. გოლგოთა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია (ცხადია, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დედოფლის თავგანწირვა შეუდარებლად დიდ რეზონანსს გამოიწვევდა).

გულმოკლული წმინდანი თანაგრძნობასღა ითხოვს: „თუ არ ეწამოთ, ნუ წახვალთ, აქ დამემოწამენითა“.

უჭირს მარტოობა.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს გ. ასათიანის შემდეგ მოსაზრებას: „ქართული სული თანავრძნობის მაძიებელი სულია“.

ქეთევან დედოფლის თავგანწირვა მოგვაგონებს პრომეთეს ცეცხლოვან ნადავლს. წამებულის მაგალითმა უნდა გაათბოს და აღაგზნოს სამშობლოს მკვიდრთა დამზრალი გულები.

ქართველ მეფე-ფეოდალთა გამაპმადიანება, უფრო ხშირად, ნაკარნახევი იყო პირადი ინტერესებით, ხანდახან — მშობელი ქვეყნისათვის სარგებლობის მოტანის მიზნითაც. მაოგან საუკეთესონი მწვავედ განიცდიდნენ ქრისტიანული სარწმუნოების თუნდაც ფორმალურ ღალატს (არჩილი: „რად მოვიღორე, ვერ დავიღვარე სისხლი ქრისტესთვის, ვა ჩემს სწავლასა“; ვახტანგ VI: „მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები!“). მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ასეთი ნაბიჯი მაინცდამაინც მძიმე განცდების წყარო არ ყოფილა. სულხან-საბას ერთ-ერთ ქადაგებაში ჰიპერტროფირებული სახით არის წარმოდგენილი იმდროინდელი ქართველი კაცის სკეპტიკური დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი, თითქმის ცინიზმამდე მისული: „ერთი ვინმე უარის-მყოფელთაგანი მელიზღებოდა და მე ვარქვი: „განმეშორე შვილო ჯოჯოხეთისაო-მეთქი!“ ხოლო მან მომიგო და მრქვა: „არა, ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფევლისაო“. მე ვკითხე: „ვითარ?“ მან მომიგო: „ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსლვას, უკეთუ იგი არს ძე ღმრთისა და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მით მირონისა მისისათა და, უკეთუ მოჰმადი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისსა წინადაცვეთილებისასა. და ანუ ერთი აღმიყვანს ზეცად ანუ მეორეო“, და იცინოდა ფრიად“.

ზემოხსენებული ორპირი კაცის გულწრფელი (თუ გულუბრყვი-

ლო?) აღიარება მეტნაკლებად გამოხატავს XVII—XVIII სს. საქართველოში შექმნილ ვითარებას (გაიხსენეთ თეიმურაზ პირველის სტრიქონები: „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა, არ გაკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა?!“). ზოგიერთი პიროვნება შიიტობასაც ასწრებდა და სუნიტობასაც, ხან ყიზილბაშთა, ხან ოსმალთა სამსახურში.

ანტიპოდი ქეთევან დედოფლისა — შირაზის ხანი არაა შებორკილი ქრისტიანული სარწმუნოების ხუნდებით. არც გამაჰმადიანებულ ქართველთა გაორება და სინდისის ქენჯნა აწუხებს. დაბადებიდანვე მაჰმადიანია, დიდი და ძლევამოსილი იმპერიის ერთგული მსახური. შირაზის ხანისათვის უცხო და გაუგებარია ქართული სულის პრომეთეული საწყისი, რომლის თვალსაჩინო გამოვლინებასთან შერკინება არგუნა ბედმა. შირაზის ხანი ძალზე პრაქტიკულად უყურებს დედოფლის გამაჰმადიანების საკითხს. უმწეო მანდილოსანს, უცხო ქვეყნის ტყვეს, აღარავინ უწვდის დახმარების ხელს და იმედის ნაპერწკალიც აღარ შერჩენია. „იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწ ესია“, — მიმართავს დედოფალს შირაზის ხანი. რა თქმა უნდა, იგი ცამდე მართალია (თავისი სამრეკლოდან), როდესაც ამტკიცებს, რომ ძალა შაჰ-აბასის ხელშია და სიკვდილმისჯილ ქრისტიანს ვერაფრით შეეწევა იესო ქრისტე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრიფიუსის ტრაგედიაშიც გარკვეული აღგილი აქვს დათმობილი ქეთევანისა და შირაზის ხანის კამათს სარწმუნოების საკითხებზე. თავით ფეხამდე ნივთიერების საწყისს დაშორჩილებული იმამყული-ხანი ირონიულად შენიშნავს: „ძლიერ გწამთ ისა, ვინც აქამდე გაქციათ ზურგი?“.

შირაზის ხანის მცდელობა, გადაათქმევინოს ქეთევან დედოფალს უარი გამაჰმადიანებაზე და ამგვარად შეუნარჩუნოს სიცოცხლე, ცხადია, არ აიხსნება იმით, რომ შირაზის ხანი წარმოშობით ქართველი იყო და გული შესტკიოდა თვისტომთათვის. ამ შემთხვევაში, ალბათ, სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს. დავუკვირდეთ იმ ფაქტს, რომ შაჰ-აბასის ულმობელი ბრძანებით გაოცებული შირაზის ხანი წარმოთქვამს: „თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“ მისი ტყვე დედაა ქართველი მეფისა, დედოფალია — აი, ეს არის მიზეზი შირაზის ხანის რიდისა.

სხვათა შორის, XVII ს. ქართველი ისტორიკოსი ფარსადან

გორგიჯანიძე მოგვითხრობს ზურაბ ერისთავის მიერ სვიმონ მეფის მკვლელობას, მისსავე თავდასხმას წავკისში მყოფ ჯაჰანბანუ ბეგუძზე (სვიმონის მეუღლე გახლდათ) და გაძარცვა-აწიოკებას. სწორედ მაშინ შემოუთვლია ზურაბისათვის თეიმურაზს: „ერანის ხემწიფის შვილისშვილი არისო, დედოფალს არა შესცოდოთ რამეო“.

ეს გაფრთხილება არ უნდა იყოს გამოწვეული სიუზერენის შიშით. ჩანს, ირანის შაჰის შვილიშვილზე, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, გარკვეული იმუნიტეტი ვრცელდებოდა. შირაზში დატყვევებული ქართველი დედოფალიც, ალბათ, იწვევდა ანალოგიური მოწიწების გრძნობას...

მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი უკანა პლანზე გადავიდა — ქეთევან დედოფლის ავტორიტეტიც, შირაზის ხანის კეთილშობილებაც და აღსრულებულ იქნა სასიკვდილო განაჩენი. და ეს მოხდა ქალაქ შირაზში, იმამყული-ხანის საბრძანებელში.

გ. ასათიანი წერს „ვიდრე ქართველი ხალხი ქეთევან წამებულის წმინდა ახრდილს ეთაყვანება, იმამყული-ხანის სახელს ვეღარავინ ჩამორეცხავს ამ საზარელ ლაქას“.

ძალზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო დასკვნაა!

გ. ასათიანმა ამ სიტყვებით თამამად გაარღვია პიეტეტის ის მოჯადოებული წრე, რომელიც შემოვარტყით სახელგანთქმულ შირაზის ხანს და სადღაც, ძლივს შესამჩნევ სქოლიოში მივჩქმალეთ მართლაცდა „საზარელი ლაქა“.

უნდილაძეთა საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა ზურაბ ავალიშვილმა და, როგორც იტყვიან, მანვე გამოუშვა ბოთლიდან ჯინი, რომელიც თვალის ერთ დახამხამებაში გაიზარდა, დასაშვებ გაბარიტებს გადააჭარბა და ოდნავ შემაშფოთებელი სახეც კი მიიღო.

აღარ გვაკმაყოფილებს მისი ქართული წარმოშობა, მის ხასიათსა თუ მოქმედებაში დაჟინებით ვეძებთ რაიმე ხელმოსაჭიდ ნიშანს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ხასიათს, ქართულ სულს. გვსურს, მთლიანად „გავაქართველოთ“ წარმოშობით ქართველი დიდკაცი.

წყაროებში დამოწმებული ისტორიული სინამდვილე ერთი-ორი შეთხზული დეტალის მეოხებით ზღაპრულ ელფერს იძენს და კეთილშობილი ჯინი სადაცაა ანგელოზად მოგვევლინება. ერთი უცხოური წყაროს ცნობა იმის შესახებ, რომ იმამყული-ხანმა ქა-

თოლიკე მისიონერებს სთხოვა, შირაზის დიდი მედრესეს საჭიროებისათვის ეშოვათ პლატონისა და არისტოტელეს ტექსტები ბერძნულსა და ლათინურ ენებზე, აგრეთვე არაბულ-ლათინური ლექსიკონები და არაბულად თარგმნილი ბიბლია, გვიჩვენებს შირაზის ხანის მზრუნველობას თავის საბრძანებელში არსებული სასწავლებლების მიმართ. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ მოცალეობის ჟამს თვითონაც გადაეკლო თვალი დასახელებულ წიგნებისათვის (თუკი ხელეწიფებოდა). მაგრამ ამგვარი მასალის საფუძველზე ვრცელი ასპარეზი იშლება არამეცნიერული ფანტასტიკის მოყვარულთათვის და მწიგნობრად გადაქცეული შირაზის ხანის ბიბლიოთეკაში ეხედავთ „ვეფხისტყაოსანს“, რომელზეც „ლოცულობს“ შაჰ-აბასის უახლოესი დიდმოხელე!

იმამყული-ხანის თაოსნობით დიახაც შენდებოდა შირაზში მედრესეები და ქარვასლები. მისი მოღვაწეობის ეს მხარე მეტყველებს ახალგაზრდობის სწავლა-განათლებასა და ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ვაჭრობაზე ზრუნვას, მაგრამ საეჭვო იქნებოდა, მწიგნობრისა არ იყოს, ხუროთმოძღვრად მოგვენათლა შირაზის ხანი. გადაჭარბებულად მეჩვენება იმის მტკიცებაც, რომ მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შირაზის ხანი პრინციპულად არიდებდა თავს საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში მონაწილეობას. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება.

ბრძანება ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანებაზე ისპაანიდან მოვიდა შირაზში. ადვილი დასაშვებია, რომ იმავე ისპაანიდან მოსულიყო ამ ბრძანების შესასრულებლად საჭირო ყველა ხერხი, ტკბილი სიტყვიდან — გავარვარებულ მარწუხებამდე. ეგებ ლმობიერებაც და მოთმინებაც სასურველი მიზნის მისაღწევად ისპაანიდან ჩაერანახეს შირაზის ხანს, ვინაიდან შაჰ-აბასს, ალბათ, ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანება უფრო ეჭაშნიკებოდა, ვიდრე წამება. აღძრულ ეჭვს ერთგვარად აღასტურებს XVII ს. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობა: „ამ ქალაქის მმართველს, იმამყული-ხანს, აბასმა მისწერა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ქეთევანი გაემაჰმადიანებინა და თუ დაპირებები, მუქარა და თვით გვემაც კი არ გასჭრიდა, უკიდურესი წამებისათვის მიემართა“.

თეიმურაზის პოემაში, საიდანაც მომდინარეობს სხვა ქართული წყაროების თხრობაც, დედოფლის უარისა და წამებისათვის გამზადების შემდეგ შირაზის ხანი აღარა ჩანს. ასეთივე სურათი შეინიშ-

ნება პორტუგალიელი მისიონერის ამბროზიოს რელაციაში, აგრეთვე – გრიფიუსის ტრაგედიაში, რომელიც ზ. ავალიშვილის მოსაზრებით, ძირითადად, ფრანგი ავტორის კლოდ მალენგრის ნაშრომის მიხედვით უნდა იყოს შექმნილი.

მაგრამ ზოგიერთ უცხოურ წყაროში, ქეთევან დედოფლის წამებისას შირაზის ხანი ისევ სცენაზე იმყოფება. ეს ნათელი გახდება, თუ დავიმოწმებთ ამ ბოლო ხანებში მიკვლეულ მასალას XVII ს. იტალიელი ისტორიკოსის ბართოლომეო ფეროს თხზულებიდან, რომელიც კათოლიკე მისიონერთა რელაციებს ეყრდნობა. იმამყული-ხანის მცდელობისა და ქეთევანის კატეგორიული უარის გადმოცემის შემდეგ ბ. ფერო მოგვითხრობს შემდეგს: როდესაც შირაზის ხანმა დაინახა, რომ მისმა მოწოდებამ უქმად ჩაიარა, ბრძანა, რომ დედოფალი ჩაეკეტათ უბნელეს საკანში და აღარ გაეკარებინათ მხლებელნი. დედოფალი კვლავ შეუდრეკელი იყო და, ხანის ბრძანებით, წელამდე გააშიშვლეს იგი, მიაკრეს ბოძს და გაშოლტეს ისეთი სისასტიკით, რომ სისხლად დაიღვარა. როდესაც დაინახა ხანმა ესოდენ მოულოდნელი სიმტკიცე ტყვე დედოფლისა, ბრძანა, რომ დაენთოთ დიდი კოცონი და დაემუქრა, ცოცხლად დაგწვავ, თუკი გააგრძელებ შენს სიჯიუტესო. მაგრამ ამაო იყო ყველაფერი და ხანმა გასცა ბრძანება, რომ გაეხურებინათ მარწუხები. ჯალათებმა დაუფლითეს დედოფალს ხორცი მკერდსა, მკლავებსა და ზურგზე. იგი ხმას არ იღებდა და მოთმინებით იტანდა ტანჯვას. აღიგზნო მრისხანებით იმამყული-ხანი და გამძვინვარებულმა ბრძანა, რომ ღადღადა ნაკვერჩხლები დაეყარათ დედოფლის ნაწამებ სხეულზე. ბოლოს კი, მისივე განკარგულებით, დედოფლის ცხედარი ჩააგდეს ბინძურ ორმოში.

მეორე უცხოურ წყაროში („კარმელიტთა ქრონიკა“) აღნიშნულია, რომ კათოლიკე მისიონერთა წერილები დიდი მადლიერებით მოიხსენიებენ შირაზის ხანს, რომელიც მფარველობდა და დახმარებას უწევდა კათოლიკურ მისიას შირაზში, მაგრამ ზოგიერთი ს'ეა მონაცემის მიხედვით იმამყული-ხანი ყოფილა სასტიკი და შეპყრობილი ფანატიზმით მაჰმადიანური სარწმუნოების საკითხებთან დაკავშირებით (როგორც ხშირად ახასიათებთ რენეგატებსო).

ჩვენდა სავალალოდ, გამოჩნდა ელვარე მედლის მეორე მხარეც — პირქუში და ჟანგისფერი.

ამდენად, ძალზე მართებულად მეჩვენება გ. ასათიანის დასკვნა:

„თუ როგორი ობიექტური შინაარსი ჰქონდა მის პოლიტიკურ საქმიანობას, ამის დასადგენად ერთი გარემოებაა საკმარისი: უნდილაძე ირანის უსასტიკესი მბრძანებლის შაჰ-აბასის მარჯვენა ხელი იყო“.

შირაზის ხანი, რა თქმა უნდა, იარაღია შაჰ-აბასის ხელში. თუმცა ბრმა იარაღს ვერ დავარქმევთ, ვინაიდან სულიერი საწყისი მის ბუნებაშიც შეიმჩნევა. მაგრამ ქეთევან დედოფალთან წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ იგი კარგავს ყოველგვარ სულიერებას. იტალიელი ისტორიკოსის მიერ აღნიშნული „გამძვინვარება“ აშკარად მეტყველებს დამარცხებული კაცის სასოწარკვეთილ და იმპულსურ მოქმედებაზე. გ. ასათიანი ზუსტად შენიშნავს: „შირაზის ხანისათვის ეს პირველი წაგებული ბრძოლაა და ის იძულებულია საბოლოოდ პილატეს ჟესტით დაკმაყოფილდეს“. პილატეს მსგავსად მასაც უდანაშაულოდ მიაჩნდა განწირული ტყვე, უმძიმდა სასიკვდილო განაჩენის აღსრულება, პილატეს მსგავსად იტყოდა ფარისევლურ სიტყვებს: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა“, და ბოლომდე გაჰყვებოდა პილატეს გზას.

საკამათოა გ. ასათიანის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სწორედ ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ იხრება ქვევითკენ შესამჩნევი მრუდით შირაზის ხანის აღმავალი გზა. ფსიქოლოგიურ დრამას შესაძლოა მოუხდეს ასეთი ვარაუდი, მაგრამ ისტორიული სინამდვილის მიხედვით უფრო სარწმუნოა: შირაზის ხანის ბრწყინვალე კარიერის დამხობა შაჰ-აბასის სიკვდილმა გამოიწვია.

ივანე ჯავახიშვილს საყურადღებო შენიშვნა აქვს გამოთქმული იმ მოშხამული ატმოსფეროს შესახებ, რომელიც სუფევდა სეფიანთა სამეფო კარზე. დაუსრულებელი ქიშპობისა და ვერაგობის ბუდეში ცვალებადი იყო დიდმოხელეთა გავლენიანობა. სწორედ გავლენისა და ძალა-უფლების ხელიდან გამოცლამ, ტახტზე ახალი და გამოუცდელი მბრძანებლის ასვლის შედეგად, მოამწიფა ძმები უნდილაძეების აჯანყება. „მიწის ყივილი“, ალბათ, არაფერ შუაშია.

შირაზის ხანის ცხოვრების ფინალი მართლაც რომ ტრაგიკულია. მისი კეთილშობილება და კაცთმოყვარეობის ლანდი ნათელ ლაქებად აღბეჭდილა მის ბიოგრაფიაში, გვჯერა მისი ლტოლვაც სინათლისა და ჰარმონიისადმი (ეს ძალზე კარგად არის შემჩნეული „სათაეებში“), მაგრამ ის „საზარელი ლაქა“, რომელზეც გაამახვილა

ყურადღება გ. ასათიანმა, თავისას ამბობს და მოგვიწოდებს თავშეკავებისაკენ, როდესაც აპოლოგიის მაცდუნებელი ბაცილები მოგვეძალება.

კიდევ ერთხელ დავუფიქრდეთ შირაზის ხანის ქებას, რომელიც შემონახულა თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“:

შირაზის ხანის ქებასა ვერ ატყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალ, ტყბილ, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი,
ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცაეს ძალთა ზენანი...

ამ სტრიქონებს პირველად ზ. ავალიშვილმა მიაქცია ყურადღება თავის ნაშრომში „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. ზ. ავალიშვილი წერდა: „ქეთევანის წამების დროს შირაზში ბატონად მჯდომ იმამყული-ხანზე, იმ კაცზე, ვისმა ჯალაებმაც ბოლოს და ბოლოს გახურებული რკინებით და შამფურებით დედოფალს მუჰამედის რჯულის უპირატესობა დაუმტკიცეს, თეიმურაზ ამბობს... (დამოწმებულია ზემოთ მოტანილი სტრიქონები). შირაზის ხანის ამგვარი ქება, ჰეშმარიტად მოულოდნელია და ცოტაც უადგილო ამ პოემაში, და უნებლიედ ყურადღებას იქცევს რაღაც კავშირი უნდა ყოფილიყო მას და თეიმურაზს შორის. ამაზე სდუმს მეფე-პოეტი; სდუმს მისი ცხოვრების ბრწყინვალე აღმწერელიც, ისიც მეფე-პოეტი, არჩილ, და არც ამქლაგნებენ მას ქართული საბუთები“.

პასუხს დასმულ კითხვაზე ზ. ავალიშვილმა მიაკვლია ინგლისელი ავტორის ჰერბერტის წიგნში, სადაც აღწერილია თეიმურაზ მეფის ვიზიტი შირაზში (1628 წ.): მკვლევარმა მიაგნო ამ „რაღაც კავშირს“ და ერთგვარი სინათლე მოჰფინა შირაზის ხანის ქებას თეიმურაზის პოემაში. ახლა უკვე ცნობილია (ზ. ავალიშვილის, ვ. გაბაშვილისა და გ. ჟორდანიას გამოკვლევების შედეგად), რომ იმამყული-ხანსა და მის უმცროს ძმას მნიშვნელოვანი როლი უთამაშიათ თეიმურაზ მეფისა და შაჰ-აბასის მორიგებაში, რამაც მშვიდობა მოუტანა საქართველოს.

თეიმურაზის ზემოთ დამოწმებული სტრიქონები გ. ასათიანს მიაჩნია დიდსულოვანი მიუკერძოებლობის იშვიათ ნიმუშად და აღნიშნავს: „აბა, წარმოვიდგინოთ ვინ და ვის შესახებ წერს ამას! როგორც ჩანს, ჩვენმა ძველებმა კარგად იცოდნენ არა მხოლოდ ავკარ-

გიანობის რეალური ფასი, ისინი ასევე კარგად ერკვეოდნენ ზნეობრივ ფასეულობათა შეფარდებით ღირებულებაშიც".

იმ სასტიკ და უადამიანო სინამდვილეში მართლაც რომ სანთლით საძებარი იყო ჭეშმარიტი ადამიანურობის პაწაწკინტელა სხივიც კი და როდესაც გამოკრთებოდა, სუნთქვაშეკრულნი შეჰყურებდნენ, როგორც გაუგონარსა და უნახავ საოცრებას.

გ. ასათიანის მიერ ხაზგასმული „მცირედით კმაყოფილება", ერთ-ერთი ნიშანი ქართული ხასიათისა, აშკარად გამოსჭვივის თეიმურაზ მეფის დამოკიდებულებაში შირაზის ხანის მიმართ.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ქრისტეს მცნებას (შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო) ძნელად შეისისხლხორცებს ადამიანი და თითქმის შეუძლებელიც არის. ეს მხოლოდ იდეალია, რომელსაც უნდა ვეცადოთ დაუახლოვდეთ".

თეიმურაზი, რა თქმა უნდა, ვერ მოსთხოვდა შირაზის მაჰმადიან ხანს ქრისტეს მცნების შესრულებას და მცირედითაც იყო კმაყოფილი, შეიძლება ითქვას -— აღტაცებულიც. ამიტომ გვხვდება მის პოემაში. ქეთევან წამებულის ქებასთან ერთად, შირაზის ხანის ქება.

პოემის ავტორი გაცილებით მკაცრი და დაუნდობელია საკუთარი თავის მიმართ:

მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი.

ამ სტრიქონებში გამოხატული სინანული ცოტა ნაძალადევი და ხელოვნური ეჩვენა ზ. ავალიშვილს და ერთგვარად ირონიული შენიშვნა გამოათქმევინა: „წამება წმინდისა თეიმურაზისა" არასოდეს მისი ოცნება არ ყოფილა, და არც დიმიტრი თავდადებული — მისი გმირი. ქრისტიანობა უყვარდა ფრიად, მაგრამ ნადირობა-მაირობა-ომიანობასთან ერთად. და რა ითქმის მის წინააღმდეგ?"

თეიმურაზი სადღაც შუაში დგას, ქეთევან დედოფალსა და შირაზის ხანს შორის. არც სულიერი ავიწყდება, არც ნივთიერი. მთელი სიცოცხლე იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის „უბედური და მამაცი მეფე" (ასე მოიხსენიებენ მას ევროპელი ავტორები), მაგრამ მისი ცხოვრების ნარეკლიან გზაზე არცთუ იშვიათად გვხვდება კომპრომისული გადახვევები. მარტო ის რად ღირს, რომ ბრძოლაში დამარცხებული თეიმურაზი, უკვე ხანდაზმული და გადაქანცული, შემწეობას ევედრება (თავისი მეუღლის შუამავლო-

ბით) მუდმივ მეტოქეს — გამაჰმადიანებულ როსტომ მეფეს. ქართული კონფორმიზმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მამამთავარსა და სულისჩამდგმელს. დედოფალს აბარებს: ჩვენი შენაცოდები გვაპატიოს და დღეიდან სხვა თავადებივით გვიმსახუროსო, თუ არადა, ამდენი და ამდენი ცხენ-ჯორი გვათხოვოს იმერეთს გასახიზნადო.

ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილ პოემაში შირაზის ხანის ქება, ალბათ, თავისებურ კომპრომისს წარმოადგენს თეიმურაზის მხრიდან. შესაძლოა, შირაზის ხანის ძლევამოსილების კვარცხლბეკიც თავისებურად იზიდავდა თეიმურაზს, მფარველობის კალთას ჰპირდებოდა.

გ. ასათიანის მოსაზრებით, ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი წყურვილი გამარჯვებისა ზოგჯერ ვლინდება არაარსებითი წარმატებით უზომო აღფრთოვანებასა ანდა ფსევდოგამარჯვებულის პოზაში. მსგავსი განწყობილება მკაფიოდ შეიმჩნევა სწორედ თეიმურაზის მოღვაწეობის ეპიზოდებში, მაგრამ ამჯერად მათი განხილვა შორს წაგვიყვანდა.

„შირაზის ხანის ქებასთან“ დაკავშირებით ზ. ავალიშვილის მიერ პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით გაცემული პასუხი თავისთავად დამაჯერებელია, ისევე როგორც გ. ასათიანის ნაშრომში ფსიქოლოგიური მომენტის წინა პლანზე წარმოჩენა, მაგრამ მაინც გვრჩება უკმარისობის გრძნობა. თეიმურაზის ზემოხსენებული სტრიქონების შეფასებისას დაწვრილებით არის გააზრებული პოემის ისტორიული ფონი, რეალურად არსებულ პერსონაჟთა პორტრეტები და ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ანალოგიების ძიება თითქოსდა უგულებელყოფილია.

ორიოდე დაკვირვება მინდა გაეუზიარო მკითხველს.

XVIII ს. ქართველ ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანს დაუწერია აგრეთვე ისტორიული პოემა „შეჭირვებანი ქართლისანი“, რომელიც მოგვითხრობს ე. წ. „ოსმალობის“ დროინდელი ქვეყნის მდგომარეობას. ამ პოემაში ერთ ადგილას ვკითხულობთ:

ქართლში ბატონად მოვიდა ახალციხისა მპყრობელი.
ისაყ-ფაშაა ვეზირი, ხონთქრისა მისანდობელი,
ტკბილი, წყნარი და მდაბალი, ნელიად ამომხმობელი,
სჯულს გარდა კარგად საქები, არ იყო დასაგმობელი.

როგორც ვხედავთ, ავტორის აზრით, ისაყ-ფაშას ერთადერთი ნაკლი ჰქონია — მაჰმადიანობა, სხვა მხრივ კი მიმზიდველი პიროვ-

ნება ყოფილა. შესაძლოა, ხსენებული ფაშა, ქართველთა თვალში, სჯობდა თავის წინამორბედებს, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ მისი მბრძანებლობის დროს, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, დაპყრობილ ქართლში ოსმალთა უტიფრობა იქამდე მისულა, ოსმალთა მალემსრბოლს მყისვე ცხენს თუ არ მიართმევდნენ, განრისხებული ოკუპანტები, თავშესაქცევად, ქართველ თავადებზე „ამხედრდებოდნენ“ ხოლმე („აღუდვეს ლაგამნი, შესხდენ და ჩხვლეტდენ დეზითა წარსლვად“).

შესანიშნავი სურათია!

„ტკბილი, წყნარი და მდაბალი“ — ისაყ-ფაშა.

„მდაბალი, ტკბილი, მოწყალე“ — შირაზის ხანი.

არანაკლებ უცნაურად გამოიყურება არჩილ მეფის მიერ შაჰაბას II-ის ქება: „დია უხამსო, არ თუ უხამსო, ქება რა დიდი ხმამკობლობითა... მე მისი მსგავსი ვერსად ვიმსგავსი, ეგეთი იყო ზროაგებულად... მე ვინცა ვნახე კაცი ჩემ დროსი, არვინ მინახავს მისებრ აროსა. ნუვინ იჩემებს ზესთაობასა, მისი სწორება სჯობს იკმაროსა!“

როგორც ჩანს, ასეთი ქება-ხოტბანი ეროგვარ სტერეოტიპს წარმოადგენდა (აღმოსავლური პოეზიის გავლენით) და როდესაც ვკითხულობთ „შირაზის ხანის ქებასა“, აუცილებელი არაა, რომ მეხსიერებამ მოიხმოს „თამარს ვაქებდეთ მეფესა“ და მასში ჩადებულ შინაარსს შეუდაროს წაკითხული.

ვიმეორებ, მოხიბლული ვართ შირაზის ხანის სახელითა და მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტებით. მაგრამ ქართველი პოეტის მიერ დიდებულ აფორიზმად ნათქვამი სტრიქონი „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“ ყველას არ მიესადაგება. ამ სტრიქონს თავისი ადრესატი ჰყავს — რეალური პიროვნება, ვარშავის ანტინაცისტური აჯანყების (1944 წ.) მონაწილე ქართველი გოგონა. ხსენებული აფორიზმის სინათლე ფუჭად არ უნდა დაიხარჯოს ყოველ ნაბიჯზე. სხვათა შორის, ასევე ქართველ პოეტს ეკუთვნის სიტყვები ზოგიერთი გადაგვარებული თვისტომის მისამართით, ჩვენი წარსულიდან თავს რომ გვაწონებენ თავისი „საგმირო საქმეებით“ („ჯანდაბას მათი დიდი კაცობაც! ჯანდაბას მათი დიდი სახელიც!“)

ის „საზარელი ლაქა“, რომელიც თავის წიგნში ჩართული მოკლე ეტიუდის ლაიტმოტივად აქცია გ. ასათიანმა, გაკვეთილად უნდა დარჩეს ჩვენთვის, რომ თვალი არ წავუხუჭოთ, ყური არ წავუ-

ყრუოთ ჭეშმარიტებას, თუნდაც სასტიკსა და მდაბალს. ხალხის საუკეთესო მწვერვალსაც რომ „აშმენებდეს“ მსგავსი ლაქები, არ უნდა შევკრთეთ, თამამად გავუსწოროთ თვალი და პირუთვნელი მსჯავრი გამოვიტანოთ. ეს გახლავთ გურამ ასათიანის „სათაეებით“ ჩვენთვის გადმოცემული ესტაფეტა.

ერთი სტროფის გამოცანა

ძველ რომაელებს უთქვამთ: წიგნებსაც თავისი ბედი აქვთო. მართლაც, ზოგიერთი წიგნის თავგადასავალი ისევე მიმზიდველი და ინტერესის აღმძვრელია, როგორც სახელგანთქმულ პირთა ცხოვრება.

გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჯოზეფ კონრადი იმრწმებს ზემოთქმულ აფორიზმს და დასძენს, რომ წიგნების ბედი დიდად წააგავს ადამიანთა ბედს. მისი სიტყვით, წიგნები ჩვენთან ერთად იზიარებენ სახელის მოხვეჭასა თუ სახელის გატეხას, სამართლიანობასა თუ უაზრო დევნას, ცილისწამებასა თუ დაუმსახურებელ წარმატების სირცხვილს. კონრადი ფიქრობს, რომ ადამიანის მიერ შექმნილ უსულო ნივთთა შორის წიგნები ყველაზე ახლოს არიან ჩვენთან, რადგანაც ისინი შეიცავენ ჩვენს აზრებს, ჩვენს პატივმოყვარეობას, ჩვენს აღშფოთებას, ჩვენს ილუზიებს, ჩვენს ერთგულებას სიმართლისა და ჩვენს მუდმივ მიდრეკილებას შეცდომების ჩადენისადმი. მაგრამ ყველაზე მეტად გვემსგავსებიან ისინი სიცოცხლესთან არცთუ ხანგრძლივი კავშირით...

ჯოზეფ კონრადის მიერ წიგნებისა და ადამიანთა შედარებისას ჩამოთვლილ ნიშნებს შეიძლება კიდევ დავუმატოთ ერთი ნიშანი, რომელიც უცხოეთში გამოცემულ ქართულ წიგნებს მოსდგამთ. ისინი, სამშობლოდან გადახვეწილი ქართველების დარად, ნოსტალგიის უკურნებელი სენით არიან შეპყრობილი. ისინიც ოცნებობენ სამშობლოში დაბრუნებას, რათა მოვიდნენ ქართველ მკითხველთან და გული გადაუშალონ. მრავალ მათგანს ჩამოუღწევია ჩვენამდე თითო-ოროლა ეგზემპლარად და, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობათა შორის, ჩვენს წიგნსაცავებშიც მიუჩენიათ სათანადო ადგილი.

ასეთი ძვირფასი წიგნების რიცხვს, უდავოდ, მიეკუთვნება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ლიტერატურათმცოდნის, იურისტისა და დიპლომატის ზურაბ ავალიშვილის (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I) ნაშრომი „თეიმურაზ I და მისი პოემა „წა-

მება ქეთევან დედოფლისა", რომელიც პატარა ბროშურად დაიბეჭდა პარიზში, მისი ოდნავ შემოკლებული ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა ლონდონში, ქართველოლოგიური ჟურნალის „გეორგიკას" ფურცლებზე, (შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ ტომში — ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო მარისა და სიმონ ჯანაშიას სტატიების გვერდით).

ერთობ მცირე მოცულობის წიგნი ზ. ავალიშვილისა, გამოცემული თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, დღესაც ინარჩუნებს თავის ღირსებასა და მნიშვნელობას. მისი ფასი არ შეულახავს არც განვლილ დროს, არც — წიგნში განხილული საკითხების ირგვლივ ახალი მასალების აღმოჩენასა და ახალი გამოკვლევების შექმნას ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როგორც ცნობილია, თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა" წარმოადგენს ისეთ ნაწარმოებს, სადაც აღწერილია რეალურად მომხდარი ამბავი და პოემის პერსონაჟებიც ისტორიული პირნი არიან. პოემის მთავარი გმირი ქეთევან დედოფალი ღვიძლი დედაა მეფე-პოეტისა. თეიმურაზი მშვენივრად იცნობს დანარჩენ პერსონაჟებსაც. ამდენად, ავტორის ფანტაზია (თუკი შეიძლება ამას ფანტაზია ეწოდოს) პოემის ფურცლებზე მხოლოდ იმაში ვლინდება, რომ იგი, სარწმუნო ინფორმაციაზე დაყრდნობით, თვალნათლივ წარმოგვიდგენს მის დაუსწრებლად მომხდარ მოვლენათა მიმდინარეობის კონკრეტულ ფორმას. რადგანაც პოემის პერსონაჟები რეალურად არსებული ადამიანები არიან, სასურველი და საჭიროც კი ხდება შევუდაროთ პოემაში მოცემული სურათი სხვა წყაროების ინფორმაციას და გავარკვიოთ, რამდენად შეესაბამება ამა თუ იმ პერსონაჟის პორტრეტი ისტორიულ სინამდვილეს.

სწორედ ამგვარ სამუშაოს მოჰკიდა ხელი ზ. ავალიშვილმა. თავისი ნაშრომის შესავალში იგი აღნიშნავს: ჩვენ ვეცდებით ამ პოემის ზოგიერთი ბუნდოვანი მტკიცება განვიხილოთ და სხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობებით შევავსოთ; თანაც ზოგიერთი გარემოება გამოვარკვიოთ, აქამდე უყურადღებოდ დარჩენილი. მათი გაგება და გათვალისწინება აუცილებელია, თუკი გვსურს იმდროინდელი სინამდვილე ვიცოდეთ, და არა მისი ცალმხრივი და გადასხვაფერებული სახე".

ზ. ავალიშვილმა, ფაქტიურად, ისტორიული ხასიათის კომენტარი დაურთო თეიმურაზ პირველის პოემას, დამატებითი შტრიხებით

გააძუქა მასში აღწერილი მოვლენები და პერსონაჟები. ეს ისტორიული კომენტარი თამამად შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო ანალიზის მოკვლევის შესანიშნავ ნიმუშად, რომელსაც ამშვენებს გამოყენებული ქართული თუ უცხოური წყაროების სიმრავლე, მკვლევარის დიდი ერუდიცია, დახვეწილი ანალიზი, მახვილგონიერი მიგნებანი; შესაშური გულმოდგინება რომელიმე, თუხდაც პაწია, საკითხში ჩაღრმავებისა და, ამასთან ერთად, მასალის გადმოცემის მომხიბლავი სტილი.

მკვლევარი ერთი წუთითაც არ კარგავს გახსჯის სიფაქიზეს, დინჯად მიიკვლევს გზას უადგილო აპოლოგიასა და დაუმსახურებელ განქიქებას შორის. თავის ადგილზე არც ზომიერი პათეტიკა ეუცხოვება და არც მსუბუქი ირონიის ისრები. ისტორიკოსის შრომას ზოგჯერ უდარებენ ხოლმე სამჯავროს მონაწილეობა ფუნქციებს. ამ შემთხვევაში, ზ. ავალიშვილი შორს დგას ბრალმდებლისა თუ დამცველის პოზიციებიდან. მისი ნაშრომის სტრუქტურა და სტილი დაკვირვებული გამომძიებლის გარჯას უფრო მოგვაგონებს. თუმცა, პირუთვნელი მსაჯულიც გამოკრთება ხოლმე, როდესაც ამას აუცილებლობა მოითხოვს.

ზ. ავალიშვილი იზიარებს სხვა ქართველ მეცნიერთა (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე) მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს თეიმურაზ პირველის ზემოხსენებული პოემის შესახებ და წერს: „პოემის მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიაში უდავოა. ეს ალბათ პირველი მაგალითია ცოცხალი ისტორიული თემის, და არა — ჩვეულებრივი ზღაპრულ-ეპიკური მასალის პოეტური დამუშავებისა; და ეს თეიმურაზის უეჭველი და დიდი დამსახურებაა".

ზ. ავალიშვილის სიტყვით, მართლაც რთული და უჩვეულო რამ იყო შექმნა ამ პოემისა, როდესაც პოეტს რითმები უნდა ეძებნა, შვილს დედა დაეტირა და მეფეს მომხდარ ამბავთა თხრობა შეემოკლებინა. მკვლევარს მიაჩნია, რომ თეიმურაზს მეტ-ნაკლები წარმატებით გადაულახავს წამოჭრილი სიძნელეები და ასკვნის: „ეს ლეკსად დაწერილი მარტვილობაა. მას არც აღფრთოვანება აკლია, არც მოხდენილი ოსტატობა".

პოემაში მოხსენიებულ ისტორიულ პერსონაჟთაგან ზოგიერთის ვინაობა დაზუსტება-დადგენას მოითხოვს.

თუ არ ვცდები, პირველად ზ. ავალიშვილმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ თეიმურაზის პოემის ერთ-ერთი მთავარი

პერსონაჟი — შირაზის ხანი (იმამყული-ხან უნდილაძე) გახლავთ წარმოშობით ქართველი და რჯულით მაჰმადიანი დიდმოხელე შაჰ-აბასისა, რომელსაც კარგად იცნობენ ქართული თუ უცხოური საისტორიო წყაროები. ზ. ავალიშვილმა შემოიტანა უნდილაძეების საკითხი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, რასაც შემდგომი ინტერესის გაცხოველება და ინტენსიური კვლევა-ძიება მოჰყვა. მკვლევარი თავის ნაშრომში ასახავს უნდილაძეთა მდგომარეობას სეფიანთა ირანში, მათ მნიშვნელოვან როლს თეიმურაზ მეფისა და შაჰ-აბასის მორიგების საქმეში და ბოლოს, ერთობლივ აჯანყებას სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასევე ძალზე საგულისხმო აღმოჩნდა უცხოურ წყაროებზე დაფუძნებული თხრობა შირაზში ქეთევან დედოფლის შვიდწლიანი ტყვეობის შესახებ. ესპანელი ელჩის გარსია დე სილვა ფიგეროას და იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს თხზულებებში მიკვლეულმა ცნობებმა საგრძნობლად შეავსეს თეიმურაზის პოემაში სიტყვაძუნწად გადმოცემული ამბავი.

სწორედ ფიგეროას ცნობათა განხილვისას, ზ. ავალიშვილი, სხვათა შორის, შეეხო თეიმურაზის პოემის 56-ე სტროფში მოხსენიებული პერსონაჟის ვინაობის საკითხს.

როგორც ირკვევა, ქეთევან დედოფალს 1618 წელს შირაზში მყოფ ესპანელ ელჩთან კონტაქტები დაუმყარებია თავისი ამალის წევრის, ვინმე მოსე ბერის საშუალებით (შემდგომში, დელა ვალესთან ურთიერთობისას, ანალოგიურ როლს ასრულებდა ხუცესი გიორგი). ზ. ავალიშვილი მოკლედ გადმოგვცემს ფიგეროას თხზულებაში მოტანილ ცნობებს და იქვე შენიშნავს: „ამ მოსე ბერს, ვგონებ, თეიმურაზის პოემის ერთი ადგილიც ეხება“, და იმოწმებს პოემის 56-ე სტროფს: „მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოსა ყოფითა, ვნახე ნაზარდი თამამად ყოფითა არ სამყოფითა, ფარაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა, მოსე ვით გამაგრებული, მათი სარჯლისა ყოფითა“.

ზ. ავალიშვილის მიერ გაკვრით გამოთქმული ვარაუდის საფუძველზე, ამ ცოტა ხნის წინათ, ეჭვქვეშ იქნა დაყენებული აქამდის ეჭვმიუტანელი ფაქტი პოემის ავტორის ვინაობისა (იხ. რ. ბურჭულაძე, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „ცისკარი“, 1980, № 4). თურმე თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, ეკუთვნის არა თვით თეიმურაზს, არამედ მისსავე უმცროს ძმას,

რომელსაც ერთ საბუთში ჰქვია ბაგრატი, მეორეში — ვახტანგი და ვითომდა პაატასაც ეძახდნენ. თურმე ბაგრატი ბავშობაშივე ბერად შემდგარა და მისთვის უწოდებიათ ვახტანგი. თურმე ქართულ სინამდვილეში ვახტანგი და პაატა სინონიმურ წყვილებს წარმოადგენს: ვახტანგი — ვატო — ვატა — პატა — პაატა (ამავე პრინციპით შეიძლება სინონიმურ წყვილად გამოვაცხადოთ დავითი და თამარი: დავითი — დათო — თათო — თამთა — თამარი). კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ბაგრატ-ვახტანგის ხსენება აღარსად გვხვდება 1605 წლის შემდეგ, რის გამოც აკად. ალ. ბარამიძე შენიშნავდა, რომ თეიმურაზის უმცროსი ძმა ადრევე დაღუპულა. ამასთან ერთად, არსად არაფერია თქმული მის პოეტურ ნიჭსა და შემოქმედებაზე. ერთი სიტყვით, გინდ ყოფილა ისტორიაში ეს თითქმის უსუღლო და უხორცო ფიგურა და გინდ არ ყოფილა. ფსევდო-მეცნიერული მსჯელობისა და ელემენტარული შეცდომების ფასად, ხსენებულ ბაგრატ-ვახტანგ-პაატას, ასეთივე წარმატებით, შეგვიძლია მივაწეროთ ნებისმიერი ღვაწლი, თუნდაც მთავარსარდლობა მარაბდის ომში.

ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელება, ვფიქრობ, აღარ ღირს, ვინაიდან თეიმურაზის ავტორობის შესახებ გამოთქმული ეჭვი გამოწვლილვით და დამაჯერებლად არის გაქარწყლებული ალექსანდრე ბარამიძისა და მერი გუგუშვილის წერილში „ქეთევან დედოფლის წამების გარშემო“ („ცისკარი“, 1981, № 1).

დასახელებული მეცნიერები, კერძოდ, წერენ: „ზ. ავალიშვილის მიერ ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება („ვგონებ“) რ. ბურჭულაძეს შეუვალ არგუმენტად მიუღია, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ შაირში მოხსენიებული მოსე უეჭველად ქეთევანის მხლებელი ბერია, რომლის წამებაც პოემის ავტორის თვალწინ მომხდარა: „დიახ, პოემის ავტორმა 1618 წელს შირაზში ნახა მოსე მღვდელის სიკვდილით დასჯაო“ და აქედან გამოაქვს დასკვნა, რომ „წამების ავტორი ვერ იქნებოდა თეიმურაზი, ის იმერეთში იყო გარდახვეწილიო“. შემდეგ ალ. ბარამიძე და მ. გუგუშვილი აღნიშნავენ: „ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, ვინ არის უცხო ყოფით მოქმედი „ვინმე ჯვარის მოსავი“, მაგრამ ფარაოზის (ფარაონის) მტარვალობის წინააღმდეგ ამბოხებული და ღვთაებრივი ძალით „გამაგრებული“ მოსე კი ბიბლიური წინასწარმეტყველია, რომელმაც უწინამძღვრა ებრაელებს ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსვლის დროს“.

ძნელი და წარმოუდგენელია, რომ არ დაეთანხმო ზემოთქმულს. მართლაცდა, „ფარაონის“ ხსენება თვალნათლივ მიგვითითებს, რომ მოსე ბიბლიური გმირი გახლავთ და არა — ქართველი ბერი.

თუკი 56-ე სტროფში მითითებული „მოსე“ შეიძლება ნიშნავდეს პოემის პერსონაჟის სახელს, განა გაუგებარი არ იქნებოდა „მოსე, გამაგრებული როგორც“... როგორც ვინ? ვის უდარებს ავტორი თავის პერსონაჟს?

არა, ამ სტროფში ლაპარაკია კაცზე, რომელიც გასაჭირში ბიბლიური მოსესავით არის „გამაგრებული“.

ყოველივე ეს იმდენად აშკარა და ნათელია, რომ ასე მგონია, ღია კარების მტვრევას ვიწყებდე.

მაგრამ ჯერჯერობით მაინც გაურკვეველი რჩება 56-ე სტროფში მოხსენიებული „ჯვარის მოსავის“ ვინაობა. ავტორი, ალბათ, სასულიერო პირს გულისხმობს (ამავე პოემაში დედოფლის წამების აღწერის შემდეგ. თეიმურაზი ამბობს: „ჯვარის მოსავთა ყოველთა ნაწილი ენატრებოდა“. წმინდანის რელიკვიების ძიება, ვგონებ, სასულიერო წოდების წარმომადგენელთ უფრო სჩვეოდათ, ვიდრე რიგით ქრისტიანებს).

ვიმეორებ. 56-ე სტროფში მოხსენიებული „მოსე“, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ფიგეროას ნაცნობ მოსე ბერს, მაგრამ ეგებ წამოიჭრას ასეთი მოსაზრებაც: განა არ შეეძლო თეიმურაზს ბიბლიური მოსესათვის შეედარებინა მოსე ბერი (დაუსახელებლად), რომელიც შეიძლება იყოს „ვინმე ჯვარის მოსავი“.

რა უშლის ხელს ამგვარი ვარაუდის მიჩნევას ჰეშმარიტებად?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე თვალი გადავავლოთ იმ ინფორმაციას, მოსე ბერის შესახებ რომ გვაწვდიან ქართული თუ უცხოური წყაროები.

გრიგოლ ხუცესმონაზონი თავის თხზულებაში „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ ორიოდე სიტყვით მოიხსენიებს დედოფლის თანმხლებ ბერს (დაუსახელებლად), რომელიც რაღაც ცილისწამების შემდეგ ცეცხლში დაუწვავთ. გადმოცემულ მოვლენათა თანამიმდევრობის მიხედვით, იგი თითქოსდა უნდა გავაიგივოთ ფიგეროას ნაცნობ მოსე ბერთან. იტალიელი პიეტრო დელა ვალეც, ასევე, დაუსახელებლად, მოგვითხრობს წამებული ქართველი ბერის ამბავს. მისი სიტყვით, მაჰმადიანები ფიქრობდნენ, რომ დედოფალს ქრისტიანულ სარწმუნოებაში ამაგრებდა მისი თანმხლები

მღვდელი. ამიტომ შესწამეს რაღაც დიდი დანაშაული და ცეცხლში დაწვესო.

იგივე პიროვნება უნდა იგულისხმებოდეს ანტონ კათალიკოსის „ქეთევანის წამების“ სვინაქსარულ ტექსტში, თუმცა წამებულ ბერს აქ სხვა სახელი ჰქვია. ანტონ კათალიკოსი წერს: „მანცა ქრისტესთვის მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ. ხოლო სახელი წმიდისა მის მღვდელისა და ქრისტეს მოწამისა იყო ვასილი“.

მოსე ბერის შესახებ ყველაზე ვრცლად მოგვითხრობს ზემოხსენებული ფიგეროა. ესპანელი ელჩი შირაზში თავდაპირველად იმყოფებოდა 1617 წლის დამლევიდან 1618 წლის აპრილამდე. სწორედ ამ ხანებში შეხვედრია მოსე ბერს. ფიგეროა ქებით მოიხსენიებს თავის ახალ ნაცნობს და აღნიშნავს, რომ იგი თავდაჭერილობითა და მოკრძალებული საუბრით წარმოადგენდა ჭეშმარიტი ბერის ღირსეულ სახეს. მოსეს უჩვენებია ფიგეროასთვის ორი წიგნი ქართულ ენაზე მშვენივრად აკინძული და ყდამოოქროვილი. ერთი მათგანი შეიცავდა ძველ აღთქმას, დავითის ფსალმუნითურთ, ხოლო მეორე — სახარებებს, საქმეს მოციქულთა და წმ. პავლეს ეპისტოლეებს. 1619 წელს ესპანელი ელჩი ხელმეორედ ჩასულა შირაზში და შეუტყვია მისი ნაცნობი ქართველი ბერის დაღუპვის ამბავი.

ფიგეროას სიტყვით, იმ სახლის მეზობლად, სადაც ქეთევან დედოფალი და მისი ამალის წევრები (მათ შორის — მოსე ბერიც) ცხოვრობდნენ, ბინადრობდა შირაზის ხანის მოხელე ჰასანბეგი, წარმოშობით სპარსელი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ძალზე მდიდარი და ახალგაზრდა თურქმანი ქალი. ჰასანბეგის ცოლს ახლო ურთიერთობა ჰქონია ქართველი დედოფლის ამალის ქალებთან და თვით ქეთევანთან. ამ ნაცნობობამ ახალგაზრდა თურქმანი ქალი თითქოსდა მოსე ბერთანაც დააახლოვა. ჰასანბეგი ეჭვიანობას შეუპყრია და ერთ მშვენიერ დღეს, რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით, თავს დასცემია ქართველ ბერს ბინაზე. მოსე ნახევრადშიშველი ყოფილა, რადგანაც ძალზე ცხელოდაო. ჰასანბეგს ხმალი უშიშვლია ბერის მოსაკლავად, მაგრამ მოსეს მოუხერხებია ხმლის წაგლეჯა ხელიდან და ფანჯარაში გადაუსვრია. ამასობაში ჯარისკაცები შემოეხვივნენ და შებოჭესო. ჰასანბეგმა იფიქრა, რომ მისი ცოლი იმალებოდა ორ სახლს შუა აღმართულ კედელზე, თავისი მხლებლის იატაგანი აიღო, ძებნას შეუდგა, მიაკვლია და მოკლა ქალი. ამის შემდეგ მოსე ბერი გადაუყვანიათ შირაზის ხანის სასახლის

წინ მდებარე დიდ მოედანზე და შეუთავაზებიათ პატიება დანაშაულისა, აგრეთვე მნიშვნელოვანი თანხა, თუკი გამაჰმადიანდებოდა. მოსეს მტკიცე უარი განუცხადებია. იგი ქვებით ჩაუქოლავთ და მერე ხმლებით. აუკუწავთ. შირაზელ ებრაელებს ესპანელი ელჩისათვის უთქვამთ, რომ ნამდვილი მიზეზი ბერის დაღუპვისა ის იყო, რომ ჰასანბეგს სურდა ხელთ ეგდო მთელი ქონება თავისი ცოლისა და ამიტომაც საბაბად ეჭვიანობა გამოიყენათ. ამასთან ერთად, მოსე ბერი ყოფილა მოძღვარი თეიმურაზის ვაჟებისა, რომლებიც მძევლად იყვნენ ირანში, ზრდილა და წვრთნილა მათ ქრისტიანულ რჯულზე და ყიზილბაშთა აზრით, მოსე ბერის სიკვდილი დააჩქარებდა ახალგაზრდა ქართველი ბატონიშვილების გამაჰმადიანებას.

შეიძლება თუ არა დასახელებული მოსე ბერი მივიჩნიოთ თეიმურაზის პოემის 56-ე სტროფის პერსონაჟად?

ამგვარი ვარაუდი ეჭვს იწვევს ბევრ გარემოებათა გამო.

უპირველეს ყოვლისა, უმართებულოდ გამოიყურება ქართველ ბერის შედარება ბიბლიურ მოსესთან, რომელიც ფარაონს არც უწამებია და არც სიკვდილით დაუსჯია. მათი ხანგრძლივი კონფლიქტი დამთავრდა ღვთაებრივი ძალით „გამაგრებული“ მოსეს გამარჯვებით და იგი წარუძღვა თავის ერს „აღთქმული ქვეყნისაკენ“.

თეიმურაზის პოემაში ბიბლიურ-აგიოგრაფიული პარალელები საკმაო სიზუსტით გამოირჩევა. ასე მაგალითად, ქეთევან დედოფალი შედარებულია წამებულ წმინდანებთან (ირინე და მარინე). საფიქრებელია, რომ წამებული ქართველი ბერის მოხსენიებისას თეიმურაზი გაცილებით გასაგებ ანალოგიას მოძებნიდა მისთვის კარგად ნაცნობ ქრისტიანულ მარტიროლოგში.

ამასთან ერთად, 1624 წლის ამბების გადმოცემისას 1618 წლის ეპიზოდის გახსენება აშკარად დაარღვევს პოემაში გადმოცემულ მოვლენათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას და ყოვლად გაუმართლებლად შეანელებს თხრობის დინამიზმს. ასეთი გადახვევა ძალზე არაბუნებრივი და არაორგანულია პოემის სტრუქტურისათვის.

56-ე სტროფი უშუალოდ მოჰყვება ქეთევან დედოფლის სამსტროფიან მონოლოგს, შემდეგ აღწერილია ქეთევანის მხლებელთა ქცევა, კერძოდ, გიორგი ხუცესის „შეკრთომა-ათრთოლება“.

აღსანიშნავია, რომ 57-ე სტროფი იწყება ამგვარად: „მაშინ თურე შესულიყო იგ თინათინ თვალის წამსა“... სტროფის პირველივე

სიტყვა („მაშინ") თვალსათლივ ადასტურებს 56-ე და 57-ე სტროფებში აღწერილ ამბავთა უშუალო თანამიმდევრობას.

საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: ანტონ კათალიკოსი თავის თხზულებაში ქეთევან დედოფლის წამებაზე იყენებს სხვადასხვა ქართულსა და უცხოურ წყაროებს, მაგრამ, როგორც აღნიშნავს შ. ჭავთარია, „მისთვის ძირითადია თეიმურაზ პირველის პოემა". ანტონი ხშირად მიუთითებს კიდეც თავის უმთავრეს წყაროს (ასე მაგალითად: „ძე მისი თეიმურაზ პირველი სწერს", „იტყვის კვალად მეფე" და ა. შ.).

ანტონ კათალიკოსის აგიოგრაფიული თხზულება ერთგულად იმეორებს თეიმურაზის პოემაში გადმოცემულ ეპიზოდებსა და სურათებს, ზოგჯერ სიტყვასიტყვით მისდევს პოემას: გადმოცემულია შაჰ-აბასის ბრძანება შირაზის ხანისადმი, მისი წუხილი და ყოყმანი, ქეთევანის ლოცვა და გამზადება წამებისათვის, ჯალათთა მოსვლა და, ცეცხლის დაგზნება, მხევალთა ატირება („და სახელთაცა მხევალთასა წოდებით ახსენებს მეფე", — შენიშნავს ანტონი). თეიმურაზის პოემის მიხედვით არის მოთხრობილი გიორგი ხუცესის „გათათრების" ამბავიც და შემდეგ — დედოფლის წამების დაწვრილებითი აღწერა.

მაგრამ ანტონ კათალიკოსს გამოუტოვებია სწორედ 56-ე სტროფი! უნდა ვიფიქრთ, რომ იგი არ მიიჩნევდა ხსენებულ სტროფში აღნიშნულ პერსონაჟს წამებულ ქართველ ბერად; წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, არ გამოტოვებდა აგიოგრაფიული თხზულებისათვის ესოდენ მომგებიან ეპიზოდს და აუცილებლად მიუჩენდა ადგილს თავის ნაწარმოებში. მით უმეტეს, რომ მან იცოდა დედოფლის თანმხლები ქართველი ბერის წამების ამბავი, რასაც მეტყველებს ანტონისეული „ქეთევანის წამების" სვინაქსარული ტექსტი, შექმნილი უფრო ადრე, ვიდრე ერცელი რედაქცია.

ამგვარად, 56-ე სტროფის პერსონაჟის გაიგივება ქართველ მოსე ბერთან უმართებულო უნდა იყოს.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მოვლენათა მსვლელობა პოემაში: შაჰ-აბასმა შეუთვალა შირაზის ხანს, რომ გაემაჰმადიანებინათ მასთან ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფალი, ხოლო უარის შემთხვევაში სასტიკად დაესაჯათ. შეძრწუნებული შირაზის ხანი სამი თვის მანძილზე უმალავდა დედოფალს შაჰის ბრძანებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აუწყა, შირაზის ხანი ამაოდ მოუწოდებდა დედო-

ფალს გამაჰმადიანებას და ამით წამებისაგან თავის დახსნას. პოემაში ვოცლად არის გადმოცემული ქეთევანის ლოცვა. მოახლენი ევედრებიან დედოფალს, თავს ნუ გაწირავო, მაგრამ ვერც მათი ვედრება აღწევს მიზანს.

წამების წინ დედოფალი ასე მიმართავს თავის მხლებლებს: „თუ არ ეწამოთ, ნუ წახვალთ, აქ დამემოწამენითა“. როგორც ჩანს, დედოფალს უჭირს მარტოობა და სურს, რომ მხლებელნი ნუგეშისმცემლებად მაინც გამოადგნენ, თუკი არ გაიზიარებენ მის ხვედრს. იგივე აზრია გატარებული 54-ე სტროფში: „ვა არსად გახლავს ლაშქარნი, ჯალაბნი თავადებისა, თავს გადგენ, ნახონ პატიჟი, სასარჯლოდ ცეცხლი გზებისა; ახ, ვინ აცნობებს მათ ამას, თუ დღესა რა მოხდებისა“. ისევ მოწმისა და ამბის წამღების ნატვრაა და შემდეგ: „ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავნი არ სამრუდენი“.

დიახ, დედოფალს გულით სწადია, რომ მის ჯოჯოხეთურ წამებას ჰყავდეს მოწმეები, რომლებიც ყველას ამცნობენ საკუთარი თვალით ნახულს.

56-ე სტროფის პირველივე სიტყვა „მუნ“ აშკარად მიგვითითებს, რომ მასში აღწერილი პერსონაჟი უშუალო მოწმეა წამებისა, სწორედ იქ იმყოფება, წამების დროს, წამების ადგილზე.

პოეტის თვალწინ წარმოისახა მთელი სურათი, იმდენად ნაცნობი მონათხრობის მიხედვით, რომ თითქმის ზეპირად იცის ყველაფერი, რაც დედოფლის წამებისას მომხდარა და თქმულა, თითქოსდა თვითონაც უნახავს ეს სურათი, თითქოსდა თვითონაც მოწმეა წამებისა, და სხვებთან ერთად ხედავს „ჯვარის მოსავს“ („ვნახე“, მაინცდამაინც, ავტორის ფიზიკურ დასწრებას არ უნდა გულისხმობდეს).

ვინ შეიძლება იყოს დედოფლის წამების მოწმე სასულიერო პირი, „მოსესავით გამაგრებული?“ ასეთად, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მივიჩნიოთ ხუცესი გიორგი, რომელიც „შეკრთა, ათრთოლდა“ წამების იარაღთა დანახვაზე. სხვა კი არავინ გვეგულება, რადგანაც პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ბოლო ხანებში ქეთევან დედოფალს აღარ ჰყავდა ქართველი სასულიერო პირი, შემსრულებელი წირვა-ლოცვისა.

მაშ ვინ არის 56-ე სტროფის პერსონაჟი?

ქართული წყაროები არაფერს ამბობენ მის შესახებ.

ეგებ უცხოურმა წყაროებმა მოჰფინონ შუქი აღძრულ საკითხს?

ზ. ავალიშვილი იმოწმებს XVII ს. ფრანგი ავტორის კლოდ მალენგრის ნაშრომს „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ (პარიზი, 1635 წ.) სადაც იმდროინდელ ევროპაში გახმაურებულ სხვა ამბებთან ერთად მოთხრობილია ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან (XVII ს. პირველი მეოთხედი), რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ქეთევან დედოფლის წამებას.

ზ. ავალიშვილის მოსაზრებით, გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის ცნობილი ტრაგედია ქეთევან დედოფალზე, ძირითადად, ეყრდნობა სწორედ მალენგრის ინფორმაციას. ამაში თვალნათლივ დავრწმუნდებით, როდესაც ერთიმეორეს შევუდარებთ გრიფიუსის მიერ გადმოცემულ ეპიზოდებს საქართველოს ისტორიიდან და მალენგრის თხზულების თუნდაც იმ მოკლე შინაარსს, რომელიც მოტანილია ზ. ავალიშვილის წიგნში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა საკუთარი სახელები ერთნაირად არის დამახინჯებული გრიფიუსის ტრაგედიასა და მალენგრის ნაშრომში. ასე მაგალითად: ალოვას (ე. ი. ლუარსაბი), თამარას (ე. ი. თეიმურაზი), მევრაბ (ე. ი. მოურავი) და, რაც მთავარია „ქეთევანის“ ნაცვლად გრიფიუსის ტრაგედიაში გვხვდება „კათარინა“ (შდრ. მალენგრის „კათრინ“). აქ აღარ შევეხები ა. ბიბილაძისა და შ. რევიშვილის ერთგვარად განსხვავებულ თვალსაზრისს გრიფიუსის წყაროების შესახებ, ვინაიდან აღძრული საკითხის ირგვლივ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გრიფიუსის თხრობა უეჭველად მომდინარეობს მალენგრის თხზულებიდან (საერთოდ კი, ზ. ავალიშვილიც აღნიშნავს, რომ მალენგრის ფრანგული მოთხრობა ერთადერთი წყარო არ ყოფილა გრიფიუსისა. მისივე მოსაზრებით, თავად მალენგრის ნაშრომი, ნაწილობრივ, უნდა ეყრდნობოდეს ავგუსტინელ მისიონერთა რელაციებს).

სწორედ მალენგრისა და გრიფიუსის შემწეობით ხდება შესაძლებელი, რომ გამოითქვას ვარაუდი თეიმურაზის პოემის 56-ე სტროფში მოხსენიებული პერსონაჟის ვინაობაზე.

კლოდ მალენგრის სიტყვით (როგორც იმოწმებს ზ. ავალიშვილი), როდესაც დედოფლის წამება გადაუწყვეტიათ და მისი შესრულებისათვის მზადებას შესდგომიან, დედოფალს „სწრაფად მოუთხოვია პორტუგალიელ მამათა სავანიდან ერთი მღვდელი გამოეგზავნათ“. მოსულან კათოლიკე პატრები ამბროსი და ანტონი. მალენგრის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მართლმადიდებელი ქართ-

ველი დედოფალი სიკვდილის წინ კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცეულა, ზ. ავალიშვილი ეჰვის თვალით უყურებს, მაგრამ ამ საკითხს, ამჟამად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ზ. ავალიშვილი ეჰვს გამოთქვამს აგრეთვე მ. თამარაშვილის მიერ მითითებულ ფაქტზე, რომ ქეთევან დედოფალს უკანასკნელ დღეებში „ნუგეში და სულიერი დახმარება“ შირაზში მყოფ ავგუსტინელ მონაზონთაგან მიუღია. ზ. ავალიშვილი იმოწმებს პიეტრო დელა ვალეს სიტყვებს, რომ შირაზში მყოფი კარმელიტი და ავგუსტინელი მისიონერები ქეთევან დედოფალს ზრუნვას არ დააკლებდნენო. ზ. ავალიშვილის აზრით, საეჭვოა კათოლიკე მისიონერთა თავისუფალი მისვლა-მოსვლა დედოფალთან წამების წინ, ვინაიდან, ოვით დელა ვალეს მოწმობით, წინა ხანებშიც (წამებამდე ორი წლით ადრე) ეს შეუძლებელი აღმოჩნდა მისთვის. მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ დელა ვალე საერო პირი იყო, ხოლო კათოლიკე მისიონერებს მოქმედების შედარებითი თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული ირანში.

და რაც მთავარია, გრიფიუსის ტრაგედიაში ეს თითქოსდა შეუძლებელი მოვლენა საკმაოდ მარტივად არის გამართლებული (საფიქრებელია, რომ იდენტური ცნობა მოიპოვებოდეს მალენგრის წიგნში, რომელზეც ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება). გრიფიუსის მიხედვით, კათოლიკე მისიონერთა ვიზიტი წამებისათვის გამზადებულ ქეთევან დედოფალთან ხორციელდება შირაზის ხანის ანუ იმამყული-ხან უნდილაძის მეოხებით!

ტრაგედიის IV მოქმედებაში, ფრიად დაძაბული დიალოგის შემდეგ, დედოფალი ასე მიმართავს „იმამყულის“: „მაგრამ მთავარსაც შეუძლია წყალობა გვიყოს: ცოტა გვაცალოს, გვინდა გვერდით მოძღვარიც იყოს, ქალაქს მოვიდეს მსახურიცა წმინდა სამების, რწმენის მოწამე და ნუგეში სასტიკ წამების“ (თარგმანი აკ. გელოვანისა).

„სიამოვნებით!“ — ასეთია შირაზის ხანის პასუხი დედოფლის თხოვნაზე.

მაშასადამე, არაფერია საეჭვო კათოლიკე მისიონერთა შეხვედრაში ქეთევან დედოფალთან წამების დღეს, როდესაც საამისო ნებართვას იძლევა ყოვლისშემძლე შირაზის ხანი!

გრიფიუსის ტრაგედიის V მოქმედებაში ჩანს, რომ დედოფლის

წამებას მართლაც ესწრება მოძღვარი (ტრაგედიის მოქმედ პირთა შორის იგი ასეა დასახელებული: ამბროსი — მოძღვარი).

ზემოხსენებული ამბროსი სულიერად ანუგეშებს დედოფალს, ხოლო მისი აღსასრულის შემდეგ წარმოთქვამს, რომ დედოფალმა სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი და ა. შ.

და კიდევ ერთხელ აშკარად მტკიცდება მოძღვარ ამბროსის ყოფნა დედოფალთან უკანასკნელ წუთებში. ქეთევანის მოახლე ასე ჰყვება წამების წინ მომხდარს: „... და მოძღვარი რაწამს მოვიდა, რაწამს მიიღო მისი ლოცვა-კურთხევის ნება, განზე გაიხმო, რომ სულისთვის მიეცა შვება მცირე ხნით, რაიც აღსასრულის წუთამდე დარჩა“.

გრიფიუსის ტრაგედიის მოქმედი პირი — მოძღვარი ამბროსი, ამავე სახელით მოხსენიებული მალენგრის მიერ, უნდა იყოს პატრი ამბროზიო, სწორედ ის პორტუგალიელი მისიონერი, რომელმაც 1628 წელს საქართველოში ჩამოასვენა ქეთევან დედოფლის ნეშტი (ამ ამბავს დაწვრილებით მოგვითხრობს ხელნაწერთა ინსტიტუტში, მ. თამარაშვილის პირად არქივში დაცული რელაცია იტალიურ ენაზე, შედგენილი 1640 წელს).

სხვათა შორის, ქრისტეფორე კასტელიც აღნიშნავს, რომ ქეთევან დედოფლის წამებას ესწრებოდნენ ავგუსტინელი მისიონერები, რომლებმაც აღწერეს და ჩაიბატეს მარტვილობის მომენტები.

კასტელის ნათქვამს ადასტურებს რობერტო გულბენკიანის წიგნში გამოქვეყნებული რამდენიმე სურათი (იხ. ილ. ტაბაღუა, „ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ“, „მაცნე“, 1974, № 1). ავტორს ისინი აღმოუჩენია ლისაბონში, და გრასას ყოფილ მონასტერში. უზარმაზარ პანოზე გამოხატული ყოფილა ირანში მყოფი ავგუსტინელი მისიონერების მოღვაწეობის სცენები. მათ შორის — ქეთევან დედოფალი ავგუსტინელ მისიონერებთან ერთად კათოლიკობაზე მოქცევის ჟამს, დედოფლის წამება და ამბროზიოს მიერ დედოფლის ნეშტის ჩაბარება თეიმურაზ მეფისათვის.

ეგებ, არც ის იყო მოკლებული მნიშვნელობას, რომ თეიმურაზი თავის პოემაში ასახელებს ქეთევანის მხლებლებს (ასმათ, თინათინ, გივი, ხუცესი გიორგი, გორჯასპიშვილი), მაგრამ რატომღაც არ გვაუწყებს 56-ე სტროფში მოხსენიებული „ჯვარის მოსაცის“ სახელს, ეგებ სწორედ მისი უცხოელობის გამო არ ასახელებს?

გამოთქმას „უცხოსა ყოფითა“ ალ. ბარამიძე და მ. გუგუშვილი

„თარგმნიან“, როგორც „უცხო ყოფით მოქმედს“, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს გამოთქმა ნიშნავდეს „უცხოელად ყოფნას“ (პორტუგალიელი მისიონერი ირანში!); ასეა თუ ისე, აღნიშნული სიტყვები ხაზს უსვამენ „ვინმე ჯვარის მოსავის“ არაორდინარულობას, განსაკუთრებულობას, სხვათაგან გამორჩეულობას.

თუ ვირწმუნებთ, რომ „ვინმე ჯვარის მოსავი“ არის ამბროზიო, მისი შედარება ბიბლიურ გმირთან შესაძლოა იმით აეხსნათ, რომ ხსენებული მისიონერი, როგორც ამას გვაუწყებს ზემოთ მითითებული რელაცია, ძალზე ენერგიულად იღვწოდა შირაზში მყოფ ტყვე ქრისტიანთა განთავისუფლებისა და ქრისტიანულ ქვეყნებში დაბრუნებისათვის (იგულისხმებიან შირაზის ხანის მიერ 1622 წელს ჰორმუზის დაპყრობისას ტყვედ ჩავარდნილი პორტუგალიელნი). ბიბლიური მოსესა და ამბროზიოს მასშტაბები, ცხადია, სხვადასხვა იყო, მაგრამ მიზანი კი საერთო ჰქონდათ.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ ამბროზიომ ჩამოასვენა საქართველოში ქეთევან დედოფლის ნეშტი, ცოცხალი თუ არა, მიცვალებული მაინც იხსნა მაჰმადიანთა ტყვეობიდან (თეიმურაზის პოემის დასაწყისში ქეთევანის ყოფნა შირაზში შედარებულია ეგვიპტეში ებრაელთა ტყვეობასთან: „ეგვიპტეს ყოფნა არად ჩნდა, ზრდილა ნაყოფსა ძისასა“).

პ. ავალიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ავგუსტინელი ბერების დამსახურებას თეიმურაზის წინაშე. მათ აღმოაჩინეს მისი დედის ნეშტი, უპატრონეს და 1628 წელს საქართველოში ჩამოასვენესო. ამ ფაქტს გვაუწყებენ ბერი ეგნატაშვილი, გრიგოლ ხუცესმონაზონი, ანტონ კათალიკოსი, არაქელ თავრიზელი, ჟან შარდენი და თვით თეიმურაზიც (რომის პაპის სახელზე 1629 წელს გაგზავნილ წერილში).

1640 წლით დათარიღებულ რელაციაში მოთხრობილია, თუ რადენ კმაყოფილი დარჩენილა თეიმურაზი პორტუგალიელი მისიონერის ღვაწლით. გრიგოლ ხუცესმონაზონიც ამბობს, რომ თეიმურაზმა დედოფლის ნეშტის ჩამოსვენების გამო „განიხარა სიხარულითა მიუთხრობელითა და შეკრიბნა ყოველნი ერნი“. ორივე წყაროში შემდეგ აღწერილია, თუ როგორი ზეიმითა და თაყვანისცემით წაასვენეს ქეთევან დედოფლის ნეშტი ალავერდის ტაძარში.

როგორც ვხედავთ, იმდენად განუყოფლად არის დაკავშირებული ამბროზიოს სახელი ქეთევან დედოფლის წამებასთან, რომ შე-

უძლებლადაც კი უნდა გვეჩვენოს მისი მოუხსენიებლობა დედოფლის წამებისადმი მიძღვნილ ქართულ პოემაში, მით უმეტეს, რომ პოემის ავტორი თეიმურაზ პირველი პირადად იცნობდა 1628 წლიდან საქართველოში დამკვიდრებულ პორტუგალიელ მისიონერს. დიახ, შეუძლებელია, რომ ამბროზიოს ღვაწლსა და დამსახურებას ასახვა არ ეპოვნა თეიმურაზის პოემაში, მაშინ, როდესაც გერმანელმა მწერალმა, წაკითხულისა და გაგონილის საფუძველზე, თავის ტრაგედიაში სათანადო ადგილი მიუჩინა პორტუგალიელ მისიონერს.

ამგვარად, თეიმურაზ პირველის პოემის 56-ე სტროფის პერსონაჟი, ქეთევან დედოფლის წამების დროს ბიბლიური მოსესავით გამაგრებული „ჯვარის მოსავი", უნდა იყოს ავგუსტინელთა ორდენის მისიონერი, ტომით პორტუგალიელი, სახელად ამბროზიო, რომელიც ცხრა წელი მოღვაწეობდა ირანში, ხოლო 1628 წლიდან — საქართველოში.

აქ გამოთქმულ მოსაზრებას 56-ე სტროფის პერსონაჟის ვინაობაზე არა აქვს პრეტენზია წერტილი დაუსვას გამოცანის ამოხსნას. ეს გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდი, ვფიქრობ, დამყარებული საფუძვლიან არგუმენტებზე.

„ქეთევან ქართველის" წყაროები

გამოჩენილი გერმანელი დრამატურგის ანდრეას გრიფიუსის (1616—1664) ტრაგედიის „ქეთევან ქართველის" არსებობა კარგა ხანია ცნობილი იყო ჩვენში. ათი წლის წინათ გამოქვეყნდა მისი ქართული თარგმანიც, რაზედაც თურმე ოცნებობდა ივანე ჯავახიშვილი.

გრიფიუსის ტრაგედია, თავისი მაღალმხატვრულობითა და ისტორიულ სინამდვილესთან სიახლოვით, აშკარად გამოირჩევა ქართულ თემატიკაზე დასავლეთ ევროპაში შექმნილ ნაწარმოებთაგან. „ქეთევან ქართველი" რომ შევუდაროთ, მაგალითად, XVIII ს. ფრანგულ რომანებს, სადაც ეგზოტიკური საქართველოს ფონზე თამაშდება სამიჯნურო თავგადასავალნი და რაინდული ფათერაკები,

განსხვავება მართლაც ისეთივე იქნება, როგორც ცასა და დედამიწას შორის.

ვკითხულობთ გრიფიუსის შესანიშნავ ქმნილებას, რომლის მთავარი პერსონაჟი გაბლავთ ჩვენი წარსულის უბადლო გმირი და მოღვაწე ქეთევან დედოფალი, ვკითხულობთ და გვიკვირს, თუ რაოდენ ღრმად ჩასწვდა გერმანელი მწერალი მისთვის შორეული საქართველოს ტკივილებსა და ტრაგიკულ ხვედრს. ვკითხულობთ და ჩვენდა უნებურად წამოგვცდება შექსპირის უკვდავი ფრაზა: „მერე, რა არის ჰეკუბა მისთვის...“

მაგრამ ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეებს რომ თავი დავანებოთ, გერმანელ მწერალს მაინც ააღელვებდა ამბავი „სისხლის წვიმებით“ მორწყული საქართველოსი, რომელიც იმ ხანებში ძალზე წააგავდა მისი სამშობლოს ბედს.

სონეტში „ცრემლები მამულისა“ გრიფიუსი წერდა: „ციხე-კოშკები ცეცხლში გახვეულა, ეკლესიები გაპარტახებულა, რატუშა ნანგრევებად ქცეულა, მამაცნი გაუჟლეტიათ, ქალწულნი წაუბილწავთ. საითაც არ გაიხედავ — ყველგან ხანძრებია, ჟამი და სიკვდილი, სულსა და გულს რომ გითრგუნავს“.

გრიფიუსის შემოქმედების მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ მისი თანამედროვე გერმანიის ტრაგიკული სინამდვილე, ოცდაათწლიანი ომის პერიოდში, გახდა საფუძველი გერმანელი მწერლის შემოქმედებაში პესიმისტური მსოფლმხედველობის გასაბატონებლად. გრიფიუსს ამაოებად და ცდუნებად ეჩვენება ცხოვრების შვებანი; მწარედ შენიშნავს, რომ სიამეს გვერდით დასდევს ვაება; სილამაზე, ბიდნიერება, ღირსება და სახელი ქრება წუთიერი სიზმარივით, დნება გუშინდელი თოვლივით. ყველგან სუფევს სიკვდილი და ნგრევა-ოხრება, ყოვლისშთანმთქმელი წყვდიადი და უსაშველო სასოწარკვეთა.

რაც შეეხება „ქეთევან ქართველს“, მკვლევართა აზრით, გრიფიუსი გვიხატავდა რა ქართველი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას ბარბაროს დამპყრობელთა წინააღმდეგ და გმირი დედოფლის თავგანწირვას, ამავე დროს უშუალოდ ეხმაურებოდა აქტუალურ პატრიოტულ იდეას, მისი სამშობლოს ანალოგიური უბედურებით რომ იყო შობილი.

მაგრამ ყველაზე საგულისხმო ის გახლავთ, რომ, საერთო აღიარებით, თვით ესოდენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემას უმთავ-

რესი ადგილი რომელი უჭირავს გრიფიუსის ზემოხსენებულ ტრაგედიაში. წინა პლანზე აქ წამოყენებულია სრულიად სხვა მოტივი — ამაღლებული სულიერი საწყისი, რომელსაც განასახიერებს ირანში უმწეო ტყვედ მყოფი ქეთევან დედოფალი, მკვეთრად უპირისპირდება აღვირახსნილ სისასტიკესა და ეროტიზმს, რიხ ხორცშესხმასაც წარმოადგენს ძლევამოსილი იმპერიის ხელმწიფე შაჰ-აბასი.

ქეთევან დედოფალი გამუდმებით ფიქრობს მშობელი ქვეყნის ბედზე, ელანდება სისხლიანი სურათები შაჰ-აბასისეული გენოციდისა. ტყვეობაში მყოფი, უჯაროდ და უიმედოდ დარჩენილი, მაინც დარწმუნებით წარმოთქვამს, რომ უფლის შემწეობით არასოდეს უღალატებს თავის სამშობლოსა და რჯულს, რომ მის შებორკილ სხეულში სუფევს თავისუფალი სული — ნიშანი ადამიანის ღირსებისა, სრულყოფილებისა და უძლეველობისა. თავისი ზნეობრივი სიმტკიცით დედოფალი ამარცხებს უსამართლობასა და ძალადობას.

ვკითხულობთ გერმანელი მწერლის ტრაგედიას ქართველი ხალხის მიერ წმინდანად შერაცხულ გმირ დედოფალზე, გვეამაყება და უნებურად გვახსენდება ილია ჭავჭავაძის დაუვიწყარი სიტყვები: „თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ“.

გრიფიუსის ტრაგედიების მხატვრულ ღირებულებაზე, ვფიქრობ, ორი აზრი არ არსებობს. შემთხვევითი როდია, რომ გერმანელმა რომანტიკოსებმა თავიანთ წინაპარს შეარქვეს „გერმანელი შექსპირი“. სხვათა შორის, „ბრიტანეთის ენციკლოპედიის“ მიხედვით, XX საუკუნეში შეიმჩნევა გრიფიუსის რეპუტაციის „უზარმაზარი ზრდა“.

როდესაც ვკითხულობთ „ქეთევან ქართველს“, მხატვრულ ღირსებებთან ერთად თვალში გვხვდება ისიც, რომ გერმანელი დრამატურგი საკმაოდ კარგად იცნობს ჩვენი წარსულის ცნობილსა თუ შედარებით უცნობ მოვლენებს. ზოგიერთი საისტორიო წყაროც კი, ალბათ, არ დაიწუნებდა ამ ნაწარმოებში მოცემულ მდიდარ მასალას. გრიფიუსის თხრობა, მეტწილად, ემთხვევა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს. ხოლო განსხვავებანი, ხშირ შემთხვევაში, ნაკარნახევია ისტორიის პოეტური გარდასახვის პრინციპით.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩნდება სურვილი კვლევისა — სახელდობრ, რომელი წყაროებით სარგებლობდა გერმანელი დრამა-

ტურგი და რომელი ფაქტები თუ კოლიზიები უნდა მივაკუთვნოთ მის შემოქმედებით ფანტაზიას.

აღძრული საკითხი ქართველ მკვლევართაგან განიხილეს ისტორიკოსმა ზურაბ ავალიშვილმა თავის გამოკვლევაში „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ (1938) და გერმანისტმა არსენ ბიბიჩაძემ თავის გამოუქვეყნებელ სადისერტაციო ნაშრომში „ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა“ (1950; ინახება თსუ ბიბლიოთეკაში).

ზ. ავალიშვილი წერდა: „იმის გამორკვევა, თუ საიდან აიღო გრიფიუსმა ის საკმაოდ ვრცელი ისტორიული მასალა, რომელიც გამოყენებულია ამ ნაწარმოებში, სჩანს, არც ისე აწუხებდა გერმანელ მკვლევარებს, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის, ალბათ, უფრო ესაა საინტერესო, ტრაგედიის ეს შინაარსი, საქართველოს ისტორიიდან ნასესხები, და არა იმდენად მისი მნიშვნელობა გერმანული „ბაროკოს“ მწერლობაში“.

ა. ბიბიჩაძეც შენიშნავდა, რომ გრიფიუსის შემოქმედების მკვლევართაგან, ერთეულების გამოკლებით, არავინ დაინტერესებულა „ქეთევან ქართველის“ წყაროთა ძიებით, ხოლო ჩვენთვის სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის საგანს.

საკითხის ისტორია თითქმის ამომწურავად არის გაშუქებული ზ. ავალიშვილისა და ა. ბიბიჩაძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში, აგრეთვე შ. რევიშვილის ნარკვევში „ანდრეას გრიფიუსი და მისი „ქეთევან ქართველი“ (1975).

გრიფიუსის თხზულებათა გამომცემელი ჰ. პალმი „ქეთევან ქართველის“ წყაროდ მიიჩნევდა ფრანგი სოვდაგრისა და მოგზაურის ჟან შარდენის (1643—1713) წიგნს. 1892 წელს ლუდვიგ პარიზერმა დაასაბუთა ჰ. პალმის ვარაუდის უსაფუძვლობა (აშკარა ანაქრონიზმის გამო) და წამოაყენა ახალი ვარაუდი, თითქოსდა „ქეთევან ქართველის“ წყარო შეიძლება იყოს იტალიელი პილიგრიმისა და მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს (1586—1652) თხზულებანი, რომლებსაც თავად ლ. პარიზერი არ იცნობდა.

1923 წელს, ქართველ მკვლევართათვის უცნობმა გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ლიბემ, თავის გამოუქვეყნებელ დისერტაციაში, პირველმა მიუთითა, რომ გრიფიუსის ზემოხსენებული ტრაგედიის ძირითად წყაროს წარმოადგენს XVII ს. ფრანგი მწერლის კლოდ

მალენგრის კრებული „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ (პარიზი, 1635), სადაც, დასავლეთ ევროპაში გახმაურებულ ამბებთან ერთად, მოთხრობილია ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და წამების ისტორია. ამ წიგნის ფურცლებზე ქართველი წმინდანი დამკვიდრებულა ანრი IV-ის, ვალენშტაინის, ცრუ-დიმიტრის, ოსმან სულთნისა და სხვა პოპულარულ ფიგურათა მეზობლად.

1932 წელს პოლონელმა ზდისლავ ციგულსკიმ (ვგონებ, ი. ლიბესგან დამოუკიდებლად) მიაკვლია კლოდ მალენგრის ქრონიკას, როგორც „ქეთევან ქართველის“ წყაროს. შემდგომში ეს მოსაზრება გაიზიარა ზ. ავალიშვილმა.

უველაზე მნიშვნელოვანი გარემოება ის გახლავთ, რომ გრიფიუსის ტრაგედიასა და მალენგრის ქრონიკაში ქართველ ისტორიულ პერსონაჟთა სახელები, წარმოდგენილი დამახინჯებული ფორმით, სავსებით იდენტურია. გრიფიუსი, ისევე როგორც მალენგრი, წერს: „ალოვას“ (ლუარსაბი); „თამარას“ (თეიმურაზი); „მევრაბ“ (მოურავი), ხოლო თვით ქეთევან დედოფალი გრიფიუსის მიხედვით არის „კათარინა“, მალენგრის ქრონიკაში — „კათრინ“.

ზ. ავალიშვილი შენიშნავდა, რომ პიეტრო დელა ვალე დაუმახინჯებლად იმოწმებს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა სახელებს. ზ. ავალიშვილის აზრით, გერმანელ დრამატურგს „შეეძლო სულ ცოტა და ზოგადი რამ ამოეღო“ იტალიელი მოგზაურის ნაწერებიდან და ამასაც საეჭვოდ თვლიდა. მაგრამ იქვე დასძენდა, რომ გრიფიუსს, მალენგრის ქრონიკის გარდა, სხვა წყაროებიც ჰქონია გამოყენებული. ამასთან ერთად ზ. ავალიშვილი გრიფიუსის ტრაგედიის შესწავლის საფუძველზე, აღნიშნავდა, რომ „მისი შემოქმედება საკმაოდ თავისუფალია და ძლიერი“. ზემოთქმულის მჭევრმეტყველ ნიმუშად მკვლევარმა დაიმოწმა ფრანგული წყაროს ერთი ფრაგმენტი, რომელიც მოსდევს დიდი მოურავის წინამძღოლობით ყიზილბაშთა ამოწყვეტას (იგულისხმება მარტყოფის აჯანყება), და შესაბამისად — მისი პოეტური გადამუშავება გრიფიუსის მიერ.

კლოდ მალენგრი მოგვითხრობს: „რაც შეეხება მოურავს, სპარსეთის არმიაზე გამარჯვებულმა, მან მოატანინა მოკლულ ჰერცოგთა (ხანების) თავები, უბრძანა რომ მოებათ შუბის წვერს და როდესაც სადილს შეექცეოდა, მოართმევინებდა თავისთვის ვითარცა მისთვის სასიამოვნო კერძსა და ღვინოს რომ სვამდა, სადღეგრძელოს იტყოდა ჯერ ერთისა, მერე სხვის, და ყოველს ამ მკვდარს

ჰერცოგს ათასის ლანძღვით საყვედურობდა მათ ავაზაკურ საქმეს, რაც კი მათზედ იცოდა“ (თარგმანი ზ. ავალიშვილისა).

გრიფიუსის ტრაგედიაში ზემოთ მოთხრობილ ამბავს დედოფალს აბუწყებს ქართველი მაცნე დემეტრე. ვიმოწმებ ზ. ავალიშვილის მიერ შესრულებულ პწკარედს: „ვინც ჩვენი სისხლი დაღვარა, ის ამ სისხლში ჩაიხრჩო. შურით აღგზნებულმა რისხვამ, როგორც ცეცხლის ალმა იცის, მთელ ივერიიდან ღვარძლი გაჰგავა. თავადმა მოურავმა, სიძულვილით ბრმამ, და ამდენი ჭირით შეწუხებულმან, იმ მოკლულთა გუნდს მკრთალი თავები გააგდებინა, და დაალაგებინა რა მათი თავების წყობა, ვისგანაც ამდენი შეურაცხყოფა ენახა, თავის სუფრაზედ თითქოს საზეიმო ნობათი, ხელთ იპყრო, წრეს გადასულმა, მისთვის მირთმეული ჭიქა და შესძახა: ესაა ფიალა, რომელსაც ჩემების შურისმაძიებელი ვსვამ აწ უკვე არა მონა! ჰოი, ჩემო დაჩაგრულო მეუღლევ! ჰოი, ჩემო ნამუსახდილო ასულო! თქვენც, ვინაც ხანგრძლივი ტანჯვა ცრემლებით მორწყეთ! ვინც მწუხარებაში და მიწაში ლპებით! თქვენ, ვინც დაუხურავ საფლავსაც არ ეღირსენით! ჩემო მეუფევ, ლუარსაბ! ტყვე დედოფალო! განდევნილო თეიმურაზ! ჩემო სამშობლოვ! ალავერდი!“ („ქეთევან ჭართველი“. I მოქმედება, სტრ. 649—661).

მართლაც რომ ჩინებული ნიმუშია მწერლის მიერ საისტორიო წყაროში ამოკითხული ინფორმაციის მხატვრული ხორცშესხმისა!

ზ. ავალიშვილი აღნიშნავდა, რომ ტრაგედიის მთავარ კვანძს წარმოადგენს შაჰ-აბასის სიყვარული ქეთევან დედოფლისადმი, მაგრამ ეს მოტივი გრიფიუსს როდი გამოუგონია. იგი აქაც ეყრდნობა მალენგრის ქრონიკას (პიეტრო დელა ვალეს არაფერი ამის მსგავსი არ დაუწერია). ზ. ავალიშვილის ვარაუდით, გრიფიუსმა სწორედ მაშინ მოისურვა შეექმნა ტრაგედია ქეთევანზე, როდესაც მალენგრის წიგნში წაიკითხა ზემოხსენებული სიუჟეტი, რადგანაც მისი პირველი ტრაგედია („ლეონ არმენიუს“), ბიზანტიელ მემატიანეთა ზონარას და კედრენეს თხზულებებიდან ნასესხები შინაარსით, ასე ვთქვათ, უსიყვარულო ნაწარმოები იყო და „გრიფიუსი გრძნობდა, რომ მალენგრთან სიყვარულზეც იყო ლაპარაკი. სწორედ ამას ეძებდა იგი“.

ზემოთ მოტანილი ორივე დაკვირვება თითქოსდა საკმარისი უნდა იყოს, რათა ვირწმუნოთ, რომ გრიფიუსი გაცილებით ახლო დგას მალენგრთან, ვიდრე დელა ვალესთან...

თორმეტი წლის შემდეგ ქართველმა გერმანისტმა ა. ბიბიჩაძემ სცადა დაემტკიცებინა, რომ გრიფიუსის ტრაგედიის ძირითად წყაროს წარმოადგენს პიეტრო დელა ვალეს თხზულებანი, აგრეთვე — გერმანელი დრამატურგის საალბათო ნაცნობობა, იტალიაში მოგზაურობის დროს, პიეტროსა და მის ქართველ მეუღლესთან (თინათინ დი ზიბა ანუ მარიუჩა). როგორც ირკვევა, დელა ვალესა და გრიფიუსს საერთო ნაცნობი ჰყოლიათ.

მაგრამ ა. ბიბიჩაძეს თავისი ვარაუდის შესამაგრებლად რაიმე მნიშვნელოვანი და ხელჩასაჭიდი ფაქტი არ მოუტანია. მის ნაშრომში აღნიშნული დამთხვევები გრიფიუსსა და დელა ვალეს შორის, უმეტესწილად, ზოგადი ხასიათისაა და სხვა წყაროებშიც შეიძლება დაიძებნოს.

ა. ბიბიჩაძეს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩა ზ. ავალიშვილის გამოკვლევა (რომელიც არა აქვს მითითებული გამოყენებული ლიტერატურის სიაში). მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ იზიარებდა მოსაზრებას გრიფიუსის დამოკიდებულებაზე მალენგრისაგან (ეტყობა ზ. ციგულსკის მიხედვით). ა. ბიბიჩაძემ, კერძოდ, დაიმოწმა ორივე ავტორის თხზულებაში ქართული სახელების იდენტური დამახინჯების ფაქტი.

აწ განსვენებული მკვლევარი გერმანისტი წერდა: „მალენგრის შრომის და გრიფიუსის დრამის ურთიერთობის საკითხი, აგრეთვე ის წყაროები, რომლის საფუძველზე მალენგრს ეს ისტორია აღუწერია, ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნება ცალკე და ამჟამად საკითხის სიდიდის გამო ჩვენ ერთი ძირითადგანი წყაროს, სახელდობრ ვალლეს შრომების და ნაწილობრივ ოლეარიუსის აღწერილობის გრიფიუსის დრამასთან დამოკიდებულების გამოკვლევით შევიზღუდებით“.

როგორც ჩანს, ამ განზრახვის განხორციელება ა. ბიბიჩაძეს აღარ დასცალდა.

გამოხდა ხანი და ორი ქართველი მკვლევარის დაუსწრებელ პაექრობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, არბიტრად მოევლინა ავსტრალიელი მკვლევარი კ. ლეოპოლდი და ქუინსლენდის უნივერსიტეტის შრომებში (1967 წ.) გამოაქვეყნა გამოკვლევა, საიდანაც ეჭვმიუტანლად ცხადი ხდება, რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა — ზ. ავალიშვილს თუ ა. ბიბიჩაძეს.

კ. ლეოპოლდის გამოკვლევაში „ანდრეას გრიფიუსი და სირ დე

სან-ლაზარ: „ქეთევან ქართველის“ დამოკიდებულება მის ფრანგულ წყაროსთან“ დამოწმებულია კლოდ მალენგრის („სირ დე სან-ლაზარ, ისტორიოგრაფი“) დასახელებული თხზულების დაწვრილებითი შინაარსი, რომელსაც უცვლელი სახით გავაცნობ მკითხველს.

მალენგრი გვაუწყებს, რომ ოსმალეთის სულთან აჰმედის დროს თბილისს (იგულისხმება ქართლის სამეფო) განაგებდა სიმონ-ხანი, რომელსაც ჰყავდა შვილი (უნდა იყოს — შვილიშვილი) ალოვასმირზა (ლუარსაბი), ხოლო ივერიას (იგულისხმება კახეთის სამეფო) განაგებდა ალექსანდრე-ხანი, რომელსაც ჰყავდა ორი შვილი, კონსტანტინე-მირზა და დაუდ-მირზა.

ოსმალეთის სულთანმა ურჩი სიმონ მეფის წინააღმდეგ გაგზავნა ლაშქარი. ბრძოლაში დამარცხებული სიმონი ტყვედ ჩავარდა და, ლუარსაბთან ერთად, წარგზავნილ იქნა კონსტანტინოპოლში. მალე, სულთნის ბრძანებით სიმონ მეფე მოწამლეს და ლუარსაბი დააბრუნეს ქართლში, მამის ადგილზე. მაგრამ ლუარსაბი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო და მმართველობის გამოცდილება აკლდა, ამიტომაც რეგენტად დაუნიშნეს ვინმე მევრაბი (მოურავი გიორგი საააკაძე). ყველა აქებდა მის მართვა-გამგებლობას.

ამასობაში შაჰ-აბასი შეშინდა, ვაითუ კახეთის მეფემაც მიჰბაძოს ქართლის მეფის მაგალითს და ოსმალთა გავლენის ქვეშ მოექცესო. ამიტომაც შესთავაზა თავისი მფარველობა ალექსანდრეს. კახეთის მეფე ფიქრობდა, რომ მისი თანხმობა გაართულებდა ურთიერთობას ოსმალებთან, მაგრამ ამავე დროს იმასაც ხვდებოდა, რომ უარის შემთხვევაში გაიზიარებდა სიმონ მეფის ხვედრს. ალექსანრემ ორი ბოროტებიდან უმცირესი აირჩია და დათანხმდა შაჰ-აბასის მოკავშირეობას. ალექსანდრეს ერთგულებაში დარწმუნებული რომ ყოფილიყო, შაჰ-აბასმა მძევლად წაიყვანა ირანში მისი უფროსი შვილი კონსტანტინე და მალე დაიყოლია გამაჰმადიანებაზე.

მალენგრის მიხედვით, როდესაც ალექსანდრემ შეიტყო ეს ამბავი, ჩამოართვა მემკვიდრეობა კონსტანტინეს და კახეთის ტახტი უანდერძა დავითს. შემდეგ დააქორწინა იგი კეთილშობილ ბატონიშვილზე, რომელსაც სახელად ერქვა კათრინ (ქეთევანი). დავითსა და ქეთევანს შეეძინათ შვილი თამარას (თეიმურაზი). შაჰმა ისიც მოითხოვა მძევლად და ლამობდა გაემაჰმადიანებინა კონსტანტინესავით, მაგრამ ყმაწვილი თეიმურაზი ურყევად იდგა ქრისტიანულ რჯულზე.

ერთ მშვენიერ დღეს შაჰმა იხმო კონსტანტინე და შეახსენა, თუ რაოდენ ავად მოეპყრო მას საკუთარი მამა. მერე ჩააგონა, აქ მოიწვიე ალექსანდრე და დავითი, ორივე მოწამლე და კახეთზე გაილაშქრეო. როდესაც ძმას მოიშორებ და კახეთს დაეპატრონები, ისიც გონივრული ნაბიჯი იქნება, თუ დაქვრივებულ ქეთევანს ცოლად შეირთავო, კონსტანტინე თითქოსდა ოდნავ შეყოყმანდა, მაგრამ ქრისტიანული რჯულიდან განდგომილმა მალე დასძლია სინდისის ქენჯნა.

ალექსანდრე და დავითი (უნდა იყოს — გიორგი), ჯარის თანხლებით ჩავიდნენ სეფიანთა სამეფო კარზე, კონსტანტინემ მოწამვლა გადაიფიქრა და ნადიმის დროს იარაღით დახოცა მამაც და ძმაც. ქართველი დიდებულნი აღშფოთდნენ, მაგრამ შაჰმა დაარწმუნა ისინი, რომ ალექსანდრე და დავითი ანაზდად წამოჭრილ დავაში შემოაკვდა განრისხებით გონდაკარგულ კონსტანტინეს. მერე ისიც დასძინა, კონსტანტინე, როგორც უფროსი ვაჟი, კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე არისო.

კონსტანტინე გაეშურა კახეთს. მის ჯარს შეადგენდა ალექსანდრეს თანმხლები ოთხი ათასი ქართველი და შაჰის მიერ გატანებული თხუთმეტი ათასი ყიზილბაში. მისი მოახლოების ამბავი რომ შეიტყო ქეთევანმა, მყისვე შეკრიბა ათი ათასი მეომარი და განაწყო ვიწრო ხეობაში, რომელიც უნდა გაევლო კონსტანტინეს ლაშქარს. როდესაც კონსტანტინემ მიაღწია ამ ადგილს, ქეთევანმა შეუთვალა, რად გინდა იარაღის ძალით მოიხვეჭო ის, რაც კანონიერად გეკუთვნისო. კონსტანტინეს ისიც მოახსენეს, რომ ქეთევანი მზად იყო ცოლად გაჰყოლოდა მას და ამ საქმის მოსაგვარებლად იბარებდა მცირე ამალის თანხლებით. კონსტანტინე დაჰყაბულდა და შეხვდა დედოფალს ვიწრო ხეობაში. მოლაპარაკების შემდეგ იგი გაბრუნდა თავისიანებისაკენ, და, უეცრად, დედოფლის მეომრებმა ზურგში ესროლეს და მოკლეს. მერე, კონსტანტინეს თანმხლებ ქართველებთან ერთად, შეუტიეს ყიზილბაშთა ლაშქარს და თითქმის მთლიანად გაჟლიტეს.

მალენგრი აღნიშნავს, რომ შაჰ-აბასმა გულში ჩაიკლა თავისი განრისხება ამ დამარცხების გამო. კახეთის მეფედ წარგზავნა თეიმურაზი და მოუწოდა ქეთევანს, ღირსეული ცოლი შეერჩია ყმაწვილისათვის.

ქეთევანს სურდა თეიმურაზის დაჭორწინება ერთ ბატონიშვილზე ქართლის სამეფოდან, მაგრამ გამოირკვა, რომ ის ქალი უყვარდა ლუარსაბს. საბოლოოდ, ხსენებული ბატონიშვილი ჩაიკეტა ციხე-სიმაგრეში და გამოაცხადა: ვინც გაიმარჯვებს, იმისი ვიქნებიო. ლუარსაბმა და თეიმურაზმა გადაწყვიტეს, დაჰყოლოდნენ ახალგაზრდა ქალის ნება-სურვილს.

შაჰ-აბასმაც შეიტყო მომხდარი ამბავი და განიზრახა ხელი მოეთბო. მან საიდუმლოდ გაუგზავნა ლუარსაბსა და თეიმურაზს ერთი და იმავე შინაარსის წერილი. ერთსაც ჰპირდებოდა მხარდაჭერას და მეორესაც. კარნახობდა: თქვით, რომ ამ ქალს შაჰის რჩევა-დარიგებით მოვითხოვთო.

ვიდრე ლუარსაბისა და თეიმურაზის ჯარები ერთმანეთს შეეყრებოდნენ საომრად, ლუარსაბი ფიქრს მიეცა, რაოდენ უგუნურად ვიქცევითო. რად უნდა შეებრძოლო ქრისტიანი ქრისტიანს, როდესაც დღე-დღეზე მოსალოდნელია მტრის შემოსევაო. ქართლიცა და კახეთიც რად უნდა დავასუსტოთო? შემდეგ აცნობა თეიმურაზს თავისი ნაფიქრალი და ისიც აუხსნა, რომ ამ ქალის ცოლად შერთვას აპირებდა არა მარტო სიყვარულის გამო, არამედ შაჰის ბრძანებითაც. თეიმურაზსაც ხომ ჰქონდა მიღებული იმავე შინაარსის წერილი და მყისვე მიხვდა, რომ შაჰი მათ იყენებდა თავისი მიზნების განსახორციელებლად.

ლუარსაბი და თეიმურაზი მორიგდნენ, ხოლო ბატონიშვილი ცოლად გაჰყვა თეიმურაზს. ქართლისა და კახეთის მეფეებმა ამჯობინეს, რომ ახლო კავშირი შეეკრათ ოსმალეთთან.

მალენგრი განაგრძობს, რომ შაჰ-აბასს არაფერი გაუგია ქართველების მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯზე, ვიდრე თვით სულთანმა, მის გასამასხრებლად, ელჩის პირით არ შეუთვალა: გვაუწყე, ლუარსაბი და თეიმურაზი თქვენ გემორჩილებიან თუ ჩვენაო. შაჰს ეჭვიც არ ეპარებოდა ქართლ-კახეთის მეფეთა მორჩილებაში; ოსმალთა ელჩს შესთავაზა, ცოტა ხნით დაყოვნდი, სანამ ქართველი მეფეები ჩემი ბრძანების თანახმად, თავიანთი ჯარით არ მეახლებიანო, მაგრამ მეფეებმა ცივი უარი სტკიცეს შაჰ-აბასს და ამით უზომოდ დაამცირეს ოსმალთა თვალში.

შაჰი საშინლად განრისხდა და მყისვე გადაწყვიტა გალაშქრება საქართველოზე. მისი მრჩევლები ალოვარდ-ხანი (ალავერდი-ხან

უნდილაძე) და ყორჩიბაში (ისა-ხან ყორჩიბაში?) ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ხელმწიფე, ლაშქარს თავად ნუ გაუძღვებიო. ამგვარი რჩევით აღშფოთებულმა შაჰ-აბასმა მოაწამვლინა ალავერდიხანი და გაჯოხვა მიუსაჯა ყორჩიბაშს.

შაჰ-აბასი თავისი ლაშქრით რომ მიუახლოვდა კახეთს, ქეთევანმა გაისტუმრა თეიმურაზი და მისი მეუღლე ქართლში, თვითონ კი შაჰს ეახლა. დედოფალთან შეხვედრისას შაჰი თავს იკატუნებდა, თითქოსდა სიყვარულით დაბნედილი უფრო იყო, ვიდრე განრისხებული. მან სთხოვა დედოფალს, ხელშეკრულების დასადებად ორმოცდაათი ქართველი დიდებული ჩემთან მობრძანდესო. როდესაც ისინი ეახლნენ, ყველა გაყლიტა, ქეთევან დედოფალი დაატყვევა და თეიმურაზის ხელში ჩასაგდებად ქართლისაკენ გაეშურა.

ლუარსაბი, მოურავთან ერთად, შეეგება ხელმწიფეს. ორივე დაიკავეს, აგრეთვე — მოურავის ცოლ-შვილი, და თავი უკრეს ირანს, სამეფოს მმართველად დატოვეს ხანდაზმული მაჰმადიანი, რომელიც საქართველოს სამეფო გვარისა იყო (იგულისხმება ბაგრატხანი).

მალენგრის სიტყვით შაჰმა მოაწამვლინა ირანში წაყვანილი ლუარსაბი, ხოლო მოურავი დაიყოლია, რომ გამაჰმადიანებულიყო. მანამდე, შაჰის ბრძანებით, თვით მოურავის თვალწინ, გააუპატიურეს მისი მეუღლე, ასული და ვაჟი (?!).

ირანის სამეფო კარზე ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ, შაჰ-აბასმა შესთავაზა მოურავს წინამძღოლობა ათი ყიზილბაში ხანისა და გალაშქრება საქართველოზე, უნდა წაეყვანა აგრეთვე ხელმწიფის ასული და დაექორწინებია მასზე სეფიანთა მარიონიტი გამგებელი ქართლისა (იგულისხმება სიმონ-ხანი, ძე ბაგრატ-ხანისა). შემდეგ უნდა დაეტყვევებინა ყველა ქრისტიანი იმ ქვეყნისა და ჩაეყვანა ირანის სატახტო ქალაქში, რათა ისინი შეეყვანათ ხელმწიფის მეჩეთში და შეეთავაზებინათ არჩევანი — გამაჰმადიანება ანდა სიკვდილი. მოურავი დათანხმდა, მაგრამ არ იცოდა, რომ შაჰ-აბასმა სრიდუმლოდ უბრძანა ყიზილბაშ ხანებს მისი მოკვლა მაშინ, როდესაც ხელმწიფის ყველა ბრძანება შესრულდებოდა.

მოურავი თავისი ლაშქრით ჩავიდა საქართველოში. მას კარგად შეხვდნენ, რადგან ახსოვდათ, როგორც ბრძენი და მოწყალე მმართველი. მიუხედავად ამისა. ერთ-ერთმა ხანმა სიკვდილით დასაჯა რამდენიმე ქართველი დიდებული. მოურავმა დატუქსა იგი, მაგრამ

ხანი ამტკიცებდა, შაჰის საიდუმლო ბრძანების შესაბამისად ვიმოქმედეო.

მოურავი დარწმუნდა ხელმწიფის მუხანათობაში, დაიბარა ქართველი დიდებულნი და ამცნო შაჰ-აბასის ვერაგული გეგმა. მათვე გუმეღავნა, რომ ყველა ყიზილბაშ ხანს მიიწვევდა ლხინში, ამოხოცავდა, ხოლო ქართველებს ამავე დროს ყიზილბაშთა ლაშქარი უნდა გაეჟლიტათ.

ჩანაფიქრი წარმატებით განახორციელეს. მოურავმა დახოცილ ხანთა თავები წამოაგო შუბზე. სადილობისას შეჰყურებდა და „ადღეგრძელებდა“ ყოველი მათგანის მოკვეთილ თავს. ამასთან ერთად, იხსენებდა მოკვეთილი თავების პატრონთა ყველა უკეთურ საქმეს.

მალენგრი გვარწმუნებს, რომ ამასობაში შაჰ-აბასმა გადაწყვიტა, მოსვენება მიეცა ქართველებისათვის და ომი მათი ქვეყნის წინააღმდეგ მართლაც აღარ წამოუწყიაო. მოურავმა შეუთვალა ლუკოლვილ თეიმურაზს, დაბრუნებულიყო საქართველოში. ისიც დათანხმდა. შემდეგ. თეიმურაზი და მოურავი ერთად ესტუმრნენ კონსტანტინოპოლს, სადაც მოურავმა ყოველგვარი დახმარება გაუწია ოსმალეთის სულთანს ყიზილბაშებთან ომში.

კონსტანტინოპოლში ორი თუ სამი წლის ყოფნის შემდეგ თეიმურაზი დაბრუნდა სამშობლოში. მისთვის აუტანელი იყო ტყვეობა დედისა, რომელიც მისი თავისუფლებისა და სიცოცხლის გადასარჩენად ეახლა შაჰს. თეიმურაზმა რამდენჯერმე მისწერა თხოვნა შაჰ-აბასს, ქეთევანი გაათავისუფლეო, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ბოლოს რუსეთის ელჩმა, გზად მოსკოვიდან ირანისაკენ, გაიარა საქართველო და დაჰპირდა თეიმურაზს, რომ გამოიყენებდა თავის გავლენას ტყვეობიდან დედოფლის დასახსნელად.

მალენგრის მიხედვით, ირანის სატახტო ქალაქში ჩასულ რუსეთის ელჩს შაჰ-აბასმა განუცხადა, ქართველი დედოფალი თავისუფალი არის და სადაც ინებებს, იქ წაბრძანდესო. ელჩს შესთავაზა კიდეც პირადი შეხვედრა დედოფალთან. ამავე დროს, ტყვე ქეთევანი სასწრაფოდ გაისტუმრა შირაზს და უბრძანა შირაზის ხანს, სახელად იმაყულის (იმამყული-ხან უნდილაძეს), რომ დაეყოლიებინა დედოფალი გამაჰმადიანებაზე და თუ არ დათანხმდებოდა, სასტიკი წამებით მოეკლათ.

იმამყული-ხანმა უთხრა დედოფალს, თუკი გამაჰმადიანდები, ოქროს მთებს მოიხვეჭ, შაჰ-აბასის ცოლი გახდებიო და თუ უარს

იტყვი, მაშინ სასტიკი წამება მოგელისო. ქეთევანმა იუარა გამაჰმადიანება და წარმოთქვა: სინამდვილეში ხელმწიფე არაფერს მთავაზობს, ვინაიდან ისედაც დედოფალი ვარ, ხოლო ჩემი ქვეყნის ქალებისათვის სამაგალითოდ უნდა მოვიქცეო. იმამყული-ხანმა უთხრა, ხელმწიფის ბრძანებას ვასრულებო და სთხოვა დედოფალს, არ დაეკისრებინა მასზე პირადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც-ახლა უნდა მომხდარიყო. ქეთევანმა მიუტევა მას და შეჰპირდა, არ დაგძრახავო. შემდეგ ითხოვა თავისი სარწმუნოების მღვდელი. ეახლა ორი პორტუგალიელი მისიონერი, ავგუსტინელთა ორდენისა, მაწა ამბროზიო და მამა ანტონიო. დედოფალმა, „რომელიც ადრე იყო ქრისტიანი სჭიზმატიკოსი და ერეტიკოსი ბერძნული რჯულისა", წამების წინ კათოლიკური სარწმუნოება აღიარა.

ჯალათები შეუძღვნენ დედოფალს დიდ დარბაზში (შემდეგ აღწერილია მისი ბარბაროსული წამება.) დედოფალმა მხოლოდ ეს წარმოთქვა: „ო, უფალო ჩემო! ო, იესოვ ჩემო!"... წამებული ჯერ ისევ სუნთქავდა, როდესაც გარეთ გაასვენეს და ცეცხლში ჩააგდეს (შემდეგ გადმოცემულია ქეთევან დედოფლის ნეშტის წამოსვენება საქართველოში მამა ამბროზიოს მიერ).

აი, ასეთია კლოდ მალენგრის თხზულების დაწვრილებითი შინაარსი.

საკმარისია, ყურადღებით წავიკითხოთ ზემოთ დამოწმებული ტექსტი და შევუდაროთ ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიის სათანადო ეპიზოდებს, რომ თვალნათლივ დავინახავთ იშვიათ მსგავსებას. მალენგრის ქრონიკის პირველი ნაწილი (საქართველოში მოურავის ჩამოსვლამდე) წარმოადგენს რუსთა ელჩთან შეხვედრისას ქეთევან დედოფლის თხრობის უშუალო წყაროს (ანდრეას გრიფიუსი „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე", თარგმანი აკ. გელოვანისა, 1975, გვ. 138—152); ხოლო მეორე ნაწილი ემთხვევა დედოფალთან ჩასული ქართველი მაცნის დემეტრეს ნაამბობს (იქვე, გვ. 86—97). გარდა ამისა, ტრაგედიის სხვა მონაკვეთებშიც გაფანტული არის მალენგრის ქრონიკაში ამოკითხული ინფორმაცია (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანისტ ა. ბიბიჩაძის გამოუქვეყნებელ სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის გრიფიუსის ტრაგედიის სრული თარგმანი. ამდენად, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შეამოწმოს აკ. გელოვანისეული თარგმანის სიზუსტე).

კ. ლეოპოლდი სავსებით სამართლიანად ასკვნის, რომ გრიფიუსი

ძალზე ერთგულად მისდევს მალენგრის თხზულებას და დრამატურგიის ისტორიაში ერთობ მცირეა ამგვარი შემთხვევები, როდესაც ავტორი ასე სრულად იყენებდეს თავის წყაროს. გერმანელმა დრამატურგმა აამეტყველა თავის ტრაგედიაში თითქმის ყველა დეტალი, რომელსაც შეიცავდა მალენგრის ქრონიკა, ხოლო მისი ბოლო ნაწილი (ქეთევანის წამება) აქცია ტრაგედიის მთავარ ღერძად და წარმოადგინა იგი გავრცობილი და დრამატიზებული ფორმით. გრიფიუსის მიერ შეტანილი ცვლილებანი, ძირითადად, ეხება პერსონაჟთა ხასიათებს, რომლებიც უფრო სისხლსავსე უნდა იყოს მხატვრულ ნაწარმოებში. ავსტრალიელი მკვლევარის აზრით, მთავარი განსხვავება გრიფიუსსა და მალენგრს შორის გახლავთ ამბავი შაჰ-აბასის სიყვარულისა ქეთევან დედოფლისადმი. მალენგრის მიხედვით, დედოფალთან პირველი შესვედრისას, შაჰი თითქოსდა თვალთმაქცობს, სიყვარულით შეპყრობილი ვარო. ეს მოკლე ცნობა გულმოდგინედ არის დამუშავებული და გავრცობილი გრიფიუსის ტრაგედიაში, სადაც სეფიანთა ირანის მრისხანე ხელმწიფე გულწრფელად განიცდის თავის ავხორცულ ვნებას და სიყვარულში დამარცხებული აღიგზნება შურისძიების წყურვილით.

დავუბრუნდეთ ორი ქართველი მკვლევარის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას გრიფიუსის ძირითადი წყაროს შესახებ. კ. ლეოპოლდის გამოკვლევა და, უპირველეს ყოვლისა, კლოდ მალენგრის ქრონიკის დაწვრილებითი შინაარსი ეჭვის ნატამალსაც აღარ ტოვებს, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ზ. ავალიშვილს.

ა. ბიბიჩაძე რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ გრიფიუსის ტრაგედიაში დამოწმებულია ბევრი ცნობა, რომლებიც არ მოიპოვება დელა ვალეს, ოლეარიუსისა და მალენგრის ნაწერებში. ასე მაგალითად: თეიმურაზის მძევლად წაყვანა შაჰის კარზე. მისი ქორწინების ამბავი, მოურავის დატყვევება ლუარსაბთან ერთად, მოურავისეული გეგმა ყიზილბაშთა გაჟლეტისა და მისი განხორციელება და სხვ. ა. ბიბიჩაძის სიტყვით, „ეს დეტალები ისტორიულ ფაქტებს ასახავენ და ამიტომაც ავტორის მიერ შეთხზულად არ შეიძლება ჩაითვალონ“. მისი ვარაუდი, რომ გრიფიუსს ისინი მოუპოვებია დელა ვალესა და მის ქართველ მეუღლესთან პირადი საუბრების შედეგად, არავითარ საბუთს არ ემყარება და ვარაუდადვე რჩება. სამაგიეროდ ეს დეტალები აღბეჭდილია მალენგრის ქრონიკის ფურცლებზე.

როგორც ჩანს, ა. ბიბიჩაძე არ იცნობდა მალენგრის წიგნს (რო-

მელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს), ზ. ციგულსკის კი მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი უნდა ჰქონდეს დამოწმებული. წინაალმდეგ შემთხვევაში, ესოდენ დაკვირვებული მკვლევარი, კლოდ მალენგრის თხზულებაში გადმოცემული მასალის ანალიზის შედეგად, უეჭველია, იმავე დასკვნას გამოიტანდა, როგორსაც ზ. ავალიშვილი.

ასეა თუ ისეა, ა. ბიბიჩაძე მაინც ანგარიშს უწევდა ფრანგი მწერლის ქრონიკას და წერდა, რომ გრიფიუსის ტრაგედიაში მოტანილი მრავალი დეტალის წყარო, გარდა დელა ვალეს ნაშრომებისა, უნდა იყოს მალენგრის ნაშრომიც.

დაფიქრებასა და განსჯას უთუოდ მოითხოვს ბევრი საკითხი, რომლებიც წამოიჭრება გრიფიუსის ტრაგედიის შედარებისას მალენგრის ქრონიკასთან. ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს თვით მალენგრის თხზულების წყაროთა მიკვლევა და დაღგენა იმისა, თუ რა წვლილი შეიტანა ფრანგი მწერლის კალამმა ზემოხსენებული მოვლენების შესახებ წაკითხულსა თუ მოსმენილში.

მალენგრის ნაამბობი, ძალზე ხშირად, შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ანდა იმ ხანებში გავრცელებულ ინფორმაციას, მაგრამ ზოგჯერ აშკარად ცოდავს (გავიხსენოთ, მაგალითად, მოურავის ცოლშვილის გაუპატიურება დატყვევებული მოურავის თვალწინ! ეს ფანტასტიკური და, შეიძლება ითქვას, ალოგიკური ეპიზოდი, მინიშნებულიც რომ არ გახლავთ ჩვენთვის ცნობილ წყაროებში, ჩანს, მწერლის ფანტაზიას უნდა მივაწეროთ).

ერთი სიტყვით, გრიფიუსისა და მალენგრის თხზულებებში მოცემული ამა თუ იმ ცნობის შეჯერება უკვე დადგენილ და უტყუარ ისტორიულ სინამდვილესთან, უეჭველად იმსახურებს განხილვას ცალკე წერილში.

აქ მინდა შევეხო მხოლოდ ერთ ცნობას, რომელიც ყველაზე მეტად მოხვდება თვალში ქართველ მკითხველს და დააეჭვებს მალენგრის პროფესიულ კომპეტენტურობაში.

საქმე ისაა, რომ მალენგრის მიხედვით, მარტყოფის აჯანყება წინ უსწრებს ქეთევან დედოფლის წამებას. სინამდვილეში დედოფალი აწამეს 1624 წლის 12 სექტემბერს. ხოლო აჯანყება მოხდა 1625 წლის 25 მარტს.

მაგრამ რატომ უნდა გვეუცხოვოს მალენგრისა და, შესაბამისად, გრიფიუსის მიერ მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის

დარღვევა, როდესაც სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, ასევე, ჯერ მოგვითხრობს მარტყოფის აჯანყების ამბავს (ათარიღებს 1623 წლით), შემდეგ — მარაბდის ომს (1624 წ.) და ბოლოს — ქეთევან დედოფლის წამებას, გამოწვეულს თითქოსდა შაჰ-აბასის შურისძიებით მარტყოფისა და მარაბდის გამო.

ვახუშტი ხსენებული მოვლენებიდან ერთი საუკუნის შემდეგ წერდა თავის თხზულებას და შეცდომა, ნაწილობრივ მაინც, ეპატიება. მაგრამ განა საოცარი არ არის, რომ იმავე მოვლენათა თანამედროვე და მოწმე ნიკიფორე ირბახი, 1626 წელს დასავლეთ ევროპაში წარგზავნილი ელჩი თეიმურაზ მეფისა, ვატიკანში დაცული რელაციის თანახმად, ასევე ამტკიცებს, რომ მარტყოფის აჯანყება და მარაბდის ომი წინ უსწრებდა შირაზში ქართველი დედოფლის წამებას და სწორედ მარტყოფ-მარაბდაში განცდილმა მარცხმა აღაშფოთა შაჰ-აბასი და შურისძიების წყურვილით . შეპყრობილმა გამოიტანა განაჩენი: ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანება ანდა სიკვდილი.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მალენგრი შეაცდინა იმ ინფორმაციამ, რომელიც გავრცელდებოდა დასავლეთ ევროპაში, ვთქვათ, იმავე ნიკიფორე ირბახის წყალობით (შესაძლოა კათოლიკე მისიონერებსა თუ სხვა ევროპელ ავტორებსაც აერიათ ანგარიში).

მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მალენგრმა შეგნებულად გადაასხვაფერა ისტორიული სინამდვილე. ამგვარ ვარაუდს თითქოსდა მხარს უჭერს გრიფიუსის ტრაგედია, სადაც პირველივე მოქმედებაში ამცნობენ ქეთევან დედოფალს ქართველი ხალხის გამარჯვებას და ხანგრძლივი უნუგეშობის შემდეგ ფრთებშესხმული კიდევ უფრო ამაყად და შეუპოვრად ეგებება უმძიმეს განსაცდელს.

ადვილი დასაშვებია, რომ ამავე მიზეზით იყოს განპირობებული მალენგრის ქრონიკაში შემჩნეული სხვა შეცდომებიც, რომლებიც არ აღმინუსხავს ტექსტის დამოწმებისას. მაგრამ ეს შეცდომები თუ შეუსაბამობანი ვერ აფერმკრთალებენ ფრანგი მწერლის თხზულების უდავო ღირსებებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლოდ მალენგრის ქრონიკა, რომელიც გულუხვად ამარაგებს გრიფიუსის ტრაგედიას ძვირფასი ცნობებით, ამასთან ერთად, წარმოადგენს ძალზე საინტერესო წყაროს საქართველოს ისტორიის (XVII ს. პირველი მეოთხედი) ზოგიერთი მოვლენის გასაშუქებლად.

ათასი ელვის ნათელი

თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე წიგნში, სხვა უამრავ მასალასთან ერთად, აღწერილია შირაზის ტყვეობაში მყოფი ქეთევან წამებულის ნაქონი ლოცვანი, რომელიც მისივე შეკვეთით 1609 წელს გადაუწერია ქვათახევის მონასტრის წინამძღვარს იოანე ავალიშვილს.

მკვლევარის სიტყვით, ლოცვანის რამდენიმე ფურცელს ქვემო არშიაზე ატყვია ცრემლთაგან დარჩენილი ლაქა, აქა-იქ ალბეჭდილა სანთლის ნაღვენთიც: ხოლო ერთ ალაგას შეინიშნება სისხლის წვეთი და იქვე, ზემო არშიაზე — ისევ ლაქა ცრემლთაგან.

თ. ჟორდანია დასძენს, რომ „თვით ქეთევანისთვის დაწერილი და თვით მის წმინდანის ნაქონი ლოცვანი, მის წმინდის ცრემლით დალტობილი“ შემდგომში უჩუქებიათ მიხეილ საბინინისათვის.

მაშასადამე, ტყვე დედოფლის ერთადერთი იარაღი და უკანასკნელი ნუგეში უვნებლად დაბრუნებულა სამშობლოში.

იმის გასახსენებლად, თუ ვინ იყო საბინინი და რა ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე, საკმარისია გადავიკითხოთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-8 ტომში მოცემული მოკლე, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ ხსენებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე (1845—1900), საქართველოს სიძველეებისა და სასულიერო მწერლობის მკვლევარი, საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავებსა და ქართულ ეკლესია-მონასტრებში კრებდა ქართული საეკლესიო მწერლობის მასალებს, ხელნაწერებს. მხატვრობისა და ოქრომჭედლობის ნიმუშებს, მოღვაწეთა რელიკვიებს, ეპიგრაფიულ წარწერებს; იღვწოდა ქართული ხელოვნების ძეგლების (დასაღუპავად განწირული ეკლესიების, ნიშების, საფლავების) შეკეთება-აღდგენისათვის. იქვე აღნიშნულია ისიც, რომ მ. საბინინმა ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ფუნდამენტური გამოცემით („საქართველოს სამოთხე“, სანკტ-პეტერბურგი, 1882) ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. და ბოლოს, მითითებულია კიდევ ერთი მხარე მისი მოღვაწეობისა: „საბინინი გაბედულად ილაშქრებდა ცარისტული რუსიფიკატორული პოლიტიკის, კერძოდ, ქართული ენის დევნის

წინააღმდეგ, იცავდა ქართული ეკლესიის უფლებებს, რის გამოც სინოდმა უარი უთხრა ეპისკოპოსის ხარისხზე".

მართლაც რომ მრავლისმთქმელი და საგულისხმო დახასიათებაა. როგორც ვხედავთ, ღირსეული ადამიანისათვის უჩუქებიათ ქართველი ხალხის უძვირფასესი რელიკვია — წამებული დედოფლის ცრემლით დალტობილი ლოცვანი. მართებული მისამართით გაუმეტებიათ, განსხვავებით „ვეფხისტყაოსნის" ზაზასეული ხელნაწერისაგან, რომელიც ერეკლე მეფის ასულის თეკლას ოჯახიდან 1853 წელს საჩუქრად მიართვეს კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვს და დიდხანს ინახებოდა მის არქივში, როგორც უსარგებლო და ხელუხლებელი ნივთი.

რაც შეეხება ქეთევანის ლოცვანს, ეს იშვიათი სახსოვარი მ. საბინინს, ჩანს, ქართველი ხალხისათვის უანდერძებია.

გიორგი ლეონიძის ლექსის („ქეთევანის წიგნი") ეპიგრაფში ვკითხულობთ: „საქართველოს მუზეუმში ინახება ხელნაწერი ლოცვანი, ქეთევან დედოფლის ტყვეობაში ნაქონი. წიგნის ფურცლებს დღესაც ატყვია ცრემლის ლაქები და ერთგან სისხლის ნაწვეთალი".

ძნელი დასაჯერებელია, რომ თ. ჟორდანიას „ქრონიკებში" მოტანილი სიტყვაძუნწი ცნობა არ შემორჩეს მეხსიერებას და მკითხველის სულის სიღრმეში რომელიღაც კუნჭულს არ შეეხიზნოს მოულოდნელ ტკივილად. მაგრამ, როდესაც შენი ხელით შეეხები ქეთევანის ხელში გამოვლილ წიგნს, როდესაც შენი თვალით შეხედავ ცრემლით დალტობილ ფურცლებს და, ამასთან ერთად, ხარ პოეტი, განგებისაგან ჭეშმარიტ პოეტად დაბადებული, რომელსაც მშობელ მიწაში გიდგას ფესვები, შეუძლებელია, რომ სხვაზე მეტად არ შეგძრას უჩვეულო კონტაქტმა წამებული დედოფლის ცრემლთან და სისხლთან. შეუძლებელია, რომ ამ წიგნმა მყისვე არ გადმოისროლოს შენს გულში სამი საუკუნის წინათ ქართველი დედოფლის თავზე მოვლენილი ტრაგედია.

„ღამეა. სულ წვიმს. განა ცას ამდენი უნდა ეწვიმა? გული შემიკრთო უეცრივ აჩრდილმა გადმოხვეწილმა" ... ვინ იცის, ეგებ გვიანობამდე დაყოვნდა პოეტი იმ მუზეუმში, დღეს რომ გ. ლეონიძის სახელს ატარებს (პაწია შტრიხი მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად) და თითქოს დღესაც დასტრიალებს პოეტისა და მკვლევარის ხარბი თვალი ხელნაწერებს, მათში ჩამალულ საიდუმლოებათა გასამჟღავნებლად თუ პოეზიისათვის შთამაგონებელი იმპულსების აღმოსაჩე-

ნად. როდესაც მკვლევარის ფიქრი და ანალიზი ვერ ამოწურავს სათქმელს, მაშინ ლექსად უნდა გადმოხეთქილიყო წარსულის მოლანდება.

გადაუღებელი წვიმით იწყება ლექსი. წვიმა, რომელიც ძალზე ხშირად ლირიკული გმირის განწყობილებას გამოხატავს ხოლმე, შემოდგომის სევდასა თუ გაზაფხულის მღელვარებას, ამჯერად ტრაგიკული განცდის აკომპანემენტად გადაქცეულა. „ქეთევანის წიგნი" დათარიღებულია 1943 წლით და სულ სხვაგვარად ჟღერს პოეტისათვის გადაუღებელი წვიმის ხმაური: „ღამეა. სულ წვიმს. განა ცას ამდენი უნდა ეწვიმა?"... ამდენი წვიმა შეესიტყვება რამდენ ჰირვარამს, რამდენ მწუხარებას, რამდენ „სისხლის წვიმებს"...

1943 წელია. ეგებ უკვე დაიწერა ცნობილი ლექსი „შინმოუსველელო, სადა ხარ?"... თუ არ ვცდები, სწორედ გ. ლეონიძემ შემოიტანა ქართულ სალიტერატურო ენაში ეს მშვენიერი კომპოზიტი და უკვდავება მიანიჭა. გაიელის ოციოდე წელიწადი და მთელ საქართველოს ტერიტორიას, სოფელსა და ქალაქს, გზებსა და ბაღებს მოეფინება შინმოუსველელთა უთვალავი ობელისკები და სტენდები, საიდანაც შემოგვყურებენ გ. ლეონიძის მადლიანი კალმით „ღიმილის ბიჭებად" მონათლული გმირები ფოტოკამერის წინ გაქვავებული სახეებით; თითქოსდა უკვე გაუსწორებიათ თვალი სიკვდილისათვის და ღიმილი წაშლილა მათი პირისახიდან. მთელ საქართველოს მოეფინება შინმოუსველელთა სახელზე დარგული ხეები და ფოთლები შრიალით გაიმეორებენ პოეტის უკვდავ სტრიქონებს: „შინმოუსველელო, სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა? სად ლპება შენი ჭოჩორი, თვალი სად ამოგიღამდა? თბილისში ვარდი აყვავდა, შენ სად არჩიე დარჩენა? ნეტავი წამოგახედა, მთაწმინდა კიდევ გაჩვენა! შორი გამხდარა სავალი, რამდენიც გინდა იარო; აღარ ჩანხარ და ვერც მოხვალ, მხედარო გულნატყვიარო!.. თვალში გვაკლიხარ, სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა? შენი ქართული მარჯვენა სად ჩაიშალა თიხადა?"

იმავე წლის ნოემბერში ტამანის ნახევარკუნძულზე პოეტი მუხლს მოიყრის უცნობი ქართველი მეომრის საფლავთან და მერე შეიქმნება თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი შედევრი „არ დაიდარდო, დედაო..." — მარად დაუვიწყარი ეპიტაფია, ათასთა და ათასთაგან გამორჩეული, მაგრამ მათივე ტყუპის ცალის, მათ ბედქვეშ მყოფი „ღიმილის ბიჭის" მონოლოგი სიკვდილის შემ-

დეგ, თითქოსდა იმქეყნიდან გამოგზავნილი მოკითხვის ბარათი დედასადმი, უკანასკნელი ამოსუთქვა უდროოდ დაღუპული ჭაბუკისა, რომელიც პოეტმა უნდა ამცნოს მთელ ქვეყანას და ოდნავ მაინც დაუამოს მოურჩენელი ტკივილი ყველა შინმოუსვლელის დედას.

უძლეველი ოპტიმიზმი, რწმენა ნათელი მომავლისა ძალუმად მსჭვალავს ამ ტრაგიკულ ლექსს: „მე არ დამკარგავს სამშობლო, სულ ვეხსომები ლევანი, სანამდის საქართველოში იწურებოდეს მტევანი“... ცხრამეტი წლის ვაჟკაცი ეთხოვება დედა-სამშობლოს, მიჰყვება წინაპრებთან მიმავალ გზას და ფიზიკურად წარმოუდგენელ დაპირებას გვიტოვებს: „თუ გაუჭირდა სამშობლოს, კვლავ ცეცხლით დაეიდაგებით, ჩვენ გამოვამტკრევთ საფლავებს, ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით“...

როდის, რომელ ქვეყანაში, რომელ გმირთა გმირს გამოუმტვრევია საფლავი, ვინ ამდგარა მკვდრეთით სამშობლოს შესაწევნელად? არასოდეს, არსად, არავინ... მაგრამ პოეზიას ზოგჯერ წარმოუდგენლის წარმოდგენაც ძალუძს და ამიტომაც ჰქვია პოეზია, ამიტომაც ემიჯნება ხოლმე ცხოვრებისეულ მშრალ სინამდვილეს და ე. წ. „ცხოვრებისეულ პროზას“.

ლექსის ბოლო სტროფი ისევ დედას უბრუნდება: „არ დაიდარდო, დედაო, ნუ მიეცემი სევდასა, დღეო, გადიდდი, გადიდდი, შვილი ეყრება დედასაა“ სიტყვები ეფერებიან დედას, ალერსი გადაქცეულა ალიტერაციად — 66 ასო-ნიშნიდან 15 „დონია“ (თითქმის მეოთხედი), ქართული ანბანის უპირველესი თანხმოვნები, რომელთაც წარმოთქვამს ახლად ენაადგმული ჩვილი, ერთად შეჯარულან, ეხვევიან მშობელს და ევედრებიან განგებას, რომ ხუთიოდე წუთით მაინც გაგრძელდეს სამუდამო განშორების ტკბილ-მწარე წუთები.

ასე დაუდგა პოეტმა ძეგლი სამშობლოსათვის დაღუპულ უცნობ ჯარისკაცს. დაუდგა გაცილებით ადრე, ვიდრე ბრინჯაოსა და მარმარილოს ძეგლები შეამკობდა უცნობ ჯარისკაცთა საფლავებს.

1941—1942 წლებში ალბათ ვერ შეიქმნებოდა და არც შეიძლებოდა შექმნილიყო ზემოთ დასახელებული ორი ლექსი. ის მრისხანე და უმძიმესი წლები მოითხოვდა მხოლოდ საომარ მოწოდებას და სევდამოკლებულ ოპტიმიზმს, საყვირი ახშობდა სიმების სინაზეს («Будь проклят сорок первый год — ты, вмерзшая в снега пехота.» წერდა ს. გუძენკო თავის ერთ ლექსში. მკაცრმა რედაქტო-

რებმა შეაცვლევინეს პოეტს ეს მინორული სტრიქონები, და მხოლოდ 1961 წელს იქნა აღდგენილი თავდაპირველი ტექსტი).

გ. ლეონიძის ლექსები თამარ მეფესა და დავით აღმაშენებელზე დათარიღებულია 1941 წლით. შეპირვებული აწმყოსათვის ჰაერივით აუცილებელი ხდებოდა გმირული წარსულის გახსენება. შემთხვევითი როდია, რომ 1941 წლის ნოემბერში, უმაღლესი მთავარსარდალი წითელი მოედნიდან პირდაპირ ფრონტზე მიმავალ ჯარებს ახსენებდა წინაპართა უკვდავ სახელებს.

მაგრამ 1943 წელი უკვე გარდატეხის მიჯნა იყო, საიდანაც გამარჯვების გზაზე დამდგარ ქვეყანას გაცილებით ხანმოკლე ეჩვენებოდა დარჩენილი ორი წელიწადი — განვლილ ორ წელიწადთან შედარებით.

გ. ლეონიძის შემოქმედებით სალაროში თანდათან მწიფდებოდა ქეთევან დედოფლის თემა — წარსულისა და აწმყოს გადაძახილი, დაურღვეველი „დროთა კავშირი", რომელსაც სწორედ პოეტმა უნდა უდარაჯოს და სული შთაბეროს.

„ღამეა. სულ წვიმს. განა ცას ამდენი უნდა ეწვიმა?"... ამ გადაღებულ, მომაბეზრებელ, გულის გამაწვრილებელ წვიმაში პოეტს ელანდება შორეული შირაზიდან გადმოხვეწილი აჩრდილი, რომელსაც დედოფლის სამოსელი აცვია და ხელში უჭირავს წიგნი — თავისი ერთადერთი იარაღი. პოეტმა იცის, რომ წიგნი სიტკბოს განიჭებს და ეს პატარა წიგნი კი შორიდანვე მწარე ნაღველს ჰპირდება წამკითხველს. „ან მისი ხელში აღება რამ უნდა გამაბედვინოს? ზედ ცრემლის ლაქა აცხია, ვიღაცას უნდა ეტირნოს!"

ვის ძალუძს, აუღელვებლად აიღოს ხელში შირაზიდან ჩამოტანილი წიგნი — უკანასკნელი ნუგეში სასოწარკვეთილი დედოფლისა, სამშობლოზე ფიქრში დატანჯული და გარდუვალი განსაცდელის შესაგებებლად გამზადებული წმინდანის ცრემლს რომ დაუტოვებია წარუშლელი კვალი მის ფურცლებზე.

პოეტი რამდენიმე სტრიქონით გვიმხელს ცრემლის ლაქებში ამოკითხულ საიდუმლოს („ზედ დაიტირა სამშობლო, ქცეული სასაფლაოდა", — ლექსის თავდაპირველი ვარიანტიდან) და მერე გადმოგვცემს ქართული წყაროებიდან კარგად ცნობილ სურათს: „შანთით, მარწუხით დახლიჩეს, გაზით უგლიჯეს ძუძუნი, ყორნებს მიუგდეს საჭმელად, ათას ხმლით გადაკუწული".

და ხდება უჩვეულო სასწაული. ათასი ხმალი ვერაფერს აკლებს

უმწეო ტყვეს. მისი სიცოცხლე და სიკვდილი შეკრულა პოლიფონიურ ჰიმნად, რომელიც გვაუწყებს გაუგონარი წამებისა და გაუგონარი მხნეობის ამბავს.

„ათასი ელვის ნათელი დედოფლის სახე ყოფილა. ო, რა თვალეგ... ქართლისთვის სიკვდილით გადაღობილან“... ვიზუალურად რომ წარმოვიდგინოთ ათასი ელვის ერთდროული აელვარება, მისი ძალა, ალბათ, კაშკაშა მზეს გაუტოლდება და წუთით მაინც გააჩახჩახებს წყვდიადს.

კიდევ ერთი ძეგლი დაიბადა პოეტის კალამქვეშ, ქეთევან დედოფლის ძეგლი.

ერის ხსოვნაში სამუდამოდ აღბეჭდილია უცნობი ქართველი ჯარისკაცი და ქეთევან წამებული; ყველა შინმოუსვლელი, დაღუპული უცხო მხარეში, ქერჩი იქნება ის თუ შირაზი — ქართული მარტიროლოგის, შესაძლოა, ყველაზე თვალსაჩინო წერტილები.

ბუნებრივია და კანონზომიერი, რომ „ღიმილის ბიჭი“ მიეშურება თავის წინაპრებთან: „ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს, პირზე მაყარეს ვარდები, დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს დამხურეს მუზარადები“... განა ის ცხრა ძმა ხერხეულიძე არ იყო შთაგონებული ქეთევან დედოფლის ლეგენდარული თავგანწირვით? სულ რაღაც ცხრა თვე აშორებს ერთიმეორისაგან შირაზის სისხლიან ტრაგედიას და მარაბდის „ბრწყინვალე დამარცხებას“.

ვკითხულობთ გ. ლეონიძის ლექსს „ქეთევანის წიგნი“ და ჩვენც არ გვასვენებენ, სულ გვდევენ „ის განიერი თვალები“, სამშობლოს ხახვას დანატრებული თვალები. აღარასოდეს მოშორდება ჩვენს მეხსიერებას მშვენიერი, უმწიკვლო და დაუვიწყარი სახე დედოფლისა, საქართველოსათვის წამებული სუსტი ქალისა, რომელმაც ჯმაგალითო მხნეობითა და ვაჟკაცობით გაუძლო ჯოჯოხეთურ გამოცდას, მისი „გაუტეხელი სიმტკიცის“ წინაშე ფერმკრთალდება წარსულის მრავალ გმირთა მხნეობა და თავდადება. ასეთი შუქურები საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის ყოველ ნაბიჯზე როდი ინთება. თითქოსდა ასეც არის საჭირო — ყველაზე პირქუში ძნელბედობის ჟამს წამოიმართოს ძეგლი ზნეობრივი გაკვეთილისა და ათასი ელვის ნათელით გაანათოს „დიდი ღამის“ წყვდიადი, აჩვენოს მისი ხარმავლობა. ანდერძად დაუტოვოს შთამომავლობას შესაშური, აღმაფრთოვანებელი და ძნელად მისაბაძი მაგალითი (იოლად მისაბაძი მხოლოდ სულმოკლეობა და უხნეობა გახლავთ).

რომ გამტყდარიყო ქეთევან დედოფალი, შესაძლოა, აღარ ყოფილიყო შარტყოფი და მარაბდა. შესაძლოა, 1625 წელს ისევ გაემეორებულიყო ათი წლის წინანდელი საშინელებანი. გატეხვა კი რაოდენ ადვილი იყო! წარმოიდგინეთ უიარაღო და უჯარო დედოფალი, ჯალათების პირისპირ დარჩენილი უმწეო ტყვე, თავისი სეფექალებისა და შემკრთალ-ათრთოლებული ხუცესი გიორგის ანაბარა მიტოვებული ქალი, რომელიც შეებრძოლა სეფიანთა იმპერიას, შაჰ-აბასის ნიჭითა და გარჯით თავისი ძლიერების ზენიტში რომ იდგა. შეებრძოლა იმ სახელმწიფოს, რომელზეც თითქმის მთელი ევროპა ამყარებდა იმედებს, როგორც მოკავშირეზე — დასავლეთისათვის ახლო მეზობლად მყოფი და გაცილებით საშიში ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ომში.

გატყდა ხუცესი გიორგი, ასე მომხიბლავად რომ ჰყავს დახატული თავის ჩანაწერებში იტალიელ მოგზაურს პიეტრო დელა ვალეს (ქეთევანის წამებამდე ორი წლით ადრე). უსამართლობა იქნებოდა მისი გაკიცხვა, თუნდაც მაშინ და მით უმეტეს — ამჟამად. ის ჩვეულებრივი მოკვდავი იყო. სიცოცხლე ერჩიენა სასტიკი წამებით სიკვდილს. ბრძოლის ველზე, ალბათ, ისიც ვაჟკაცურად შეაკვდებოდა მტერს, მაგრამ წამებას თავისი ნებით ვერ აირჩევდა. ვერაფერს მოვკითხავთ, ვერ ეუსაყვედურებთ, რომ მხარი არ დაუმშვენა წამებულ დედოფალს.

ქეთევანი იმიტომაც არის ეროვნული წმინდანი და გმირი, რომ ყველასგან გამოირჩევა, ყველაზე მაღლა დგას, ცად ატყორცნილი ალვის ხეა, რომელსაც ვერ შეაკრთობს და ვერ წააქცევს რტოებისა და ფოთლების დასახიჩრება.

წმინდანებად არ იბადებიან, ერთბაშად, ჯადოსნური ძალით ვერ გადაიქცევა უბრალო ადამიანი წმინდანად. ქეთევან დედოფალი მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლის მანძილზე ემზადებოდა წამებულის გვირგვინისათვის. მთელი მისი ცხოვრება იყო გზა, რომელსაც მიჰყავდა 1624 წლის 12 სექტემბრის შირაზამდე. ქეთევან დედოფალი წმინდანად არ დაბადებულა. მისი გადაქცევა წმინდანად განაპირობა მისმა აღზრდამ, რწმენამ, ცხოვრების წესმა, ზნეობრივი და პატრიოტული იდეალების უსაზღვრო ერთგულებამ. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა მოწამებრივი აღსასრული, თუნდაც კეთილშობილური აფექტით გამოწვეული გმირობა. მისი უკანასკნელი დღე იყო ლოგიკური წერტილი გრძელი

და ნათელი გზისა. ამიტომაც გვესახება ქეთევან დედოფალი ჩვენს ისტორიაში, როგორც საოცარი და შესაშური ნიმუში სრულქმნილი არსების ცხოვრებისა. ღირსეული სიცოცხლე და ღირსეული სიკვდილი — აი, რას ჰქვია ქართველი ხალხის ცნობიერებაში ქეთევან დედოფალი.

... ილია ჭავჭავაძე წერდა: „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გაშო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავის ვინაობა არ ახსოვს, რილას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს... ამათ სხვა მნიშვნელობაც აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა; ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა!“

ქართველი ხალხის ხსოვნაში ქეთევან დედოფალი დიდი ხანია გადაქცეულა ყველა ტანჯულისა და მაშვრალის, ყველა წამებულისა და მაინც სულით უძლეველი, გაუტეხელი და დაუმარცხებელი ადამიანის უბადლო სიმბოლოდ. მეტიც შეიძლება ითქვას: ქეთევან დედოფალი არის სიმბოლო მთელი საქართველოსი, რომელიც ასევე ულვთოდ უწამებიათ შაჰ-აბასებსა და თემურ-ლენგებს, ჯალალედინებსა და აღა-მაჰმად ხანებს; არაბ ამირებსა და მონღოლ ხონებს, ყიზილბაშ ხანებსა და ოსმალო ფაშებს.

პიეტრო დელა ვალე მოგვითხრობს, რომ შირაზის ტყვეობაში ბყოფი ქეთევან დედოფალი მოთმინებითა და დიდსულოვნად

შეჰყურებდა თავისი ამალის ზოგიერთი წევრის გამაჰმადიანებას. ეგებ იმიტომ, რომ შაჰ-აბასის ტყვეს სხვა გზა არც ჰქონდა; ეგებ იმიტომ, რომ ნაბოძები ჰქონდა შეწყნარებისა და მიტევების იშვიათი უნარი.

ქეთევან დედოფალმა იტალიელ მოგზაურს უსახსოვრა ორი ლათინური წიგნი. ერთი მათგანის არშიაზე ქართული მინაწერები გაეკეთებინა დედოფალს. „მოსაგონრად ესოდენ ღირსეული და დიდებული მანდილოსნისა ამ წიგნებს ვინახავ ჩემს ყველაზე ძვირფას ნივთებს შორის“, — აღნიშნაედა პიეტრო დელა ვალე.

იტალიელმა მოგზაურმა კარგად იცოდა ქართველი დედოფლის სასოწარკვეთილი მდგომარეობა, სულითა და გულით თანაუგრძნობდა, ჰპირდებოდა თავის სამსახურს და თუ საჭირო გახდებოდა, არა მარტო მცირეოდენ გავლენას სეფიანთა სამეფო კარზე, არამედ სიცოცხლესაც — დედოფლის გადასარჩენად.

აქტიურად ექომაგებოდნენ ქრისტიან დედოფალს ერთმორწმუნე რუსეთის ელჩებიც.

თითქოსდა ყველა გრძნობდა მოახლოებულ განსაცდელს. დგებოდა 1624 წელი და საქართველოს დამონების პრელუდიად ჩაფიქრებული განაჩენი ქეთევან დედოფლის წამების თაობაზე. ჯერ ქართველი დედოფალი უნდა „გაეთათრებინათ“ ანდა მოესპოთ, მერე — საქართველოც!

პიეტრო დელა ვალე ეთხოვებოდა შირაზს და წერდა: „დედოფლის სახე ღირსია დიდებული პოემისა, საკადრისი ქება რომ მიეგოს მას, მაგრამ ეს ტვირთი ერთობ მძიმეა ჩემი მხრებისათვის“.

ამას ამბობდა თავისი ეპოქის უგანათლებულესი პიროვნება, დაჯილდოებული პოეტური ნიჭით, მგზნებარე ქრისტიანი, აოხრებული საქართველოს მხურვალე გულშემატკივარი, აღმოსავლური ენებისა და მწერლობის მცოდნე, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი.

მაგრამ, ზურაბ ავალიშვილისა არ იყოს, „ტვირთის“ სიმძიმემ ვერ შეაშინა ვერც ქეთევან დედოფლის ღვიძლი შვილი თეიმურაზ პირველი და ვერც გერმანელი მწერალი ანდრეას გრიფიუსი.

დედოფლის წამებიდან გავიდა რამდენიმე წელი და საქართველოში დაიწერა „წამება ქეთევან დედოფლისა“. კორნელი კეკელიძე შენიშნავდა: „თეიმურაზ პირველმა მოჰკიდა ხელი ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური თემატიკის დამუშავებას“. ზ. ავა-

ლიშვილის სიტყვით, თეიმურაზ პირველის პოემას არც აღფრთოვანება აკლია, არც მოხდენილი ოსტატობა.

დედოფლის წამებიდან გავიდა მეოთხედი საუკუნე და საქართველოდან ესოდენ შორეულ გერმანიაში, სადაც ორიოდე კაცს თუ ექნებოდა გაგონილი პატარა ქრისტიანული ქვეყნის სახელი, გერმანელმა მწერალმა ხოტბა შეასხა წამებულ ქართველ დედოფალს.

გრიფიუსის ტრაგედიის ფურცლებზე შესანიშნავად არის ნაჩვენები, რომ დედოფლის შებორკილ სხეულში სუფევს თავისუფალი სული — უპირველესი ნიშანი ადამიანის ღირსებისა და ზნეობრივი ძლევამოსილებისა. სწორედ ამ სულის ჩაქრობა, როგორც სახიფათო ხანძრისა, იყო სეფიანთა ირანის ხელმწიფის მთავარი მიზანი, მთელი მისი მოღვაწეობის დედააზრი.

გრიფიუსის ტრაგედიაში ქეთევან დედოფალი განუწყვეტლივ ფიქრობს სამშობლოს ბედზე და უფალს ევედრება: მზადა ვარ, აწ აჟად შევხვდე ჩემს მწარე ხვედრს, ოღონდ ჩემს შვილსა და მის საბედოს წყალობის თვალით მოჰხედეო (შდრ. „შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა!“ — თეიმურაზ პირველის პოემიდან).

სავსებით ბუნებრივია, რომ ქართულ მწერლობას არასოდეს ავიწყდებოდა ქეთევან დედოფლის სახელი. ანკი როგორ დაავიწყდებოდა, როდესაც უცხოელ ავტორებს გადაუხდიათ თავიანთი გულწრფელი ხარკი ამ თემისთვის. დაიწერა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი (გრიგოლ დოდორქელი, ანტონ კათალიკოსი), პიესები (ალექსანდრე ყაზბეგი, ვიქტორ გაბესკირია), დაუმთავრებელი რომანის ფრაგმენტები (ქეთევან ირემაძე); იწერებოდა ლექსები... რა საკვირველია, ყოველი მათგანი ამბობდა ახალ სიტყვას, ახალი ფერებით ავსებდა წამებული დედოფლის პორტრეტს: „ცხელი შანთი მიუტანეს ბროლის მკერდთან, ცხელი რკინა, საქართველოს გულს რომ კვეთდა. რვალის ქვაბი გადმოეგდო ჭონდაქარსა, ღიღინებდა კაცთა გრძნობის ჭონდაქარი. ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა, ქროდა ქარი... ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა, უდრეკ იყო დედოფალი!“... მკითხველი, ალბათ დაუსახელებლადაც მიხვდება ამ სტრიქონების ავტორს და მაინც მინდა დავასახელო — ანა კალანდაძე; სხვებიც მახსენდება: „ზიმზიმებს დასტა საჭურისების, თავისუფლებას ჯვარზე აცვამენ“ (იოსებ ნონე-

შვილი); „მე ჩემს სიზვიადეს ვენდე, ტანთ აბჯრად სიმშვიდე მეცვა... ეგრე დედოფალო, ეგრე, ცოტაც და იწყება ზეცა“ (მედეა ქაბიძე); „შენი ნაღველი და მწუხარება, აბა, ჩემს ლექსში სად ჩაეტევა“ (ლადო სულაბერიძე)...

აქ საკითხის ისტორიას არ ვიხილავ და, იმედია, მკითხველი მომიტევებს ხარვეზებს ავტორთა ჩამოთვლისას.

აწმყო და მომავალი ჩვენი თანამედროვე პოეტების ხმით ამხნევებს წარსულს: ამაო არ ყოფილა თქვენი გარჯანი, თქვენი ომები, თქვენი თავდადება, ცრემლი და სისხლი. გვახსოვს და არ დაგვავიწყდება . თქვენი სახელები; და ვიდრე ჩვენ ვცოცხლობთ, საქართველოც არ დაიღუპება...

გრიფიუსის ტრაგედიაში „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ წინა პლანზე წამოწეულია თემა — ამაღლებული სულიერი საწყისი, რომელსაც განასახიერებს შირაზში ტყვედ მყოფი ქეთევან დედოფალი, მკვეთრად უპირისპირდება აღვირახსნილ სისასტიკესა და ეროტიზმს, რის ხორცშესხმასაც წარმოადგენს ძლევამოსილი იმპერიის ხელმწიფე შაჰ-აბასი. საფიქრებელია, რომ მისი სიყვარული ქართველი დედოფლისადმი თავისებური ალეგორიაა და გულისხმობს ადამიანის სულიერი დამორჩილების წადილს.

ოთარ ჩხეიძის ტრაგედიაში („ქეთევანი“) სცენაზე არ ჩანს შაჰ-აბასი. თანამედროვე ქართველი მწერლისათვის მისი სახე იქნებ არც წარმოადგენდეს ინტერესს განსჯისა და ამეტყველებისათვის. ყველაფერი ისედაც ნათელია.

ქართველი მწერლის ყურადღება მიიპყრო, უპირველეს ყოვლისა, ნაქართველარმა შირაზის ხანმა. ამოსაბსნელი და დასაფიქრებელი იყო სახე ქეთევან დედოფლის მთავარი ანტიპოდისა. ოთარ ჩხეიძეს მიზნად არ დაუსახავს „ქართლის ცხოვრებისა“ თუ სხვა წყაროთა გადამღერება-გადაღეჭვა. ისტორიული სინამდვილე მხოლოდ ბიძგი შეიქნა მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიისათვის. მკაცრი ლოგიკური ანალიზის შედეგად გაჩნდა ოსტატის ხელით გამოძერწილი, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი მხატვრული სახეები.

სიახლე და მხოლოდ სიახლე — ამ პათოსით არის გამსჭვალული მთელი ტრაგედია. იბადება ორიგინალური მოტივები: „რეანიმაცია“ უსამართლოდ მივიწყებული ლევან ბატონიშვილისა (თეიმურაზის ძისა); გამოგონილი პერსონაჟი ნათია — მსხვერპლი სა-

კუთარი მამის (შირაზის ხანის) ავკაცობისა; ურცხვად და ულმობლად გათელილი სიყვარული თავიდანვე დასაღუპად განწირული ქალ-ვაჟისა; ანტიკური ჭოროს შემზარავი ვარიაცია — ყოველგვარი სიკეთის მიმართ მტრულად და ცინიკურად განწყობილი ბრბო საჭურისთა. ერთი სიტყვით, მკითხველის თვალწინ გადაშლილია სრულიად ახალი სამყარო — ნაყოფი მწერლის შთაგონებული შემოქმედებისა. ეს არის სამყარო, რომელსაც სხვაგან ვერსად იხილავს მკითხველი. ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებში მხოლოდ ერთი რამ რჩება არაორიგინალური, სტანდარტული და ტრადიციული (სხვანაირად არც შეიძლება იყოს) მხოლოდ ერთ პერსონაჟს არ ეხება მწერლის ორიგინალური თვალთახედვა — ქეთევან დედოფალს.

მწერალი ეძებდა საკუთარ ბილიკებს, იპოვნა და გაკვალა კიდეც. მაგრამ იგი არ ღალატობს მთავარ გზას. ერთადერთი უდავო და. უცვლელი, რომელსაც ვერ შეეხება და ვერ შებღალავს ვერავითარი ახლად აღმოჩენილი საბუთი თუ ახლებური გააზრება, ეს გახლავთ ქეთევან დედოფლის უკვდავი პორტრეტი, ქართველი ხალხის ძვალ-რბილში რომ გამჯდარა სამარადისოდ.

ოთარ ჩხეიძის ტრაგედიაში შეინიშნება მხატვრული სინამდვილის ჭიდილი ისტორიულ სინამდვილესთან, რომელიც ზოგჯერ ამოუცნობია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ბოლომდე დაუდგენელი, და მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას ყოველგვარი ეჭვისა და კითხვის ნიშნების გასაქრობად. მაგრამ მწერალი ისტორიული სინამდვილის გარკვევას ტოვებს მკვლევართა მონოპოლიად (და სამარადისოდაც!), თვითონ კი ჯიუტად ეძებს მხატვრულ სინამდვილეს. ეძებს, პოულობს და ამტკიცებს.

მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება საისტორიო წყაროების მიმართ ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა შირაზის ხანის პორტრეტში. საკმაოდ მოულოდნელი და სადავო იყო მისი ახლებური ინტერპრეტაცია, რომელიც არ ეთანხმებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში შეთბზულ ლამაზსა და მომხიბლავ მითს. ოთარ ჩხეიძემ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თავის დასაზღვევად“ სახელი შეუცვალა შირაზის ხანს, რათა ბრმად არ გაჰყოლოდა საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროების გეზს, რაც ხშირად იძულებითია მწერლის შემოქმედებაში და ზოგჯერ — სავალდებულოც. სახელი შეუცვალა, მაგრამ არც ისე მოწყვიტა სინამდვილეს, რომ მკითხველის დაბნეულობა გამოეწვია. მამის სახელი დაარქვა (ოდნავ

შეცვლილი ფორმით). ამგვარად, მწერალი შორდებოდა ისტორიულ სინამდვილეს, და თანაც გარკვეულ ანგარიშს უწევდა. ოთარ ჩხეიძის მიერ დახატული შირაზის ხანი არა ჰგავს სუმბათაშვილიუჟინის „ღალატში“ გამოყვანილ ოთარბეგს, ქართველ ფეოდალთა ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის განზოგადებულ სახეს. მიუხედავად სახელის შეცვლისა, შირაზის ხანი, თანადამხვდური ქეთევანის წამებისა, რასაკვირველია კონკრეტულ ვითარებას მიგვანიშნებს.

ერთი სიტყვით, შეიქმნა გამჭვირვალე პირობითობა, რომელსაც ფორმალურად უნდა დაეცვა ავტორი მოსალოდნელი შედავებისაგან. მაგრამ პოტენციურ პრეტენზიებს თურმე უკვე ეცლებოდა ნიადაგი.

მთავარი ისაა, რომ ოთარ ჩხეიძემ თამამად გადალახა ქართული თუ უცხოური წყაროების ბრმა ერთგულება და ნდობა. მწერლის სამაგალითო ინტუიციამ და მოქალაქის ზნეობრივმა იმპერატივმა უკარნახა მას ორიგინალური კონცეფცია.

მწერლის თვალსაზრისს მხარს უჭერს კეთილისა და ბოროტის შერკინებაში, ჩრდილისა და ნათელის დაპირისპირებაში უკომპრომისობის აუცილებლობა.

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“, — ასე წერდა თეიმურაზ პირველი, ღვიძლი შვილი დედოფლისა.

ასევე წერდნენ უცხოელი ავტორები...

ოთარ ჩხეიძის ტრაგედიაში შირაზის ხანი გვეელინება, როგორც თვალთმაქცი („მატლი რა არის, თვითონ მატლსაც ფეხს ვერ დავადგამ“). ორპირი, გულქვა და დაუნდობელი ტირანი — სრული ორეული თავისი მბრძანებლისა, შაჰ-აბასისა. მის სისასტიკეს მსხვერპლად ეწირება მისივე ასული. დედოფლის გმირობითა და თავისი შვილის დაღუპვით გამძვინვარებული აპირებს შურისძიებას საქართველოზე: „მოსპეთ, მოაშთეთ, ამოაგდეთ, გააჩანაგეთ, ტაძრები თავლად გადაუქციეთ, წიგნები დასწვით, ვერვინ თვით ბრძენთაც ვეღარასდროს ვეღარ გაიგონ, რომ ქართველობა ბოგინობდა ამ ქვეყანაზე“. მაგრამ სიკვდილი აღარ დააცდის სამშობლოზე გამოლაშქრებას.

ასე იკვეთება ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი სახე რენეგატისა, ბოროტების ერთგული მსახურისა, რომელმაც თავისი სული მიჰყიდა ეშმაკს.

მწერლის მიერ მიგნებულ მხატვრულ სინამდვილეს სულ მოკლე ხანში შეეხმიანება ისტორიული სინამდვილეც — ნაყოფი ახალი მასალების აღმოჩენისა. მწერალი წინ უსწრებს მკვლევართა ძიებას და ისინი მხოლოდ ადასტურებენ და ამაგრებენ მწერლის ნააზრევს.

სანატრელი და შესაშური გამარჯვებაა!

1980 წელს გურამ ასათიანი წერდა: „ვიდრე ქართველი ხალხი ქეთევან წამებულის წმინდა აჩრდილს ეთაყვანება, იმამყული-ხანის სახელს ვედარავინ ჩამორეცხავს ამ საზარელ ლაქას“.

შემდგომში, ზოგიერთ იტალიურ წყაროში მიკვლეულ იქნა ახალი მასალები, სადაც, ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, გადმოცემულია შირაზის ხანის საკმაოდ აქტიური მონაწილეობა შირაზის ტრაგედიაში (დაწვრ. იხ. თ. ნატროშვილი, „ერთგულება მწვერვალებისა“, კრიტიკა, 1984, № 4, გვ. 125, ი. ტაბაღუა, „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, II, 1986, გვ. 123—124).

ოთარ ჩხეიძის ტრაგედიაში იღუპებიან მთავარი პერსონაჟები — წამებულიცა და ჯალათიც, თეიმურაზის შვილიშვილები და შირაზის ხანის ასული... მხოლოდ საჭურისები გადარჩენილან სიკვდილს და მიელტვიან უკვდავებას. ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალს ბოვლენათა ტრაგიკულ მსვლელობას. ცხადია, არაფერში არ ერევიან, ტკბებიან მოახლოებული უბედურებით, რომელიც თავზე უნდა დაატყდეს ზნეობრივი სიმაღლითა და სიმამაცით დაჯილდოებულ ადამიანებს, ჩათრეულთ ბოროტებისა და ვერაგობის მორევში. სკეპტიციზმი და ცინიზმი, ორპირობა და თვალთმაქცობა, უნდობლობა და გაიძვერობა, სიხარული ადამიანის დამცირებისა და აბუჩად აგდების გამო — აი, რა ახასიათებთ მათ. არაფრად მიაჩნიათ ერთგულება და სიყვარული. ტაშს უკრავენ იმ გარემოს, სადაც მუხანათობის კევრი უწყალოდ ლეწავს ოცნებებსა და იმედებს, სიკეთესა და ამაღლებულ მისწრაფებებს. ერთი სიტყვით, თითქმის ყოველი მათი რეპლიკა წარმოადგენს ზუსტ ციტატას ეშმაკისეული კოდექსიდან. თავისი კერპის — შირაზის ხანის სიკვდილზე ისინი აღტაცებას გამოთქვამენ: „არვის შერჩება ერთი დროო, არ შეგრჩა შენცა, დარეკა ჟამმა და აღმოგხდა ვერაგი სული, სული მტარვალი, მზაკვარი და მსმელი სისხლისა... ჭიანჭველადაც არ მიგაჩნდა ადამიანი, შეგეძლო ყველა გაგესრისა ტლანქი ფეხითა... იცოდი, როგორ ჩაგეთესა შური და ღვარძლი, იცოდი,

როგორ დაექციათ ერთიმეორე"... იგივე საჭურისნი, მყისვე, სჯის გასაგონად თვალთმაქცურ გლოვას იწყებენ: „მზე ჩაესვენა, დაგვიბნელდა, აღარ გვინათებს, ამიერიდან სინათლე ჩვენ არ გვეღირსება. ვაი, ჩვენ ბედკრულთ, რას მოვესწარით, რა დღე დაგვიდგა!.. მან შთაგვინერგა მეგობრობის დიადი რწმენა, კაცთმოყვარეობას გვასწავლიდა დაუცხრომელად".

განგებისაგან დასჯილნი, არაკაცებად ქცეულნი უპირისპირდებიან ყოველგვარ სათნოებას და სიკეთეს. სხვათა შორის, შეიცარიელი ორიენტალისტი ადამ მეცი თავის წიგნში „რენესანსი ისლამისა" აღნიშნავს, რომ საჭურისები გამოირჩეოდნენ ჭორაობის და ყბედობის სიყვარულით, გაუმაძღრობით. ეხალისებოდათ სამსახური წარჩინებულთა და მდიდართა, ზიზღით უყურებდნენ მდაბიოთ. მეცნიერის სიტყვით, მხოლოდ დაყოდილი ცხოველი ხდება მორჩილი და გამგონე, მაგრამ დასაჭურისებული კაცი გაცილებით ბოროტი და მანკიერია, ვიდრე ადამიანის გონებას ძალუძს წარმოიდგინოს..

რა თქმა უნდა, მწერლის მიერ დახატული საჭურისთა ჭორო სწორხაზოვნად არ შეიძლება გავიგოთ. საჭურისობა წარმოადგენს ადამიანური უკეთურების სიმბოლოსაც.

მწერალი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქეთევან დედოფლისა და თეიმურაზ პირველის სახელთა განუყრელობას. დედა და შვილი ერთ საქმეს ემსახურებიან. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ერთი უიარაღოა და მეორე — შეიარაღებული. ქეთევან დედოფალს აწამებენ იმიტომ, რომ საქართველო არ ემორჩილება ყიზილბაშებს და ამ ბრძოლას სათავეში უდგას თეიმურაზი, ევროპელ ავტორთა მიერ „უბედურ და მამაც მეფედ" წოდებული პიროვნება.

შირაზის ხანი ჩასჩიჩინებს და მოუწოდებს დედოფალს, რომ დედამ აიძულოს შვილი — დაემორჩილოს შაჰ-აბასს. ჩამოვიდეს ირანში, მოასვენოს ქვეყანა ომისა და აოხრებისაგან.

ქეთევან დედოფალი თვალთმაქც შირაზის ხანს თავდაპირველად მოჩვენებითი მიამიტობით უმტკიცებს, რომ თეიმურაზის განდგომა მტრების მოგონილი ჭორია, რომ თეიმურაზს ტყუილად აბრალებენ მფარველობის ძიებას ოსმალეთში, რუსეთსა თუ ევროპაში. ქეთევანის არგუმენტაციაში უეცრად ეჭვმიუტანელი ალიბის ფუნქციას იძენს ყბადაღებული, ეროვნულ მკრეხელობად მიჩნეული სიტყვები მეფე-პოეტისა („სპარსთა ენისა სიტკბომან"...). ქეთევა-

ნი უმტკიცებს შირაზის ხანს: „აქ აღიზარდა, სპარს პოეტთა ლექსებით სუნთქავს“.

მაგრამ შირაზის ხანი არ ცხრება. ჩააგონებს დედოფალს, რომ წერილი მისწეროს შვილს და დააძალოს ირანის შაჰთან მორიგება („შენზეც ზრუნავდა შაჰი ისე, ვითარ შვილზე-თქო. ახლაც გნატრულობს, როგორც შვილსა, როგორც ძმასა-თქო“). ქეთევანი იძულებულია დათანხმდეს, ასრულებს შირაზის ხანის მოთხოვნას და ერთადერთი დაშიფრული ფრაზით ამცნობს თეიმურაზს მოსალოდნელ საფრთხეს: „არა განსძლების უძღომელი“, სწორედ ეს ფრაზა იწვევს შირაზის ხანის საფუძვლიან დაეჭვებას დედოფლის გულწრფელობაში.

შირაზის ხანი ბრალს სდებს დედოფალს, რომ იგი ხელშეწყობია თეიმურაზისა და სწამებს ღალატს („ეს ღალატია!“). მაშინ ქეთევანიც ხსნის ფრჩხილებს და ხმამაღლა წარმოთქვამს თავის მრწამსს: „ეს ჰო ომია, წმინდა ომი თავისუფლების, ერის გამოხსნის, გადარჩენის, დაცვა მამულის“. და პასუხად — შირაზის ხანის კატეგორიული კომენტარი: „ეგ თქვენებურად, აქაურად სხვაგვარად არის“.

ქეთევანისა და თეიმურაზის განუყრელობა კიდევ უფრო მძლავრად აღერდება დედოფლის უკანასკნელ ლოცვაში, წამების წინ. იგი იმეორებს თავისი შვილის იმ სტრიქონებს, რომლებიც ჯერ არ დაწერილა: „რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა, სასწაული მოავლინე ქრისტიანთა ტყვეთა ზედა“. და ბოლო აკორდი ლოცვისა: „შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა!“

და პასუხად ისმის შირაზის ხანის სასტიკი ბრძანება: — „დაადუმეთით, ნაბრძანები ასრულდეს ჩქარა!“ დედოფალი ისევ იმეორებს თავის უკანასკნელ ოცნებას: „შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა!“

ამ ლოცვის ძალით შეძრწუნებული შირაზის ხანი ხმას უწევს: „ჩაუგდეთ ენა!“

გაივლის რამდენიმე წელიწადი და მეფე-პოეტი ქაღალდზე აღბეჭდავს წამებული დედოფლის მგზნებარე ლოცვას.

მკაცრ და პირუთვნელ სამსჯავროზე რომ ვიხმოთ თეიმურაზ პირველი და ბრალდებად წავუყენოთ ამჟამად უკვე გაუგებარი „შირაზის ხანის ქებასა, ვერ იტყვის ბრძენთა ენანი...“, ალბათ, პა-

ტიების სურვილი ყველას როდი გაუჩნდება. მაგრამ ხუ დავივიწყებთ, რომ ეს სტრიქონები მეფე-პოეტს უკარნახა არა პირად ქათილდღეობაზე ზრუნვამ, არამედ — სამშობლოს ინტერესებმა, ფიქრმა საქართველოს ხსნაზე, რაც თეიმურაზის ცნობიერებაში უკავშირდებოდა წარმოშობით ქართველი შირაზის ხანის ძლევამოსილებას და ერთობლივი აჯანყების გეგმებს, რომელთაც, ვაგლახ, იღბლიანი ბოლო არ ეწერა. მეფემ დაჯაბნა ადამიანი, სამშობლოს სიყვარულმა წამით უკანა პლანზე გადასწია წამებული დედის აჩრდილი. მეფეს ოცნებაში ეხატებოდა თავისუფალი საქართველო და თავის პოემაში ამიტომაც დახუჭა თვალი მწარე სინამდვილეზე, რომელსაც ერქვა გაორებული შირაზის ხანი.

ქეთევან დედოფალი, უეჭველია, პოლიტიკური მოღვაწის სიბრძნითა და წმინდანის სათნოებით წარბშეუხრელად მოაწერდა ხელს შვილის არჩევანს: სამშობლო — საკუთარ ტკივილზე მაღლა

სინანული და სინამდვილე

მხოლოდ სულდიდ ქმნილებას შეჰფერის, მხოლოდ მისი ხვედრია — ასე დაუნდობლად შერისხოს თავი, საქვეყნოდ გამოამზეუროს მწარე ფიქრები საკუთარ უმწეობასა თუ დანაშაულზე, ჩადენილი ცოდვის წვეთი ზღვად წარმოესახოს გონებაში და მკაცრი განაჩენიც თვითონვე გამოიტანოს: „მე, ავაზაკი შემცოდე"...

თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა" წარმოადგენს მოწამებრივი სიკვდილით აღსრულებული წმინდანის ქებათა-ქებას და, ამავე დროს, გამსჭვალულია ავტორის უზომო სინანულითა და თვითგვემით. ევროპულ წყაროებში „მამაც და უბედურ მეფედ" მოხსენიებულ თეიმურაზს საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფხიზელი განკითხვა ბერ-მონაზვნის კილოს შეაპარებს არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებში, არამედ სახელმწიფო საბუთებშიც: „ყოველთა მეფეთა უნარჩევესმან... მე, ყოვლად უსრულმან ცნობითა, ქცევითა ყოვლად ნაკლულევანმან"... და სწორედ საუკუნის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ გაამახვილებს ყურადღებას ამ საკმაოდ უჩვეულო მოვლენაზე და ერთგვარი

გაკვირვებით დაწერს: „ასეთნაირად თავის პიროვნების დამცირება მეფეთა სიგელებში არ გვხვდება და მხოლოდ თეიმურაზს აქვს პირველად ნახმარი".

რაოდენ თვალნათლივ ჩანს თეიმურაზ პირველის პოემაში უილაჯობა მეფისა, რომელმაც ქვეყნის გადასარჩენად საფრთხეში ჩააგდო მშობელი დედა და მერე ვეღარაფრით უშველა სასიკვდილოდ განწირულს. „სადა ჰყვა ხელმწიფე-შვილი ანუ მხლებელთა ჯარია", — კვლავ ულმობელი თვითგვემა და ობიექტური განსჯა საკუთარი უმწეობისა, ქვეყნის უმწეობას რომ უდრიდა. ჰეშმარიტებასთან შემაძრწუნებელი მიახლოების ექსტაზი ბალასტივით იშორებს ადამიანთა სანუგეშებლად შეთხზულ ზიზილ-პიპილებს. მტკივნეული და შიშველი სიმართლე ღაღადებს თეიმურაზის ჰირით; შეუფერადებელი, შეულამაზებელი და შეუნიღბავი სიმართლე. ძლიერი სული თვალს უსწორებს სინდისის უზენაეს სამსჯავროს და არ მიელტვის დაშაქრულ-დათაფლულ სიცრუეს.

რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც თეიმურაზ პირველის ზემოთ დამოწმებულ სიტყვებს წავიკითხავთ? ისღა დაგვრჩენია, რომ დავასკვნათ — ავტორი თვითონ აღიარებს, ცოდვილი ავაზაკი ვარო, ამას რაღა მტკიცება სჭირდებაო. მერე ბეჭედი დავუსვათ კატეგორიულ განაჩენს, რომელიც ეყრდნობა ბრალდებულის აღიარებას და თავს აღარ იტკივებს ეჭვმიუტანელ სამხილთა ძიებით. მერე იმავე პოემაში რომ წააწყდებით ქეთევან წამებულის სიტყვებს („ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლების ენითა"), შესაძლოა, გადავსინჯოთ ქართველი ხალხის ძვალ-რბილში გამჯდარი შეხედულება წმინდანად შერაცხულ დედოფალზე, რადგანაც იგი თავისი ღვიძლი შვილის მიერ დაწერილ თხზულებაში უთვალავ ცოდვებს მიითვლის და რატომაც არ უნდა ვერწმუნოთ?

მაგრამ თუკი გულდასმით დავუკვირდებით ტექსტს და იმ ფაქტებსაც, რომლებიც ტექსტის მიღმა დარჩენილა, ეგებ უკეთესად გაეერკვეთ აღწერილ მოვლენათა ჰეშმარიტ არსში.

ჯერჯერობით კი მთლიანად დაეიმოწმოთ თეიმურაზ პირველის პოემის 67-ე სტროფი: „ვა მე იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი, მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებულნი რკინანი, მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი, მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამად ვარ ცრემლთა მდინანი".

ამ სტრიქონებში გამოხატულია უსაზღვრო ძწუხარება კაცისა,

რომელმაც ვერ გაიზიარა ჯვარცმულის ხვედრი, თუნდაც იმ ავაზაკივით, მაცხოვართან ერთად ჯვარს რომ გააკრეს.

როგორც ცნობილია, ერთი ავაზაკთაგანი ჰგმობდა იესოს და დაცინვით მიმართავდა: შენ თუ მართლა ქრისტე ხარ, იხსენი თავი შენი და ჩვენც დაგვიხსენიო. მაგრამ მეორე ავაზაკმა მყისვე უსაყვედურა მას და თქვა: ჩვენ სამართლიანად ვისჯებით, ამ კაცს კი არაფერი დაუშავებიაო. შემდეგ იგი ასე მიმართავს მაცხოვარს: მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითაო... და სამოთხეში მოხვედრის დაპირებასაც მიიღებს (ხსენებულ პირობებას, სპეციალურ ლიტერატურაში „ნეტარ ავაზაკს" უწოდებენ).

საფიქრებელია, რომ თეიმურაზი სწორედ მეორე ავაზაკს უნდა უდარებდეს თავს, იმ ავაზაკს, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი დანაშაული და უდანაშაულობა მაცხოვრისა. თეიმურაზის სიტყვები („მარჯვენით ჯვარსა არ ვეცი") შემთხვევითი არჩევანის შედეგი არ უნდა იყოს, ვინაიდან, აპოკრიფული ტრადიციის თანახმად, მაცხოვრისაგან სწორედ მარჯვენა მხარეს ჯვარცმულმა ავაზაკმა იწამა ქრისტე სიკვდილის წინა წუთებში.

ამას თვალნათლივ მეტყველებს იოანე საბანისძის „აბოს წამებაში" ავტორის მიერ აბოს მისამართით ნათქვამი სიტყვები: „შენ ჰეშმარიტად მარჯვენითსა მას ავაზაკსა ემსგავსე... შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განეწესე!" და როდესაც აბო მიჰყავთ საწამებლად, იგი იმეორებს „ნეტარი ავაზაკის" სიტყვებს: „მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა".

მეფე-პოეტი ნანობს, რომ ვერ გაიზიარა მაცხოვრისაგან მარჯვენა მხარეს ჯვარცმული ავაზაკის ხვედრი, იმ ავაზაკისა, რომელიც უდანაშაულოდ წამებულ კაცს მიიჩნევდა უზენაეს არსებად.

ზურაბ ავალიშვილი იმოწმებდა თეიმურაზ პირველის პოემის დასახელებულ სტროფს და წერდა: „ამ სახით გამოთქმული თეიმურაზის სინანული აქ ცოტა ნაძალადევია და ხელოვნური". შემდეგ კი აღნიშნავდა, რომ მისი შვილების დასაჭურისება და დედის წამება გამოწვეული იყო. თეიმურაზის მიერ მფარველობის ძიებით ოსმალეთთან და რუსეთთან.

მერი გუგუშვილი თავის წიგნში „თეიმურაზ პირველი" ეხება ზ. ავალიშვილის მოსაზრებას და შენიშნავს: „სწორედ ამ ნაი-

ჯუბმა — თეიმურაზის ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირმა გამოიწვია შაჰ-აბასის შურისძიება. თეიმურაზის მოქმედება მართლაც გახდა მისი დედისა და შვილების წამების მიზეზი. მაგრამ უცხოური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელ მებძოლს, თავისი ქვეყნისა და ხალხის პატრონსა და მეფეს განა შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მას უნდა ებრძოლა შაჰ-აბასის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მოკავშირე და თანამდგომი ესაჭიროებოდა. რუსეთის ხელმწიფისაგან ის დიპლომატიურ დახმარებასთან ერთად დედისა და შვილების გათავისუფლებას ითხოვდა. ხოლო ქეთევანის წამების შემდეგ აყვედრიდა, დახმარება დაგვიანდა და შაჰმა დედაჩემი აწამაო. თეიმურაზის სულიერი განცდები, ტკივილები და წუხილი დედისა და შვილების განწირვის გამო გადმოცემულია, როგორც მის წერილებში, ისე პოეზიაში".

დამოწმებული ციტატა მ. გუგუშვილის ნაშრომიდან, უეჭველია, სრულ სიმართლეს შეიცავს. ძნელი დასაშვებია, რომ აქ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი, თუკი გონების თვალით შევხედავთ ისტორიულ მოვლენებს ქართლის ცხოვრების იმ ურთულეს და უმძიმეს პერიოდში, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ დრო „სისხლის წვიმებისა".

ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ იმდროინდელ ირანში მძევლები თავიდანვე განწირულნი იყვნენ და ასკვნის: „მაშასადამე, ხომ თვითონაც მათი, თუნდაც უნებური, დამღუპველი ყოფილა! ამის შეგნებას მეფე-აგიოგრაფი არ ამჟღავნებს. მას ყველაფრის თქმა არ შეუძლია და არც უნდა. მაგრამ სხვა რა იქნებოდა მისი უაღრესი სინანულის მიზეზი — იმ მწარე სინანულისა აქ რომ მის მწუხარებას ასე აზვიადებს?"

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად აღუნიშნავთ (არჩილ მეფის „გაბაასებაში" მოცემული ინფორმაციის მიხედვით), რომ თეიმურაზმა თავისი შვილები მძევლად გაგზავნა მხოლოდ და მხოლოდ კახეთის დიდებულთა დაჟინებით. მაგრამ ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ქეთევან დედოფალი მძევლად როდი გაუგზავნიათ.

მიხეილ თამარაშვილის პირად არქივში (ხელნაწერთა ინსტიტუტი) დაცული რელაცია. მოპოვებული ვატიკანის არქივებიდან, რომელიც ჩაწერილია იტალიურ ენაზე, 1640 წელს. ირანსა და საქართველოში მყოფი პორტუგალიელი მისიონერის ამბროზიოს

კარნახით, მოგვითხრობს: „როდესაც შაჰი საქართველოს ასაოხრებლად დაიძრა, თეიმურაზმა და სამეფოს დიდებულებმა, დაინახეს რა მოახლოებული საფრთხე, ქვეყნისათვის სასიკეთოდ მიიჩნიეს, რომ ქეთევან დედოფალი წასულიყო შაჰთან შესახვედრად და ეთხოვა გაუქმება ლაშქრობისა საქართველოზე, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა მას". ამბროზიოს სიტყვით, შაჰმა კარგად მიიღო ქართველი დედოფალი, დაარწმუნა, რომ საქართველოზე ლაშქრობას არ აპირებდა და დასაჩუქრებული გაუშვა სამშობლოში. მაგრამ მოულოდნელად, შაჰისავე ბრძანებით, დედოფალი შუა გზიდან უკან მოაბრუნეს და დაატყვევეს, ხოლო შაჰი საქართველოში შეიჭრა (როგორც ცნობილია, ერთხანს შირაზში დამკვიდრებულ ამბროზიოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქეთევან დედოფალსა და მის ამალასთან. ასე რომ, დამოწმებული ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს თვით ქართველების ნაამბობს).

პიეტრო დელა ვალე და ბართოლომეო ფერო შაჰ-აბასთან შესახვედრად წასულ დედოფალს „მძევლად" როდი მოიხსენიებენ, არამედ გარკვევით უწოდებენ „ელჩს".

ამ ბოლო ხანებში ილია ტაბაღუამ გამოაქვეყნა ფრაგმენტები ზემოთ დასახელებული პორტუგალიელი მისიონერის გაცილებით ვრცელი რელაციიდან, რომელიც შედგენილია პორტუგალიურ ენაზე და რომელსაც მიაკვლია რობერტო გულბენკიანმა (ი. ტაბაღუა „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში", II, 1986). პორტუგალიელი მისიონერი აქ უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს შაჰ-აბასის მოახლოებისას საქართველოში შექმნილ ვითარებას. მისი მტკიცებით, თეიმურაზმა და „უხუცესთა საბჭომ" ყველაფერი კარგად და ფრთხილად აწონ-დაწონეს. ისინი ხედავდნენ, რომ არ შეეძლოთ მტრის უკუქცევა. ამიტომაც „უხუცესთა საბჭომ" ურჩია თეიმურაზს, რომ ქეთევან დედოფალი გაეგზავნათ ელჩად ირანის შაჰთან, რათა მოეხერხებინა კეთილგანწყობისა და მშვიდობიანობის მიღწევა.

ასევე „ელჩად" მოიხსენიებს ქეთევან დედოფალს საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. ხოლო პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, ქეთევან დედოფალი „ბარბაროსულად იქნა დაკავებული" შაჰ-აბასის მიერ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აუცილებელია კიდევ ერთი საგულისხმო გარემოების გათვალისწინება. საქმე ის გახლავთ, რომ

მხოლოდ თეიმურაზის „დანაშაულით“ არ იყო გამოწვეული ქეთევან დედოფლის წამება. თვით დედოფალს არანაკლები „დანაშაული“ მიუძღოდა იმავე შაჰ-აბასის წინაშე. 1605 წელს, სწორედ ქეთევანის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ჩაიფუშა სეფიანთა ირანის მბრძანებლის განზრახვა კახეთის ტახტზე გამაჰმადიანებული კონსტანტინე ბატონიშვილის აყვანისა. მამის მკვლელი მოკლულ იქნა და შაჰ-აბასმაც თვალთმაქცურად მოიწონა სიმართლის აღსრულება. მაგრამ, რა თქმა უნდა, გულში ბოღმას ჩაიმარხავდა.

აღსანიშნავია, რომ ლევან გოთუა თავის ტეტრალოგიაში „გმირთა ვარამი“ ძალზე მართებულად ამახვილებს ყურადღებას ზემოხსენებულ საკითხზე. ჯერ კიდევ თეიმურაზის გამეფებამდე, შაჰ-აბასი ასე მიმართავს ქეთევან დედოფალს: „შენ გეუბნები... ქართველო ქალო! უტეხო და შეუპოვარო! მე არ ვიცი, შენ რა გასულდგმულებს... ორჯერ მკაცრად შემეყარე და ორივეჯერ შენ დაგრჩა ლელო... არც ვფარავ — ჩემი სურვილის წინააღმდეგ დაგრჩა! სხვას არც ვეტყოდი, შენ გეუბნები... შენიანებთან გეუბნები! ერისაც გეტყვით და მშვიდობით წადით... არიდე შენი შვილი „ჩრდილო ხურვებას“... და ერიდე ჩემთან მესამე შეყრას — ყველაფერს ერთად გაზღვევინებ! მე არც ისეთი კაცი ვარ — განვიზრახო და ვერ შევასრულო!“.

ამგვარი მონოლოგი შაჰ-აბასისა (თუნდაც მიახლოებითი) არც ერთ წყაროში არაა დამოწმებული. მაშასადამე, მწერლის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ იმ ფანტაზიისა, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ სინამდვილეს და, არცთუ იშვიათად, საბედნიეროდ შემთხვევებში, მისგანვე გამომდინარე მხატვრული სინამდვილე უფრო მაღლა დგება, უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს, უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ერიდე ჩემთან მესამე შეხვედრასო — ზუსტად ამოიცნო მწერალმა შაჰ-აბასის გაფრთხილება, მაგრამ მესამე შეხვედრა გარდუვალი იყო...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ თეიმურაზის დადანაშაულება და შირაზის ტყვეობაში მყოფი დედოფლის გამოყვანა „უდანაშაულო მსხვერპლად“ ერთგვარად აკნინებს დიდ გმირ-ქალს, რომელიც გატანჯული იყო ტყვეობით, სამშობლოსა და შვილი-

შვილთა უბედურებით. და მაინც ვაჟკაცურად შეძლო აცლა გოლგოთის აღმართისა.

მართალია, ქეთევან დედოფალი განასახიერებდა პასიურ ძალას, რომელსაც, განსხვავებით თეიმურაზისაგან, არც ჯარი ჰყავდა და რუსეთთან თუ ოსმალეთთან მფარველობის ძიების საშუალებაც არ გააჩნდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ვინ უფრო აწუხებდა და აშინებდა ძლევამოსილ შაჰ-აბასს. ეს სუსტი და უმწეო ქალი, თუ მებრძოლი თეიმურაზი? (გაიოზ იმედაშვილის ვარაუდით, საქართველოში მიმდინარე ბრძოლას ყიზილბაშთა ბატონობის წინააღმდეგ თვით ქეთევან დედოფალი უწევდა იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას).

ძალზე მჭევრმეტყველი ფაქტია, რომ ქეთევან დედოფალი აწამეს 1624 წლის სექტემბერში, რამდენიმე თვით ადრე საქართველოზე გადამწყვეტ შეტევამდე. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნისათვის ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფლის სიმტკიცე და რწმენის ერთგულება გამოხატავდა მისაბაძ მაგალითს.

აბა წარმოიდგინეთ, რაოდენ შემზარავი ეფექტი ექნებოდა ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანებასl სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორ შეუბოჭავდა ხელ-ფეხს თუნდაც თეიმურაზს, რა პირით უნდა მოეწოდებინა ქართველი ხალხისათვის ბრძოლა ყიზილბაშებთან, თუკი მისი მშობელი დედა განუდგებოდა ქრისტიანულ რჯულსა და, მაშასადამე, სამშობლოსაც.

რამხელა საცდური გაუჩნდებოდათ იმ ფეოდალებს, ისედაც რომ რჩებოდათ თვალი ისპაანიდან ნაბოძებ ხალათებსა და ოქროვერცხლზე. ვინ იცის, ეგებ ზოგიერთ გადაგვარებულსაც კი გაეღვიძა სულის სიღრმეში შემორჩენილი სინდისი ქართველი დედოფლის სიმტკიცემ და თავგანწირვამ.

რა თქმა უნდა, შაჰ-აბასს გამაჰმადიანებული დედოფალი ერჩივნა წამებულ დედოფალს. მაგრამ ნავულისხმევი იყო მისი სიკვდილიც (სასტიკი წამებით!), ნიშნად და გაფრთხილებად იმისა, რომ ყიზილბაშთა ბატონობასთან შეურიგებელ ქვეყანას იგივე ბედი ელოდა.

„გურჯისტანის საკითხის“ გადასაჭრელად შაჰ-აბასისათვის აუცილებელი იყო ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანება ანდა მოსპობა, ვინაიდან ტყვე დედოფალი წარმოადგენდა საქართველოს სიმბოლოს. მან სიკვდილი არჩია გამაჰმადიანებას და მაღალი ზნეობის გაკვეთილად აქცია თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთავარი „დამნაშავე“ ქეთევან დედოფლის წამებისა თვით ქეთევან დედოფალი იყო. მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი მოღვაწეობა (1605 წლიდან 1624 წლამდე) ნიშნავდა მიუტევებელ „დანაშაულს“ საქართველოს მტრების თვალში.

„წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა...“

ქართული ხალხური საისტორიო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლექსს, რომელსაც ჰქვია „დათუნა ბატონიშვილი“.

ლექსის პირველივე სტრიქონები ხიბლავს მკითხველს ორიგინალური სახეებითა და იდუმალების ბურუსით. წარსულის უკაცრიელ მდუმარებაში თითქოსდა რეკავს სამგლოვიარო ზარი, ყრუდ აღწევს მისი ხმა ჩვენამდე და თუმცა ჯერ არაფერი თქმულა კონკრეტული, გუმანით გრძნობ, რომ ასეთი დასაწყისი შემთხვევითი როდია, რომ მძიმე და დაძაბულ მოლოდინში სადაცაა შემოიჭრება ტრაგიკული ამბავი, რომელმაც ბიძგი მისცა ამ ლექსის დაბადებას. “იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო, წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარიო, ვარდის ჩაყრილა ფურცელი, დალბერნეს, დასძრავს ქარიო...“ (დამოწმებულია პ. უმიკაშვილის მიხედვით).

ჩაიკითხავ ლექსს ბოლომდე და თანდათან იფანტება ნისლი.

ყველაფერი გასაგები და ნათელი ხდება. ლექსის გმირი გმირულად დაღუპულა ომში და პირველი სტრიქონები მისი დატირების პროლოგი ყოფილა.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების გამოცემებში ზემოხსენებულ ლექსს მიაკუთვნებენ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ვითარების ამსახველ ნაწარმოებთა რიცხვს და იგი შეტანილია ერეკლე მეორის ციკლში.

მართებულია თუ არა ასეთი კვალიფიკაცია?

ლექსის მთავარი მოქმედი პირი გახლავთ დათუნა ბატონიშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ამ სახელით ცნობილი არის ერთადერთი პიროვნება, კერძოდ — დაკითი, ძე თეიმურაზ პირველისა.

რა თქმა უნდა მარტო სახელის დამთხვევა არ კმარა საკითხის გადასაწყვეტად. აღვილი დასაშვებია, რომ ხალხურ ლექსში უეცრად ამოტივტივდეს სრულიად სხვა ეპოქის რომელიმე პოპულარული გმირის სახელი და დაუკავშირდეს მის შემდგომ მომხდარ მოვლენებს. მსგავსი ანაქრონიზმები არცთუ იშვიათია ქართულ ხალხურ საისტორიო პოეზიაში. ხალხის ყველაზე საყვარელი გმირები თამამად გადმოაბიჯებენ ხოლმე თავისი დროიდან მომდევნო საუკუნეებში და როდესაც ქვეყანას უჭირს, წარსულიდან გამოხმობილი აჩრდილები ამხნევებენ შთამომავლობას და თითქოსდა მკვდრეთით აღმდგარნი აქტიურად ერევიან ხალხის გმირულ ბრძოლასა და ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, ხალხურ გადმოცემებში აღწერილია თამარ მეფის ომი შაჰ-აბასთან! თამარის მიერ ყიზილბაშთა თუ ოსმალთა დამარცხება და ა. შ. გულთან ერთხელ და სამარადისოდ შესისხლხორცებული სახეები და სახელები აღარ შორდება ხალხის მეხსიერებას. სასოწარკვეთა ებღაუჭება ოპტიმიზმის ხავსს, ხალხის დაუშრეტელი ფანტაზია ჯიუტად ლამობს იმედის ცეცხლის გაღვივებას და არად დაგიდევს ჟამთა გარდუვალი სრბოლას. წარსული ცოცხლდება აწმყოში და ადუღაბებს მზიანი მერმისის რწმენას...

მაშასადამე, საჭიროა ლექსის მთელი შინაარსის გათვალისწინება, ყველა დეტალის მაქსიმალური სიზუსტით გარკვევა და შეფარდება ისტორიულ სინამდვილესთან, რათა ეჭვმიუტანელი გახდეს ის ფაქტი, რომ ლექსის სათაური და შინაარსი ერთსა და იმავე პიროვნებას გულისხმობს. საამისოდ აუცილებელია თვალი გადავავლოთ საისტორიო წყაროებს და სათანადო ინფორმაციის დახმარებით ვცადოთ ჰეშმარიტების დადგენა. საბედნიეროდ, ხალხურ ლექსში ასახულ ამბავს საკმაოდ ნათლად აშუქებენ ქართული და უცხოური წყაროები.

„ქვენით მოვიდა ამბავი, დაიძრა ჯაბალ-ხანიო." — გადმოგვცემს ხალხური ლექსი.

ქართული წყაროებიც ასახელებენ ლექსში მოხსენიებულ ჯაბალხანს სწორედ იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელშიც დაიღუპა დათუნა ბატონიშვილი. მოქმედება მიმდინარეობს 1648 წელს. აღწერილია თეიმურაზის კიდევ ერთი და (უკანასკნელი) შებრძოლება ქართლის გამაჰმადიანებულ მეფე როსტომთან. რომელსაც ზურგს უმაგრებს სეფიანთა სამეფო კარი და ყიზილბაშთა ლაშქარი.

ე. წ. „პარიზის ქრონიკა“ მოგვითხრობს: „აქათ მეფე როსტომ წეიყარა და იქით კახი ბატონი, ქისიყისაკენ თათრები და ყაზახის ხანი ჯამალ-ხან უჩინა“.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როდესაც როსტომ მეფემ წეიტყო დათუნა ბატონიშვილის დაღუპვა, „ჯამალ-ხანს ასე მისწერეს: რომელიც მოგეკლასო, მაგათი თავები ქალაქს სიონის საღდარში მიიტანონო“.

აღნიშნული წყაროები გვაცნობენ ჯამალ-ხანს შემდგომი მოვლენების აღწერაშიც. ირკვევა, რომ როსტომ მეფის ავადმყოფობისას არაგვისა და ქსნის ერისთავებმა სწორედ ჯამალ-ხანის პირით შეუთვალეს მომაკვდავ ქართლის მეფეს თავისი პოლიტიკური ხვაშიადი და გეგმები. იგივე ჯამალ-ხანი თბილისში იმყოფება როსტომის გარდაცვალებისას და დაქვრივებულ მარიამ დედოფალს შეუგზავნის ირანის შაჰის რაყამს.

სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი წერს, რომ როსტომმა და ჯამალ-ხანმა აცნობეს სეფიანთა სამეფო კარს, თეიმურაზმა „აჯანყების მტევრი ააყენაო“. იმავე წყაროს მიხედვით, დათუნა ბატონიშვილი იღუპება ჯამალ-ხანის ჯართან ბრძოლაში.

ამგვარად, დათუნა ბატონიშვილი და ჯამალ-ხანი თანამედროვენი ყოფილან, რაც ხაზს უსვამს ხალხურ ლექსში მოთხრობილი ამბის ისტორიულობას. ჯერჯერობით, ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ჯამალ-ხანი ქართულ ხალხურ ლექსში ჯაბალ-ხანად გადაქცეულა (მოლექსეს მხოლოდ ერთი თანხმოვანი დაუმახინჯებია ყიზილბაში ხანის სახელში, იქნებ „ჯაბანის“ ასოციაციით? ხალხი ზოგჯერ ამ გზითაც ცდილობდა საძულველი მტრის დამცირებას და გაპამპულებას).

ბრძოლის ადგილის დასახელებაც ადასტურებს, რომ ხალხური ლექსი და საისტორიო წყაროები ერთსა და იმავე ამბავს გადმოგვცემენ. ლექსის მიხედვით, ჯაბალ-ხანს ალგეთი გადმოუვლია, მთები გადმოულახავს და კახეთამდე მოუღწევია (ყაზახის ხანი, ცხადია, ალგეთის მიდამოებიდან წამოვიდოდა. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის მიხედვით, ყაზაყლარის ტომი ქართლის მეზობლად სახლობდა. სწორედ ამ ტომის წინამძღოლი იყო ჯამალ-ხანი).

„კახეთის ბოლოს ჩაეიდაო“, — გვამცნობს საომრად წასული დათუნა ბატონიშვილის შესახებ ხალხური ლექსი.

როსტომ მეფე თავის გუჯარში (1648 წ.) აღნიშნავს: „იქით ბატონის თეიმურაზის შვილი დავით და ჩვენგან გაგზავნილი თათრები შეყრილიყვნენ, შებმულიყვნენ ქისიყის ბოლოსა და თათრებს გამარჯვებოდა და ბატონიშვილი დავით მოეკლათ“ (თავად როსტომისა და თეიმურაზის ჯარების შეტაკება მოხდა თიანეთის მიდამოებში).

ამასვე იმეორებს „პარიზის ქრონიკა“ და უფრო ზუსტად მიუთითებს ბრძოლის ადგილს — სოფ. ძველი ანაგა, რომელიც მართლაც ქიზიყის ბოლოში მდებარეობდა (ვახუშტის ცნობით, ბრძოლა გამართულა სოფელ მაღაროსთან).

„გამეერია ლაშქარსა, გაანახევრა ჯარიო“,—ჰიპერბოლურ თქმას იშველიებს დათუნა ბატონიშვილის გმირობით აღტაცებული მოლექსე.

ეს გარემოებაც ხაზგასმით არის აღნიშნული წყაროებში. სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ ბრძოლის დაწყებისას დავითი უდიდესი გამბედაობით შეიჭრა ყიზილბაშთა რიგებში. ხოლო მოჰამედ თაჰერი წერს: „... დავუდგირზა, რომელიც განთქმული იყო თავის სიმამაცით და გამბედაობით და რომელზედაც ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ურწმუნონი“.

ხალხური ლექსის მიხედვით დათუნა ბატონიშვილი მოუკლავს ყიზილბაშ მეთოფეს („ერთმა ურჯულო თათარმა თოფსა დახვია ალიო, ცხენ ზეით გადმოიტანეს დათუნა ალვის ტანიო“). იგივე ფაქტი დამოწმებულია არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, სადაც თვით თეიმურაზი მოგვითხრობს დათუნა ბატონიშვილის დაღუპვას: „ჩემი შვილი ხევს ასლოდა, სხვას მეთოფეს შემოჰყროდა, შუბი ეკრა ამას მისთვის, იმას თოფი დაესწრო და, ეკრა გულსა, ჩამოეგდო, ვაი, რას დროსა შევესწრო და! თვით მოკლეს და ყმანი კარგნი იმ დღეს მასთან მოესროდა“.

მაშასადამე, არავითარ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ხალხური ლექსის ზუსტი შეფარდება ისტორიულ სინამდვილესთან. ემთხვევა ერთმანეთს მოქმედ პირთა სახელები, ბრძოლის ადგილი, დათუნა ბატონიშვილის მამაცობის აღწერა და მისი დაღუპვის მიზეზიც.

ლექსის ფინალში ვკითხულობთ: „თმა-გლეჯით ჩამაატარეს სიასამურის ქალიო: „ჩემი მიჩვენეთ დათუნა, ცოცხალია თუ მკვდა-

რიო". — დათუნას ვინღა გიჩვენებს, წითლის ღვინით არს მთვრალიო".

სხვათა შორის, სპარსელი ისტორიკოსიც ანალოგიური მეტაფორით გვიხატავს ქართველი ბატონიშვილის აღსასრულს („სიკვდილის მწარე ღვინით დათვრაო").

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „სიასამურის ქალი"?

საფიქრებელია, რომ დათუნა ბატონიშვილს დასტირის თავისი მეუღლე, ოღონდ გაუგებარია მისი სახელი (იქნებ ამიტომაც გაჩენილა თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ვარიანტში „ბაგრატიონთა ქალიო" — გაუგებრობის თავიდან ასაცდენად). არსებობს ხსენებული ლექსის კიდევ ერთი ვარიანტი, ჩაწერილი ალ. ოჩიაურის მიერ. „თმაგლეჯით ჩამაავლიეს ბიასლამიანთ ქალიო", — აღნიშნულია ამ ვარიანტში.

დამოწმებული სიტყვების გაშიფრვა გაგვიადვილდება, თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი ისტორიკოსების ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის მიხედვით, დათუნა ბატონიშვილს ცოლად ჰყავდა ქათალიკოს ევდემოზ დიასამიძის ძმისწული, მაშასადამე — დიასამიძის ქალი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „სიასამურის ქალის" ადგილას თავდაპირველად იქნებოდა „დიასამურის ქალიო", ხოლო „ბიასლამიანთ ქალი" უნდა წარმოადგენდეს „დიასამიანთ ქალის" ტრანსფორმაციას.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს შემდეგი გარემოებაც: ხალხური ლექსი, როდესაც გადმოგვცემს დათუნა ბატონიშვილის გმირობას ყიზილბაშებთან ბრძოლაში, იქვე დასძენს: „ცოლი ძმამ ჩამოურბინა, გვერდს ჩამეეგდო ხმალიო", ხოლო არჩილის პოემაში იმავე ბრძოლის აღწერისას აღნიშნულია: „ბიძინა დიასამიძე მიუძღვა მეწინავესა..."

განხილული ლექსი არ არის დაზღვეული ანაქრონიზმებისაგან. ჯაბალ-ხანი თხოულობს ქახთ-ბატონისაგან რუსუდან დედოფალს! ეს მოტივი ნასესხებია XIII საუკუნის ამსახველი ლექსებიდან და XVII საუკუნეში უკვე ირონიულად ჟღერს გაჯავრებული რუსუდანის წამოძახილი: „არვინ გაზდილა სათათრე ბაგრატიონთა გვარიო" (სხვებს რომ თავი დავანებოთ, თვით დათუნა ბატონიშვილის მამიდა იყო ცოლი შაჰ-აბასისა, ხოლო ღვიძლი და, სახელად თინათინი, ცოლად ჰყავდა შაჰ-სეფის). ალ. ოჩიაურის მიერ ჩაწერილ ვარიანტში კიდევ უფრო ამღვრეულია ისტორიული სი-

ნამდვილე: ჯაბალ-ხანსა და დათუნა ბატონიშვილთან ერთად მოქმედებენ ერეკლე მეორე და რუსუდან დედოფალი...

ლექსის პირველი სტრიქონი („იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო") მიგვანიშნებს, რომ შესავალში დახატული სურათი მარტო დათუნა ბატონიშვილის დაღუპვით არ უნდა იყოს გამოწვეული. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ საიდან გაჩნდა ეს ლექსში „იმერეთის მთა". და ისევ საისტორიო წყაროები გვაწვდიან გასაღებს ამოცანის ამოსახსნელად.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ბატონს თეიმურაზს ყველგნით ღონე მოეღო. ალარც სითმე მშველი და ალარც სახიზარი ალაგი, ალარც წასასვლელი გზა, არც ასაყრელათ ცხენი და ჯორი, ალარც მოხელე და მოსამსახურენი. კახნიც ქართველთ (ე. ი. ქართლელებს) მისვლოდეს და მეფეს როსტომს ბატონის თეიმურაზის დაჭირვას ეპატიჟებოდნენ. ეს მეფემ უწყინა და ავად ჩამოართვა და ასე უბრძანა — იმის დაზდილნი ხართო, იმას რა კარგი უყავითო, რომ ჩვენ გვიყოთო. დაჭირვა შორს დაიჭირა და კახნი უფროსი ერთ მეჯლისში ისხდენ. მეფემ წამოთქვა და ბრძანა: რა ქვეყანა დაარსებულაო, ამრიგი მუხანათობა კახთ თავის ბატონზედ არ უქნიათო, რომ ახლა ბატონის თეიმურაზსზედ ქნესო".

როსტომის სიტყვები მოახსენეს თეიმურაზს და კიდევ ერთხელ ძლეული მეფე შეევედრა თავის მეუღლეს, როსტომ მეფე შენი ბიძაშვილი არისო, შეეხვეწე, შვილი არ მოგვიკლასო, ჩვენი შენაცოდები თქვენ გაპატიოს და იმერეთს გასახიზნად ცხენ-ჯორი გვათხოვოსო. სათხოვრად მისულ ხორეშან დედოფალს, როსტომ მეფის ბრძანებით, არ გაუმეღავნეს დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი. დიდი პატივით შეხვდნენ და ტკბილი სიტყვით ანუგეშეს („თქვენს შვილს სიკეთის მეტი არა დააკლდების რაო"). როსტომმა ხუთასი თუმანი უფეშქაშა და ხუთასი ცხენ-ჯორი ათხოვა იმერეთს გადასასვლელად (აი, საიდან გაჩენილა ხალხურ ლექსში „იმერეთის მთის" ხსენება).

ჩავიდნენ იმერეთს. თეიმურაზის სიძემ, იმერეთის მეფე ალექსანდრემ, ხალხი შეჰყარა სატირალში და დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი აცნობა ლტოლვილ სიმამრ-სიდედრს. ერთობ შთამბეჭდავი შტრიხებით აღწერს სამგლოვიარო ცერემონიალს ფარსადან გორგიჯანიძე და ბოლოს დაასკვნის: „აბა თუ ამ გამეღავნების დღის

ახბავი თუ სრულ დაგვეწერა, ტირილისაგან კაცი ვეღარ წაიკითხავდა".

გამაჭაღიანებული ქართველი ისტორიკოსი, როსტომ მეფის ერთგული ყმა და მსახური, ღვთისგან მოვლენილ სასჯელად მიიჩნევს თეიმურაზის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას, მაგრამ კაცთმოყვარეობითა და სიბრალულით გადმოგვცემს თავისი ბატონის მოსისხლე მტრის გასაჭირს.

არანაკლებ საგულისხმოა თვით როსტომ მეფის დიდსულოვნება. დაამარცხა თავისი მთავარი მტერი, მთელი თხუთმეტი წელიწადი რომ არ ასვენებდა ქართლის ბატონს და სამეფო ტახტს ედავებოდა, გაუთავებელ შფოთს ტეხდა, შეთქმულებებს აწყობდა და უიმისოდ შეთქმულნიც ხომ ისევ თეიმურაზს იწვევდნენ ქართლში. ჰოდა, როგორც იქნა, საბოლოოდ დაამარცხა და რაინდულ კეთილშობილებას იჩენს ძლეული მეტოქის მიმართ (რა თქმა უნდა, ხორეშანის ბიძაშვილობა არა კმაროდა საამისოდ).

მაგრამ ხალხური პოეზია არ ანებივრებს თავისი სიყვარულით მაჭმადიან მეფეს და მისი კეთილი საქმენი მხოლოდ ისტორიკოსებს შემოუნახავთ ჩვენთვის.

ზ. ავალიშვილი, ახასიათებდა რა ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკური კურსის ცვალებადობას, ორჭოფულად შენიშნავდა: „ძნელი სათქმელია, რომელი იყო უფრო გონივრული ამ ორი პოლიტიკიდან. ოპორტუნისტმა მეფეებმა არაერთხელ გადაარჩინეს ქვეყანა აოხრებისაგან, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ ეროვნული თავმოყვარეობისა და ქრისტიანობისათვის; „ჯვაროსანმა" მეფეებმა არაერთხელ მოუტანეს ჭირ-ვარამი თავის უბედურ სამშობლოს, მაგრამ ისინი უყვარდათ და მათს სხოვნას გულში ინახავდნენ".

ზემოთქმულის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს ქართული ხალხური საისტორიო პოეზია და, კერძოდ, დათუნა ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც მოცემულია ყიზილბაშებთან ომში დაღუპული გმირის ნათელი სახე. მაგრამ ხალხური პოეზია დავიწყების დუმილით აჯილდოებს როსტომ მეფეს, რომელსაც გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის წინაშე.

როგორც ჩანს, ხალხის მეხსიერებაში უფრო მეტად რჩება თავგანწირული გმირობითა და ვაჟკაცობით გამორჩეულ პირთა სახელები, ვიდრე იმათი, ვინც სხვაგვარად გამოიჩინა თავი ისტორიის ასპარეზზე.

უკანასკნელი დამარცხება

უცნაური და უჩვეულო სურათია — გამაჰმადიანებული ქართველის შვილი, ირანში დაბადებული და გაზრდილი, ბავშვობიდანვე მაჰმადიანურ რჯულსა და ყიზილბაშთა ადათ-წესებს შეჩვეული „ტიპიური რენეგატი“ და „ყაენის ფეხთა მტვერი“, სიბერეში ქართლის მმართველად დანიშნული როსტომი მცხეთას ჩასულა, ქრისტიანულ ტაძარში მიბრძანებულა და უფალს შევედრებია შემწეობა მფარველობას მომავალ ომში, თითქოსდა ყიზილბაშთა ლაშქარი ეკოტავებოდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

„შემოგიარეთ სვეტო ცხოველო ღვთივ ალმართებულო, მოვედით კარსა თქვენსა და ღაღადებით შენგან შეწევნა ვითხოეთ“ — ეს სიტყვები დამოწმებულია როსტომ მეფის ერთი გუჯრიდან, რომელიც თარიღდება 1648 წლით და მოგვითხრობს სწორედ იმ წელს მომხდარ ამბებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართლის ცხოვრების შემდგომ მსვლელობაში.

იდგა 1648 წელი. სეფიანთა ირანის ტახტზე იჯდა შაჰ-აბას II, ქართლში მეფობდა მაჰმადიანი როსტომი (ყოფილი ხოსრო-მირზა), კახეთში — ქრისტიანი თეიმურაზ პირველი.

უკვე თხუთმეტი წელი იქნებოდა, რაც თეიმურაზი თითქმის განუწყვეტლივ ექიშპებოდა და ებრძოდა ქართლის მეფეს, რომელსაც ყიზილბაშთა სამხედრო ძალა უმაგრებდა ზურგს. მაგრამ თეიმურაზი არა ცხრებოდა, მომხრეებს პოულობდა ქართლის თავადთა შორის, შეთქმულებას შეთქმულებაზე უწყობდა და მოსვენებას არ აძლევდა მშვიდობისა და განცხრომის მოყვარულ როსტომს. ქართლის მეფე ამაოდ უთვლიდა მოუსვენარ კახეთის მეფეს: დაწყნარდი, ჩვენც მოვისვენოთო და ჩვენი ქვეყნებიც მოვასვენოთო.

მცირე საბაბმა კიდევ ერთი ომი გამოიწვია მრავალგზის აოხრებულ საქართველოში. სეფიანთა სამეფო კარი ისედაც აგულიანებდა როსტომს თეიმურაზის წინააღმდეგ საბრძოლველად და აჰა, დადგა ჟამი საბოლოო ანგარიშსწორებისა.

როსტომ მეფეს კახეთში გალაშქრებამდე ულოცია მცხეთის სვეტიცხოველში, ალბათ ჯერ თბილისის მეჩეთში შეიარა, ალაჰისაგან ითხოვა გამარჯვება და მერე ქრისტიანულ ტაძარსაც მიადგა.

შეუმცდარია ათას განსაცდელსა და ინტრიგებში გამობრძმედილი მაჰმადიანი მეფის ჭკუა-გონება. ბეჯითად დაუზეპირებია შაჰ-აბას

დიდის გაკვეთილები. სეფიანთა სამეფო კარზე გაწვრთნილს კარგად მოეხსენებოდა დაწინაურებული კაცის ბედ-იღბლის ცვალებადობაც და საწუთროს უკუღმართობასთან შეგუების ხელოვნებაც. თვალთმაქცობისა და ორპირობის უმაღლესი სკოლაც ჰქონდა გავლილი, მშვენივრად იცოდა ფასი ღიმილისა თუ რისხვისა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი რომ აფრქვევენ ხან მიზეზითა და ხან უმიზეზოდ. მეგობრის თვალში ჩამარხული შურის ამოკითხვაშიც დაოსტატებულა, არც ღალატი გაუკვირდება მოკავშირისა და არც ძაღლური ერთგულება დამორჩილებული მტრისა. ოცი წლის წინათ მაჰმადიანურ სამოთხეში წაბრძანებული თავისი აღმზრდელი მბრძანებლისა არ იყოს, მოწყალეც არის და დაუნდობელიც. ერთ ხელში ხაჭაპური უჭირავს, მეორეში — მათრახი. ყოველთვის ზუსტად აქვს ნაანგარიშევი, როდის წარმოთქვას ტკბილი სიტყვა და როდის — სასტიკი განაჩენი.

ქართველი მემატიანენი არ იშურებენ თავისებურ ქებას მისი მისამართით: „ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა“, ანდა: „საქმით ხვანჯიანი, სოფლის ფრიად ჭკვიანი, მორჭმულ-მდიდარი“.

ძველადვე თქმულა: „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“, მაგრამ, როგორც ჩანს როსტომისთანა ხვანჯიან-ილათიანები წარმატებით ახერხებენ ამ ქრისტიანული შეგონების გაქარწყლებას და საქმით ამტკიცებენ, რომ გონიერსა და გაქნილ კაცს ამქვეყნად უველაფერი ხელეწიფება.

როსტომ მეფის დროს საქართველოში მეჩეთებიც შენდებოდ. და დანგრეული ეკლესიების აღდგენაც მიმდინარეობდა. მაჰმადიანმ მეფემ ქართველი სამღვდელოება დაიერთგულა, ჯამაგირი განუწესა, თავმდაბლად და ტკბილად ეჭცეოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქრისტიანული ეკლესიისა და ქართული კულტურის მიმართ როსტომის მეუღლე მარიამ დედოფალი.

როსტომ მეფის პოლიტიკა მშვიდობას ჰპირდებოდა მრავალ ომსა და აჯანყებებში სისხლდაცლილ საქართველოს, წყლულებს უშუშებდა და ფეხზე აყენებდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის აღტაცებას არ იწვევდა ეს კაცი, რომელიც ისპაანიდან გამოგზავნეს ქართლში საბატონოდ, მონა-მორჩილი იყო ირანის შაჰისა, მის და-

უკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა და გულმოდგინედ ნერგავდა ყიზილბაშურ ზნე-ჩვეულებებს საქართველოში.

ქართლის ბაგრატიონთა ნაშიერს, სახელოვანი ლუარსაბ მეფის შვილიშვილს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი უფლებანი ჰქონდა ქართლის ტახტზე, ვიდრე თეიმურაზს, მაგრამ მარტო უფლებანი ვერ უხვეჭდა ხალხის სიმპათიებს, აკი ფარსადან გორგიჯანიძეც შენიშნავს: „ზოგს კაცს ქრისტიანობის რჯულისათვის ბატონი თეიმურაზ ერჩივნათო“.

დიახ, როსტომმა მშვიდობა მოუტანა თეიმურაზის „მოუსვენრობით“ აოხრებულ ქვეყანას. თეიმურაზის პოლიტიკას ომი ერქვა და როსტომისას — მშვიდობა, მაგრამ მშვიდობის ნიღაბს ამოფარებული პოლიტიკა ისპაანისა ამჯერად ხმლით კი არა, ტკბილი სიტყვითა და ოქროთი ლამობდა საქართველოს „გათათრებას“.

„ახალი ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს როსტომის დროინდელ ვითარებას ქართლში: „და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არაწმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა... განძლიერდნენ თათარნი და კადნიერებდენ ქართველთა ზედა, და რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყვარენი წესისა მართის, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხავდა და უსმენდა მათსა. და რომელნიცა იყვნენ სიმართლისმოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდენ და შეუძლებელსა. და იყვნენ დღითი-დღე სმაჲსა და განცხრომაჲსა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ“.

დროებასა და განგებას როსტომ მეფის მხარე ეჭირა.

ჩვენ არ ვიცით, რომელ ეკლესიაში ილოცა თეიმურაზმა ომში წასვლამდე. ისტორიას შემოუნახავს მხოლოდ მაჰმადიანი მეფის ლოცვის ტექსტი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, იმერეთს გახიზნული თეიმურაზი დაწერს ყოველგვარ ლოცვაზე უფრო სულისშემძვრელ სტრიქონებს, ალსავსეს სასოწარკვეთითა და ბედისადმი უზომო საყვედურით: „რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქმენ დასადაგე?! გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე! დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე? სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?“

ეს სტრიქონები, ალბათ, არც მოითხოვენ კომენტარს, თუკი გვახსოვს თეიმურაზის ბიოგრაფია. როგორ არ შეიპყროს მეფე-

პოეტის გული აღშფოთების მწვავე ტკივილმა, როდესაც წუთისოფელი უღირსად უმასპინძლდება ღირსეულს.

მაგრამ 1648 წელს კიდევ ბუტავს იმედის ნაღვერდალი. სამოც წელს მიღწეულ მეფეს ბრძოლებში დაღლილი მკლავის იმედი თუ აღარა აქვს, სამაგიეროდ სიმამაცით განთქმული ვაჟიშვილი ეგულება საიმედო მემკვიდრედ — დათუნა ბატონიშვილი, რომელმაც ყიზილბაშებთან ომში უნდა გააცოცხლოს თეიმურაზის ძველი სახელი. სპარსელი ისტორიკოსი ასე მოიხსენიებს თეიმურაზის ძეს: „დავუდ-მირზა, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმამაცით და გამბედაობით და რომელზედაც ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ურწმუნონი".

თეიმურზმა ორად გაყო ჯარი. თვითონ თიანეთს დადგა, ხოლო დათუნა ბატონიშვილი ქიზიყს გაგზავნა. როსტომი თავს დაესხა თეიმურაზს ქართლის სპით, რომელსაც სარდლობდნენ ვახტანგ მუხრანის ბატონი (მომავალი მეფე ქართლისა) და ზაალ ერისთავი, ბრძოლა გაიმართა სოფელ უღლისთან და დამთავრდა თეიმურაზის დამარცხებით. მძიმედ დაჭრილი რევაზ ჩოლოყაშვილი ასე გამოეთხოვა თეიმურაზს: მე მოვმკვდარვარ შენის სამსახურისა და ერთგულებისათვის, ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო. სარდლის დაღუპვამ აშალა კახნიო, გვაუწყებს მემატიანე, და გამარჯვების სასწორი როსტომის მხარეზე გადახრილა.

XVII ს. სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი გადმოგვცემს: დათუნა ბატონიშვილმა დაინდო მამის სიბერე და ბრძოლის ველზე გასვლის ნება არ მისცაო. ყიზილბაშთა ლაშქარი (ჯამალ-ხანის სარდლობით) თურმე იმყოფებოდა ალავერდში, ერთი ნაწილი კი გაუყვანიათ „მილანელის მხარეს, ჩასასაფრებლად". რას უნდა ნიშნავდეს ეს „მილანელის" მხარე? (მ. ბროსე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ზაქარია ქანაქერცის თხზულება, შენიშნავდა, რომ სახელწოდება „მილანელ" არ გვხვდება არც ერთ წყაროში. მ. დარბინიან-მელიქიანის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში ზემოხსენებული ტოპონიმი საერთოდ გამოტოვებულია).

თუ გავითვალისწინებთ ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს მეორე ბრძოლის ადგილის შესახებ, „მილანელის" ამოცნობაც აღარ გაგვიჭირდება, ე. წ. „პარიზის ქრონიკის" მიხედვით, ბრძოლა მომხდარა „ქისიყის ბოლოსა, ძველ ანაგს", ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით — სოფელ მაღაროსთან. როგორც ცნობილია, ეს სოფლები

ერთიმეორის მეზობლად მდებარეობენ. თუ ვეხლობით ამ ინფორმაციას, უნდა ვიფიქროთ, რომ ზაქარია ქანაქერცის „მილანელ“ უნდა ნიშნავდეს სოფ. მელაანს, რომელიც იმავე რეგიონს მიეკუთვნება. მაშასადამე, ყიზილბაშთა ლაშქრის ნაწილი მელაანის მიდამოებში ყოფილა ჩასაფრებული. როდესაც ბრძოლა დაიწყო, ღათუნა ბატონიშვილი მამაცურად შეჭრილა ყიზილბაშთა რიგებში. საომარი ნაღარის ხმის გაგონებაზე მელაანთან ჩასაფრებული ყიზილბაშნი ზურგიდან დაესხნენ თავს ქახთა ჯარს. ბრძოლაში დაღუპულა დათუნა ბატონიშვილი და მისი ჯარიც დამარცხებულა.

ქართული ხალხური ლექსი ძალზე ეფექტურად აგვიწერს დათუნა ბატონიშვილის გმირობას: „გამეერია ლაშქარსა, გაანახევრა ჯარიო, მეჩვიდმეტეზედ მივიდა, დადგა, ჩააგო ხმალიო: „შამინდაე ღვთის ბძანებაო, ოცსა დამიკლდა სამიო“. ერთმა ურჯულო თათარმა თოფსა დახვია ალიო, ცხენზეით გადმოიტანეს დათუნა ალვის ტანიო“.

შემდეგ ვკითხულობთ დათუნა ბატონიშვილის ცოლის მოთქმას: „ჩემი მიჩვენეთ დათუნა, ცოცხალია თუ მკვდარიო“, და მოლექსე ულმობელ სიმართლეს ამცნობს უდროოდ დაქვრივებულ ქალს: „დათუნას ვინღა გიჩვენებს, წითლის ღვინით არს მთვრალიო!“ (უნდა აღინიშნოს, რომ სპარსელი ისტორიკოსიც ანალოგიურ მეტაფორას იშველიებს: „დავუდ-მირზა სიკვდილის მწარე ღვინით დათვრაო“).

უკანასკნელი ძე თეიმურაზისა შეეწირა მამის უკანასკნელ ომს. და ეს დამარცხება უკანასკნელი აღმოჩნდა მრავალ ომგადახდილი მეფისთვის. მას აღარც გამარჯვებანი ეწერა მომავალში, აღარც — დამარცხებანი. მაგრამ თეიმურაზმა ჯერ არ იცის, რომ უკანასკნელი დამარცხება განიცადა: ჯერ არც ის იცის, რომ მისი უკანასკნელი ძე დათუნა ბატონიშვილი აღარ არის ცოცხალთა შორის. ჯერჯერობით მხოლოდ ის იცის, რომ თავი უნდა დაიმციროს და გამარჯვებულ როსტომს დაემორჩილოს.

კმაყოფილი როსტომ მეფე მადლობას უხდის უფალს: „კურთხეულხარ ძლიერო და უძლეველო ყოვლისა მპყრობელო ღმერთო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცს დაანახვე. წევიბენით და გავიმარჯვეთ“ (ეს ტექსტიც ზემოხსენებული გუჯრიდან გახლავთ).

გაჭრა მაჰმადიანი მეფის ლოცვა-ვედრებამ. განგებამ კეთილი თვალით გადმოხედა რენეგატს და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, ზურგი შეაქცია ქრისტიან თეიმურაზს, რომელიც ოცდაათ წელზე მეტი იქნება, რაც დაუღალავად იბრძვის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

როსტომის ერთგული ხელქვეითი, გამაჰმადიანებული ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე კვერს უკრავს თავის ბატონს: „ღმერთი უტყუარია და ამ საქმეზედან მოჩანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო სახლი მოეთხაროს და მისი საქმით მრავალნი ტყვეთ წაესხას, მრავალნი უბრალოთ დახოცილიყვნენ, მრავალნი დედანი აეტირებინოს და იესოს ნაბძანები სიტყვანი აქ გათავდება, რომ უბძანებია — რომლისაც საწყაოთ მიუწყავო, იმავეთი მოგეწყვისო“.

ტყვეთა წასხმა, უდანაშაულოთა ქლეტა და მრავალთა დედათა ატირება გულისხმობს იმ ხანგრძლივი ბრძოლის მწარე შედეგებს, რომელსაც ეწეოდა თეიმურაზი საქართველოში ყიზილბაშთა გაბატონებისა და ქართველი ხალხის „გათათრების“ წინააღმდეგ.

გამარჯვებული და ბედისგან განებივრებული როსტომ მეფე იშვიათ დიდსულოვნებას იჩენს, ძვირად არც უღირს სიკეთე დამარცხებული და შვილმოკლული თეიმურაზის მიმართ. ცხადია, უტყუარი გუმანით ხვდება, რომ თეიმურაზი უკვე ველარაფერს დააკლებს, რომ ეს იყო უკანასკნელი ომი თეიმურაზისა.

როსტომთან მოციქულად მიგზავნილი ხორეშან დედოფალი ევედრება თავის ბიძაშვილს, ჩემი დათუნა შეიწყალეო. გავიგეთ, თათრებს ყაენთან გაუგზავნიათ და ეგებ უშველო რამეო. როსტომმა უკვე მშვენივრად იცის, რომ ყაენთან ცოცხალი დათუნა კი არ გაუგზავნიათ, არამედ — მისი მოკვეთილი თავი. მაგრამ არ ნებავს თავისი პირით ამცნოს დედას შვილის სიკვდილი და თავაზიანად ანუგეშებს: რაც შეგვიძლია, მოგეხმარებითო. ისიც იცოდეთ, რომ ყაენის კარზე თქვენს შვილს მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება ელოდებაო, მაგრამ თქვენ მებრალებით, რომ იმის შეყრამდის ტირილი და ნაღველი შეგაწუხებთო.

ბოლოს, როსტომ მეფემ ხუთასი თუმნის ფეშქაში მიართვა ხორეშან დედოფალს და ხუთასი ცხენ-ჯორი ათხოვა იმერეთს გასახიზნად. თეიმურაზი და ხორეშანი შეიტყობენ დათუნა ბატონიშვილის სიკვდილს იმერეთში და იქ გაიმართება „ტირილი და გლოვა დიდი“.

მაგრამ ვინ იცის, ეგებ გულის სიღრმეში მანამდე ჩაბუდებულიყო ავი წინათგრძნობა. ხალხური ლექსი საოცრად სევდიანი ფერებით გვიხატავს დამარცხებული თეიმურაზის მორიგ გახიზვნას იმერეთში: „იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო, წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარიო, ვარდის ჩაყრილა ფურცელი, დალბერნეს, დასძრავს ქარიო“...

ხანდაზმულმა თეიმურაზმა ხმალი განზე გადადო. მისი ჯანგატეხილი მკლავი ახლა კალამსღა მოერეოდა. იმერეთის მეფე ალექსანდრე, სიძე თეიმურაზისა, სარჩოდ მიუჩენს რაჭას და შვიდი წლის მანძილზე „მოწყენით ცუდად გდებაში“ იწერება უბედური მეფე-პოეტის უკანასკნელი თხზულებანი.

თეიმურაზი ჯერ ბერად შედგება, მერე ისევ ჩაითრევს ამქვეყნიური ცხოვრება და სამოცდაათ წელს გადაცილებული კახეთის ყოფილი მეფე საძულველი ისპაანის გზას დაადგება, რათა თავის შვილიშვილს ერეკლეს მაინც მოუპოვოს კახეთის ტახტი.

აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო. მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე“.

სეფიანთა სამეფო კარზე სახვეწრად ჩასულ თეიმურაზს შეურაცხყოფას მიაყენებენ და მერე ასტრაბადის ციხეში გამოამწყვდევენ, საიდანაც ცოცხალს აღარ ეღირსება გამოსვლა.

როსტომ მეფემ ხუთი წლით დაასწრო სიკვდილი თავის მეტოქეს. ქართველი მემატიანის სიტყვით, მან „განვლო სოფელი ესე დიდი შვებითა და განცხრომითა“.

თეიმურაზი ჯერ კიდევ რაჭაში ყოფნისას ნატრობდა სიკვდილს, რომელიც ბოლოს მოუღებდა მის უბედურებათა და გასაჭირთა სიმრავლეს. იგი წერდა: „ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს — სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად“.

სიტკბოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ სიკვდილი უფრო სამართლიანი გამოდგა, ვიდრე სიცოცხლე. საქართველოში გარდაცვლილი როსტომი ირანს წაასვენეს და ქ. ყუმში მაჰმადიან წმინდანთა და მბრძანებელთა გვერდით მიუჩინეს სამარე, როგორც ეკადრებოდა სულითა და ხორცით მაჰმადიან ქართველ მეფეს, ისპაანის ტარუღას და ირანის უფლარაღასს. ხოლო ირანში აღსრულებულ თეიმურაზს ანდერძი არ გაუწბილეს და საქართველოში ჩამოასვენეს.

მუდმივი ლტოლვილი და ხიზანი ძლივსღა დამკვიდრდა სამშობლოში; მთელი სიცოცხლე იბრძოდა მისი მიწისათვის და ერთი პაწია ნაგლეჯი მაინც დაისაკუთრა სამარადისოდ. აღარავინ შეეცილება, აღარავინ წაართმევს...

საუკუნეთა ნისლიდან

„ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს უწოდეს ქართლის ცხოვრება", — ეს სტრიქონი მხოლოდ გიორგი ლეონიძეს შეეძლო დაეწერა. ასე ჯიქურ და ხმამაღლა სხვა ვერავინ იტყოდა. დამოწმებული სტრიქონი არ აღვიძებს რთულ ასოციაციებს; უბრალოა, როგორც პური და გამჭვირვალე, როგორც მთის ჰაერი. ეგებ ოდნავ უხეშადაც ჟღერდეს შედარება. მოკლებული მეცნიერულ სიზუსტეს და დამუხტული პარადოქსული პათოსით. მაგრამ, რას იზამ, ეს გახლავთ პოეზია, გიორგი ლეონიძის პოეზია, ვერავის რომ ვერ შეადარებ.

თითქოსდა ბავშვი, პირველად რომ კითხულობს „ქართლის ცხოვრების" ფურცლებზე აღწერილ შემზარავ ეპიზოდებს და წამოიძახებს: ნეტავი რატომ ამდენი სისხლის წვიმები, საიდან ამდენი მტრობა და სიძულვილი, რაღა მაინცდამაინც ჩვენს თავზე უზომო ტანჯვა და ვარამიო, პოეტიც პირველქმნილი უშუალობით წერს ზემოხსენებულ სტრიქონს და მისი ნათქვამი რჩება ფრთოსან ფრაზად, რომელსაც ვეღარავინ შეედავება, ჩვეულებრივი მკითხველი თუ გამოცდილი მეცნიერი, რადგანაც მას დიდი პოეზიის ბეჭედი აზის.

საქართველოს ისტორია გიორგი ლეონიძისათვის არასოდეს ყოფილა „ტერა ინკოგნიტა" ანდა სუფრაზე ყურმოკრული სადღეგრძელო, რომელიც შეიძლება ბეჯითად დაიზუთხო, საკუთარი ხმაც მიუსადაგო და პატრიოტული მშვევრმეტყველების ბანგით მოაჯადოვო მსმენელი. არა და არა! საქართველოს ისტორია სახელოვანი ქართველი პოეტისათვის იყო მშობლიური სახლი, სადაც ზეპირად იცი ყოველი კედელი და კუნჭული, ყოველი ბზარი ჭერზე და ყოველი ღრიჭო კარ-ფანჯრისა; მშობლიური სახლი, რომლის მიგნე-

ბას ზუსტი მისამართის ცოდნა არა სჭირდება, სადაც ყოველთვის გელოდებიან შენი ახლობლები და ყოველთვის მიხვალ, თუნდაც გადაღლილი და გზააბნეული.

საქართველოს ისტორიის სიყვარული არ ქმარა პოეტისათვის. გულუბრყვილო და გაუცნობიერებელი სიყვარული ვარდსა და იასამანს თუ მოუხდება, ვინაიდან ბოტანიკის ცოდნა ზედმეტი ფუფუნებაა მათი სურნელით ტკბობისათვის. მაგრამ საქართველოს ისტორია ვარდნარ-ხილნარს როდი წარმოადგენს. რომ შეიყვარო, უნდა იცოდე. ცოდნა მხოლოდ აამაღლებს და გააფაქიზებს დაბადებიდანვე ჩახერგილ გრძნობას, რომელიც ყველას გააჩნია — მოკვდავსაც და უკვდავსაც. პოეტს ძვალ-რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი წარსულის ყოველი ტკივილი, ავისა და კარგის გარჩევის გუმანმა არასოდეს უღალატოს, ყოველთვის შეეძლოს განზავება ზოგჯერ ერთმანეთში ათქვეფილი სიმართლისა და სიცრუისა.

ვიმეორებ, გიორგი ლეონიძე საქართველოს ისტორიის მარტოოდენ ტრფიალი და გულუბრყვილო მეხოტბე არ გახლდათ. ერთობ მოკრძალებული განცხადება იქნებოდა, რომ გვეთქვა — საქართველოს ისტორია მშვენივრად იცოდაო. სამშობლოს წარსული პოეტისათვის ჯერუნახავი წიგნსაცავი როდი იყო, სადაც ბიბლიოთეკარი გაწვდის შენთვის შერჩეულ წიგნს. პოეტმა თვითონაც კარგად უწყოდა, რომელი წიგნი რომელ თაროზე მოეძებნა და თვითონ პოულობდა საპოვნელს.

გიორგი ლეონიძე, ძალზე ხშირად, სპეციალისტის თვალით აკვირდებოდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს. როდესაც ქმნიდა ლიტერატურულ ნარკვევებს სულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილზე, იოსებ ტფილელსა და ბესიკ გაბაშვილზე, ბუნებრივია, რომ გვერდს ვერ აუვლიდა იმდროინდელ ისტორიულ ვითარებასაც და, როგორც თევზი წყალში, თავს ისე გრძნობდა ჩვენი წარსულის ყველა მორევსა და მდინარებაში.

საქართველოს ისტორიის ცოდნა და საკუთარი კვლევა-ძიების გამოცდილება ასულდგმულებდა და ამდიდრებდა მისი პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპარეზს. ვრცელი ამონაწერები მატიანიდან თუ მკვლევარის ლაკონიური მიგნებანი იხვეწებოდა პოეტის სულში, რათა მკაფიო მხატვრულ სახეებად აღბეჭდილიყო ქაღალდზე.

სარგის ცაიშვილის სიტყვით, გიორგი ლეონიძის ახლობელთ

ქარგად ახსოვთ, რომ პოეტს ხშირად უყვარდა „ქართლის ცხოვრების“ ნიშანდობლივი ადგილების გახსენება, რომლებიც მას ზეპირადაც კი ახსოვდა.

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“,
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!

ღამეული მოლანდებანი თავის ბნელ წრეში ითრევენ პოეტის ფიქრებსა და წარმოსახვას. თითქოსდა ეკარგება რეალობის გრძნობა, თითქოსდა ძილ-ბურანშია და კოშმარული სიზმრიდან ვერ გამოფხიზლებულა. გამორბის გარეთ, რათა მოიშოროს ტვინში ჩაჭედილი ავი ქიმერები, დარწმუნდეს დღევანდელობის სიცხადეში, საკუთარი თვალით შეხედოს თბილისის სახლებს, საკუთარი ყურით მოისმინოს გარიჟრაჟის მშვიდობიანი ჟივილ-ხივილი, რომ დაჩრდილოს „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ამოკითხული ვაებისა და დაუსრულებელი რექვიემის ხმები.

ალბათ, მრავალ ჩვენთაგანს გახუცდია უცნაური და გამოუთქმელი გრძნობა წარსულთან მიახლოებისა, განსაკუთრებით — ისტორიიდან ცნობილ და სამახსოვრო ადგილებში ყოფნისას; თითქოსდა საუკუნეთა სიღრმეში გადაგისროლეს და ნელ-ნელა ერწყმი იქაურობას. დგახარ, ვთქვათ, მარაბდის ველზე მარტოდმარტო. გავარვარებულ მზეს ჰაერი აუპრიალებია, სუნთქვა გიჭირს და იმედის თვალით შეჰყურებ კოჯორ-ტაბახველას ბაღლობებს, საიდანაც ელოდები გრილ ნიავს, რომელიც ამაოდ ლამობს მარაბდის ველზე ჩამოღწევას. გონებაში წარმოიდგენ იმ გზას, ქართველმა მხედრებმა რომ გამოიარეს გამთენიისას, გრილი მაღლობებიდან — ცხელ ტაფობში, თითქოსდა ჯოჯოხეთში ეჩქარებოდათ, თითქოსდა სიკვდილთან შეხვედრა ეშურებოდათ. დგახარ მარტოდმარტო იმ ველზე. სადაც ცხრა ათას ქართველს გაეთხარა სამარე, დგახარ მარაბდის ტრიალ სასაფლაოზე და დეტალური სიზუსტით ხედავ წიგნებიდან ნაცნობ სურათს — მარაბდის დაუვიწყარი ომის მსვლელობას. ჩნდება გულუბრყვილო და შემაძრწუნებელი ნატვრა: მართლაც შეიძლებოდეს ჟამთა ულმობელი დინების შებრუნება და ფანტასტიკური ნახტომი 1625 წლის ცხელ ზაფხულში, მზითა და სისხლით ადუღებულ მარაბდის ველზე... ეს მხოლოდ ფიქრებია,

ბრჭყვიალა ნამსხვრევები რაღაც დიდისა, შეუცნობელისა და თითქმის გაუგებარისა.

თანამედროვე პოლონელი მწერალი ზბიგნევ ზალუსკი თავის წიგნში „საშვი ისტორიაში“ წერს: „ჩვენი ერი, როგორც არც ერთი ერი დედამიწის ზურგზე, მიჯაჭვულია თავის ისტორიას; ფიქრში გამუდმებით თავს დასტრიალებს და დაუცხრომლად, ხელახლა განიცდის წარსულს“.

ვგონებ, ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ პოლონელი მწერლის ნაღვლიანი სიტყვები.

წარსულის გაცოცხლება ჩვენს ცნობიერებაში, დროთა კაკაშირის დაურღვეველობა და მძაფრი ტკივილი ისტორიისა, ბრწყინვალედ არის ასახული გიორგი ლეონიძის ორსტროფიან ლექსში:

მთვარე კაშკაშებს მტრედისფერ ბუღში,
თამარის სახის დასადარელი,
მთები... სიჩუმე, როგორც ბნელ ჭურში...
ფოთლის არხევას არსად არ ელი...
უცბად მეუნოსა სუნი დამწვარისა,
თემურის ხანძართ ნატისუსალი,
თითქო მან ქართლი ამ წამს გასრისა
და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი!

საყვარელი მელოდიის მსგავსად აგეკვიატება ესოდენ უჩვეულო ხილვა პოეტისა, რომელიც ალემატება ჩვეულებრივ მოკვდავთა ჩვეულებრივ განცდებს. ლექსში შემოჭრილა ყნოსვითი ჰალუცინაცია, ვგონებ სმენითსა და ხედვითზე უფრო დამაჯერებელი. იმეორებ და ვეღარ გემეტება დასავიწყებლად: „თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი“.

ალბათ, მოულოდნელი კონტრასტიც ახდენს ზემოქმედებას მკითხველზე: იდილიური პეიზაჟი პირველი სტროფისა და უეცრად ავარდნილი ალიევით — მეორე სტროფი, რომელიც არღვევს პირველის ჰარმონიას.

მერე, სრულიად სხვა კონტექსტში, წააწყდები თემურ-ლენგის სახელს: „როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია“, — მხოლოდ გიორგი ლეონიძეს, ძლიერ ადამიანურ ვნებათა მფლობელსა და სამყაროს უთვალავ ფერთა ნათელმხილველს, შეეძლო შეედარებინა სიყვარული დაუნდობელი „მსოფლიო დამპყრობელის“ ხალხთამსვლეტი მახვილისათვის.

რა თქმა უნდა, პოეტისათვის „ქართლის ცხოვრება“ გარკვეულ წიგნს გულისხმობდა, მაგრამ ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღნიშნული ცნება გაცილებით ტევადი და მრავალმნიშვნელოვანი გახლავთ. გიორგი ლეონიძეც, ალბათ, არ იფარგლებოდა ერთი წიგნის სათაურით: „ქართლის ცხოვრება“ ერქვა არქივში შემონახულ სიგელ-გუჯრებსაც და დანგრეულ ციხე-კოშკებსაც; „ქართლის ცხოვრება“ ერქვა ქართული ფოლკლორის მარგალიტებსაც და ეკლესიათა კედელზე შემორჩენილ ფრესკებსაც.

ვინ იცის, ეგებ ქართულმა ხალხურმა პოეზიამ, ზოგჯერ ისტორიასაც რომ მოგვითხრობს ხოლმე თავისი გამორჩეული ხმით, მემატიანისაგან განსხვავებული ინტონაციითა და აქცენტებით, შთაგონა პოეტს ეს მშვენიერი სტრიქონები:

შიშველ ხმალს ხელში აძლევდნენ
სულთაბრძოლის დროს ვაჟკაცსა,
რომ სიკვდილისთვის დაეკრა,
მზე არ დაეთმო კაშკაშა!

შესაძლოა, გამოჩნდეს ე. წ. „ანტიპოეზიის“ რომელიმე ადეპტი, უცხოურ მოდას რომ აჰყოლია (ანუ, როგორც პოეტი ბრძანებს, „ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!“) და ზემოთ დამოწმებული ირაციონალური ტექსტის წაკითხვისას გაოცებით მხრები აიჩეჩოს, ჩაიქირქილოს და აუღელვებლად, მენტორული კილოთი, აგიხსნას, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანის (სულერთია, ვაჟკაცი ქნება თუ დედაკაცი) გადასარჩენად აუცილებელია მისი მოთავსება რეანიმაციის განყოფილებაში, სადაც გარეშე პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია. კატეგორიული კილოთი დაგიმტკიცებს, რომ ლეტალურ შედეგთან ხმლით ბრძოლა, პრაქტიკულად, მოკლებულია ყოველგვარ აზრს და ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო ფაქტი შეიძლება გააუქმოს მხოლოდ და მხოლოდ იმპორტული სამედიცინო პრეპარატების აქტიურმა კონცენტრაციამ ავადმყოფის ორგანიზმში. ცამდე მართალი იქნება ჩვენი ძვირფასი სკეპტიკოსი, ხოლო პოეტი მოგეჩვენება ძველმოდურ მეზღაპრედ, რომელიც ვეღარ გაგვაბრუებს XX საუკუნის მიწურულში. დიახ, ცამდე მართალი იქნება ჩვენი მენტორი-ლექტორი; ლოგიკაც მის მხარეზეა, ზოგიერთი მკითხველის დახვეწილი გემოვნებაც და, რაც მთავარია, ბიოლოგიის ავტორიტეტული კანონები. ოღონდ პოეზია ვერ მოუღებს მხარში. პოეზია ზურგს შეაქცევს „ანტიპოეზიის“

აღეპტს და თავის გზას გაუდგება უბირ მკითხველთა საძებნელად. პოეზიის ჭეშმარიტი მოყვარულებიც, ალბათ, პოეზიას გაჰყვებიან და როცა ლექსი მოესატრებათ, იმ ირაციონალურ სტრიქონებს გაიხსენებენ და გაიმეორებენ, თუმცა პოპულარული სამედიცინო განათლებით აღჭურვილ ლექტორზე არანაკლებ ესმით უეჭველი სამედიცინო პრეპარატების ფასი. მაგრამ პოეზიას თავისი ადგილი უჭირავს ცხოვრებაში და მედიცინას — თავისი. ისინი ერთიმეორეს ალაფერს ერჩიან. ისინი მშვიდობიანად თანაარსებობენ, თავიანთ კანონებს მისდევენ და, შეძლებისდაგვარად, ემსახურებიან ადამიანის სულსა და სხეულს.

... გიორგი ლეონიძის მუზამ, გავრცელებული გაბოსკვა რომ ვიხმაროთ, ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა დიდი სამამულო ომის წლებში, რათა მგზნებარე პოეტური სიტყვით გაემხნევებინა საქართველოს ისტორიის გმირთა ღირსეული შთამომავალნი, გაეხიარებინა მათი ჭირი და ლხინი, სანგრებში ჩაწოლილიყო და მერე ფეხდაფეხ გაჰყოლოდა საიერიშოდ აგრიალებულ „ვაშას“.

გმირული წარსული და გმირული აწმყო ერთიმეორეს მჭიდროდ უმშვენებდნენ გიორგი ლეონიძის ლექსებში.

ჩვენთვის წარსულშიც შემოუთელიათ,
როცა გვირბევდნენ მთა-ბარს, ტყე-ველსა,
ჭართლში მიწასაც აღარ გაეშვებთ,
ქვას არ დავტოვებთ დაუმტვრეველსა!
მაგრამ დაჰკარით ფეხი საფლავებს,
ჰკითხეთ წინაპრებს — მამულის მხედრებს,
ჰკითხეთ ტაშისკარს,
ჰკითხეთ ასპინძას,
რა მასპინძლობაც მტერს დავახვედრეთ!

პოეტის მეხსიერებას უხვად ჰქონდა დაგროვილი წარსულის ძვირფასი მაგალითები — აწმყოსათვის შესახსენებლად, როგორც ზემოთ ითქვა, „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ადგილი ზეპირადაც სცოდნია. ალბათ, ზეპირად ახსოვდა ის უკვდავი დევიზიც, რომელიც XIII საუკუნეში (რას იზამ, რომ სხვათა ომში) წარმოთქვა დიდი თამარის შვილიშვილმა, ლაშა-გიორგის ძემ, უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებულმა, მრავალი ფათერაკითა და განსაცდელით აღსავსე ცხოვრების გზაზე სვლით გატანჯულმა, ჟამთააღმწერლის დახასიათებით „უმანკომ და მალემრწმენმა“, მონღოლთაგან ულუ-დავითად წოდებულმა დავით მეფემ: „არა არს წესი ჩვენ

ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი".

„ქართველი სარდლის ნათქვამი ბრძოლაში, XIII საუკ."—ასე მიუთითებია ავტორს ლექსის ეპიგრაფად შერჩეული სიტყვები ულუ-დავითისა. შესაძლოა, ვინმემ ეჭვის თვალით შეხედოს პოეტის მეხსიერებას. მაგრამ ჩემის ღრმა რწმენით, მეხსიერებას ვერაფერს ვუსაყვედურებთ. ეს „შეცდომა" უფრო მარტივად უნდა აიხსნას — იმ წლებში მეფეთა აპოლოგია და ზოგჯერ უბრალო ხსენებაც კი დასაგმობ მოვლენად ითვლებოდა და პოეტმა, ალბათ, ამიტომაც ამჯობინა უვნებელი კორექტივი შეეტანა „ქართლის ცხოვრების" ცნობაში. საეჭვო რეპუტაციის ტიტული ვითომდა უფრო „დემოკრატიული" ტიტულით შეცვალა. ისტორიულ სინამდვილეს დიდად რომ ამახინჯებდა ამგვარი ტრანსფორმაცია. ბოლოს და ბოლოს, ულუ-დავითი იმ სიტყვების წარმოთქმისას სარდლად უფრო გვევლინება, ვიდრე მონარქად.

და აი, თითქმის შვიდი საუკუნის შემდეგ, ხელახლა დაიბადა უშიშარი ქართველი მეფის დევიზი, ლექსად თქმული გიორგი ლეონიძის მიერ:

არა, არ არის წესი, ქართველმა
მტერს შეუბმელად ზურგი უჩვენოს.
მტერი კი არა, თუ გინდ სიკვდილმა
სამშობლოს საზღვრებს შემოუჯენოს!

საქართველოს ისტორიის ზედმიწევნითი, მეცნიერული ცოდნა პოეტს ზოგჯერ ისეთი დეტალით შეუმკობდა ლექსს, რომლის ჰეშმარიტი არსი და მნიშვნელობა იოლად მისახვედრი როდი იყო.

გავიხსენოთ გიორგი ლეონიძის სახელგანთქმული ლექსის („არ დაიდარდო, დედაო...") პირველივე სტრიქონები:

ღამილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა...

ეჭვიც არავის გაუჩნდება, რომ „ბეჭზე დახატული არწივი" ნიშნავს ყმაწვილური გატაცების წარუშლელ დაღს — სხეულის ტატუირებას. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული გამოთქმა ეხმიანებოდეს ერთ ძველისძველ ლეგენდას. გამოჩენილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (XIII ს.) საქართველოს აღწერისას შენიშნავს, რომ წინათ აქაური მეფეები იბადებოდნენ ბეჭზე არწივის ნიშნით. ვინ იცის, ეგებ ეს ცნობა გაახსენდა პოეტს,

როდესაც წერდა ლექსს უცნობ ქართველ ჯარისკაცზე, და შეუხმიანა XX საუკუნის ქართველი გმირის საღიდებლად შექმნილ სტრო-ფონებს.

ასე ამეტყველდნენ ქართლის ცხოვრების ფურცლები გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მისი მოღვაწეობისა. საქართველოს ისტორიის წინაშე პოეტ ლეონიძეს არანაკლები ღვაწლი მიუძღვის მკვლევარ ლეონიძეს.

სარგის ცაიშვილი აღნიშნავს: „ლიტერატურის ისტორია რო-გორც უცხოეთში, ისე ჩვენში იცნობს არაერთ ფაქტს, როცა გამო-ჩენილი მწერლები გატაცებით მუშაობენ ლიტერატურათმცოდნე-ობის სხვადასხვა დარგში. როგორც ცნობილია, მეტწილ შემთხვევა-ში მათი დაკვირვებანი იმპრესიონისტული მანერით შესრულებულ ესეებს წარმოადგენენ და ამა თუ იმ მწერალზე მათი სუბიექტური შეხედულების, ხშირ შემთხვევაში მეტად ფასეულის, გადმოცემას შეიცავენ. გიორგი ლეონიძის წერილები თუ ნარკვევები პრინცი-პულად განსხვავებულ ხასიათს ატარებენ. იგი მაძიებელი მკვლევრის როლს ირჩევს და ახალ-ახალი ფაქტების გამოვლენით ცდილობს შესასწავლი მწერლის ცხოვრების ქრონიკის აღდგენას, მისი პიროვნების ყოველმხრივ დახასიათებას“. სარგის ცაიშვილი იხსენებს, რომ გიორგი ლეონიძე სამართლიან საყვედურს გამო-ქვამდა იმ მეცნიერთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებდნენ ე. წ. შავ სამუშაოს და სხვათა ნაკვალევის ვითომდა განზოგადების გზით ცდილობდნენ იოლად ფონს გასვლას. მათგან განსხვავებით, გიორგი ლეონიძის გამოკვლევები წარმოადგენს ღრმა და დაუზარებელი კვლევა-ძიების ნაყოფს. ყოველ მის წერილში თვალნათლივ ჩანს საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროების ცოდნა. საარქივო მასალების სიუხვე, მკვლევარის ალღო და მიგნების უნარი.

ზემოთქმულის შესანიშნავ ილუსტრაციად გამოდგება გიორგი ლეონიძის გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი“.

1853 წელს, რუსთველის პოემის ერთი ხელნაწერი შორეულ და ხანგრძლივ მოგზაურობაში გაისტუმრეს და სამშობლოში დაბრუ-ნება ეღირსა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 1935 წელს.

ხელნაწერის „პასპორტი“ გვაუწყებს, რომ იგი ინახებოდა ლე-ნინგრადის ისტორიულ-არქეოგრაფიული ინსტიტუტის ვორონცო-ვისეულ არქივში.

საიდან მოხვდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მ. ვორონცოვის არქივში?

როგორც ირკვევა, ერეკლე მეფის ასულის თეკლას ოჯახიდან ხელნაწერი საჩუქრად გადაუციათ კავკასიის მეფისნაცვლისათვის; აღნიშნული „საპატიო“ მისია შეუსრულებია ალექსანდრე ორბელიანს, თეკლას პირმშოს, თითქოსდა მ. ვორონცოვის გულის მოსაგებად, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა 1832 წ. შეთქმულების ლიდერს და შამილთან საიდუმლო მიმოწერასაც კი აბრალებდა. ასეთ მძიმე პირობებში ჩავარდნილ ქართველ პატრიოტს მეტი ვერაფერი მოუფიქრებია და საგვარეულო რელიკვია, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯესაც წარმოადგენდა, გულუხვად გაუცია გადამთიელი დიდმოხელის მოსათაფლავად. „რასაცა გასცემ, შენია“— შესაძლოა, ამ აფორიზმით იყო ნაკარნახევი ორიგინალური პრეზენტის იდეა. გიორგი ლეონიძე შენიშნავს, რომ „თვით საქართველოდან წასვლის შემდეგ ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთშიც უგზავნიდა ვორონცოვს ქართულ რელიკვიებს“. ძვირფას იარაღსა და ნივთებს ვიღა ჩივის, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიც გაიმეტეს, ოღონდ მ. ვორონცოვისათვის ეამებინათ და საკუთარი ტყავიც კარგად შეენახათ. იარაღისა და ხელნაწერთა მირთმევას აღარ სჯერდებოდნენ და ლექსებსაც უძღვნიდნენ კავკასიის მეფისნაცვალს!

საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში (ტ.3) ვკითხულობთ, რომ „კავკასიაში ვორონცოვი ატარებდა იმპერიასთან ვანაპირა მხარის სრული შერწყმის პოლიტიკას, ქმნიდა რა სოციალურ საყრდენს ადგილობრივი თავად-აზნაურობის მაღალ წრეებში. ვორონცოვი იყო პირმოთნე კარისკაცი და პატივმოყვარე კარიერისტი“.

ხსენებული ვორონცოვის არქივში დაბინავდა რუსთველის პოემის ძვირფასი ხელნაწერი და დიდხანს იმყოფებოდა იქ მევახშესთან დაგირავებული მარგალიტივით. მაგრამ 1935 წელს, როგორც იქნა, სამშობლოში გამოისტუმრეს და მ. ვორონცოვის არქივიდან პირდაპირ გიორგი ლეონიძის საწერ მაგიდაზე მოხვდა.

პოეტისა და მკვლევარის ყურადღება მიიპყრო ხელნაწერის ბოლოში დართულმა გალექსილმა ანდერძმა, რომელიც თვით კალიგრაფის მიერ იყო შეთხზული, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელნაწერი მიეკუთვნებოდა XVII საუკუნეს და გიორგი ლეონიძისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ სახელდობრ ვინ

იგულისხმებოდა გალექსილ ანდერძში („ვაქებ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსესა, ლევან მირზასა"). მირზა ხომ ქართულად „ბატონიშვილს" ნიშნავს და ადრესატიც უტყუარი იყო: ლევან-მირზა ანუ ლევან ბატონიშვილი, მამა ვახტანგ VI-ისა, უმცროსი ძმა სახელოვანი ქართველი მეფეების — არჩილისა და გიორგი XI-ისა, თავისი დროისათვის ცნობილი მწიგნობარი და, თანამედროვეთა ზიტყვით „ფილოსოფოსთა თავი".

თითქოსდა არაფერი იყო საეჭვო. ხოტბა მიეძღვნა ღირსეულ პიროვნებას, რომელსაც ბრძოლის ველზეც არ ავიწყდებოდა „ვეფხისტყაოსანი". XVIII ს. ქართველი ისტორიკოსი სუმბატი ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ ირანში ყოფნისას ლევან ბატონიშვილი წარგზავნილ იქნა მეამბოხე ბელუჯთა ტომის დასაშოშმინებლად, ორმოცი ქართველი მეომარი ახლდა და ექვსასი ყიზილბაში. ბელუჯთა რიცხვი ორი ათასს აღწევდა. ყიზილბაშები უკვე ვეღარ ყიზილბაშობდნენ და ლევან ბატონიშვილი ორმოცი ქართველი მეომრის იმედით უნდა შებრძოლებოდა ბელუჯებს ჭირმანის ველუწვდენელ უდაბნოში, სადაც ვერც ხის ჩეროს წააწყდები და ვერც სასმელ წყალს. და აი, სწორედ აქ, ღვთისაგან დაწყევლილ და ადამის ძისაგან მიტოვებულ მიდამოებში ლევან ბატონიშვილს თავისი მეომრები „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონებით გაუძხნევებია:

ვანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებან ბედთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი,
ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი,
ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრივი გულოვან-

ლევან ბატონიშვილს მარტო ლხინსა და ფიქრში როდი ახსოვდა რუსთველის პოემა. ბრძოლაშიც იყენებდა, თანამედროვე გამოთქვა რომ მოვიშველიოთ, როგორც იდეოლოგიურ იარაღს.

მაშ რატომღა დაეჭვდა პოეტი და მკვლევარი? მაშ, რაღა იყო დასაფიქრებელი? „ვაქებ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსესა, ლევან მირზასა", — პოეტის გემოვნება ასე იოლად ვერ შეეგუებოდა გაურახავ სტრიქონს, თუნდაც შინაარსს ეჭვი არ გამოეწვია. და რაც მთავარია, „მირზასა" მოხდენილად ვერ ერითმებოდა დანარჩენ სტრიქონებს („მონახაზასა", „მაზასა", „რაზასა"). მკვლევარის თვალმა კი სხვა ხინჯიც შენიშნა. ლევან ბატონიშვილის ანუ, ლექსით, ლევან მირზას სახელი შემდგომში ჩამატებულს ჰგავდა. აშკარა იყო, რომ თავდაპირველად ტექსტი ამოეფხიკად და ერთი სახე-

ლი მეორეთი შეეცვალათ. ახლა ტექსტოლოგი ამოუდგა მხარში პოეტს და სცადა ამოკითხვა თავდაპირველი ნაწერისა. იოლად როდი იკითხებოდა წაშლილი ასოები, მაგრამ საბოლოოდ ქაღალდმა გაუმჟღავნა მკვლევარს თავისი საიდუმლო: „ვაქებ კაცს ბრძენსა, ჰკვით სავსეს სარდალს სახლთხუცეს ზაზასა“.

აი, ფინ ყოფილა ხელნაწერის დამკვეთი და კალიგრაფის მიერ შეთხზული ხოტბის ობიექტი — სარდალ სახლთხუცესი ზაზა.

ახლა უკვე ისტორიკოსს ეკუთვნოდა სიტყვა. გიორგი ლეონიძეს არც ამ მისიის შესრულება გაუჭირდებოდა. მკვლევარი შენიშნავს, რომ ხსენებულ სახელს ზოგჯერ ატარებდნენ სოლოღაშვილები და თარხნიშვილები, ბარათაშვილები და გაბაშვილები, ამირეჯიბები და ანდრონიკაშვილები, მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარობით ციციშვილებში სარგებლობდა და მათ საგვარეულო სახელს წარმოადგენდა XV საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე. მართლაც, XVII საუკუნეში, რომლითაც პალეოგრაფიულად თარიღდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, ალმოჩნდა ხუთი ზაზა ციციშვილი. მკვლევარმა ხუთივე ჩამოწერა, უველაფერი მოიძია მათ შესახებ (ყოველი შემთხვევისათვის), შემდეგ — სხარტი ქრონოლოგიური ანალიზი და არჩევანი შეჩერდა ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც ყოფილა „სპასპეტი საბარათიანოსი“, ძე სარდალ სახლთუხუცეს პაპუნასი. სწორედ მისი თანამედროვე იქნებოდა იოსებ ტფილელი და ეს ფაქტიც ადასტურებდა არჩევანს.

მკვლევარი შორიდან იწყებს და ჯერ ხსენებული პაპუნას თავგადასავალს გვამცნობს. გიორგი ლეონიძე შენიშნავს, რომ პაპუნა ციციშვილს, როსტომ მეფის ერთგულ კარისკაცს, თავის დროინდელ საზოგადოებაში მოპოვებული ჰქონია გულოვანი და დარბაისელი ადამიანის რეპუტაცია.

ახლა თვითონ ზაზა ციციშვილის ჯერი დადგა, იმ პიროვნებისა, რომელსაც მიეძღვნა იოსებ ტფილელის ხოტბა:

ვაქებ კაცს ბრძენსა, ჰკვით სავსეს, სარდალ სახლთხუცეს ზაზასა,
გულის ხმის მყოფსა კეთილთა კარგ საქმის მონახაზასა,
რახავთ ტკბილ სიტყვას გიამბობს, დაგიფენს გულის მაზასა,
ოს ლხინი სწადდეს, ავს კაცსა დაუკლიტევდით რაზასა.

... ჯერ ჭაბუკი არს, არ არის ოცდაათს წლისა მეტია,
მნახთათვის ტურფა სანახი, შვენებით შესამკვრეტია,
ლხინს მოყვარობს, სევდა გულთაგან არა აქვს დაუშრეტია,
ომის დღეს მისთა მებრძოლთა დამცემი, დამარეტია.

გიორგი ლეონიძე, ცხადია, არა სჯერდება იოსებ ტუილერის ხოტბას და სხვა წყაროებშიც ეძებს ზაზა ციციშვილის სახელს. „ზაზა თავისი დროის განთქმული ვაჟკაცი ყოფილა", — წერს მკვლევარი და იმოწმებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას 1664 წელს გამართულ ბრძოლაზე, როდესაც შაჰნავაზ-ხანს (ანუ ვახტანგ V-ს) და მის ვაჟს, კახეთის მეფე არჩილს, ღამით თავს დაესხა ერეკლე, ძე თეიმურაზ პირველისა, კახთა და თუშთა რაზმით: „არამედ მისლვასა სპათასა ეკვეთნენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბი ხუთი". ზაზა ციციშვილი შექებულია ფეშანგის პოემის „შაჰნავაზიანის" ფურცლებზეც:

სარდალი ზაზა მიუხდა, ცხენ მალულ ვითა მეხია;
ცისა ელვასა უგვანდა, იგ მისგან დანაჭებია;
შეიჭრა, ჯარი გაწყვიტა, არ მოიცალა ფეხია;
კაცი კაცსა ჰკრა სროლითა, თითქმის ლახვარსა ჰგია.

ზაზას ახალგაზრდობაშივე დაუმსახურებია ყურადღება როსტომ მეფისა, რომელიც თავის ერთ სიგელში აღნიშნავს, პაპუნასთან ერთად — მისი ძის ზაზას „ერთგულსა და თავდადებით ნამსახურობას". გიორგი ლეონიძე იმასაც მიუთითებს, რომ ზაზა ციციშვილის ბრწყინვალე კარიერისათვის ხელი უნდა შეეწყო მის ნათესავ კავშირს სამეფო სახლთან. (ზაზა ყოფილა შაჰნავაზ-ხანის ბიძაშვილის დედისიმედის პირმშო).

მკითხველის ინტერესი იზრდება. გამოკვლევა თითქოსდა მომზიდველ დეტექტივს დაემსგავსა. წამოიჭრება ბუნებრივი კითხვა: რატომღა ამოფხიკეს ზაზას სახელი მისივე მისამართით შეთხზულ ხოტბაში? მკითხველი მოუთმენლად ელოდება პასუხს და მკვლევარიც აღარ აყოვნებს.

გიორგი ლეონიძის სიტყვით, სახელითა და დიდებით გალაღებული ზაზა სარდალი ტიპიური წარმომადგენელი იყო ფეოდალურ-სეპარატული ჯგუფებისა, იმ ძლიერი პარტიისა, რომელიც დაჟინებით ებრძოდა მეფის უფლებას.

ვახუშტი ბატონიშვილი ამგვარად გადმოგვცემს ზაზა ციციშვილის ცხოვრების ტრაგიკულ ფინალს: „ხოლო განდიდნა და იქცეოდა ამაყად ზაზა სპასპეტი მეფესა ზედა. ამისთვის ინება მეფემან წვრთნა მისი და მოიყვანა იგი. არამედ ძემან მეფისამან გიორგიმ, რომლისათვის შეესმინათ, უგვანად ინება შეპყრობა მისი. ხოლო იგი მოწვდილითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოჰკლა

ფიცლენის შვილი. ამისთვის მოჰკლავს იგიცა ბრძანებითა გიორგის ძეფის ძისათა. მსმენელი ამისი დაშძიმდა მეფე ფრიად, ვინათგან იყო ნათესავი (გარნა იტყოდიან მართლისა ამის სისხლისათვის იქმნა შფოთნი ესე ძეთა მეფისათა შორის, ვითარცა დავითისა").

გიორგი ლეონიძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, ძმისწულის შვილი გიორგი მეფისა, ობიექტურად გადმოგვცემს ფეოდალური საზოგადოების აზრს იმის თაობაზე, რომ ზაზა ციციშვილი უსამართლოდ იქნა მოკლული. მკვლევარის მოსაზრებით, ვახუშტის იმის თქმაც უნდა, რომ შაჰნავაზ-ხანის შვილების ტრაგიკული ეპოპეა (გიორგი XI-ის დაღუპვა ყანდაარში, არჩილის გადახვეწა რუსეთში, ლევანისა და ლუარსაბის სიკვდილი ირანში, არევ-დარევა მსგავსად ბიბლიური დავით შეფის შვილებისა) წარმოადგენდა განგების სასჯელს ზაზა ციციშვილის უსამართლოდ განწირვის გამო.

გიორგი ლეონიძე სამართლიანად ასკვნის, რომ რაკი ზაზა ციციშვილი მოუკლავთ, როგორც სახელმწიფო მოღალატე, კანონით მის დასჯას უნდა მოჰყოლოდა ქონების კონფისკაციაც. ამ ვარაუდს უდასტურებს ცენტრალური არქივის სიგელების ფონდში მიკვლეული დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ზაზა ციციშვილის სიკვდილის შემდეგ, მისმა შვილმა უთრუთმა და ძმამ ზაალმა, როდესაც ისინი საგვარეულო მამულებს ედავებოდნენ ნათესავებს, სამართალში განაცხადეს, რომ თავიანთი სიმართლის დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა არ შეეძლოთ: „აღარ გვაქვსო, რომე როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შაჰნავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგლები კა. მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდა".

გიორგი ლეონიძის დასკვნით, მეფის იასაულები, სიგელებთან ერთად, რასაკვირველია, წიგნებსაც დაიტაცებდნენ და, უპირველეს ყოვლისა, ძვირფასად შემკულ „ვეფხისტყაოსანს".

უკანასკნელი შტრიხით შეიცვა „ზაზასეული" ხელნაწერის ისტორია. ყველაფერი ზუსტად და ამომწურავად იქნა გარკვეული.

„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი ხელთ ჩაუვარდა ახალ პატრონს. ზაზა ციციშვილს სიკვდილი არ აცმარეს და მისი სახელის გაქრობაც განიზრახეს მისივე დაკვეთით შესრულებული ხელნაწერის ფურცლებიდან.

მოხდა მეორე უსამართლობა. ზაზა ციციშვილის სახელი ამოჭხეკილ იქნა.

სასტიკი ეპოქა იყო. სასტიკად უსწორდებოდნენ ერთმანეთს. აღარც ცოცხალს ინდობდნენ და აღარც მკვდარს.

„ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს ქართლში როსტომ მეფის გაბატონების შედეგად მომხდარ ცვლილებებს: „და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, და ყოველთაქე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყვარება... და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა—წმინდება, ცოდვა იგი სოდომგომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრეკა... განძლიერდენ თათარნი და კადნიერებდენ ქართველთა ზედა. და რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყვარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხვიდა და უსმენდა მათსა, და, რომელნიცა იყვნენ სიმართლის-მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდენ და შეუძლებელსა. და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ... და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჭამა, ყიზილბაშური“.

მაგრამ ყიზილბაშურ ჭამა-სმას ვინ ჩივის, ყიზილბაშური ომის წესებიც კარგად შეუთვისებიათ. რად ღირს ვახუშტი ბატონიშვილის თუნდაც ის ცნობა სწორედ იმ ბრძოლის შესახებ, რომელშიც თავი ისახელა ზაზა ციციშვილმა. ისტორიკოსის სიტყვით, დახოცილ თუშ-ჯახთა თავები საომარ ალაფად შიურთმევიათ ქართველი მეფისათვის: „აღაგო თავთა მათთაგან კოშკი მეფემან და ტყავნი თავთანი წარუკლინა ყენსა. ამასწილად მოანიჭა ყენმან ნიშნი უზომონი და დიდნი“.

ფეშანგი თავის პოემაში კიდევ უფრო შთამბეჭდავად მოგვითხრობს ზემოხსენებული ყიზილბაშური წესის დანერგვას ქართულ სინამდვილეში. აი, რას ვკითხულობთ „შაჰნავაზიანის“ ფურცლებზე:

მოვიდენ სპანი ყოველგნით, ოგ ომთა გამამკიდენი,
მოიღეს თავი თუშისა ცხენ ჯორთა ანაკიდენი;
ზოგს ათი მოაქვს, ზოგს ხუთი, მტერისა წამამკიდენი;
მიულოცევდენ მეფეთა, თავით თავსო კიდენი.
მადლი ებძანა ყველასა, წყალობის მომეტეთა;
ძვლავ ხალათითა დამოსა, მათ მაზე თვალთა მგებეთა.

თავებს ტყავები დააძვრეს, უბძანა: „თივით ტენეთ
გოგრისა კოშკი ამართეთ, ზედ ვირი მიაყენეთ".
სამჯერ ათასი თავები ქვითკირში დაატანესა.
თუშთა სახსოვრად ეყოფის, თუ ჰკვანი დაიტანეს
რა კოშკი ნახონ თავისა, ახსოვდეს იმა ხანესა.
ზაეი არჩიონ, ისახურონ, რა ესე მოინახესა.

ამ სტრიქონების წაკითხვაც კი შეძხარავია!

ანალოგიურ ეპიზოდებთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა: „ამასთანავე ს. ჩხეიძე გულქვა და შეუბრალებელი ადამიანი ჩანს. სწორედ გასაოცარია, რა ალტაცებით აღგვიწერს ხოლმე იგი ხოცვა-ჟლეტას. რაც უნდა საზარელი და შემაძრწუნებელი სურათი იყოს, იგი წარბშეუხრელად და ძლევამოსილობის აღფრთოვანებით და სიხარულით მოგვითხრობს. თვითოეული ომის ამბავს ყოველთვის მოსდევს ცნობა, ამდენი და ამდენი თავი მიართვეს მეფეს ან ბატონიშვილსაო. ერთ ალაგას მას აღნიშნული აქვს განსაკუთრებით: ბრძოლის შემდგომ „გარდავხედით მოსვენებად, დავყავით მას ღამესა იქი, რა გათენდა, მიართვეს თავი 540, ხაჭაცა და იქაცა ააშენებინა თავების მინარა, თითო ოცოცი წყრთა" (დიდ ქართველ ისტორიკოსს სეხნია ჩხეიძის თხზულებიდან დამოწმებული ციტატისათვის სამი ძახილის ნიშანი დაურთავს თავისი აღშფოთების გამოსახატავად).

რას იზამ, გულქვა და შეუბრალებელი იყო ეპოქა და ადამიანიც ჰბაძავდა ეპოქას, მეფე იქნებოდა, უბრალო მეომარი თუ კეთილსინდისიერი მემატიანე. დამპყრობლებთან შეურიგებელი და სისხლისმღერელი ბრძოლის, გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მაგალითებთან ერთად, იმდროინდელ საქართველოში არცთუ იშვიათი გახლდათ ზემოთ აღწერილი სურათები.

ჰოდა, რაღა გასაკვირია ზაზა ციციშვილის უსამართლოდ განწირვა?

გიორგი ლეონიძემ, სხვადასხვა საბუთების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაადგინა ზაზა ციციშვილის დაღუპვის თარიღიც — 1670 წ. ან 1671 წლის პირველი ნახევარი, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ზემოხსენებული ხელნაწერის დაბადების მიახლოებითი თარიღიც—XVII საუკუნის 60-იანი წლები.

თედო ჟორდანიას „ქრონიკების" მეორე წიგნში დამოწმებულია ზაზა ციციშვილის საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ეპიტაფიის ფრაგ-

შენტები. დაზიანებული წარწერიდან ზოგიერთი სიტყვაღა იკითხება: „ესე თავადთ უთავადესი ფანასკერტელი ციციშვილი სახლთხუცესი პატრონი ზაზა... მამულისა, ქონებისა და დიდების პატრონი იყო... ღმერთ გარისხებულმან...“

ზაზა ციციშვილის საფლავის ქვას, ალბათ, უფრო დააძველებდა გიორგი ლეონიძის ლექსი, რომელიც აღნიშნულ გამოკვლევამდე ათიოდე წლით ადრეა შექმნილი და „რაინდის ეპიტაფია“ ჰქვია:

მიყვარდა სმა და ნადიმი,
ამხანაგები რჩეული,
თეთრი მიმინო მიყვარდა,
ჩემს ცერზე შემოჩვეული.
ვიცოდი მიჯნურისათვის
ცრემლთაღვრა, გაჭრა, ხელობა,
რაზმის გაპობა სეტყვასებრ,
ყაბახზე ცხენფიცხელობა;
მომსხლა სიკვდილის ნამგალმა,
საფლავს მჭნა ჩამონაყარი,
დავტოვე ცოლი ლამაზი,
ცხენი და კოშკი მაღალი...
ცხენი უკუღმა აჰკაზმეთ,
ცოლმა დაიჭრას კავები,
ხმალი ხელთ დამაჭერინეთ
დამიწებული მკლავებით,
დაფას დაჰკარით, მიმღერეთ,
სთქვით შოთის ტკბილი ტაეპი.

აჯამებდა რა თავისი კვლევა-ძიების შედეგებს, გიორგი ლეონიძე ყურადღებას ამახვილებდა „ზაზასეული“ ხელნაწერის მნიშვნელობაზე. აღნიშნავდა, რომ ეს ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემლისა და რედაქტორის ვახტანგ VI-ის ნაქონი ანუ მისი სამუშაო ეგზემპლარი თუ ეგზემპლართაგანი ყოფილა. შემდეგ მიუთითებდა პლატონ იოსელიანის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ვახტანგ მეფეს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის სწორედ „ზაზასეული“ ხელნაწერით უსარგებლია და ოითქოს მისი ორთოგრაფიული შეცდომებიც კი გაუმეორებია.

გიორგი ლეონიძე წერდა: „პლ. იოსელიანის ცნობის შესამოწმებლად საჭიროა ჩვენი ხელნაწერის ტექსტის, მისი რიგის და ორთოგრაფიული შეცდომების ზუსტი შესწავლა და შედარება. ხოლო

თუ საფუძვლიანმა ძიებამ იოსელიანის ტრადიციულ გადმოცემასთან ჩვენი წინასწარი დაკვირვებანიც გაამართლა, მაშინ თავისთავად გადაწყდება ერთი მნიშვნელოვანი და მეტად სადავო პრობლემა: დაბეჭდა ვახტანგმა „ვეფხისტყაოსნის“ უცვლელი ტექსტი, თუ მან რედაქტორული შემოკლებანი შეიტანა“ (პოეტმა-მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ „ზაზასეულ“ ხელნაწერის აშიებზე ჯვრები უზის „ვეფხისტყაოსნის“ დამატებათა იმ სტროფებს, რომლებიც ვახტანგ მეფესა და მის კომისიას, საფიქრებელია, მიაჩნდა პოემის ძირითადი ტექსტის შემადგენელ ნაწილად).

რუსთველოლოგთა კვლევა-ძიების შედეგად გარკვეულ იქნა, რომ ვახტანგისეული გამოცემის უშუალო წყარო, კერძოდ მოცულობა-შედგენილობის თვალსაზრისით, უნდა იყოს „ზაზასეული“ ხელნაწერი, რაც დაადასტურა ზოგიერთმა სპეციფიკურმა წაკითხვამ. მაგრამ დადგინდა ისიც, რომ „ზაზასეული“ ხელნაწერის გარდა ვახტანგ VI-ის გამოცემაში გამოყენებული იყო XVII საუკუნის სხვა ხელნაწერებიც.

სარგის ცაიშვილი წერს: „გიორგი ლეონიძე რუსთველოლოგიის ისტორიაში შევიდა, როგორც პოემის ერთი უნიკალური ხელნაწერის მოპოვებისა და საქართველოში ჩამოტანის ინიციატორი. მანვე პირველმა აღწერა იგი მეცნიერულად და სანიმუშო არქეოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა მას. მანვე დაადგინა როგორც მისი გადმწერის ვინაობა (იოსებ ტფილელი), ასევე გამოავლინა ხელნაწერის პირველი მფლობელი, რომლის სახელი უკვე გადაშლილი იყო ხელნაწერში. რუსთველოლოგიაში დღეს ეს ხელნაწერი თვით გიორგი ლეონიძისავე რეკომენდაციით მისი პირველი მფლობელის ზაზა ციციშვილის ანუ „ზაზასეული“ ხელნაწერის სახელითაა ცნობილი“.

მთელი ის მასალა „ზაზასეული“ ხელნაწერის გარშემო, რომელსაც იკვლევდა გიორგი ლეონიძე, აძლევდა მკვლევარს უფლებას, რომ გაერღვია მშრალი მეცნიერული ჩარჩოები. ამოფხეკილი სახელის აღდგენა, ზაზა ციციშვილის ვინაობის გარკვევა და უსამართლოდ დასჯილი კაცის ტრაგიკული ბედი თითქოსდა სხვა სტილით ამეტყველებას იმსახურებდა. საფიქრებელია, რომ გიორგი ლეონიძემ შეგნებულად შეიკავა თავი იმისაგან, რომ პოეტი ჩარეულიყო მეცნიერის გარჯაში. ალბათ, ამიტომაც ცდილობდა, მარტოოდენ ფაქტების აღწუსხვითა და წამოჭრილ კითხვებზე თავშეკავებული

და ლაკონიური პასუხებით დაკმაყოფილებულიყო, მხოლოდ ისტორიული სინამდვილის აღდგენაზე ეზრუნა. ვინ იცის, ეგებ შიშობდა კიდეც, ვაითუ ჩემდაუნებურად პოეზიის სტიქიაში შევიჭრე და ამით მეცნიერულ კვლევა-ძიებას ჩრდილი მივაყენოო. ერთი სიტყვით, მკვლევარმა უყოყმანოდ და გულცივად დაჩაგრა პოეტი. მაგრამ ამით არავის არაფერი წაუგია.

ჩვენ არ ვიცით, თუ რას განიცდიდა პოეტი-მკვლევარი, როდესაც დაჟინებით ჩაჰყურებდა ხელნაწერის შერყვნილ-შებღალულ სტრიქონს და ბეჯითად ლამობდა თავდაპირველი ტექსტის აღდგენას. არც ის ვიცით, თუ როგორ იპყრობდა მის სულს კვლევა-ძიებისა და მიგნებათა, დიდთა და მცირეთა, შეუდარებელი ექსტაზი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება პოეტის შთაგონებულ აღტკინებას სიტყვებთან ჭიდილის დროს. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, როგორ ბორკავდა პოეტი თავის კალამს მეცნიერული სიდინჯით.

გიორგი ლეონიძეს ქაღალდზე არ აღუბეჭდავს თავისი განცდები და ვნებანი ხელნაწერების კვლევისა და ისტორიული სინამდვილის ძიების თაობაზე. მაგრამ ყველა იმ მეცნიერის მაგივრად, ვისთვისაც კვლევა-ძიება წარმოადგენს შემოქმედებით პროცესს და თითქმის უტოლდება პოეზიას, თავისი შთაბეჭდილებანი და ფიქრები გაგვიზიარა გამოჩენილმა საბჭოთა არაბისტმა ი. კრაჩკოვსკიმ.

უძილო ღამეთა თუ სნეულების ჟამს, როდესაც გადახურებულ გონებას აღარ ძალუძს აზრის წარმართვა, ხელნაწერები ჯგუფდ შემოეხვევიან მეცნიერს, მორცხვად, თითქოსდა შიშითაც კი უხლოდებიან და მათი შრიალი ამგვარ ხმებად წვდება კრაჩკოვსკის სმენას: „ხომ არ დაგვივიწყე? ხომ არ მიგვატოვებ? ალბათ გახსოვს, როგორ გვიბრუნებდი სიცოცხლეს, როგორ ჩაჰკირკიტებდი ნახევრად წაშლილ სტრიქონებს, გულდასმით ამჟღავნებდი მათში ჩაქსოვილ საიდუმლოებას, როგორ მიაკვლევდი ხოლმე ნაჩქარევ მინაწერში ჩვენს ისტორიას და მღელვარების ჟრუანტელი დაგივლიდა ტანში. ასობით წლები გვიტარებია მიწაში ანდა დავიწყებულ ზანდუკებში, შენ კი გვაცოცხლებდი, ამიერიდან უკვე სამარადისოდ“.

მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი დაჰყურებს ხელნაწერებს. ზოგიერთი ფურცელი სუფთაა, თითქოსდა ეს-ეს არის გამოსულა პირველი მფლობელის ხელიდან. ზოგი კი დამწვარია ანდა

წყლით გაჟღენთილი—თვალსათლივ ემჩნევათ წარუშლელი კვალი უბედურებათა. რომლებიც არ ინდობენ არც ადამიანებს და არც ხელნაწერებს. ზოგიერთ მათგანს ფურცლები აკლია თავსა და ბოლოში, საბარელი ხეიბარივით გამოიყურება. მათი პირქუში მზერა ღალადებს საყვედურს ადამიანთა დაუდევრობისა თუ სისასტიკისადმი. და მეცნიერიც გულისტკივილით შეჰყურებს ხელნაწერთა ნაირაგებს თუ პირგახსნილ ჭრილობებს.

ხელნაწერები გარს ეხვევიან მკვლევარს და ეჩურჩულებიან, როგორც უახლოეს ადამიანს, უპირველეს მეგობარს: „ხომ არ დაგვივიწყე? ხომ მოხვალ ისევ ჩვენთან? განა ჩვენ ასმაგად არ გადაგიხადეთ სამაგიერო იმისა, რომ სიცოცხლე დაგვიბრუნე? ხომ გახსოვს, გულნატკენი და მჭმუნვარე, დაღლილი და შეშფოთებული მოდიოდი ჩვენთან და ჩვენი ფურცლებიდან შენკენ მოისწრაფოდნენ ერთგულ მეგობართა ხმები, რომლებიც ყოველთვის სიხარულით გეგებებიან, რომელთაც ვერავინ წაგართმევს. ისტორიის ამოსაცნობი საიდუმლოებანი იხსნებოდა შენს წინაშე, ცოცხალი ადამიანები გადმოდიოდნენ ჩვენი ფურცლებიდან და გესაუბრებოდნენ“.

მკვლევარი შეჰყურებს აჩურჩულებულ ხელნაწერებს. ესალმება, როგორც ძველ ნაცნობებს და უღიმის. მერე თვალწინ წარმოუდგება საკუთარი თუ სხვისი ცხოვრების ფურცლები და წარსულის მკაფიო სურათებს აღარ ფარავს საუკუნეთა ნისლი...

სახელოვან ქართველ პოეტ-მკვლევარსაც, ალბათ, მოელანდებოდა თითქმის სამი საუკუნის წინათ დაღუპული ზაზა ციციშვილი. როგორ არ მოელანდებოდა ხელნაწერებზე შეყვარებულ ადამიანს, ხელნაწერთა ყოველი საიდუმლოების მჩხრეკელსა და ამომხსნელს, მართალი სამართლის მაძიებელსა და უდანაშაულოდ დასჯილი ადამიანის ქომაგს, დაუნდობლად ამოფხეკილი სახელის აღმდგენელს. ჰეშმარიტება გზას იკვლევდა საუკუნეთა ნისლიდან და ცოცხლდებოდა უდროოდ დაღუპული რაინდის სიტყვაძუნწი პორტრეტი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

„უწყოდი და აღწერო“ 9
„არამედ განეყენენ“ 11
დიდგორი 18
ხიდი, გადებული ჟამთა დინებაზე 33
„ხვალვე გაეშურე შინ“ 49
თამარის „ფიცის წიგნის“ შესახებ 61
ორი თქმულება 68
რინდები 79
„დაიძრა დიდი სულტანი“ 88
მეტამორფოზა რაინდისა 95
ერთი ლეგენდის კვალზე 110
იტალიელი მოგზაური და საქართველო 122
სათნოება და სევდა 130
ლეგენდა ხელმწიფის სიყვარულზე 137
„ესე საქმე მოურავმა“ 158
მარაბდა 166
ორი მოურავი 172
არაკიცა და მართალიც 185
„პოეზიისა და მშვენიერებას ნაზი ყვავილი“ 193
ერთგულება მწვერვალებისა 212
ერთი სტროფის გამოცანა 233
„ქეთევან ქართველის“ წყაროები 247
ათასი ელვის ნათელი 263
სინანული და სინამდვილე 279
„წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა“ 286
უკანასკნელი დამარცხება 293
საუკუნეთა ნისლიდან 300

НАТРОШВИЛИ ТАМАЗ ГЕОРГИЕВИЧ

ИЗ ГЛУБИНЫ ВЕКОВ

(Литературные письма)

Издательство «Мерани»,
пр. Руставели, 42
1988

რედაქტორი ლ. არაბიძე
მხატვარი ნ. ნარიმანიძე
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: თ. ფირცხალავა, რ. გოცირიძე, ნ. ლომაძე
გამომშვები გ. მინდიაური

ს. ბ. 3094

ჩაბარდა წარმოებას 1.11.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.03.88. უე 06718. ფორმატი 60×84¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი №2. გარნიტურა სვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 18,6. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 16,4. პირობითი საღებავგატარება 18,6.
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 635.

ფასი 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის გამზ. 42
თბილისი 1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.